გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული

№2

<u>გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წელი ამავე უნივერსიტეტის დამფუძნებლის, განათლების დარგის თვალსაჩინო მოღვაწისა და ორგანიზატორის, საქართველოს პედაგოგიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ გურამ თავართქილაძის საიუბილეო წლად არის გამოცხადებული. შესაბამისად, შემუშავებულია ღონისძიებათა ვრცელი ჩამონათვალი, რომელიც ამ მნიშვნელოვან მოვლენას ეძღვნება. მათ შორის ერთ-ერთი მათგანია უნივერსიტეტის სამეცნიერო კრებულის (№2) გამოცემა.</u>

<u>წინამდებარე კრებული ეძღვნება პროფ. **გურამ თავართქილაძის** ნათელ ხსოვნას!</u>

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი 2012

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის
სამეცნიერო შრომათა კრებულის სარედაქციო საბჭო

სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე
პროფ. **გიორგი მათიაშვილი**

სარედაქციო საბჭოს შემადგენლობა:

პროფ. **რევაზ ბალანჩივაძე** – მთავარი რედაქტორი
პროფ. **ამირან თავართქილაძე** — პასუხისმგებელი მდივანი
პროფ. **გელა ალადაშვილი**
პროფ. **ჩერეკ ბუსტრა** /ნიდერლანდების სამეფო/
პროფ. **ინგა დიაკონიძე**
პროფ. **ვალერი ვაშაკიძე**
პროფ. **დიკ ვეინანდს** /ნიდერლანდების სამეფო/
პროფ. **მარინა ვეკუა**
პროფ. **სერგეი იაკუბოვსკი** /ოდესა/
პროფ. **გივი ლობჟანიძე**
პროფ. **ამიდ ნიზჰად** /აშშ/
პროფ. **ჟილ რუე** /საფრანგეთი./
პროფ. **თემურ ჟღენტი**
პროფ. **ჩარლზ მორგან სტრომე**/აშშ/
პროფ. **მაია უკლება**
პროფ. **შენგელი ფიცხელაური**
პროფ. **ლალი ჩაგელიშვილი**
პროფ. **ბარბარა ჰაინესი** /აშშ/.

© შრომების კრებული, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-741-5

SCIENTIFIC PROCEEDINGS OF GURAM TAVARTKILADZE TEACHING UNIVERSITY

VOLUME

№2

Guram Tavartkiladze Teaching University announced academic year 2011-2012 to be an anniversary year of Prof. Guram Tavartiladze, the founder of the university, outstanding public figure and experienced manager of educational sphere, academician of Georgian Academy of Pedagogical Sciences.

Among many activities schedules and devoted to the anniversary year, one is publication of Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University, Volume 2

Dedicated the Memory of Prof. **Guram Tavartkiladze**

Publishing House **"UNIVERSAL"**

Tbilisi 2012

Scientific Proceeding of Guram Tavartkiladze Teaching University

Head of the Editorial Board –
Prof. **Giorgi Matiashvili**

Editorial Board:

Prof. **Revaz Balanchivadze** – Chief Editor
Prof. **Amiran Tavartkiladze** – Secretary Editor
Prof. **Gela Aladashvili**
Prof. **Tjerk Busstra** – /Netherlands/
Prof. **Lali Chagelishvili**
Prof. **Inga Diakonidze**
Prof. **Barbara Haines** /USA/
Prof. **Nezhad Hameed** /USA/
Prof. **Sergei Yakubovskyi** /Ukraine/
Prof. **Givi Lobjanidze**
Prof. **Shengeli Pitskelauri**
Prof. **Gilles Rouet** /France/
Prof. **Charles Morgan Stromme** /USA/
Prof. **Maia Ukleba**
Prof. **Valeri Vashakidze**
Prof. **Marina Vekua**
Prof. **Temur Zhghenti**
Prof. **Dik Weijnands** /Netherlands/

ISBN 978-9941-17-741-5

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომათა კრებული, როგორც მრავალდარგობრივი ჟურნალი, აერთიანებს ეკონომიკურ, სოციალურ, ჰუმანიტარულ და სამართლის მეცნიერებებს. ამ ჟურნალთან თანამშრომლობა, გარდა ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორებისა, შეუძლიათ სხვა უნივერსიტეტების პროფესორებსაც, მათ შორის, უცხოელ ავტორებსაც.

ჟურნალის მიზანია ხელი შეუწყოს ზემოაღნიშნულ დარგებში, უპირველეს ყოვლისა, უმაღლეს სასწალებლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლების მეცნიერული კვლევა-ძიების შემდგომ განვითარებას, ორიგინალური კონცეფციებისა და ინოვაციების წარმოჩენას, ამ დარგების წინსვლაში ჩვენს მონაწილეობას, სამეცნიერო საქმიანობაში ახალგაზრდა სპეციალისტების ჩართვას, მათი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას.

კრებულის სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში შედიან ქართველი და უცხოელი მეცნიერები, ზემოაღნიშნული დარგების კვალიფიციური სპეციალისტები. უცხოელ მეცნიერთა მონაწილეობა სარედაქციო საბჭოს შემადგენლობაში აამაღლებს კრებულის ავტორიტეტს, საშუალებას მოგვცემს გავაფართოოთ აკადემიური კონტაქტები და ხელს შეუწყობს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა მოზიდვას კრებულში სათანამშრომლოდ. თავის მხრივ, ეს შესაძლებელს გახდის იმას, რომ მათი სამეცნიერო პროდუქცია, ორიგინალური კონცეფციები და კვლევები გავაცნოთ ქართულ სამეცნიერო ინტელიგენციას, დავგეგმოთ ერთობლივი პროექტები.

საერთაშორისო კონტაქტების გაფართოების მიზნით სასურველად მიგვაჩნია, კრებულში სათანადო ადგილი დავუთმოთ საქართველოში მოქმედი საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევის შედეგებს, მათ მიერ შემოთავაზებული დასკვნებისა და რეკომენდაციების გაშუქებას.

.

Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University are a multi branch journal covers economic, social, humanitarian and law sciences. Professors of other HEI as well as foreign authors can cooperate with our scientific journal.

The purpose of the journal is to foster scientific research development in different scientific fields mentioned above, support the introduction of the innovations, our participation in the development of these fields. It will also support the involvement of the young specialists, raise their scientific potential.

The editorial board of the journal consists of well-known Georgian and foreign scientists, highly qualified specialists. Participation of the foreign authors will support the exchange scientific product between Georgian and foreign scientists that will make it possible to carry out joint scientific projects.

In order to enhance international cooperation, the journal presents and reviews the conclusions and recommendations, the research results carried out by the international organizations acting in Georgia.

გურამ თავართქილაძე

განათლების დარგის თვალსაჩინო ორგანიზატორი

ბატონი გურამ თავართქილაძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც უდიდესი ამაგი დასდო ქართული უმაღლესი განათლების წინსვლასა და განვითარებას. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ახალგაზრდების აღზრდისა და სწავლების უანგარიშობილეს საქმეს მიუძღვნა.

განათლების საქმისადმი ზრუნვის ტრადიცია ბატონ გურამს ოჯახიდან მოჰყვებოდა. საქმე ის გახლავთ, რომ მისი მამა, პროფესორი რაფიელ თავართქილაძე, ცნობილი პედაგოგი და მეცნიერი იყო. ბატონმა გურამმა ღირსეულად გააგრძელა ოჯახის ტრადიციები და პირნათლად მოიხადა თავისი ადამიანური ვალი არა მარტო საკუთარი ოჯახის, არამედ მთელი ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

როგორც პედაგოგი და აღზრდის საქმის თვალსაჩინო სპეციალისტი, იგი გამოირჩეოდა შემოქმედებითი, კრეატული აზროვნებით, ინოვაციური მიდგომებით, მართვის ისეთი მეთოდებისადმი ერთგულებით, რომელშიც ორგანულად იქნებოდა ერთმანეთში შერწყმული მკაცრი წესრიგი და დისციპლინა და აღსაზრდელისადმი მზრუნველი, მამაშვილური დამოკიდებულება.

ბატონი გურამ თავართქილაძის საგანმანათლებლო სტრატეგია მიზნად ისახავდა ისეთი ახალგაზრდების აღზრდას, რომლებშიც ჰარმონიულად იქნებოდა შერწყმული ეროვნული თვითშეგნება, ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობა და საუკეთესო ქართული ეროვნული ტრადიციები.

გადავავლოთ თვალი ბატონი გურამის მიერ განვლილ ცხოვრებისეულ გზას: იგი იწყება საშუალო სკოლის პედაგოგობით. შემდეგ იგი ხდება ჯერ თბილისის გლდანის რაიონის განათლების განყოფილების, შემდეგ კი ქალაქ რუსთავის განათლების განყოფილების გამგე. აქედან ბატონი გურამი გადაჰყავთ საქართველოს განათლების სამინისტროს სამმართველოს უფროსის მოადგილედ.

1989 წლიდან ბატონი გურამ თავართქილაძე უბრუნდება პრაქტიკულ პედაგოგიურ საქმიანობას, ხდება ჯერ ვაჭრობის ტექნიკუმის და შემდეგ კი კომერციის კოლეჯის დირექტორი. 1992 წლიდან იგი ინიშნება მისივე ძალისხმევით შექმნილი თბილისის სახელმწიფო კომერციული ინსტიტუტის რექტორად.

აი, ამ პერიოდიდან კიდევ უფრო უკეთ გამოვლინდა მისი ნიჭი და ტალანტი, მისი საოცარი ენერგია და მიზანდასახულობა, წინსვლისა და ინოვაციების დაუოკებელი სურვილი. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე ის იყო, რომ მისი თაოსნობითა და უშუალო ინიციატივით ზემოაღნიშნული ინსტიტუტი ჯერ თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტად გადაკეთდა, შემდეგ კი-უნივერსიტეტად, მაგრამ მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობის ნამდვილი გვირგვინი იყო მის მიერ დაარსებული ახალი უნივერსიტეტი - თბილისის ეკონომიკურ ურთიერთობათა და სამართლის უნივერსიტეტი.

მას შემდეგ, რაც საუნივერსიტეტოდ გამოყოფილი შენობის ფაქტიურად ხელახალი შენება დაიწყო, ბატონი გურამი, რომლის ჯანმრთელობა საგრძნობად იყო შერყეული, ხან ხარაჩოებზე იდგა მუშებთან ერთად, ხან არქიტექტორებსა და ინჟინრებთან ერთად აზუსტებდა ყველა დეტალს, ეცნობოდა ყველა ნიუანსს. დღე და ღამ არ ისვენებდა, აჩქარებდა მშენებლებს, თითქოს გული რაღაც ცუდს უგრძნობდა, თითქოს უნდოდა ბოლომდე დასრულებული ენახა მისი პირმშო და მართლაც მოხდა ის შოკისმომგვრელი, სულისშემძვრელი რამ, რასაც არავინ ელოდა. მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 2009 წლის აგვისტოში ბატონი გურამი გარდაიცვალა. ზუსტად ერთ თვეში კი უნივერსიტეტმა ფუნქციონირება დაიწყო.

სრულიად ბუნებრივი იყო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ერთობლივი გადაწყვეტილება: ბატონი გურამ თავართქილაძის უდიდესი ღვაწლის გამო უნივერსიტეტის დაფუძნების საქმეში, ამ უნივერსიტეტს მისი სახელი დარქმეოდა და „გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტად“ წოდებულიყო.

ბატონმა გურამ თავართქილაძემ თავის სანუკვარ მიზანს მიაღწია. დღეს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მისი უმცროსი მეგობარი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი პროფ. გიორგი მათიაშვილი, ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული უნივერსიტეტია საქართველოში. ამ პრესტიჟულობას და ავტორიტეტულობას მას სძენს ბატონი გურამის, როგორც განათლების დარგის დიდი ორგანიზატორის მიერ, თავმოყრილი უძლიერესი პროფესურა, რომელიც აქ, ამ უნივერსიტეტში, მოღვაწეობს.

უნივერსიტეტი კი, რომლის შექმნასაც მან ასეთი დიდი ამაგი დასდო, გარეგნულად ასე გამოიყურება: ეს არის ფართე და ნათელი შენობა, სუფთა და ლამაზი სალექციო აუდიტორიებით, კა-

ბინეტებითა და ლაბორატორიებით, უახლოესი მოდელის კომპიუტერებით აღჭურვილი კომპიუ-ტერული ცენტრით, ახლადაშენებული ბიბლიოთეკის შენობითა და მდიდარი წიგნადი ფონდით.

უნივერსიტეტში არსებობს რადიო და ტელელაბორატორიები მომავალი ჟურნალისტებისათვის, იმიტირებული სასამართლო დარბაზი და კრიმინალისტიკის ლაბორატორია-იურისტებისათვის, „სასწავლო ინკუბატორი“ და საქმიანი თამაშების ლაბორატორია-ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. მასში შედის: მინი ბანკი, ტურიზმის, მარკეტინგის, პროექტების მართვის, საწარმო ოპერაციების მართვის განყოფილებები.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტ ჟურნალისტთა კლუბი „რეპორტიორი“ ლიტერატურული კლუბი, სტუდენტური კაფე, ფოლკლორული ანსამბლი, მხიარულთა და საზრიანთა გუნდი და მრავალი სხვა. უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი სტუდენტთა ცოდნის და განათლების შესაძენად, პროფესიაში დასაოსტატებლად. მათივე განკარგულებაშია უფასო სატრანსპორტო მომსახურეობა.

აი, ასეთი პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებელი შექმნა ბატონმა გურამ თავართქილაძემ. ცხადია, გავლილი სამი წლის განმავლობაში ბევრი რამ ახალიც შეიქმნა, მაგრამ ძირითადად ეს ყველაფერი მისი ნაფიქრია, მისი დაუზარელი შრომისა და გარჯის შედეგია, მისი ხელშენავლებია.

ბატონი გურამ თავართქილაძე არა მარტო უმაღლეს სასწავლებელთან დაკავშირებულ პრაქტიკულ და ორგანიზაციულ საკითხებს წყვეტდა, არამედ ნაყოფიერ პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასაც ეწეოდა. იგი არის მნიშვნელოვანი სამეცნიერო ნაშრომების ავტორი ან თანაავტორი მათემატიკასა, ეკონომიკასა და პედაგოგიკის დარგში. მათ შორის არის „უმაღლესი მათემატიკა“ პირველი, მეორე და მესამე ნაწილი (1993, 1994, 1998 წწ}, „მათემატიკა ეკონომისტებისათვის“(2002 და 2007 წლები), „ინფორმატიკისა და პროგრამირების საფუძვლები“, „უმაღლესი მათემატიკის ელემენტები“ , “ფილოსოფია“(ი. ბერაძესა და თ. ფანცულაიასთან თანაავტორობით) და მრავალი სხვა. ბატონი გურამი არის მრავალი რესპუბლიკური და საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე და ორგანიზატორი.

თითქმის სამი წელი გავიდა ბატონი გურამის გარდაცვალებიდან. მაგრამ უნივერსიტეტში დღესაც ყველამ იცის მისი სახელი, იცის ისიც, რომ იმ უმაღლესი სასწავლებლის დამფუძნებელ-დამაარსებელი, რომელშიდაც სწავლა მას ეამყება, არის ბატონი გურამ თავართქილაძე. იცის, რომ დღეს ამ უნივერსიტეტში მოღვაწეობს ბატონი გურამის უსათნოესი და უკეთილშობილესი მეუღლე ქალბატონი ლია თავართქილაძე, რომელიც დედასავით დასტრიალებს თავს მთელ უნივერსიტეტს და თავის ყურადღებასა და მზრუნველობას არ აკლებს მის არცერთ სტუდენტსა თუ თანამშრომელს. აქვეა მისი ერთადერთი ვაჟი გურამი (მამის მოსახელე), რომელიც მამის ხსოვნისადმი პატივისცემას იმით გამოხატავს, რომ თავდაუზოგავად ემსახურება მის პირმშოს. აქვე, ალბათ, ისიც უნდა ითქვას, რომ უნივერსიტეტის ახლანდელი რექტორი პროფ. გიორგი მათიაშვილი, ისე როგორც მთელი რექტორატი, ყველაფერს აკეთებს ბატონი გურამ თავართქილაძის უკვდავსაყოფად.

დარწმუნებული ვართ, გავა კიდევ ბევრი ათეული წელი და მომავალ სტუდენტებს კვლავინდებურად ეცოდინებათ, თუ ვინ იყო გურამ თავართქილაძე, რა დიდი ღვაწლი მიუძღვის მას იმ უნივერსიტეტის შექმნაში, რომელშიც ის სწავლობს. ეცოდინებათ ისიც, რომ სხვათათვის გაკეთებული სიკეთე უკვალოდ არ იკარგება და ამ სიკეთის მთესველი ადამიანის სახელი თაობიდან თაობას გადაეცემა.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორატი
და უნივერსიტეტის შრომათა კრებულის სარედაქციო კოლეგია.

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამართლის მეცნიერებები

ნუგზარ თევდორაძე — მითვისების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები 13
გივი ლობჟანიძე - ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ევოლუცია და საქართველო 19
ლიკა საჯაია - ნაწარმოების ხელშეუხებლობის /მთლიანობის უფლება ევროპული პრაქტიკის მიხედვით 27
შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი - მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) სამო- ქალაქო პროცესში 35
რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია - მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები 42

ეკონომიკური მეცნიერებები

გელა ალადაშვილი - საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში 47
ნოდარ ბაგრატიონი -საბანკო ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ 52
მედეა გოცირიძე - ცოდნის გამოყენების ეფექტიანობის საკითხები /ახალი რეალიები/ 56
დავით ვეკუა - საქართველოში სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და მისი განვითარების თავისებურებები 61
ამირან თავართქილაძე -საქართველო-ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს 66
სოფიკო თევდორაძე - რეგიონის დადებითი იმიჯი, როგორც კონკურენტუნარიანობის წყარო 73
ლია თოთლაძე - 2011 წლის ნობელიის პრემიაეკონომიკაში: მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ემპირიული კვლევა 76
მამუკა თორია -დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში 80
ვასილ კაციაშვილი — დეველოპერული კომპანიების ფინანსური მართვის თავისებურებები 85
ნიკა კვარაცხელია - ელექტრონული ექსკურსიების განვითარება თანამედროვე ტურიზმში 92
ზურაბ ლაოშვილი - საქართველოს ერთიანი ტურისტული გეოინფორმაციული სისტემა 99
ცირა პატარაია - საქართველო ინვესტორებისათვის /საკუთრების უფლების დაცულობა და ქონების რეგისტრაცია 104
თალიკო ჟვანია - ელექტრონული სწავლების თანამედროვე სისტემები 114
ალექსანდრე სიჭინავა, ლევან ტატიშვილი - უძრავი ქონების კონკურსის საფუძველზე გაყიდვის სოციალური და საინვესტიციო პირობები 119
ჩარლზ მორგან სტრომე - გადასახადების ადმინიტრირება და ქონების თაღლითური მისაკუთრება /ინგლისურ ენაზე/ 123
ლაშა ტაბატაძე -ინვესტიციური მიმზიდველობის ანალიზი 127
უკლება მაია — ადგილობრივი საზოგადოება და დესტინაციის მდგრადი განვითარება 132
ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე - ინფორმაციული ტექნოლოგიები და საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროს ინტეგრირება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემაში 137
გელა ჭიკაძე, ვალიდა სესაძე — „ღია ეკონომიკაში ფასების ფორმირების ანალიზი და მათემატიკური მოდელირება“ 144

სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები

ნონა ახალაშვილი - პიროვნება და კრიმინალური ქცევა 152
ნანა გოგიჩაშვილი - კრიტიკული და კრეატული აზროვნების ურთიერთმიმართება 158
რომან გოგოლაური - ერეკლე მეორის ერთი განჩინების საკითხისათვის..... 164
ინგა დიაკონიძე - რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია დარგობრივი ინგლისურის სწავლებისათვის /ინგლისურ ენაზე/..... 168
ნინო ვაშაყმაძე- 1917 წლის ოქტომბრის რუსეთის რევოლუცია და ქართული სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა 172
ელდარ იბერი - საზოგადოებრივი მაუწყებელი -მაუწყებლობა საზოგადოებისათვის 176
ვასილ კაჭარავა - 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში 185
ხათუნა კაჭარავა - ცხოვრების ჭეშმარიტი მემატიანე 191
მაყვალა /ბაია/ კოღუაშვილი - **ჯეიმზ ჯოისი** - პირველსახე „ახალგაზრდა ხელოვანის ' პორტრეტისათვის“ 196
გურამ კუტალაძე - „საერთო მოქმედების ნიადაგი“ 204
ელზა ლომიძე - შემეცნება და აზროვნება კომუნიკაციაში..... 210
გიორგი მათიაშვილი - არავერბალური კომუნიკაციის სპეციფიკა 214
თემურ ჟღენტი - განათლების ჯონ დიუისეული კონცეფცია 219
თამარ ფანცულაია - ადამიანის სულის შემძვრელი საფიქრალი..... 225
ელისო ფანცხავა - ჯეიმზ ჯოისის „ულისე“ - რომანის ძირითადი არქეტიპები და პერსონაჟთა სიმეტრია..... 230
მარინე ჩაგელიშვილი - **ურუმაშვილი** – მეორე ენის შეცნობა 235
დალი ჩიკვილაძე - ნიკო ნიკოლაძის სტატია „მამაშვილური რჩევა“ თანამედროვეობის კონტექსტში 238

რეცენზია

იური ბიბილეიშვილი - გონისა და გულის საზრდო /რეცენზია პროფ. რ. ბალანჩივაძის წიგნზე „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“,2011/..... 242

CONTENTS

SCIENCES OF LAW

Nugzar Tevdoradze - Specific Qualification Issues of Misappropreation 13
Givi Lobzhanidze – Evolution of The Jury Insitution and Georgia 19
Lika Sajaia – The Rights of Integrity of the Work according to the European Case Law 27
Shalva Kurdadze, Nino Khunashvili – Burden of Proof According to Civil Procedure Law 35
Roman Shengelia, Ekaterine Shengelia – Legal Foundation For Paternal Affilation 42

SCIENCES OF ECONOMICS

Gela Aladashvili – Compatitiveness of Georgian Economy in the Context of National Security 47
Nodar Bagrationi – About Characters of Bank Market Functioning 52
Medea Gotsiridze – Aspects of Effectiveness of Education – New Realities 56
Davit Vekua – Tendencies of Formation of Insurance Infrastructure and Peculiarities of its Development in Georgia 61
Amiran Tavartkiladze – The Free Trade Agreement between USA and Georgia Sould be the Most Important Goal 66
Sopiko Tevdoradze – Positive Image of the Region, as the Source for Competitiveness 73
Lia Totladze –Prize in Economic Scienes in Memory of Alfred Nobel 2011.Empirical Research on Cause and effect 76
Mamuka Toria – The Tendencies of Demographic Development and Labour Market Formation in Georgia 80
Vasil Katsiashvili – Financial Management Peculiarities of Building Companies 85
Niko Kvaratskhelia –Development of E-Excursion in Modern Tourism 92
Zurab Laoshvili – Integrated Tourism Geo-information Sistem of Georgia 99
Tsira Pataraia – Georgia for the Investors /Protection of Property Rights and Property Registration/ 104
Taliko Zhvania – Modern System of e- Learning 114
Aleksandre Sichinava, Levan Tatishvili – The Sale of the Real State on the Basis of Social and Investment Conditions 119
Charles M. Stromme – Tax Administration and THE Fraudulent Owenership of Property 123
Lasha Tabatadze – The Analysis of appeal of Invesment 127
Maia Ukleba – Local Community and Substainable Development of Destination 132
Lali Chagelishvili-Agladze – Informational Technologies and Integration of Georgian Telecommunication sphere inInternacional Telecommunication System 137
Gela Chikadze, Valida Sesadze – In an Open Economy Price Formation Analysis and Mathematical Modeling 144

HUMANITY AND SOCIAL SCIENCES

Nona Akhalashvili – Person and Criminal Behavour 152
Nana Gogichashvili – The Interrelationship of Critical and Creative Thinking 158
Roman Gogolauri – One Issue of Erekle II's Verdict 164
Inga Diakonidze –Some Practical Recommendations on Teaching English for Specific Purposes /ESP/ 168
Nino Vashakmadze – The Revolution of Oktober 1917 in Russia and European way of the Georgian Social-Democracy Party 172
Eldar Ibery – Public Broadcasting of Broadcasting for Public 176
Vasil Kacharava – American Presidential Election of 1980 185
Khatuna Kacharava – Veritable Chronicle of Life 191

Makvala /Baia/ Koghuashvili – Stephen Dedalus-an ~Alter ego~ of James Joyce 196
Guram Kutaladze – ~Common Ground For Action~ 204
Elza Lomidze – Cognition and Thinking in Communication..... 210
Giorgi Matiashvili – Specificity of Non-verbal Communication 214
Temur Zhghenti – Educational Concepcion by John Dewey 219
Tamar Pantsulaia – Human's Depressive Concem – Death Mystery 225
Eliso Phanchxava – James Joyse's "Ulisse's" - main Archetypes of the Novel and Symetry of Characters..... 230
Marine Chagelishvili –Urumashvili - Types of errors and importance of correction in Second Language Acquisition 235
Dali Chikviladze – Article OF Niko Nikoladze „Father's Advice" in contemporary Context 238

REVIEW

Iuri Bibileishvili –Spiritual Nourishment of Mind and Heart /prof. Revaz Balanchivadze „Philosophical and Publicistic Letters" 2011. Book review 242

ნუგზარ თევდორაძე

მითვისების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები

მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, დაუმთავრებელი დანაშაულის სტადიებია დანაშაულის მომზადება (მე-18 მუხლი) და მცდელობა (მე-19 მუხლი). ვიდრე განსახილველი დანაშაულის მომზადების საკითხს შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია განვიხილოთ ამ ინსტიტუტის არსი ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

მითვისების მომზადება. "სისხლის სამართალში გაბატონებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის დგება ე.წ. "სუბიექტურ-ობიექტური ანუ შერეული თეორიით".[1]

ქართული სისხლის სამართლისათვის სწორედ ეს თეორიაა ყველაზე მისაღები. ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც ხსენებული თეორიის მიხედვით წყდება დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხები და ხდება მისი გამიჯვნა დამთავრებული დანაშაულისა თუ არადასჯადი ქმედებისაგან. სწორედ ამ თეორიით არის შესაძლებელი მომზადებისა და მცდელობის ურთიერთგამიჯვნა, უვარგისი მცდელობის დასჯა და აბსოლუტურად უვარგისი მცდელობის დასჯადობაზე უარის თქმა.

მასაშადამე, როგორც მართებულად აღნიშნავს მ.ტურავა, დაუმთავრებელი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობის დასაბუთება უნდა მოხდეს არა ცალკე აღებული ობიექტური ან სუბიექტური თეორიით, არამედ ეს საკითხი უნდა გადაწყდეს სუბიექტურ-ობიექტური შერეული თეორიის გამოყენებით.

სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, პირს არ დაეკისრება სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა დანაშაულის მომზადებისა ან მცდელობისათვის, თუ მისი უმეცრების ან სხვა პიროვნული ნაკლის გამო, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იყო ისეთი საშუალება, რომლითაც არ შეიძლებოდა მიღწეულიყო შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო შედეგი (ე.წ. აბსოლუტურად უვარგისი მცდელობა)".

პროფ. ო.გამყრელიძის აზრით, "მოსამზადებელი მოქმედება განზრახი დანაშაულის განვითარების ადრეული სტადიაა და ის საკმაოდ დაცილებულია დამთავრების სტადიას. ამიტომ არის, რომ დანაშაულის მომზადება ყველა შემთხვევაში არ იწვევს პასუხისმგებლობას".[2] აღსანიშნავია, რომ იმ სამი კატეგორიის დანაშაულიდან, რომლებიც კოდექსის მე-12 მუხლითაა დადგენილი, პასუხისმგებლობას მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დაანაშაულის მომზადება იწვევს. ხოლო გამონაკლის შემთხვევაში — ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებაც ისჯება.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება. ზოგჯერ, აღნიშნავს ო.გამყრელიძე, კანონმდებელი ამა თუ იმ დანაშაულის მომზადებას, როცა ასეთი ქმედება ძალიან დიდ საფრთხეს ქმნის, დამოუკიდებელ დანაშაულად აცხადებს. ამის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება დავასახელოთ ბანდიტიზმი. სისხლის სამართლის კოდექსის 224-ე მუხლით ბანდიტიზმის შემადგენლობა ასეა ფორმულირებული: "მყარი შეიარაღებული ჯგუფის (ბანდის) შექმნა ან ხელმძღვანელობა პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზნით..." და ა.შ. მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნა ვინმეზე თავდასხმის მიზნით ფაქტიურად დანაშაულის მომზადების სტადიაა. მაგრამ კანონმდებელმა ეს მოქმედება მომეტებული საშიშროების გამო დამოუკიდებელ დანაშაულად გამოაცხადა.

დანაშაულის ასევე დამოუკიდებელი შემადგენლობაა გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსის 404-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილით შვიდიდან თხუტმეტ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება "აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება".

ორივე ეს დანაშაული — ბანდიტიზმიც და აგრესიული ომის მომზადებაც — განსაკუთრებით მძიმე დანაშაულთა კატეგორიას მიეკუთვნება.

მომზადების ინსტიტუტზე მსჯელობისას ო.გამყრელიძე ეხება მეტად პრაქტიკულ საკითხს: თუ კი კოდექსის ცალკეული მუხლების კონსტრუქციას მივაქცევთ ყურადღებას, აღნიშნავს ავტორი, დავინახავთ, რომ არცთუ იშვიათად ძნელია მოსამზადებელ სტადიაზე იმის გარკვევა, რომელი კატეგორიის დანაშაულისათვის ემზადებოდა კაცი, როდესაც იარაღი ან სხვა საშუალება შეიძინა თუ დაამზადა. როცა მაგალითად, ადამიანი ცეცხლსასროლ იარაღს შეიძენს განზრახი მკვლელობის მიზნით, მაშინ საკითხი ადვილი გასარკვევია. კოდექსის 108-ე და 109-ე მუხლებით მხოლოდ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებია გათვალისწინებული.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თავისუფლების უკანონო აღკვეთის მიმართ (143-ე მუხლი), ეს მუხლი ოთხნაწილიანია და მხოლოდ მეორე და მომდევნო ნაწილებით არის გათვალისწინებული განსაკუთრებით

[1] მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომც. "ბონა კაუზა" თბ. 2010. გვ. 255.

[2] იხ. ო.გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2008. გვ. 157.

მძიმე დანაშაულის შემადგენლობა. 143-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ერთ-ერთი მაკვალიფიცირებელი ნიშანია თავისუფლების უკანონო აღკვეთა "წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ" ("ა" პუნქტი). მეოთხე ნაწილის მაკვალიფიცირებლად შეტანილია დანაშაულის ჩადენა "ორგანიზებული ჯგუფის მიერ ("ა" პუნქტი). მაგრამ ამ მუხლის პირველი ნაწილით ნაკლებად მძიმე დანაშაულია გათვალისწინებული და ა.შ. მოსამზადებელ სტადიაზე, ალბათ, ძნელი გასარკვევი იქნება, როგორი ჯგუფი შეიქმნა ვინმეს თავისუფლების უკანონო აღკვეთისათვის. ყოველ შემთხვევაში, აქ შეიძლება ძლიერი ეჭვი წარმოიშვას იმ საკითხზე, თუ რა კვალიფიკაციას მიიღებდა ეს დანაშაული დამთავრების სტადიაზე.[1]

დაბოლოს, აღნიშნავს ო.გამყრელიძე, დაგვრჩა განსახილველი კიდევ ერთი პრაქტიკული საკითხი. სასურველია, რომ სისხლის სამართლის საქმე დანაშაულის მომზადებისათვის აღიძრას იმ შემთხვევაში, როცა მოსამზადებელი მოქმედება უფრო ახლოს არის მცდელობის სტადიასთან, თუმცა დანაშაულის მცდელობას მას ჯერ კიდევ ვერ დავარქმევთ. სასურველია აგრეთვე, რომ მოსამზადებელი მოქმედებებისათვის დამნაშავე მხოლოდ მაშინ დაისაჯოს, როცა ის მიზნად ისახავს ადამიანის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენას (განზრახ მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება და ა.შ.). ის პრაქტიკა, რომ მასამზადებელი მოქმედება უფრო მეტად მაშინ უნდა იწვევდეს პასუხისმგებლობას, როცა ასეთი მოქმედება ახლოსაა დანაშაულის მცდელობასთან, საბჭოური რეჟიმის დროსაც არსებობდა".[2]

ახლა შევეხოთ უშუალოდ განსახილველ თემას. სსკ-ის მე-18 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა. სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის 182-ე მუხლის პირველი ნაწილით, 186-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 221-ე მუხლის პირველი—მე-3 ნაწილებით, 332-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 339-ე მუხლის პირველი ნაწილით, 339[1] მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით, 365-ე მუხლის პირველი—მე-3 ნაწილებით და 372-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების მომზადებისათვის.

ამრიგად, მითვისების მომზადება ისჯება ყველა შემთხვევაში და არა მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას.

მითვისება რთული დანაშაულია, ამიტომ მომზადების სტადიაც მრავალ ხერხს მოიცავს. აქ მთავარია გავითვალისწინოთ, რომ ნებისმიერი მოქმედება უნდა ჩაითვალოს მომზადებად მანამ სანამ პირს მიეცემა მინდობილი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების საშუალება. როგორც ი.ფოინიცკი აღნიშნავდა, მითვისების დროს დანაშაული ითვლება დამთავრებულად მხოლოდ იმ მომენტიდან, როდესაც ნივთი დამნაშავის საკუთრებაში მოექცევა; წინა ეტაპი მომზადების სტადიად უნდა მივიჩნიოთ.[3]

აქედან გამომდინარე, მითვისებისათვის მომზადება შეიძლება მრავალი გზით განხორციელდეს. ვთქვათ, თანამდებობის პირი ავალებს ორგანიზაციის თანამშრომელს გააყალბოს დოკუმენტი შემდგომში მითვისების ჩადენის გაადვილების მიზნით. მაგალითად, ბანკის მმართველმა ბანკის მთავარ ბუღალტერს დაავალა შეედგინა სალაროს შემოსავლის ყალბი ორდერი, თითქოს ვინმე რ-მ ფილიალში შემოიტანა 150000 აშშ დოლარი, რაც შემდეგ გადარიცხა სხვის სახელზე. ყალბი სალაროს ორდერის შედგენა უკვე ჩაითვლება მითვისების მომზადებად.

მითვისების მომზადების სტადიად შეიძლება ჩაითვალოს ტენდერების პირობების გაყალბება, რაც ამსრულებლისათვის წარმოადგენს მითვისების ხელსაყრელ პირობას. მაგ., რაიონის გამგებელს გამოუყვეს თანხა გამგეობის შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის. მან გადაწყვიტა მიეთვისებინა გამოყოფილი თანხის ნაწილი. ამისათვის სამუშაოების შესრულებაზე გამოცხადებულ ტენდერში დოკუმენტაციის გაყალბების გზით გაამარჯვებინა ფირმას, რომლის ხელმძღვანელთან წინასწარ იყო შეთანხმებული თანხის მითვისებაზე. დოკუმენტაციის გაყალბება სასურველი ფირმისთვის უპირატესობის მისანიჭებლად იქნება მითვისებისათვის მზადება.

მითვისების მომზადება იქნება, როცა მოხელე შეუთანხმდება პირს, რომ ამ უკანასკნელმა არ შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. მაგალითად, საწყობის გამგეს სურს მიითვისოს საწყობში შენახული ნივთები. მან იცის, რომ ამ ნივთების გატანა შეუძლებელია ისე, რომ დაცვამ ვერ შეამჩნიოს, ამიტომ იგი წინასწარ შეუთანხმდა დაცვის თანამშრომლებს, რომ ისინი გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ დაუბრკოლებლად გაატანდნენ სასურველ ნივთებს. დაცვის თანამშრომლებთან შეთანხმება უკვე მითვისების მზადების სტადიაა.

საბანკო დოკუმენტაციის გაყალბება დამალული თანხის მითვისების მიზნით ასევე წარმოადგენს მოსამზადებელ სტადიას. მაგ., სატყეო მეურნეობის მოლარეს მეურნეობის სალაროში შემოსული თანხები შეჰქონდა ს/ს ,,სახალხო ბანკის" ანგარიშზე შემცირებული ოდენობით, კერძოდ, ბანკის სალაროს შემოსავლის ორდერების მეორე ეგზემპლარში, რომელიც ივსება ხელით სპეციალურ ასლის გადასაღებ ქაღალდზე და რომლის პირველი პირი რჩება ბანკში, ამახინჯებდა ციფრებს და მთლიანი თანხის ნაცვლად ბანკის ანგარიშზე შეჰქონდა მხოლოდ მისი ნაწილი, დარჩენილ ნაწილს კი ითვისებდა. ამ შემთხვევაშიც სალაროს შემოსავლის ორდერებში ციფრების დამახინჯება არის მითვისებისათვის მზადება.

მოსამზადებელ სტადიად უნდა ჩაითვალოს მოტყუებით გაცემული ბრძანება ნივთის გადაადგილების შესახებ შემდგომში მისი მითვისების გაადვილების მიზნით. მაგ., ბანკის მმართველმა გამოგონილი

---

[1] **იხ. ო.გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2008. გვ. 158-159.**

[2] **იხ.: ო.გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2008. გვ. 159.**

[3] **იხ.: Фойницкий И.Я. Курс уголовного права. Часть особенная. СПБ. 1907. С. 181.**

მოტივით, თითქოს შემოწმებაზე მოდიოდა ეროვნული ბანკი და საჭირო იყო ფილიალში არსებული ოქროს გადამალვა, კანონის დარღვევით დაავალა საკრედიტო განყოფილების უფროსს და სალაროს გამგეს, რომ საცავში არსებული ოქრო გადაეტანათ ინდივიდუალური სეიფების ოთახში, რათა შემდგომში გაადვილებოდა ოქროს გატანა. აქ გამოგონილი მოტივით ოქროს გადამალვა არის მითვისებისათვის მზადება.

მითვისების მომზადებას წარმოადგენს ყალბი სახაზინო დავალების შედგენაც. მაგალითად, რაიონის გამგებელმა გამგეობის ბუღალტერი მოატყუა და თითქოსდა გამგეობის კაპიტალური ხარჯებისათვის, კერძოდ კი — სამსახურებრივი ავტომანქანის შესაძენად, 9000 ლარზე შეადგენინა სახაზინო დავალება, რომელიც თავის ხელმოწერით და ბეჭდით დაადასტურა. გამოტანილი თანხა კი მიითვისა. ბუღალტრის მოტყუება, ხელმოწერით და ბეჭდით სახაზინო დავალების დადასტურება იქნება მითვისებისათვის მზადება.

მოსამზადებელ მოქმედებად ითვლება ასევე თანამონაწილეთა გამოძებნა. მაგალითად, პირმა გადაწყვიტა მისთვის მინდობილი სამსახურებრივი ავტომანქანის გაყიდვა და მიღებული თანხის მითვისება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით იგი დაუკავშირდა მეგობარს და სთხოვა დახმარება ავტომანქანის აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში გადაყვანასა და იქ გაყიდვაში, სანაცვლოდ შეჰპირდა რეალიზაციიდან შემოსული თანხის განაწილებას. მეგობარი დათანხმდა. მეგობართან შეთანხმება ავტომანქანის გადაყვანასა და რეალიზაციაზე არის მითვისებისათვის მზადება.

ზოგჯერ მოსამზადებელ სტადიას წარმოადგენს დანაშაულის ინსცენირება. მაგალითად, დამქირავებელმა გადაწყვიტა ბინაში არსებული რამდენიმე ნივთის მითვისება, რომლებიც მას მინდობილი აქვს მოხმარებისათვის. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი შეუთანხმდა მეგობრებს, რომ მოეხდინათ ბინის გაქურდვის ინსცენირება და გამოეტანათ სასურველი ნივთები ბინიდან. მეგობრებთან შეთანხმება და ქურდობის ინსცენირება იქნება მითვისებისათვის მზადება.

მოსამზადებელ სტადიად ჩაითვლება ნივთის ნაწილობრივ განადგურება დანაშაულის დაფარვის მიზნით. მაგალითად, ფ-ს შესანახად მიბარებული ჰქონდა შაქარი. მან გადაწყვიტა რამდენიმე ტომარა შაქრის მითვისება. დანაკლისი რომ არ შეემჩნიათ, მან რამდენიმე ტომრიდან გადმოყარა შაქარი და მის ნაცვლად ჩაყარა სილა. ტომრებიდან შაქრის გადმოყრა და სილის ჩაყრა იქნება მითვისებისათვის მზადება.

ნივთის დაზიანება მისი ჩამოწერის და შემდგომში მითვისების მიზნით აგრეთვე მოსამზადებელ მოქმედებად ჩაითვლება. მაგალითად, ფირმის მძღოლმა, გადაწყვიტა მიეთვისებინა მინდობილი ავტომანქანა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ის გარკვეული დროის განმავლობაში ხან რას უფუჭებდა ავტომანქანას, ხან რას, რათა ფირმის ხელმძღვანელობას ჩამოეწერა იგი და მას შესძლებოდა მანქანის დაბალ ფასში შეძენა. ავტომანქანის ხშირი გაფუჭება იქნება მითვისებისათვის მზადება.

მითვისების მცდელობა. უპირველეს ყოვლისა, განვიხილოთ პრინციპული დებულებები, რომლებიც დანაშაულის მცდელობის საკითხზეა შემუშავებულია ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში.

სსკ-ის მე-19 მუხლის თანახმად, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. სისხლისსამართლებლივი პასუხისმგებლობა მცდელობისათვის განისაზღვრება ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით, რომლითაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა დამთავრებული დანაშაულისათვის ამ მუხლზე მითითებით“.

როგორც კანონის მოტანილი ტექსტიდან ჩანს, დანაშაულის მცდელობა განზრახი ქმედებაა და დანაშაულის ჩასადენად უშუალოდაა მიმართული, თუმცა დანაშაული არ სრულდება სხვადასხვა, ზოგჯერ დამნაშავის, ზოგჯერ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით.

მოსამზადებელი მოქმედებისაგან მცდელობა იმით განსხვავდება, რომ იგი უშუალოდ არის მიმართული დანაშაულის ჩასადენად. მაშასადამე, დანაშაულის მცდელობა კონკრეტული საფრთხის შემქმნელი მოქმედებაა, ხოლო მომზადება აბსტრაქტულ საფრთხეს ქმნის. რაც შეეხება დამთავრებულ დანაშაულს, აქ საფრთხე უკვე რეალიზებულია.

დანაშაულის დამთავრება დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ არის აღწერილი ქმედება კოდექსის კერძო ნაწილის მუხლში. ზოგჯერ კანონმდებელს საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით კერძო ნაწილის მუხლში დანაშაულის დამთავრების მომენტი წინა ეტაპზე, კერძოდ, მცდელობის სტადიაზე გადააქვს. მაგალითად, ყაჩაღობა სსკ-ის 179-ე მუხლის თანახმად არის თავდასხმა სხვისი მოძრავი ნივთის დასაუფლებლად. მაშასადამე, თავდასხმა, რომელიც არსებითად მცდელობა უნდა იყოს, ამ მუხლის მიხედვით უკვე დამთავრებული დანაშაულია. მაგრამ ეს დებულება მაინც არ ეწინააღმდეგება იმ მოსაზრებას, რომ მომზადებაც და მცდელობაც საფრთხის შემქმნელი მოქმედებებია. თანაც საფრთხე ობიექტური ხასიათისაა და „მავნე შედეგის განხორციელების შესაძლებლობას“ (თ.წერეთელი) წარმოადგენს.

სუბიექტური მხრივ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა. ეს პირდაპირაა აღნიშნული სსკ-ის მე-19 მუხლში. მაგრამ, როგორც ვიცით, განზრახვა ორი სახისაა — პირდაპირი და არაპირდაპირი. ტრადიციულად ქართულ სისხლის სამართალში გაბატონებულია აზრი, რომ დანაშაულის მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. თუმცა ბოლო წლებში გამოითქვა მოსაზრება, რომ მცდელობა შესაძლებელია არაპირდაპირი განზრახვითაც. მისი ავტორია პროფესორი მ.ტურავა, რომელიც აღნიშნავს “ქართულ სისხლის სამართლის თეორიაში დღემდე გაბატრონებული შეხედულებით, დანაშაულის მცდელობა შეიძლება მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ჩადენილ ქმედებაში, ხოლო ევენტუალური განზრახვის დროს კვალიფიკაცია ხდება კონკრეტულად დამდგარი შედეგის მიხედვით. ავტორის აზრით ქართულ სისხლის სამართალსა და სასამართლო პრაკტიკაში, ბოლო ათი წლის განმავლობაში

ფეხს იკიდებს პოზიცია ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის შესაძლებლობის შესახებ, რომელიც ევროპის ქვეყნების სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში (თითქმის) არავითარ დავას არ იწვევს. არაერთი მსოფლიოში ცნობილი სისხლის სამართლის პროფესორი, მათ შორის ჰანს-ჰაინრიხ იეშეკი და თომას ვაიგენდი, რომლებიც წარმოადგენენ ავტორიტეტებს თანამედროვე სისხლის სამართალში, ყოველგვარი ეჭვის გარეშე მიუთითებენ, რომ მცდელობის დასჯისათვის საკმარისია ევენტუალური განზრახვით მოქმედება, თუ ამ დანაშაულის განზრახვის ამ ფორმით ჩადენა შესაძლებელია..... "[1]

ავტორი ეთანხმება გერმანელი ავტორების მოსაზრებას და აღნიშნავს: „ჩემი ღრმა რწმენით, განზრახი დანაშაულის მცდელობისათვის ქმედების ევენტუალური განზრახვით ჩადენა საკმარისია და არ არის საჭირო პირდაპირი განზრახვის დადგენა. ევენტუალური განზრახვა ხომ ქმედებისა და შედეგის ნებელობაა. ვისაც დანაშაულის ჩადენის ნება აქვს და, ქმედების ობიექტურად განხორციელების მიუხედავად, შედეგს ვერ მიაღწია, უნდა დაისაჯოს ამ დანაშაულის მცდელობის ჩადენისათვის".[2]

თავისი პოზიციის გასამყარებლად მ.ტურავას შემდეგი მაგალითები მოყავს: "ა.-ს ჰქონდა ბ.-ს მოკვლის პირდაპირი განზრახვა, მაგრამ შედეგი არ დადგა. გვექნება მკვლელობის მცდელობა. იგივე მაგალითი, ოღონდ ა. მოქმედებდა ევენტუალური განზრახვით, სასიკვდილო შედეგი არ დადგა, მაგრამ ქმედებას შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება. ასეთ შემთხვევაში, — წერს ავტორი,— მიუხედავად მკვლელობის განზრახვისა, ქმედების კვალიფიკაცია ხდებოდა როგორც სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება."[3] ავტორს მიაჩნია, რომ " დღეს მოქმედი სისხლის სამართლის.... კოდექსი არავითარ შეზღუდვას არ აწესებს ევენტუალური განზრახვით დანაშაულის მცდელობის დასჯადობასთან დაკავშირებით. მაგალითად, ა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე, საკუთარი ძალის დემონსტრირების მიზნით, ისვრის უმისამართოდ. მას არ სურს გასროლილი ტყვია ვინმეს მოხვდეს, არც შედეგის გარდუვალობაშია დარწმუნებული, ამასთან, იგი შეგნებულად უშვებს და გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას (მისთვის სულ ერთია, შედეგი დადგება თუ არა). ასეთ ვითარებაში ტყვია მოხვდა ბავშვს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება. ჩადენილი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც ევენტუალური განზრახვით ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობა."[4]

მ. ტურავა მიუთითებს იმ გერმანელ ავტორებს, რომელთა თვალსაზრისი მისას ემთხვევა. აღსანიშნავია, რომ გერმანულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ აზრს მოწინააღმდეგენიც ჰყავს. მაგალითად, ჰ.იეშეკისა და თ.ვაიგენდისაგან განსხვავებით ტრონდლეს და ფიშერს ეჭვი ეპარებათ არაპირდაპირი განზრახვით მცდელობის შემადგენლობაში[5]. ანალოგიურ შეხედულებას ავითარებს ქართველ მეცნიერთა უმრავლესობა. მ.ტურავას მოსაზრებას დეტალურად იხილავს და უარყოფს პროფ. ო.გამყრელიძე. იგი წერს: "ასეთი აზრი არ გამომდინარეობს კოდექსის მე-19 მუხლიდან, სადაც ნათქვამია, რომ დანაშაულის მცდელობა განზრახი მოქმედებაა, რომელიც "უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად". სიტყვები "უშუალოდ" და "მიმართული" პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. არაპირდაპირი განზრახვით და გაუფრთხილებლობით რომ მცდელობა არ შეიძლება, ამან აიძულა კანონმდებელი კოდექსის კერძო ნაწილში შემოეტანა 127-ე და 128-ე მუხლები."[6]

"127-ე მუხლით პასუხისმგებლობას იწვევს "სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმის ჩაყენება, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად." "სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება", - როგორც მართებულად აღნიშნავს ო.გამყრელიძე, - არსებითად მცდელობის სტადიაა, მაგრამ ვინაიდან არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა პასუხისმგებლობას არ იწვევს, კანონმდებელმა ეს ხარვეზი შეავსო საფრთხის შემქმნელი დელიქტით. მაგრამ როგორ დაისჯება დამნაშავე "სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში" ჩაყენებული რომ დაიღუპოს? დამნაშავე ამ შემთხვევაში პასუხს აგებს კოდექსის 108-ე მუხლით არაპირდაპირი განზრახვით მკვლელობისათვის, თუ არ არის 109-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი რაიმე სხვა გარემოება."[7] იგივე უნდა ითქვას სსკ-ის 128-ე მუხლზეც.

საკითხის განხილვის შედეგად ო.გამყრელიძე ასკვნის: "არაპირდაპირი განზრახვით მცდელობა რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ კანონმდებელი ამ მუხლს 127-ე მუხლის მსგავსად delictum sui generis სახით კოდექსში აღარ შემოიტანდა და საკითხიც ძალიან იოლად გადაწყდებოდა. ქმედება დაკვალიფიცირდებოდა განზრახ მკვლელობის მცდელობად სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 108-ე მუხლებით. ერთი სიტყვით, 127-ე და 128-ე მუხლები ავსებენ იმ ხარვეზს, რასაც არაპირდაპირი განზრახვით დანაშაულის მცდელობის შეუძლებლობა ქმნის. მაგრამ ამას ვერ ვიტყვით 129-ე მუხლზე, რომლითაც დამნაშავე პასუხს აგებს, თუ ის არ დაეხმარება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფს. დამნაშავეს ამ შემთხვევაში დახმარების არავითარი სპეციალური მოვალეობა არ აკისრია და ამიტომ, შედეგიც რომ განხორციელდეს, ის მაინც დაუხმარებლობისთვის აგებს პასუხს და არა ამ შედეგისათვის. სწორედ ესაა განსხვავება 128-ე და 129-ე მუხლებს შორის."[8]

---

[1] **იხ.: მ. ტურავა. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომც. "ბონა კაუზა" თბ. 2010. გვ. 258**

[2] **იხ.: იქვე, გვ. 258**

[3] **იხ.: იქვე, გვ. 258**

[4] **იხ.: იქვე გვ. 258-259**

[5] **H.Tröndle, T. Fischer. Kommentar zum Strafgesetzbuch, 52. Auflage 2004. S. 162**

[6] **იხ.: გამყრელიძე ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ.2008. გვ. 162**

[7] **იხ.: იქვე, გვ. 162-163**

[8] **იხ.: იქვე, გვ. 163**

შემდეგი საკითხი, რომელიც დანაშაულის მცდელობის პრობლემატიკაში წამოიჭრება და რომელსაც არცთუ მცირე პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, უვარგისი მცდელობის საკითხია. უვარგისი მცდელობის ორ სახეს გამოყოფენ: 1) უვარგისი საშუალებით მცდელობა და 2) უვარგისი სამართლებლივი სიკეთის დაზიანება. მაგ., მკვლელი შეცდომით იყენებს ისეთ იარაღს, საიდანაც ვაზნა ამოღებულია, საწამლავად იყენებს სიცოცხლისათვის უვნებელ ფხვნილს და სხვ. „მცდელობად უვარგისი საშუალებებით — წერს თ.წერეთელი, — ითვლება დანაშაულის ჩასადენად ისეთი საშუალების გამოყენება, რომლებსაც თავისი ობიექტური თვისებების მიხედვით არ შეუძლიათ გამოიწვიონ დანაშაულებრივი შედეგი“.[1]

უვარგისი სამართლებლივი სიკეთე მხოლოდ მოჩვენებითი სიკეთეა და ამიტომ დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად გამოუსადეგარია. ასეთია, მაგ., მკვდარი კაცი, რომელიც დამნაშავეს ცოცხალი ჰგონია და მოკვლის მიზნით თოფს ესვრის. ქრთამის მიცემის უვარგისი მცდელობა გვექნება მაშინ, როცა თაღლითი მექრთამეობაში შუამავლობას ჩემულობს და ქრთამის მიმცემისაგან გადაცემულ ფულს თვითონ ითვისებს. მცდელობის უვარგისობა სასამართლომ საგანგებოდ უნდა დაადგინოს და მხედველობაში მიიღოს სასჯელის ზომის განსაზღვრის დროს.

ყოველივე აღნიშნული მთლიანად ვრცელდება მითვისების მცდელობაზე. სასამართლო პრაქტიკაში გვხვდება ამ დანაშაულის მცდელობის არასწორი კვალიფიკაციის შემთხვევები. სანიმუშოდ მოვიყვანთ ზ.მ-შვილის საქმეს.

ზ. მ-შვილი შპს „თბილისის ავტობუსის“ №... ავტოპარკში, სამარშრუტო ავტობუსის მძღოლად მუშაობდა. შვილთან კ. მ-შვილთან ერთად მან განიზრახა მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტობუსიდან, მიეთვისებინა შპს „თბილისის ავტობუსის“ კუთვნილი დიზელის საწვავი, რომელიც მას მართლზომიერ მფლობელობაში ჰქონდა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, 2008 წლის 15 მარტს, ღამის საათებში, მას შემდეგ რაც ავტობუსი ავტოფარეხში გააჩერეს, ზ. და კ. მ-შვილებმა საწვავის ავზიდან პლასტმასის ჭურჭელში გადმოასხეს შპს „თბილისის ავტობუსის“ კუთვნილი 40 ლიტრი დიზელის საწვავი, რა დროსაც შემთხვევის ადგილზე პოლიციის მუშაკებმა დააკავეს. მათ მსჯავრი დაედოთ სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით. სასამართლოს განაჩენი მიმაჩნია არასწორად: რადგან ზ. და კ. მ-შვილები, როგორც განაჩენიდან ჩანს, მაშინვე, შემთხვევის ადგილზე დააკავეს. ე.ი. მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დიზელის საწვავის თავის შეხედულებისამებრ განკარგვის შესაძლებლობა. ე.ი. იგი ჯერ კიდევ არ იყო გადასული მათ არამართლზომიერ მფლობელობაში. ამიტომ, სახეზეა მითვისების მცდელობა და არა დამთავრებული დანაშაული. აღსანიშნავია, რომ ამ საქმეზე სასამართლომ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვა: ზ.მ-შვილის შვილს კ.მ-შვილს პასუხი უნდა ეგო არა სსკ-ის 182-ე არამედ 25-182-ე მუხლებით — მითვისებაში თანამონაწილეობისათვის შპს „თბილისის ავტობუსის“ კუთვნილი დიზელის საწვავი არ იმყოფებოდა კ. მ-შვილის მართლზომიერ მფლობელობაში. იგი მინდობილი ჰქონდა მამამისს ზ.მ-შვილს. ამიტომ მხოლოდ ეს უკანასკნელი შეიძლება იყოს სსკ-ის 182-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი. რაც შეეხება კ.მ-შვილს, მას პასუხი უნდა ეგო ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულში თანამონაწილეობისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი
2. ო.გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2008.
3. მ.ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. გამომც. “ბონა კაუზა” თბ. 2010.
4. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა თბ. 1961.
5. И.Я. Фойницкий, Курс уголовного права. Часть особенная. СПБ. 1907.
6. H.Tröndle, T. Fischer. Kommentar zum Strafgesetzbuch, 52. Auflage 2004.

[1] **იხ. წერეთელი თ., დანაშაულის მომზადება და მცდელობა თბ. 1961. გვ. 152.**

ნუგზარ თევდორაძე

მითვისების კვალიფიკაციის სპეციალური საკითხები

რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში საუბარია მითვისების კვალიფიკაციის ისეთ პრობლემურ საკითხებზე, როგორიცაა მითვისების მომზადება და მცდელობა. მითვისება რთული დანაშაულია, ამიტომ მომზადების სტადიაც მრავალ ხერხს მოიცავს. რაც შეეხება მითვისების მცდელობას, სტატიაში განხილულია სასამართლო პრაქტიკაში არსებული ხარვეზები მცდელობის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით.

Nugzar Tevdoradze

Specific Qualification Issues of Misappropreation

Abstract

The article deals with such problematic issues as preparation and attempt of misappropriation. Misappropreation is a complex crime. Therefore, preparation stages can be different and numerous. As for the attempt of misappropriation, the article analyses the failures in court practice to qualify misappropriation attempt.

გივი ლობჟანიძე

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ევოლუცია და საქართველო

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი სასამართლო სისტემაში სათავეს იღებს ძველი საბერძნეთიდან და უკავშირდება სოლონის მიერ ძვ. წ. აღ. 585 წელს ჩატარებულ რეფორმებს და ჰელეიად წოდებულ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, სადაც მსაჯულები მოვალეობის აღსრულების წინ ფიცს დებდნენ სამართლიანობის განხორციელების დასადასტურებლად, აქედან გამომდინარე, ნაფიცი მსაჯული არაიურისტი მოქალაქეა, რომელიც სხდომებში არაპერმანენტულად მონაწილეობს. [1]

თავიდან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო 600 კაცისაგან შედგებოდა, რომელიც იყოფოდა ათ კოლეგიად, ანუ დიკასტრიად, სასამართლოს ირჩევდნენ სახალხო კრებებზე ყოველწლიურად. ბერძნებმა თავიდანვე განსაზღვრეს მსაჯულთა მინიმალური ასაკი - 30 წელი, გარდა სასამართლო სხდომებში მონაწილეობისა, ნაფიცი მსაჯულები ადგენდნენ დასკვნებს კანონპროექტებზე, რომელიც შედგომ წარედგინებოდა სახალხო კრებას. საბერძნეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მეორე ინსტანციად, ანუ სააპელაციო სასამართლოდაც ითვლებოდა, რადგანაც განიხილებოდა როგორც კერძო, ისე საჯარო მნიშვნელობის საქმეები. გადაწყვეტილებას ხმების უმრავლესობით იღებდნენ და განაჩენი იყო უაპელაციო.[2] ეს იყო მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმა. თუმცა ძველ ათენშიც არ ყოფილა თავისუფალი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პოლიტიკური ზეწოლისაგან.

დღემდე გაურკვეველია, თუ რატომ გაუსწორდა ასე მკაცრად ჰელეია (ნაფიც-მსაჯულთა სასამართლო) სოკრატეს, რომლის წინააღმდეგაც აღძრული ბრალდების არც ერთი პუნქტი სასამართლოს სხდომებზე არ დადასტურდა. კიდევ უფრო გაუგებარია სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი სოკრატეს სიკვდილით დასჯის შესახებ. იმ დროს ათენის სახელმწიფოში მხოლოდ და მხოლოდ ოთხი სახის დანაშაული-მკრეხელობა, სხვისი ქონების დატაცება, თავისუფალ მოქალაქეთა და მონათა გატაცება-გაყიდვა და სახელმწიფოს ღალატი ისჯებოდა სიკვდილით. რაც შეეხება სოკრატეს წინააღმდეგ აღძრული ბრალდების საფუძველზე მის დადანაშაულობას, ახალგაზრდობის გარყვნასა და ძველი ღმერთების ნაცვლად ახალი ღმერთების შემოღების ცდას, ამ პერიოდის ათენის სახელმწიფოს კანონები დამნაშავის სიკვდილით დასჯას არ ითვალისწინებდა.

პროტესტის ნიშნად პლატონს სოკრატეს სიკვდილით დასჯის შემდეგ სასწრაფოდ დაუტოვებია ათენი და გადასულა მეგარაში, სადაც ცხოვრობდა სოკრატეს მოწაფის ევკლიდეს ოჯახი. [3]

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებას საერთო სასამართლოთა სისტემაში ინგლისში უკავშირებენ მეფის ჯონ (იოანე) უმიწაწყლოს მიერ 63 მუხლიანი „თავისუფლების დიდი ქარტიის" (Magna charter) ხელმოწერას, (1215 წლის ივლისი), სადაც ცალკეულ მუხლებში მითითებული იყო ინგლისის სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, პიროვნების თავისუფლებისა და ხელშეუხებლობაზე მაგ. 33-ე მუხლის შინაარსში ნათქვამია: „არც ერთი თავისუფალი კაცი არ იქნება დაპატიმრებული, ან სამფლობელოწართმეული, ან კანონგარეშედ გამოცხადებული, ან გაძევებული, ან რაიმე გზით გაუბედურებული და ჩვენ არ წავალთ და არც სხვას გავგზავნით მის წინააღმდეგ თანასწორთა კანონიერი განაჩენით და ქვეყნის კანონით", სწორედ თანასწორთა კანონიერი განჩენის ქვეშ მოიაზრებოდა ნაფიცი მსაჯულები. უფრო ადრე, XII საუკუნეში ინგლისის მეფემ ჰენრი II –მ (1154-1189წწ.) გააძლიერა და გაზარდა მეფის სასამართლო კომპეტენცია ბარონების სასამართლო იურისდიქციის ხარჯზე. ამ მიზნით მან სამეფო კარზე შემოიღო ახალი სასამართლო დაწესებულება ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი (jury) ანუ არზთა თხოვნის პალატა, რომელიც საადგილმამულო დავების განხილვისას იწვევდა 12 მხედარს ან თავისუფალ მოქალაქეს. საქმის განხილვის ასეთი წესი უზრუნველყოფდა საქმის უფრო სამართლიან გადაწყვეტას და ამიტომ წვრილი და საშუალო ფეოდალები ამჯობინებდნენ მიემართათ სამეფო სასამართლოსათვის, ვიდრე ფეოდალთა სასამართლოსათვის. [4]

შემდგომში ინგლისიდან „ჟიური", რომელიც შეიქმნა 1215 წელს, გავრცელდა აშშ-ში, კანადაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, ბელგიაში, შვეიცარიაში, იტალიაში, გერმანიაში.[5]

თუ თავდაპირველად მსაჯულებს საქმის ცოდნის მიხედვით ირჩევდნენ, შედგომში ჩამოყალიბდა პრინციპი, რომლის შესაბამისად, მსაჯულს საქმესთან არანაირი შეხება არ უნდა ჰქონოდა, თუ კი ასეთი იარსებებდა, მსაჯული ვალდებული იყო ამაზე განცხადება გაეკეთებინა და საქმეს ჩამოშორებოდა. წყაროებზე დაყრდნობით მკველევარები აფიქსირებენ ნაფიც მსაჯულებზე ხელისუფლების მხრიდან სხვადასხვა ფორმით ზემოქმედების შემთხვევებს. მათი დაყოლიების მიზნით, გამამტყუნებელი განაჩენის გა-

[1] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი თბ. 2005წ. 225 გვ
[2] მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 1995წ. გვ 62-63
[3] გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2009წ.გვ.178
[4] მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, I, თბ. 1995წ. გვ 232
[5] ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ. 2005წ., გვ. 255

მოტანაზე მხარდაჭერისათვის ან პირიქით უარის თქმის შემთხვევაში მიმართავდნენ მათ გაროზგვას, დაჯარიმებას, ოთახში ჩაკეტვას და ა.შ.

სახალხო მსაჯულთა მიმართ მსგავსი ღონისძიებების განხორციელება გრძელდებოდა 1671 წლამდე, როდესაც ლონდონში გაიმართა საკმაოდ გახმაურებული პროცესი, რომელიც ისტორიაში ცნობილია ,,ბუშელის საქმედ", იგი მიმდინარეობდა უილიამ პენსის და მისი მეგობრის უილიამ მედის მიმართ (უილიამ პენსი ფილოსოფოსი 1644-1718 წ.წ, რომელიც ახალ იდეებს ქადაგებდა) ვერდიქტის გამოტანის დროს 12 ნაფიცმა მსაჯულმა უარი თქვა უილიამ პენსის დამნაშავედ ცნობის შესახებ, რომლებიც ოთახში ჩაკეტეს საკვების, წყლის, და საპირფარეშოს გარეშე, მათი მხრიდან ,,ურჩობას" დამატებით მოყვა დაჯარიმებაც. მთავარმა მსაჯულმა ბუშელმა საქმე გაასაჩივრა უმაღლეს ინსტანციაში, სადაც მოსამართლე სერ ჯონ ვოგანმა დაადგინა, რომ მსაჯული არ უნდა შეავიწროვონ და დააკავონ ვერდიქტის გამოტანის გამო. ამის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მიმართ დამოკიდებულება საკმაოდ გაუმჯობესდა.

შედგომ პერიოდში ინგლისური სასამართლო სისტემის მოდელები და მათ შორის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტიც გავრცელდა ინგლისის ყოფილ კოლონიებში, როგორიცაა: ისლანდია, ავსტრალია, კანადა, ახალი ზელანდია და აშშ.

სასამართლო პრაქტიკაში მის უნივერსალურ კომპეტენციად იქცევა მძიმე სისხლის სამართლებრივი დანაშაულების განხილვა. შემდგომში დემოკრატიული ძალების ზეწოლით ცალკეული ქვეყნების მთავრობები უკიდურესი უხალისობით, ნაფიც მსაჯულთა კომპეტენციას ავრცელებენ ,,ბეჭდვითი სიტყვის დანაშაულებრივ საქმეებზე" და ზოგიერთ სხვა პოლიტიკურ დანაშაულის მიმართ.

ნაფიც მსაჯულთა შემადგენლობაში არჩევა ყველგან მოითხოვდა, როგორც წესი, ქონებრივ ცენზს. ყოველი მოცემული კოლეგიის დაკომპლექტება წარმოებდა სასამართლოს დანიშვნის დღეს (კენჭისყრით ან სხვა ხერხით), რათა არ მომხდარიყო რაიმე სახის გარიგება.

,,მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთი სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განწმენდილი და კუთვნილ სიმაღლეზედ დაყენებული." ასეთად მიაჩნდა ი. ჭავჭავაძეს მსაჯული.[1]

ინგლისის ნაფიც მსაჯულებს უნდა ეპასუხათ კითხვაზე: მოცემული პირი დამნაშავეა ინკრიმინირებულ ქმედებაში, თუ არ არის დამნაშავე? ნაფიც მსაჯულთა დამოუკიდებლობა სავსებით შედარებითი იყო და ძალიან ხშირად ისინი მხარს უჭერდნენ მოსამართლის მიერ მსაჯულთა სათათბირო ოთახში წასვლის წინ გზის დასალოცად წარმოთქმულ სიტყვაში გამოთქმულ რჩევას. ეს მით უფრო, როცა ბრალდებულის სკამზე აღმოჩნდებოდა ღარიბი ადამიანი, რომელსაც ნაფიცი მსაჯულები ექცეოდნენ როგორც შეურიგებელ მტერს. პროფ. ზ. ჩერნილოვსკის აზრით მაღალი ქონებრივი ცენზის წყალობით ინგლისის ნაფიცი მსაჯული შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ის, ვინც ეკუთვნოდა ,,საშუალო კლასს, საშუალო ასაკს და საშუალო ინტელექტს. [2]

საინტერესოა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირება საფრანგეთში, რაც დაკავშირებულია 1808 წელს მიღებულ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებასთან, რომელმაც დაუფუძნა უდანაშაულობის პრეზუმფცია, ნაფიც მსაჯულთა არსებობა, პროცესის ზეპირობა და საჯაროობა, მტკიცებულებათა თავისუფალი შეფასება მოსამართლის შინაგანი რწმენის საფუძველზე და ა.შ. [3]

თუმცა 1808 წლის საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ნაფიც მსაჯულებს სხვა როლს აკისრებდა. ეყრდნობოდა რა წინასწარი და სასამართლო მოკვლევის მასალებს, მოსამართლე ნაფიც მსაჯულებს უსვამდა რიგ კითხვებს, რომლებიც ეხებოდა მტკიცების (ფაქტის) საგანს: ისინი თუ თვლიდნენ, რომ მოცემულმა პირმა ჩაიდინა ესა და ის; რომ იგი ურთიერთობაში იყო იმასთან, რომ მან იცოდა ამა და ამის შესახებ და ა.შ. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემით ნაფიცმა მსაჯულებმა შეიძლება არ იცოდნენ, თუ რით ემუქრებოდნენ ბრალდებულს, რადგანაც მათი პასუხი აუცილებლად წერილობითი იყო.

მკვლევართა აზრით საკითხი შეწყნარების შესახებ (დამნაშავეა, მაგრამ შეწყნარების ღირსი) უცნობია ინგლისისა და აშშ სასამართლოების ნაფიც მსაჯულთათვის, ხოლო საფრანგეთში თავმჯდომარეზე იყო დამოკიდებული (როგორც წესი, იმ შემთხვევებში ისმებოდა შეკითხვა, როცა მოსალოდნელი იყო გამამართლებელი ვერდიქტის საფრთხე); თავის გადაწყვეტილებებს ნაფიცი მსაჯულნი აქ ხმების უმრავლესობით ღებულობდნენ.

შემდგომ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფრანგული დოქტრინა უფრო პოპულარული გახდა ევროპაში, მაგრამ თანდათანობით რიგი ქვეყნების კანონმდებლობამ, ინგლისის მსგავსად იწყო ნაფიც მსაჯულთა დაშვება მხოლოდ ბრალის განსაზღვრისას, ასე მაგ. მსგავსს ითვალისწინებდა რუსეთში 1864 წელს ჩატარებული რეფორმები და სასამართლო წარმოების წესდებები, ასეთივე მიდგომები დამკვიდრდა ნორვეგიასა და შვეიცარიის სასამართლო უწყებებში.

---

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.VIII გვ. 337-338

[2] ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია ტ II. თბ. 2005წ. გვ. 222

[3] მ. ცაცანაშვილი დას. ნაშ. გვ. 196

ავსტრიის, ხოლო შემდეგ გერმანიის პროცესუალურმა სამართალმა აუცილებლად ჩათვალა ნაფიცი მსაჯულებისაგან ვერდიქტის გამოსატანად ყოფილიყო ხმების კვალიფიციური უმრავლესობა (სულ ცოტა 8 ხმა 12 –დან).

ქმნიდნენ რა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ევროპის სახელმწიფოების მთავრობებმა იზრუნეს, რათა იგი ,,ხელმძღვანელობის'' გარეშე არ დარჩენილიყო. ეს ფუნქცია მოსამართლეს დაეკისრა. 1881 წლამდე საფრანგეთის პროცესუალური კანონი თავმჯდომარისაგან მოითხოვდა, რომ მას სასამართლო გამოძიების დამთავრებისთანავე რეზიუმე გაეკეთებინა საქმესთან დაკავშირებით. ნაფიც მსაჯულთათვის იმ დროინდელი დემოკრატიული კრიტიკა ამაში სავსებით საფუძვლიანად სხვას არას ხედავდა, თუ არა ნაფიც მსაჯულთა უფლებებისა და მოვალეობების შეზღუდვის ხარჯზე შედეგების გარანტიები ანუ მავანთა სურვილების დაკმაყოფილება.

საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფორმირება ნაპოლეონის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული, თუმცა მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მანვე მალე გამოუცხადა ბრძოლა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს და ,,გააუქმა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო''[1] რომელიც არ მტკიცდება და პირიქით სწორედ მისმა მხარდაჭერამ შეუნარჩუნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საფრანგეთს.

იყო პერიოდები, როდესაც ამცირებდნენ, ზღუდავდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, ჰიტლერული გერმანია, ფაშისტური იტალია და სხვა მილიტარისტულ სახელმწიფოთა მთავრობების ძირითადი ღონისძიება მიმართული იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ლიკვიდაციისაკენ, ,,წარსული დროების ბურჟუაზიული იუსტიციის ამ სიამაყის მოსპობისაკენ. [2]

ნაფიც მსაჯულთა მიმართ ზეწოლა მალევე განახორციელა ფაშისტურმა გერმანიამ. ჰიტლერული მთავრობის ამოქმედების პირველი დღეებიდან ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადაეცა პროფესიულ სასამართლოებს. 1939 წლიდან გააუქმეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ყველა სასამართლოში.

ანალოგიური მდგომარეობა იყო იტალიაშიც, თუმცა, შემდგომში ორ პროფესიონალ მოსამართლეს საქმეთა განხილვაში ეხმარებოდნენ პირნი, რომლებსაც აკომპლექტებდნენ საარჩევნო სიებიდან ლატარიის პრინციპით, არაპროფესიონალი მოსამართლის ასაკი 65 წლამდე განისაზღვრებოდა. სააპელაციო სასამართლო ინსტანციისათვის საჭირო იყო საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი. ტრადიციები შემდგომშიც გაგრძელდა. იტალიაში ისეთი არაპროფესიონალი მომსამართლეები, რომლებიც იღებენ ჯამაგირს, იკრიბებოდნენ სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად, რომლის წერილობითი ვერსია უნდა გამოქვეყნებულიყო ბეჭდვით ორგანოში.

საფრანგეთის 1932 წლის კანონი მიზნად ისახავდა პროფესიონალი მოსამართლეების მსაჯულებთან დაახლოების ტენდენციას, ხოლო 1941 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო აქ საერთოდ უქმდება, მანამდე საქმის განმხილველ ერთიან კოლეგიაში მონაწილეობას ღებულობდნენ სამი პროფესიონალი და ექვსი არაპროფესიონალი მოსამართლე. ამის მსგავსი წესი შემოღებული იქნა 1934 წელს ავსტრიაშიც.

ნაფიც მსაჯულთა წინააღმდეგ ლაშქრობა მიზნად ისახავდა რეპრესიების გაძლიერებას და პროფესიული სასამართლოს გათავისუფლებას ,,ქუჩის'' ვერდიქტისაგან. ზ. ჩერნილოვსკი იშველიებს სტატისტიკას, რომლის მიხედვითაც საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გაუქმების შედეგ გამამართლებელი განაჩენის რიცხვი შემცირდა 9 % -მდე 1929 წლის 38 %-თან შედარებით და 1930 წლის 25 %-თან შედარებით.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები აღდგა, მაგრამ მიღებული იქნა ზომები მათი რეორგანიზაციისათვის. ავსტრიის 1950 წლის 22 ნოემბრის კანონით ნებადართული იყო ნაფიცი მსაჯულების, პროფესიული მოსამართლეების, ბრალდებისა და დაცვის წარმომადგენელთა ერთობლივი სხდომის ჩატარება მსაჯულთა ვერდიქტის გადასინჯვის მიზნით (შესაბამის შემთხვევებში). სასამართლო კოლეგიამ მიიღო უფლება, ნაფიცი მსაჯულებისაგან მოეთხოვა თავიანთი ვერდიქტის შესწორება. უარის თქმის შემთხვევაში მოსამართლეები დანიშნავდნენ საქმის ხელახლა განხილვას ნაფიც მსაჯულთა ახალი შემადგნლობით.

ინგლისის საპროცესო წესები მოითხოვდა, რომ ნაფიც მსაჯულებს გადაწყვეტილება ერთხმად მიეღოთ. თუ თანხმობა მიუღწეველი აღმოჩნდებოდა, საქმე განსახილველად გადაეცემოდა ნაფიც მსაჯულთა სხვა კოლეგიას. იგივე მდგომარეობა იყო ამერიკის შეერთებულ შტატებშიც, სადაც მართალია, თავიდან ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა ხელი შეუწყო ამერიკის მოქალაქეთა შორის სასამართლო ხელისუფლებისადმი ნდობის განმტკიცებას, მაგრამ ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფი ქვეყნისათვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფუნქციონირება არ იყო ადვილი, დიდი ბრიტანეთი მრავალ შემთხვევაში უცერემონიოდ იყენებდა დაუშვებელ მეთოდებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო სხვა დემოკრატიული ინსტიტუტების პარალელურად განვითარებას იწყებს XX საუკუნის დასაწყისიდან, თუმცა იგი სახესხვაობას მაინც განიცდიდა. ასე მაგ.

[1] Г. Тарле, Наполеон,М 1940г.с.95

[2] ზ. ჩერნილოვსკი დას. ნაშ. გვ. 412

დიდ ბრიტანეთში 1972 წლამდე მოქმედებდა ასიზების (Covit Assizes) სასამართლო, რომელიც გაუქმდა და შეცვალა გვირგვინის (Covit Assizes) სასამართლომ. იგი იხილავდა მხოლოდ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებს.

საფრანგეთის 1958-1960 წლების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი პრინციპში ინარჩუნებს მოსამართლეთა და ნაფიც მსაჯულთა ერთიან კოლეგიას, მაგრამ მეხუთე რესპუბლიკის მთავრობამ შემოიღო 1963 წლის კანონი ,,სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს" დაწესების შესახებ. ეს სასამართლო საგანგებო ორგანოს წარმოადგენდა თავის უფლებამოსილებით და იყო მუდმივმოქმედი საქმიანობის ხასიათის მიხედვით. ნაუცბათევად მიღებული 1963 წლის კანონი ,,სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს" უფლებას აძლევს განიხილოს სამხედრო დისციპლინის დარღვევათა ყველა საქმე, სამხედრო მასალებისა და იარაღის გადაზიდვისა და შენახვის, მკველობისა და დარბევის საქმეები. ამავე დროს, მას გადაეცა ისეთი სასამართლო საქმეებიც, რომლებიც საგანგებოთა რიცხვს არაფრით არ მიეკუთვნებოდა. ასეთი საქმეები იყო ,,უკანონო თავშეყრაში მონაწილეობის", ,,საგზაო მოძრაობის შეფერხებათა შექმნის" და სხვა საქმეები. ,,სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს" თავმჯდომარე და წევრები ინიშნებოდა მთავრობის მიერ, ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა ამ სასამართლოში გამორიცხული იყო, ადვოკატურა შეზღუდული იყო თავის უფლებებში.

თანამედროვე საფრანგეთში ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ასიზების სასამართლოს სახელითაა ცნობილი, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეს სამ პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად იხილავენ იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილი მძიმე დანაშაული, რისთვისაც სასჯელის სახით შესაძლოა, განისაზღვროს პატიმრობა 10 წელიწადზე მეტი ხნის ვადით. საქმეებს განიხილავს 9 მსაჯული და 3 მოქმედი მოსამართლე, რომელთაგან ერთ-ერთი სხდომის თავმჯდომარეა. მსაჯულები ჯერ იკვლევენ ბრალეულობის საკითხს, ხოლო ბრალის დამტკიცების შემდეგ იწყებენ მსაჯულებას სასჯელის შეფარდების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ მსაჯულთა სასამართლო გამოიყენება მხოლოდ მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების განხილვაში. 2001 წლამდე მსაჯულთა მიერ გამოტანილი ვერდიქტის გასაჩივრება შეუძლებელი იყო სააპელაციო სასამართლოში. მისი გასაჩივრება შეიძლებოდა მხოლოდ საფრანგეთის უზენაეს სასამართლოში. ვერდიქტის გაუქმების შემთხვევაში, კანონმდებლობა ითვალისწინებს ხელახალი განხილვისათვის საქმის გადაგზავნას ასიზების სხვა სასამართლოსთვის, თუმცა მსგავსი შემთხვევები პრაქტიკაში იშვიათობას წარმოადგენს.

დასავლეთ გერმანიაში შეინიშნება ნაფიც მსაჯულთა კოლეგიის, მოსამართლე-თავმჯდომარის უპირატესობა და მთლიანად სასამართლო კოლეგიის როლის სულ უფრო მეტი ზრდა.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდა ინგლისურ სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ერთხმიანი გადაწყვეტის წესის გაუქმება, რომელიც არღვევდა მრავალსაუკუნოვან ტრადიციას. 1967 წლის კანონმა მართებულად სცნო ნაფიც მსაჯულთა ხმების უმრავლესობით მიღებული ვერდიქტი. 1971 წლამდე ეს წესი ვრცელდებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეებზე, ხოლო 1971 წლიდან იგი თანაბრად ვრცელდებოდა სამოქალაქო საქმეებზედაც.

სამოქალაქო მოსამართლეებისაგან შემდგარი ინგლისური Magistrates Counts. ეს სასამართლოები მომრიგებელი სასამართლოს ტიპისაა, მათი რიცხვი 630-ია და აერთიანებს ანაზღაურების გარეშე მომუშავე დაახლოებით 24 000 სამოქალაქო მოსამართლეს. მათ გვირგვინოსნის სახელით ნიშნავს Lord Chancellor. უმწიკვლო მოღვაწეობის და ჯანმრთელობის ხელშეწყობის შემთხვევაში თანამდებობაზე რჩებიან 70 წლამდე, რის შემდეგაც შეტანილ იქნებიან დამატებით სიაში. მათი კომპეტენცია საკმაოდ მნიშვნელოვანია, ვინაიდან შეუძლიათ მიუსაჯონ ექვს თვემდე პატიმრობა ან 2 000 გირვანქა სტერლინგით ჯარიმა. მაგრამ, ეს სისტემა ფუნქციონირებს მხოლოდ მდივნის (კლერკ) მეშვეობით, რომელიც მრჩევლისა და მმართველის ორმაგ როლს ასრულებს, ძირითადად ის არის ადვოკატი (Barrister) ან იურიდიული მრჩეველი (Solicitor). მთელი სირთულე მდგომარეობს მდივნის როლის განსაზღვრაში. მან არ უნდა შეცვალოს მოსამართლე. მართლმსაჯულების თანახმად მდივანი არ უნდა შეხვდეს მოსამართლეს თათბირის დროს, თუ ეს არ ხდება მოთათბირეთა თხოვნით და სამართლებრივი მოსაზრებით.[1]

უფრო მეტიც, არის ქვეყნები, სადაც არაპროფესიონალ მოსამართლეებს გადაწყვეტილება გამოაქვთ პროფესიონალი მოსამართლეების გარეშე, ასეთი ფაქტები, მართალია, იშვიათია, მაგრამ არსებობს, ისინი განიხილავენ მხოლოდ არასრულწლოვნებთან დაკავშირებულ საქმეებს და მოქმედებენ მხოლოდ პირველ ინსტანციაზე. ასე მაგ. ესპანეთში მოქმედებს მომრიგებელი მოსამართლის სასამართლო, რომელიც არაპროფესიონალია და მას ირჩევს მუნიციპალური საბჭო, ანალოგიურ მდგომარეობას ვხვდებით მაროკოში, სადაც შეიძლება იყოს ან პროფესიონალი მოსამართლე ან უბრალო მოქალაქე, რომელიც არჩევის შემთხვევაში ადმინისტრაციული ხმის უფლებით სარგებლობს.

ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტმა ევოლუციის პროცესში რამდენიმე ეტაპი განვლო: ა) მოქალაქეები, რომელთაც გადაწყვეტილება გამოაქვთ მხოლოდ ბრალეულობის შესახებ ანუ ჟიურის განმტკიცების სისტემა. ბ) მოქალაქეები, რომელთაც გადაწყვეტილებები გამოაქვთ მხოლოდ ბრალდების შესახებ, შემ-

[1] R. snenser, Jɔckson> S Mɔchinery of Justice Cɔmbnilge University Press, 1989s. 183

დეგ პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად გადაწყვეტილებას იღებენ სასჯელის თაობაზე ანუ ჟიურის დეფორმირების სისტემა. გ) სამოქალაქო პირნი, რომლებიც პროფესიონალ მოსამართლეებთან ერთად იღებენ გადაწყვეტილებას ბრალეულობის და სასჯელის თაობაზე, ანუ ჟიურიზე უარის თქმის ე. წ. ეშევენაჟის სისტემა.

ეშევენაჟი ანუ ასესორატი გულისხმობს, სამოქალაქო პირებსა და პროფესიონალი მოსამართლეების თანაბარ უფლებებს. ეს სისტემა არ მოქმედებს საერთო სამართლის ქვეყნებში, თუმცა იგი დიდად განვითარებულია, როგორც კონტინენტურ ევროპაში ასევე დანარჩენ მსოფლიოში. მაგ. ეშვენებს საფრანგეთში მსაჯულები ეწოდებათ, ეშევენები შეიძლება იყვნენ ჩვეულებრივი და კვალიფიციური მოქალაქეები.

ეშევენთა დაკომპლექტება სხვადასხვა მოდელის მიხედვით ხდება. გერმანიაში გამოყენებულია სამსაფეხურიანი სისტემა. იქმნება სია კომუნის მასშტაბით, რომლის საფუძველზე კომიტეტი (შედგება ერთი მოსამართლის, მთავრობის ერთი წარმომადგენლის და ნდობით აღჭურვილი 10 პირისაგან) ადგენს მეორე სიას ოთხი წლის ვადით დანიშნული პოტენციური კანდიდატებისა; მეორე სიაზე დაყრდნობით კანტონის ტრიბუნალის მოსამართლე აწყობს კენჭისყრას ეშევენთა დასანიშნად. შვეიცარიაში ეშევენებს პირდაპირ ირჩევენ კომუნები პოლიტიკური პარტიისადმი კუთვნილების მიხედვით და ექვსი წლის ვადით. მოცემული პარტიის წევრ მსაჯულთა რიცხვი პროპორციულია უკანასკნელ არჩევნებში პარტიის მიერ მიღებული ხმების რიცხვისა. [1]

სასამართლო რეფორმამ საქართველოში ბევრი სიახლე შეიტანა მართლმსაჯულების განხორციელებასა და ზოგადად სასამართლო სისტემაში. ერთ-ერთ სერიოზულ ნაბიჯად და ახალი ინსტიტუტის ჩამოყალიბებად ითვლება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ფორმირება, რომლიც მიიჩნევა სასამართლოს ახალი ორგანიზაციის ფორმად, როდესაც `ერთი საქმის განხილვაში მონაწილეობს სასამართლოს ორი განცალკევებული შემადგენლობა, ერთის მხრივ ეს არის ნაფიც მსაჯულთა ჟიური, რომელთა შერჩევა ხდება ხალხიდან და მათ კომპეტენციაში შედის პირის დამნაშავეობის საკითხის გადაწყვეტა და მეორეს მხრივ, პროფესიონალი მოსამართლე, რომელიც მართლმსაჯულების გადაწყვეტილების „ვერდიქტის'' საფუძველზე, კონკრეტულ შემთხვევას, კონკრეტულ სამართლის ნორმას შეუფარდებს.''[2] ასე რომ, პროცესში მონაწილეობს ხალხისაგან არჩეული მსაჯულები, რომლებიც წყვეტენ პირის დამნაშავეობის საკითხს, პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად.

საქართველოში ამ ინსტიტუტის შემოტანამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია როგორც იურისტებს, ასევე მოსახლეობას შორის. რაზედაც ქვემოთაც გვექნება მსჯელობა. პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება საინტერესო სტატიები და ნაშრომები სხვადასხვა ავტორთა მიერ, მაგრამ ჩვენ გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტზე, რომ იგი საქართველოსათვის დიდ სიახლეს არ წარმოადგენს. მხედველობაში გვაქვს ორი მომენტი: პირველი ეს არის საქართველოს მთის რეგიონებში ოდითგანვე დამკვიდრებული წესი, როდესაც ხალხის მიერ არჩეული „ ფიცის კაცები" ბევრ ისეთ საკითხს იხილავდნენ და წყვეტდნენ, რაც რეალურად სხვა ადგილებში სასამართლოების კომპეტენციას შეადგენდა. მეორე მომენტი ის არის, რომ დემოკრატიული საქართველოს საკანონმდებლო ორგანომ, ჯერ კიდევ 1919 წლის 17 იანვარს მიიღო კანონი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ და იმავდროულად დაამტკიცა დებულება, რომლითაც უნდა ეხელმძღვანელა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს.

აღნიშნული სასამართლოს შემოღება გადაწყდა 1917 წლის 21 სექტემბერს სასამართლო დაწესებულების სისტემის დებულებაში. კანონის ძალით ამ სასამართლოს უფლება-მოვალეობანი მიენიჭა სასამართლო პალატას, ხოლო იუსტიციის მინისტრს დაევალა ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღება არა უგვიანეს 1919 წლის 1 ივნისისა.

დებულებიდან გამომდინარე, ნაფიცი მსაჯული უნდა ამორჩეულიყო ორივე სქესის იმ პირთაგან: ა) ვინც საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეა (ქვეშევრდომი); ბ) იცის ქართული ენა და წერა-კითხვა რომელიმე ენაზე; გ) ვინც წლოვანებით 25 წელზე ნაკლები არ არის; დ) ვისაც ერთ წელიწადზე არა ნაკლები უცხოვრია იმ მაზრასა და ქალაქში, სადაც ნაფიც-მსაჯულთა არჩევანი სწარმოებს.

ნაფიც მსაჯულად ყოფნა არ შეეძლო მათ, ვინც: ა) დანაშაულის გამო გამოძიებასა და სასამართლოში იყო მიცემული ან ვისაც კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის სასამართლოს დადგენილებით საპატიმრო ანუ უფრო სასტიკი სასჯელი ჰქონდა გადაწყვეტილი და ვინც სამართალში იყო მიცემული ასეთი სასჯელის ღირსი დანაშაულისათვის და სასამართლოს დადგენილებით უდანაშაულოდ არ იყო ცნობილი; ბ) ვინც სასამართლოს გადაწყვეტილებით სამსახურიდან იყო დათხოვნილი; გ) პირი, ვინც ვერ შემძლე მოვალედ იყო გამოცხადებული; დ) ვისაც მფარველობის გამო მზრუნველი ყავდა დანიშნული; ე) ბრმა, ყრუ, მუნჯი და შეშლილი. ნაფიც მსაჯულთა სიაში ვერ მოხვედებოდა მღვდელ-მსახური და ბერ-მონაზონი, სასამართლო დაწესებულების წევრი და მოხელე, პროკურორი ან პროკურატურის მუშაკი, სახელმწიფო ბანკის ხაზინადარი და მოლარე, აგრეთვე ფოსტის და ტელეგრაფის სადგურის უფროსი. ის პირები, ვინც სამხედრო და საზღვაო უწყებაში ხელოსნის ან ზღვის კანდელის ზედამხედველობის თანამ-

[1] სისხლის სამართლის საერთაშორისო ჟურნალი, თბ. 1989წ.გვ1031

[2] ჟურნალი `ცხოვრება და კანონი", #1 (13), 2011. გვ. 61.

დებობაზე მუშაობდა. ომიანობის შემთხვევაში კი ყოველი მოხელე, რომლის განთავისუფლება ნაფიც-მსაჯულებისაგან საჭიროდ მიიჩნეოდა უწყების უფროსის მიერ. საკანონმდებლო დაწესებულებათა მოხელენი: საკარანტინო დაწესებულებათა მუშაკები, გუბერნიის (ოლქის), მაზრის, უბნის და სოფლის კომისრები და მათი თანაშემწეები, მილიციის მუშაკები.

ნაფიც მსაჯულთა მორიგ სიებში ყოველწლიურად უნდა შეტანილიყო ქალაქ თბილისსა და მისი მაზრისათვის 1200 პირი, ქუთაისისა და მისი მაზრისათვის 1000 პირი, სოხუმისა და მისი მაზრისათვის 800 ადამიანი. რაც შეეხება იმ მაზრებს, სადაც ოლქის სასამართლოს სხდომები ნაფიც-მსაჯულთა მონაწილეობით წელიწადში სამ სესიაზე მეტი არ იმართებოდა, თითო სეზონისათვის გათვალისწინებული იყო 60 პირი. იმ მაზრებში, სადაც სამ სესიაზე მეტი ჩატარდებოდა, პირველი სამი სესიისათვის 60 პირი, ხოლო მეტისათვის _ თითოეულზე 40 პირი. დებულება ითვალისწინებდა ნაფიც მსაჯულთა სამივლინებო თანხების გამოყოფას, მათ კომპეტენციებს და სასამართლოების თავმჯდომარის უფლებამოსილებებს, რაც დაკონკრეტებული იყო სასამართლოს სხდომის, სისხლის სამართლის წარმოების წესდების 645-1-ე 645-4 მუხლებში. [1]

რაც შეეხება დღევანდელ ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, საფუძველი ჩაეყარა 2004 წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით, რომელიც შეეხო 82-ე მუხლს, სადაც ჩაიწერა: `საერთო სასამართლოში საქმეები ნაფიცი მსაჯულების მიერ განიხილება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.'' [2]

ამის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტმა 2009 წლის ოქტომბერში მიიღო სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი, რაც ფაქტობრივად აფიქსირებდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღებას, რომელმაც ფუნქციონირება 2010 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო. კანონით განისაზღვრა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო იმოქმედებს მხოლოდ თბილისის საოლქო სასამართლოში და განიხილავს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში) გათვალისწინებული დანაშაულის საქმეების ერთობლიობას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც ედება, სისხლის სამართლის საქმეს კოდექსით დადგენილი წესით განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.[3]

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოში განიხილავს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე (განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) და 137-ე (გაუპატიურება) მუხლებით გათვალისწინებულ სისხლის სამართლის საქმეებს. დანაშაულთა ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე ან 137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში ედება, სისხლის სამართლის საქმეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

2012 წლის 1 ოქტომბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საქმეებს ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით, პირველი ინსტანციის წესით განიხილავენ თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოები. დანაშაულის ერთობლიობისას, თუ პირს ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაშიც, საქმეს, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, განიხილავს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

მაშინ, როდესაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლით, პირის მიმართ წარდგენილი ბრალდება სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას, საქმე უნდა განიხილოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან საქმის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გარეშე განხილვის თაობაზე. ასე რომ ამ მონაცემებით ბევრი რამაა დასახვეწი, რაც კიდევ უფრო დაცულს გახდის მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

მოქმედი კანონმდებლობა განსაზღვრავს იმ აუცილებელ მონაცემებს, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ნაფიცი მსაჯულის კანდიდატურა. კერძოდ, იგი უნდა იყოს 18 წელს გადაცილებული საქართველოს მოქალაქე სქესის მიუხედავად, რომელიც შეყვანილია სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ბაზაში, იცის სამართალწარმოების ენა, ცხოვრობს საქმის განმხილველი სასამართლოს განსჯად ტერიტორიაზე და არა აქვს ისეთი ფიზიკური და ფსიქიკური ნაკლი, რომელიც ხელს შეუშლის მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებას. კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ პირთა წრეც, ვინც ვერ გახდება ნაფიც მსაჯულად. მათ რიცხვს განეკუთვნება სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები, იურისტები, სამარ-

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990 წ. გვ. 209-215.

[2] გ. ლობჟანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2011 წ., გვ. 224

[3] www.msajuli.ge

თალდამცავი ორგანოების და შეიარაღებული ძალების თანამშრომლები, სასულიერო პირები, ფსიქოლოგები, ფსიქიატრები, ნარკოტიკული საშუალების მცირე ოდენობით მოხმარებისათვის ადმინისტრაციულსახდელდადებული პირები და ის პირები, რომელთა მოსაზრების და პირადი მონაცემების გათვალისწინებით და პროცესში მათი მონაწილეობა სასამართლოს ვერაფერს შემატებს. კანონმდებლობა უფლებას აძლევს პირს, უარი განაცხადოს ნაფიცი მსაჯულის მოვალეობაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელი წლის განმავლობაში უკვე იყო ნაფიცი მსაჯული, თუ ასრულებს ისეთ სამუშაოს, რომელშიც მისი შეცვლა გამოიწვევს მნიშვნელოვან ზიანს, თუ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ამ მოვალეობას, თუ ხანგრძლივად მიემგზავრება საზღვარგარეთ და თუ 70 წელს არის გადაცილებული.

ამ ეტაპზე თბილისისა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოების განსჯადობის წესს განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, ნაფიცი მსაჯულები კი შეირჩევიან შესაბამისი დაზუსტებული სიიდან. ასე, რომ, თუ პარალელს გავავლებთ და დავაკვირდებით დემოკრატიული საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ დებულებას და დღეს მოქმედ საკანონმდებლო ნორმებს და ნაფიც მსაჯულთა წინაშე წაყენებულ მოთხოვნებს, ბევრ საერთოს აღმოვაჩენთ, რადგანაც პრინციპები საერთაშორისო მასშტაბით ამ ინსტიტუტის მიმართ უკვე არსებობს და მათი გათვალისწინება ყოველთვის სავალდებულოა იმ ქვეყნებისთვისაც, რომლებიც აპირებენ მომავალში შექმნან ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

დღეის მდგომარეობით საქართველოში უკვე გაიმართა ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით რამდენიმე სასამართლო სხდომა, გამამტყუნებელი ვერდიქტების გამოტანით, ე.ი. ინსტიტუტმა პრაქტიკული მოღვაწეობა დაიწყო.

იურისტთა ნაწილის აზრით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გავს ისეთ სიტუაციას, როდესაც ექიმები კონსილიუმზე მიიწვევენ არაექიმებს და მათი მეშვეობით დასვამენ დიაგნოზს. ზოგიერთი კი თვლის, რომ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღება არა წინსვლა, არამედ უკან გადადგმული ნაბიჯია. ნაწილს მიაჩნია, რომ მისი შემოღება ნაჩქარევი გადაწყვეტილება იყო და ა.შ. ჩვენი აზრით, დრო ყველაზე კარგი შემფასებელია, ამიტომ მოთმინება გვმართებს და თუ კი ის არ გაამართლებს, მომავალში მისი გაუქმებაც არ იქნება შეუძლებელი, როგორც ეს მოხდა რიგ სახელმწიფოებში.

ცივილიზებული მსოფლიო უარს არ ამბობს არაპროფესიონალ მოსამართლეთა გამოყენებაზე სასამართლო პროცესში, თუმცა რამდენიმე ქვეყანა კატეგორიულად ეწინააღმდეგება ნებისმიერი ფორმით არაპროფესიონალთა მონაწილობას. ეს ქვეყნებია ნიდერლანდები და თურქეთი, მათი არგუმენტებით დაჩქარებული ან გამარტივებული პროცედურების განვითარება ნაკლებად უწევს ანგარიშს სამოქალაქო პირთა მონაწილეობას, ასევე ანგარიშგასაწევია მათი შენელებული შესაძლებლობა განსაჯონ კომპლექსური, მაგ. ეკონომიკური საქმეები, ამას ემატება თვალსაზრისის იდენფერენციულობა: მოსამართლეთა თათბირში სამოქალაქო პირთა ჩართულობის აზრობრივი მნიშვნელობა. ჟ. პრადელი თვლის, რომ საპირისპირო არგუმენტების საფუძველზე დღეს ნაკლებად ვითარდება არაპროფესიონალთა მონაწილეობა, თუმცა შენარჩუნებულია მისი სხვადასხვა ფორმები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჟ. პრადელი, შედარებითი სისხლის სამართალი, თბ. 2005წ.
2. მ. ცაცანაშვილი, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია, თბ. 1995წ.
3. გ. ლობჟანიძე, სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, თბ. 2009წ.
4. ი. ჭავჭავაძე, თხზ. ტ.VIII გვ. 337-338
5. ზ. ჩერნილოვსკი, სახელმწიფოსა და სამართლის მსოფლიო ისტორია ტ II. თბ. 2005წ.
6. Г. Тарле, Наполеон,М 1940г.
7. ჟურნალი „ცხოვრება და კანონი“, #1 (13) 2011წ.
8. www.msajuli.ge
9. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული, თბ., 1990 წ.
10. გ. ლობჟანიძე, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კონსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლები, თბ. 2011 წ.
11. R. snenser, Jackson> S Machinery of Justice Cambnilge University Press, 1989s.

გივი ლობჟანიძე

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ევოლუცია და საქართველო

რეზიუმე

წინამდებარე სტატია ეხება ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ევოლუციას. ავტორი გადმოგვცემს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიულ ექსკურსს. ნაშრომში მოცემულია არაერთი მაგალითი იმ იურიდიული და სოციალური მექანიზმებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა წარსულში, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ფორმირება საწყის ეტაპზე იყო და ასევე, ამ თვალსაზრისით, ავტორი გვიჩვენებს იმ სახეცვლილებას, რომელიც დღესდღეობით წარმოდგენილია სხვადასხვა ქვეყნების თანამედროვე სამართალში.

ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ნაფიც მსაჯულთა იმ ნორმებსა და ფუნქციებზე, რომლებიც დღეს ძალაშია ქართული კანონმდებლობის თანახმად, მაგალითად, თუ რომელი პროფესიის წარმომადგენლებს არ აქვთ უფლება იყვნენ ნაფიცი მსაჯულები და სხვ.

საქართველოში უკვე ჰქონდა ადგილი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით რამდენიმე საქმის განხილვას და, შეიძლება ითქვას, რომ მისი ეფექტურობის საზომი დრო იქნება.

Givi Lobzhanidze

EVOLUTION OF THE JURY INSITUTION AND GEORGIA

Abstract

The article deals with the historical background of the evaluation of the Jury Institution. The Author gives very many examples of those juridical and social mechanisms that took place in the past and how they were modernized according to the political and social situations of different countries.

The author pays special attention to the norms and rules the Jury must obey in Georgia. What specific functions do they carry and representatives of what professions are not allowed to the court to participate as a Jury.

We have already come across to the several Jury trials in Georgia as well and it has a huge perspective in future.

ლიკა საჯაია

ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლება ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლებას საავტორო უფლებებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ნაწარმოების ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორის პირად არაქონებრივ (მორალურ) უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება. ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლებას საავტორო უფლებებს შორის ავტორის ინდივიდუალობის დაცვისაკენ მიმართულ ყველაზე მნიშვნელოვან უფლებასაც უწოდებენ.[1] იგი იცავს ხელყოფისაგან ნაწარმოებს, რომელიც ავტორის პიროვნულობის გამოხატულებას წარმოადგენს.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორის უფლებების დაცვასთან ერთად მიმართულია საზოგადოების ინტერესის დაცვისაკენ, რათა საზოგადოებამ შეძლოს იხილოს ნაწარმოები იმ სახით რა სახითაც იგი ავტორმა შექმნა. ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლებას სხვა მორალურ უფლებებთან ერთად იურიდიული მექანიზმსაც უწოდებენ, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას სხვადასხვა მიზნისათვის, მაგალითად, კულტურული ინტერესებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის.[2]

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას დასაცავ საავტორო უფლებათა ჩამონათვლის მინიმუმს აკუთვნებს და მონაწილე ქვეყნებისაგან მოითხოვს აღნიშნული უფლების დაცვას. საქართველოს კანონიც საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ იცავს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, რეპუტაციის პატივისცემის უფლებასთან ერთად.

რა იგულისხმება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ? ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას?

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არათუ ნაწარმოებში შეტანილი ცვლილება, არამედ ნაწარმოების არასათანადო გამოყენებაც კი იწვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლების დარღვევას.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისა და დაცვისათვის აუცილებელია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციაში და საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ მოცემულ ტერმინთა სწორი განმარტება. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ვინაიდან საქართველოს საავტორო სამართალი ვითარდება ევროპულ სამართალთან ჰარმონიზაციის გზით საინტერესოა ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, რასაც ეძღვნება კიდეც წარმოდგენილი სტატია.

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია მე- 6 ბის მუხლის ძალით განამტკიცებს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვას:

ავტორის ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და აღნიშნული უფლებების გადაცემის შემდეგაც კი ავტორს აქვს უფლება მოითხოვოს ნაწარმოების ავტორად აღიარება და წინ აღუდგეს ამ ნაწარმოების ნებისმიერ გაუკუღმართებას, დამახინჯებას ან სხვაგვარ ცვლილებას, ასევე ამ ნაწარმოების ნებისმიერ სხვა შელახვას, რომელმაც შესაძლოა ზიანი მიაყენოს ავტორის ღირსებასა და რეპუტაციას.

ბერნის კონვენციის ოფიციალურ ქართულ თარგმანში სიტყვა distortion ნათარგმნია როგორც ნებისმიერი გაუკუღმართება, ხოლო mutilation როგორც დამახინჯება.

კონვენციის აღნიშნული მუხლის განმარტებისას სასურველია გამოვიყენოთ ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი, რომლი მიხედვით:

distortion. –ნიშნავს ნაწარმოების ნამდვილი მნიშვნელობის ან გამოხატვის ფორმის დამახინჯებას[3]

აღნიშნული ტერმინი ევროპულ სასამართლო გადაწყვეტილებებშიც არის განხილული. მიუნხენის სააპელაციო სასამართლომ 1986 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში შემდეგნაირად განმარტა distortion: ნაწარმოების არსობრივი თავისებურების დამახინჯება ან ფალსიფიცირება. მაგალითად სცენარის შემ-

[1] J.A.L Sterling. Creators Right and the Bridge Between Author's Right and Copyright, IIC 03/1998. p 306

[2] Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 169

[3] Distortion of work- the deformation of the true meaning or form of expression of a work. იხ. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Heighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981. p. 82.

თხვევაში ატმოსფეროს ან სიუჟეტის შეცვლა, ვერბალურ და მუსიკალურ ნაწარმოებებში ნაწარმოების ძირითადი მესიჯის (გზავნილის) შეცვლა, სახვითი ხელოვნების ნაწარმოების შემთხვევაში მისი ნაწილის შეცვლა ან ნაწარმოებზე ახალი ნახატის დამატება.[1]

ამგვარად distortion ნიშნავს ნაწარმოების ნამდვილი მნიშვნელობის (ძირითადი არსისა) და ფორმის დამახინჯებას.

ბერნის კონვენციის ქართულ ვარიანტში mutilation ნათარგმნია, როგორც დამახინჯება. თუმცა ამ ტერმინს უფრო კონკრეტული მნიშვნელობა გააჩნია ვიდრე ზოგადად ნაწარმოების დამახინჯების.

ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ტერმინების განმარტებითი ლექსიკონში mutilation განმარტებულია როგორც: ნაწარმოების ნებისმიერი ცვლილება მისი ნაწილის წაშლით ან განადგურებით.[2] ანუ ამ შემთხვევაში ნაწარმოების ფიზიკური ერთიანობის სახეცვლილებას, დამახინჯებას კრძალავს კონვენცია და არა ზოგადად დამახინჯებას, როგორც ეს კონვენციის ქართულ თარგმანშია მოცემული.

other modification ქართულად ნათარგნი როგორც სხვა ცვლილება. თუმცა თუკი ისევ ისმოს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა ლექსიკონით ვიხელმძღვანელებთ. სიტყვას შემდეგი მნიშვნელობა აქვს: ნაწარმოების ნებისმიერი ცვლილება.[3] მიზანშეწონილი იქნება ქართულ თარგმანშიც იყოს ხაზგასმული, რომ ნებისმიერი სახის ცვლილებაზეა საუბარი.

ასევე არაზუსტადაა ნათარგმნი პირის პატივი. ნაცვლად ბერნის კონვენციის ორიგინალისა, რომელიც იცავს ავტორს პატივის შემლახველი მოქმედებისაგან, ქართულ თარგმანში ეს სიტყვა ღირსებითაა შეცვლილი. honor ნათარგმნია, როგორც ღირსება. Honor ნიშნავს პატივს, ხოლო ღირსება აღინიშნება ინგლისური სიტყვით Dignity. მაგ. In honour ნიშნავს პატივისცემის ნიშნად ხოლო Military honours სამხედრო პატივს.[4] ღირსება კი აღინიშნება სიტყვით Dignity. მაგ. To stand (up) on ones dignity ნიშნავს თავის ღირსებით დაჭერას [5] ანალოგიურად განიმარტება აღნიშნული სიტყვები ინგლისურ რუსულ ლექსიკონში. რომლის მიხედვითაც Dignity ნიშნავს достоинство чувство, собственного достоинства[6] ხოლო honour განიმარტება როგორც – честь, хорошая репутация, доброе имя [7]

პატივისა და ღირსებას შორის განსხვავების დადგენა და მათი გამიჯვნა აუცილებელია იურიდიული მეცნიერებისთვის. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლი იცავს პირის, როგორც პატივს, ასევე ღირსებას. კანონის კომენტარში კი განმარტებულია: პატივი პიროვნების ობიექტური საზოგადოებრივი შეფასებაა, რომელიც განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას პიროვნების მიმართ, ღირსების ქვეშ კი იგულისხმება პიროვნების მიერ საკუთარი მორალური თუ სხვა თვისებების, უნარის, საზოგადოების წინაშე მისი ვალის მოხდის, საკუთარი საზოგადოებრივი მნიშვნელობის შეფასება თავად პიროვნების მიერ.[8]

პატივის განმარტება აგრეთვე გვხვდება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც:. პატივი — ეს არის პიროვნების სოციალური და სულიერი თვისებების საზოგადოებრივი შეფასება, ღირსება კი — საკუთარი თვისებების, შესაძლებლობების და მსოფლმხედველობის საზოგადოებრივი მნიშვნელობის შინაგანი შეფასება[9]

ამ მნიშვნელოვანი განსხვავების გათვალისწინებით უნდა გასწორდეს თარგმანში დაშვებული შეცდომა და განისაზღვროს, რომ ბერნის კონვენციით დაცულია ნაწარმოების ნებისმიერი ისეთი შელახვა, რომელიც ხელყოფს ავტორის პატივს (საზოგადოებრივ შეფასებას) და არა ღირსებას (თვითშეფასებას).

უფლება ნაწარმოების მთლიანობაზე თუ ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება

ნაწარმოების მთლიანობის უფლებას ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია საავტორო უფლებებს შორის. გერმანელი მეცნიერი დიცის აზრით, უფლება აიკრძალოს ნაწარმოებში ცვლილებების შეტანა და მისი დამახინჯება ემსახურება, ერთის მხრივ, ავტორის პირად ინტერესს დატოვოს ნაწარმოები შეუცვლელი და, მეორეს მხრივ, მის ფინანსურ ინტერესს: აკრძალოს მისი ნაშრომის გამოყენება ცვლილებებით, დამახინჯებით და დაზიანებით.[10]

---

[1] E. Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 242

[2] Mutilation of a work – any changesmade in a work by deleting or destroying a part or it. იხ. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Heighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981. p. 162

[3] Modification of a work-any alteration of a work. იხ. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Heighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981. p. 209

[4] ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. შემდგენლები თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები. თბილისი 1975. გვ 437

[5] იქვე გვ. 250.

[6] В.К. Мюллер. Англо-Русский Словарь. Москва 1992. ст. 202

[7] იქვე. გვ. 343

[8] ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. თბილისი 1999. გვ. 60

[9] შალვა ჩიკვაშვილი. მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბილისი 1998. გვ.

[10] Adolf Dietz. Copyright Law in the European community. Netherland. 1978. p.67

ბერნის კონვენციის მე-6 ბის მუხლის ძალით ავტორს უფლება აქვს წინ აღუდგეს მისი ნაწარმოების დამახინჯებასა და სახეცვლილებას. ბერნის კონვენციას დღეისათვის მიერთებულია 164 ქვეყანა.[1] თითოეულ ამ ქვეყანას საკანონმდებლო ძალით აქვს დაცული აღნიშნული უფლება, რაც ინგლისურენოვან ქვეყნებში გამოხატულია ტერმინით right of integrity.

საქართველოს კანონმდებლობაში აღნიშნულ უფლებას ეწოდება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება. (საქ. კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ. მე-17 მუხლი I ნაწილი დ პუნქტი). მეცნიერთა ნაწილის აზრით: ამ უფლებას შინაარსიდან გამომდინარე უფრო სრულად ესადაგება ტერმინი "ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება" ვიდრე "ნაწარმოების მთლიანობის უფლება", რომელიც კონვენციის ტექტსში გამოყენებული ინგლისური ტერმინის right of integrity სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობის პირდაპირი თარგმანია. [2]

ამ მოსაზრების საწინააღმდეგოს შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოების ერთიანობის/მთლიანობის დარღვევა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ხელშეუხებლობა. იგი არა მარტო ნაწარმოების ფიზიკური ერთიანობაში ჩარევასა და მის ცვლილებას გულისხმობს, არამედ ნაწარმოების გამოყენებას იმგვარად, რომ დაირღვეს მისი ძირითადი არსის, მისი სულის მთლიანობა.

აღსანიშნავია, რომ 1886 წელს იქნა მიღებული საავტორო სამართლის სფეროში მოქმედი მთავარი საერთაშორისო აქტის ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციის მე-6 ბის მუხლს, რომელიც შეეხება ნაწარმოების მთლიანობის უფლებას, მოგვიანებით, მხოლოდ 1948 წელს ბრიუსელის რევიზიის შემდეგ დაემატა ისეთი სიტყვები, როგორიცაა სხვა უფლების შემლახველი ქმედება - other derogatory action. ამგვარად კონვენციას არა აქვს პრეტენზია ამომწურავად ჩამოთვალოს რომელი უფლების შემლახავი ქმედება ხელყოფს ავტორის უფლებას.

ბრიუსელის რევიზიის მიღებიდან ერთი წლის შემდეგ 1949 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში საქმეზე Shostakovich v Twentieth Fox Film. Corp. მიღებული იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც დადასტურდა, რომ ნაწარმოების მთლიანობის უფლება ირღვევა არა მხოლოდ მასზე განხორციელებული ცვლილებით, არამედ მისი არასათანადო გამოყენებითაც. რუსი კომპიზიტორი შოსტაკოვიჩი ასაჩივრებდა მისი ნაწარმოების გამოყენებას ამერიკულ ანტისაბჭოთა და ანტიკომუნისტურ ფილმში, ვინაიდან ფილმის პოლიტიკური პოზიცია ეწინააღმდეგებოდა მის პოლიტიკურ შეხედულებებს.[3] შოსტაკოვიჩის სარჩელი დაკმაყოფილდა.

ფრანგული სასამართლო პრაქტიკა ნაწარმოების მთლიანობის დარღვევას, უკავშირებს არა მხოლოდ ნაწარმოების ფორმისა და შინაარსის ხელყოფას, არამედ ნაწარმოების სულის დარღვევასაც.

პირველი გადაწყვეტილება ნაწარმოების სულისა და იდეური მთლიანობის დარღვევაზე ფრანგულმა სასამართლომ 1932 წელს მიიღო. საფრანგეთის სააპელაციო სასამართლომ საქმეზე შალიაპინის საქმეზე აღნიშნა რომ "ყოველ ავტორს აქვს თავის ნაწაროებზე მორალური უფლება, რაც გულისხმობს უფლებას დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი გადაკეთებისა და განადგურებისაგან, როგორც ფორმით ასევე შინაარსით, სულით. [4]

ნაწარმოების დაცვითუნარიანობის კრიტერიუმის დადგენისას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს თუ რა მიზნით შექმნა ავტორმა ნაწარმოები, მაგრამ ნაწარმოების მიზნის ცვლილება, ნაწარმოების გამოყენება გარკვეული, განსაკუთრებით კი პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნებისათვის არღვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის /მთლიანობის უფლებას.

ამ მხრივ საინტერესოა 1991 წლის 15 მაისს პარიზის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, როდესაც საქმე შეეხებოდა რელიგიური მუსიკის გამოყენებას კომერციულ რეკლამაში, სასამართლომ აღნიშნა, რომ, თუკი მუსიკა არის რელიგიური მნიშვნელობის ანდა თავისი სიტყვებით ან მნიშვნელობით მჭიდროდ უკავშირდება რელიგიას, მაშინ მისი გამოყენება სარეკლამო ან კომერციული მიზნებისათვის წარმოადგენს ყურადღების გადატანას სხვა მიზნებზე, ამახინჯებს შედეგს და არღვევს ნაწარმოების მთლიანობის უფლებას.[5]

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება გადაუცემადი უფლებაა, იგი მოქმედებს ნაწარმოების არსებობის ვადით, მას შემდეგაც, რაც ამოიწურება საავტორო უფლებების მოქმედების სამოცდაათწლიანი ვადა. მორალური უფლების დაცვა ასახავს რწმენას, რომ ავტორის შემოქმედება არის თავად ავტორის გაგრძელება, და ამიტომაც ავტორს შეუძლია აკონტროლოს, როგორ დაინახავს და შეაფასებს მას საზოგადოება მისი ნაწარმოებებიდან გამომდინარე[6]

---

[1] ქვეყნების ჩამონათვალი იხ. ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ინტერნეტ საიტზე http://www.wipo.int/treaties/en/ShowResults.jsp?lang=en&treaty_id=15

[2] დ. ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრება. თბილის 2006. გვ. 205

[3] P. Loughlan. Moral Rights (a view from the town square). Media and art law reviw. March 2000. p.5

[4] Frederic Pollaud –Dulian. Revue internationale du Droit Dáuteur. (RIDA 215) Janvier 2008. L´ESPRIT DE LÓEUVRE ET LE DROIT MOLAR DE LÁUTEUR. P.104

[5] Revue internationale du Droit Dáuteur (RIDA) April 1992. p.209.

[6] Poku Adusei. Modern challenges to moral rights proteqtion under copyright law: the way forward. edmonton, University of Alberta Alberta . 2005. p. 29

როგორც აღვნიშნეთ ნაწარმოების მთლიანობის უფლება სამუდამო უფლებაა და იმ შემთხვევაშიც, როდესაც აღარ არსებობენ ავტორის მემკვიდრეები არ უნდა მოხდეს ნაწარმოების გამოყენება იმ კონტექსტში, რომელიც ნაწარმოების სულს დაარღვევს. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ საქართველოში სუპერმარკეტი გუდვილის რეკლამა, რომელშიც გამოყენებული იყო მიქელანჯელოს რელიგიური სურათის სიქსტის კაპელას ფრაგმენტი (მამა ღმერთისა და ადამის გამოსახულებით).

ევროპული სასამართლოები ნაწარმოების ერთიანობის დაცვის მიზნით ასევე კრძალავენ ნაწარმოების გამოყენებას პოლიტიკური მნიშვნელობით, თუკი ნაწარმოები არ შექმნილა პოლიტიკური მიზნით და ამგვარ გამოყენებას ნაწარმოების მთლიანობის/ხელშეუხებლობის უფლების დარღვევას უკავშირებენ.

ფრანგი მომღერლის ჟაკ ბრელის სიმღერა ერთ-ერთმა პოლიტიკურმა პარტიამ გამოიყენა წინასაარჩევნო კამპანიისთვის. მუსიკოსის მემკვიდრეებმა სასამართლოში იჩივლეს. პარიზის სააპელაციო სასამართლომ 1988 წლის 21 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ ნაწარმოების სული იყო დარღვეული, რადგან სიმღერა არ იყო გამოყენებული იმ იდეის გამოსახატავად, რომელსაც ავტორი ისახავდა მიზნად.

ასევე საინტერესოა საქმე, როდესაც ნახატები გამოყენებულ იქნა პოლიტიკური პროპაგანდისათვის. სასამართლომ ამ შემთხვევაშიც აღნიშნა, რომ დარღვეული იყო ნაწარმოების მიზანი. თუმცა მოპასუხე აღნიშნავდა, რომ ამით ირღვეოდა კრიტიკის თავისუფლება. [1]

ნაწარმოების ერთიანობის უფლების დაცვა რიგ შემთხვევაში მართლაც შესაძლოა წინააღმდეგობაში მოდიოდეს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და კრიტიკის თავისუფლებასთან. ნაწარმოების ერთიანობის უფლება ირღვევა იმ შემთხვევაშიც, როდესაც მაგალითად ხდება მელოდრამის, ტრაგედიია გაშარჯება ან კომედიურ ჟანრში დადგმა. სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს და დაცულია როგორც გაეროს ადამიანის უფლებათა და საყოველთაო თავისუფლებათა დეკლარაციით, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით. ვინაიდან არსებობს კრიტიკის თავისუფლება. იუმორისტულ გადაცემას ან გამოცემას ვერ აეკრძალება რომელიმე ნაწარმოების გაკრიტიკება და თუნდაც ნაწარმოებიდან ამონარიდის ირონიულ კონტექსტში წაიკითხვა ან გათამაშება. თუკი გავითვალისწინებთ რომ ნაწარმოების ერთიანობის უფლება ვრცელდება არა მარტო მთლიანად ნაწარმოებზე არამედ მის ნაწილზეც კი, მაშინ შეიძლება ვთქვათ რომ ამგვარი კრიტიკით ირღვევა ნაწარმოების მთლიანობის უფლება. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ ითვალისწინებს ინფორმაციის თავისუფლების მიზნით საავტორო უფლებათა შეზღუდვებს (მუხლი 23) თუმცა ეს შეზღუდვა ეხება მხოლოდ ქონებრივ უფლებებს. არაქონებრივი უფლებების შეზღუდვას კანონი არ ითვალისწინებს.

თუკი ევროპული სასამართლოების პრაქტიკას გადავხედავთ, კრიტიკის თავისუფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას არ ენიჭება უპირობო დაცვა, სასამართლოები ყოველთვის ცდილობენ გამოძებნონ სამართლიანი ბალანსი და რიგ შემთხვევებში ავტორის უფლებების დაცვას პრიორიტეტულ მნიშვნელობას ანიჭებენ.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის/ მთლიანობის უფლება და ნაწარმოების სული ხშირად ირღვევა ნაწარმოების გადამუშავებისას. ნაწარმოების გადამუშავების უფლება ავტორის ქონებრივ უფლებებას წარმოადგენს და დაცულია საქართველოს კანონით სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ (მე-18 მუხლი თ პუნქტი). ნაწარმოების გადამუშავება მხოლოდ ავტორის თანხმობით შეიძლება განხორციელდეს, თუმცა თანხმობა ნაწარმოების გადამუშავების შესახებ არ გულისხმობს ნაწარმოების იმგვარ გადაკეთებას, რომ ნაწარმოების იდეური მთლიანობა იყოს დარღვეული, ვინაიდან პირადი არაქონებრივი უფლებები ავტორს ეკუთვნის მისი ქონებრივი უფლებებისაგან დამოუკიდებლად და უნარჩუნდება ამ უფლებების დათმობის შემთხვევაშიც (საქართველოს კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, მე-17, მე-3 ნაწილი).

სწორედ ამიტომ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ დამდგმელ რეჟისორებს, რა თქმა უნდა, აქვთ უფლება მოახდინონ ნაწარმოების ინტერპრეტირება, მაგრამ ინტერპრეტირებისას არ უნდა დაირღვეს ნაწარმოების სული. ერთიანი ხაზისა და კონსტრუქციის დარღვევა მხოლოდ ავტორთან შეთანხმებით შეიძლება მოხდეს.[2]

ამ მხრივ საიტერესოა პარიზის სააპელაციო სასამართლოს 1985 წლის გადაწყვეტილება საქმეზე "Leonide Zorine v Theatre du Lucernaile. კომედია, რომელსაც არ ქონდა არანაირი პოლიტიკური მნიშვნელობა დადგმული იქნა იმგვარად, რომ შეიცავდა პოლიტიკურ შინაარსს. სასამართლომ საქმე მოსარჩე-

[1] Frederic Pollaud –Dulian. Revue internationale du Droit Dáuteur. (RIDA 215) Janvier 2008. L´ESPRIT DE LÓEUVRE ET LE DROIT MOLAR DE LÁUTEUR. P.112

[2] Frederic Pollaud –Dulian. Revue internationale du Droit Dáuteur. (RIDA 215) Janvier 2008. L´ESPRIT DE LÓEUVRE ET LE DROIT MOLAR DE LÁUTEUR. P.120

ლის, ავტორის სასარგებლოდ გადაწყვიტა და აღნიშნა: მართლია რეჟისორი არის ადამიანი, რომელმაც სცენაზე უნდა გააცოცხლოს ნაწარმოები, იგი არის შემოქმედი და აქედან გამომდინარე გააჩნია კიდეც გარკვეული თავისუფლება ინტერპრეტირების. თუმცა ამ შემთხვევაში დაკარგული იყო ლეონიდ ზორინის ნაწარმოების სული. [1]

რადგან ნაწარმოების პატივისცემისა და ხელშეუხებლობის უფლება არაქონებრივ უფლებებს, მაშასადამე გადაუცემად უფლებებს წარმოადგენენ და შეუძლებელია იგი კანონით ან ხელშეკრულებით შეიზღუდოს. ამიტომ მსგავსი საქმეების გადაწყვეტისას სასამართლოები ყოველთვის იღებენ მხედველობაში იყო თუ არა დარღვეული ნაწარმოების პატივისცემის უფლება. 2001 წელს საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ საქმეზე, რომელიც "პატარა პრინცის" ადაპტირებას შეეხებოდა აღნიშნა: ფილმისა თუ ლიტერატურული ნაწარმოების ადაპტაციის დროს საჭიროა შემოქმედს ქონდეს გარკვეული თავისუფლება. თუმცა ამ ნაწარმოების ადაპტაციისასა აშკარად იყო შენარჩუნებული ნაწარმოების პატივისცემის უფლება და ასევე მასში ჩადებული იყო პიროვნული წვლილი.[2]

პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის მნიშვნელობა, ნაწარმოების მთლიანობის უფლების დარღვევისას

ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას? ეს საკითხი ყველაზე მეტად პრობლემატურია ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლების დაცვისას.

ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს ბერნის კონვენციით აღიარებულ ნაწარმოების მთლიანობის დაცვის პრინციპს, შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: პირველი, რომლის შემთხვევაშიც ნაწარმოების დაცვა დამოკიდებულია ავტორის პატივის, რეპუტაციის ან სხვა ინტერესების დარღვევაზე და ქვეყანათა მეორე ჯგუფი, რომელიც ნაწარმოებს ანიჭებს აბსოლუტურ დაცვას ყოველგვარი გადაკეთებისაგან, მიუხედავად იმისა დარღვეულია თუ არა ავტორის პატივი და რეპუტაცია. პირველ ჯგუფს მიეკუთვება დანია, გერმანია, იტალია, ლუქსენბურგი, ჰოლანდია (Section 3, Para 2 of Danish copyright law, Section 14 of German Copyright law, Article 20, Para 1 Italian Copyright law, Article 9, Para 1 of Luxembourg Copyright law, article 25, Para 1 (c) of Netherlands Copyright law,) ხოლო მეორე ჯგუფს მიეკუთვნება საფრანგეთი , ბელგია. (Article 8 of Belgian Copyright Law and Article 6 of French Copyright Law)[3]

საქართველოს კანონისათვის რომელი მიდგომაა პრიორიტეტული? საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ აღნიშნული უფლება წარმოდგენილია ორი დამოუკიდებელი უფლების სახით: ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება და რეპუტაციის პატივისცემის უფლება.

კანონის მე-17 მუხლის I ნაწილის დ პუნქტის თანახმად: ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებაა ნება დართოს სხვა პირებს შეიტანონ ცვლილებები როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში) და ავტორის სახელში, აგრეთვე წინ აღუდგეს მისი თანხმობის გარეშე ნაწარმოებში ცვლილებების შეტანას (ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება). კანონის ამავე მუხლის ე პუნქტით კი ავტორს უფლება აქვს დაიცვას ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისაგან ან სხვაგვარი ხელყოფისაგან, რომელმაც შეიძლება შელახოს ავტორის პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია. (რეპუტაციის პატივისცემის უფლება)

კანონის მე-17 მუხლის თანახმად ავტორს უფლება აქვს წინ აღუდგეს ნაწარმოებში ცვლილების შეტანას და არაა ვალდებული ამტკიცოს, რომ ეს ცვლილება მის ინტერესებს შელახავს (დ პუნქტი), ხოლო მას შემდეგ რაც უკვე მოხდება ნაწარმოების დამახინჯება ან მისი ხელყოფა ავტორს მხოლოდ მაშინ აქვს დაცვის უფლება თუკი დაამტკიცებს, რომ ამით მისი პატივი, ღირსება ან საქმიანი რეპუტაცია შეილახა. (ე პუნქტი)

საინტერესოა ასევე ისიც, რომ კანონი ერთსა და იმავე მუხლის სხვადასხვა პუნქტებში (დ და ე პუნქტში) მოცემულია ტერმინები: ნაწარმოებში ცვლილების შეტანა, მისი დამახინჯება და მისი ხელყოფა. ნაწარმოების დამახინჯება და მისი ხელყოფა თავისთავად ნიშნავს, რომ ნაწარმოებში ცვლილებაა შეტანილი. და პირიქით, თუკი ნაწარმოებში ცვლილებაა შეტანილი და იგი დამახინჯებულია, ეს თავისთავად ნიშნავს, რომ ნაწარმოები ხელყოფილია. ამიტომ ვერ ვიგულისხმებთ, რომ დ და ე პუნქტებში კანონმდებლი ნაწარმოებზე განხორციელებულ სხვადასხვა ობიექტურ ქმედებაზე საუბრობს. მით უფრო გაუგებარი ხდება ცვლილების შეტანისას რატომ აქვს ავტორს უფლება წინ აღუდგეს ამ ცვლილების შეტანას, მიუხედავად იმისა ეს ქმედება ხელყოფს თუ არა მის პატივსა და ღირსებას და ნაწარმოების დამახინჯების დროს რატომაა ვალდებული ამტკიცოს, რომ ამით მისი პატივი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შეილახა. მითუმეტეს, რომ დამახინჯება უფრო მეტი ვნების მიყენებას გულისხმობს, ვიდრე ცვლილების შეტანა.

---

[1] Frederic Pollaud –Dulian. Revue internationale du Droit Dáuteur. (RIDA 215) Janvier 2008. L´ESPRIT DE LÓEUVRE ET LE DROIT MOLAR DE LÁUTEUR. P.120

[2] Casation Civil 1, 12 de Junio de 2001, "el principito", RIDA enero 2002. p.266

[3] Adolf Dietz. Copyright Law in the European community. Netherland. 1978. p.75

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც გამოითქვა მოსაზრება, რომ კანონში შემოტანილ იქნა ტერმინოლოგიური და არსობრივი სხვაობა, მაშინ, როდესაც ნაწარმოების ხელშეუხებლობის (მთლიანობის) და რეპუტაციის პატივისცემის უფლება ერთი და იგივე არსობრივი ფარგლების მქონე უფლების აღმნიშვნელი ორი ალტერნატიული ტერმინია.[1]

აღნიშნულის გათვალისწინებით, უმჯობესია საქართველოს კანონში მოცემული ორი ერთი და იგივე არსის მქონე უფლება გაერთიანდეს ერთი ტერმნის ქვეშ- უფლება ნაწარმოების მთლიანობაზე.

საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დაცვისას განასხვავებს თუ ხელოვნების რომელი დარგის ნაწარმოების ხელყოფა მოხდა. სახვითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის დაცვის უფრო მკაცრი რეჟიმია დაწესებული. მაგალითად კანადის საავტორო უფლებათა დაცვის აქტში 1989 წლის 1 თებერვალს შევიდა ცვლილება, რომლითაც მოხდა მორალური უფლების დაცვა. (&& 28. 2) ამ მუხლის ძალით ნაწარმოები დაცულია დამახინჯებისა და მოდიფიცირებისაგან, ასევე იკრძალება ნაწარმოების ასოცირებული გამოყენება პროდუქტთან ან მომსახურებასთან, აგრეთვე ნაწარმოების იმ მიზნით გამოყენება, როდესაც ეს მავნებელია ავტორის პატივისა და რეპუტაციისათვის. ხოლო რას შეეხება ნახატს, სკულპტურასა და გრავიურას კანონი იცავს მას ნებისმიერი დამახინჯებისა და მოდიფიცირებისაგან მიუხედავად იმისა ეს ხელყოფს თუ არა ავტორის პატივსა და ღირსებას[2]

ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლებაზე საუბარი საფრანგეთში 1876 წლიდან დაიწყო. საფრანგეთს ავტორის მორალური უფლებების სამშობლოსაც უწოდებენ. ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლება ყველაზე მეტად ირღვეოდა გამომცემელთა ხელში. ავტორს მიეცა უფლება გამომცემლის ან იმ პირის წინააღმდეგ, ვისაც გადასცა ეკონომიკური უფლებები აღეძრა საქმე, თუკი ისინი ნაწარმოების გადაკეთებას მოინდომებდნენ, ავტორის ნებართვის გარეშე.[3]

საინტერესოა საფრანგეთის კანონმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა ნაწარმოების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებით, საფრანგეთის საკასაციო სასამართლომ 1988 წლის გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ აკრძალულია ნაწარმოების ნებისმიერი გადაკეთება და მოდიფიკაცია, მნიშვნელობა არა აქვს ხელყოფა ლახავს თუ არა პატივსა და ღირსებას

2006 წლის 5 დეკემბერს საფრანგეთის სასამართლომ დაადგინა რომ, ნებისმიერი მოდიფიცირება, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, რომელიც განხორციელდა ინტელექტუალურ ნაშრომზე არღვევს ავტორის უფლებას პატივისცემაზე.[4]

საფრანგეთის კანონმდებლობაში უფლება ნაწარმოების მთლიანობაზე საკმაოდ ლაკონურადაა მოცემული "ავტორს აქვს ნაწარმოების პატივისცემის უფლება" (IPC, art 1, 121-1) ამგვარად ფრანგულ კანონმდებლობაში არ გვხვდება ისეთი ცნებები, როგორიცაა: დამახინჯება, მოდიფიცირება.

საფრანგეთის ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლებას, შეიძლება ითქვას, ყველაზე მკაცრად კი იცავს. თუმცა საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მიხედვითაც კი ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა არ მიიჩნევა ნაწარმოების ხელშეუხებლობის დარღვევად, იგი უნდა ჯდებოდეს გონივრულ ჩარჩოებში და არ უნდა წარმოადგენდეს უფლების ბოროტად გამოყენებას.

ავტორი-შემოქმედის ექსტრემალურად მკაცრი დაცვა ნებისმიერ ნაშრომს აქცევს გამოუყენებლად საზოგადოებისათვის. ამიტომაც საჭიროა მოიძებნოს ბალანსი, ერთის მხრივ, ავტორ-შემოქმედსა და მეორეს მხრივ მას შორის ვინც საწარმოოდ, სამომხმარებლოდ გამოიყენებს ნაშრომს. ამაზე მითითებს საფრანგეთის სასამართლო გადაწყვეტილება მიღებული 1988 წელს: საქმეზე Marchand c La Cinq საფრანგეთის სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი, რომელიც შეეხებოდა ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებას, ვინაიდან მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა უფლების ბოროტად გამოყენებას. ფილმის ავტორი ჩიოდა, რომ სატელევიზიო ჩვენების დროს ტელე არხის ლოგო არღვევდა უფლებას ნაწარმოების მთლიანობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ამით არ ირღვეოდა არც ფერი, ხმა, სცენარის სტრუქტურა, ფილმი ტელე ეთერში გასვლის შემდეგ არ შეიცვლებოდა და სარჩელი არ დააკმაყოფილა[5]

კონცეპტუალური განსხვავებაა ავტორის პირადსა და ინტელექტუალურ ინტერესებში ნაწარმოებთან დაკავშირებით. პირადი ინტერესი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც პრესტიჟისა და რეპუტაციის ინტერესი. ხოლო ინტელექტუალური ინტერესია ავტორის ინტერესი – თუ რა მოხდება მის ნაწარმოებთან დაკავშირებით, ანუ ნაწარმოების ბედი. ამ მხრივ საინტერესოა გერმანული კანონმდებლობის მიდგომა. გერმანიაში პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვამ საფუძველი აიღო გერმა-

---

[1] დ. ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრება. თბილის 2006. გვ. 207

[2] Milan Chromecek and Stuart C. McCormack. World Intellectual Property Guidebook Canada. University of Washington , Seattle, Washington 1991. & 4h. 4-31

[3] Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 54

[3] Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 182

[4] Revue internationale du Droit Dáuteur (RIDA) January 2007 p. 358

[5] Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 185

ნელი ფილოსოფოსის ემანუელ კანტის მოძღვრებიდან. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ გერმანიის კანონის (მუხლი 11)) მიხედვით, ავტორს გააჩნია ნაწარმოების მიმართ ინტელექტუალური და პირადი ინტერესი. გერმანელი იურისტები ავლებენ პარალელს და მიუთითებენ განსხვავებაზე ამ ორ ინტერესს შორის: ინტელექტუალური ინტერესი (geistige) წარმოადგენს ინტერესს დაკავშირებულს ობიექტთან (objektbezogen) ანუ ნაშრომთან და მის გამოყენებასთან. იგი შეიძლება დაირღვეს მაშინაც, როდესაც არ ირღვევა ავტორის პირადი ინტერესი. მაგალითად, როდესაც ხდება ნაწარმოების განადგურება, ამით არ ილახება ავტორის რეპუტაცია, მაგრამ ირღვევა მისი ინტელექტუალური ინტერესი.[1] ამგვარად გერმანიის კანონი იცავს ნაწარმოების მთლიანობას მიუხედავად იმისა, ამ მთლიანობის დარღვევა ლახავს ავტორის პირად თუ ინტელექტუალურ ინტერსესს.

მეცნიერებში არსებობს აგრეთვე მოსაზრება, რომ ნაწარმოები უნდა იყოს დაცული ნებისმიერი ცვლილებისაგან იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ამ ცვლილებით არათუ კნინდება, არამედ იმატებს ნაწარმოების ღირებულება.[2]

ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლების რეგულირებისა და დაცვისათვის აუცილებელი, მოხდეს ტერმინთა სწორი განმარტება საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკის გათვალისწინებით. ხოლო საქართველოს კანონში "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" ჩამოყალიბდეს ერთიანი მიდგომა, თუ ნაწარმოების მთლიანობის/ხელშეუხებლობის დაცვა დამოკიდებულია ავტორის პატივის, რეპუტაციის ან სხვა ინტერესების დარღვევაზე, თუ დაცვა ხდება ამ უფლებების დარღვევისაგან დამოუკიდებლად.

ლექსიკონები

1. ინგლისურ-ქართული ლექსიკონი. შემდგენლები თამარ და ისიდორე გვარჯალაძეები. თბილისი 1975.
2. WIPO Glossary of Terms of the law of Copyright and Heighbouring Rights, WIPO Publication No. 827(EFR), 1981
3. В.К. Мюллер. Англо-Русский Словарь. Москва 1992.

პერიოდული გამოცემები

1. Frederic Pollaud –Dulian. Revue internationale du Droit Dáuteur. (RIDA 215) Janvier 2008. L´ESPRIT DE LÓEUVRE ET LE DROIT MOLAR DE LÁUTEUR.
2. Revue internationale du Droit Dáuteur (RIDA) April 1992
3. Casation Civil 1, 12 de Junio de 2001, "el principito", RIDA enero 2002.
4. Revue internationale du Droit Dáuteur (RIDA) January 2007 p

გამოყენებული ლიტერატურა

1. შალვა ჩიკვაშვილი. Мმორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში. თბილისი 1998.
2. ავტორთა კოლექტივი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი პირველი. თბილისი 1999
3. დ. ძამუკაშვილი. ინტელექტუალური საკუთრება. თბილის 2006
4. Adolf Dietz. Copyright Law in the Europian community. Netherland. 1978
5. Milan Chromecek and Stuart C. McCormack. World Intellectual Property Guidebook Canada. University of Washington , Seattle, Washington 1991.
6. J.A.L Sterling. Creators Right and the Bridge Between Author's Right and Copyright 1998
7. Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers**.** An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006
8. P. Loughlan. Moral Rights (a view from the town square). Media and art law review. March 2000.
9. Poku Adusei. Modern challenges to moral rights proteqtion under copyright law: the way forward. edmonton, University of Alberta Alberta . 2005
10. Малеина М.Н., Личные Неимущественные права граждан, Москва,2001

[1] E. Ulmer. Urheber- und Verlagsrecht, 3rd edn, Berlin, Heideberg, New York: Springer, 1980. look at Elithabeth Adeney. The Moral Rights of Authors and Performers. An international and comperative analysis. OXFORD University press. 2006.p. 223

[2] Малеина М.Н., Личные Неимущественные права граждан, Москва,2001, 215

ლიკა საჯაია

ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლება ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით

რეზიუმე

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორის პირად არაქონებრივ (მორალურ) უფლებაა. იგი ავტორის პიროვნულ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, ვინაიდან იცავს ხელყოფისაგან ნაწარმოებს, რომელიც ავტორის პიროვნულობის გამოხატულებას წარმოადგენს.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლება ავტორის უფლებების დაცვასთან ერთად მიმართულია საზოგადოების ინტერესის დაცვისაკენ, რათა საზოგადოებამ შეძლოს იხილოს ნაწარმოები იმ სახით რა სახითაც იგი ავტორმა შექმნა.

ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია იცავს ნაწარმოებს ნებისმიერი გაუკუღმართების ცვლილების ან დამახინჯებისაგან, რომელიც ლახავს ავტორის პატივსა და ღირსებას.

საქართველოს კანონიც საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ იცავს ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლებასა და ავტორის რეპუტაციას.

რა იგულისხმება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ქვეშ? ნაწარმოებში ნებისმიერი ცვლილების შეტანა ითვლება ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად, თუ ცვლილება აუცილებლად უნდა ლახავდეს ავტორის პატივსა და რეპუტაციას?

კონტინენტური ევროპის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის მიხედვით არათუ ნაწარმოებში შეტანილი ცვლილება, არამედ ნაწარმოების არასათანადო გამოყენებაც კი იწვევს ნაწარმოების ხელშეუხებლობის/მთლიანობის უფლების დარღვევას.

ნაწარმოების ხელშეუხებლობის უფლების ეფექტური განხორციელებისა და დაცვისათვის აუცილებელია ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენციაში და საქართველოს კანონში საავტორო და მომიჯნავე უფლებათა შესახებ მოცემულ ტერმინთა სწორი განმარტება.

ასევე მნიშვნელოვანია ევროპული სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა, ვინაიდან საქართველოს სასამართლო პრაქტიკა მწირია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით .

Lika Sajaia

The Rights for Integrity of the Work According to the European Case Law

Abstract

The Rights for integrity belongs to the author's non-economic (moral) rights. The right of integrity is a personal right, because protects from infringement a work which is also expression of Author's personality.

The right for integrity with the protections of Author's right also protects interest of society. Members of society also have rights to see work in its original form.

Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works enables the author to prevent his/her work from distortion, modification or other mutilation. This right is based upon the protection of author's honor and dignity

The Law on Author's and Neighbouring Rights of Georgia also protects rights for integrity and author's reputation.

What can be considered as infringement of the right of integrity? Any modification of work can be considered as infringement of this right or changes made in the work must be prejudicial author's honor and reputation?

In accordance of the European case law not only modification of the work but also improper use of the work is considered as infringement of the right of Integrity.

The correct definition of terms of the Berne Convention for the Protection of Literary and Artistic Works and Georgian Law on Author's and Neighbouring Rights is important for effective implementation and protection of this right.

It is also important to review European Case Law, because the Georgian judicial practice is poor regarding this issue.

შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი

მტკიცების ტვირთვი სამოქალაქო პროცესში

მტკიცების ტვირთის განაწილების წესი ეფუძნება ზოგადი ხასიათის მქონე დებულებას: მტკიცების ტვირთი ეკისრება იმას, ვინც წამოაყენებს შესაბამის სარჩელს (მოთხოვნას) ან შესაგებელს სარჩელის (მოთხოვნის) წინააღმდეგ. მტკიცების ტვირთის მხარეებისათვის დაკისრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ მხარე გააქტიუროს მტკიცებულებათა წარდგენის საკითხში, რაც პირდაპირ უწყობს ხელს სამოქალაქო პროცესში საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენას, მათ დამტკიცებას. მხარეები მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობების მონაწილეებია და შესაბამისად, მათ ყველაზე უკეთ იციან საქმის გარემოებების შესახებ.

მტკიცების ტვირთი, როგორც საპროცესო ვალდებულება, არა მხოლოდ მხარეებს, არამედ პროცესის მონაწილე სხვა სუბიექტებსაც ეკისრება, რომლებიც ვალდებულნი არიან დაამტკიცონ საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტები (გარემოებანი). ამ წესის მოქმედება ვრცელდება პროცესის ყველა დაინტერესებულ მონაწილეზე, თუმცა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (ტექსტში შემდგომში შემოკლებით - სსსკ) 102-ე მუხლში ამის შესახებ პირდაპირ არ არის აღნიშნული, კერძოდ, დავის საგანზე დამოუკიდებელი მოთხოვნის მქონე მესამე პირმა უნდა დაამტკიცოს თავისი მოთხოვნის დამასაბუთებელი გარემოებები. დამოუკიდებელი მოთხოვნის არმქონე მესამე პირმა კი უნდა დაამტკიცოს ის ფაქტები, რომლებიც გავლენას ახდენს პროცესის ერთ-ერთ მხარესთან მის ურთიერთობაზე.

მტკიცების ტვირთი პროცესის დაინტერესებულ სუბიექტთა შორის ნაწილდება სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ზოგადი წესისა და მატერიალური სამართლის ნორმებში არსებული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე.

მტკიცების ზოგადი წესი იმ შემთხვევაში მოქმედებს, როცა მატერიალური სამართლის ნორმა არ შეიცავს სპეციალურ მითითებას მტკიცების ტვირთის განაწილების თაობაზე.

მტკიცების უფრო რთულ პირობებში ჩაყენებული მხარის უფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები ითვალისწინებს გამონაკლისს ზოგადი წესიდან იმ მხრივ, რომ ამგვარი ნორმებით ხდება ფაქტის დამტკიცების ან ფაქტის უარყოფის ვალდებულების არა იმ მხარეზე დაკისრება, რომელიც ამ ფაქტს ადასტურებს (ამტკიცებს), არამედ მოწინააღმდეგე მხარისათვის დაკისრება (პრეზუმფცია).

სამოქალაქო პროცესში განასხვავებენ მტკიცების უფლებას და მტკიცების ვალდებულებას.

„მტკიცების უფლება არის მტკიცებულებათა წარდგენის, მათ გამოკვლევასა და წინასწარ შეფასებაში მონაწილეობის შესაძლებლობა.“[1] ეს უფლება გარანტირებულია საპროცესო ნორმებით.

მტკიცების უფლების განხორციელება თვითონ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ პირადად, თავიანთი საპროცესო ინტერესების შესაბამისად. დაინტერესებული პირები თვითონვე ირჩევენ ქცევის საზომსაც (ქცევის ზღვარს).

დისპოზიციურობის პრინციპი აქაც მოქმედებს, შესაბამისად, მტკიცების უფლების განხორციელება ხდება თვითონ უფლებამოსილ პირთა ნებით.

„მტკიცების უფლებისაგან განსხვავებით, მტკიცების ვალდებულება არის მტკიცების მიზნით მოქმედებათა კომპლექსის შესრულების აუცილებლობა“[2]. მტკიცების ვალდებულებას განსაზღვრავს არა მტკიცების სუბიექტის არჩევანი ან შეხედულება (ნება), არამედ არახელსაყრელი შედეგების დადგომის საფრთხე ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან განსაზღვრავს ზემოქმედების სხვა ზომა, მაგალითად ის, რომ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას იურიდიული ფაქტის არსებულად მიჩნევაზე (აღიარებაზე), რომლის არსებობასაც ამტკიცებს (ადასტურებს) მხარე, ამ ფაქტის მტკიცების ვალდებლების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

მხარეებს პროცესში აქვთ შემდეგი საპროცესო უფლებები: გაეცნონ საქმის მასალებს, იშუამდგომლონ სასამართლოს წინაშე, წარადგინონ მტკიცებულებები, მონაწილეობა მიიღონ მტკიცებულებათა გამოკვლევაში.

მტკიცების ვალდებულების შესრულება ხდება მხოლოდ ამ საპროცესო უფლებების განხორციელების გზით, ე.ი. მტკიცების უფლების განხორციელების გზით.

აქედან გამომდინარე, საპროცესო ურთიერთობების სპეციფიკა ამგვარია: მტკიცება ერთდროულად არის უფლებაც და ასევე საქმის მონაწილე პირთა და პირველ ყოვლისა, მხარეთა ვალდებულებაც.

მტკიცებულების წარდგენით მხარე ახორციელებს მტკიცების უფლებას და ერთდროულად ასრულებს მტკიცების ვალდებულებას, რამეთუ თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც, როგორც საფუძველზე ის ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

„თუ მხარეთა, საქმის მონაწილე პირთა მიერ წარმოდგენილი ან სასამართლოს დახმარებით შეგროვებული მტკიცებულებები საკმარისია საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ სასამართლოს დას-

[1] **იხ. М. К. Треушников «Судебные доказательства». Издание третье, исправленное и дополненное. М. 2004г. გვ. 52.**

[2] **იხ. იქვე გვ. 52**

კვნის დასასაბუთებლად, არსებით როლს არ თამაშობს, თუ ვინ წარადგინა ან შეაგროვა მტკიცებულებები, განახორციელა მტკიცების უფლება თუ შეასრულა მტკიცების ვალდებულება“.[1]

იბადება კითხვა, როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო, თუ შეჯიბრებითობის პროცესისა და მხარეთა თანასწორობის პირობებში წარდგენილი მტკიცებულებები არასაკმარისია სარწმუნო დასკვნის გამოსატანად ანდა მხარეთა ახსნა-განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულებები არ არსებობს?

სამოქალაქო პროცესში, როგორც ცნობილია, დაუშვებელია უარი ეთქვას მხარეებს გადაწყვეტილების გამოტანაზე იმ საფუძვლით, რომ მტკიცებულებები არ არის საკმარისი.

ეს იმით აიხსნება, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს ამგვარი მოქმედებისაგან უპირატესობას ყოველთვის ვალდებული მხარე მიიღებდა, ამასთან, სასამართლოს მხრიდან დაირღვეოდა კანონიერების პრინციპი.

მაშასადამე, ნებისმიერ სიტუაციაში, რაოდენ გართულებულიც არ უნდა იყოს სასამართლო მტკიცების პროცესი, სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება.

მტკიცებულებათა არასაკმარისობის პირობებში, მტკიცების ვალდებულების დამდგენი ნორმები გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენენ. როდესაც საქმეზე მტკიცებულებები არასაკმარისია ან ისინი ერთმანეთს ეწინააღმდეგება, სასამართლო გადაწყვეტილების მიღების დროს ითვალისწინებს საკითხს იმის შესახებ, თუ რომელმა მხარემ და რა ფაქტობრივი გარემოება უნდა დაამტკიცოს.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო შემეცნების სირთულის პირობებში, სწორედ მტკიცების ვალდებულების განაწილების შესახებ ნორმები იძლევიან გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივ საფუძველს.

სამართლებრივად მნიშვნელოვანი, ე.ი. საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობა, როგორც წესი, პროცესის იმ მხარეს ეკისრება, რომელიც თავის მოთხოვნას ამ ფაქტებს ამყარებს, მოჰყავს ფაქტები თავისი მოთხოვნების ან შესაგებლის დასადასტურებლად (დასამტკიცებლად). ჯერ კიდევ რომის სამართალში ითქვა — უნდა დაამტკიცოს იმან, ვინც ირწმუნება.

მტკიცების ვალდებულების საპროცესო შინაარსი შედგება ისეთი მოქმედებებისაგან, როგორიც არის მტკიცებულებათა წარდგენა, მტკიცებულებათა გამოკვლევა, საკუთარი პოზიციის (მტკიცების) დაცვა მტკიცებულებათა გამოკვლევის მიმდინარეობისას.

მტკიცების ნებისმიერ სუბიექტს როდი სთავაზობს სასამართლო აუცილებელი ან დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენას, არამედ მხოლოდ იმას, ვისაც აკისრია მტკიცების ვალდებულება და მხოლოდ მტკიცებულებათა წარდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში ეხმარება მტკიცებულებათა შეგროვებაში, ეხმარება მათ გამოთხოვაში. მაშასადამე, მტკიცების ვალდებულების დადგენით მიიღწევა მტკიცების სუბიექტების საპროცესო საქმიანობის გააქტიურება მტკიცებულებათა წარდგენის საკითხში, რაც ხელს უწყობს სამოქალაქო პროცესში საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესახებ უტყუარი, ზუსტი ცოდნის მიღებას.

თუ კანონით ასეთი ვალდებულება გათვალისწინებული არ იქნებოდა დაინტერესებულ პირთა მიმართ, სასამართლოს არ ექნებოდა მათგან მტკიცებულებათა მოთხოვნის უფლება.

იურისტები „მტკიცების ტვირთის“ პრობლემას ორად ყოფენ: „მითითების ტვირთი“ და „მტკიცებულებათა წარდგენის ტვირთი“.

„მითითების ტვირთში“ იგულისხმება მხარის ვალდებულება მიუთითოს იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტები, რომელთა დადგენაც აუცილებელია მისი ინტერესების დაცვისათვის”.[2]

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალში „მითითების ტვირთის“ პრობლემა გადაწყვეტილია შემდეგნაირად: სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. თუ ამოსავალი იქნება სამოქალაქო პროცესში შეჯიბრებითობა სასამართლოს დამხმარე ფუნქციების გარეშე, ე.ი. სამოქალაქო პროცესის ისეთი აგება, რომლის დროსაც, როგორც იურიდიული ფაქტების მითითების ტვირთი, ისე ამ ფაქტების დასასაბუთებლად მტკიცებულებათა წარდგენის ტვირთი სრულად ეკისრებათ მხარეებს, ხოლო სასამართლო არ ერევა “მოდავე მხარეთა თავისუფალ თამაშში”, მაშინ კანონიც უნდა განამტკიცებდეს ნორმას, რომ სასამართლო საქმეს განიხილავს მხოლოდ იმ ფაქტების ფარგლებში, რომლებსაც განსაზღვრავს, ანუ მიუთითებს მხარე (მხარეები). შეჯიბრებითობის პრინციპის კლასიკური ინტერპრეტაცია სწორედ ზემოთაღნიშნული შინაარსის მქონეა. თუმცა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის მეორე ნაწილი განამტკიცებს “შერბილებულ” წესს, რომლის თანახმადაც საქმის გარემოებათა გასარკვევად სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით მიმართოს სსსკ-ით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. სსსკ-ის ამგვარი დანაწესი ასახავს კანონიერების პრინციპის პრიმატს შეჯიბრებითობაზე (მის კლასიკურ გაგებაზე).

ამასთან, სამოქალაქო პროცესში, მე-4 მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი საქმის გარემოებათა გარკვევის საკითხში სასამართლოს ინიციატივის შესახებ, ფართოდ როდი გამოიყენება, არამედ შემოიფარგლება მხოლოდ კოდექსით გათვალისწინებული საქმეთა კატეგორიებით, მაგალითად, სსსკ-ის

354-ე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს ინიციატივას

[1] **იხ. Авдюков М. Г. «Распределение обязанностей по доказыванию в гражданском процессе». Советское государство и право. 1972г. №5 გვ.48**

[2] **იხ.** М. К. Треушников «Судебные доказательства». Издание третье, исправленное и дополненное. М. 2004г. **გვ 58**

საოჯახო დავებზე საქმის გარემოებათა დადგენის საკითხში. მოცემული ნორმის თანახმად, საოჯახო-სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე საქმეთა განხილვის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე და მხარეთა ახსნა-განმარტების მიღების შემდეგ თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, რომლებზედაც მხარეებს არ მიუთითებიათ.

კანონის დებულება იმის თაობაზე, რომ სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია განსაზღვროს დასადგენ გარემოებათა წრე, ნიშნავს შემდეგს: სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელ გარემოებას (გარემოებებს) აქვს საქმისათვის მნიშვნელობა, მოდავე მხარეთაგან თუ რომელმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ეს გარემოებები, განსახილველად აყენებს მათ, მაშინაც კი, თუ მხარეები რომელიმე მათგანზე არ მიუთითებენ.

კანონის ეს ფორმულა აუცილებელია საოჯახო-სამართლებრივ საქმეებზე (დავებზე) ფიზიკურ პირთა უფლებებისა და ინტერესების დაცვისათვის. ამასთან, არ შეიძლება მხედველობაში არ ვიქონიოთ ის ფაქტორიც, რომ მოსახლეობაში არცთუ ისე მაღალია სამართლის ცოდნის ხარისხი. ამას ემატება ისიც, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის მოწვევა სასამართლოს უფლებაა და არა მისი მოვალეობა, რაც ხშირად მოსახლეობის ღარიბი ფენებისათვის პრაქტიკულად უფასო იურიდიული დახმარების არარსებობას ნიშნავს. სწორედ ამის გამოა დაფიქსირებული საპროცესო კანონში სასამართლოს მიერ დასადგენი ფაქტობრივი შემადგენლობის (საქმის გარემოებათა ერთობლიობის), ე.ი. მტკიცების საგნის განსაზღვრის საკითხში გარკვეული დოზით (გარკვეულწილად) სასამართლოს აქტიურობა.

საკუთარი უფლების დასაცავად სრული მოცულობით ყველა ფაქტის იურიდიული მნიშვნელობის განსაზღვრა, სასამართლოს დახმარების გარეშე მხარისათვის განსაკუთრებით რთულია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4, 47-ე, 102-ე მუხლებში, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოს ინიციატივის გაფართოების მიმართულებით საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა განსაზღვრის საკითხში.

როგორც ითქვა, მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) მხარეებს შორის ნაწილდება საპროცესო კანონით დადგენილი ზოგადი, ანუ საერთო წესის და აგრეთვე მატერიალური სამართლის ნორმებში ასახული კერძო (სპეციალური) წესების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამის ნორმაში (მუხლი 102-ე) გამოხატული ზოგადი წესი, რომ „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“, არ წარმოადგენს მხოლოს საქართველოს სამოქალაქო პროცესისათვის სპეციფიკურ წესს. იგი ცნობილია სამართლის სხვა სისტემებისთვისაც.

იმ მხარის უფლებათა დაცვის მიზნით, რომელიც ფაქტობრივ გარემოებათა მტკიცების თვალსაზრისით ჩაყენებულია უფრო რთულ პირობებში, მატერიალური სამართლის ნორმები შეიცავენ გამონაკლისებს ზოგადი წესიდან, კერძოდ, მატერიალური სამართლის ნორმების საფუძველზე ფაქტის მტკიცების ან ამ ფაქტის უარყოფის მტკიცების ტვირთი (ვალდებულება) ეკისრება არა იმ მხარეს, რომელიც მას ამტკიცებს, არამედ მოწინააღმდეგე მხარეს.

ამრიგად მტკიცების პროცესი ხდება მოქნილი, რაც მართლმსაჯულების ინტერესებში შედის.

მატერიალური ნორმებით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების წესის გათვალისწინებით, სასამართლოს ეძლევა კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობა. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი მტკიცების ზოგადი, ანუ საერთო წესი მოქმედებს იმ შემთხვევებში, როცა სამართლის ნორმებით არ არის გათვალისწინებული სპეციალური მითითებები მტკიცების ტვირთის (ვალდებულების) გადანაწილების შესახებ.

სამოქალაქო საპროცესო სამართალში ერთმანეთთან არის შეხამებული მტკიცების ტვირთის (ვალდებულების) განაწილების ზოგადი და კერძო წესები.

თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზეც ის მიუთითებს როგორც თავისი მოთხოვნებისა და შესაგებლის საფუძველზე. დასახელებული ზოგადი წესი (დანაწესი) არ გამოიყენება, როცა მტკიცების ვალდებულება კანონის მიხედვით ეკისრება განსაზღვრულ მხარეს, ან როცა კანონში პირდაპირი მითითების არარსებობის დროს მტკიცების ვალდებულება ეკისრება იმ მხარეს, რომელსაც შეეძლო და უნდა უზრუნველეყო თავისი თავი მტკიცებულებებით თავისი ინტერესების შესაბამისად[1].

მტკიცების ვალდებულების განაწილების ზოგადი წესიდან გამონაკლისები დგინდება როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის ცალკეულ ნორმებში ასახული სპეციალური წესებით.

მტკიცების ვალდებულების განაწილების სპეციალური (კერძო) წესების დადგენის ყველაზე უფრო გავრცელებული საშუალებაა მტკიცებულებითი პრეზუმფცია — ფაქტის არსებობის ან მისი არარსებობის შესახებ ვარაუდი, სანამ სხვა რამ არ არის დამტკიცებული.

მატერიალური სამართლის (სამოქალაქო, შრომის და სამართლის სხვა დარგების) ნორმებში ასახულია მტკიცების წესები, რომლებიც პრეზუმფციების მეშვეობით აკისრებენ განსაზღვრულ მხარეს ფაქტის დამტკიცების მოვალეობას.

---

[1] **იხ. Авдюков М.Г. Распределение обязанностей по доказыванию в гражданском процессе// Советское государство и право. 1972г. №5 გვ.50**

მაგალითად, მხარეს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე უფლება აქვს მეორე მხარისაგან მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ხელშეკრულების დასადებად, თუ დაამტკიცებს, რომ ეს ხელშეკრულება მეორე მხარის ბრალეული მოქმედების შედეგად არ დადებულა. თუ ეს ვერ დაამტკიცა, მაშინ ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც არ წარმოიშობა. ამ ნორმაში მტკიცების ვალდებულების განაწილების წესი ეფუძნება მოპასუხის არაბრალეულობის პრეზუმფციას.

სამოქალაქო მატერიალურ სამართალში ყველაზე უფრო გავრცელებულია ორი სახის მტკიცებულებითი პრეზუმფცია:

1) ზიანის მიმყენებლის ბრალის პრეზუმფცია;

2) იმ პირის ბრალის პრეზუმფცია, რომელმაც არ შეასრულა ვალდებულება ან არაჯეროვნად შეასრულა იგი.

როდესაც განიხილება დავები ზიანის ანაზღაურების შესახებ, მოსარჩელე, მართალია ასეთ საქმეზე მიუთითებს მოპასუხის ბრალზე, მაგრამ არ არის ვალდებული დაამტკიცოს იგი, როგორც ეს უნდა განეხორციელებინა სხვა შემთხვევაში, მტკიცების ზოგადი (საერთო) წესიდან გამომდინარე. კერძო სამართალი მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს ცვლის, კერძოდ: ზიანის მიმყენებელია ვალდებული დაამტკიცოს, რომ ზიანი მისი ბრალით არ არის მიყენებული. ზიანის მიმყენებლის ბრალი ვრცელდება ზიანის მიყენების ფაქტიდან წარმოშობილ ყველა ვალდებულებაზე.

საოჯახო, შრომის და სამოქალაქო საპროცესო სამართლის ნორმებში აგრეთვე არსებობს პრეზუმფციები, რომლებიც ცვლიან მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად წესს, "თუმცა ისინი არც თუ ისე მკაფიოდ არიან ფორმულირებულნი კანონში როგორც ამას ზოგჯერ ადგილი აქვს სამოქალაქო სამართალში."[1]

მაგალითად, შვილის წარმოშობა დაქორწინებული მშობლებისაგან, სსკ-ის 1189-ე მუხლის თანახმად, მშობელთა ქორწინების შესახებ ჩანაწერით დასტურდება. სსკ-ის 1188-ე მუხლის შესაბამისად, მამის გარდაცვალების შემთხვევაში ბავშვი დაქორწინებული მშობლებისაგან წარმოშობილად ჩაითვლება, თუ იგი დაიბადა მამის გარდაცვალებიდან არა უგვიანეს 10 თვისა. მოცემული ნორმიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ მის ჰიპოთეზაში გათვალისწინებული პირობების არსებობისას ბავშვის მამად მიიჩნევა ის პირი, რომელიც ბავშვის დედასთან ქორწინებაში იმყოფებოდა, თუ სხვა რამე დამტკიცებული არ არის.

ბავშვის დედის ქმრის მამობა დასტურდება მათი ქორწინების შესახებ ჩანაწერით. „უსაფუძვლოა დედას მოეთხოვოს იმის მტკიცება, რომ გაჩენილი ბავშვის მამა მასთან ქორწინებაში რეგისტრირებული პიროვნებაა, ან პირიქით — მამამ ამტკიცოს, რომ სწორედ იგია რეგისტრირებული ქორწინებით გაჩენილი ბავშვის მამა[2]". ის წესი, რომ მოსარჩელე არ არის ვალდებული ამტკიცოს მამობის ფაქტი, როდესაც ბავშვი დაიბადა რეგისტრირებული ქორწინებიდან, მოქმედებს საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე ნებისმიერი კატეგორიის (ალიმენტის გადახდევინება და სხვა) საქმეზე. მამობის ფაქტი კანონიდან გამომდინარე, არსებულად ივარაუდება.

თუ მოპასუხეს მიაჩნია, რომ მამობის ჩანაწერი ბათილია, მას ეკისრება იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი (ვალდებულება), რომლებიც ადასტურებს მამობის ჩანაწერის ბათილობას.

შრომის სამართლის ნორმების შესაბამისად, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შეიძლება დაიდოს წერილობითი ხელშეკრულება დასაქმებულის სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ მინდობილი (მიბარებული) ფასეულობებისათვის.

ასეთი ხელშეკრულების არსებობის დროს ზიანის მიყენების შემთხვევაში დამსაქმებელი ვალდებულია დაამტკიცოს მიყენებული ზიანის ოდენობა (მოცულობა). თვითონ დასაქმებული კი ვალდებულია დაამტკიცოს ბრალის არარსებობის ფაქტი ან შრომის არასათანადო პირობების შექმნის ფაქტი. დასაქმებულის (მატერიალურად პასუხისმგებელი პირი) ბრალი ზიანის მიყენებაში ივარაუდება.

მტკიცებულებათა დაფარვის თუ დამალვის და მტკიცებისაგან თავის არიდების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებაა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის სხვადასხვა ნორმით გათვალისწინებული პრეზუმფციები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 136-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, თუ წერილობითი მტკიცების წარდგენაზე არასაპატიო მიზეზით უარს ამბობს ერთ-ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფს, რომ მტკიცებულება მის ხელთაა, სასამართლოს შეუძლია მტკიცებულების გამოთხოვის შესახებ შუამდგომლობის აღმძვრელი პირი გაათავისუფლოს იმ ფაქტის მტკიცების ტვირთისაგან, რომელიც ამ მტკიცებულებით უნდა დაედასტურებინა და ასეთი ტვირთი გადააკისროს მხარეს, რომელიც უარს ამბობს წერილობითი მტკიცებულების წარდგენაზე. ანალოგიური წესია დადგენილი ნივთიერი მტკიცებულების წარდგენაზე უარის თქმის შემთხვევაში (იხ. სსსკ-ის 157-ე მუხლი).

ამდენად, თუ ის მხარე, რომელიც ვალდებულია დაამტკიცოს თავისი მოთხოვნები და შესაგებელი, ინახავს მასთან მყოფ მტკიცებულებებს და მათ სასამართლოს არ წარმოუდგენს, სასამართლოს უფლება აქვს თავისი დასკვნები მეორე მხარის ახსნა-განმარტებებით დაასაბუთოს.

---

[1] **სამართლებრივი პრეზუმფციების შესახებ დაწვრილებით იხ. Боннер А.Т. Устоновление обстоятельств гражданских дел. М. 2000г. გვ. 122-148**

[2] **იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბილისი 2000წ. გვ. 155**

სსსკ-ის 169 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ მხარე არასაპატიო მიზეზით არ ასრულებს ექსპერტის მითითებებს, ან სხვაგვარად ხელს უშლის ექსპერტიზის ჩატარებას, მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია ჩაითვლება დადასტურებულად. მაგალითად, მხარის მიერ ექსპერტიზაში მონაწილეობისაგან თავის არიდების შემთხვევაში (ექსპერტიზაზე გამოუცხადებლობა, გამოკვლევისათვის აუცილებელი საგნების წარუდგენლობა ექსპერტთათვის), როცა საქმის გარემოებათა მიხედვით ამ მხარის მონაწილეობის გარეშე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელია, სასამართლოს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი მხარე არიდებს თავს ექსპერტიზას, აგრეთვე თუ რა მნიშვნელობა გააჩნია მისთვის, უფლება აქვს დადგენილად ან არარსებულად მიიჩნიოს (ცნოს) ის ფაქტი, რომლის გამოსარკვევადაც (დასადგენად) იქნა დანიშნული ექსპერტიზა.

პრეზუმფციებზე დაფუძნებული მტკიცების ტვირთის განაწილების კერძო წესების არსი იმაში მდგომარეობს, რომ განსაზღვრული ფაქტის მტკიცების განსაკუთრებული სირთულის დროს, კანონი ათავისუფლებს მხარეს ამ ვალდებულებისაგან, თუ დამტკიცებულია მასთან დაკავშირებული მეორე (სხვა) ფაქტი.

საპირისპირო (საწინააღმდეგო) ფაქტის დამტკიცების ვალდებულება ეკისრება მეორე მხარეს. ფაქტები დგინდება მტკიცების ზოგადი (საერთო) შედეგების მიხედვით. ფაქტი დადგენილად ითვლება, თუ მტკიცების ვალდებულება არ არის შესრულებული იმ მხარის მიერ, რომელსაც ის ეკისრება სამართლის ნორმით.

როცა მტკიცებულებები არ არის საკმარისი ფაქტის შესახებ პირდაპირი, უტყუარი დასკვნისათვის, სასამართლოს პრეზუმფციის მეშვეობით, რომლიდან გამომდინარე დასკვნაც არ არის უარყოფილი საქმის განხილვის დროს, უყალიბდება გარკვეულწილად საალბათო ცოდნა ფაქტის შესახებ.

მტკიცება არის მტკიცების სუბიექტების უფლებაც და მოვალეობაც. პრეზუმფციები ათავისუფლებენ მხარეს მტკიცებულების ტვირთისაგან (ვალდებულებებისაგან), მაგრამ არ ართმევენ მას მტკიცებულებათა მოხმობის, ფაქტის არსებობის დასაბუთების უფლებას.

როგორც წესი, მხარე სრულად იყენებს თავის უფლებებს და იჩენს აქტიურობას ფაქტების დამტკიცების საკითხში, რაც მის ინტერესებში შედის, თუნდაც ის გათავისუფლებულიც იყოს მტკიცების ვალდებულებისაგან კანონიდან გამომდინარე და კანონის საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო სამართალი არ იცნობს უდავო (უცილობელ) მტკიცებულებით პრეზუმფციებს. ნებისმიერი ვარაუდი (პრეზუმფცია) შეიძლება იქნეს უარყოფილი სასამართლო მტკიცებულებებით.

ზოგჯერ პრეზუმფცია განიხილება მტკიცებულებად ამ სიტყვის ფართო გაგებით და არა როგორც მტკიცების ტვირთის განაწილების საშუალება.

მტკიცებულებით სამართალში პრეზუმფცია არის ფაქტის არსებობის შესახებ დასკვნა, რომლის არსებობა ივარაუდება იურიდიულად მნიშვნელოვანი იმ სხვა ფაქტიდან გამომდინარე, რომელიც დადგენილია (დამტკიცებულია).

პრეზუმფციების მიზანია შეუმსუბუქოს მხარეებს იმ მტკიცებულებათა წარდგენა, რომლებიც შეეხება საქმეს, მაგრამ არ გააჩნიათ გადამწყვეტი მნიშვნელობა. პრაქტიკულად პრეზუმფცია მოწმობს იმას, ვინ წააგებს საქმეს, თუ არ წარადგენს მტკიცებულებას.

საერთოდ ყოველგვარ ლოგიკას არის მოკლებული „უდავო პრეზუმფციების“ ცნება. მიგვაჩნია, რომ ნებისმიერი ვარაუდი შეიძლება სადავო გახდეს და უარყოფილ იქნეს.

ყოველივე ზემოთქმულის გარდა, მატერიალური სამართლის ნორმებში ხშირად მართალია არ გვაქვს მოცემული პრეზუმფციები, მაგრამ მათში ასახულია მტკიცების ტვირთის განაწილების სხვა საშუალებები.

მაგალითად, პირს შეუძლია სასამართლოს მეშვეობით მოითხოვოს მისი პატივისა და ღირსების ხელმყოფი ცნობების უარყოფა, ხოლო თუ ასეთი სიკეთეების დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით მას შეუძლია მოითხოვოს ზიანის (ზარალის) ანაზღაურებაც (სსკ-ის მე-18 მუხლი). ამ ნორმაში პრეზუმფციები არ არის მოცემული. მოპასუხე ვალდებულია დაამტკიცოს, რომ პირადი არაქონებრივი უფლებების შელახვაში ბრალი არ მიუძღვის.

კანონი ასეთ ნორმას ადგენს პატივისა და ღირსების დაცვის მიზნით, აგრეთვე იმის გამო, რომ ცნობების გამავრცელებელს პროცესამდე ხელთ აქვს მტკიცებულებები და ამიტომ მან უნდა დაამტკიცოს, რომ მოსარჩელის უფლებათა დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის.

მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალური წესები გვხვდება შრომის სამართალში. სასამართლო პრაქტიკამ, შრომითი ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე, ამ სფეროში შეიმუშავა ცალკეული კერძო წესი, რომელიც არ ემთხვევა მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგად ანუ საერთო წესებს.

მაგალითად, შრომის ანაზღაურების გადახდევინების, ასევე კომპენსაციის გადახდის შესახებ სარჩელებზე, დამსაქმებელი ვალდებულია წარადგინოს ანგარიშსწორების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რამდენადაც იგი ახორციელებს სამუშაოს (შრომის) ოდენობაზე, ხარისხსა და ანაზღაურებაზე კონტროლს.

სამოქალაქო საქმე არსებითად შეიძლება გადაწყდეს მტკიცების ტვირთის განაწილების წესების საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა და სასამართლომ გამოიყენეს მტკიცებულებათა შესაგროვებლად კანონით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა.

მხარის მიერ მტკიცების ვალდებულების შესრულების შეფასების კრიტერიუმია სასამართლოს დასკვნების გამოსატანად და სასამართლო აქტის დასასაბუთებლად მოხმობილი ფაქტების დასამტკიცებლად (დასადასტურებლად) წარდგენილი მტკიცებულებების საკმარისობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. გამომც. „სამართალი“, თბილისი 2000წ.
2. თ. ლილუაშვილი - სამოქალაქო საქმეთა წარმოება სასამართლოში პრაქტიკული სახელმძღვანელო მე-2 გამოცემა. გამომცემლობა “ჯისიაი” 2001.
3. შ. ქურდაძე - სამოქალაქო საქმეთა განხილვა პირველი ინსტაციის სასამართლოში. გამომც. „მერიდიანი“, თბილისი 2006წ.
4. Лилуашвили Т.А. «Предмет доказывания и распределения времени доказывания между сторонами в советском гражданском процессе: Автор дис. канд. юрид. наук. М. 1961г.
5. Хрестоматия по гражданскому процессу. М. 1996г.
6. М. К. Треушников «Судебные доказательства». Издание третье, исправленное и дополненное. М. 2004г.
7. Авдюков М. Г. «Распределение обязанностей по доказыванию в гражданском процессе». Советское государство и право. 1972г. №5
8. Авдюков М.Г. Клейнман А.Ф. Треушников М.К. Основные черты буржуазного гражданского процессуального права. М. 1978г.
9. Решетникова И.В. «Курс доказательственного права в российском гражданском судопроизводстве.» М. 2000г.
10. Пучинскиий В. К. Английский гражданский процесс.
11. Боннер А.Т. Устоновление обстоятельств гражданских дел. М. 2000г.
12. Гурвич М.А. «Является ли доказывание в гражданском процессе юридической обязанностью» Советская юстиция. 1975г. №5
13. Арчер П. Английская судебная система. М. 1959г.
14. Hoffman W. Trial Technicque Under New York Civil Practical Law and Rules (CPLR) N.Y. 1963

შალვა ქურდაძე, ნინო ხუნაშვილი

მტკიცების ტვირთვი სამოქალაქო პროცესში

რეზიუმე

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთი წარმოადგენს მტკიცების ზოგად წესს. ამგვარი ზოგადი წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მატერიალური კანონმდებლობით არ არის დადგენილი მტკიცების სპეციალური წესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის არასწორად ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით საჭიროა დაიხვეწოს იგი და შესაბამისად, 102-ე მუხლის 1-ლ ნაწილს უნდა დაემატოს ბოლოში შემდეგი წინადადება: „თუ კანონით მტკიცების ტვირთის განაწილების სხვა წესი არ არის დადგენილი“

Shalva Kurdadze, Nino Chunashvili

Burden of Proof According to Civil Procedure Law

Abstract

According to Georgian Civil Procedure Code article 102 defines general rule of burden of proof. This general rule acts only if material legislation doesn’t determine special rule of burden of proof. If we will to avoid inexact interpretation of article 102 of Georgian Civil Procedure Code it is essential to improve this legislation, to fill gaps and to add this appendix to I part of Article 102 - „If according to Georgian legislation other rule of burden of proof is not determined“.

Appendix to part of Article 102 - „If according to Georgian legislation other rule of burden of proof is not determined“.

რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია

მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები

გასული წლის დეკემბერში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ისინი უმეტესად საოჯახო კანონმდებლობას ეხება. ერთ სტატიაში ყველა მათგანზე ყურადღების გამახვილება შეუძლებელია. ამიტომ ძირითადად შემოვიფარგლებით მამობის დადგენის პრობლემატიკით. ცვლილება-დამატება ძირითადად შევიდა კოდექსის 1190-ე მუხლში. იგი ეხება ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენას. ადრე არსებულ საფუძვლებს დაემატა ბიოლოგიური ან ანთროპოლოგიური კვლევის შედეგების შესაბამისად მამობის დადგენის ვალდებულება. ახალი ნორმა ასეთი შინაარსისაა—,,ბავშვის მამობის დადგენის საკითხს სასამართლო წყვეტს ბიოლოგიური (გენეტიკური) ან ანთროპოლოგიური გამოკვლევის შედეგების (მტკიცებულებების) შესაბამისად, რომელიც შეეხება ბავშვის მამობის განსაზღვრის საკითხს.” მაგრამ თუ ამ საფუძვლით ბავშვის მამობის დადგენა შეუძლებელია, სასამართლო მხედველობაში იღებს მამობის დადგენის აქამდე მოქმედ საფუძვლებს. ესენია: ბავშვის დედასა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საერთო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე; ბავშვის ერთად აღზრდა და რჩენა; დამამტკიცებელი საბუთი, რომელიც სავსებით ადასტურებს მოპასუხის მიერ მამობის აღიარებას.

სიახლეს წამოადგენს აგრეთვე 1190-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ნორმა — ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობა კანონით განსაზღვრული წესით, ასევე შეიძლება დაადგინოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანომ პირის გარკვეულ დროსა და ვითარებაში დაბადების იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენისას. დაბადების დამადასტურებელი დოკუმენტების მნიშვნელობა შეიძლება ქონდეს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას პირის დაბადების ფაქტის დადგენის შესახებ.

როგორც ჩანს საკმაოდ იზრდება დაუქორწინებელი მშობლებისაგან შვილის წარმოშობის დადგენის საფუძვლები და დღის წესრიგში დგება მათი მნიშვნელობის განსაზღვრის საკითხიც. მაგალითად, უნდა მიენიჭოს გენეტიკურ ექსპერტიზას გადამწყვეტი მნიშვნელობა თუ არა სხვა მტკიცებულებების ფონზე. გარდა ამისა, ლოგიკურია ისეთი კითხვებიც როგორიცაა: მამობის დადგენის აღნიშნული საფუძვლები მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენას მამობის განსაზღვრის თაობაზე, თუ გარკვეულ პრეზუმფციას მოპასუხე პირის მიერ ბავშვის დედასთან და ბავშვთან თუნდაც უმნიშვნელო საოჯახო ურთიერთობის დამყარების შესახებ; შესაძლებელია თუ არა პირი ცნობილ იქნეს შემთხვევითი კავშირის შედეგად გაჩენილი ბავშვის მამად და მას დაეკისროს პირადი და ქონებრივი ხასიათის მოვალეობათა მთელი სიმძიმე; მამობის დადგენის კანონით განსაზღვრული საფუძვლები გამოყენებულ უნდა იქნეს თუ არა მაშინაც, როცა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილ ბავშვებთან დაკავშირებული დავები. ამ და მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა ხელს შეუწყობს სამოქალაქო კანონმდებლობის სრულყოფას და აღმოფხვრის იმ წინააღმდეგობებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მამობის დადგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით. ამიტომ მიზანშეწონილია ამ საკითხის უფრო ფართოდ განხილვა და იმ ნიუანსების წარმოჩინება, რომლებიც მომავალში კონკრეტულ წინადადებათა საფუძვლად გამოდგება.

ანალიზი დავიწყოთ იმის აღნიშვნით, რომ საოჯახო კანონმდებლობა აღიარებს და იცავს ისეთ ქორწინებას, რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია არა მარტო მეუღლეების, არამედ მათი შვილების ინტერესების დაცვის მიზნით. სწორედ შვილების ინტერესების დაცვის აუცილებლობიდან გამომდინარეობს ბავშვის დედასთან რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მამობის პრეზუმფცია. მართლაც, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გაჩენილი ბავშვის მამა დედის ქმარია. ამიტომ უსაფუძვლოა დედას მოეთხოვოს იმის მტკიცება, რომ გაჩენილი ბავშვის მამა მასთან ქორწინებაში მყოფი პირია, ან პირიქით — მამამ ამტკიცოს, რომ სწორედ იგია რეგისტრირებულ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვის მამა. ეს არ შეესაბამება საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ წარმოდგენებს და შეიძლება მძიმე მდგომარეობაში ჩააყენოს ბავშვის მშობლები.

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლეები ერთობლივი განცხადების საფუძველზე ჩაიწერებიან მათი შვილის მშობლებად. დედის შესახებ ჩანაწერი სრულდება ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულების მიერ გაცემული საბუთის, ხოლო მამის შესახებ — ქორწინების მოწმობის მიხედვით. თუ ბავშვი დაიბადა იმ პირის სიკვდილის შემდეგ, რომელიც რეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებოდა ბავშვის დედასთან, მაშინ სარეგისტრაციო ორგანოში და ბავშვის დაბადების მოწმობაში ბავშვის მამად გარდაცვლილი ჩაიწერება იმ პირობით, თუ მისი გარდაცვალებიდან ბავშვის დაბადებამდე გასულია არაუმეტეს 10 თვისა. მეტი ხნის გასვლის შემთხვევაში საკმაო საფუძველი არსებობს იმისათვის, რომ გაჩენილი ბავშვის მამად სხვა პირი ჩაითვალოს.

მნიშვნელოვან სიძნელეებთან არის დაკავშირებული რეგისტრირებული ქორწინებისას ხელოვნური განაყოფიერებისა და ემბრიონის იმპლანტაციის გზით გაჩენილი ბავშვის რეგისტრაცია და დაბადების მოწმობაში მშობლების ჩაწერის საკითხი. ქალის ხელოვნურად განაყოფიერების დროს რთულად დგას დონორი მამა — კაცის პრობლემა. ასეთ შემთხვევაში ქალის კვერცხუჯრედის განაყოფიერება ხდება მამაკაცის სპერმის მეშვეობით. ამიტომ დღის წესრიგში დგას დონორის ჯანმრთელობის საკითხი. გარდა ამისა, პრაქტიკაში ერთი და იმავე დონორის სპერმის მრავალჯერ გამოყენება ხელოვნური განაყოფიერე-

ბისათვის ბევრ უხერხულობასთანაა დაკავშირებული. ასეთი გზით გაჩენილი მამით ერთი და—ძმები რომლებმაც ერთმანეთის წარმოშობის შესახებ არაფერი იციან, დაქორწინების შემთხვევაში სისხლის აღრევასთან დაკავშირებული ანომალიური შედეგებისთვის არიან განწირულნი, რომ არაფერი ითქვას ზნეობრივ მხარეზე. დაბოლოს, **შესაძლებელია დონორმა სადავოდ გახადოს ყოველგვარი შეთანხმება და მოითხოვოს გაჩენილი ბავშვის მამად მისი აღიარება.** მიუხედავად იმისა, რომ ასეთი დავები დონორს უმეტესად მარტოხელა ქალთან შეიძლება ქონდეს, არც ქორწინებაში მყოფ ქალთან არის იგი გამორიცხული.

ემბრიონის იმპლანტაციის დროს ხდება დონორი ქალის ორგანიზმში სხვა ქალის უკვე განაყოფიერებული კვერცხუჯრედის გადანერგვა. ეს უმეტესად ისეთ შემთხვევებში ხდება, როცა ქორწინებაში მყოფი ქალი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ორსულობას თავს არიდებს, დონორი ქალი კი დროებითი დედის ფუნქციას ასრულებს. **აქაც არის შესაძლებელი დავა წარმოიშვას ბავშვის გენეტიკურ მშობლებსა და სუროგატ დედას შორის.**

ხელოვნური განაყოფიერების დროს ქალი თავის დონორ მამაკაცს არ იცნობს და აქედან გამომდინარე, მათ შორის რაიმე შეთანხმება, ჩვეულებრივ, გამორიცხულია. მაგრამ თუ საიდუმლო დაირღვა და დონორის ვინაობა გაცხადდა, ბავშვის მშობლებს **უფლება არა აქვთ წაუყენონ მას მოთხოვნა მამობის აღიარების შესახებ, ისე როგორც დონორს არა აქვს მამობაზე პრეტენზიის უფლება.** რაც შეეხება ხელოვნურად განაყოფიერებული ქალის ქმარს, რადგან თანხმობა განაცხადა ამ პროცედურაზე, მას უფლება არა აქვს **სადავო გახადოს თავისი მამობა,** მიუხედავად იმისა, რომ იგი არ არის ამ გზით გაჩენილი ბავშვის ბიოლოგიური მამა.

ემბრიონის იმპლანტაციის დროს დონორი ქალის ვინაობა ცნობილია და მეუღლეები ურთიერთშეთანხმების საფუძველზე მასთან აფორმებენ ხელშეკრულებას ემბრიონის იმპლანტირების, ნაყოფის მუცლით ტარებისა და მშობიარობის შემდეგ ბავშვის მათთვის გადაცემის შესახებ. ასეთი ხელშეკრულება შეიძლება სასყიდლიანი იყოს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მნიშვნელოვანი დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია გაჩენილი ბავშვის მშობლად ჩაწერის პრეტენზია **ბავშვის გამჩენ ქალს გაუჩნდეს**. ამიტომ ხელოვნური განაყოფიერებისა და ემბრიონის იმპლანტაციის გზით ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები, თუ ამ პროცესის მონაწილე მხარეები ვერ ახერხებენ მათ მოგვარებას, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, მაგრამ როგორ — ობიექტური ჭეშმარიტების დადგენით თუ მშობლებისა და შვილების ინტერესების გათვალისწინებით?

დიდი მნიშვნელობა გააჩნია დაუქორწინებელი მშობლებისაგან გაჩენილი ბავშვის წარმოშობის დადგენას, მიუხედავად იმისა, რომ მას არა აქვს გავრცელებული ხასიათი. იგი საფუძვლად ედება ბავშვის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრას. მიზეზი, რომლის გამოც ერთმანეთთან ახლო ურთიერთობაში მყოფ პირებს ქორწინების რეგისტრაცია არ სურთ, შეიძლება სხვადასხვა იყოს. მიუხედავად ამისა, ისინი უმრავლეს შემთხვევაში ნებაყოფლობით კისრულობენ იმ მოვალეობებს, რასაც კანონი აწესებს ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებით. სწორედ ასეთ შემთხვევას ითვალისწინებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლი, რომლის მიხედვითაც ბავშვის გაჩენა ისეთი მშობლებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან, დასტურდება სარეგისტრაციო ორგანოში დაბადების ფაქტის რეგისტრაციის შესახებ ბავშვის დედისა და მამის ერთობლივი განცხადების საფუძველზე. გაჩენილი ბავშვის დედად პირის აღიარება ეყრდნობა მისგან ამ ბავშვის გაჩენის ფაქტს. მამად პირის ცნობა კი ხდება მისივე განცხადების საფუძველზე. მამობის ნებაყოფლობითი აღიარება ცალმხრივი იურიდიული აქტია, რომელიც მამასა და შვილს შორის განსაკუთრებულ სამართლებრივ ურთიერთობას წარმოშობს. ქორწინების გარეშე გაჩენილი ყველა ბავშვის მამობის აღიარებაა დასაშვები. არა აქვს მნიშვნელობა როდის გაჩნდნენ ისინი, არასრულწლოვნები არიან თუ სრულწლოვნები, ბავშვი ხანგძლივი თანაცხოვრების პერიოდშია გაჩენილი თუ შემთხვევითი კავშირის შედეგად. ყველა შემთხვევაში მშობლებს ერთობლივი განცხადება შეაქვთ სარეგისტრაციო ორგანოში. ეს ქმნის იმის ფორმალურ საფუძველს, რომ მამობის დადგენის დროს დედის ნება-სურვილიც გათვალისწინებული იყოს. სინამდვილეში, ბავშვთან სამართლებრივი კავშირის დასადგენად, მთავარია მხოლოდ მამის სურვილი. დედა მხოლოდ თანხმობას აცხადებს იმაზე, რომ კონკრეტული პირი აღიარებულ იქნეს ბავშვის მამად. თვითონ დედა უკვე იმყოფება ბავშვთან სამართლებრივ ურთიერთობაში. მამობის აღიარების დროს პრეტენზიის მქონე პირის სურვილის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სარეგისტრაციო ორგანოში პირი მამად შეიძლება გატარდეს დედის გარდაცვალების ან მისი საცხოვრებელი ადგილის დადგენის შეუძლებლობისა და ზოგიერთ სხვა შემთხვევაშიც.

მამობის აღიარება პირს შეუძლია ბავშვის დედასთან დაქორწინების შემთხვევაშიც, მაგრამ სარეგისტრაციო ორგანოში მისი სურვილი აუცილებლად უნდა იქნეს განცხადებული. მისი განცხადება საფუძვლად დაედება თავისი ცოლის შვილის მამად მის აღიარებას. თუ პირი თავისი ცოლის შვილის მამად მისი თანხმობის გარეშე იქნა აღიარებული, მას შეუძლია ჩანაწერის გაუქმება მოითხოვოს. ამგვარად, **შესაძლებელია ბავშვის მამობა აღიარებულ იქნეს იმ პირის მიერაც, რომელიც არ არის მისი ბიოლოგიური მშობელი.** მამობის აღიარების ფაქტს უკუქცევითი ძალა გააჩნია. სამართლებრივი ურთიერთობა მამისა და მისი ნათესავების მიმართ წარმოშობილად ითვლება ბავშვის დაბადების მომენტიდან, სრულწლოვანი პირის მიმართ მამობის აღიარებისთვის საჭიროა მისი თანხმობა. თუ იგი ქმედუუნაროა, მის ნაცვლად თანხმობას იძლევა მეურვე, ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო. მამობის ნებაყოფლობითი აღიარება შეუძლია არა მარტო სრულწლოვან, არამედ არასრულწლოვან პირსაც. ეს იმ შემთხვევაში, როცა მამა შეიძლება გახდეს არასრულწლოვანი ვაჟი. ასეთ შემთხვევაში მას აქვს თავისი შვილის მა-

მად რეგისტრაციაში გატარების უფლება. მამობის აღიარების უფლებას არ არის მოკლებული ისეთი პირი, რომელსაც სასამართლოს მიერ შეზღუდული აქვს ქმედუნარიანობა, რადგან ასეთი შეზღუდვა საოჯახო არაქონებრივი ხასიათის ურთიერთობებზე არ ვრცელდება. ასეთ პირს, შესაძლებელია ბავშვის დედამ ან მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ არ მიაღებინოს უშუალო მონაწილეობა ბავშვის აღზრდაში. რაც შეეხება სასამართლოს მიერ ჭკუასუსტობის ან სულიერი ავადმყოფობის გამო ქმედუუნაროდ ცნობილ პირებს, მათ არა აქვთ მამობის აღიარების უფლება, რადგან ამ საკითხში მათი სურვილის გამოვლენა არავითარ იურიდიულ შედეგს არ წარმოშობს, ხოლო წარმომადგენელთა მეშვეობით საოჯახო სამართლებრივი აქტების შესრულება არ შეიძლება. ამგვარად, **ქმედუუნარო პირს, რომელიც შეიძლება ბავშვის ბიოლოგიური მამაც იყოს, არა აქვს მისი მამობის აღიარების უფლება.**

იმ შემთხვევაში, როცა ბავშვის მშობლები დაქორწინებულები არ არიან და პირი უარყოფს ბავშვის მამობას, შეიძლება მამობა სასამართლოს წესით დადგინდეს. ასეთი საქმე სასამართლოში განიხილება სასარჩელო წესით. მამობის დადგენის შესახებ სასამართლოში განცხადების შეტანა შეუძლიათ ბავშვის დედას, მეურვეს ან მზრუნველს, პირს, რომლის კმაყოფაზეც იმყოფება ბავშვი ან თვითონ ბავშვს სრულწლოვნობის მიღწევის შემდეგ. ნებისმიერი განცხადება მამობის დადგენის შესახებ სასამართლომ განსახილველად უნდა მიიღოს, დეტალურად განიხილოს კანონით განსაზღვრული აუცილებელი საფუძვლები და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება. თუ გენეტიკური ან ანთროპოლოგიური გამოკვლევების მონაცემით შეუძლებელია მამობის დადგენა, სასამართო მხედველობაში მიიღებს მამობის დადგენის სხვა საფუძვლებს.

ბავშვის დედისა და მოპასუხის ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის წარმოება ბავშვის დაბადებამდე სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი ურთიერთობა ბავშვის დაბადებამდე უნდა გაგრძელდეს. ხშირად ქალის დაორსულება საფუძვლად ედება მასთან მამაკაცის ურთიერთობის შეწყვეტას. ამიტომ ასეთი ურთიერთობის შეწყვეტა ბავშვის დაბადებამდე არ შეიძლება მამობის დადგენის შესახებ სარჩელის დაუკმაყოფილობის საფუძველი გახდეს. ამასთან, მხედველობაში არ მიიღება ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება, თუ იგი ბავშვის ჩასახვამდე შეწყდა. ამ დროს მთავარია დადგინდეს, რომ მშობლები ერთად ცხოვრობდნენ ბავშვის ჩასახვის მომენტიდან და ასე გრძელდებოდა გარკვეული პერიოდის განმავლობაში. ერთად ცხოვრებასა და საერთო მეურნეობის წარმოებაში იგულისხმება: ერთ საცხოვრებელ ბინაში ცხოვრება, ერთად კვება, ურთიერთზრუნვა, ნივთების შეძენა საერთო სარგებლობისათვის და სხვ.

ბავშვის ერთად აღზრდასა და რჩენაში არ იგულისხმება ამ ორი მომენტის თანადამთხვევა, საკმარისია ერთ-ერთი მათგანის არსებობა. შეიძლება მამა ბავშვის სარჩენად ხარჯებს არ იღებდეს, მაგრამ ზრუნავდეს მის აღზრდაზე და, პირიქით, შეიძლება მამა უშუალოდ არ ზრდიდეს ბავშვს, მაგრამ გარკვეულ ხარჯს იღებდეს მის სარჩენად.

დამამტკიცებელი საბუთები, რომლებიც სავსებით ადასტურებენ მოპასუხის მამობის აღიარებას, შეიძლება იყოს: წერილები, ანკეტები, მოპასუხის განცხადებები და სხვა ფაქტობრივი მონაცემები. შეიძლება ირიბი მტკიცებულებების მნიშვნელობა ქონდეს მოწმეთა და თვითმხილველთა ჩვენებებს. მათი ანალიზის საფუძველზე უნდა დადგინდეს, რომ მოპასუხე თავისად აღიარებდა არა თუ გაჩენილ ბავშვს, არამედ ჩასახულსაც, რომლის დაბადებასაც მოუთმენლად ელოდა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათაგან ერთ-ერთის არსებობა მამობის სასამართლო წესით დადგენის სერიოზული საფუძველია. თითოეული მათგანი მამობის პრეზუმციის დამოუკიდებელი დასტურია. მათ შინაარსში ნათლად ჩანს საოჯახო ურთიერთობის ცალკეული ელემენტები. მართალია, მათი განვითარება ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მიდის, მაგრამ თითოეული მათგანი გამორიცხავს ბავშვის გაჩენის შემთხვევითობას. მოპასუხე გრძნობს ბავშვის დედასთან ან ბავშვთან საოჯახო ურთიერთობის ზნეობრივი საფუძვლების არსებობას და განსაზღვრულ მომენტამდე საოჯახო სამართლებრივ მოვალეობასაც ასრულებს ნებაყოფლობით, მაგრამ სხვადასხვა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო, ბოლომდე არ სურს იკისროს მშობლის სამართლებრივი ვალდებულება. ამგვარად, სამივე გარემოება ეყრდნობა კვაზი საოჯახო ურთიერთობების არსებობის ფაქტებს – მათ შორის ბავშვის გაჩენის დასაშვებლობასაც. რაც შეეხება სხვადასხვა სახის ექსპერტიზას, რომლებიც დღემდე გამოიყენება მამობის დადგენის პროცესში, ისინი სრულყოფილ და უდავო საფუძვლად არ მიიჩნევა. მაგალითად, სისხლის სასამართლო — სამედიცინო ექსპერტიზა განსაზღვრავს სისხლის ჯგუფობრივ ან ტიპობრივ და არა ინდივიდუალურ კუთვნილებას და იძლევა მამობის გამორიცხვისა და არა დადგენის საშუალებას. განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გინეკოლოგიურ ექსპერტიზას, რომლის ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის ჩასახვის ვადების დადგენა. ასეთი ექსპერტიზის საფუძველზე შეიძლება მოპასუხემ საეჭვოდ ჩათვალოს მოსარჩელესთან ერთად ცხოვრების პერიოდში ბავშვის ჩასახვის ფაქტი. ურولოგიური ექსპერტიზა მოპასუხის განაყოფიერების უნარის დადგენას ისახავს მიზნათ. გრაფიკული ექსპერტიზით კი იმ საბუთის მოპასუხის მიერ შექმნა შეიძლება დადასტურდეს, რომლითაც მისი მამობაა აღიარებული. აღნიშნული ექსპერტიზების მონაცემების გამოყენებამ შეიძლება ხელი შეუწყოს სასამართლოს დასაბუთებული და ობიექტური გადაწყვეტილებების მიღებაში. მათ სხვა მტკიცებულებათა მიმართ რაიმე უპირატესობა არ გააჩნია.

უკანასკნელ პერიოდში სამედიცინო და ბიოლოგიური მეცნიერებების განვითარების კვალობაზე, მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული გენურ ინჟინერიაში. დადგენილია, რომ ყველა ადამიანის გენებში არსებული სპეციფიური მჟავა (დ.ნ.მ.) განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს კი საფუძვლად დაედო პიროვნების იდენტიფიკაციისა და ნათესაობის დადგენის ახალ მეთოდს – გენური დაქტილოსკოპიის დამკვიდრებას. იგი ემყარება ადამიანის მემკვიდრეობითი ნიშან-თვისებების ერთობლიობის ბაზაზე შექმნი-

ლი უნიკალური კომბინაციის შთამომავლობისათვის გადაცემის მექანიზმს. მის საფუძველზე ჩატარებული გენეტიკური ექსპერტიზა დიდი სიზუსტით ადგენს ბავშვის ამა თუ იმ პირისაგან წარმოშობის ფაქტს. გამოკვლევის ობიექტად გამოიყენება სისხლი, სხეულის ძვლის ნაწილები და სხვ. გენეტიკური ექსპერტიზის მასალების გამოყენება შეიძლება არა მარტო მაშინ, როცა მამობის დადგენა უნდა მოხდეს სასამართლო წესით, არამედ უმეტესად მაშინ, როცა პირს გარკვეული პრეტენზია გააჩნია ბავშვის მშობლობაზე, ამა თუ იმ პირთან სისხლით ნათესაობაზე და ა.შ. გენეტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს შესაძლებელია გამოსაკვლევი ობიექტის არაკვალიფიციურად მოპოვების გამო ან სხვა მიზეზით, გამოკვლეული მასალები სანდო არ აღმოჩნდებს. ამიტომ მიზანშეწონილია გამოკვლეულ მონაცემებთან ერთად სასამართლომ სხვა მტკიცებულებებიც გამოიყენოს. სასამართლოს უმთავრეს მიზანს არ უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა იმის თაობაზე, რომ ბავშვი ნამდვილად მოპასუხისაგან წარმოიშვა. მამობის პრეზუმცია უნდა ემყარებოდეს მოპასუხის საოჯახო ურთიერთობებში განსაზღვრული ხარისხით ჩართულობასაც. სასამართლომ უნდა განსაზღვროს ბავშთან და მის დედასთან სავარაუდო მამის ურთიერთობის ის ხარისხი, რაც ლოგიკურად საფუძვლად დაედება ამ უკანასკნელისათვის მშობლიური უფლება-მოვალეობების დაკისრებას, მით უმეტეს, რომ მას შეუძლია სასამართლოში წარადგინოს მისი მამობის გამაბათილებელი საბუთები –ბავშვის ჩასახვის მომენტში ხანგრძლივ მივლინებაში ყოფნა, განაყოფიერების უნარის უქონლობა, იმპოტენტობა, არასწორად ჩატარებული ექსპერტიზა და სხვ.

სწორედ ამიტომაა, რომ სასამართლო ზოგჯერ უარს ამბობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე ისეთ შემთხვევებში, როცა ქალსა და მამაკაცს შორის არსებობდა შემთხვევითი, ხანმოკლე კავშირი და მამაკაციც არ უარყოფს იმას, რომ შეიძლება ბავშვი ასეთ კავშირისაგან იყოს გაჩენილი. ბავშვის გაჩენისადმი ასეთი არასერიოზული და ქარაფშუტული დამოკიდებულება, შემთხვევითი სქესობრივი კავშირები და მოსალოდნელი შედეგების გაუთვალისწინებლობა არ შეიძლება მოპასუხისათვის სერიოზული ზნეობრივი და მატერიალური ვალდებულებების დაკისრების საფუძველი გახდეს. არც მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნას უნდა მიეცეს დამოუკიდებელი და გადამწყვეტი მნიშვნელობა. იგი სხვა მტკიცებულებებთან უნდა გამოიყენოს სასამართლომ. ამ აზრს ადასტურებს სამოქალაქო კოდექსის 1190-ე მუხლის მე-8 პუნქტში განმტკიცებული ნორმა იმის შესახებ, რომ სასამართლოს შეუძლია უარი თქვას ბავშვის მამობის დადგენაზე (თუნდაც ეს გენეტიკური ექსპერტიზის საფუძველზე იყოს დამტკიცებული), თუ მისი დადგენა ეწინააღმდეგება ბავშვის ინტერესებს.

ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა :

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ. 1997წ.
2. შალვა ჩიკვაშვილი, საოჯახო სამართალი, თბ. 2004წ.
3. რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია, საოჯახო სამართალი, თბ. 2011წ.
4. ლელა ნადიბაიძე, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა, ჟ. ,,სამართალი" 1996 წ. № 1-2
5. რომან შენგელია, ოჯახის წევრთა სამართლებრივი ურთიერთობანი (კანონის კომენტარები), თბ. 1999წ
6. М.В. Антокольская, Семейное право, М. 1999 г.

რომან შენგელია, ეკატერინე შენგელია

მამობის დადგენის სამართლებრივი საფუძვლები

რეზიუმე

საოჯახო კანონმდებლობა ითვალისწინებს როგორც მამობის ნებაყოფლობით აღიარების, ისე სასამართლო წესით დადგენის აპრობირებულ საფუძვლებს. გასული წლის დეკემბერში სამოქალაქო კოდექსში შეტანილი ცვლილებების მიხედვით შესაძლებლად იქნა მიჩნეული გენეტიკური ან ანთროპოლოგიური გამოკვლევების მასალების საფუძველზე მამობის დადგენის უპირატესობა ტრადიციულ საფუძვლებთან შედარებით. 1190-ე მუხლს დაემატა აგრეთვე ნორმა სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოსათვის ერთმანეთთან დაუქორწინებელი მშობლების მიერ გაჩენილი ბავშვის მამობის დადგენის უფლების მინიჭების შესახებ

Roman Shengelia, Ekaterine Shengelia

Legal Foundations for Paternal Affiliation

Abstract

According to the family law, the establishment of paternity can be done in two ways: recognition and judicial investigation of paternity. The amendments to the civil code adopted in December last year, made it possible to acknowledge the advantage of paternity based on studies of genetic or anthropological materials, compared to the traditional procedures of the establishment of paternity. A new regulation has been added to the Article 1190 that entitles the civil acts record bodies to issue the paternal affiliation certificate to the non-married parents

გელა ალადაშვილი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ტენდენციების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის კონკურენტუნარიანობის საკითხის განხილვა, რაც თავისი არსით უკავშირდება იმ შესაძლებლობების გამოვლენას, რომლითაც ქვეყანას შეუძლია დამკვიდრება გლობალურ არენაზე. ლიბერალიზაციის ტენდენციებმა მსოფლიოს უმრავლეს ქვეყანში ხელი შეუწყო ერთიანი გლობალური კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს კონკურენციულ ბრძოლას და ართულებს წარმატების მოპოვებას. საკითხი აქტუალურია, რადგან მას უკავშირდება ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა.

გლობალიზაციამ დააჩქარა სავაჭრო ბრუნვა, სამუშაო ძალის მიგრაცია, საინვესტიციო, სავალუტო-საკრედიტო, სამეცნიერო-ტექნიკური გაცვლის პროცესი საერთაშორისო მასშტაბით, რამაც, ერთი მხრივ, გამოიწვია ქვეყანათა ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერება და მეორე მხრივ, წარმოშვა სხვადასხვა საფრთხეების სწრაფი გავრცელების საშიშროება. ეს პროცესები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას და იმავე დროს ამაღლებს რისკის ფაქტორს, აფართოებს საშიშროების ზონას არა მარტო ბიზნესისთვის, არამედ სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. 2008 წლის საფინანსო-ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა გლობალურ დონეზე საფრთხეების სწრაფი გავრცელების რეალური შესაძლებლობა. არა მარტო აღნიშნული, არამედ მანამდე განვითარებული მასშტაბური კრიზისები ქვეყნებს უბიძგებს შეიმუშაონ ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, რომლის უმნიშვნელოვანესი შემადგენელია ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების საპასუხოდ, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ეკონომიკური გამოწვევებია, წარმოდგენილია საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. ქვეყნის სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს: ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპის შენარჩუნებას გრძელვადიან პერიოდში, რაც თავისუფალი ბაზრის პრინციპების ეკონომიკაში ფართო დანერგვით, მკაცრი ფისკალური დისციპლინითა და ჯანსაღი მონეტარული პოლიტიკის გატარებით მიიღწევა. ღია პარტნიორული და თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ყველა სახელმწიფოსთან და სახელმწიფოთა გაერთიანებებთან, განსაკუთრებით ევროკავშირთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და რეგიონის ქვეყნებთან, საქართველოს მნიშვნელოვანი არჩევანია. საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკა ეფუძნება ეკონომიკური თავისუფლების პრინციპს საქართველოს ეკონომიკური უსაფრთხოების პოლიტიკა მიზნად ისახავს იმ აუცილებელი პირობების შექმნას, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის განვითარებას, მოსახლეობის კეთილდღეობის ზრდას, ეკონომიკის და მოქალაქეების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას[1]. აღნიშნული მიზნების მისაღწევად მუშაობა დასახულია ასევე, საქართველოს მთავრობის მუშაობის მიმართულებებში და ხაზგასმულია კონკურენტუნარიანობის მიღწევის პრობლემა: საქართველოს ეკონომიკისთვის გამოწვევად რჩება კიდევ უფრო მაღალი კონკურენტუნარიანობა, დამატებითი კონკურენტული უპირატესობების განვითარება[2].

„კონკურენტუნარიანობას“ სხადასხვაგვარად განმარტავენ. აკადემიურ განმარტებებში ყურადღება გამახვილებულია კონკურენტუნარიანობაზე, როგორც ეკონომიკური ცოდნის დარგზე; იგი აანალიზებს ფაქტებსა და პოლიტიკას, რომლითაც ერს შეუძლია შექმნას და შეინარჩუნოს გარემო საწარმოების მიერ მეტი ღირებულებისა და საკუთრი ხალხისთვის მეტი კეთილდღეობის შესაქმნელად. ბიზნესგანმარტებები უფრო მეტად ისეთი გარემოს შექმნაზე აკეთებს ხაზგასმას, რომელიც საწარმოთა კონკურენტუნარიანობას უწყობს ხელს. მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრის დირექტორი, პროფესორი ს. გარელი სხვადასხვა მიდგომების გაანალიზების საფუძველზე გვთავაზობს კონკურენტუნარიანობის ოქროს 10 წესს, რომელიც მოიცავს სტაბილური და გამჭვირვალე საკანონმდებლო გარემოს შექმნას, მოქნილ და სტაბილურ ეკონომიკურ სტრუქტურებზე მუშაობას, ინვესტიციებს ტრადიციულ და ტექნოლოგიურ ინფრასტრუქტურებში, კერძო დანაზოგებისა და შიდა ინვესტიციების ხელშეწყობას, საერთაშორისო ბაზრებზე აგრესიული პოლიტიკის განხორციელებას და შიდა ბაზრების მიმზიდველობის გაზრდას პირდაპირი ინვესტიციებისთვის, ყურადღების გამახვილებას მართვასა და ადმინისტრირებაში ხარისხზე, სიჩქარესა და გამჭვირვალობაზე, კავშირის შენარჩუნებას ხელფასების დონეს, მწარმოებლურობასა და

[1] საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011

[2] საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი), თბ., 2010

დაბეგვრას შორის, სოციალური ქსოვილის შენარჩუნებას ხელფასების უთანაბრობის შემცირებისა და საშუალო კლასის გაძლიერების გზით, მეტ ინვესტირებას განათლებაში, განსაკუთრებით საშუალო განათლებასა და სიცოცხლის მანძილზე სწავლებაში (ტრენინგებში), ეკონომიკური კეთილდღეობის შექმნას, რომელიც ახლოსაა მოქალაქეთა ღირებულებებთან.[1] (აღსანიშნავია, რომ მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ცენტრი ფუნციონირებს მენეჯმენტის განვიათრების საერთაშორისო ინსტიტუტთან, რომელიც 1989 წლიდან აქვეყნებს ქვეყნების კონკურენტუნარიანობის მაჩვენებლებს, მაგრამ საქართველო არ არის ამ ჩამონათვალში).

საქართველოს აღებული აქვს რა ლიბერალური საგარეო პოლიტიკის კურსი, ზემოაღნიშნული დასახული მიზნების მისაღწევად, გლობალიზაციის პროცესების გათვალისწინებით, ცხადია, ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლება უპირველესი რიგის ამოცანაა.

საქართველოს ამჟამინდელ კონკურენტუნარიანობაზე წარმოდგენას გვაძლევს რიგი მაჩვენებლები, რომლებიც გაინგარიშება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ. მაგალითად, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი (GCI), რომელსაც მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი განსაზღვრავს, ზომავს მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. რეიტინგის შედგენისას ეყრდნობიან მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის და სხვა ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებსა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის აღმასრულებელ პირთა მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს. აღნიშნული ინდექსის საყრდენი მაჩვენებლები საინტერესოა იმ მხრივ, რომ გვთავაზობს ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-კლიმატის შექმნის, მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის კუთხით და ამასთან, ეკონომიკური უსაფრთხოების შეფასებისთვის, კონკურენტუნარიანობის პოზიციიდან, ქვეყნის ძლიერი და სუსტი მხარეების, პრიორიტეტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა შემდგომი ქმედებებისთვის.

GCI ქვეყნებს აჯგუფებს განვითარების სამი საფეხურის მიხედვით: ფაქტორმამოძრავებელი, ეფექტიანობის მამოძრავებელი და ინოვაციის მამოძრავებელი. 2010-2011 წლების კვლევის მონაცემებით, რომელიც 139 ქვეყანას მოიცავდა, საქართველო პირველი საფეხურის ქვეყნებს განეკუთვნება ქვეჯგუფში — პირველიდან მეორე საფეხურზე გარდამავალი ქვეყნები (სულ 25 ქვეყანა), სადაც მშპ ერთ სულ მოსახლეზე 2000 – 3000 აშშ დოლარია. საქართველოსთან ერთად ამ ქვეჯგუფში არიან აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა და სხვ.

ქვეყნის რეიტინგის მაჩვენებელი ინდექსი მოიცავს სამ ქვეინდექსს, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს 12 მაჩვენებელს.

1. ფაქტორმამოძრავებელი (ძირითადი მოთხოვნები) მოცავს ინსტიტუტებს, ინფრასტრუქტურას, მაკროეკონომიკურ სტაბილურობას, ჯანდაცვასა და პირველად განათლებას; 2. ეფექტიანობის გამაძლიერებელი (ეფექტიანობის მამოძრავებელი) მაჩვენებელი მოიცავს უმაღლეს განათლებას და ტრეინინგებს, სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობას, შრომის ბაზრის ეფექტიანობას, საფინანსო ბაზრის განვითარებას, ტექნოლოგიურ მზაობას, ბაზრის სიდიდეს; 3. ინოვაციისა და განვითარების ფაქტორი (ინოვაციის მამოძრავებელი) მოიცავს ბიზნესის განვითარებასა და ინოვაციას.

მას შემდეგ, რაც საქართველო გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის გაანგარიშებაში ჩაერთო, მისი სარეიტინგო მაჩვენებელი ასე იცვლებოდა[2]:

ცხრილი 1

საქართველოს რეიტინგი გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, 2004-11 წწ.

2004-05 წწ.	2005-06 წწ.	2006-07 წწ.	2007-08 წწ.	2008-09 წწ.	2009-10 წწ.	2010-11 წწ.
94	86	87	90	90	90	93

საქართველოს ბოლო მონაცემებით აქვს 3,86 ქულა. იმისათვის, რომ გავიაზროთ, ამ მაჩვენებლით რა პოზიცია უჭირავს საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, შესაძლებელია შევუდაროთ რამდენიმე სხვა ქვეყანას. ქვეყნები აღებულია უმაღლესი, საშუალო და ყველაზე დაბალი ქულების მიხედვით, ასევე, აღებულია ზოგიერთი ქვეყნის მონაცემი.

[1] S. garelli, Competitiveness of NAtions: the Fundamentals, IMD World Competitiveness Yearbook, http://garelli.ch/

[2] ცხრილები შედგენილია The Global Competitiveness Index 2010–2011, World Economic Forum-ისა და გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2010 მონაცემებზე დაყრდნობით

ცხრილი 2

საქართველოს რეიტინგის შედარება სხვა ქვეყნებთან, 2010-2011 წწ.

ქვეყანა	საქართველო	შვეიცარია	სინგაპური	საუდის არაბეთი	საბერძნეთი	ჩადი	თურქეთი	აზერბაიჯანი	სომხეთი	უკრაინა	რუსეთი
ქულა	3.86	5.63	5.48	4.95	3.99	2.73	4.25	4.29	3.76	3.90	4.24
პოზიცია	93	1	3	21	83	139	61	57	98	89	63

საქართველოს საერთო მდგომარეობის შეფასებასთან ერთად, რომელიც შეიძლება საშუალოდ შეფასდეს გლობალური მასშტაბით, ეს მაჩვენებლები საყურადღებოა სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების კონკურენტუნარიანობასათან შედარებისთვის (რუსეთის გამოკლებით, რომელთანაც საომარი ვითარებისა და ემბარგოს გამო პირდაპირი შეხება ეკონომიკური კონკურენციის კუთხით დროებით შეწყვეტილია, თუმცა ეს არ გამორიცხავს არაპირდაპირ საკონკურენციო ურთიერთობებს). როგორც ჩანს, დასახელებული ქვეყნებიდან მხოლოდ სომხეთთან შედარებით გვაქვს გლობალური კონკურენტული უპირატესობა.

საქართველოს კონკურენტუნარიანობის რეიტინგი ძირითადი მოთხოვნების, ეფექტიანობის გამაძლიერებელი და ინოვაციისა და განვიათრების ფაქტორების მიხედვით გაუარესებულია 2010-11 წლებში 2006-07 წლებთან შედარებით. მაგალითად, ძირითადი მოთხოვნების კომპონენტი 13 პუნქტით გაუარესებულია; ეფექტიანობის გამაძლიერებელი საშუალო მაჩვენებელი — 7 პუნქტით; ინოვაციისა და განვითარების ფაქტორები — 8 პუნქტით. საერთო სურათი მეტად არახელსაყრელია, თუმცა, მაინც ინტერესს იწვევს ის კონკრეტული სისუსტეები, რომელიც ამ ცალკეული მაჩვენებლის უკან დგას.

სამი გამსხვილებული ფაქტორი თავის მხრივ მოიცავს 12 ინდიკატორს, რომლებიც შედგენილია 110 კომპონენტის 0-დან 7 ქულამდე შეფასების საფუძველზე. თუ ორ ძირითად ჯგუფად გავყოფთ აღნიშნულ კომპონენტებს შეფასების ქულების მიხედვით, შეიძლება ქვეყნის კონკურენტუნარიანობის მდგომარეობა ცალკეული კომპონენტის მიხედვით შევაფასოთ როგორც შედარებითი უპირატესობის მქონედ და შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობის მქონედ. საქართველოს 110 კომპონენტიდან შედარებითი უპირატესობა აქვს 24 კომპონენტის მიხედვით, დანარჩენი (86) კომპონენტების მიხედვით კი არახელსაყრელი მდგომარეობა აქვს. თითოეული ინდიკატორის ცალ-ცალკე განხილვა შესაძლებლობას იძლევა უკეთესად გამოვლინდეს ის საფრთხეები და აუცილებელი სამუშაოები, რაც გასაწევია კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და შესაბამისად, ეკონომიკური უსაფრთხოების გაძლიერებისთვის.

1. ინსტიტუტების ინდიკატორი 21 კომპონენტით ფასდება. საქართველოს შედარებითი უპირატესობა აქვს 7 კომპონენტის მიხედვით (საჯარო სახსრების გვერდის ავლა, სამთავრობო რეგულაციების ტვირთი, არაოფიციალური გადასახადები და ქრთამები, ინვესტორთა მხარდაჭერის გაძლიერება და სხვ.) და არახელსაყრელი მდგომარეობა 14 კომპონენტის მიხედვით (საკუთრების უფლებები, კანონმდებლობის ეფექტიანობა, აუდიტისა და ანგარიშის სტანდარტები და სხვ);

2. ინფრასტრუქტურის ინდიკატორი ფასდება 9 კომპონენტით. შედარებითი უპირატესობა გვაქვს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის ხარისხის მიხედვით, დანარჩენი კომპონენტების მდგომარეობა არახელსაყრელია;

3. მაკროეკონომიკური სტაბილურიბის ინდიკატორი ფასდება 5 კომპონენტით. შედარებითი უპირატესობა გვაქვს ინფლაციის მიხედვით, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსის, ეროვნული დანაზოგების, საპროცენტო განაკვეთების ზრდის, ქვეყნის საკრედიტო რეიტინგის მიხედვით არახელსაყრელი მდგომარეობაა;

4. ჯანდაცვისა და დაწყებითი განათლების ინდიკატორი ფასდება 10 კომპონენტით. ქვეყანას შედარებითი უპირატესობა აქვს იმუნოდეფიციტის პრევენციასა და პირველად განათლებაში, არახელსაყრელი მდგომარეობაა დანარჩენ 8 კომპონენტში, რომელთა შორისაა სიცოცხლის ხანგრძლივობა და დაწყებითი განათლების ხარისხი;

5. უმაღლესი განათლება და ტრენინგი ერთადერთი ინდიკატორია, რომლის 8-ვე კომპონენტში შედარებით ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს საქართველოს, ეს კომპონენტებია: მეორადი განათლება, პროფესიული განათლება, საგანმანათლებლო სისტემის ხარისხი, მათემატიკური და სამეცნიერო განათლების ხარისხი, სკოლებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, სამეცნიერო და სატრნინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები, ადამიანური რესურსების დატრენინგება;

6. სასაქონლო ბაზრის ეფექტიანობა. ფასდება 15 კომპონენტით. შედარებითი უპირატესობა გვაქვს 8 კომპონენტის (ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო პროცედურების რაოდენობა, ბიზნესის დაწყებისთვის საჭირო დრო, სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა, პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე ბიზნესრეგულაციების გავლენა და სხვ.) და შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს 7 კომპონენტის მიხედვით (ადგილობრივი კონკურენციის სიძლიერე, ბაზარზე დომინანტის მოცულობა, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა, მომხმარებელთ ორიენტაციის დონე, მყიდველთა დახვეწილობა და სხვ.);

7. შრომის ბაზრის ეფექტიანობა. 9 კომპონენტიდან შედარებითი უპირატესობა გამოკვეთილია 4 კომპონენტში — ხელფასის განსაზღვრის მოქნილობა, დასაქმების სირთულე, დაქირავებისა და გათავი-

სუფლების პრაქტიკა, გათავისუფლების ხარჯები და არახელსაყრელია მდგომარეობა დანარჩენ 5 კომპონენტში — თანამშრომლობა დამქირავებელ-დაქირავებულს შორის, პროფესიულ მენეჯმენტზე დაყრდნობა, ტვინების გადინება, ანაზღაურება და შრომის ნაყოფიერება, სამუშაო ძალაში ქალთა მონაწილეობა;

8. ფინანსური ბაზრის სრულყოფა 9 კომპონენტს ეყრდნობა, რომელთაგან მხოლოდ ერთის – კაპიტალის ნაკადებზე შეზღუდვის მიხედვით გვაქვს შედარებითი ხელსაყრელი მდგომარეობა, დანარჩენი კომპონენტების (ფინანსური ბაზრის სრულყოფა, ფინანსური მომსახურების ეფექტიანობა, სესხის ხელმისაწვდომობა, დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის საშუალებით და ა.შ.) მიხედვით კი გლობალური კონკურენტუნარიანობა არახელსაყრელია;

9. ტექნოლოგიური მზაობის შესაფასებელი ექვსივე კომპონენტის მიხედვით არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს; ასევე, ანალოგიური მდგომარეობაა დანარჩენი ინდიკატორების მიხედვით: 10. ბაზრის მოცულობის შესაფასებელი 2 კომპონენტის; 11. ბიზნესის განვითარების 9 კომპონენტის და 12. ინოვაციების შესაფასებელი 7 კომპონენტის მიხედვით საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა არახელსაყრელია.

განხილული ინდიკატორიებისა და შესაბამისი კომპონენტების მიხედვით საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის უპირველესი რიგის ამოცანად გვესახება სახელმწიფოს მხრიდან აქტივობის გაძლიერება კანონმდებლობის ეფექტიანობის ასამაღლებლად; ყურადღების გამახვილება ინფრასტრუქტურის ხარისხზე; მუშაობა საპროცენტო განაკვეთების შემცირების მიმართულებით; ჯანდაცვის ეფექტიანი სისტემის შექმნა ჯანმრთელი სიცოცხლისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის საბოლოო მიზნის მისაღწევად; საჭიროა ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობის გაზრდა; შრომის კოდექსის სრულყოფა და ტვინების გადინების შეჩერება; ფინანსური ბაზრის ფორმირებისთვის ხელშეწყობა; ინოვაციური კვლევების დაფინანსება და ტექნოლოგიების საერთაშორისო ტრანსფერების ჯაჭვში ქვეყნის შესაბამისი წრეების (ორგანიზაციების) ჩართვის მხარდაჭერა. უნდა აღინიშნოს, რომ იმედისმომცემია უმაღლესი განათლებისა და ტრენინგების მიმართულებით ხელსაყრელი გლობალური კონკურენტული მდგომარეობა, თუმცა დაწყებითი განათლების ხარისხის ამაღლების მიმართულებით საჭიროა მუშაობის გააქტიურება არახელსაყრელი მდგომარეობიდან უკეთეს პოზიციაში გადასასვლელად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, 2010;
2. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011;
3. საქართველოს მთავრობა, ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2011-2014 წლებისათვის (გადამუშავებული ვარიანტი), თბ., 2010 (გვ. 38)
4. The Global Competitiveness Index 2010–2011: Looking Beyond the Global Economic Crisis, XAVIER SALA-I-MARTIN, JENNIFER BLANKE, MARGARETA DRZENIEK HANOUZ THIERRY GEIGER IRENE MIA, The Global Competitiveness Report 2010-2011, 2010 World Economic Forum
5. S. garelli, Competitiveness of NAtions: the Fundamentals, IMD World Competitiveness Yearbook, http://garelli.ch

გელა ალადაშვილი

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში

რეზიუმე

ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოს კონკურენტუნარიანობა ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში. საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ფონზე: ქვეყანას ლიბერალიზაციის კურსი აქვს აღებული; გლობალური მასშტაბით კონკურენცია გამძაფრებულია; ქვეყნის და შესაბამისად ადამიანთა კეთილდღეების ამაღლება კონკურენციულ ბრძოლაში წარმატების მოპოვებაზეა დამოკიდებული. საქართველოს კონკურენტუნარიანობის შესაფასებლად გამოყენებულია გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი და შესაბამისი ინდიკატორების გაანალიზების საფუძველზე გამოვლენილია ამოცანები ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

Gela Aladashvili

Competitiveness of Georgian Economy in the Context of National Security

Abstract

The paper analyses the competitiveness of Georgia in the context of National Security. The issue is especially urgent in terms of globalization: This country pursues the course of liberalization. The competition has become severe on a global scale: The welfare of the country as well as that of the individual depends on succeeding in competitive environment. In order to assess the competitiveness of Georgia, the author applies global competitiveness index and on the basis of the analysis of the corresponding indicators reveals the challenges to raising competitiveness rate of the country.

ნოდარ ბაგრატიონი

საბანკო ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ

საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირება ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარების აუცილებელი პირობაა.

სოციალისტური ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის სტაბილურობის საკითხი საერთოდ არ იდგა. საბაზრო ურთიერთობების და კონკურენციის არ არსებობა გამორიცხავდა საკითხის აქტუალობას. მიდგომა და რეალობა არსებითად შეიცვალა ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის მშენებლობის დაწყების შემდეგ. დღეისათვის საბანკო სფერო საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი წარმატებული და მზარდი სექტორია, რომელიც საბაზრო ეკონომიკის კანონების შესაბამისად ვითარდება.

საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი იმავდროულად საბანკო ბაზრის განვითარების და სრულყოფის პროცესიც არის.

ნებისმიერი ეკონომიკური სისტემა, მათ შორის საბანკოც, თავისი ფუნქციებისა და როლის რეალიზაციას ახდენს ბაზარზე (საბაზრო გარემოში)და მხოლოდ მისი მეშვეობით.

თუ ამ სიბრტყეში განვიხილავთ საკითხს, საბანკო სისტემის სტაბილურობა გამოიხატება ბაზრის ცვალებადი გარემოს მიმართ მისი ადაპტირების, შეგუების და ნეგატიური გავლენის დაძლევის უნარით, რომლის პროცესშიც ის ინარჩუნებს თვისობრივ იგივეობას.

თუ რას წარმოადგენს დღევანდელი საქართველოს საბანკო ბაზარი, როგორია მისი განვითარების სპეციფიურობა, სეგმენტაცია, საბანკო პროდუქტები, ბანკების საქმიანობის ხასიათი და კანონზომიერება, საბანკო კონკურენციის ხარისხი და თავისებურება... ამ და მასთან დაკავშირებული კიდევ სხვა საკითხების შესწავლას პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

კომერციული ბანკები ქვეყნის ფულადი ანგარიშსწორების, დაკრედიტების, საკასო, საშუამავლო და სხვა სახეობების მომსახურებების ცენტრებს წარმოადგენენ. საბანკო სერვისი იჭრება ადამიანის საქმიანობის მრავალ სფეროში. ამ გარემოების გათვალისწინებით, ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ სახეზე გვაქვს არა ერთი საბანკო ბაზარი, არამედ მრავალრიცხოვანი საბანკო პროდუქტების მომსახურების სახეობების შესაბამისად, რასაც ვერ დავეთანხმებით. [1. 174]. მრავალი საბანკო ბაზრის აღიარებას მათი გამიჯვნის შეუძლებლობა და მათი არსის გაგებაში სრული გაუგებრობა შეიძლება მოჰყვეს: ბანკის ერთი სახეობის პროდუქტის მოძრაობა (საბანკო ოპერაცია) სხვა საპირისპირო შინაარსის პროდუქტის (ოპერაციის) საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ უფრო მართებულია ვაღიაროთ არა მრავალი საბანკო ბაზარი, არამედ ერთი ბაზარი თავისი შემადგენელი სეგმენტებით (საკრედიტო, სავალუტო, სადეპოზიტო და სხვა).

საბანკო ბაზრის სეგმენტაცია შესაძლებელია განხორციელდეს არა მხოლოდ საბანკო პროდუქტების სახეობების მიხედვით, არამედ სხვა ნიშნებიაც (მაგალითად: საბანკო მომსახურების მომხმარებელთა კატეგორიების, ბანკების სპეციალიზაციის, სიდიდის და სხვა ნიშნებით).

საქართველოს საბანკო ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებისათვის დამახასიათებელია რამდენიმე გამორჩეული ნიშანი:

1) საბანკო კაპიტალის ცენტრალიზაციისა და კონცენტრაციის მაღალი დონე. 1994 წლის დამლევისათვის ქვეყანაში 229 ბანკი ფუნქციონირებდა, 2000 წლისათვის – 32, 2011 წლის ბოლოსათვის – 19. რაც შეეხება მათ აქტივებს, 2000 წელთან შედარებით 2011 წლის ნოემბრისათვის ის 15-ჯერ და მეტად გაიზარდა.

2) საბანკო ბაზრის სუბიექტების არათანაბარი გეოგრაფიული გადაადგილება (პრაქტიკულად ყველა ბანკი თავმოყრილია ქ,თბილისში);

3) საბანკო ბაზარზე არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციების სიმცირე;

4) ბაზარზე საბანკო პროდუქტების სიმცირე, რაც აისახება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონით);

5) კომერციული ბანკების საქმიანობაზე საქართველოს ეროვნული ბანკის კონტროლისა და ზემოქმედებების ზედმეტად მარეგლამემტირებელი როლი, რაც ზღუდავს კომერციული ბანკების თავისთავადობას და ინიციატივას;

6) საბანკო ბაზარზე უცხოური კაპიტალის როლის ზრდა. [2.46].

საბანკო ბაზრის განვითარების დონის მნიშვნელოვანი მახასიათებელია კონკურენციის ხარისხი. საბანკო სისტემის სტაბილურობის საკითხის აქტუალობა მნიშვნელოვანწილად სწორედ საბანკო კონკურენციის წარმოშობას და მის განვითარებას უკავშირდება. კონკურენციის გაძლიერებასთან ერთად იზრდება ბანკების საქმიანობისა და მათი მდგრადობის დამოკიდებულება ბაზრის ქცევაზე, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებაზე.

ჩვენს ქვეყანაში საბანკო ეკონომიკის მშენებლობის შესაბამისად საბანკო კონკურენციის გაძლიერება ბანკებს, მათი საქმიანობის და ფინანსური შესაძლებლობათა გათვალისწინებით, განსხვავებული პრობლემების წინაშე აყენებს, თუმცა ამის მიუხედავად არსებობს პრობლემებიც, რომლებსაც ვერც ერთი ბანკი გვერდს ვერ აუვლის. მათ რიცხვს განეკუთვნება ბაზრის მარკეტინგული კვლევის აუცილებლობა, რომლის გარეშე შეუძლებელია კომერციულმა ბანკმა შეიმუშაოს ბაზარზე მოქმედების სტრატეგია, მიაღწიოს წარმატებას კონკურენტებთან ბრძოლაში.

დღევანდელ პირობებში ჩვენს ქვეყანაში სარწმუნო მარკეტინგული ინფორმაციის შეგროვება საკმაოდ გაძნელებულია. ჯერ ერთი, ბევრ შემთხვევაში ბანკებს საკუთარი ძალებით უხდებათ ინფორმაციის შეგროვება, რის გამოც ხშირად ის არასრულფასოვანი, დაგვიანებული და ძვირად ღირებულიცაა; მეორეც, საერთოდ, ბაზრის რიგი სეგმენტების მონოპოლიზაციის მაღალი დონე გაუმჭვირვალეს ხდის მას. ინფორმაციის ნაწილი მიუწვდომელი ხდება, რაც ნეგატიურად აისახება ბანკების გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობასა და ოპერატიულობის ხარისზე.

ასეთ პირობებში იქმნება გარკვეული ძალების მხრივ ცალკეულ ბანკებზე ზეწოლის ან მფარველობის შესაძლებლობა, რაც მათ არათანაბარ პირობებში აყენებს, ზიანს აყენებს საბანკო სექტორის საქმიანობას.

პრაქტიკა მოწმობს, რომ რაც უფრო ხელმისაწვდომია ინფორმაცია, სხვა თანაბარ პირობებში, მით უფრო ინტენსიურია კონკურენტებს შორის მეტოქეობა. არასაკმარისი და არასრულფასოვანი ინფორმაცია ჩვენს ქვეყანაში არასრულყოფილი საბანკო კონკურენციის ერთ-ერთი ფაქტორია.

ამჟამად, საქართველოს საბანკო ბაზარზე კონკურენციის განმსაზღვრელი ფაქტორები შედარებით ძლიერად მოქმედებს საქმიანობის ისეთ სფეროებში, როგორიცაა საშემნახველო საქმე, საინვესტიციო შუამავლობა, საანგარიშსწორებო-საკასო-სავალუტო მომსახურება, ნაკლებად – დაკრედიტება, სააგენტო მომსახურება, პლასტიკური ბარათების გამოშვება-მომსახურება და ზოგიერთი სხვა.

ბაზრის სწორი, დასაბუთებული მარკეტინგული კვლევა და მისი შედეგების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული პოლიტიკის შემუშავება-რეალიზაცია, საბანკო ბაზარზე კომერციული ბანკის მიერ მტკიცე პოზიციის დაკავების და შენარჩუნების პირობაა. საერთოდ, ნებისმიერი სამეურნეო სუბიექტის კონკურენტული პოზიცია მის მიერ ბაზარზე დაკავებული ადგილით განისაზღვრება, რომლის შეფასებისათვის ვიყენებთ შესაბამის აბსოლუტურ და შედარებით მაჩვენებლებს, მაგრამ საბანკო პრაქტიკაში ამ საკითხს გარკვეული სპეციფიკურობა ახასიათებს. საბანკო ბაზარი ხასიათდება მრავალსეგმენტიანობით (ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში კომერციული ბანკები ახორციელებენ 100-ზე მეტ განსხვავებულ ოპერაციას). სხვადასხვა ბანკს სხვადასხვა სეგმენტში განსხვავებული ადგილი უკავია – ერთში მნიშვნელოვანი, მეორეში – ნაკლებად მნიშვნელოვანი. ამასთან, ბაზრის მაღალი რელატირობა განაპირობებს დროის შედარებით მოკლე პერიოდში საბანკო პროდუქტებზე მოთხოვნის ინტენსიურ ცვლილებას, რაც ერთსადა იმავე დროს მნიშვნელოვნად ართულებს და ზრდის ბაზრის მარკეტინგული კვლევის მნიშვნელობას. პირველ პლანზე იწევს კონკურენტუნარიანობის შეფასების ხარისხობრივი მაჩვენებლის მნიშვნელობა.

მარკეტინგული კვლევის სიბრტყეში საკითხის განხილვისას ბაზარზე ბანკის კონკურენტუნარიანობა ძირითადად მისი პროდუქტების (მომსახურების) კონკურენტუნარიანობით განისაზღვრება. მატერიალური წარმოების დარგებში პროდუქციის კონკურენტუნარიანობა ზოგადად განისაზღვრება როგორც მისი გამოყენებით მიღებული სასარგებლო ეფექტის შეფარდებით მოხმარების ფასთან. ის მომხმარებლის საჭიროებათა დაკმაყოფილების საზომია. საბანკო პრაქტიკაში პროდუქტის კონკურენტუანარიანობა გაგებულ უნდა იქნას ერთი მხრივ როგორც მისაღები ფასის პირობებში კონკურენტ ბანკებთან შედარებით მისი მომხმარებელზე (ბანკის კლიენტზე)უკეთესად მიწოდების პირობებით და უნარით რაც მიწოდების ხარისხთან ასოცირდება. მაგალითად, დაკრედიტების სფეროში საბანკო მომსახურების სასარგებლო ეფექტი შეგვიძლია გამოვხატოთ კრედიტით სარგებლობის უკეთესი პირობებით (ოპტიმიზაციის ხარჯზე მიღებული შემოსავლით); მეორეს მხრივ, მოცემულ საბანკო კრედიტის (მომსახურების) სხვა უფრო პროგრესული ან/და იაფი პროდუქტით მომსახურების ჩანაცვლების შესაძლებლობით.

მარკეტინგული კვლევა გვერდს ვერ აუვლის საბანკო მომსახურების მიწოდების დანახაჯების, ანუ მისი ღირებულების საკითხს. უნდა გაირკვეს, რა უჯდება ბანკს ამა თუ იმ მომსახურების მიწოდება, როგორია მისი რენტაბელობის მაჩვენებელი, როგორია შემცვლელი და შესაცვლელი მომსახურების (პროდუქტის) სამომხმარებლო და ღირებულებითი პარამეტრების ურთიერთშეფარდება. აქედან გამომდინარე, მიწოდების დანახარჯების შემცირება რესურსდამზოგავი და ახალი ტექნოლოგიური სისტემების დანერგვის, მომსახურების ფორმების სრულყოფის საფუძველზე, მარკეტინგისა და მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი საკითხებია, ის საბანკო სტრატეგიის შემუშავების პირობაა. დასაბუთებული მარკეტინგული სტრატეგია ბანკის საბოლოო მიზნის მიღწევის, კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვების საწინდარია.

რამდენადაც კომერციული ბანკების საქმიანობა ბაზარზე ხასიათდება დივერსიფიკაციის მაღალი დონით. კონკურენტიულ ბრძოლა აყენებს საქმიანობის სხვადასხვა განკერძოებული სფეროებისათვის შესაბამისი მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების აუცილებლობას. ამ ნიშნით საბანკო მარკეტინგი გამოირჩევა სირთულით და განსხვავდება სხვა დარგის საწარმოთა მარკეტინგისაგან, სადაც მიწოდებათა (საქონლის, მომსახურების) სახეობების და დივერსიფიკაციის დონე შედარებით შეზღუდულ ხასიათს ატარებს. დღეისათვის საბანკო მარკეტინგულ სფეროში სხვადასხვა, განსხვავებული მიდგომებია მეცნიერულად დამუშავებული და პრაქტიკულად გამოყენებული, მათგან შედარებით მარტივი და გავრცელებულია ორგანზომილებიანი მატრიცების აგება.

საბანკო ბაზრის სტრატეგიებში შეიძლება გავარჩიოთ ორი ალტერნატიული მიმართულება: ზრდისა და შემცირების სტრატეგიები, გამომდინარე ჩვენი ქვეყნის საბანკო ბაზრის მზარდი ტენდენციიდან ჩვერნში უპირატესობა ზრდის სტრატეგიას ეკუთვნის, რომელიც უფრო ზოგადი ხასიათისაა და რამდენიმე მიმართულებას მოიცავს: ძველი ბაზრების შენარჩუნება; ახალ ბაზრებზე შეღწევა (შეჭრა); განვითარების, დივესიფიკაციის და სხვა.

რაც შეეხება შემცირების სტრატეგიას, მისი გამოყენება მიზანშეწონილია ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა ეკონომიკის და საქმიანობის შეზღუდვა, დაქვეითება, საქმიანობის მიმართულების შეცვლა, საქმიანობის ლიკვიდაციის და ზოგიერთ სხვს შემთხვევაში.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ბანკის საქმიანობის საერთო სტრატეგია და ბაზარზე ცალკეული პროდუქტების მიწოდების სტრატეგია, რომელიც ბაზრის მოთხოვნისა და ბანკის საქმიანობის მიმართულების ცვლილებათა გათვალისწინებით ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, სხვადასხვა პროდუქტების მიწოდების ზრდა-შემცირებით. ეს გარემოება ბუნებრივად განაპირობებს ზემოთ აღნიშნული სტრატეგიების ურთიერთშეხამების აუცილებლობას.

საბანკო ბაზარზე დამკვიდრება და მითუმეტეს კონკურენტულ ბრძოლაში წარმატება არ შემოიფარგლება მხოლოს მარკეტინგული სტრატეგიის სრულყოფის ამოცანით. ის გაცილებით რთული და მარავალპროფილიანი პრობლემაა. აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მარკეტინგის და მენეჯმენტის ხარისხის, ბანკის კაპიტალის სტრუქტურის, სტაბილურობის და ფინანსური მდგრაგობის, ბანკის მმართველობითი სტრუქტურის, პერსონალის კვალიფიკაციის და ბევრი სხვა საკითხი და პრობლემა, ბანკისათვის დასაბუთებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება და რეალიზაცია კონკურენტულ ბრძოლაში გამარჯვებისა და საბანკო ბაზარზე მყარად დამკვიდრების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ქოქიაური. საბანკო საქმიანობის საფუძვლები. ტ. I. თბ., 2004.
2. ნ. ბაგრატიონი. საბანკო სისტემის სტაბილური ფუნქციონირების ზოგიერთი საკითხი. ჟურ. "კომერსანტი" 3 (4) 2007.
3. Ф. Мишкин. Современная теория денег, кредитов и банков. М. 2006.

ნოდარ ბაგრატიონი

საბანკო ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებების შესახებ

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საბანკო ბაზრის და საბანკო კონკურენციის ძირითადი ნიშნები და სპეციფიკურობა. მნიშვნელოვანი ადგილი საქართველოში საბანკო ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარების საკითხს ეთმობა. ავტორს მიაჩნია, რომ საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების პროცესი ამავე დროს საბანკო ბაზრის განვითარების და სრულყოფის პროცესიც არის. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ბაზრის მარკეტინგულ კვლევის, კონკურენტულ გარემოში ბანკების მიერ დასაბუთებული მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავების საკითხებს, რომელიც ბაზარზე დამკვიდრების და ბანკის ფინანსური მდგრადობის მნიშვნელოვან პირობას წარმოადგენს.

ნაშრომში განხილულია მარკეტინგული ინფორმაციის მოპოვების, ბაზრის განჭვირვალობის, საბანკო პროდუქტების (მომსახურების) მიწოდების, მათი ფასის და სხვა აქტუალური საკითხები.

Nodar Bagrationi

About Characters of Bank Market Functioning

Abstract

In the work there is considered main tokens and specifications bank market and bank business competition. Significant place in Georgia there is taken to form and develop bank market. The author considers, that the bank market formation process at the same time is the process of bank market development and perfection. In the work, significant attention is taken to marketing investigation of the market, questions of marketing strategy work out in the competitive surrounding argued by the banks, which represents principal condition to establish in the market and financial stability of the bank.

In the work there is considered actual questions about research marketing information, market transparence, bank products service, their price and other actual questions.

მედეა გოცირიძე

ცოდნის გამოყენების ეფექტიანობის საკითხები - ახალი რეალიები

თანამედროვე სამყარო სწრაფად იცვლება: იკვეთება ახალი კონტურები, იშლება ძველი. ფუნდამენტალურ ცვლილებებს განიცდის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. ქვეყნის სიმდიდრის საფუძველი ხდება არა ბუნებრივი რესურსები, არამედ მაღალგანვითარებული ადამიანური <u>რესურსები.XXI</u> საუკუნეში კაპიტალის მთავარ ფორმას წარმოადგენს არა ფული, არამედ ცოდნა. ცოდნა ადამიანის და ნებისმიერი ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ინტელექტუალური აქტივები ფასდება უფრო ძვირად, ვიდრე მატერიალური.

საინფორმაციო ტექნოლოგიებში—ITC და საინფორმაციო სისტემებში—MIS რევოლუციურ წარმატებებთან ერთად, სულ უფრო მეტად იკვეთება ცოდნის დეფიციტი. ტექნოლოგია უშუალოდ ეხება ცოდნის სფეროს , მოითხოვს ადეკვატურ ცვლილებებს. ჩქარდება ,,technology"-დან "teknowlegy"-სკენ გარდაქმნის პროცესი.

„ცოდნის" ცნების განსაზღვრა იყო და რჩება სადისკუსიო პრობლემად. ჩვენ შევეხებით არა ცოდნის ძირითად ფილოსოფიურ კონცეფციებს [დასავლეთური, ინდური, ჩინური], არამედ თანამედროვე ეკონომიკის პოზიციებიდან ცოდნის არსის, განათლებისა და ცოდნის კავშირის, ცოდნის შეძენის, დაგროვებისა და გამოყენების, განათლების ეფექტიანობის საკითხებს.

XXI საუკუნის ,,მენეჯმენტის"თეორიასა და პრაქტიკაში ,,ინფორმაციების მართვა" თმობს წამყვან პოზიციებს და მას ,,ცოდნის მართვის " დისციპლინა იკავებს.

ბოლო ათლწლეულში საქართველოში ლიბერალური ბაზრის შემოჭრას თან მოჰყვა ანარქია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. მკვეთრად დაეცა განათლების ხარისხი, მასშტაბური მნიშვნელობა მიიღო არასაჭირო განათლებამ [unnecessery education] , როდესაც მიღებული განათლება არ შეესაბამება საჭირო ცოდნას.

ცოდნა არის მიზანდასახული კოორდინირებული ქმედება, მისი ერთადერთი მტკიცებულება და დემონსტრირების ხარისხი. ცოდნა არის მიზნის მიღწევა. ცოდნა პასუხობს კითხვას—რატომ? რატომ მივიღე განათლება?.

თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის მენეჯმენტი პასუხობს კითხვებს -რა? და როგორ?- რა სპეციალობის განათლებას ვიღებ, როგორი პროგრამით და ინფრასტრუქტურით. საგანმანათლებლო სისტემა მთლიანად ორიენტირებულია სპეციალისტზე, რომელსაც საუკეთესო შემთხვევაში სჭირდება უმაღლესი განათლება.

რატომ? რა? როგორ?-- საგანმანათლებლო სისტემის ორგანული ნაწილებია და ამგვარად, აუცილებელია ერთიანი, სისტემური მიდგომა და მართვა.

პოსტინდუსტრიალურ ეპოქაში სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა სამუშაო ძალის ტრანსფორმაცია ,,ცოდნის" მქონე სამუშაო ძალად. სხვაგვარად შეუძლებელია დასაქმების პრობლემის გადაწყვეტა. განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკის 1997-1999წწ. ვარდნის პროცესი ნაკლებად შეეხო იმ დარგებს , რომლებიც ცოდნაზე იყო ორიენტირებული.

განათლების ეფექტიანობის შეფასების კრიტერიუმებიდან ძირითადია ცოდნაში განათლების ტრანსფორმაციის ხარისხის კრიტერიუმი , რადგანაც იგი გამოხატავს მიღებული განათლების გამოყენების ეფექტიანობას.

ცოდნა მრავალი სახისაა. თანამედროვე მეცნიერებაში გამოყოფენ 5 სახეობის ცოდნას :

მაკრო—მიკრო ცოდნა. მაკროდონის ცოდნა უზრუნველყოფილია სახელმწიფო საგანმანათლებო რესურსებით, რადგანაც იგი გამოხატავს საზოგადოების ან კულტურის განვითარების დონეს და მისი ფლობა აუცილებელია მთელი საზოგადოებისთვის. თანამედროვე დასავლეთის საზოგადოებისთვის წიგნიერება და მათემატიკის საფუძვლები მაკროდონის ცოდნას მიეკუთვნება. სპეციალური ცოდნა, რომელსაც ფლობს ადამიანთა გარკვეული ჯგუფი, მიკროდონის სახეობას მიეკუთვნება. ნებისმიერი სტრუქტურის ჩამოყალიბება და გარე სამყაროში მისი წარმატებით ფუნქციონირების უზრუნველყოფა მოითხოვს ფუნდამენტალური დონის მაკროცოდნას.ამასთან, მისი კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლება უზრუნველყოფილი იქნება მიკრო ცოდნით. ამგვარად, საჭიროა მაკრო და მიკრო ცოდნის მუდმივი შეთანაწყობა.

ჩაშენებული—განცალკევებული [built-in, stand apart]. ჩაშენებული ცოდნა პროდუქტის ან მომსახურების ერთერთი ძირითადი კომპონენტია.განცალკევებული ცოდნა შეიძლება არსებობდეს ცალკე, დამოუკიდებლად პროდუქციისგან და მომსახურებისგან. იგი გამოიყენება მათგან დამოუკიდებლად. მაგალითად, კონკრეტული პროგრამის თეორიული ცოდნა (განცალკევებული) და მისი კომპიუტერში ჩატვირთვის ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება(ჩაშენებულიცოდნა)

საბაზრო—არასაბაზრო ცოდნა. ცოდნის ეს სახე გვიჩვენებს , გააჩნია თუ არა ცოდნას რაიმე ღირებულება ბაზარზე. ძირითადად, მიკრო დონის ცოდნა საბაზრო ღირებულების მატარებელია, განსაკუთრებით, როცა იგი ჩაშენებულია პროდუქტში ან მომსახურებაში. მაკრო დონის ციდნას ან განცალკე-

ვებულს გააჩნიათ მუდმივი ღირებულება. ცოდნის ზოგიერთი სახეები, მაგალითად, ოპერაციული სისტემები ან ფუნდამენტალური მეცნიერული ცოდნა, რომელიც გამოიყენება საცდრლ - საკონსტრუქტორო სამუშაოებებისთვის, არ წარმოადგენენ საბაზრო კატეგორიება ტრადიციული გაგებით, მაგრამ , მათ არანაკლები და ხშირად,გადამწყვეტი მნისვენლობა აქვთ კონკრეტული ორგანიზაციისთვის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკისთვის.

პერსონალური—ჯგუფური ცოდნა. პერსონალური ცოდნა დამახასიათებელია ცალკეული ადამიანისთვის , რომელსაც იგი გამოიყენებს ამოცანის გადასაწყვეტად. ჯგუფურ ცოდნას ფლობს ადამიანთა ჯგუფი. ამ შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს პერსონალური და ჯგუფური ცოდნის შეთანაწყობა, მათი ერთიან სისტემაში მოქცევა.

გადაცემადი—არაგადაცემადი. ეს მაჩვენებელი გვიჩვენებს, თუ რა დონით შეიძლება ერთი ადამიანის ცოდნის გადაცემა მეორეზე და ამ უკანასკნელს რა ეფექტით შეუძლია მისი გამოყენება.

ცოდნის კლასიფიკაცია საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ცოდნაში განათლების ტრანსფორმაციის მიმართულებები, რასაც ცოდნის ტრანსფორმაციის პროცესს უწოდებენ: ცოდნის შეძენა, მართვა, გამოყენება. ამ პროცესის ძირითადი თეზაა-თანამედროვე სამუშაო პერსონალს სჭირდება უფრო ფართო მასშტაბის განათლება ვიდრე კონკრეტული სამუშაო სპეციალიზაციაა.

ცოდნა რევოლუციური შინაარსის მატარებელია და ამიტომ მისი სასიცოცხლო ციკლი ხანმოკლეა. ცოდნა სწრაფად ბერდება. პერმანენტული სწავლება წარმოადგენს მის ძირითად აქტივს.განვითარებულ ქვეყნეებში ტრეინინგების ინსტიტუტი ცოდნის მართვის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. დასაქმების პოლიტიკაში აქცენტი გადატანილია უფრო მომზადება- გადამზადებაზე , ვიდრე ახალი სამუშაო ადგილების შექმნაზე და შემოსავლების დონის შენარჩუნებაზე.შრომის ბაზარზე სირთულები ძირითადად დაკავშირებულიასამუშაო ძალის მომზადებასთან, რაც სახელმწიფო რეგულირების სფეროს წარმოადგენს.

აშშ- ში ტრეინინგებზე გაწეული ხარჯები წელიწადში 100 მილიარდ დოლარს აღემატება. ტრეინინგების ინსტიტუტი განსაკუთრებით განვითარებულია იაპონიაში.შრომის ბაზრის სტრუქტურა თავის მხრივ ზემოქმედებს სწავლებაზე. პროფესიული ბაზარი კვალიფიციურ მუშაკებს სტიმულს აძლევს შეიცვალოს სამუშაო ადგილი ,წარმატება მიაღწიოს კარიერაში , არ შემოიფარგლოს ერთი დამქირავებლით და მიიღოს დასაქმების გარანტია.

სწავლება და გადამზადება ქვეყნის საგანმანათლებო სისტემის მართვის ორგანული ნაწილია და მის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენდეს.

სწავლება[training]—სისტემატური პროცესია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციების მიერ თანამშრომელთა ცოდნის განვითარებისთვის, რათა გაიზარდოს მათი როლი ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში. სწავლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოსა და ორგანიზაციის მიერ.

სწავლების მენეჯმენტი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს:

1.სწავლებაზე მოთხოვნის ანალიზი

2.სწავლების განხორციელება

3.სწავლების შეფასება:

ა. მსმენელთა შეფასება

ბ. სწავლების დონის შეფასება

გ. სწავლების გამოყენების ხარისხი და შედეგები

ტრეინინგები მოიცავს ორგანიზაციის ყველა დონის ყველა თანამშრომელს. თანამედროვე ორგანიზაციისათვის დამახასიათებელია მობილურობისა და როტაციის მაღალი დონე. როტაციის მაღალი დონე მოითხოვს ცოდნისა და უნარ-ჩვევების გაფართოებას, რასაც უზრუნველყოფს პერმანენტული ტრეინინგები.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის სტრატეგია დაფუძნებული უნდა იყოს 21-ე საუკუნის ეკონომიკაში მიმდინარე ფუნდამენტალურ ცვლილებებზე.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები ფუნდამენტალურად ცვლის ეკონომოკურ საქმიანობას. 21-ე საუკუნე ახალი ქსელური ეკონომიკის ეპოქაა. მომავალში თანამედროვე ცოდნა ამ სფეროში გამოუსადეგარია.

ტრადიციული ეკონომიკური მეცნიერების მრავალი ასპექტი მიუღებელი ხდება ქსელური ეკონომიკისათვის.

ახალი ეკონომიკა ახალი წესებით მოქმედებს. მათ შორის ძირითადია:

მოიცავით მასა.

ქსელური მართვა უფრო ეფექტიანია, ვიდრე ცენტრალიზებული. ავტონომიური სტრუქტურების ავტონომიური ქსელი ახალი ეკონომიკის საფუძველია.

მზარდი უკუგება.

ახალი ეკონომიკა ფუნქციონირებს მზარდი უკუგების კანონით და არა “კლებადი სარგებლიანობის კანონით”.

სიჭარბე და არა დეფიციტი.

ახალი ტექნოლოგიები ქმნის სიჭარბეს და არა დეფიციტს.

ახალი ეკონომიკის ძირითადი მახასიათებელია შესაძლებლობის მაქსიმიზაცია და არა მოგების მაქსიმიზაცია.

უზრუნველყავით უფასო მოხმარება.

სიჭარბეზე ორიენტირებული ეკონომიკის საფუძველია--უფრო კარგი უფრო იაფია, ყველაზე კარგი—ფაქტიურად უფასო.

უზრუნველყავით ქსელი პირველყოვლისა.

ქსელის უარყოფა ნიშნავს თვითმკვლელობას.

დათმეთ მწვერვალები.

ნუ დაელოდებით ჩავარდნას, წინასწარ შეიცვალეთ მდგომარეობა, გადადით ახალ ადგილზე. ,,შემოქმედებითი ნგრევა" შემოქმედების ნაწილია.

დააფუძნეთ ახალი ძველში ცვლილებების შეტანის ნაცვლად.

ტერიტორიალური ადგილიდან სივრცისკენ.

ტერიტორიალური სიახლოვე, გეოგრაფიული ადგილის აღქმა იცვლება სივრცის შეგრძნებით—სადაც გინდა, როგორც გინდა.

არავითარი ჰარმონია, ყველაფერი მუდმივ მოძრაობაშია.

ქაოსის ჰარმონია ნიშნავს---სირთულეები უნდა განვითარდეს და არა დამკვიდრდეს.

ურთიერთობის ტექნოლოგია.

ურთიერთობათა განვითარება წარმოადგენს მთავარ ეკონომიკურ მოვლენას. ურთიერთობების უზრუნველყოფა ნებისმიერ ორგანიზაციაში მწარმოებლურობის ამაღლების მიზეზია.წარმოება და მოხმარება ერთიანდება ეკნომიკურ პროცესში:,,prosuming"[წარმოება და მოხმარება ერთდროულად].

ურთიერთდამოკიდებულება ახალი ეკონომიკური ფენომენია. მის საფუძველზე ყალიბდება ურთიერთნდობა, რაც თავისუფალი ბაზრის საფუძველია.

უფრო შესაძლებლობები , ვიდრე ეფექტიანობა.

შესაძლებლობა სიმდიდრის წყაროა.უფრო კარგია არაეფექტიანად დავნერგოთ სიახლეები, ვიდრე ეფექტიანად გადავწყვიტოთ მოძველებული სტანდარტული ამოცანები. ეფექტიანია ახალი შესაძლებლობების ფორმირება და არა არსებულის ოპტიმიზაცია. ამიტომ, მწარმოებლურობა კლასიკური გაგებით მცდარ მიზანს წარმოადგენს ახალ ეკონომიკაში ამოცანების გადასაწყვეტად. ახალი ეკონომიკა შესაძლებლობების ეკონომიკაა. მაღალი მწარმოებლურობა არასაჭირო სამუშაოების შესრულების დროს ბევრად უფრო ცუდია , ვიდრე დაბალი მწარმოებლურობა საჭირო სამუშაოების შესრულების დროს.

21-ე საუკუნის ახალი ეკონომიკის წესები შინაარსობრივად ცვლის განათლების ეფექტიანობის შეფასების მოდელს. განათლების ეფექტიანობის შეფასების დროს გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ძირითადი მომენტები:

შრომისა და სამუშაოების რეინტეგრაცია. შრომის დანაწილებიდან შრომის რეინტეგრაციისკენ. განათლების იზოლირება ამ პროცესებიდან და მისი ღრმა სპეციალიზაცია იწვევს მის დაკარგვას.

ქსელური ურთიერთობის პრინციპიდან გამომდინარე, ნებისმიერი საქმიანობის ეფექტიიანობა განისაზღვრება ეკონომიკური და საბაზრო დამატებითი ღირებულებით [პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს გამოკლებული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ყველა დანახარჯი] და არა ერთგანზომილებადი მაჩვენებლებით, როგორიცაა მოგება/ხარჯები.

ადამიანური კაპიტალის თეორია და განათლებაზე გაწეული დანახარჯების საკითხები პირველად ადამ სმიტმა თავის ნაშრომში ,,ხალხთა სიმდიდრე" ["Wealth of Nation"] განიხილა. ადამიანურ კაპიტალში , კერძოდ განათლებაში ჩადებული ინვესტიციის ეფექტიანობა დღესაც განისაზღვრება ადამ სმიტის ფორმულირებით: განათლებაზე გაწეული დანახარჯები შემოსავალს იძლევა მომავალში. იგი ტექნიკაზე გაწეული ინვესტიციის ეფექტიანობის იდენტურია და გაიანგარიშება შემოსავლების შეფარდებით დანახარჯებთან.

განათლებაზე დანახარჯების ეფექტურობა განისაზღვრება ცალკეული სტუდენტის მიმართ და ქვეყნის მასშტაბით[საზოგადოებრივი ეფექტურობა]

მთავრობა ქვეყანაში დებს მნიშვნელოვან ინვესტიციებს. რა უფრო ეფექტურია, ინვესტიციის ჩადება განათლებაში თუ სხვა ალტერნატიულ პროგრამებში? ზემოთ აღნიშნული მეთოდიკა გამოიყენება საზოგადოების მასშტაბითაც., შემდეგი შესწორებებით: დანახარჯებში შედის მთელი საზოგადოების სუბსიდია განათლებაში, ხოლო შემოსავალში გათვალისწინებულია სოციალური ამონაგები, რომელსაც მივიღებთ მოსახლეობის საგანმანათლებო დონის ამაღლებით.

აღნიშნული გაანგარიშებები სერიოზულ სირთულეებთან არის დაკავშირებული დანახარჯებისა და შემოსავლების განსაზღვრის თვალსაზრისით. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მეთოდიკით ხდება განათლებიდან ამონაგების გაანგარიშება.

განათლებაზე დანახარჯების ეფექტიანობის განსაზღვრა ხდება შემოსავლები/დანახარჯების პრინციპით.

ადამიანური კაპიტალის განვითარების თანამედროვე თეორია უნდა ეყრდნობოდეს ახალი ეკონომიკისა და შრომის ბაზრის ფუნქციონირების პრინციპებს; აუცილებელია ეფექტიანობა ცოდნის ასპექტში იყოს განხილული და არა მიღებული უმაღლესი განათლების ასპექტში.

განათლების ეფექტურობის კვლევა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მენეჯმენტის პრიორიტეტს უნდა წარმოადგენდეს. ნათელი , სრული წარმოდგენა განათლებაზე გაწეულ საზოგადოებრივ დანახარჯებზე და ამონაგებზე საშუალებას იძლევა მივიღოთ სწორი გადაწყვეტილებები.

ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის მენეჯმენტი მოითხოვს ახალი ეკონომიკის წესებზე ორიენტაციას, რაც საშუალებას მოგვცემს არმოვფხვრათ დისბალანსი შრომითი რესურსების მოთხოვნა- მიწოდებას შორის და შეუსაბამობა მიღებულ განათლებასა და საჭირო ცოდნას შორის.

ლიტერატურა

Drucker P. F., The New Reɔlities, Jxford, 1998

Zeleny M.,Knowlege ɔs ɔ new form of cɔpitɔl, 2009

Милан Желены, Знание против информации, Санкт-Петербург 2002

Морген Витцель, Знание , определения понятия, Санкт-Петербург, 2002

მედეა გოცირიძე

ცოდნის გამოყენების ეფექტიანობის საკითხები - ახალი რეალიები

რეზიუმე

გლობალიზაციის ეპოქაში ქვეყნის წარმატების საფუძველია ადამიანური რესურსების ეფექტიანად გამოყენება. ადამიანური რესურსების გამოყენების ფუნდამენტალურ პრობლემას კი წარმოადგენს სამუშაო ძალის ტრანსფორმაცია „ცოდნის“ მქონე სამუშაო ძალად, რაც უშუალოდ განათლების ეფექტიანობასთან არის დაავშირებული.

სტატიაში განხილულია ცოდნის კლასიფიკაციის თანამედროვე სტრუქტურა. ახალი ეკონომიკის მოქმედების ახალი წესები და მისი კავშირი განათლების ეფექტიანობასთან.

Medea Gotsiridze

Aspects of Effectiveness of Education- New Realities

Abstract

In the era of globalization the base of the country's succes is the effective use of human resources. The fundamental problem in using human resourses is the labour force transformation into ,,knowlegable'' labour force. This problem is directly linked to the effectiveness of education.

The article discusses the contemporary structure of knowledge classification , the new rules of the new economics operation and its relation to education effectiveness.

დავით ვეკუა

საქართველოში სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და მისი განვითარების თავისებურებები

საზოგადოების განვითარების დიალექტიკა, მისი ტრანსფორმაცია და სამეწარმეო აქტიურობა ყოველთვის ახალ-ახალ რისკებთან არის დაკავშირებული. მათი უმეტესობა არამართებული და არაადეკვატური მოქმედებების შედეგია, ხოლო მეორე ნაწილი კი ობიექტური გარემოებებით არის განპირობებული. "რისკი პრაქტიკულად არსებობს ბუნებაშიც, ადამიანთა ყოფაშიც და ბიზნეს საქმიანობაშიც, ხოლო მისი არსებობა განპირობებულია მომავლის გაურკვევლობით და სიტუაციის განუსაზღვრელობით. ასე რომ გვახსოვდეს ყველა შემთხვევაში რისკი არის რაღაცის არ მიღების, მიზნით მიუღწევლობის ან დაკარგვის საშიშროება[1]". გლობალურ ეკონომიკაში მას შემდეგ, რაც ინტენსიურად დაიწყო საქართველოს ბიზნესს გარემოს ინტეგრაცია, რისკების დადგომის ალბათობა კიდევ უფრო ამაღლდა და გაიზარდა ამ რისკებისგან თავის დაცვის აუცილებლობა. საქართველოში რისკები თავიდან აცილების, რისკის მართვის სტრატეგიის შერჩევის დროს, დღეს უკვე სულ უფრო ბევრი ბიზნესმენი თუ რიგითი მოქალაქე კარგად აცნობიერებს, რომ რისკებიდან დამდგარი ზარალის მინიმიზაციის და რისკების პრევენციის საუკეთესო საშუალებაა დაზღვევა. გარდა წმინდა რისკებისგან დაცვის სტრატეგიისა დაზღვევა დღეს უკვე საქართველოში ჩამოყალიბდა, როგორც ფინანსური ინსტრუმენტი, ხოლო სადაზღვევო კომპანიები კი ფინანსურ ინსტიტუტებად, რომლებიც საბანკო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის ფორმატით ანხორციელებენ ქართული ეკონომიკის ინვესტირებას და დაკრედიტებას.

სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურა, მისი განვითარების ვექტორები მნიშვნელოვან წილად განპირობებულია იმით თუ რა სადაზღვევო ველია ჩამოყალიბებული ქვეყანაში. დაზღვევის ველის ქვეშ ვგულისხმობთ დაზღვეულ ორბიექტთა ერთობლიობას, რომლებიც სადაზღვევო ბაზარზე აყალიბებენ სადაზღვევო პროდუქტებზე მოწოდება-მოთხოვნილების შესაძლებლობას, რადგან ყოველთვის იარსებებს სადაზღვევო მომსახურებაზე მიწოდება-მოთხოვნილების რეგულირების აუცილებლობა. სადაზღვევო ბაზარი – ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროა, სადაც სადაზღვევო მომსახურება ყიდვა-გაყიდვის ობიექტს წარმოადგენს. დაზარალებულისათვის ფულადი კომპენსაციის გარანტირებული კვლავწარმოება და ამ კვლავწარმოებაზე მოთხოვნილების ზრდა ბაზრის განვითარების ობიექტური საფუძველია.

საქართველოში სადაზღვევო კომპანიები სულ უფრო აქტიურად ერთვებიან ქვეყნის საზოგადოებრივ და ეკონომიკურ ცხოვრებაში. ხოლო დაზღვევა ჩამოყალიბდა როგორც სპეციალური ფინანსური სისტემა, რომელსაც აქვს საკუთარი ფინანსური რესურსები, ეკონომიკა და ორგანიზაციული სტრუქტურა.

საქართველოში "2010 წელს რეგისტრირებული ყველა სადაზღვევო კომპანიის მიერ მოზიდულმა პრემიამ შეადგინა 361,4 მილიონი ლარი, მაშინ როდესაც მათ მიერ დაზღვეულებზე ანაზღაურებულმა ზარალმა მხოლოდ 188,7 მილ. ლარი,"[2] რაც ნიშნავს იმას, რომ 172,7 მილ. ლარი, ანუ მოზიდული პრემიის 48 პროცენტი, როგორც რეზერვი დარჩა სადაზღვევო ფონდების ანგარიშებზე და ეს რესურსი ქვეყნის ეკონომიკის დაკრედიტების რეალური საინვესტიციო ფინანსური წყარო გახდა. თუ 2010 წელს მოზიდული სადაზღვევო პრემიების მოცულობას გავაანალიზებთ ორგანიზაციების წრილში დავინახავთ, რომ კვლავ, როგორც წინა წლებში ამ თანხების მობილიზაციის უდიდესი ნაწილი კვლავ ხუთ ლიდერ კომპანიაზე მიდის. ეს კომპანიებია: "სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი" 68 მილ. ლარი, სადაზღვევო კომპანია „იმედი L " 79 მილ. ლარი, სადაზღვევო კომპანია „ ჯი პი აი ჰოლდინგი" 54 მილ. ლარი, დაზღვევის საერთაშორისო კომპანია „ირაო" 45 მილ. ლარი და სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფი" 33 მლ. ლარი"[3]

თუ წლების მიხედვით სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიის მოცულობების ზრდის დინამიკას დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ პროგრესი აშკარად სახეზეა და სადაზღვევო ბაზარი ძალზედ სწრაფად ვითარდება, მხოლოდ "2010 წლის – 2008 წელთან მიმართებაში ეს მაჩვენებელი 67 პროცენტით გაიზარდა."[4] დარგის ზრდის ასეთი მაღალი ტემპები განპირობებულია სადაზღვევო ბაზარზე ახალი სადაზღვევო პროდუქტების შემოტანით, როგორც სამედიცინო დაზღვევის სეგმენტში ასევე სადაზღვევო ინდუსტრიის სხვა სფეროებშიც.

დაზღვევის სახეობების მიხედვით საქართველოს სადზღვევო ბაზარი ძალზედ სპეციფიურია, რადგან თუ ევროპის უმეტეს ქვეყნებში სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურაში დომინირებს ქონების და სიცოცხლის დაზღვევა, ამ თავლსაზრისით 2010 წლის მონაცემებით საქართველოში სადაზღვევო სახეობების მიხედვით ლიდერია სამედიცინო დაზღვევა.

საქართვეოლოში სადაზღვევო ბაზარზე მოძრაობს როგორც კერძო, ასევე საჯარო ფინენსები. ფინანსების გადადინების ეს პროცესი, ააქტიურებს სადაზღვევო ბაზარს, ჩნდება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსები, მაგრამ ცხადია, რომ აქ ამ ბაზრისათვის გაცილებით მნიშვნელოვანია კერძო ფინანსური რესურსების მობილიზაცია, იურიდიულ და ფიზიკურ პირებიდან რადგან სწოდედ ისინი ქმნიან ქვეყნის ეკონომიკისათვის ახალ ფინანსური რესურსების გააქტიურების შესაძლებლობას.

---

[1] ჭ. ლაზვიაშვილი " რისკმენეჯმენტი" გვ 24 თბილისი 2010 წ.

[2] www.WBG.ge

[3] www.WBG.ge

[4] www.WBG.ge

სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის ასევე ძალზედ მნიშვნელოვანია ის, რომ სამართლებრივი ბაზის სრულყოფის თვალსაზრისით სახელმწიფომ გადადგას ქმედითი ნაბიჯები და ჩამოყალიბდეს ისეთი ინსტიტუციონალური სივრცე, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყანაში გამართულ სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ სრულყოფას.

სოციალური სადაზღვევო ინფრასტუქტურის ჩამოყალიბებამ მსოფლიოში ხანგძლივი, ისტორიულ-ევოლუციური გზა განვლო. პოსტკომუნისტურ ქვეყნებში, ეკონომიკის სწრაფი ტრანსფორმაციის შედეგად შექმნილი მძიმე სოციალური ფონი არ იძლევა საშუალებას სოციალური სფეროს რევოლუციური გზით რეფორმირებას. ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია "საქართველოში მოხდეს ამ სისტემის სრული რეინჟენერინგი, რაც გულისხმობს სისტემაში არსებული ვექტორების ფუნდამენტალურ გადააზრებას, დროის მოკლე ვადებში სწრაფი და მნიშვნელოვანი შედეგების მიღწევის მიზნით".[1]

სადაზღვევო ბაზრის განვითარების ვექტორები სწორ სატარიფო პოლიტიკის გატარებას გულისხმობს. ეს პირველ რიგში არის ტარიფების ხელმისაწვდომობა და მათი ხანგძლივი პერიოდით სტაბილურობა. საქართველოში ამ მხრივ სატარიფო პოლიტიკა ძალზედ გამართულია, რის გამოც სადაზღვევო პროდუქცია საკმაოდ რენტაბელურია. ეს კი იმის პირობაა, რომ რისკების ზარალების დაფარვა უპრობლემოდ ხორციელდება და ზოგადად სადაზღვევო საქმიანობა ძალზედ მომგებიან ბიზნესად ჩამოყალიბდა. ამაზე მეტყველებს ბოლო წლების სადაზღვევო კომპანიების მიერ მოზიდული პრემიების მოცულობები და ანაზღაურებული ზარალების პროპორციების დინამიკა. "2010 წელს ზარალების ანაზღაურებამ შეადგინა მოზიდული პრემიის მხოლოდ 52 %. ანალოგიურად 2009 წ. 52 %, 2008წ. კი მხოლოდ 39 % და ა. შ".[2]

სადაზღვევო ბაზრის განვითრების მნიშვნელოვანი ვექტორია სადაზღვევო ინდუსტრიის დემონოპოლიზაცია. ეს დადებითი ტენდენციაა, რადგან ბოლო პერიოდში სადაზღვევო ბიზნესში ნაცვლად ადრე არსებული რამდენიმე მსხვილი მონოპოლისტისა, რომლებსაც "სადაზღვევო ბაზრის 70 - % ეკავათ დღეს უკვე ამ ბაზარზე მოქმედებს 6 კომპანია რომლებსაც წლიურად მოზიდული პრემია თვითოეულს აქვთ – 30 მილ. ლარზე მეტი, ხოლო ზარალის ანაზღაურებამ თითოეულში 10 მილ. ლარს გადააჭარბა."[3]

იმის გამო, რომ ამ კომპანიებში უკვე არსებობს, საკმაოდ დიდი სარეზერვო ფონდები ისინი აღარ გაურბიან იმ სადაზღვევო ხელშეკრულებებს სადაც სადაზღვევო ობიექტის მოცულობა ანუ შესაძლო ზარალის ღირებულება მაღალია და ეს ფაქტი არის ამ ტიპის ხელშეკრულებების დადების ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი. სადაზღვევო კომპანიებში ჩამოყალიბდა ამ ტიპის რისკების მართვის გარკვეული ტრადიცია და კულტურა, რაც პირველ რიგში ეფუძნება თანამედროვე მენეჯმენტს, თანამშრომელთა კვალიფიკაციის დონის ზრდას და აქტუალური გათვლების მეთოდოლოგიის სრულყოფას.

მეთოდოლოგია ითვალისწინებს რისკების მინიმიზაციის და პრევენციის ყვალა იმ სპეციფიურ ნიშნების არსებობას, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ მოხდეს დაზღვევის პირობების განსაზღვრა. ეს ნიშნების:

1. რისკის ხასიათი;
2. გაზომვის შესაძლებლობა;
3. დანაკარგების განსაზღვრულობა;
4. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედარებით დაბალი ალბათობა.

თანადაზღვევა და გადაზღვევა სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ვექტორია. დაზღვევის ეს სეგმენტი საქართველოში წინა წლებში შედარებით სუსტად იყო განვითარებული. ეს გამპირობებული იყო იმით, რომ ერთის, მხრივ სუსტი სარეზერვო ფონდების არსებობის პირობებში ქართული კომპანიები, ვერ იღაბდნენ თავის თავზე მაღალი ღირებულების ობიექტების გადაზღვევას, ხოლო მეორეს მხრივ ჩვენი კომპანიები ნაკლებად ურთიერთობდნენ საერთაშორისო გადამზღვეველებთან. თუ სადაზღვევო ბაზარზე გადაზღვევის დინამიკას განვიხილავთ დავინახავთ რომ პროგრესი აშკარად სახეზეა.

"2010 წელს საქართველოში გადაზღვევის მოცულობამ შეადგინა – 53,8 მილ. ლარი და 2007 წელთან შედარებით გაზრდილია – 36 %-ით".[4]

თავისი იმანენტური ბუნებით გადაზღვევა საერთაშორისო ბიზნესია, ამიტომ ის ექვემდებარება, როგორც კომერციულ ასევე სავალუტო რისკებსაც, აქედან გამომდინარე სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბების პირველ ეტაპზე, როდესაც ქართულ სადაზღვევო ინდუსტრიას ჯერ კიდევ არ ჰქონდა არც ავტორიტეტი და არც საერთაშორისო გამოცდილება ამ ბიზნესში გადაზღვევა ძირითადად ფაკულტატურ ხასიათს ატარებდა. ისინი მიმართავდენ გადაზღვევას მხოლოდ მაშინ, როცა ეს აუცილებელი იყო დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელის ფორმირებისათვის და ფინასური მდგომარეობის უზრუნველყოფისათვის (მაგალითად, როდესაც მზღვეველი იღებს დასაზღვევად ძალიან მაღალი ღირებულების ობიექტს.) ამჟამად განსაკუთრებით უცხოეთში გასული მოქალაქეების სამედიცინო დაზღვევის კუთხით გაიზარდა ობლიგატორული გადაზღვევა, რაც გულისხმობს გადამზღვევლის ავტომატურ ვალდებულებას მიიღოს რისკები და არ არის საჭირო თანხმობა კონკრეტულ შემთხვევაზე.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის სტრუქტურის ჩამოყალიბებაში სახელმწიფო როგორც მზღვეველი სულ უფრო აქტიურად მონაწილეობს და ეს ფაქტორი ერთ-ერთი მთავარი ვექტორია ამ ინდუსტრიის ფორმირებაში. ამ ტენდენციას აქვს რამდენიმე მოტივაცია, რადგან სახელმწიფო ერთის მხრივ დაინტერესებულია ქვეყანაში სოციალური დაზღვევის ფორმების განვითარებით და მეორეს მხრივ იგი ხელს

[1] დ.ვეკუა "მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება პოლიტკურ ქვეყნებში გვ.123 თბილისი 2003 წ
[2] www.NBG.ge
[3] www.NBG.ge
[4] www.NBG.ge

უწყობს ზოგადად სადაზღვევო ბაზრის ფინანსურ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს მოვლენა სასურველია განვიხილოთ ორ კონტექსტში. ცხადია საჯარო ფინანსების გადადინება კერძო სადაზღვევო კომპანიებში, მაშინ როდესაც ქვეყანაში უამრავი პრობლემებია მოსაგვარებელი და საჯარო ფინენსებზე დეფიციტია გარკვეულწილად ეს არ არის პოზიტიური მოვლენა, რადგან გაცილებით უკეთესი იქნებოდა ფინანსური რესურსები სადაზღვევო კომპანიებს მოეზიდათ კერძო სექტორთან, მაგრამ სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითრების თავალსაზრისით ის უდავოდ პოზიტიური მიდგომაა, რადგან ეს რესურსები სადაზღვევო ორგანიზაციებს აძლევს შესაძლებლობას კერძო ინიციატივების გზით მათი ინფრასტუქტურის გაძლიერებას. პირველ რიგში საკუთარი სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობა და ა. შ.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის განვითრებისა და ზოგადად სადაზღვევო ინდუსტრიის განვითრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვექტორია ამ სექტორში უცხოური კაპიტალის შემოსვლა. ბოლო წლებია სადაზღვევო კომპანიების სააქციო კაპიტალში იზრდება უცხოური ორგანიზაციების წილი, რაც ამ ფინანსური სექტორისადმი მათი დიდი ინტერესით არის განპირობებული. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე უკვე ფუნქციონირებს 5 ერთობლივი კომპანია. ასე მაგალითად ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) შეიძინა ქართული სადაზღვევო კომპანიის „იმედი-L“ აქციათა 34 %.[1]

საფინასო ბაზარზე სადაზღვევო კომპანიების სარეზერვო ფონდები თავისი მნიშვნელობით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკრედიტო რესურსია და მათ შორის საქართველოშიც დღეს უკვე ისინი აქტუალურადაა ჩართული ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელებაში.

საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრიის განვითრების სრულად ახალ ვექტორად შეიძლება ჩაითვალოს კორპორაციის საფუძველზე ბანკებსა და სადაზღვევო კომპანიებს შორის ურთიერთობები. ასეთი კორპორაციული თანამშრომლობა უკვე ჩამოყალიბდა სადაზღვევო კომპანია „ალდაგი – ბისიაი“, და „საქართველოს ბანკს“, „ჯიპიაი“ და „თიბისი ბანკს“, „იმედი-L“ და „ბანკ რესპუბლიკას“-ს შორის. ისინი საკუთარ კლიენტებს სთავაზობენ საბანკო და სადაზღვევო პროდუქტებს და მომსახურების მთელ სპექტრს „ერთი ხელიდან“. თანამშრომლობის ასეთ ფორმას „კროსს-სელინგი“ ეწოდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დაზღვევის ცალკეული სახეები აქტიურად ვითარდება არის სადაზღვევო საქმოანობის მნიშვნელოვანი სფეროები, რომლებიც ჯერ-კიდევ სადაზღვევო ბაზარზე ნაკლებად მოთხოვნადი და კონკურენტულები არიან. კერძოდ ეს განსაკუთრებით ეხება ეკონომიკური რისკების დაზღვევას. ამ მიმართულებით მუშაობს მხოლოდ რამოდენიმე სადაზღვევო კომპანია და ისიც საკმაოდ შეზღუდულ მაშტაბში.

ნაკლები ყურადღება ექცევა, როგორც სახელმწიფოს ასევე სადაზღვევო კომპანიების მხრიდან ისეთ მნიშვნელოვან სადაზღვევო პროდუქტს, როგორიცაა პასუხისმგებლობა დაზღვევა. ევროგაერთიანების სივრცეში ავტომფლობელთა სამოქალაქო პასუხიმგებლობა სავალდებულოა, რაც რისკის დადგომის შემთხვევაში ერთის მხრივ ზრდის მოქალაქეთა მატერიალური დაცვის ხარისხს და მეორეს მხრივ სადაზღვევო კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გააფართოვონ სადაზღვევო მომსახურების სპექტრი.

საქართველოში სოფლის მეურნეობა და ტურიზმი ეკონომიკის განვითრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია, ამიტომ ალბათ მომავალში საჭიროა სადაზღვევო ბაზარზე გაჩნდეს ეკონომიკის ამ სეგმენტიდან უფრო მეტი სადაზღვევო პროდუქტი. დღეს სოფლის მეურნეობის პროდუქტებიდან ძირითადი დაზღვევა მოდის მევენეხეობაზე, მარცვლეულ კულტურაზე (ხორბალი, სიმინდი, ქერი) აქტიურად დაიწყო თხილის მოსავლის დაზღვევა, მეცხოველოების პროდუქტების და ა.შ.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის განვითრების მნიშვნელოვან იმპულს მისცემს სავალდებულო სოციალური დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება, რის გარეშეც შეუძლებელია პირადი ნებაყოფლობითი დაზღვევის აქტიური განვითარება. ასევე სადაზღვევო ბაზრის განვითრებას მნიშვნელოვნად აფერხებს მის ზოგიერთ სექტორში კონკურენციის შეზღუდულობა; განსაკუთრებით ეს შეეხება რეგიონებს, სადაც მოქმედებს მხოლოდ ერთი ან ორი სადაზღვევო კომპანიის ფილიალები, ასევე სადაზღვევო სექტორში მედიაციის და უფლებების დაცვის საორგანიზაციო და სამართლებრივი სისტემის არასრულყოფილება.

ამრიგად საქართველოში სადაზღვევო ინდუსტრია სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებს, როგორც სპეციალიზირებული საკრედიტო და საინვესტიციო ინსტიტუტი საბაზრო ურთიერთობების გამყარების პროცესში, ხოლო დაზღვევა კი თავისი შინაარსით იძენს ყველა იმ ნიშანს, რაც ფინანსური სისტემისათვის არის დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა.

1. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, 1997წ.
2. ნ. ლაზვიაშვილი, რისკმენეჯმენტი, თბ. 2010წ.
3. ზ. ღუდუშაური, ფინანსური მენეჯმენტი, თბ 2007წ.
4. შათირიშვილი ჯ. კაკაშვილი ნ. „სადაზღვევო საქმე“, თბ, 2008წ.
5. ჭიოტაშვილი დ. დაზღვევა ფინასური ბაზრის სისტემაში. ფ.ს.კ.ი. შრომების კრებული ტ. IV , თბილისი 2000წ.
6. ვეკუა დ. მოსახლეობის სოციალური დაცვის მაკროეკონომიკური რეგულირება პოსტსაბჭოურ ქვეყნებში. თბილისი, 2003წ.

[1] ჯ.შათირიშვილი.ნ კაკაშვილი “სადაზღვევო საქმე გვ 310 თბილისი 2008წ.

7. Шахов В., Ахвледиани Ю. „Страхование“ ЮНИТИ М. 2009 г.
8. Ермоков С. В., Ермокова Н. В. „Страхование“ М. 2008г.
9. Andrew Holmes, Smart Rish, Capstone 2004
10. www Geostat.ge

დავით ვეკუა

საქართველოში სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების ტენდენციები და მისი განვითარების თავისებურებები

რეზიუმე

სტატაში გაანალიზებულია საქართველოში სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ჩამოყალბების ტენდენციები და განვითარების თავისებურებები. მისი განვითარება ეკონომიკისათვის ქმნის ახალი საკრედიტო რესურსების მოზიდვის შესაძლებლობას. სადაზღვევო ბაზარი ინტენსიურად ვითარდება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი იმისათვის, რომ ერთის მხვრივ ჩამოყალიბდეს სადაზღვევო მომსახურებაზე მოთხოვნილება და მეორეს მხრივ უკეთ დაკმაყოფილდეს სადაზღვევო ინტერესი. სტატიაში ჩამოყალიბებულია ის წინადადებები, რომლებმაც უნდა სრულყონ სადაზღვევო სფეროში რისკების მართვა, სატარიფო პოლიტიკა, გადაზღვევის ფორმირებასა დამეთოდების გამოყენება დემონოპოლიზაცია სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევების პროპორციის დადგნა და სხვა.

Davit Vekua

Tendencies of Formation of Insurance Infrastructure and Peculiarities of its Development in Georgia

Abstract

The article deals with the tendencies of formation of insurance infrastructure and peculiarities of its development in Georgia. Its development creates the possibilities to attract new credit resources for economy. Insurance market is intensively developing but we are yet far from the situation when on the one hand demands of insurance service will be formed and on the other the insurance interest will be more satisfied. In the article there are some suggestions which should improve risk management, tariff policy, usage of reinsurance formation and methods, demonopolization, determination of compulsory and voluntary insurance proportion etc. in the insurance sector.

ამირან თავართქილაძე

საქართველო-ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს

წელს 20 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა.

მიმდინარე წლის 30 იანვარს, თეთრ სახლში ამერიკის პრეზიდენტმა საქართველოსთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობის განვითარების შესაძლებლობაზე ისაუბრა. „ჩვენ განვიხილეთ, როგორ შეიძლება, გაგრძელდეს ორი ქვეყნის ურთიერთობა, მათ შორის, ეკონომიკური კუთხით. საქართველომ დიდი ნაბიჯები გადადგა თავისუფალი ბაზრის შესაქმნელად. გვსურს გავზარდოთ სავაჭრო ურთიერთობები, მათ შორის, თავისუფალი ვაჭრობა. ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გაკეთდეს და მთავარია, ეს მომგებიანი იყოს ორივე ქვეყნისათვის. უნდა განვითარდეს ბიზნესი და ბაზრებზე ერთმანეთის საქონელი და მომსახურება გავყიდოთ“, - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ.

თავისთავად, ნებისმიერ ქვეყანასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების" გაფორმება გარკვეულ დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ, ისეთ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების პერსპექტივა სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. **იმდენად განსაკუთრებულს, რომ სამსჯელოა- უახლოეს მომავალში, რომელი პოლიტიკური ნაბიჯია უფრო მიღწევადი - ნატოში გაწევრიანება, ევროკავშირში შესვლა, თუ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება. სამივე სამიზნე თითქმის ერთნაირად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ ვექტორს და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.**

“მიუხედავად გეოგრაფიული სიშორისა, ამერიკასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების" გაფორმებას, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მიზანი აქვს. მეორე მხრივ, კი განუზომელი ეკონომიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ძალზე მარტივად, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს საქართველოს და ამერიკას შორის სავაჭრო ბრუნვის ზრდას გამოიწვევს. დღეს ეს ციფრი, დაახლოებით, 400 მლნ. ამერიკული დოლარი შეადგენს და თუ "თავისუფალი ვაჭრობის შესახებ" ხელშეკრულება გაფორმდება, ბუნებრივია, ეს ციფრი მრავალჯერადად გაიზრდება“[1].

ასევე მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ტერიტორია ინვესტორებისათვის უკვე „ბევრად“ საინტერესო ხდება.” პირველ რიგში, მკვეთრად წარმოჩინდება ამერიკული „ინვესტიციური კაპიტალი“ ამასთან, გაჩნდება ახალი ინვესტორი ქვეყნები, მათ შორის ჩვენი მეზობელი - სომხეთი, აზერბაიჯანი და სრულიად ახალი მონდომებითა და მოცულობით თურქეთი, უკრაინა, შუა აზიისა და აზიის ქვეყნები, რომლებსაც მიეცემათ შესაძლებლობა პროდუქცია ჩვენთან აწარმოონ და „თავისუფალი რეჟიმით“ ამერიკულ ბაზარზე შეაღწიონ. სწორედ ამ ორი ფაქტორის გამო ამერიკასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" განსაკუთრებულ მნიშვნელობას და წონას იძენს. აღიარებული სახემძღვანელოს - „ეკონომიკის პრინციპები“ ავტორი გრეგორი მენქიუ აღნიშნავს, ეკონომიკის ერთ-ერთი პრინციპია ის, რომ ,,ვაჭრობას შეუძლია ყველას მდგომარეობა გააუმჯობესოს”.ამისათვის საჭიროა ქვეყანაში არსებულ ბუნებრივ უპირატესობათა დანახვა, დაფასება და გამოყენება.

ექსპერტების აზრით, "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება" პროდუქტიული მაშინ არის, როდესაც ქვეყანაში ადგილობრივი წარმოებაა განვითარებული“. მაგრამ, დღეს და უახლოეს მომავალში ადგილობრივი კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება, მსხვილი ინვესტიციებისა და ინოვაციური,“ ბრენდული“ და მაღალტექნიკური წარმოების გარეშე თითქმის შეუძლებელია. სწორედ ამიტომ.იმისათვის, რომ კონკურენტუნარიანი პროდუქტის წარმოება ადგილობრივად დავიწყოთ საქართველოს ამ ხელშეკრულების ან ევროკავშირთან მსგავსი ხელშეკრულების გარეშე არ აქვს. თუმცაღა დავეთანხმები მკვლევართა აზრს, რომ „ეს ნამდვილად გრძელვადიანი პროცესია“[2] და "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით" მონიჭებული უფლებები მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. რა თქმა უნდა, თუ ამ შესაძლებლობებს (შანსს) ვერ გამოვიყენებთ,ანუ ვალდებულებებს ვერ შევასრულებთ, ეს მხოლოდ ჩვენი დანაშაული იქნება.

[1] საინფორმაციო სააგენტო Iveroni

[2] ირაკლი ლექვინაძე „საქართველო-ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“. გვ.4

წინასწარ უნდა ვივარაუდოთ, რომ საქართველოს მიმართ, ამერიკის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების მთავარი მოთხოვნა ეს სტანდარტები იქნება. ქართული პროდუქტი, თავისი სტანდარტებით, დღეს მხოლოდ დსთ-ს, აზიური და ლათინო-ამერიკულ ქვეყნებში, პანამაში, ტრინიდადში და ისეთი ტიპის ქვეყნებში, სადაც მსგავსი ტიპის მოთხოვნები, ჯერჯერობით, არ არსებობს. სხვა ბაზრებზე თავის დასამკვიდრებლად კი, როგორც ტექნოლოგიურად, ასევე ხარისხობრივად და სხვა ბევრი პარამეტრით ამერიკული ბაზრის მოთხოვნებს, რომ მიუახლოვდეს - ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს. აშშ-საქართველოს შორის თავისუფალი სავაჭრო რეჟიმის მნიშვნელობისა და შედეგების გასააზრებლად კარგი მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ჩრდილო - ამერიკული შეთანხმება (NAFTA). მარტივად, ეს ამერიკის, კანადისა და მექსიკის თავისუფალი სავაჭრო ზონაა. ხელშეკრულება 1992 წელს გაფორმდა, რატიფიცირებული იქნა და ძალაში შევიდა 1994 წლის 1იანვრიდან. თუმცაღა, აღნიშნულ ხელშეკრულებას წინ უძღოდა მრავალწლიანი ურთიერთობა, ამ სახემწიფოთა შორის ურთიერთ ინტერესების გამთვალისწინებელი სხვადასხვა ლოკალური ხელშეკრულებები. პირველი ნაბიჯი ჯერ კიდევ 1947 წელს გადაიდგა რომლის მიზანს წარმოადგენდა ამერიკული ინვესტიციების სტიმულირება კანადაში. „1959 წელს აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ერთობლივი სამხედრო წარმოების თაობაზე, რომელმაც ხელი შეუწყო ამერიკული სტანდარტების სამხედრო ტექნიკის წარმოებას კანადაში. შემდეგი ნაბიჯი 1965 წელი, როცა დაიდო შეთანხმება საავტომობილო ვაჭრობის ლიბერალიზაციის (უბაჟო ვაჭრობის) თაობაზე. 1980 წელს, პრეზიდენტ რეიგანის მიერ მხარდაჭერილი იქნა ამერიკის, კანადის და მექსიკის პირველი ერთობლივი შეთანხმება -ენერგეტიკული კავშირის სახით. 1988 წელს, აშშ-სა და კანადას შორის გაფორმდა სრულფასოვანი ხელშეკრულება „თავისუფალი ვაჭრობის“ შესახებ. რომელსაც შემდგომ მექსიკაც შეუერთდა”[1]. პირველივე შედეგები ძალზე შთამბეჭდავი იყო. 1993-1997 წლებში 2,5 ჯერ გაიზარდა საქონელბრუნვა მექსიკასთან, 2-ჯერ კანადასთან. ამავე დროს მკვეთრად გაიზარდა ამერიკული ინვესტიციების მოცულობა მექსიკაში და პირველივე წელს 140 მილიარდი დოლარი შეადგინა, შემდგომ წლებში ყოველწლიურად 100 მილიარდზე მეტი, რომელთა უმრავლესობა ამერიკული ბრენდული საწარმოების აშენებას მოხმარდა. ერთის მხრივ ამერიკის ფირმების მხრიდან მსხვილმა ფინანსურმა და ტექნოლოგიურმა ინვესტიციებმა და მეორეს მხრივ მექსიკის ადგილობრივი ნედლეულის და მუშახელის გამოყენებით შექმნილი პროდუქცია სრულფასოვან კონკურენციას უწევს მსოფლიო ბაზარზე იაპონურ და ევროპულ საქონელს. „ნაფტას“ შეთანხმებამ მნიშვნელოვნად წასწია წინ მექსიკის და კანადის ეკონომიკა.

ეს მაგალითი (თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილოამერიკული შეთანხმება), საქართველოს მნიშვნელოვნად წაადგება. ამ პროგრამის ფარგლებში მიღებული გამოცდილება საქართველოსთან მიმართებაშიც უნდა იქნეს გამოყენებული.

ამერიკა პარტნიორებს სავაჭრო ურთიერთობის დასამყარებლად რამდენიმე ნიშნით არჩევს. პირველი კრიტერიუმი ტერიტორიული სიახლოვეა. კანადის და მექსიკის შემთხვევა სწორედ ამის მაგალითია. გეოგრაფიული მდებარეობის გამო ამერიკას მექსიკას და კანადას საერთო ბაზარი აქვთ, რაც ხელს შეერთებულ შტატებს აძლევს. მაგრამ, თუკი მსოფლიოს რომელიმე ქვეყანას სურს ამერიკასთან მსგავსი სავაჭრო ურთიერთობების დაამყარება აუცილებელი არაა ტერიტორიული სიახლოვე. იმ 17 ქვეყანაში, რომელთანაც შეერთებულ შტატებს უკვე აქვს თავისუფალი სავაჭრო სფერო, მოხვდა ჩილე და, სინგაპურიც.

ჯერ კიდევ „1934 წელს, ამერიკაში გაჩნდა ტერმინი „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ქვეყანა“. სწორედ აღნიშნული ცნება განსაზღვრავდა შეერთებული შტატების საგარეო სავაჭრო პოლიტიკას. არსი შემდეგი გახლდათ - შეერთებულ შტატებს სჭირდებოდათ იმ ქვეყნების წახალისება, რომლებიც მისი პოლიტიკურად სტრატეგიული პარტნიორები იყვნენ. ასევე, თუკი აშშ აშკარად გრძნობდა, რომ ნაკლებად განვითარებული ქვეყანა დემოკრატიული სტანდარტების შესაბამისად განვითარებას ცდილობდა და ამერიკისთვის მნიშვნელოვან პრინციპებს არ ღალატობდა, მასთან აფორმებდა (წახალისების მიზნით) თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას.“[2] დღეს საქართველოს სწორედ ამ ჭრილში განიხილება. საქართველო ამერიკისთვის რეგიონში სტრატეგიული პარტნიორია და შეერთებული შტატები მას ასე ეხმარება. თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით მარტივად არ ფორმდება. ხელშეკრულების მომზადებას წინ უძღვის გრძელი მოლაპარაკების პროცესი, როდესაც მხარეები ერთმანეთს იდეებსა და რეგულაციების შესახებ ინფორმაციას უცვლიან. ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების წინაპირობა კონკრეტული ვალდებულებების შესრულება არ არის. განსხვავებით ევროკავშირისგან შეერთებული შტატები პარტნიორ ქვეყნებს განსასაკუთ-

[1] News.ge
[2] News.ge

რებულ რთულად შესასრულებელ პირობებს არ უყენებს. ევროკავშირმა, მაშინ როცა საქართველოსთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაზე მოლაპარაკება დაიწყო, ქართულ მხარეს 4 მთავარი რეკომენდაცია მისცა - კონკურენციის შესახებ საკანონდებლო გარემოსა და სახელმწიფო ინსტიტუციების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, სურსათის უსაფრთხოების მაღალი სტანდარტების მიღწევა, ვაჭრობის საკითხებზე ევროპული ნორმების შესაბამისი კანონდებლობის მიღება. „შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირს შორის დიდი ხანია მიმდინარეობს მარეგულირებელ სფეროში დიალოგი და ისინი ცდილობენ ერთმანეთს დაუახლოვონ სტანდარტები, რომელიც ბაზარზე პროდუქტის დაშვების საკითხებს ეხება. ევროპული პროდუქციის ამერიკულ ბაზარზე არდაშვება დღეს გამორიცხულია. ეს ნიშნავს, რომ ევროპული სტანდარტები სრულად შეესაბამება ამერიკის მოთხოვნებს. ამიტომ ჩვენი მომზადება ვაჭრობის სფეროში ადეკვატურად აისახება ამერიკასთან ურთიერთობაშიც“[1],

ამერიკაც არის დაინტერესებული ითანამშრომლოს მხოლოდ ისეთ ქვეყნებთან, რომლებიც ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ. შესაბამისად, საქართველოს მცდელობა - დააკმაყოფილოს ევროკავშირის სავაჭრო სტანდარტები - ქვეყანას ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებაში დაეხმარება.

საქართველოში საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 2011 წელს, წინასწარი მონაცემებით, 9 მლრდ 244 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს (საქსტატი) ინფორმაციით, აღნიშნული მაჩვენებელი 2010 წლის მონაცემთან შედარებით 35%-ით მეტია.

სტატისტიკური ინფორმაციით, აშშ-ს და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა გასულ წლებში მნიშვნელოვნად იზრდება. „2011 წლის მონაცემებით, საქართველოდან აშშ-ში 143.4 მილიონ დოლარამდე ღირებულების პროდუქციის ექსპორტი განხორციელდა“[2]. თავისუფალი ვაჭრობის ამოქმედების შემთხვევაში კი....

თავად ის ფაქტი, რომ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობა შეიძლება, რეალობა გახდეს, ძალზედ დადებითია, მაგრამ ჯერ-ჯერობით ეს ყველაფერი მისაღწევია. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს აშშ-სთან ისედაც აქვს პრეფერენციული რეჟიმი, რომელიც 1200 დასახელების პროდუქციის ექსპორტზე, რაც არც თუ ისე ნაკლებშეღავათიან რეჟიმს გულისხმობს. მაგრამ, საექსპორტო პროდუქციის სტანდარტის შეუსაბამობის გამო მისი გატანა ვერ ხდება.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, თავისუფალი ვაჭრობა - საბაჟო ტარიფების და ქვოტების გარეშე ვაჭრობას ნიშნავს და თავისუფალი ვაჭრობის შესაძლებლობა ყოველთვის სტიმულის მიმცემია კომპანიებისთვის, რათა საექსპორტო პროდუქციის წარმოება განავითარონ. აქაც მნიშვნელოვანი ფაქტორია არასატარიფო ბარიერები ვაჭრობაში. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის მოთხოვნები (WTO) სწორედ არასატარიფო ბარიერების მოხსნას ემსახურება. ამდენად, მსო-ის მოთხოვნების შესრულება ვაჭრობასთან დაკავშირებული ევროპული სტანდარტების დაახლოებით ერთი მესამედის დაკმაყოფილებას ნიშნავს.

„ბრიუსელმა საქართველოს ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში ვაჭრობის გარკვეული შეღავათიანი პირობები მიანიჭა. GSP+ ფორმატში, შეღავათების ჩამონათვალში, 7 200 დასახელების პროდუქციაა, რომელიც ყოველგვარი ბაჟის გარეშე ან 90-პროცენტიანი შეღავათებით შეგვიძლია გავიტანოთ ევროპულ ბაზარზე, თუმცა მინიმუმსაც არ ვიყენებთ. საქართველოს საექსპორტო კალათა ასე გამოიყურება: ავტომობილები, ჯართი, აზოტის სასუქი, თხილი, მადნეულის კონცენტრატები და სასოფლო-სამეურნეო მცირე პროდუქტები“. ფაქტია, რომ თანამშრომლობის ეს ეტაპი ჯერჯერობით ნაკლებეფექტიანია.

დღეს, სპეციალისტების და მკვლევარების დიდი უმრავლესობა არ დავობს იმ საკითხზე „იმისათვის, რომ ქართულმა პროდუქციამ ევროზონასა და ამერიკულ ბაზრებზე შეაღწიოს, ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი“. პირველი და მნიშვნელოვანია ქართული პროდუქტის ხარისხის ევროპულ თუ ამერიკულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. რა შეიძლება გავიტანოთ საქართველოდან? ამაზე ეკონომიკის ექსპერტს, ემზარ ჯგერენაიას, ასეთი მოსაზრება აქვს: „ძალიან ბევრი რამის გატანა შეგვიძლია, დაწყებული გადამუშავებული ხე-ტყით და დამთავრებული სამშენებლო მასალებით. ობამა-სააკაშვილის შეხვედრის შემდეგ ამერიკის პრეზიდენტმა დაავალა ამერიკის მილენიუმის ფონდს და ოპეკს: ნუ დაელოდებით ხელშეკრულების გაფორმებას, ჩადით საქართველოში და დააფინანსეთ ბიზნესის განვითარება. მათ უნდა მოამზადონ საქართველო ექსპორტისათვის. საჭიროა წამოიწიოს ის დარგები, რომლებიც ბიზნესინტერესებს გამოიწვევს“.

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას, რომელსაც აშშ მოკავშირე ქვეყანასთან თუ ქვეყნების ჯგუფთან ახორციელებს, მოიცავს საბაჟო გადასახადების და ბარიერების მოხსნას, რასაც, ბუნებრივია,

[1] ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია

[2] საქ. სტატი - საქ. სავაჭრო ბრუნვა. გვ.42

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესება მოჰყვება. ამერიკა ყველა ქვეყანასათან ინდივიდუალურად მუშაობს ამ საკითხზე. თავისუფალ სავაჭრო ურთიერთობებს უმეტესწილად მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ბაზაზე ახდენს. ამ მომენტისათვის აშშ-ის თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები 17 ქვეყანასთან აქვს. მოლაპარაკებები მიმდინარეობს სამ ქვეყანასთან - სამხრეთ კორეასთან, პანამასთან და კოლუმბიასთან. არსებობს ასევე „ტრანსწყნაროკეანური სავაჭრო ხელშეკრულება", სადაც გაერთიანებულია ავსტრალია, ბრუნეი, ვიეტნამი, მალაიზია, ახალი ზელანდია, პერუ, სინგაპური და ჩილე.

ამერიკული ბაზარი თავს იცავს სუბსიდირებითა და კვოტებით. ამიტომ იმ ქვეყნებს, რომლებსაც ამერიკულ ბაზარზე მთლიანად ათვისებული აქვთ საკუთარი კვოტები, იმაზე მეტ პროდუქციას არ შეატანინებენ, და ეძებენ ისეთ ქვეყნებს, რომლებიც ამერიკასთან და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის პირობებში არიან და კვოტებს ვერ ითვისებენ ბოლომდე. ასეთ პირობებში სხვა ქვეყნის კომპანიები ინვესტიციებით, შედიან ამ ქვეყნებში და იქ წარმოებული პროდუქციით ამერიკულ და ევროპულ ბაზარზე საკუთარი პროდუქციის მოცულობას ზრდიან. სააკაშვილისა და ობამას შეხვედრისას საუბარი იყო საქართველოსათვის კვოტების გამოყოფაზეც, რაც პირდაპირი სიგნალია უცხოელი ბიზნესმენებისათვის.

ამასთან გასათვალიწინებელია, თავისუფალი ვაჭრობის პირობებში კონკურენცია დაუნდობელი და გარკვეულწილად „აგრესიულიც" იქნება. ქართველ მეწარმეებს „პაექრობა" მოუწევთ ბიზნესში კარგად გამოცდილ უცხოელებთან, რომლებიც შეეცდებიან აშშ-ს მიერ, საქართველოსათვის გამოყოფილი კვოტები სათავისოდ გამოიყენონ. მრავალი ქვეყნისთვის ჩვენი ქვეყანა კარგი „სამუშაო მოედანი" გახდება იმისათვის, რომ მოხვდნენ ამერიკულ ბაზარზე. ამ ფონზე, საქართველოში ყველაზე მეტად აზიური და თურქული ბიზნესის გააქტიურებაა მოსალოდნელი.

საქართველოში დღეს მოქმედი საწარმოების ძირითადი ნაწილი შიგა მოხმარების ბაზარზე არის ორიენტირებული. საექსპორტო საქონლის შექმნა, სათანადო გამოუცდელობისა და სხვა მიზეზთა გამო, მათთვის ჯერ კიდევ ბევრ სირთულეებთანაც ასოცირდება. ამის დასადასტურებლად ისიც კმარა აღვნიშნოთ, რომ „ქართული პროდუქცია" ევროპულ ბაზარზე დღესაც, საკმაოდ სერიოზული პრეფერენსირების სისტემით სარგებლობს. 10000 სატარიფო პოზიციიდან, რომელთაც ევროკავშირის ერთიანი საბაჟო კოდექსი ითვალისწინებს, დღეს 9300 დასახელების პროდუქცია, საქართველოდან ექსპორტის შემთხვევაში, გათავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. მათგან 2100 სასაქონლო კატეგორიაზე ტარიფები, ქვეყნისთვის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ეგიდით ადრე მინიჭებული უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის ფარგლებში გაუქმდა. 7200 დასახელების პროდუქციაზე კი – ევროკავშირის მიერ 2005 წლიდან დაწესებული პრეფერენციების განზოგადებული სისტემის დამატებითი სატარიფო დათმობის ფორმატში (GSP+) არის განსაზღვრული.

ამასთან, საქართველოს სავაჭრო პარტნიორების თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად, ვმო-ს წევრ ქვეყნებთან (153 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება "უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის" (MFN) საფუძველზე. ამასთან, საქართველო არის ევროკავშირის, აშშ, იაპონიისა, კანადა, შვეიცარია და ნორვეგიის პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი ქვეყანა. საქართველო ასევე არის სუამ-ის ფარგლებში მოქმედი "თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ" 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყნა. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვსრუსეთის,აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი და თურქეთთან.ამის მიუხედავად, „2011 წელს საქართველოს უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4869 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა"[7]. ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებების მიუხედავად, საექსპორტო პროდუქციის სიმწირისა და არსებულის არასტანდარტულობის გამო მსოფლიო ბაზარზე გატანა ვერ ხდება. ევროპის ბაზარზე საქართველოდან მხოლოდ რამდენიმე ათეული დასახელების პროდუქცია გადის. აქედან GSP+-ის შეღავათების რეჟიმს უშუალოდ 34 დასახელების პროდუქცია ექვემდებარება. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ მთელ რიგ პროდუქტებზე საბაჟო ტარიფი GSP+ რეჟიმის ამოქმედებამდეც დაბალი იყო. მაგ. მინერალურ წყლებზე საბაჟო ტარიფი 6,1%–ს შეადგენდა, ამონიუმის სულფატზე – 3%ს, ხოლო თხილზე მხოლოდ – 2,1 %ს. GSP+ რეჟიმის ამოქმედების შემდგომ ეს ტარიფიც განულდა, მაგრამ ექსპორტის კარგად შესამჩნევი ზრდა მაინც ვერ მოყვა. მაგ. 2011 წელს აშშ-ში GSP-ის რეჟიმით განხორციელდა მხოლოდ და მხოლოდ 8 ათასი აშშ დოლარის უალკოჰოლო სასმელებისა და 26 ათასი აშშ დოლარის საკონსერვო პროდუქციის ექსპორტი.

პრობლემა მაინც სტანდარტს, ხარისხს და უვნებლობას უკავშირდება. ცნობილია, რომ ევროპის ბაზარზე ქართული კაკალი და თხილი განსაკუთრებული მოთხოვნით სარგებლობს. თუმცა, 2009 წლის გაზაფხულზე საქართველოდან პორტუგალიასა და ჩეხეთში ექსპორტირებულ თხილში ალფა–ტოქსინები აღმოაჩინეს, რომელიც მძიმე მოწამვლას იწვევს. ევროპულ ბაზარზე კონტროლის გამკაცრების შემ-

7. საქ. სტატი - საქ. სავაჭრო ბრუნვა. გვ.44

დეგ, 2010 წელს თხილის ექსპორტი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად, 12%–ით, შემცირდა. შარშან კვლავ ზრდის ტენდენცია დაფიქსირდა.

„2011 წელს საქართველოს ექსპორტი 39%-ით გაიზარდა და 2189 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა; იმპორტი გაიზარდა 34%-ით და 7058 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა“[1].

მიუხედავად იმისა, რომ 2011 წლის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი 4869 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის შემდეგ ექსპორტის ზრდის მაჩვენებელი აღემატება იმპორტის ზრდის მაჩვენებელს და შესაბამისად იზრდება ექსპორტის წილიც სავაჭრო ბრუნვაში. „საქსტატის“ მონაცემებით - 2011 წელს, ექსპორტის ხვედრითი წილი 2010 წელთან შედარებით გაიზარდა და 23.7% შეადგინა, რაც 2006 წლის შემდგომ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 2011 წლის მონაცემებით სამი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 36.6% შეადგინა. კვლავ ლიდერობს თურქეთი, აზერბაიჯანი და უკრაინა. რომელთანაც საქართველოს უკვე გაფორმებული აქვს თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები.

თურქეთს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 16.2% ხვედრითი წილი უკავია და შეადგინა 1500 მლნ. აშშ დოლარი. 2011 წ. ექსპორტი გაიზარდა 6.3%-ით და შეადგინა 227.6 მლნ. აშშ დოლარი. საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტში მისი ხვედრითი წილი მხოლოდ 10.4%-ით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ძირითადი საექსპორტო ქვეყნების ათეულში თურქეთი მხოლოდ მე-2 ადგილზე იმყოფება. ამასთან, მთლიანი ექსპორტის 72.3%. მსოფლიო ბაზარზე ისეთ „მოთხოვნად“ საქონელზე მოდის, როგორიცაა: შავი ლითონების ჯართი 36.3%, ფეროშენადნობები - 22.2%, აზოტოვანი სასუქები - 8.4% და ელექტროენერგიაა - 5.4%. ამავდროულად, იმპორტი გაიზარდა 43.4%-ით და შეადგინა 1272.4 მლნ. აშშ დოლარი. ხვედრითი წილი საქართველოში განხორციელებულ მთლიან იმპორტში განისაზღვრა 18%-ით.

აზერბაიჯანს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 11.2% ხვედრითი წილი უკავია. წინა წელთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 42.5%-ით და შეადგინა 1036 მლნ. აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 75%-ით და შეადგინა 426 მლნ. აშშ დოლარი. რომლის 41,7 % მსუბუქ ავტომობილებზე მოდის. საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტში აზერბაიჯანის ხვედრითი წილი 19.5%-ს შეადგენს. ამავდროულად , იმპორტი გაიზარდა მხოლოდ 26.3%-ით და შეადგინა 610,8 მლნ. აშშ დოლარი. რომლის 84% ნავთობპროდუქტებსა და აირებზე მოდის. საქართველოში განხორციელებულ მთლიან იმპორტში აზერაიჯანის ხვედრითი წილი 9%-ით განისაზღვრა.

უკრაინას საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 9.2% ხვედრითი წილი უკავია. წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა 27.6 %-ით და შეადგინა 847 მლნ. აშშ დოლარი. ექსპორტი გაიზარდა 36.7%-ით და შეადგინა 141.2 მლნ. აშშ დოლარი. საქართველოს მიერ განხორციელებულ მთლიან ექსპორტში უკრაინის ხვედრითი წილი განისაზღვრა 6.5%-ით. იმპორტი გაიზარდა 26%-ით და შეადგინა 705.6 მლნ. აშშ დოლარი. საქართველოში განხორციელებულ მთლიან იმპორტში უკრაინის ხვედრითი წილი განისაზღვრა 10%-ით.

აქვე აღსანიშნავია, რომ 2011 წლის ექსპორტის მიხედვით, სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების პირველი სამეული აზერბაიჯანი (425.9 მლნ,დოლარი) თურქეთი (227.5) და სომხეთია (223.1);

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობის თითქმის სრულმასშტაბიანი ხელშეკრულება მოქმედებს, ამ რეჟიმით 2011 წელს, მხოლოდ 227 მლნ. აშშ დოლარის პროდუქცია გავიდა, საერთო ექსპორტის მხოლოდ 10 % -ზე ცოტა მეტი. ასევე მცირეა თურქეთთან თავისუფალი ვაჭრობისთვის განკუთვნილი საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერტიფიკატი ფორმა EUR-1 საერთო რაოდენობა (720ცალი). აღნიშნული კი მიგვანიშნებს იმაზე, რომ თურქეთთან დადებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებამ ჯერჯერობით სათანადო ეფექტი ვერ მოგვცა. მსხვილი თურქული ინვესტიციები რეალურად, მხოლოდ გრძელვადიან ენერგეტიკის სექტორში ხორციელდება და ხელშესახები საექსპორტო ქართული პროდუქციის შექმნას ხელი არ ეწყობა. მაგრამ, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამერიკასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა თურქული ბიზნესის დაინტერესება - საქართველოს მეშვეობით, ამერიკის ბაზარზე შესაღწევად და საქართველოში საექსპორო საქონლის ერთობლივი წარმოებითი პოტენციალის შესაქმნელად რამდენჯერმე გაიზრდება.

ევროკავშირის (27) ქვეყნებთან წინა წელთან შედარებით, 2011 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა 41%-ით გაიზარდა და 2477 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და საქართველოს სავაჭრო ბრუნვის 27% დაიკავა. ექსპორტი 46%-ით გაიზარდა, 424 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა და მთლიანი ექსპორტის 19% დაიკავა; იმპორტი 40%-ით გაიზარდა, 2053 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა და მთლიანი

[1] საქ. სტატი - საქ. სავაჭრო ბრუნვა. გვ.12

იმპორტის 29% დაიკავა. ამასთან, ევროკავშირის GSP+ სისტემით - 2011 წელს ევროკავშირის ბაზარზე პრეფერენციული რეჟიმით 27 ქვეყანაში გავიდა 213.9 მლნ. აშშ დოლარის 34 სახეობის ქართული პროდუქცია. აქედან, სამწუხაროდ, ექსპორტირებული პროდუქციის 88.9%, მხოლოდ სამ სახეობაზე მოდის: თხილი და კაკალი - 51.3% (109.7მლნ აშშ დოლარი), ამონიუმის გვარჯილა - 32.4% (69.4 მლნ აშშ დოლარი), ფეროსილიკომანგანუმი - 5.2% (11.2 მლნ აშშ დოლარი)[1].

2011 წელს საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ამერიკასთან 390 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტი 143.4 მლნ. აშშ დოლარით განისაზღვრა, იმპორტმა 245.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

ვფიქრობთ, შესაბამისი სტანდარტიზაციის მიღწევის შემთხვევაში გაცილებით დიდია იმ ქართული საექსპორტო საქონლის ჩამონათვალი, რომელიც ევროპის ბაზარზე ჯერ კიდევ არ შედის. საქართველოს აგროსამრეწველო სექტორს, რომელსაც ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა აქვს, ევროპის ბაზრის ათვისების პერსპექტივა გააჩნია. ისეთი პროდუქციის ექსპორტისთვის, როგორიცაა ხილისა და ბოსტნეულის წვენები, ხილფაფები, ჯემები, ხილის კონცენტრატები, დაკონსერვებული ნაყოფი, ღვინო და სხვა, სატარიფო ბარიერებზე მნიშვნელოვანი - მისი ხარისხია.

ევროპაში და ამერიკაში ქართული პროდუქცია, რომ შევიდეს, ის შესაბამისი ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. ამისთვის ქართულმა საექსპორტო საქონელმა საერთაშორისო აღიარების მქონე სასერტიფიკაციო ცენტრებში სერტიფიცირების პროცესი უნდა გაიაროს, საწარმოებში კი ჰარმონიზებული სტანდარტები დაინერგოს.

ევრო-ამერიკულთან ჰარმონიზებული სტანდარტების დანერგვას რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება. სერიოზული ინვესტიცია კი რეალურად მხოლოდ ამ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ აშშ-სთან და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს. მიზანი კი გაამართლებს საშუალებას. ევრო-ამერიკული ინვესტიციური კაპიტალის შემოდინების პირობებში, თანამედროვე ტექნოლოგიებით ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროდუქციის წარმოება გადაულახავ სირთულეს უკვე აღარ წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა და სხვა მასალები:

1. საინფორმაციო სააგენტო Iveroni
2. ირაკლი ლექვინაძე „საქართველო-ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება“
3. News.ge
4. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია
5. საქ. სტატი - საქართველოს სავაჭრო ბრუნვა

[1] საქ. სტატი - საქ. სავაჭრო ბრუნვა. გვ.44

ამირან თავართქილაძე

საქართველო-ამერიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს

რეზიუმე

ნებისმიერ ქვეყანასთან "თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების" გაფორმება გარკვეულ დადებით შედეგზეა ორიენტირებული. მაგრამ, ისეთ ქვეყანასთან, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია, ასეთი დონის თანამშრომლობა შეიძლება, განვიხილოთ, როგორც საქართველოს უსაფრთხოების ერთგვარი არაპირდაპირი გარანტია. შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების პერსპექტივა სრულიად განსხვავებულ და განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. **იმდენად განსაკუთრებულს, რომ სამსჯელოა- უახლოეს მომავალში, რომელი პოლიტიკური ნაბიჯია უფრო მიღწევადი - ნატოში გაწევრიანება, ევროკავშირში შესვლა, თუ აშშ-სთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება. სამივე სამიზნე თითქმის ერთნაირად განსაზღვრავს საქართველოს პოლიტიკურ ვექტორს და ეკონომიკური განვითარების პერსპექტივას.** ევროამერიკულთან ჰარმონიზებული ეკონომიკური ურთიერთობას და თავისუფალი ვაჭრობისათვის შესაბამისი სტანდარტების დანერგვას რამდენიმე წელი და სერიოზული ინვესტიციის მოძიება დასჭირდება. სერიოზული ინვესტიცია კი რეალურად, მხოლოდ ამ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით მიიღწევა. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ აშშ-სთან და ევროპასთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების გაფორმება უმნიშვნელოვანეს მიზნად უნდა იქცეს.

Amiran Tavartkiladze

The Free Trade Agreemnt between USA and Georgia Sould be the Most Important Goal

Abstract

Signing of a Free Trade Agreement with any country is oriented on a certain positive result. However, cooperation on such level with a country like the United States can be considered as a kind of an indirect guarantee of Georgia's security. Accordingly, the perspective of such Agreement acquires absolutely different and special importance. So special that it deserves discussion as to what political step is more attainable in the nearest future – NATO or EU membership or signing of a Free Trade Agreement with the United States. All three targets arguably determine political track and economic perspective of Georgia in a similar way. It will take several years and serious investments to implement standards fitting harmonized economic relationships of free trade with Europe and America. And substantial investments will be achieved by means of a Free Trade Agreement. Therefore, I believe that signing of a Free Trade Agreements with Europe and the USA should become a primary goal.

სოფიკო თევდორაძე

რეგიონის დადებითი იმიჯი - როგორც კონკურენტუნარიანობის წყარო

ტურიზმის განვითარება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი უპირველესი გაცხადებული პრიორიტეტია. სექტორი, რომელსაც უდიდესი შემოსავლების მოტანა შეუძლია და არაერთი მომიჯნავე სფეროს განივითარებისთვის სერიოზული ბიძგის მიმცემიც იქნება, დღეს, საკუთარი პოტენციური შესაძლებლობების არასაკმარისი დოზით არის ათვისებული. თუმცა, ბოლო წლების მანძილზე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება. ეს კი, თავისთვაად, ხელს უწყობს სისტემის დივერსიფიცირებას და სხვადასხვა ტიპის დამსვენებელზე ორიენტირებული სპორტული, დასასვენებელი თუ გამაჯანსაღებელი კომპლექსების დაგეგმარებას და მშენებლობას.

საქართველოს უნიკალური გეოგრაფიული თუ კლიმატური მახასიათებლები, პრაქტიკულად, ყველა სახის ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა. მით უფრო, რომ ქვეყანაში შესაბამისი ტრადიციაც არსებობს და მოთხოვნილებაც, უკანასკნელ ხანებში კი უაღრესად სერიოზული ბიზნეს-პროექტებიც გაჩნდა.

თანამედროვე გარემოში ტურიზმს სულ უფრო მეტი და საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება, რომელთაგან გამოვყოფთ ტურიზმის, როგორც რეგიონის-ტერიტორიის იმიჯის, ფორმირების ფაქტორს.

რეგიონი და რეგიონული კონკურენტუნარიანობა - რეგიონული კონკურენტუნარიანობა დაკავშირებულია რესურსების გამოყენების პროდუქტიულობასთან. რეგიონის კუნკურენტული პოზიციის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ არსებული ან არარსებული კონკურენტული უპირატესობების კომპლექსური აღრიცხვით. ამასთან საუბარი უნდა იყოს არა მხოლოდ რესურსების ამა თუ იმ სახეობების არსებობაზე და მათი გამოყენების ეფექტურობაზე, არამედ უპირველეს ყოვლისა, რეგიონის უნარზე გაზარდოს და მოახდინოს მისი შიდა პოტენციალის აქტივიზირება. თითოეულ რეგიონში არსებობს გამოუყენებელი, არარეალიზედული რეზერვების უზარმაზარი სიმრავლე. ამ გამოუყენებელი სპეციფიკური რეგიონული პოტენციალის აქტივიზაცია უნდა იქცეს რეგიონული განვითარების საფუძვლად.

იმიჯური რეალობა, როგორც ტურისტული რესურსი და კონკურენტული უპირატესობების წყარო – ამ შემთხვევაში პრინციპულად მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ რეგიონის ასეთი გაგების დროს მისი კონკურენტუნარიანობის ცენტრში აღმოჩნდება არა იმდენად პროდუქტის კონკურენტულობა, არამედ თვით რეგიონი.

თავდაპირველად კონკურენტუნარიანობის ასეთი მოდელები გამოიყენებოდა ბიზნესის სფეროში, სადაც ამა თუ იმ კომპანიის პოზიტიური იმიჯი გარდაიქმნებოდა დამატებითი უზარმაზარი მოგების წყაროდ. მაგრამ საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიულმა დონემ განაპირობა ინფორმაციულინიშნადი კომპონენტების ზრდა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში. მათ შორის მან გამოხატულება ჰპოვა მსოფლიო ეკონომიკის შეუზღუდავ ექსპორტში. სწორედ ეს ეკუთვნის რეგიონსაც, როგორც მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის სიმბოლური მომსახურების ერთეულს. ამგვარად, რეგიონის არსებობა გლობალურ საინფორმაციო სივრცეში, რეგიონული კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი საკვანძო მდგენელად იქცევა.

რეგიონული იმიჯირების მსოფლიო პრაქტიკა დემონსტრირებს უკეთებს თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეფექტურობას. ეს უპირველეს ყოვლისა, ქმნის შესაძლებლობებს რეგიონის მხარდაჭერისათვის. რეგიონული იმიჯის შექმნას შეიძლება სხვადასხვა მიზნები აინტერესებდეს. ზოგი რეგიონი ახლა დგება თავისი დადედითი იმიჯის შექმნის გზაზე, სხვებისთვის კი საკმარისია უმნიშვნელო ძალისხმევა თავისი კულტურული პოტენციალის, როგორც ღირებული აქტივისი თავისი კონკურენტული უპირატესობების შენარჩუნების მნიშვნელოვანი მდგენელის პოპულარიზაციაზე.

რეგიონის-ტერიტორიის დადებითი სახე ანუ მისი იმიჯი, ბრენდი - ყალიბდება უამრავი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად - ეს არის ეკონომიკის განვითარების დონეც, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, მომსახურის სფეროს განვითარების ხარისხი, რეკრეაციული რესურსების არსებობა, ტერიტორიის ეკოლოგიური შედგენილობა, ასევე მისი საერთო ინვესტიციური მიმზიდველობა. ტერიტორიის დადებითი იმიჯის ფორმირებაზე უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ეკონომიკის ზოგადი მდგომარეობა და ინფრასტრუქტურისა და მომსახურების სფეროს განვითარების ხარისხი.

ამ მხრივ ტურიზმის მარკეტინგმა სათანადო მუშაობა უნდა ჩაატაროს. ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით ამას შესაძლებელია გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს ინვესტიციების მოსაზიდად. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტერიტორიის დადებითი იმიჯი კერძო კაპიტალის მოსაზიდად. ტერიტორიაზე მოზიდული კაპიტალის სიდიდის გაზომვა შესაძლებელია ტურისტული "მულტიპლიკატორის" საშუალებით, რომელიც გვიჩვენებს ტურიზმის ირიბ ზეგავლენას ეკონომიკასა და სოციალურ სფეროზე რეგიონალურ და ფედერალურ დონეზე.

ტერიტორიის იმიჯის მარკეტინგი სხვა სტრატეგიებთან შედარებით დაბალდანახარჯიან ხერხად ითვლება, რადგანაც ის არ საჭიროებს ინფრასტრუქტურის რადიკალურ ცვლილებებს, პირიქით, ახდენს ძალების კონცენტრირებას კომუნიკაციური ასპექტების, ინფორმაციის გასაუმჯობესებლად, რაც იწვევს სწორედ მიმზიდველობის რეალური ფაქტორების ფორმირებას.

აღნიშნული მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ასევე ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი მიმართულებების (მთის ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი, კულტურული ტურიზმი) შეღწევისა და განვითარებისათვის. ეს უკანასკნელი ეროვნული ინტერესის უმნიშვნელოვანეს ამოცანასაც წარმოადგენს, რადგან აღნიშნული მიმართულებებში საქართველოში არსებული პოტენციალით შესაძლებელია საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე სწრაფი შეღწევა და საერთაშორისო სტრუქტურებთან ინტეგრირება, სათანადო ნიშის დაკავება, უცხოური ინვესტიციების მოტივაციის გააქტიურება, საკუთარი საინვესტიციო ბაზის შექმნა და გლობალურ სივრცეში თვითმყოფადობის შენარჩუნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Воскресепкий В.Ю. Международный туризм. Второе издание Масква – «Юнити-Дана» 2008.
2. Ильин И.В., Леонова О.Г. Роль и значение имиджа страны в условиях глобализации / Ильин И. В., Леонова О. Г. // Социально-гуманитарное знание. – 2008. - №5.
3. Портер М. Международная конкуренция. Конкурентные преимущества стран / М. Е. Портер; Пер. с англ. – М.: Международные отношения, 1993
4. Tourism Trends and Policies 2010, OECD

სოფიკო თევდორაძე

რეგიონის დადებითი იმიჯი - როგორც კონკურენტუნარიანობის წყარო

რეზიუმე

თანამედროვე გარემოში ტურიზმს სულ უფრო მეტი და საპასუხისმგებლო ამოცანები ეკისრება, რომელთაგან აღსანიშნავია ტურიზმის, როგორც რეგიონის-ტერიტორიის იმიჯის ფორმირების ფაქტორი.

რეგიონული იმიჯირების მსოფლიო პრაქტიკა დემონსტრირებს უკეთებს თავის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ეფექტურობას. ეს უპირველეს ყოვლისა, ქმნის შესაძლებლობებს რეგიონის მხარდაჭერისათვის.

რეგიონის-ტერიტორიის დადებითი იმიჯი მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ტურიზმის საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი მიმართულებების (მთის ტურიზმი, ეკოლოგიური ტურიზმი, კულტურული ტურიზმი) შეღწევისა და განვითარებისათვის.

Sopiko Tevdoradze

Positive Image of the Region, as the Source for Competitiveness

Abstract

In modern environment Tourism is facing more and more challenges. Among them, the tourism as then factor for formation of image of the region _ territory is especially noteworthy.

The world practice of regional image making demonstrates its economic and political efficiency. First of all it created the possibility for regional support.

Positive regional_ territorial image is significantly connected to the introduction and development of the directions (mountain tourism, ecological tourism, cultural tourism), that are in demand in international market.

ლია თოთლაძე

2011 წლის ნობელის პრემია ეკონომიკაში: მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ემპირიული კვლევა

2011 წლის ნობელის პრემია ეკონომიკაში მიენიჭათ ამერიკელ ეკონომისტებს ტომას სარჯენტს (ნიუ-იორკის უნივერსიტეტი) და კრისტოფერ სიმსს (პრინსტონის უნივერსიტეტი), „მაკროეკონომიკაში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ემპირიული კვლევისათვის“ („For their empirical research on cause and effect in the macroeconomy"). ეს ორი მეცნიერი შეიძლება მოვიაზროთ თანამედროვე ემპირიული მაკროეკონომიკის ინსტრუმენტარიის შექმნის ფუძემდებლებად. ტომას სარჯენტმა (Thomas Sargent) საფუძველი ჩაუყარა *სტრუქტურულ მაკროეკონომიკას*, ხოლო კრისტოფერ სიმსმა (Chrisrofer Sims) მაკროეკონომისტთა არსენალში შემოიტანა *ვექტორული ავტორეგრესია.*

2011 წლის ნობელის პრემიის ლაურეატებმა განახორციელეს არა მხოლოდ თეორიული კვლევა, არამედ არსებული თეორიების ემპირიული შემოწმება. მათ მიერ შემუშავებული მიდგომები ემსახურება არა მარტო კანონზომიერებების დადგენას, ისინი საშუალებას იძლევა შემოწმდეს სტრუქტურული ჰიპოთეზები.

რაში მდგომარეობს სარჯენტისა და სიმსის მეთოდის არსი? ნობელის კომიტეტის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ წარმოუდგენელია ამ სფეროს განვითარება იმ წვლილის გარეშე, რაც შეიტანეს ტომას სარჯენტმა და კრისტოფერ სიმსმა. ეს ორი მიდგომა განიხილება როგორც ურთიერთშემავსებელი და როგორც წესი გამოიყენება პარალელურად.

თანამედროვე წარმოდგენების თანახმად ეკონომიკაში ციკლური რყევების წყარო მოულოდნელი შეშფოთებები, ანუ შოკებია (როგორიცაა ნავთობსა და სხვა რესურსებზე ფასების უეცარი ცვლილება, ცენტრალური ბანკების მიერ საპროცენტო განაკვეთების ცვლილება, ტექნოლოგიური სრულყოფა, რაც გავლენას ახდენს მწარმოებლურობზე). ბაზრის არასრულყოფილების პირობებში ამგვარ მერყეობებს თან ახლავს მაღალი უმუშევრობაც. მთავრობას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს ბიზნეს-ციკლებზე ფისკალური (საგადასახადო-საბიუჯეტო) და მონეტარული (ფულად-საკრედიტო) პოლიტიკის ინსტრუმენტების მეშვეობით. სტაბილიზაციის პოლიტიკის შესწავლა წარმოადგენს სწორედ თანამედროვე მაკროეკონომიკის უდიდეს და უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

მკვლევართა ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემების ანალიზი არ იძლევა მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოკვეთის საშუალებას. თუ ორი ცვლადი ურთიერთდამოკიდებულია, შესაძლებელია ვივარაუდოთ ერთი დამოკიდებულია მეორეზე, მეორე დამოკიდებულია პირველზე, ან ორივე ერთდროულად დამოკიდებულია მესამეზე. ამგვარი არაცხადი დამოკიდებულების კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს კორელაცია ზოგიერთ ქვეყანაში მშპ-ს და ფულის მასას შორის. არსებული მონაცემების საფუძველზე ჩანს, რომ ეკონომიკური ბუმის დროს ფულის მასა იზრდება. მაგრამ რა დგას ამ კავშირის უკან? შესაძლებელია ცენტრალური ბანკის მიერ ფულის მასის ზრდა იწვევს ერთობლივი მოთხოვნის ზრდას? ან პირიქით, ცენტრალური ბანკი ზრდის ფულის მასას ეკონომიკური ბუმიდან გამომდინარე, ვინაიდან ეკონომიკური ბუმის დროს იზრდება ფულზე მოთხოვნა. ამგვარი დამოკიდებულების კლასიკური მაგალითია ფილიპსის მრუდიც.

„როგორი იქნება ნავთობის ფასების მოულოდნელი ზრდის ან სხვა რომელიმე ეკონომიკური შოკისა ეფექტი გამოშვებაზე, ინფლაციაზე, და სხვა მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე?“; „რამდენით გაიზრდება გამოშვების მოცულობა ან დასაქმება სახელმწიფო დანახარჯების გაზრდით?“, „როგორ შეიცვლება უმუშევრობისა და ინფლაციის დონეები, თუ საგადასახადო ტვირთი 10%-ით გაიზრდება?“ - ამ შეკითხვაზე პასუხის მისაღებად მაკროეკონომისტმა უნდა მიმართოს ამა თუ იმ მაკროეკონომეტრიკულ მოდელს. ესაა განტოლებათა სისტემა, რომელიც ემყარება თეორიულ წანამძღვრებს და რეალურ მონაცემებს. მისი ამოხსნა კი მოგვცემს რიცხობრივ პასუხს დასმულ შეკითხვაზე, ამავდროულად მოგვცემს წარმოდგენას მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ბუნებაზე.

შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ბუნებაზე პასუხი მხოლოდ მონაცემებში მოიძებნოს. კორელაცია ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის შესაძლებელია თვალსაჩინო იყოს, მაგრამ მხოლოდ ეს არ იძლევა მიზეზ-შედეგობრივი მიმართულების ახსნას. არსებობს ე.წ. მიზეზ-შედეგობრივი ტესტებიც (მაგალითად, ეკონომისტებისთვის ცნობილი „გრეინჯერის ტესტი“), მაგრამ იგი ამოწმებს ჰიპოთეზას იმაზე, რომ თუ ურთიერთდამოკიდებული ერთი ცვლადიდან, ერთის ცვლილება რეგულარულად ხდება მეორის ცვლილებამდე, გონივრულია ჩავთვალოთ, რომ სწორედ მისი ცვლილება იწვევს მეორის ცვლილებას. მაგრამ ამგვარი დასკვნის გაკეთება ყოველთვის მართებული არ არის. ლაბორატორიული ექსპერიმენტე-

ბის ჩატარება ამ კავშირების ბუნების გამოსავლენად შეუძლებელია. მაშ რა მეთოდოლოგიითაა შესაძლებელი ამის გამოვლენა?

პასუხი ამ შეკითხვებზე საინტერესოა არა მხოლოდ აკადემიური წრეებისა და მკვლევარებისათვის, არამედ უპირველეს ყოვლისა სტაბილიზაციის პოლიტიკის გამტარებელი ჩინოვნიკებისათვის. ამ კითხვაზე პასუხი იმაში მდგომარეობს, რომ მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულებების გამოვლენისათვის აუცილებელია არა მხოლოდ მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებზე დაყრდნობა, არამედ მისი ეკონომიკურ თეორიასთან ერთად გამოყენება.

ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად საჭიროა ეკონომიკური შოკების იდენტიფიცირება და ამ შოკებზე ეკონომიკის გამოძახილის შეფასება.

ორი მეთოდი - ***სტრუქტურული მაკროეკონომეტრიკა*** და ***ვექტორული ავტორეგრესია*** წარმოადგენს ორ ურთიერთშემავსებელ მიდგომას, რომელიც საშუალებას იძლევა გადაჭრილ იქნას ზემოთაღნიშნული პრობლემა.

უნდა აღინიშნოს, რომ სარჯენტისა და სიმსის ერთიანი მეთოდი არ არსებობს. მართალია მათ ჰქონდათ ერთობლივი პუბლიკაციები, მაგრამ ერთად არ უმუშავიათ. ნობელის კომიტეტმა პრემიით აღნიშნა სარჯენტის მიერ ***მაკროეკონომეტრიკული მოდელების ტესტირების განსაზღვრული პრინციპები. სიმსმა შემოგვთავაზა ვექტორული ავტორეგრესიის მეთოდი.***

სარჯენტისა და სიმსის მოდელების მეშვეობით შესაძლებელია უფრო სიღრმისეულად იქნას შესწავლილი ფულადი პოლიტიკის გავლენა ეკონომიკაზე. მათი მთავარი დამსახურება, გარდა იმისა რომ შეიმუშავეს მეთოდოლოგია, ისაა რომ მათ მოახდინეს იმის დემონსტრორება თუ როგორ არ უნდა აღვიქვათ ემპირიული კანონზომიერებები. მათ დაასაბუთეს, რომ აუცილებელია ემპირიული კანონზომიერებების არა მხოლოდ გამოვლენა, არამედ მათი სწორი ინტერპრეტაცია, სწორი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენა.

ტომას სარჯენტის რევოლუციური იდეის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მაკრომოდელებს უნდა ჰქონდეთ მიკროეკონომიკური საფუძველი. ამგვარი მოდგომის მიხედვით ნათლად იყოფა საბაზო სტრუქტურული ფაქტორები და სახელმწიფო პოლიტიკა. უმარტივესი მოდელი უნდა შეიცავდეს მთავარ სტრუქტურულ ფაქტორს - რაციონალური აგენტების ქცევას. სტრუქტურული განტოლებები იგება თეორიული დებულებების საფუძველზე. პოლიტიკის ცვლილება შესაძლებელია სისტემატური ან მოულოდნელი იყოს, მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია, ისინი ზემოქმედებენ აგენტების ქცევაზე მხოლოდ მოლოდინის ცვლილებით. მაგალითად, „ტეილორის წესის“ სახელით ცნობილ განტოლებაში საბაზო საპროცენტო განაკვეთი წრფივადაა დამოკიდებული ინფლაციისა და მშპ-ს ფაქტიურ ტემპებზე, ასევე შემთხვევით ფაქტორებზე.

სარჯენტმა რაციონალური მოლოდინი ჩართო სტრუქტურულ მაკრომოდელში, უდიდესი ყურადღება მიაქცია რა პოლიტიკის სისტემატური ძვრების შედეგების ანალიზს. ამგვარი მიდგომის გამოყენების საფუძველზე მან განახორციელა აშშ-ში დასაქმების ბუნებრივი დონის ჰიპოთეზის ტესტირება და დაასაბუთა აქტიური მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის არაეფექტიანობა.

პოლიტიკის სისტემური ეფექტები გაითვალისწინება წინდაწინ ბაზრის მოლოდინის სახით, მაშინ როცა გაუთვალისწინებელი ეფექტები აიძულებს მონაწილეებს მოერგონ, ამას კი შეუძლია გამოიწვიოს მაკრომაჩვენებლების მნიშნელოვანი ცვლილება. სტრუქტურული მაკროეკონომეტრიკული მოდელები საშუალებას იძლევა განვასხვავოთ პირველი მეორისაგან. სწორედ ამ მიდგომის რეალიზაცია მოახდინა კრისტოფერ სიმსმა. მისთვის მთავარი საკითხი იყო მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე შოკური ზემოქმედებების და მათი გავრცელების იდენტიფიკაცია.

სიმსის, ისევე როგორც სარჯენტის მოტივაცია მდგომარეობდა არსებული მაკროეკონომეტრიკული მოდელების სრულყოფაში. სიმსი თვლიდა, რომ ისინი არ იძლევიან საიმედო პროგნოზებს და ვერ ავლენენ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ალტერნატივის სახით მან შეიმუშავა ვექტორული ავტორეგრესიის (VAR) გამოყენების მეთოდოლოგია. ესაა რეგრესია განსაზღვრული ენდოგენური ცვლადებისა მათივე ლაგური მნიშვნელობების მიმართ. ამგვარი მიდგომის გამოყენებით მნიშვნელოვანია სწორად იქნეს შერჩეული ეკონომიკური ცვლადები, რომლების საკმაოდ სრულყოფილად აღწერენ ეკონომიკურ დინამიკას. ვექტორული ავტორეგრესიის მოდელების ძირითადი უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი არ არიან მიბმული სტრუქტურული მოდელების რაიმე კლასზე. ამ მიზეზით VAR მოდელები უფრო მეტად გამოყენებადია რეალური მონაცემების აღწერისათვის, და რაც მთავარია ისინი საშუალებას იძლევა გამოვლინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები თეორიული შეზღუდვების გარეშე.

ამავდროულად უნდა აღინიშნოს, რომ VAR მოდელებისთვისაც გადაუჭრელია ე.წ. ფუნდამენტური შოკების იდენტიფიკაციის პრობლემა, რომლებიც მოქმედებენ თითოეულ ენდოგენურ ცვლადზე ცალცალკე. ეს შოკები ურთიერთდამოკიდებული უნდა იყოს, ამიტომ არ ემთხვევა რეგრესიის შეცდომებს.

სიმსმა ამ პრობლემის გადაჭრაც მოახერხა - მან აჩვენა, რომ ფუნდამენტური შოკები გამოითვლება მოცემული სქემის დახმარებით ავტორეგრესიის შეცდომებიდან, შემდეგ კი გამოიყენება ე. წ. იმპულსზე გამოძახილის ფუნქციის ასაგებად.

სიმსმა და სარჯენტმა შემოგვთავაზეს ფაქტიურად ორი ურთიერთშემავსებელი მიდგომა ეკონომიკური პოლიტიკის ეფექტების ანალიზისათვის. ვინაიდან ვექტორული ავტორეგრესია წარმოადგენს მაკრომოდელის დაყვანილ ფორმას რაციონალური მოლოდინებით, ფუნდამენტური შოკების იდენტიფიკაცია მჭიდროდაა დაკავშირებული სტრუქტურული პარამეტრების იდენტიფიკაციასთან. გარდა ამისა, ორივე მოდგომა აფუძნება მცირე ზომის მოდელების გამოყენებას, რაც აადვილებს შეფასების შედეგების ინტერპრეტაციას და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გაგებას.

გარკვეულწილად ამ მიზეზის გამო მაკროეკონომეტრიკის მეთოდები წარმოადგენს ფართოდ გამოყენებადს სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისას (განსაკუთრებით მონეტარული პოლიტიკის). ისინი იძლევა მიზეზ-შედეგობრივი კავშირების სრულ სურათს მოკლე და საშუალოვადიანი პერიოდისათვის. მოცემული მეთოდი საშუალებას მოგვცემს შეფასდეს აქტიური ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებების პოტენციური ინფლაციური ეფექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Замулин О., Стырин К. Как различать причину и следствие. ж. Вопросы экономики. 2012. №1.
2. http://www.nobelprize.org/nobel_prizes/economics/laureates/2011/press.html
3. http://www.minneapolisfed.org/publications_papers/pub_display.cfm?id=3168
4. http://www.businessweek.com/news/2011-10-10/nyu-s-sargent-princeton-s-sims-win-nobel-prize-in-economics.html
5. http://www.sfu.ca/~kkasa/sargent_84.pdf
6. http://www.ekonometria.wne.uw.edu.pl/uploads/Main/macroeconomics_and_reality.pdf

ლია თოთლაძე

2011 წლის ნობელის პრემია ეკონომიკაში:
მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ემპირიული კვლევა

რეზიუმე

სტატიაში გადმოცემულია 2011 წლის ნობელის პრემიის ლაურეატების ტომას სარჯენტისა და კრისტოფერ სიმსის მიერ შემუშავებული თანამედროვე ემპირიული მაკროეკონომიკის ანალიზის მეთოდოლოგიის შესახებ. ამ მეცნიერთა მრავალწლიანი შრომის შედეგები საშუალება იძლევა გამოკვლეული და ახსნილ იქნას მაკროეკონომიკური პოლიტიკის ეფექტები, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების არსი და მიმართულება.

Lia Totladze

Prize in Economic Sciences in Memory of Alfred Nobel 2011.
Empirical Research on Cause and Effect

Abstract

The Americans Thomas Sargent and Christopher Sims have won the Nobel economics prize for modern empirical macroeconomic analysis metodology. They had enhanced the understanding of cause and effect in macroeconomic modelling, allowing policymakers to better estimate the effect of their own policies and other influences.

მამუკა თორია

დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში

ჩვენს ქვეყანაში შრომის ბაზრის ფორმირების პროცესი, მთლიანად ეკონომიკის ახალი მოდელის ჩამოყალიბების პირობებში მიმდინარეობს, რომელიც გულისხმობს პრინციპული ცვლილებების განხორციელებას ადრე არსებული შრომითი ურთიერთობების ხასიათში, შრომის შინაარსსა და მისი შედეგების განაწილებაში. ასევე, სოციალური პარტნიორობის სფეროში, დასაქმების პოლიტიკისა და რეგულირების მეთოდების რეფორმირებაში.

შრომის ბაზარს უნარი შესწევს მძლავრი მასტიმულირებელი როლი შეას-რულოს მომუშავეთა შრომითი აქტიურობის ამაღლებას და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში. ზემოქმედების სპეციფიკური მეთოდებით აიძულოს ბაზრის სუბიექტები შეცვალონ თავიანთი ქცევა შრომის სფეროში, განსხვავებულად მოეკიდონ განათლების მიღებას და კვალიფიკაციის ამაღლებას. იგი აქტიურად ზემოქმედებს დამსაქმებლებზე, რადგანაც მათ უხდებათ ისეთი ძვირადღირებული წარმოების ფაქტორის გამოყენება, როგორიცაა — შრომა. ამიტომაც, ისინი დაინტერესებულნი არიან მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ დაქირავებული მომუშავის შრომა, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დონის ამაღლებას.

ამჟამად, საქართველოს შრომის ბაზარზე არსებული პრობლემები უკიდურესად მწვავეა და არსებით ზეგავლენას ახდენენ, როგორც დამსაქმებლების, ასევე მომუშავეთა ქცევაზე. ისინი განპირობებულნი არიან იმ ურთიერთობათა სპეციფი-კურობით, რომელიც შრომის ბაზარზე მომუშავეთა დაქირავების პროცესისათვისაა დამახასიათებელი და რითაც იგი განსხვავდება საქონლის, კაპიტალისა და სხვა სახის ბაზრებზე მიმდინარე ყიდვა-გაყიდვის პროცესისაგან. ამასთან, ისინი არა მარტო ეკონომიკის სფეროში ვლინდებიან, არამედ მკვეთრად გამოხატული სოციალ-ლური და პოლიტიკური მნიშვნელობა გააჩნიათ.

დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საბაზრო ეკონომიკა ბევრად უფრო ეფექტიანია დღემდე არსებულ სხვა ეკონომიკურ სისტემებთან შედარებით. ამასთან, ეჭვს არ იწვევს ის გარემოება, რომ სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების მოქმედების პირობებში ეკონომიკის ეფექტიანი ფუნქ-ციონირების უმნიშვნელოვანეს პირობას ბაზრის არსებობა წარმოადგენს, რომელიც "არავის არ გამოუგონია, იგი უბრალოდ ვითარდებოდა და იცვლებოდა ადამიანის ბუნების მსგავსად. გარდა ამისა, იგი აკმაყოფილებს იმ უპირველეს მოთხოვნას, რომელიც ნებისმიერ სოციალურ ორგანიზმს წაეყენება — იგი ფლობს თვით-შენარჩუნების უნარს"[1]. ბაზრის უპირატესობა ეკონომიკის მართვის სხვა სისტემებთან შედარებით იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი ცივილიზაციის ევოლუციური განვითარების პირმშოა: "საბაზრო წესრიგი, წარმოშობილი ვინმეს ნებისაგან დამოუ-კიდებლად, ბევრად აღემატება ადამიანის მიერ შეგნებულად შემუშავებულ გეგმებს"[2].

ამდენად, ეფექტიანად ფუნქციონირებადი საბაზრი ეკონომიკის ფორმირება უნდა განვიხილოთ, როგორც ძირითადი საშუალება უმთავრესი მიზნის — მოსახლეობის ცხოვრების მაღალი დონის მიღწევასათვის. ამავე კონტექსტში ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანას ასევე ეფექტიანად ფუნქციონირებადი შრომის ბაზრის ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც უნდა განხორციელდეს უმნიშვნელოვანესი რესურსის — "შრომის" რაციონალური განაწილება ფირმებს, დარგებს, პროფესიებსა და რეგიონებს შორის.

ქვეყნის ეკონომიკის სისტემური ტრანსფორმაცია, სახელმწიფო ქონებისა დასაწარმოების პრივატიზაცია, ახალი ფირმების წარმოშობა, პიროვნების ეკონომიკური თავისუფლების პრინციპების რეალიზაცია უდიდეს გავლენას ახდენს შრომის ბაზრის ფორმირებაზე, რომლის უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს, ერთის მხრივ, დამსაქმებელთა სიმრავლე, რომლებსაც გააჩნიათ თავისუფალი სამუშაო ადგილები ანუ წარმოადგენენ შრომაზე მოთხოვნის მხარეს. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ დამსაქმებელთა ეს სიმრავლე არ იყოს ფორმალური. მეორე მხრივ, განსხვავებული პროფესიულ-კვალიფიციური მომზადების მქონე თავისუფალი სამუშაო ძალის არსებობა, რომელიც წარმოადგენს შრომის მიწოდების მხარეს. სწორედ, დამსაქმებელთა და დასაქირავებელი პირთა ასეთი სიმრავლე, მათი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მრავალფეროვნება უზრუნველყოფს კონკურენციას შრომის ბაზარზე.

საქართველოში შრომის ბაზრის ფორმირება მიმდინარეობს იმ პირობებში, როცა სამუშაო ძალის ფასი და საარსებო მინიმუმის ღირებულება აშკარა შეუსა-ბამობაშია ერთმანეთთან, რაც საფუძველშივე იწვევს შრომის ბაზრის ისეთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტების დეფორმირებას, როგორიცაა შრომის მიწოდება და მოთხოვნა. აღნიშნულიდან გამომდინარე შრომის ბაზრის ფორმირების ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემას წარმოადგენს დისბალანსი შრომის მოთხოვა-მიწოდებას შორის, როგოეც მთლიანად ქვეყნის, ასვე რეგიონების მიხედვითაც. ამ დისბალანსის აღმოფხვრისათვის აუცილებელია არსებული მდგომარეობის ანალიზი, განვითარების ტენდენციების გამოვლენა და იმ ეკონომიკური თუ ადმინისტრაციული ღონისძიებების გატარება, რაც ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის ფუნქციონირების ცივილური ფორმების დანერგვას.

---

[1] П, Самуэльсон, Экономика, Пер, с англ. М. «Прогрес», 1964 г. gv.54 .

[2] Хайек Ф. А. Погубная самонадеяность. Пер с англ. М. Новости. 1992г gv. 18

შრომისა ბაზრის ფორმირების პროცესის შეფასებისა და მომავალში მისი პროგნოზირებისათვის აუცილებელია ქვეყნის დემოგრაფიული განვითარების ტენდენ-ციების ანალიზი. საქართველოში ეკონომიკის განვითარებამ, ასევე საწარმოო ძალთა განლაგების ცლილებებმა არსებითი გავლენა იქონიეს როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ფორ-მირებაზე. მეორე მხრივ, დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები მნიშვნელოვნად განაპირობებდა როგორც მთელი ქვეყნის, ისე მის ცალკეულ რეგიონებში ეკონომი-კური განვითარების პარამეტრებს.

ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზეა დამოკიდებული მოსახლეობის იმ ნაწილის რაოდენობა და სტრუქტურა, რომლებიც შრომის ბაზარზე იმყოფებიან. ამასთან, მოსახლეობისა და შრომითი რესურსების ოპტიმალური სქესობრივ-ასაკობრივი და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა უდიდეს გავლენას ახდენს შრომაზე ეკონომიკის მოთხოვნის დაკმაყოფილებაში და წარმოების განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების სიდიდე, რომელიც ახასიათებს იმ ადამიანთა რიცხოვნობასა და შემადგენლობას, რომლებსაც გააჩნიათ შრომის უნარი, შეუძლიათ და საჭიროებენ სამუშაოს მიღებას, მნიშვნელოვნადაა დამო-კიდებული შრომისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობასა და მისი ცვლილებების მიმართულებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, სავსებით მართებული იქნება ვამტკიცოთ, რომ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ შრომის მიწოდების მოცულობაზე, ამავდროულად განაპირობებენ შრომის ბაზრის ფორმირებასაც. იმ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სამუშაო ძალის აღწარმოებასა და მის მოძრაობაზე შრომის ბაზარზე, შესაბამისად სამუშაო ძალის მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებულ რაოდენობრივ და თვისობრივ თანაფარდობაზე, შეიძლება მივაკუთნოთ:

სოციალურ-დემოგრაფიული ფაქტორები: ურბანიზაციის დონე, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა, მისი აღწარმოების რეჟიმი, შრომისუნარიანი მოსახლების რიცხოვნობის დინამიკა, მისი განათლების დონე და პროფესიულ-კვალიფიციური სტრუქტურა, მიგრაციული პროცესები.

ცხრილი 1

საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა 1990-2010 წლებში[1]

	1990	1995	2000	2005	2007	2010
მოსახლეობა — სულ მ. შ.	5424.4	4794.2	4435.2	4321.5	4394.7	4436.4
ქალაქის	2999.7	2592.7	2342.0	2257.5	2308.9	2350.5
სოფლის	2424.7	2201.5	2093.2	2064.0	2085.8	2085.9
იგივე %-ში						
მოსახლეობა — სულ მ. შ.	100	100	100	100	100	100
ქალაქის	55.3	54.1	52.8	52,2	52,5	52,3
სოფლის	44.7	45.9	47.2	47,8	47,5	47,0

მონაცემებიდან ჩანს, რომ 1990-2010 წლებში საქართველოს მოსახლეობა 988 ათასი კაცით ანუ 18,2 %-ით შემცირდა. მათ შორის ქალაქის მოსახლეობა 21,6 ხოლო სოფლის მოსახლეობა 14 %-ით შემცირდა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ 1990-2005 წლებში მოსახლეობის რიცხოვნობა სისტემატურად მცირდებოდა და მხოლოდ 2005 წლის შემდგომ პერიოდში შეინიშნება მოსახლეობის რიცხოვნობის უმნიშვნელო მატება. თუმცა, მოსახლეობის რიცხოვნობის თვალსაზრისით საქართველოს ამჟამინ-დელ მდგომარეობა 1970 წლის დონესაც ვერ აღწევს. ამაზე გავლენა იქონიეს, მოსახ-ლეობის როგორც ბუნებრივი მოძრაობის ტენდენციებმა, ასევე გარე მიგრაციულმა პროცესებმა. განსაკუთრებული გავლენა მოსახლეობის რიცხოვნობის შემცირებაში სწორედ გარე მიგრაციულმა პროცესებმა იქონიეს, რაზეც გადამწყვეტი გავლენა გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში საქართველოში განვითარებულმა საყოველ-თაო ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა, სოციალურ-კულტურულმა კრიზისმა მოახდინა. კონკრეტულად, საქართველოდან მოსახლეობის უცხოეთში მიგრაციის გადამწყვეტ მიზეზად ეკონომიკური ფაქტორები უნდა მივიჩნიოთ. კერძოდ, დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობა, ხელფასებისა და შესაბამისად შემოსავლების დაბალი დონე. სწორედ, ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქვეყანა მილიონზე მეტმა ადამიანმა დატოვა, რომელთა დიდი უმრავლესობა შრომისუნარიან ასაკში იმყოფებოდა. ბუნებრივია ამან მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნის შრომის შიდა ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდების მასშტაბების შემცირებაზე, რაც იმ დროისათვის უდაოდ დადებით მოვლენად შეიძლება შეფასდეს იმ თვალსაზრისით, რომ მან არსებითად შეამცირა დაძაბულობა შრომის ბაზარზე, ასევე რეგისტრირებულ უმუშევართა რაოდენობა ქვეყანაში. ყველაზე მნიშვნელოვანი მოსახლეობის სოციალურ-ეკონო-მიკურ მდგომარეობაზე გავლენის თვალსაზრისით ისაა, რომ სწორედ უცხოეთში წასული ოჯახის წევრების მიერ გადმორიცხული ფულადი გზავნილები მრავალი ოჯახის არსებობის ერთადერთ წყაროს წარმოადგენდა. ეს მდგომარეობა სამწუ-

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ხაროდ დღემდე გრძელდება. ასე მაგალითად, ,,ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის" ექსპერტთა შეფასებით 2011 წლისათვის ფულადი გზავნილების მოცულობა საქართველოში მშპ-ის 6% შეადგენს და ქვეყანაში შემომავალი გრანტებისა და ინვესტიციების მოცულობას 2,5-ჯერ აღემატება. მიუხედავად ამისა, გარე მიგრაციის მოცულობა უარყოფითად აისახა ქვეყნის მოსახლეობის არა მარტო რიცხოვნობაზე, არამედ მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, საბოლოოდ კი დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებზე, რომელის უარყოფითი გავლენა შრომის ბაზრზე სამუშაო ძალის მიწოდების ფორმირებაზე, უახლოეს მომავალში არსებითი იქნება. თუმცა მისი უარყოფითი შედეგები შეიძლება ამჟამინდელი მდგომარეობითაც შევაფასოთ.

კერძოდ, 1990-2010 წლებში საქართველოში შობადობის საერთო კოეფიციენტი 17,5%-ით შემცირდა. აბსოლუტურ მაჩვენებელში ამ პერიოდში დაბადებულთა რიცხვმა 92.8-დან 62,5 ათასამდე იკლო. რაც შეეხება მოკვდაობის საერთო კოეფი-ციენტს, იგი 9,3-დან 10,7 პრომილემდე გაიზარდა. შედეგად მივიღეთ, რომ საკვლევ პერიოდში ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 17,5%-ით შემცირდა.

ცხადია, დემოგრაფიული განვითარების ტენდენციებზე გავლენა იქონიეს როგორც სტრუქტურულ-დემოგრაფიულმა, ასევე სოციალურ-ეკონომიკურმა ფაქტო-რებმა, მაგრამ ჩვენი კვლევის მიზანს ამჟამად მათი ანალიზი არ წარმოადგენს. ჩვენ გვსურს გავაანალიზოთ რეალურად არსებული დემოგრაფიულ სიუტუაცია რა გავ-ლენას ახდენს შრომის მიწოდებისა და ზოგადად შრომის ბაზრის ფორმირებაზე. ამისათვის აუცილებელია დავადგინოთ დემოგრაფიული განვითარების მიმართუ-ლებებმა რა გავლენა იქონიეს მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურის ცვლილებაზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომითი და შრომით ასაკამდელი მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა. (იხილეთ ცხრილი 2)

ცხრილი 2

საქართველოს მოსახლეობის განაწილება სქესისა და ცალკეული ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 1989-2010 წლებში, %-ში[1]

	1989	1996	2000	2005	2008	2010
მოსახლეობა — სულ მ.შ.	100	100	100	100	100	100
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი	26.4	24.2	22.6	21.0	18.8	17.1
შრომისუნარიანი ასაკის	53.3	55.6	61.3	62.8	64.6	66.5
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი	17.3	20.2	16.1	16.2	16.6	16.4
მამაკაცები — სულ მ.შ.	100	100	100	100	100	100
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი	28.3	26.0	24.6	23.0	20.8	19.0
შრომისუნარიანი ასაკის	60.5	60.0	65.0	65.6	67.6	70.0
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი	11.2	14.0	10.4	11.4	11.6	11.0
ქალები — სულ მ.შ	100	100	100	100	100	100
შრომისუნარიან ასაკზე უმცროსი	24.6	22.5	20.1	19.2	17.1	15.4
შრომისუნარიანი ასაკის	52.6	51.6	58.7	60.3	62.1	63.4
შრომისუნარიან ასაკზე უფროსი	22.8	25.9	21.2	20.5	20.8	21.2

მონაცემებიდან ჩანს, რომ 1989-2010 წლებში საქართველოში შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი მოსახლეობის საერთო რიცხოვნობაში, როგორც მთლიანად, ასევე ქალებსა და მამაკაცებში სისტემატურად მცირდებოდა. მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ შრომის ასაკამდელი მოსახლეობის აბსოლუტური რიცხოვნება საკვლევ პერიოდში 1423,0 ათასიდან 756,5 ათასამდე ანუ 1,8-ჯერ შემცირდა. ამ მოვლენას რამდენიმე მეტად უარყოფითი ეკონომიკური და დემოგრაფიული შედეგები გააჩნია:

ეკონომიკური — შრომის ბაზრის ან შრომის მიწოდების მოცულობის ფორმირების თვალსაზრისით 2011-2025 წლებში შრომით ასაკში 1,8-ჯერ მცირე რაოდენობის პირი შევა, ვიდრე 1990-2005 წლებში. ეს მაშინ თუ არ გავითვალისწინებთ ამ ასაკობრივ ჯგუფებში მოკვდაობის დონეს, ხოლო ამ უკანასკნელსაც გავითვალისწინებთ, მაშინ შრომით ასაკში შესულთა რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლები იქნება. ამის შედეგი კი იქნება, როგორც ზოგადად მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება ანუ მოსახ-ლეობის ასაკობრივ სტრუქტურაში უფროსო ასაკის პირთა ხვედრითი წილის ზრდა, ასევე შრომითი ასაკის პირებში ახალგაზრდების (16-29 წლის ასაკობრივი ჯგუფი) ხვედრითი წილის მკვეთრი შემცირება. ეს გამოიწვევს არა მარტო ახალგაზრდების ხვედრითი წილის შემცირებას, არამედ მთლიანობაში შრომითი ასაკის პირთა რიცხოვნობის კლებას, რაც უეჭველად შეამცირებს ქვეყნის განკარგულებაში არსებული შრომითი პოტენციალის შემცირებას.

დემოგრაფიული თვალსაზრისით — მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერება თავის მხრივ ნოყიერ ნიადაგს ქმნის მოსახლეობის შემდგომი შემცირებისათვის, რაც ქვეყნის დემოგრაფიულ უსაფრთხოებას დიდ საშიშროებას უქმნის. ეს უკანასკნელი კი ზოგადად ქვეყნის უსაფრთხოების ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია.

საკვლევი პერიოდის მანძილზე საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის ხვედრითი წილი სისტემატურად იზრდებოდა, როგორც მთლიანად ქვეყნის მოსა-ხლეობის, ასევე მამაკაცებში და ქალებ-

[1] გაანგარიშებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე

ში, მაგრამ ეს განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა 1996 წლიდან, როცა საკანონმდებლო წესით შრომითი ასაკის ზედა ზღვარი მამაკაცებისათვის 65, ხოლო ქალებისათვის 60 წლამდე გაიზარდა. ამან უდიდესი გავლენა იქონია ამ კატეგორიის პირთა აბსოლუტურ რიცხოვნებაზე და მათ ხვედრით წილზე. მით უფრო მაშინ, როდესაც შობადობის შემცირების შედეგად შრომით ასაკამდელ პირთა აბსოლუტური რიცხოვნობა მუდმივად მცირდებოდა. ეს მოვლენა აისახა უშუალოდ შრომითი ასაკის პირთა ასაკობრივ სტრუქტურაზეც. ასე მაგალითად, 1989 წელს შრომითი ასაკის პირებში ახალგაზრდების (16-29 წელი) ხვედრითი წილი შეადგენდა 42,8%-ს, მაშინ როდესაც 2010 წლისათვის ეს მაჩვე-ნებელი 35,5%-მდე შემცირდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მამაკაცებში შრომისუნარიან პირთა ხვედრითი წილი აღემატება ქალების ანალოგიურ მაჩვენებელს, თუმცა აბსოლუტურ მაჩვენებელში შრომისუნარიანი ასაკის ქალების რიცხოვნობა მნიშვნელოვნად აღემატება მამა-კაცების რიცხოვნობას. რაც შეეხება საპენსიო ასაკის ანუ შრომისუნარიან ასაკზე უფრო მისახლეობას, მათი წილი უმნიშვნელოდ შეიცვალა, მაგარამ ქალებში აღნიშნული კატეგორიის პირთა ხვედრითი წილი უფრო მაღალია და აბსოლუტურ მაჩვენებლებში საპენსიო ასაკში ქალები უფრო მეტად არიან წარმოდგენილნი, რაზეც გავლენას ახდენს სიცოცხლის საშუალო ხანგძლიობის მაჩვენებელი, რომელიც ქალებში მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე კაცებში.

როგორც ვხედავთ საკვლევი პერიოდის განმავლობაში საქართველოში განვი-თარებულმა დემოგრაფიულმა და მიგრაციულმა პროცესებმა არსებითი გავლენა იქონიეს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკაზე, მის სქესობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაზე, რომლებმაც მნიშვნელოვნად განაპირობეს შრომის ბაზრის ფორმირე-ბის თავისებურებები, რაც შემდეგში მდგომარეობს:

ქვეყანაში სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის, განსაკუთრებით გარე შრომითი მიგრაციის მასშტაბების ზრდამ, რომელიც თავის მხრივ ფაქტორთა მთელი კომპლექსითაა განპირობებული უდიდესი გავლენა მოახდინა ქვეყნაში შრომის მიწოდების მოცულობის ცვლილებაზე. ამ მოვლენის ინტენსიური განვითარების საფუძველს იძლევა არა მარტო ჩვენს ქვეყანის სოციალურ-ეკონომიკური განვი-თარების დონე, მოსახლეობის დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობები, არამედ შრომის ბაზრის გლობალიზაციის პროცესიც, რომლის გავლენაც შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე, მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პარალელურად კიდევ უფრო გაიზრდება;

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ასევე არსებით გავლენას ახდენს შრომითი რესურსების ფორმირებაში განვითარებული ნეგატიური ტენდენციები: მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, შრო-მისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობისა და ხვედრითი წილის შემცირება, შრო-მისუნარიან მოსახლეობაზე დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. თორია, შრომის ბაზარი: დასაქმება და უმუშევრობა (თეორიულ-მეთოდოლოგიური ასპექტი), ,,უნივერსალი“, თბ. 2006;
2. მ. თორია, ,,შრომის ბაზრის ფორმირება გარდამავალ პერიოდში“, ჟ. ,,სოციალური ეკონომიკა“, №7, გვ. 110-118, 2007 წელი;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები;
4. П, Самуэльсон, Экономика, Пер, с англ. М. «Прогрес», 1964 г.
5. Хайек Ф. А. Погубная самонадеяность. Пер с англ. М. Новости. 1992г .

მამუკა თორია

დემოგრაფიული განვითარების ტენდენციები და შრომის ბაზრის ფორმირება საქართველოში

რეზიუმე

საქართველოში განვითარებულმა დემოგრაფიულმა და მიგრაციულმა პროცესებმა არსებითი გავლენა იქონიეს შრომის ბაზრის ფორმირებაზე. კერძოდ:

ქვეყანაში სამუშაო ძალის საერთაშორისო მიგრაციის, განსაკუთრებით გარე შრომითი მიგრაციის მასშტაბების ზრდამ უდიდესი გავლენა მოახდინა ქვეყნაში შრომის მიწოდების მოცულობის ცვლილებაზე. მისი გავლენა შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე, მსოფლიო ეკონომიკაში ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციის პარალელურად კიდევ უფრო გაიზრდება;

საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირებასა და ფუნქციონირებაზე ასევე არსებით გავლენას ახდენს შრომითი რესურსების ფორმირებაში განვითარებული ნეგატიური ტენდენციები: მოსახლეობის ბუნებრივი მატების მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება, მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილება, შრო-მისუნარიანი მოსახლეობის რიცხოვნობისა და ხვედრითი წილის შემცირება, შრო-მისუნარიან მოსახლეობაზე დემოგრაფიული და ეკონომიკური დატვირთვის ზრდა.

Mamuka Toria

The Tendencies of Demographic Development and Labour Market Formation in Georgia

abstract

Demographic and migration processes, developed in Georgia have made substantial influence on the formation of labour market, in particular, increasing international manpower migration and especially the growth of outer manpower migration greatly influenced the labour service delivery in the country. Its influence on the formation of the labour market and its functioning will far increase gradually.

The labour market formation and its functions are also effected by negative tendencies such as the drastic decline in the birth rate, the changes in the sex and age structure, reducing the number of employable population and the growth of demographic and economic role of the employable population.

ვასილ კაციაშვილი

დეველოპერული კომპანიების ფინანსური მართვის თავისებურებები

ფინანსური მენეჯმენტის მნიშვნელობა დეველოპერული კომპანიებისათვის ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს დეველოპერული კომპანიების ინდუსტრიას. ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დონე მაღალია, ხოლო სავალუტო კურსი მერყეევი, პრიორიტეტული ხდება ინვესტიციების ჩადება სტაბილურ აქტივში, ისეთში როგორსაც უძრავი ქონება წარმოადგენს. რის გამოც საქართველოში დეველოპერული კომპანიების რიცხვი სულ უფრო იზრდება, თუმცა განვითერების ბიზნესი ძალიან მგრძნობიარეა შემოსავლების ანუ მთლიანად ეკონომიკის გამოშვების მიმართ, რადგან ეკონომკის უეცარი ვარდნა პირველ რიგში მოქმედებს კვლევებსა და განვითარებაზე.

2008 წლამდე მშენებლობის ბუმი საქართველოში განპირობებული იყო მოსახლეობის იმ ნაწილის მოთხოვნით, რომელიც მიისწრაფვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ და ასევე იმ ნაწილით, რომელიც უძრავ ქონებას განიხილავდა, მაღალშემოსავლიან საინვესტიციო პროდუქტად. უძრავი ქონების მომხმარებელს წარმოადგენენ ასევე უცხოელები, რომლებიც შემოდიან საქართველოში, იწყებენ ბიზნესს და ახორციელებენ ინვესტიციას.

სამშენებლო ინდუსტრიის პრობლემები საქართველოში საომარი პროცესების და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გაიზარდა, უფრო მეტიც ბევრი კომპანია გაკოტრდა, თუმცა დღეს კვლავ შეიმჩნევა ეკონომიკის აღმავლობა და მასთან პარალელურად მშენებლობაზე მოთხოვნის ზრდა.

დეველოპერული კომპანიებისათვის აუცილებელია ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურ ინსტრუმენტებზე ფოკუსირება, რათა გაიზარდოს კომპანიის ფინანსური ეფექტიანობია და ქმედუნარიანობა.

ფინასური მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის ფინანსური რესურსების დაგეგმვას. ეს მოიცავს ფულისა და სხვა აქტივების, მაგ. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ოპტიმალურ გამოყენებას. მრავალი ყოველდღიური გადაწყვეტილება ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ მომავალზე. მაგალითად, გადაწყვეტილება, რომ განახორციელო დიდი პროექტი დიდ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსებზე. ამ დროს მნიშვნელოვანია გარკვეული საკითხების გაანალიზება: გააჩნია თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი რესურსი ამ პროექტის განსახორციელებლად, თუ საჭირო იქნება დამატებითი დაფინანსება. საჭიროა თუ არა, რომ კომპანიამ დაიქირაოს დამატებითი მუშა-ხელი ამ პროექტისათვის, თუ უმჯობესია სუბ-კონტრაქტორების დაქირავება. პროექტისათვის საჭირო დამატებითი აღჭურვილობის დაქირავება უფრო მიზანშეწონილია, თუ ყიდვა. თუ კი ყიდვა იქნება უმჯობესი, როგორ გეგმავს კომპანია საჭირო ფინანსების მოპოვებას. გაუზრდის თუ არა ახალი პროექტი კომპანიას ძირითად საოფისე ზედნადებს. ასევე უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტა იმისა, თუ რა მოგებისა და ზედნადების მარჟა უნდა იყოს დამატებული. ამ და სხვა კითხვებზე პასუხები ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსებზე.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ერთ შეკითხვაზე პასუხმა შეიძლება განაპირობოს სხვა საკითხების განვითარების სავარაუდო ტრაექტორია. ანუ თუ დამტკიცდა ერთ ასპექტში დიდი ხარჯის გაწევის აუცილებლობა, ამან შესაძლოა თავისთავად განაპირობოს მეორე ასპექტში ეკონომიის გაწევის გადაწყვეტილება. მაგალითად, გადაწყვეტილებამ, რომ საჭიროა დამატებითი მუშა-ხელის დაქირავება, რაც უფრო დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული ვიდრე სუბკონტრაქტორის დაქირავება, შესაძლოა კომპანია დატოვოს დამატებითი მოწყობილობის ყიდვის რესურსის გარეშე, რის გამოც ერთადერთ ალტერნატივად მისი დაქირავება დარჩება.

დეველოპერული კომპანიების განსაკუთრებული მახასიათებლები.

დეველოპერული კომპანიები გამოირჩევიან უმეტესობა სხვა კომპანიებისაგან და ისინი აწყდებიან სხვებისგან განსხვავებულ ბევრ უნიკალურ გამოწვევასა და პრობლემას. ამასთან დეველოპერული ინდუსტრია ეწევა სხვებისგან განსხვავებული პროდუქტის წარმოებას: მისი პროდუქტი შეიძლება იყოს შენობების, გზების და სხვა კონსტრუქციების წარმოება, რაც გამოირჩევა უმეტესობა სხვა პროდუქტის წარმოებისგან. აქედან გამომდინარე, ფინანსური მენეჯმენტი, რომელიც გამოიყენება სხვა დანარჩენი პროდუქტის მწარმოებელი ინდუსტრიების მიერ, უნდა იყოს მოდიფიცირებული სანამ მოხდება მისი დეველოპერულ ინდუსტრიაში გამოყენება. ამის გარეშე ფინანსური მენეჯმენტის კონცეფცია იქნება შეუსაბამო და გამოუყენებადი.

აუცილებელია მოხდეს დელოპერული კომპანიების შედარება სხვა მწარმოებელი კომპანიებთან. საწარმო არის პროცესზე ორიენტირებული, მაშინ როდესაც დეველოპერული კომპანია არის პროექტზე ორიენტირებული. საწამო შეიძლება აწარმოებდეს განსხვავებულ პროდუქტს, თუმცა პროდუქტის სახე არის ლიმიტირებული. ხოლო უმეტესობა დეველოპერული კომპანიისათვის ყოველი პროდუქტი არის უნიკალური და წარმოება განსხვავებული. დეველოპერული კომპანია ერთდროულად შეიძლება მუშაობდეს სამშენებლო კომპლექსის და სპეციფიური შენობის შენებაზე, რაც საკმაოდ ართულებს პროცესს. ამასთან, მაშინაც კი როდესაც კკომპანია ორიენტირებულია ერთი ტიპის მშენებლობაზე პროექტები მაინც განსხვავდება ადგილმდებარეობისა და მასთან დაკავშირებული გარემოებების მიხედვით, რაც გავლენას ახდენს სამუშაო ძალისა და მასალის ხელმისაწვდომობაზე. საწარმოსათვის უფრო მარტივია წამორების დანახარჯის განსაზღვრა, რადგან პროდუქტებს შორის განსხვავება ლიმიტირებულია. ამიტომ პროდუქტის მომავალი ფასის განსაზღვაც უფრო ადვილია. ხოლო სამშენებლო კომპანიებს უწევთ ისეთი

პროექტების ფასის განსაზღვრა, რომელიც აქამდე არ ქონიათ, ან ისეთების რომელლებიც არასდროს აუშენებიათ მოცემულ ტერიტორიაზე არსებული მუშა ხელისა და სუბკონტრაქტორების გამოყენებით.

მწარმოებელი კომპანიებისთვის მოთხოვნის ცვლილება არ არის არსებითი, რადგან მათ შეუძლიათ აწარმოონ პროდუქტი მაშინ, როდესაც მოთხოვნა იკლებს, შექმნან მარაგი და გაყიდონ, როდესაც მოთხოვნა იზრდება. ხოლო სამშენებლო კომპანიები არიან მოთხოვნაზე პირდაპირ დამოკიდებულნი. ის შემთხვევაშიც კი, რომ აწარმოონ სპეციალური პროექტი მყიდველის გარეშე, არის საკმაოდ რისკიანი, რადგან შესაძლოა საჭირო გახდეს მოდიფიცირება მყიდველის მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამშენებლო კომპანიებმა არა მხოლოდ თითოეული პროდუქტის ფასი, არამედ პროექტის კომპონენტების ფასები უნდა განსაზღვროს ცალ-ცალკე. თითოეული პროექტი მოითხოვს განსხვავებულ მიქსს მუშა-ხელის, მასალებისა და აღჭურვილობებისა რომელთა ფასის ცოდნა აუცილებელია.

მეწარმე ანაზღაურებას იღებს პროდუქტის გაყიდვის მომენტში ან განისაზღვრება გარკვეული პერიოდი, რომელშიც ანაზღაურება უნდა განხორციელდეს. ამისგან განსხვავებით სამშენებლო კომპანიების უმეტესობა მუშაობას ანხორციელებს გრძელვადიან კონტრაქტზე დაყრდნობით, ყოველთვიური გადასახადის მეშვეობით, რომელსაც იხდის პროექტის მფლობელი. ხშირად დამკვეთის მიერ მოცემული თანხა არ არის საკმარისი პროექტის ფუნქციონირებისათვის და ითხოვს დამატებით სახსრებს. ამის და თავად პროექტის გრძელვადიანობის გამო დეველოპერული კომპანიებს აქვთ არასტანდარტული ფულიადი მოძრაობის უწყისი და ითხოვს აღრიცხვიანობისა და სხვა ფინანსური პროცედურების მოდიფიცირებას.

ადგილობრივ დეველოპერებს აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები საერთაშორისო კაპიტალის ბაზრებზე გასასვლელად და პროექტების დასაფინანსებლად იყენებენ მხოლოდ რამოდენიმე ძირითად წყაროს. აღნიშნული წყაროებიდან პოტენციური მყიდველების მხრიდან წინასწარ გადახდებს უჭირავს უდიდესი წილი. დაფინანსების ეს ფორმა შეიცავს მნიშვნელოვან რისკებს, რამდენადაც ბინების გასაყიდი ფასები ფიქსირებულია, ხოლო მშენებლობის ხარჯები კი შესაძლებელია გაიზარდოს. ხშირ შემთხვევებში დეველოპერები იყენებენ ახალი პროექტებიდან შემოსულ ფულად ნაკადებს, რომ შეასრულონ ძველ პროექტებზე აღებული ვალდებულებები. პროექტების განხორციელების ხარისხის კონტროლი და დიდი მასშტაბის პროექტების ხარისხიანად და დათქმულ ვადებში განხორციელება უმნიშვნელოვანესი ამოცანაა და მთავარ ფინანსურ რისკს წარმოადგენს.

ფინანსური მენეჯერის მოვალეობაა აკონტროლოს, კომპანიის მიერ თავისი ფინანსური რესურსების ოპტიმალურად გამოყენება. მისი ფუნქციები შეიძლება დაიყოს ოთხ კატეგორიად: ფინანსური რესურსების აღრიცხვა, ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვა და მართვა, ფულადი სახსრების მოძრაობის კონტროლი, და ფინანსური გადაწყვეტილებების მიღება.

ფინანსური რესურსების აღრიცხვა - ფინსური მენეჯერი პასუხისმგებელია, რომ სრულყოფილად მიმდინარეობდეს ფინანსური რესურსების აღრიცხვიანობა, რაც მოიცავს შემდეგს:

1. პროექტისა და მთავარი ზედნადების სრულყოფილად აღწერა აღრიცხვის სისტემების მეშვეობით.
2. უზრუნველყოფა იმისა, რომ არჩეული აღრიცხვის სისტემა არის სწორად შერჩეული და სათანადოდ ფუნქციონირებს.
3. ხარჯების პროექტირება თითოეული პროექტისათვის. უზრუნველყოფა იმისა, რომ ხარჯები, რომლთა ფულადი სახსრები ჯერ არ არის მიღებული, თუმცა მათი გაღება აუცილებელია, გათვალისწინებულია არსებული ხარჯების პროექტირებაში.
4. ინდივიდუალური პროექტების დაფინანსების ხარისხის განსაზღვრა.
5. გაკონტროლება იმისა, რომ საჭირო ფინანსური უწყისები მომზადებულია.
6. ფინანსური უწყისების პერმანენტული გადამოწმება, რათა დარწმუნებული იყო, რომ კომპანიის ფინანსური სტრუქტურა შესაბამისობაშია ინდუსტრიასთან. ასევე მცდელობა გამოავლინო პოტენციური პრობლემები, მანამ სანამ ისინი ფირმას მიიყვანენ კრიზისამდე.

დეველოპერულ კომპანიებს აქვთ განსხვავებული ფინანსური დოკუმენტაციის სტრუქტურა. ასევე განსხვავებულია აღრიცხვის, ხარჯების აღწერისა და ხარჯების კონტროლის სისტემები. დეველოპერული კომპანიების უმეტესობისათვის აღრიცხვის სისტემა შედგება სამი განსხვავებული უწყისისაგან: ძირითადი, სამუშაოს ღირებულების და მოწყობილობის უწყისი.

დეველოპერული კომპანიები აქტივების ცვეთის დასარიცხათ შეიძლება იყენებენ შემდეგ მეთოდებია: წრფივი მეთოდი, წლების ჯამის მეთოდი და შემცირებული ბალანსის მეთოდი. ამ მეთოდების ცვლილება გავლენას ახდენს ფირმის ფინანსური შედეგების შეფასებაზე.

ფირმის ღირებულების შეფასება ხდება არა მხოლოდ ანგარიშებში მოცემული სიდიდეებით, არამედ მათ შორის ურთიერთკავშირითაც. ამ ფინანსური კოეფიციენტების განსაზღვრა მნიშვნელოვანი ამოცანაა, ისევე როგორც მათი ინდუსტრიის საშუალოსთან შედარება. ფინანსური მონაცემების ანალიზი ეხმარება ფინანსურ მენეჯერს აღმოაჩინოს პრობლემა, მანამ სანამ ის გახდება კრიზისის გამომწვევი.

ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვა - ხარჯების დაგეგმვა ეყრდნობა აღრიხვის სისტემის შედეგებს. ხარჯებისა და შემოსავლების დაგეგმვა მოიცავს შემდეგს:

1. პროექტის ხარჯების დაგეგმვა და კონტროლი.
2. პროექტის მონოტორინგი და კომპანიის მომგებიანობა.
3. მუშა-ხელზე დასარიცხი თანხის განსაზღვრა.
4. ძირითადი ზედნადების განსაზღვრა და კონტროლი.

5. მინიმალური მოგების განაკვეთის განსაზღვრა.
6. კომპანიის სხვადასხვა განყოფილებების მომგებიანობის შეფასება და მოგების გაზრდისათვის საჭირო ცვლილებების გატარება.
7. სხვადასხვა კლიენტის მომგებიანობის მონოტორინგი და მომგებიანობის გაზრდისთვის საჭირო მარკეტინგული ცვლილებების გატარება.

აუცილებელია განხორციელდეს სამშენებლო ხარჯების მონოტორინგი. უნდა გაკონტროლდეს მასალების, მუშა-ხელის, სუბკონტრაქტორების, მოწყობილობებისა და ზედნადების ხარჯები. ასევე ფინანსური მენეჯერი ცდილობს შეაფასოს თითოეული პროექტის მომგებიანობა. ეს ყველაფერი ეხმარება ფინანსურ მენჯერებს, პროექტის მენეჯერებსა და მფლობელებს განსაზღვრონ პროექტის მომგებიანობა და აღმოაჩინონ პრობლემური არეალები.

ასევე მნიშვნელოვანია მუშა-ხელზე გათვლისწინებული ხარჯის დაგეგმვა. უნდა განისაზღვროს როდის უნდა დაემატოს ახალი სამუშაო ადგილი, რამდენი უნდა იყოს ხელფასი და როდის უნდა ხდებოდეს მისი გაცემა. ეს ეხმარება მენეჯერებსა და მფლობელებს განსაზღვრონ მომუშავეებზე გაწეული ხარჯი, რომელიც გათვალისწინებული უნდა იყოს ძირითადი ზედნადების განსაზღვრაში. თავად ამ ძირითადი ზედნადების განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი სამუშაოა.

დეველოპერული კომპანიებისთვის საყურადღებო საკითხს წარმოადგენს მოგების პროცენტის განსაზღვრა, რომელსაც შემდგომ იყენებენ პროექტის ფასის განსაზღვრისათვის. მოგების განაკვეთი იცვლება პროექტის ხანგრძლივობასთან და სამუშაოს მოცულობასთან მიმართებაში. მოგება მოიცავს ზედნადების ხარჯსაც.

ასევე დეველოპერული კომპანიისათვის აუცილებელია მისი დეპარტამენტების შემოსავლიანობის ცალ-ცალკე შეფასებაც. უნდა განისაზღვროს კომანიის რომელი ნაწილი საჭიროებს ცვლილებების შეტანას. მნიშვნელოვანი საკითხია სუბკონტრაქტორებსა და არსებულ მუშა-ხელს შორის არჩევანის გაკეთებაც. ასევე უნდა განხორციელდეს სხვადასხვა დამკვეთების მომგებიანობების მონოტორინგი, რის შედეგადაც უნდა გადაწყდეს, რომელ მომხმარებელებთან არის სასურველი ურთიერთობის გაგრძელება და რომელთან არა.

ფულადი სახსრების დაგეგმვა - ფულადი სახსრების დაგეგმვა მოიცავს შემდეგს:

1. არსებული მუშა-ხელისა და სუბკონტრაქტორების გამოყენების სახსრების გამოყოფა არსებული პროექტებისათვის.
2. დამატებითი პროექტის დასაწყებად საჭირო ფულის არსებობის კონტროლი.
3. მოგების გადასახადის წინასწარი განსაზღვრა კომპანიისათვის.
4. წლიური ფულადი სახსრების მოძრაობის განახლებადი პროექციის მომზადება.
5. დაფინანსინანსების წყაროებს შორის არჩევანის გაკეთება.
6. ფინანსების მართვა, რათა მიღწეულ იქნას კომპანიის მიზნები.

ფინანსურ მენეჯერს უნდა შეეძლოს ფულადი სახსრების პროექტირება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსალოდნელია მრავალჯერადი გადახდა პროექტის მფლობელისაგან და იმ შემთხვევაშიც, როდესაც მოსალოდნელია ერთჯერადი გადახდა პროექტის დასრულებისას. ორივე სიტუაციაში კომპანიას უწევს გადაიხადოს ზოგიერთი ან ყველა სამშენებლო დანახარჯი, განსაკუთრებით ხელფასები, მანამ სანამ მიიღებს დაფინანსებას. ამისათვის კი ფულადი სახსრებია საჭირო. აუცილებელია როგორც მთელი კომპანიისათვის, ასევე თითოეული პროექტისთვის საჭირო ფულადი სახსრების რაოდენობისა და დროის დაგეგმვა.

ასევე მნიშვნელოვანია გადასახადებისათვის საჭირო თანხების წინასწარ დაგეგმვა. აუცილებელია მოგების და სხვა გადასახადების წინასწარ განსაზღვრა, რათა გაუთვალისწინებელმა გადასახადმა არ მიიყვანოს პროექტი კრიზისამდე.

წლიური ფულადი სახსრების დაგეგმვა აუცილებელია, რათა დარწმუნებული იყო, რომ კომპანიას ექნება საჭირო თანხა დამდეგი წლისათვის. თუ კი დადგინდა, რომ სახსრები არ არის საკმარისი, მენეჯერს აქვს დრო, რათა მოიპოვოს დამატებითი სახსრები. წლიური ფულადი სახსრების დაგეგმვა ხდება ინდივიდუალური სამუშაოების შემოსავლებთან და ხარჯებთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობის კომბინირების მეშვეობით.

დეველოპერული კომპანიებისათვის კრიტიკულ საკითხს წარმოადგენს დაფინანსების წყაროებს შორის არჩევანის გაკეთება. აუცილებელია სესხების სხვადასხა გზების შეფასება, რათა არჩევანი გაკეთდეს საუკეთესოზე და სესხებასთან დაკავშირებული საპროცენტო ხარჯი მაქსიმალურად შემცირდეს.

ფინანსური გადაწყვეტილების მიღება - ფინანსური მენეჯერი პასუხისმგებელია აირჩიოს სხვადასხვა ფინანსურ ალტერნატივებს შორის. უნდა გადაწყდეს თუ საიდან მოიზიდავს კომპანია სახსრებს და რომელი დაფინანსების წყარო იქნება საუკეთესო. ამის შეფასებისათვის არსებობს ათი რაოდენობრივი მეთოდი. ასევე უნდა გადაწყდეს თუ კომპანიის რომელ სეგმენტში ჩაიდება ფირმის შეზღუდული რესურსი.

გზას, რომლითაც მოვლენები აღირიცხება ძირითად ანგარიშებში, განსაზღვრას მეთოდი, რომელსაც იყებენს კომპანია. არსებობს შემოსავლების აღიარების ოთხი მეთოდი: ფულის, დაგროვების, პროცენტული შესრულების და დამთავრებული კონტრაქტის მეთოდი.

ფულის მეთოდი არის უმარტივესი გამოსაყენებლად და გულისხმობს, რომ შემოსავლები აღიარდება, როდესაც შემოდის მფლობელების გადახდები, ხოლო ხარჯები, მაშინ, როდესაც გადასახადები გადაიხდება. მოგება ნებისმიერი მომენტისათვის ტოლია ფულის შემოსვლებისა და გასავლების სხვაობისა. ამ მეთოდის სიმარტივის გამო მას უმეტესად იყენებენ პატარა საშენებლო კომპანიები. ასევე ამ მეთოდის

დადებითი მხარეა ის, რომ უფრო მარტივია მოგების გადასახადზე ზეგავლენის მოხდენა. მაგალითად არსებული წლის მოგების გადასახადის შესამცირებლად შეგიძლია ერთ-ერთი პროექტის მფლობელის გადახდა, რომელიც უნდა მომხდარიყო წლის ბოლოს, გადაიტანო მომდევნო წელიწადის დასწყისში. ასევე შეგიძლია წლის ბოლოს გაწიო გადასახადი, რომლიც განკუთვნილია მომდევნო წლის ხარჯებთან. ეს ქმედებები შეამცირებს მიმდინარე წლის შემოსავალს და შემცირდება მოგების გადასახადი. ამ მეთოდის უარყოფითი მხარეა ის, რომ ის აფერხებს რეალური შემოსავლებისა და ხარჯების განსაზღვრას და მისი გამოყენება ფინანსური დოკუმენტაციების შესადგენად არ არის მიზანშეწონილი. ხშირად კომპანიები, რომლებიც ამ მეთოდს იყენებენ მოგების გადასახადის განსასაზღვრად, დამატებით იყენებენ სხვა მეთოდსაც ფინანსური უწყისების შესადგენად.

დარიცხვის მეთოდის დროს კომპანია აღიარებს შემოსავალს მაშინ, როდესაც მას აქვს უფლება მიიღოს შემოსავალი და ხარჯებს მაშინ, როდესაც ვალდებულია, რომ ისინი გადაიხადოს. ეს იძლევა უფრო რეალურ ფინანსურ სურათს. ხარჯები ხშირად აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია იღებს ვალდებულებას მომწოდებლისგან ან სუბკონტრაქტორისგან. საგადასახადო კუთხით, იმის გამო რომ შემოსავლები და ხარჯები აღიარდება მანამ, სანამ ხდება ფულის გასვლა ან შემოსვლა, დარიცხვის მეთოდმა შესაძლოა გაზარდოს მიმდინარე წლის გადასახადი. თუმცა ფინანსური დოკუმენტაციების მოსამზადებლად ეს მეთოდი მიზანშეწონილია, რადგან იძლევა ფინანსური ანალიზისათვის საჭირო ინფორმაციას.

სამშენებლო კონტრაქტებით გათვალისწინებული სამუშაოების ბუნება ისეთია, რომ როგორც წესი, მათი დაწყებისა და დამთავრების თარიღები სცილდება ერთ საანგარიშგებო პერიოდს. აქედან გამომდინარე, სამშენებლო სამუშაოების აღრიცხვის მთავარი საკითხია ამ სამუშაოებიდან მიღებული ამონაგებისა და გაწეული დანახარჯების განაწილება იმ საანგარიშგებო პერიოდებზე, რომელთა განმავლობაშიც ხორციელდებოდა მშენებლობა. თანხების მიღება შეიძლება ხორციელდებოდეს გარკვეული პეიოდულობით, როდესაც მშენებლობა მიაღწევს განსაზღვრულ ეტაპებს.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სამშენებლო კონტრაქტების ორი ტიპი: ფიქსირებულფასიანი კონტრაქტი და კონტრაქტი ხარჯებს დამატებული ანაზღაურებით.

ფიქსირებულფასიანი კონტრაქტი ისეთი ტიპის სამშენებლო კონტრაქტია, რომელშიც მენარდე თანხმდება ფიქსირებულ საკონტრაქტო ფასზე, ან შესრულებული სამუშაოს ერთეულის ფიქსირებულ განაკვეთზე, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება ექვემდებარებოდეს კონტრაქტის მუხლებით გათვალისწინებულ ღირებულების სკალას.

კონტრაქტი ხარჯებს დამატებული ანაზღაურებით ისეთი ტიპის სამშენებლო კონტრაქტია, რომლის მიხედვითაც მენარდეს მთლიანად აუნაზღაურდება დასაშვები ან რაიმე სხვა გზით განსაზღვრადი ხარჯები და მასზე დამატებული ამ ხარჯების პროცენტი ან ფიქსირებული გასამრჯელო.

ზოგიერთ კონტრაქტს შეიძლება ორივე ტიპის კონტრაქტის თვისებები გააჩნდეს, მაგალითად, კონტრაქტი ხარჯებს დამატებული ანაზღაურებით, წინასწარ შეთანხმებული ფასის მაქსიმალური ზედა ზღვარით.

საქართველოში დეველოპერულმა კომპანიებმა შეიძლება გამოიყენონ შემოსავლების აღიარების ორი მეთოდი:

პროცენტული შესრულების მეთოდი. კომპანიები აღიარებენ შემოსავალს ყოველ პერიოდზე იმ პროცენტით, რომლსაც წარმოადგენს არსებული, უკვე განხორციელებული, მშენებლობა მთლიან მშენებლობასთან მიმართებაში. ამ პერიოდისთვის არსებული სამშენებლო ხარჯები და მოგება გროვდება ინვენტარის ანგარიშში(მშენებლობის მიმდინარეობა), ხოლო გადახდები გროვდება კონტრა ინვენტარის ანგარიშში (მშენებლობის პროცესის გადახდები)

დამთავრებული კონტრაქტის მეთოდი. შემოსავლებისა და მოგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც კონტრაქტი მთავრდება. ხარჯებისა და შემოსავლების დაგროვება ხდება იგივე პრინციპით.

ამონაგებისა და ხარჯების აღიარება კონტრაქტის შესრულების სტადიის შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, გულისხმობს პროცენტული შესრულების მეთოდის გამოყენებას. აღნიშნული მეთოდის თანახმად, საკონტრაქტო ამონაგები უპირისპირდება იმ საკონტრაქტო დანახარჯებს, რომლებიც უკვე გაწეულია კონტრაქტის შესრულების მოცემული სტადიისათვის. ამგვარად, ამონაგების, ხარჯებისა და მოგების წარდგენა ხდება შესრულებული სამუშაოს პროპორციულად. აღნიშნული მეთოდი უზრუნველყოფს სასარგებლო ინფორმაციას, მოცემულ საანგარიშგებო პერიოდში შესრულებული საკონტრაქტო სამუშაოებისა და მისი ეფექტურობის შესახებ.

პროცენტული შესრულების მეთოდის შესაბამისად, საკონტრაქტო ამონაგების აღიარება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხვდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც შესრულდა სამუშაო. შესაძლებელია, რომ მენარდეს მოუწიოს ისეთი საკონტრაქტო დანახარჯების გაწევა, რომლებიც დაკავშირებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებულ მომავალი პერიოდის სამუშაოებთან. ასეთი ტიპის საკონტრაქტო დანახარჯები, მომავალში მათი შესაძლო ანაზღაურების გამო, აღიარებული იქნება აქტივის სახით. მათ მიაკუთვნებენ დამკვეთისაგან ამოსაღებ თანხებს და განიხილავენ, როგორც დაუმთავრებელი წარმოების შესახებ დადებულ კონტრაქტებს.

სამშენებლო კომპანიების ფინანსური მენეჯმენტის უმნისვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ხარჯების სწორად განსაზღვრა. ხარჯების ოდენობა და ბუნება დამოკიდებულია პროექტზე და დაგეგმვის სტრუქტურაზე. მფლობელი დაინტერესებულია, რომ მიიღოს მინიმალური შესაძლო ხარჯი, რომელიც ინესტიციას სრულფასოვნად მიიყვანს საკუთარ მიზნამდე. სამშენებლო ხარჯებს უჭირავს სრული ხარჯების უდიდესი წილი, თუმცა უნდა აღინიშნოს, დანარჩენი ხარჯებიც უდნა შეფასდეს ზუსტად, რად-

გან არც დანარჩენი კომპონენტები არის უმნიშვნელო. მაგალითად, მიწის შესყიდვამ და მშენებლობის დაფინანსების ხარჯმა შეიძლება დაიჭიროს ხარჯების მნიშვნელოვანი წილი.

ამავე დროს მნიშვნელოვანია გაუთვალისწინებელი ხარჯების ანალიზი, რომლელთა საჭიროება შეიძლება დადგეს მშენებლობის პროცესში. ეს განუსაზღვრელობა შეიძლება ჩაიდოს ხარჯის თითოეულ კომპონენტში, ან შეიქმნას ცალკე კატეგორია გაუთვალისწინებელი ხარჯებისა. მისი ოდენობა განისაზღვრება წარსული გამოცდილების ან პროექტის მოსალოდნელი სირთულეების მიხედვით.

ხარჯების განსაზღვრა პროექტის მენეჯმენტის ერთ-ერთი უმნიშნიშვნელოვანესი ამოცანაა. უნდა განისაზღვროს პროექტის ხარჯის ძირითადი მოხაზულობა განვითარების თითოეული ეტაპისათვის. ხარჯები შეიძლება განისაზღვროს შემდეგი ძირითადი მიდგომებიდან ერთ-ერთის ან მათი კომბინაციის მიხედვით: პროდუქტის ფუნქცია, ერთეული ფასის დადგენის მეთოდი, საერთო ხარჯის ალოკაციის მეთოდი.

პროდუქტიის ფუნქცია - მიკროეკონომიკაში პროცესის შედეგსა და აუცილებელ რესურსებს შორის არსებობს ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც გამოიხატება პროდუქციის ფუნქციით. მშენებლობაში პროდუქციის ფუნქცია შეიძლება გამოიხატოს მშენებლობის მოცულობასა და მშნებლობის ფაქტორის დამოკიდებულებით. იგი აკავშირებს მშენებლობის შედეგს ცვალებადი მუშა-ხელის, მასალებისა და მოწყობილობების დანახარჯთან. ამის მაგალითია, შენობის ზომასა (გამოხატული კვ.მ-ში) და მუშაბის ოდენობას (გამოხატული ერთ კვ.მ.-ზე მუშაობის საათებში) შორის ურთიერთდამოკიდებულების ფუნქცია და მშენებლობის შენობის მიხედვით შეიძლება განისაზღვროს მოშა-ხელის ფაქტორი, რომლითან მოხდება ხარჯის მინიმიზაცია.

არ არის აუცილებელი, რომ ხარჯები წრფივად იყოს დამოკიდბული მშენებლობის მოცულობაზე. ძირითადად მაშტაბის ეკონომია ან დისეკონომია არსებობს. თუ კი საშუალო ხარჯი ერთეულ სიმძლავრეზე იკლებს არსებობს მაშტაბის ეკონომია, ხოლო თუ იმატებს მაშტაბის დისეკონომია. მაშტაბის ეკონომიის შეფასებისათვის გამოიყენება ემპირიული მონაცემები. თუ კი x-ს მივიჩნევთ მშენებლობის შედეგის სიმძლავრედ (შენობის მოცულობა, სართულების რაოდენობა, გზატკეცილის სიგრძე და სხვ.), ხოლო y-ს მშენებლობის დანახარჯად, მაშინ წრფივი დამოკიდებულება შეიძლება გამოვსახოთ:

$$y = a + bx$$

სადაც a და b წარმოადგენენ დადებით კონსტანტებს, რომლებიც განისაზღვრება ისტორიული მონაცემების მიხედვით. ეს დამოკიდებულება მისაღებია მხოლოდ x-ს გარკვეული მნიშველობებისთვის, როდესაც x მერყეობს x=c-დან x=d-მდე. ხარჯი სიმძლავრესთან მიმართებაში შეიძლება განისაზღვროს წრფივი ინტერპოლაციის მეთოდით. მაგალითად სკოლის შენობის სართულების რაოდენობის გავლენა სამშენებლო ხარჯებზე. (იხილეთ დანართი 2)

არაწრფივი დამოკიდებულება სიმძლავრესა და ხარჯს შორის გამოისახება შემდეგნაირად:

$$y = ax^b$$

სადაც a და b კვლავ დადებით კონსტანტებს წარმოადგენს. როდესაც 0<ბ<1 მიიღწევა მაშტაბის ეკონომია, ხოლო თუ b აღემატება ერთს არსებობს მაშტაბის კლებადი ამონაგები (იხილეთ დანართი 3). თუ ტოლობის ორივე ნაწილს გავალოგარითმებთ მივიღებთ შემდეგ წრფივ დამოკიდებულებას:

$$Iny = Ina + bInx$$

არაწრფივი დამოკიდებულების არსებობისას, ახალი პროქტის შესაფასებლად, მსგავსი პროეტის უკვე ცნობილი ხარჯებისა და სიმძლავრეების მიხედვით გამოიყენება ექსპონენციალური წესი. თუ კი y_n არის ძველი პროექტის Q_n სიმძლავრისთვის აუცილებელი ხარჯი, ხოლო y სავარაუდო ხარჯი არსებული პროექტის Q სიმძლავრისათვის, მაშინ:

$$y = y_n\left(\frac{Q}{Q_n}\right)^m$$

სადაც m მერყეობს 0.5-დან 0.9, რაც დამოკიდებულია მშენებლობის ტიპზე. ექსპონენციური წესი შეიძლება გამოვსახოთ წრფივ ურთიერთკავშირში თუ კი გავალოგარითმებთ უტოლობას:

$$Iny = Iny_n + mIn\left(\frac{Q}{Q_n}\right)$$

$$In\left(\frac{y}{y_n}\right) = mIn\left(\frac{Q}{Q_n}\right)$$

ექსპონენციური წესი შეიძლება გამოიყენო მთელი სიმძლავრის ხარჯის განსაზღვრისათვის, ან კონკრეტული კომპონენტის ხარჯის გარკვევისათვის.

მნიშვნელოვანი საკითხია m-ის განსაზღვრა. ეს შეიძლება განხორციელდეს უკვე არსებული პროექტების მონაცემების მიხედვით. დავუშვათ პრო პროექტის $\ln(Q/Q_n)$ –სა და $\ln(y/y_n)$-ს შორისწრფივ დამოკიდებულებას ასახავს ნახაზი(იხილეთ დანართი 5). როდესაც $(Q/Q_n) = 1$, $\ln(Q/Q_n)=0$ და $\ln(y/y_n)=0$; ხოლო როდესაც $(Q/Q_n) = 2$, $\ln(Q/Q_n)=0.301$ და $\ln(y/y_n)=0.1765$. რადგან m გამოხატავს წრფის დახრას, იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც:

$$m = \frac{0,1765}{0,301} = 0,585$$

ერთეული ფასის დადგენის მეთოდი - ერთეული ფასის დადგენის მეთოდის მიხედვით, მთლიანი დანახარჯის განსაზღვისათვის ხარჯის ეთეულების რაოდენობები უნდა გამრავლდეს შესაბამის ერთეულისათვის გასაწევი ხარჯის ოდენობაზე. ეს მეთოდი არის სწორხაზოვანი თუმცა განხორციელება შრომატევადი. თავდაპირველად მშენებლობის პროცესი უნდა დაიყოს სხვა და სხვა კომპონენტებად. კომპონენტში განისაზღვრება ხარჯის ერთეულების რაოდენობა და მათი ერთეულის ფასზე გამრავლებით მიიღება კომპონენტის ღირებულება. მთლიანი დანახარჯი წარმოადგენს კომპონენტთა ღირებულებების ჯამს.

ვთქვათ პროექტი დაყოფილია n ელემენტად. Q_i მივიჩნიოთ i ელემენტის რაოდენობად, ხოლო u_i შესაბამისი ერთეულის ხარჯად. მაშინ მთლიანი ხარჯი იქნება:

$$y = \sum_{i=1}^{n} u_i Q_i$$

სადაც n წარმოადგენს ელემენტების რაოდენობას. u_i განისაზღვრება მშენებლობის ადგილმდებარეობის, გამოყენებული ტექნოლოგიის და მშენებლობის დაგეგმვის პროცესის გათვალისწინებით თითოეული კომპონენტისათვის.

ჩავთვალოთ, რომ მშენებლობის ყველა ამოცანის შესრულებას ესაჭიროება მასალების მუშა-ხელის და მოწყობილობების ხარჯები და პროექტი იყოფა n კატეგორიად. Q_i არის ერთეულების რაოდენობა კომპონენტი i-სათვის, M_i ერთეული მასალის ხარჯი, E_i ერთეული მოწყობილობის ხარჯის განაკვეთი, L_i საათების რაოდენობა, რომელიც საჭირო Q_i ერთეული სამუშაოს შესასრულებლად, ხოლო W_i მომუშავეთა განაკვეთი, ანუ ერთი საათი მუშაობის ანაზღაურება. მთლიანი ხარჯი იქნება:

$$y = \sum_{i=1}^{n} Q_i \left(M_i + E_i + W_i L_i \right)$$

$W_i L_i$ წარმოადგენს ერთეულზე გასაწევ ხელფასს i კომონენტისათვის, სადაც ერთეულების რაოდენობა არის Q_i.

იმის გამო, რომ რთულია დაადგინო რეალურად საერთო ხარჯის რა ნაწილი არის დაკავშირებული თითოეულ ელემენტთან, ხშირად გამოიყენება საერთო ხარჯის ალოკაციის მეთოდი.

დავუშვათ პროექტი დაყოფილია n კომპონენტად. y არის გარკვეული ტიპის მთლიანი პროექტის ხარჯი(მუშა-ხელი, მასალა, მოწყობილობა) და y_i არის იგივე ხარჯი დაკავშირებული i-ურ კომპონენტთან. F არის მთლიანი ზედამხედველის ხარჯი,ხოლო F_i - i-ურ კომპონენთან დაკავშირებული ზედამხედველის ხარჯი. მაშინ:

$$F_i = F \frac{y_i}{y}$$

ანუ ძირითადი ზედნადები ხარჯი კომპონენტს მიეწერა იმ პროპორციით, რომლითაც ამ კომპონენტის არსებული ხარჯი არის დაკავშირებული მთლიანი პროექტის ხარჯთან. საოფისე ხარჯებთან დაკავშირებული ზედნადების ალოკაციაც ხორციელდება ანალოგიურად. თუ მივიჩნევთ, რომ z არის მთლიანი ხარჯი, რომელიც მოიცავს ძირთად და ზედამხედველის ხარჯს, z_i არის მთლიანი ხარჯი დაკავშირებული i-ურ კომპონენტთან, მაშინ:

$$G_i = G \frac{Z_i}{Z}$$

$$z = F + y = F + \sum_{i=1}^{n} y_i$$

თუ კი მივიჩნევთ, რომ w არის ყველა ხარჯის ჯამი პროექტისათვის, ხოლო w_i i-ურ კომპონენტთან დაკავშირებული მთლიანი ხარჯი , მაშინ:

$$w = G + z = G + \sum_{i=1}^{n} z_i$$

ფინანსური მენეჯერი პასუხისმგებელია აირჩიოს სხვადასხვა ფინანსურ ალტერნატივებს შორის. უნდა გადაწყდეს თუ საიდან მოიზიდავს კომპანია სახსრებს და რომელი დაფინანსების წყარო იქნება საუკეთესო. ასევე უნდა გადაწყდეს თუ კომპანიის რომელ სეგმენტში ჩაიდება ფირმის შეზღუდული რესურსი.

ვასილ კაციაშვილი

დეველოპერული კომპანიების ფინანსური მართვის თავისებურებები

რეზიუმე

ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს დეველოპერული კომპანიების ინდუსტრიას. ქვეყნებში, სადაც ინფლაციის დონე მაღალია, ხოლო სავალუტო კურსი მერყევი, პრიორიტეტული ხდება ინვესტიციების ჩადება სტაბილურ აქტივში, ისეთში როგორსაც უძრავი ქონება წარმოადგენს. რის გამოც საქართველოში დეველოპერული კომპანიების რიცხვი სულ უფრო იზრდება, თუმცა განვითარების ბიზნესი ძალიან მგრძნობიარეა შემოსავლების ანუ მთლიანად ეკონომიკის გამოშვების მიმართ, რადგან ეკონომკის უეცარი ვარდნა პირველ რიგში მოქმედებს კველევებსა და განვითარებაზე.

2008 წლამდე მშენებლობის ბუმი საქართველოში განპირობებული იყო მოსახლეობის იმ ნაწილის მოთხოვნით, რომელიც მიისწრაფვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებისაკენ და ასევე იმ ნაწილით, რომელიც უძრავ ქონებას განიხილავდა, მაღალშემოსავლიან საინვესტიციო პროდუქტად. უძრავი ქონების მომხმარებელს წარმოადგენენ ასევე უცხოელები, რომლებიც შემოდიან საქართველოში, იწყებენ ბიზნესს და ახორციელებენ ინვესტიციას.

სამშენებლო ინდუსტრიის პრობლემები საქართველოში საომარი პროცესების და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე გაიზარდა, უფრო მეტიც ბევრი კომპანია გაკოტრდა, თუმცა დღეს კვლავ შეიმჩნევა ეკონომიკის აღმავლობა და მასთან პარალელურად მშენებლობაზე მოთხოვნის ზრდა.

დეველოპერული კომპანიებისათვის აუცილებელია ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურ ინსტრუმენტებზე ფოკუსირება, რათა გაიზარდოს კომპანიის ფინანსური ეფექტიანობია და ქმედუნარიანობა.

ფინასური მენეჯმენტი გულისხმობს კომპანიის ფინანსური რესურსების დაგეგმვას. ეს მოიცავს ფულისა და სხვა აქტივების, მაგ. მოწყობილობებისა და აღჭურვილობის ოპტიმალურ გამოყენებას. მრავალი ყოველდღიური გადაწყვეტილება ახდენს გავლენას კომპანიის ფინანსურ მომავალზე. მაგალითად, გადაწყვეტილება, რომ განახორციელო დიდი პროექტი დიდ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსებზე. ამ დროს მნიშვნელოვანია გარკვეული საკითხების გაანალიზება: გააჩნია თუ არა კომპანიას საკმარისი ფულადი რესურსი ამ პროექტის განსახორციელებლად, თუ საჭირო იქნება დამატებითი დაფინანსება. საჭიროა თუ არა, რომ კომპანიამ დაიქირაოს დამატებითი მუშა-ხელი ამ პროექტისათვის, თუ უმჯობესია სუბ-კონტრაქტორების დაქირავება. პროექტისათვის საჭირო დამატებითი აღჭურვილობის დაქირავება უფრო მიზანშეწონილია, თუ ყიდვა. თუ კი ყიდვა იქნება უმჯობესი, როგორ გეგმავს კომპანია საჭირო ფინანსების მოპოვებას. გაუზრდის თუ არა ახალი პროექტი კომპანიას ძირითად საოფისე ზედნადებს. ასევე უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტა იმისა, თუ რა მოგებისა და ზედნადების მარჟა უნდა იყოს დამატებული. ამ და სხვა კითხვებზე პასუხები ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსებზე.

Vasil Katsiashvili

Financial Management Peculiarities of Building Companies

Abstract

Building industry plays an important role in the development of the country. In the countries, where inflation level is high and currency exchange rate fluctuates, the priorities are given to the investment in stable assets, like real estate. It has become the reason for growing number of building companies in Georgia, though this business is very sensitive towards incomes and economics in general as far as the sudden droppings in economics has the great influence on research and development first of all.

Till 2008 the building industry boom was conditioned by the demand of the population who has been thriving to increase their living conditions as well as by the population who considered real estate the profitable investment product. The consumers of the real estate also are the foreigners who come to Georgia, start business and make investments.

Building industry problems has increased in Georgia as a consequence of the war and the world economic crisis. Furthermore, many companies went bankrupt. Nevertheless, economic growth and correspondingly, the demand for building industry are still observed.

For building companies it is compulsory to focus upon efficient tools of financial management in order to increase efficiency and productivity of the company.

Financial management involves planning of financial resources. This includes the optimal application of money and other assets, such as equipment and facilities. Many everyday decisions affect the financial prospects of the company. For example, the decision to realize big project will influence company finances. In this case, it is significant to analyse the following issues: whether company has or not enough financial resources to realize this project or will it require extra finances; whether company need to hire extra staff for this project, or it is better to hire subcontractors; it is better to hire or buy extra equipment for the project. If it is better to purchase the facilities, how the company plans to raise necessary finances; whether the projects will increase company's office expenses. It is also very important to decide the amount of profit margin, to be added to the invoice.

The answer to these and other questions influence the company finances.

ნიკა კვარაცხელია

ელეტრონული ექსკურსიების განვითარება თანამედროვე ტურიზმში

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი. ტურიზმი ღრუბელივით ისრუტავს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისაგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. დასავლეთში უკვე დიდი წარმატებით ატარებენ ელექტრონულ ექსკურსიებს მუზეუმებსა და ისტორიულ ქალაქებში. საყოველთაოდ გავრცელებულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიის შემდეგი ფორმები:

1. აუდიო საქალაქო ექსკურსიები;
2. აუდიო-ვიზუალური საქალაქო ექსკურსიები;
3. ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტით.

აუდიო ექსკურსიები პირველად გამოიყენეს მუზეუმებისა და გამოფენების დამთვალიერებლებმა. იგივე პრინციპით ფუნქციონირებს საქალაქო აუდიო ექსკურსიები. საყოველთაოდ მიღებულია ტერმინი აუდიო-გაიდი – Audio-Guide, რომლის პირველი სიტყვა აუდიო – ლათინურია და ნიშნავს – "მე ვუსმენ", ხოლო მეორე ინგლისური სიტყვა გაიდი ქართულ შესატყვისში გიდს აღნიშნავს. აუდიო-გიდი ფართოდ გამოიყენება მუზეუმებში და ის იძლევა საშუალებას ერთიდაიგივე ტექსტის სხვადასხვა ენაზე თარგმნით მოემსახუროს უცხოელ ტურისტებს, რაც უდაოდ მათ კმაყოფილებას იწვევს. ტურისტული საინფორმაციო ცენტრები და სააგენტოები ყიდიან და ავრცელებენ აუდიო-გიდების ჩანაწერებს. აუდიო-გიდების უპირატესობა მის ინფორმაციულობაშია, ხოლო ნაკლი მდგომარეობს წინასწარ შედგენილი მარშრუტის შეუცვლელობაში. ტურისტმა ექსკურსია აუცილებლად უნდა დაიწყოს მოცემულ ადგილას და გაყვეს სპეციალურად შედგენილ მარშრუტს, რომელსაც ვერ გადაუხვევს და ვერ შეცვლის. მობილურმა ოპერატორებმა ტურისტულ ცენტრებში დიდი ხანია დანერგეს ე.წ. „Points of Interests" (POI), რომელიც იძლევა ინფორმაციებს ცალკეულ ობიექტებზე, რითაც მომხმარებელს ეძლევა არჩევანის მეტი თავისუფლება ღირსშესანიშნაობების არჩევაში.

საქალაქო აუდიო-ვიზუალური ექსკურსიების უპირატესობა აშკარაა იმით, რომ ტურისტს ინფორმაციის მოსმენასთან ერთად შეუძლია გამოსახულების ეკრანზე ნახვა და დათვალიერება. ტურისტს შეუძლია მუდმივად ადევნოს თვალი ინფორმაციისა და ობიექტის თანხვედრას და გადაამოწმოს ინფორმაცია დისპლეიზე ასახული გამოსახულების მიხედვით. ტურისტს შეუძლია გამოიძახოს ნებისმიერი ღირსშესანიშნაობა, რომელიც დატანილია საქალაქო ექსკურსიის ნუსხაში, გადაამოწმოს მისი თანხვედრა სავარაუდო ობიექტთან და მიიღოს მხოლოდ ის ინფორმაცია, რომელიც მას აინტერესებს. აუდიო-ვიზუალური ექსკურსიების უპირატესობა მდგომარეობს იმ შესაძლებლობების გამოყენებაში, რომელიც საშუალებას აძლევს ტურისტს დაინახოს ნებისმიერი ის გამოსახულება, რომელიც ღირსშესანიშნაობასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ობიექტური მიზეზების გამო მისთვის მოცემულ მომენტში მიუწვდომელია. მაგალითად, ინტერიერი, სადაც შესვლა აკრძალულია, შენობის ადრინდელი სახე, ან ომის, ხანძრის, ან სხვა მოვლენების ამსახველი მდგომარეობა. განსაკუთრებით გაუმჯობესდა საქალაქო ელექტრონული ექსკურსიების ხარისხი მას შემდეგ, რაც მომსახურებაში შევიდა სანავიგაციო სისტემები. GPS-ნავიგაციის ჩართვა საექსკურსიო მომსახურებაში აუმჯობესებს და აიოლებს ტურისტების ორიენტაციას ქალაქის ტერიტორიაზე. ნავიგატორი უჩვენებს მარშრუტს, მანძილს და შესაბამისად ტურისტს შეუძლია დაგეგმოს საკუთარი ექსკურსია დროისა და მანძილის გათვალისწინებით.

ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტით ბოლო ინოვაციაა საექსკურსიო მომსახურებაში. უამრავი ქალაქი, რომელსაც მიზნად აქვს დასახული ტურისტების მოზიდვა სთავაზობს მომხმარებელს ვირტუალურ საქალაქო ექსკურსიებს. დიდი მნიშვნელობა აქვს ექსკურსიის შედგენის პროფესიონალიზმს. ქალაქები და დანიშნულების ადგილები საშუალებას აძლევენ ტურისტებს ისარგებლონ მოძრავი ვებ-კამერით, დაათვალიერონ მათთვის სასურველი ობიექტები. ასეთი ვებ-კამერები საშუალებას აძლევს ტურისტს ნახოს სასურველი ქალაქი დღისით და ღამით, ნახოს ამინდი და მოსახლეობის ჩაცმულობა, უფრო სრულყოფილი და ზუსტი წარმოდგენა შეიქმნას ტურისტმა სამოგზაურო დესტინაციაზე.

ელექტრონული ექსკურსიების განვითარების ტენდენციები

ელექტრონული ექსკურსიის მომზადებისას პირველ პლანზე გამოდის მასალის მიწოდების სტილი და ხარისხი. ნაბეჭდ გზამკვლევში ტურისტი მუდმივად იხედება და ადვილად ეძებს საჭირო მასალას. აუდიო გიდის შემთხვევაში მან მუდმივად უნდა ეძებოს მასალა მოსმენით, რაც იოლი საქმე არ არის. ამიტომ ტურისტული ორგანიზაციები მუდმივად მუშაობენ იმაზე, თუ როგორ მიაწოდონ ტურისტებს ელექტრონული ექსკურსია, რომ მისი აღქმა უფრო სასიამოვნო და შედეგის მომტანი იყოს. ელექტრონული ექსკურსიები არის შედეგი ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტურიზმის სპეციალისტთა შეთანხმებული მუშაობისა. გრაცის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის თანამშრომლებმა აღწერეს ტურიზმში მობილური მულტიმედიური საინფორმაციო სისტემების დანერგვისა და კვლევის სანიმუშო მაგალითი. მკვლევართა აზრით ტურისტული ინფორმაცია პირველ რიგში კონკრეტულ გეოგრაფიულ სივრცეზე დაფუძნებული ინფორმაციაა და ამდენად მათი ყურადღება ამ ასპექტზეა გადატანილი. კერძოდ, განხილულია პერსონალური ციფრული მდივნისა (PDA) და GPS–ის მეშვეობით სასურველი ადგილმდებარეობის (გეოგრაფიული პუნ-

ქტის) შესახებ საჭირო ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა. იგი იძლევა საშუალებას ქვეითად, ველოსიპედით, ან სხვა სახის ტრანსპორტით მოსიარულე ტურისტმა ადვილად იმოძრაოს გარკვეულ გეოგრაფიულ სივრცეში, იპოვოს იქ ღირსშესანიშნაობები და მოიძიოს მათზე სასარგებლო ინფორმაცია, უკეთესი და ხარისხიანი მულტიმედიური ვიზუალიზაციის მიზნით გაერთიანებულ იქნა ხმა, ტექსტი და ვიდეო გამოსახულება, რათა ხელსაწყო მომხმარებლისთვის უფრო ეფექტური ყოფილიყო. თანამგზავრიდან მიღებული გამოსახულება და ციფრული რუკები დაედო საფუძვლად კარტოგრაფიულ ილუსტრაციებს, რაც იყო ინოვაციური წარმოდგენა გარემოსა და სივრცის კონტექსტში ტურისტისათვის საჭირო ინფორმაციის მისაწოდებლად. მობილური ხელსაწყოები ასრულებენ მომხმარებლის დაკვეთას და იძლევიან ტურისტისთვის საჭირო ინფორმაციას ადგილმდებარეობის დადგენისა და გარემოში ორიენტაციის მიზნით.

- ცალკეული გამოსახულებების და რუკის ინტეგრაცია, მათ შორის დიალოგის სისტემის სანავიგაციო ინსტრუმენტების ჩართვა მომხმარებლის ორიენტაციის გასაადვილებლად;
- მულტიმედიური ობიექტების (სურათები, ხმა, ტექსტი და ვიდეო გამოსახულება) ინტეგრაცია კომპლექსური გეო-ინფორმაციის მისაღებად, მაგ., ტური, სასტუმრო, ღირსშესანიშნაობა და ა.შ.
- ინდივიდუალური მონაცემების განსაზღვრა და მართვა, მაგ., დამატებითი ინფორმაციის მიწოდების განსაზღვრა ახალი მოგზაურისათვის, რომლის ინტერესის სფეროა ქვეითად მოგზაურობა. მისთვის ქვეითი ტურების შექმნა.
- სასარგებლო ფუნქციებისა და ინფორმაციის აუცილებლად არსებობა, მაგ., პირადი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად თავშესაფრის ადვილად პოვნა, შტორმის შესახებ გაფრთხილება და სხვ.; კოორდინატების დადგენა GPS–ის მეშვეობით, საგანგებო შეკითხვების ფუნქციების არსებობა;
- საინფორმაციო მომსახურება, რომელიც მოგზაურს უიოლებს ტურის დაგეგმვას: სასტუმროები, მომსახურების ობიექტები, რესტორნები, ინფორმაცია ამინდის შესახებ და სხვ. [1]

უაღრესად მნიშვნელოვანია სოფლის ტერიტორიაზე მოგზაური ტურისტისათვის გარემოში ორიენტირების პრობლემა. რადგან არის შესაძლებლობა დაუსახლებელი პუნქტების მარშრუტში მოხვედრისა და შესაბამისად წარწერების ნაკლებობისა. ამდენად საჭიროა, რომ ხელსაწყოს შეეძლოს ტურისტისათვის:

1. მონაცემების მიწოდება;
2. მონაცემების მიღება და შენახვა;
3. მონაცემების დამუშავება;

მონაცემების მიწოდება გულიხმობს გეომულტიმედიური ინფორმაციის არსებობას. ტურისტს უნდა შეეძლოს ხელსაწყოს მეშვეობით არა მხოლოდ ნახოს რუკა, არამედ ქონდეს საშუალება შეცვალოს გამოსახულების მასშტაბი, შეასრულოს დამატებითი ოპერაციები, როგორიცაა მონაცემთა მულტიმედიური ინტეგრაცია, მას უნდა გააჩნდეს GPS ნავიგაციის ფუნქცია, აგრეთვე შეეძლოს ტურის მარშრუტისა და ინფრასტრუქტურის ვიზუალიზაცია. შემდეგი მნიშვნელოვანი ნაწილი ტურიზმის მობილური ინფორმაციის სისტემისა არის მონაცემების მიღება და შენახვა. ტურისტს უნდა შეეძლოს საკუთარი ინფორმაციის დამატება და შედარება არსებულ ინფორმაციასთან, ღირსშესანიშნაობების და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის მიბმა და დაკავშირება სისტემაში უკვე არსებულ ინფორმაციასთან. ეს უკანასკნელი უნარი ქმნის აპარატს მაღალმწარმოებლურს და სასარგებლოს მოგზაურისათვის. მესამე ნაწილი სისტემისა, როგორც უკვე აღინიშნა არის - მონაცემების დამუშავება. მას უნდა ქონდეს გეო-ინფორმაციების ტურიზმთან დაკავშირების უნარი.

პრაქტიკაში ჩამოყალიბდა ორი განსხვავებული მიდგომა ელექტრონული ექსკურსიების მეთოდიკისადმი: 1. ელექტრონული გიდი უნდა იყოს სანიმუშო ექსკურსია, უკვე წინასწარ შემუშავებული მარშრუტით და განსაზღვრული დროით, როცა ტურისტი მხოლოდ მიყვება ფეხით ამ მარშრუტს და ობიექტებთან ჩერდება თხრობის დასრულებამდე. ამ მეთოდს ექსკურსიათმცოდნეობაში უწოდებენ „Storytelling"-ს, რაც თანმიმდევრულ თხრობას აღნიშნავს. 2. მეორე მეთოდი კი დამყარებულია ტურისტის სრულ თავისუფლებაზე და გემოვნებაზე. ამ შემთხვევაში ელექტრონული გიდი ალფაბეტით ალაგებს ცალკეულ ღირსშესანიშნაობებს, მათზე სრულ ინფორმაციებს, რის შემდეგ ტურისტი თვითონ წყვეტს, რომელი მათგანი დაათვალიეროს და როგორ დაგეგმოს ექსკურსიის მარშრუტი. ამ მეთოდს ექსკურსიათმცოდნეობაში უწოდებენ „Location"-ს, რაც ადგილმდებარეობას აღნიშნავს და ამ მეთოდისათვის მთავარია ინფორმაციის მიწოდება ადგილმდებარეობის მიხედვით.

ელექტრონული ექსკურსიები განეკუთვნება „Edutainment"–ის საგანმანათლებლო სისტემას. ეს ინგლისური ტერმინი შედგება ორი სიტყვისაგან: education + entertainment, ანუ აქ იგულისხმება გართობისა და განათლების შეთავსება, რასაც ქართულად ტერმინის შინაარსიდან გამომდინარე ელექტრონული თვითმასწავლებელი უფრო შეესატყვისება. ტურიზმის სპეციალისტები, რომლებიც აანალიზებენ ელეტრონული ექსკურსიების ავკარგიანობას, აღნიშნავენ მის დადებით და უარყოფით მხარეებს. ერთმნიშვნელოვნად ცხადია, რომ ელექტრონული ექსკურსიები XXI საუკუნის პროდუქტია და იგი მიზნად ისახავს ადამიანური რესურსების დაზოგვას და გამონთავისუფლებას ტექნიკის მეშვეობით. რა თქმა უნდა ცოცხალ გიდს ვერ შეედრება თუნდაც საუკეთესოდ შექმნილი ჩანაწერი, რომელსაც კითხვას ვერ დაუსვამ და დიალოგს მასთან ვერ გამართავ. სამაგიეროდ ელექტრონული ექსკურსიები გაცილებით იაფია და ტურისტს შეუძლია მისი დოზირებულად გამოყენება. ეს გაცილებით უკეთესია, ვიდრე ინფორმაციის გარეშე ქალაქის უმეგზუროდ დათვალიერება. შესაძლებელია უკეთესი იყოს ვიდრე ნაბეჭდი გზამკვლევი, რომელსაც დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია და რომლის ფორმა და შინაარსი საქალაქო ტურიზმში უკვე უნიფიცირებულია. ელექტრონული გიდი კი ვითარდება ტექნიკასთან ერთად და მისი მოხმარება და შინაარსი

დამოკიდებულია, როგორც მომხმარებლის მიერ ტექნიკის სრულყოფილად ცოდნაზე, ისე შემდგენელის მიერ საექსკურსიო მეთოდიკის დაუფლებაზე.

დიდი ბრიტანეთის სტრატკლაიდის უნივერსიტეტის პროფესორი, დოქტორი მარკ დანლოპი ხელმძღვანელობდა პროექტ Taeneb-ს, რომლის მიზანი იყო საქალაქო ელექტრონული გიდის ჩამოყალიბება. ეს შესაძლებელი გახდა პერსონალური ციფრული მდივნის PDA–ს მეშვეობით. მისი კონცეფცია ეფუძნება საინფორმაციო სისტემის სამ ძირითად ტექნოლოგიას:

1. რუკის დინამიური ინტერფეისის შექმნა;
2. ინფორმაციის შინაარსის დინამიურობა;
3. დაინტერესებულ პირთა თანამეგობრობის ჩამოყალიბება და მომხმარებელთა ფორუმი;

2005 წელს ქალაქ გლაზგოში EMAC–ის მესამე კონფერენციაზე განხილულ იქნა ელექტრონული გიდის გამოყენების შედეგები. კვლევა მიზნად ისახავდა ტურისტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას და მოზაურობისას აღმოცენებულ მათ შეკითხვებს, რომელზეც პასუხი ელექტრონულმა გიდმა გაცილებით უკეთესად და მოხერხებულად უნდა გასცეს ვიდრე ნაბეჭდმა გზამკვლევმა. ზოგიერთი გზამკვლევი სპეციალურად იქნა კომპიუტერზე დამუშავებული და მომხმარებლისთვის palmtop/PDA-ს ფორმატით მიწოდებული (e.g. Brown and Chalmers, 2003). შედეგი ფრიად წარმატებული აღმოჩნდა, რადგან შეიქმნა ახალი ტიპის ელექტრონული გიდი, ბევრად მოხერხებული ვიდრე მისი ნაბეჭდი ანალოგი.

საქალაქო გიდის აღნიშნულ პროექტში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ შექმნილიყო ისეთი ინტიუტიური ინტერფეისი, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა ექსკურსიის ჩატარების მეთოდიკა, ტურისტთა მოთხოვნები და საინფორმაციო წყაროებით ადვილად სარგებლობის მობილური სისტემა. [2]

მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა ფრანს ტელეკომმა (France Télécom), რომელმაც მაქსიმალურად გამოიყენა რა ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინსტრუმენტები და აღმოჩენები შეძლო ტურისტული სამყაროსათვის შეეთავაზებინა სხვადასხვა ტიპის მოგზაურობისათვის გამოსაყენებელი ელექტრონული გიდი. ამ მიზნის მისაღწევად გაერთიანდნენ: *Mémoire de Voyage, Mobiguide, Connect One, Pilot Expo* და *Portail Tourisme* ერთი იდეის გარშემო. მათმა ერთობლივმა გამომგონებლურმა უნარმა და გამოცდილებამ შექმნა ახალი სამოგზაურო პროდუქტი – ჯიბის კომპიუტერი და მობილური ტელეფონი, რომლის მსგავსი არ ყოფილა სამომხმარებლო ბაზარზე. მოგზაურობის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია გიდის ინსტიტუტთან, რომლის მომსახურება დაკავშირებულია დიდ თანხებთან და წინასწარ დაგეგმილ და შეთანხმებულ დროსთან. ელექტრონული გიდი მოხერხებულია იმით, რომ იგი ჯიბეში ეტევა და მისი გამოყენება ნებისმიერ დროსაა შესაძლებელი. განსაკუთრებით აადვილებს მისი მოხმარება მობილური ტელეფონის მეშვეობით. გარდა სტანდარტული ინფორმაციისა, რომელიც ძეგლებსა და ღირსშესანიშნაობებს მოიცავს, ინტერნეტის მეშვეობით ემატება ცნობა ამინდის შესახებ და მოგზაურობასთან დაკავშირებული ახალი ამბები. ინტერნეტ-მომხმარებლად დარეგისტრირების შემდეგ შესაძლებელია ინფორმაციას დაემატოს ტურისტის შენიშვნები, კომენტარები და შთაბეჭდილებები. *Mobiguide* არის მზადყოფნაში დღე-ღამის განმავლობაში მოემსახუროს ტურისტს. [3]

იტალიელმა მეცნიერებმა ლუკა ფორესტმა, ანდრეა ბოლონეზიმ და ფედერიკა ჯილიმ GPS-WiFi-ის მეშვეობით შექმნეს ელექტრონული გიდი არიანა, რომელიც გახდა ტურისტებისთვის მულტიმედიური წარმატებული გიდი.

არიანა – PDA არის ტურისტის ცნობარი და ემსახურება ქალაქის დათვალიერების მსურველ უცხოელ ტურისტებს. არიანას კონცეფციაა – წარმოაჩინოს ქალაქები, როგორც მუზეუმი ღია ცის ქვეშ და მიაწოდოს მათ შესახებ ტურისტებს კვლიფიციური ინფორმაცია. ამასთანავე არიანას უპირველესი მიზანია, რომ ფასი იყოს ხელმისაწვდომი, ხოლო ინფორმაცია საიმედო. პლატფორმა არიანას მიზანს წარმოადგენს აგრეთვე დაამკვიდროს ინფორმაციის გაყიდვების სიცოცხლისუნარიანი საწარმო, რომელიც დააკმაყოფილებს ტურისტების მოთხოვნებს და შესაბამისად ექნება მყარი შემოსავალი.

არიანას ახალი პლატფორმის მიღება შესაძლებელია GPS–ის და Wi-Fi–ის მეშვეობით. ტურიზმი აღმოჩნდა საუკეთესო დამკვეთად ახალი ინოვაციური ინსტრუმენტის განვითარებისათვის. პლატფორმა ტურისტების ინდივიდუალურ მოგზაურობას უფრო კომფორტულს და საიმედოს ხდის. ტურისტები ელექტრონული გიდის მეშვეობით სწრაფად ერკვევიან უცნობ გარემოში, სწორად აღიქვამენ უცხო ადგილმდებარეობას. [4]

ელექტრონული ექსკურსიებს იყენებენ არა მხოლოდ ტურისტული ორგანიზაციები და მუზეუმები, არამედ ბიზნეს ცენტრები და ქალაქის მუნიციპალიტეტები. ამის შესანიშნავი მაგალითია ოტავა. კანადის დედაქალაქის ცნობილმა უბანმა დასავლეთ ველინგტონმა, რომელიც განთქმულია თავისი სავაჭრო კვარტლებით და ბიზნეს–ცენტრით კიდევ ერთხელ მიიქცია ხალხის ყურადღება იმით, რომ აქ მომხმარებელს 2011 წლის 10 თებერვლიდან სთავაზობენ ახალ მობილურ დამატებას, რომელიც მათ ურჩევს, თუ როგორ გაატარონ თავისუფალი დრო. Mm.b.i.a. (mobile business improvement area – სრულყოფილი საქმიანი მობილური სივრცე), თავისუფალი მობილური დამატება, რომელიც ხელმისაწვდომია iPhone–ის ყველა მფლობელისათვის. პროგრამა სთავაზობს მომხმარებელს გალერეების, მაღაზიების, მომსახურების სრულ ჩამონათვალს საკუთარი კომენტარებით, უზრუნველყოფს მათ რუკაზე ჩვენებას, იძლევა ბევრ სასარგებლო რჩევას და სასურველი ობიექტების შესახებ საკონტაქტო ინფორმაციას. პროექტი დააფინანსა ოტავის მუნიციპალიტეტმა და ოტავის ბიზნეს-გაერთიანებამ და მისი ჩამორტვირთვა შესაძლებელია უფასოდ ვებ-გვერდიდან: **www.apps4ottawa.ca**. **[5]**

გრაცის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში მეცნიერებმა დაამუშავეს 2003 წლის კამერიან ჯიბის კომპიუტერზე სამგანზომილებიანი გამოსახულების ჩვენების სისტემა. ეს იაფი, ადვილად მოსახმარი და უნიკალური პლატფორმა აძლევს მუზეუმის სხვადასხვაენოვან დამთვალიერებელს დამოუკიდებლად მუზეუმის ნახვის შესაძლებლობას.

არც თუ ისე ძვირადღირებული ჯიბის კომპიუტერი - PDA გამოყენებულ იქნა მუზეუმში, როგორც დამთვალიერებლის მიერ დიალოგის მეშვეობით ელექტრონულ გიდად გამოყენების საშუალება. ამ იდეის განხორციელებას ბევრი სკეპტიკურად უყურებდა და ამისთვის ბევრი განსხვავებული მიზეზიც არსებობდა. ფიქრობდნენ, რომ იაფიანი PDA ვერ გადაწყვეტდა რთულ ტექნიკურ ამოცანებს. [6]

როგორც ელექტრონული ექსკურსიების ზემოაღნიშნული მიმოხილვა გვიჩვენებს ყველაზე დიდი მიღწევები ელექტრონულ ექსკურსიებში მოპოვებული აქვს ელექტრონულ საქალაქო ექსკურსიებს. განვიხილოთ საქალაქო ელექტრონული ექსკურსიები ტექნიკური საშუალებების მიხედვით გერმანელი ოპერატორების მაგალითზე:

1. ელექტრონული ექსკურსიები მობილური ტელეფონით და სპეციალიზირებული ოპერატორები

საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ელექტრონულ ექსკურსიებს სხვადასხვა საშუალებებით ახორციელებენ. ერთერთი ყველაზე გავრცელებული საშუალება ელექტრონული ექსკურსიების ჩატარებისა არის ***მობილური ტელეფონი***, რომელიც ერთმნიშვნელოვნად ითვლება ბოლო დროის ყველაზე პოპულარ აღმოჩენად. მობილური კავშირის დანერგვამ მთლიანად შეცვალა სამყარო და ადამიანებს შორის სატელეფონო კავშირის დამყარების სისტემა. მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა ჩართულია მობილურ კავშირში და შესაბამისად სარგებლობს მობილური ტელეფონით. ამდენად, ადამიანთა უმრავლესობას გააჩნია მობილური ტელეფონით სარგებლობის უნარ-ჩვევები და მისთვის ტურისტული მიზნებით მობილური ტელეფონის გამოყენება ფრიად აიოლებს არჩევანის გაკეთებას, თუ ტექნიკური საშუალებით უნდა ისარგებლოს მოგზაურმა ტურისტული ინფორმაციის მისაღებად. ნებისმიერ ტურისტს ისედაც მიაქვს სამოგზაუროდ მობილური ტელეფონი და თუ მას მოგზაურობისას იგი ინფორმაციის წყაროდ და ექსკურსიის გზამკვლევის საშუალებად გამოიყენებს, ეს უკვე საუკეთესო გადაწყვეტილებაა არჩევანის მისაღებად.

ელექტრონული საქალაქო ექსკურსიების მიმწოდებელი "tomis GmbH & Co" 2006 წლიდან მუშაობს ტურისტულ ბაზარზე და მომხმარებელს აწვდის ექსკურსიებს – მობილურ საინფორმაციო სერვისს მობილური ტელეფონების მეშვეობით. იგი ამუშავებს ინფორმაციას ადგილმდებარეობის მიხედვით, ხოლო მისი ძირითადი პროდუქცია მობილური ტელეფონის აუდიო-გზამკვლევია, რომელსაც გააჩნია მკვეთრად ჩამოყალიბებული მახასიათებლები. მაგ., იგი არ იყენებს მუსიკას, ან მუსიკალურ გაფორმებას, მისი ინფორმაცია ღირსშესანიშნაობის შესახებ არ გრძელდება სამ წაუთზე მეტს, იგი იძლევა ძალიან კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც ადვილად აღსაქმელი და უტყუარია. [7]

მეორე ოპერატორი, რომელიც ასევე წარმატებით ახორციელებს ელექტრონულ ექსკურსიებს მობილური ტელეფონის მეშვეობით არის - Casa Digital, რომელიც საკუთარ ინფორმაციას ავრცელებს მობილური ტელეფონის iPhone-ს, Smartphone-ს, mp3-Player-ის მეშვეობით. Casa Digital–ის ე.წ. „handytour" არის კარგად აწყობილი სისტემა. ძეგლთა დაცვის კომიტეტთან შეთანხმებით ცალკეული ღირშესანიშნაობის აღწერას თან ახლავს იმ ოპერატორების ტელეფონის ნომრები, სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მიღება მობილური ტელეფონის მეშვეობით. შესაძლებელია ინფორმაციის წუთობრივად შეძენა, ან მთელი დღის განმავლობაში 10 ევროდ ნებისმიერი ინფორმაციის მიღება. ასეთი მომსახურება წარმატებით სარგებლობს ყველა დიდ ქალაქში და ცნობილ კულტურულ ცენტრებში. [8]

2. ელექტრონული ექსკურსიები PDA–ს მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები

გარდა სატელეფონო კავშირისა მობილური ტელეფონი უკვე ასრულებს სხვა სრულიად განსხვავებულ ფუნქციებს. მაგ., სხვადასხვა გადასახადების გადახდა, ბილეთების დაჯავშნა და სხვ. განსაკუთრებით სასარგებლო გახადა მობილური ტელეფონი GPS–ის დანერგვამ. ამ სისტემის წყალობით ტურისტი უკეთესად ორიენტირებს გარემოში და შესაბამისად „City-Guide"-ის ელექტრონული ექსკურსიებიც მობილური ტელეფონის საშუალებით ხელმისაწვდომია მრავალი ტურისტისათვის. გერმანიაში მაიერის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხულთა 91%-ს მუდამ თან დააქვს მობილური

ტელეფონი და მზად არიან მასში ჩართონ ელექტრონული ექსკურსიები (http://www.lexikon.meyers.de). ამავე დროს გამოკითხულთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ეს მომსახურება უნდა იყოს მინიმალური თანხების, ან ტურიზმის ცენტრების მიერ უნდა ფინანსდებოდეს.

ელექტრონული ექსკურსიებისათვის განსაკუთრებული ტექნიკური საშუალებაა პერსონალური ციფრული თანაშემწე – ***Personal Digital Assistant (PDA)***, რომელსაც ასევე ელექტრონულ მდივანს, ან ჯიბის პერსონალურ კომპიუტერსაც – (Pocket PC) უწოდებენ. მისი უპირატესობებია: პატარა ზომა (იგი თავისუფლად ეტევა პიჯაკის ჯიბეში, ან ქალის ჩანთაში); მობილურ ტელეფონზე გაცილებით დიდი და სენსორული ეკრანი, რომელიც აადვილებს მოხმარებას და შესაბამისად მომსახურების ხარისხს; ეს აპარატი ასრულებს ორგანაიზერის, ანუ მდივნის ფუნქციას; მას აქვს საკმაოდ დიდი მეხსიერება და სხვადასხვა პროგრამული უზრუნველყოფა (მაგ., ჩატვირთული პროგრამები, კომპაქტ დისკის მომსახურება); მას, როგორც ელექტრონულ გიდს გააჩნია არა მხოლოდ მომხმარებლის ენა და აუდიო მონაცემები, არამედ გამოსახულების მაღალეფეტიანად მიღების საშუალებები. თუმცა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში მისი გაქირავება თითქმის არ ხდება, რადგან იგი ძვირადღირებული ტექნიკაა, ამიტომ მისი დიდი რაოდენობით შეძენა არ არის ადვილი, შესაბამისად გაქირავება დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან ტექნიკის დაკარგვის და გამოყენების სირთულის გამო. შესაძლებელია დაზღვევის ამოქმედება დაკარგვის შემთხვევაში, მაგრამ ეს იმდენად აძვირებს მომსახურებას, რომ აზრს უკარგავს დაქირავების მოტივაციას. დღევანდელი მონაცემებით ამ ტიპის აპარატებს შორის ყველაზე პოპულარულია „iPod“ Apple–საგან. იგი ნამდვილი ლიდერია ელექტრონულ ექსკურსიებშიც. PDA თანაბრად ძლიერია სამუზეუმო და საქალაქო ექსკურსიებშიც. სპეციალიზირებულმა ტურისტულმა ფირმებმა დააგროვეს დიდი გამოცდილება სამუზეუმო და საგამოფენო ექსკურსიების მომზადებასა და განხორციელებაში. ეს თავდაპირველი გამოცდილება შესანიშნავად გაავრცელეს საქალაქო ექსკურსიებშიც. ექსკურსიებზე მუშაობენ პროფესიონალი რედაქტორები და გამოცდილი გიდები. განსაკუთრებით დიდი წარმატებით იქნა დამუშავებული გამოჩენილი ადამიანების ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ექსკურსიები. მაგ., გოეთე და შილერი ვაიმარში, მოცარტი აუგსბურგში. ეს ექსკურსიები გაჯერებულია მუსიკით, სპეცეფექტებით, ვირტუალური სურათებით. სპეციალური აპარატურა “iGuide Multimedia”, რომელსაც გააჩნია დიდი მეხსიერება და ამასთანავე 18 საათი სათამაშო დრო, მოხერხებულია გამოსაყენებლად და შეუძლია მოემსახუროს ტურისტებს განსხვავებულ ენებზე. ყველაფერი ზემოაღნიშნული საშუალებას აძლევს PDA-ს იყოს გამორჩეული ლიდერი ელექტრონულ ექსკურსიებში.

IGuide ქმნის, ავითარებს, ყიდის აკუსტიკურ და ვიზუალურ ელექტრონულ გზამკვლევებს მუზეუმების, გამოფენების და ქალაქებისათვის, აგრეთვე ტურიზმის ინდუსტრიისა და საინფორმაციო ცენტრებისათვის. ფირმის მასალა ორიენტირებულია MP3 და PDA–ს მომხმარებლებისათვის. ფირმას საშუალება აქვს დამატებით მიაწოდოს მომხმარებელს პროდუქტების ციფრული მომსახურება კომპაქტ დისკებზე და ინტერნეტიდან ჩამოსატვირთავად.

ფირმის მიერ დაცულია ტექსტების შემდგენელთა საავტორო უფლებები. ფირმის ოთხი თანამშრომელი მუშაობს ტექსტების შინაარსზე და ქმნის საექსკურსიო მასალას. შინაარსობრივად გამართული და შემოწმებული მასალა გადაეცემა ჩამწერ ჯგუფს, სადაც მეტყველების მაღალი კულტურის მქონე სპეციალისტები სხვადასხვა ენებზე აუდიო დისკებზე წერენ საექსკურსიო მასალას. თავდაპირველი მასალის შედგენა ხდება გერმანულ ენაზე, ხოლო შემდეგ მას საჭიროებისამებრ თარგმნიან ინგლისურ, ან სხვა ენებზე. მაღალი ხარისხის მისაღწევად ჩაწერა ხდება სპეციალურ ჩამწერ სტუდიაში. [9]

ნამდვილი ლიდერი საქალაქო ელექტრონული ექსკურსიების მომზადებისა და გაყიდვების საქმეში არის სპეციალიზირებული კომპანია: itour, რომელიც ევროპის 66 ისტორიულ ქალაქში აწყობს ელექტრონულ საქალაქო ექსკურსიებს.

მომხმარებელს შეუძლია itour–ის ელექტრონული გიდი ტურიზმის საინფორმაციო ცენტრში, ან სასტუმროში აიღოს და საკუთარ მინი კომპიუტერში ჩატვირთოს და დამოუკიდებლად შეუდგეს ქალაქის დათვალიერებას. ტექნიკურად მისი გამოყენება ბავშვსაც კი შეუძლია, იმდენად მარტივია იგი გამოსაყენებლად. [10]

3. ელექტრონული ექსკურსიები MP3/Discam–ის მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები

გამომცემლობა Megaeins–ს გააჩნია აუდიო წიგნები, აუდიო თამაშები და აუდიო საექსკურსიო ფირმა HEAR WE GO, რომელიც ტურისტებს სთავაზობს აუდიოტურებს MP3 Player-ისა და Discam-ის მეშვეობით. ფირმას გააჩნია აუდიოექსკურსიები მთელი ევროპის მასშტაბით. HEAR WE GO-მ სპეციალურად შეიმუშავა "სტუმრის ვირტუალური სახელმძღვანელო". განსაკუთრებით პოპულარული გახდა ეს გამოგონება მუზეუმებში, სადაც დამთვალიერებლები ჩაწერილი ინფორმაციის მიხედვით ადვილად გადაადგილდებიან საგამოფენო სივრცეში და მარტივად პოულობენ ექსპონატებს. მეორე ნაბიჯი აუდიოექსკურსიების განვითარებისა HEAR WE GO–თვის იყო საქალაქო ექსკურსიების მომზადება და ჩატარება: ბერლინი, ჰამბურგი, ბონი, მიუნხენი – უკვე სარგებლობენ ამ ფირმის მომსახურებით. საინფორმაციო ცენტრებში ტურისტებს შეუძლიათ შეიძინონ კომპაქტ დისკები Discam-ისთვის მათთვის საინტერესო ქალაქის დასათვალიერებლად. ერთი კომპაქტ დისკის ღირებულებაა 14,80 ევრო, რაც სრულიად მისაღები ფასია ტურისტებისათვის. პოპულიარულია ექსკურსიები ღია ცის ქვეშ ე.წ. „Live on location", რომელიც ფირმა Audiowalk–მა მოამზადა სპეციალურად Discam–თვის. [11]

ამრიგად, ტურისტული ინდუსტრია მომხმარებელს დიდი წარმატებით სთავაზობს მომსახურების ინოვაციურ ფორმას – ელექტრონულ ექსკურსიებს, რომელიც XXI საუკუნის პირმშოა და აუცილებელია, რომ ტექნიკის სიახლეების საერთო ფერხულში საქართველოც ჩაებას. ამ მიმართებით აღსანიშნავია მხოლოდ რამდენიმე ვიზუალური ექსკურსია ინტერნეტით და არასამთავრობო ორგანიზაცია – ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის საქმიანობა, რომელსაც ვებ-გვერდზე გააჩნია ინტერაქტიული რუკა, რაც მნიშვნელოვნად უადვილებს ტურისტს საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას და ტურის ინდივიდუალურად დაგეგმვას. [12] საქართველოს ტურისტულმა და საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაკავებულმა ფირმებმა უპრიანია დროულად დაიწყონ მუშაობა ახალი ფორმის მომსახურების დასანერგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Alexander Almer, Patrick Morris Luley, Thomas Schnabel, Alexander K Nischelwitzer: A Mobile Solution for Location Based Tourism Information in Rural Areas. 2005. (**www.ifitt.org/admin/public/uploads/almerfinal.pdf);**
2. Mark D Dunlop, Piotr Ptasinski, Alison Morrison, Stephen McCallum, Chris Risbey, Fraser Stewart: Design and development of Taeneb City Guide - From Paper Maps and Guidebooks to Electronic Guides. 2004. (www.citeseerx.ist.psu.edu/viewdoc/download);
3. E-Tourisme: The new travel companions. France Télécom R&D. 2003. (www._technology, France Télécom is helping to develop various travel and discovery);
4. Luca Foresti, Andrea Bolognesi, and Federica Gilli: Arianna: a GPS-WiFi enabled multimedia guide for tourists visiting art cities. 2007. (www.mobileguide06.di.unito.it/pdf);
5. Diane Sawchuk. Wellington app provides electronic tour guide. 2011. (www.attibo.com);
6. Dieter Schmalstieg, Daniel Wagner. A HANDHELD AUGMENTED REALITY MUSEUM GUIDE. IADIS International Conference Mobile Learning 2005;
7. www.tomis.mbi
8. www.casa-digital.de
9. www.de.iguide.de;
10. www.itour.de
11. www.hearwego.de
12. www.travelgis.ge

ნიკა კვარაცხელია

ელექტრონული ექსკურსიების განვითარება თანამედროვე ტურიზმში

რეზიუმე

ტურიზმის ინდუსტრიის განვითარებაზე მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ტექნიკური პროგრესი. ტურიზმი ღრუბელივით ისრუტავს სიახლეებს და საზოგადოებაც მოითხოვს ტურისტული სერვისისაგან მომსახურების თანამედროვე ფორმებს. ელექტრონული ტექნიკის არნახული წარმატებების შედეგად დაინერგა ტურიზმში მომსახურების ახალი ფორმა – ელექტრონული ექსკურსიები. საყოველთაოდ გავრცელებულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიის შემდეგი ფორმები: 1. აუდიო საქალაქო ექსკურსიები; 2. აუდიო-ვიზუალური საქალაქო ექსკურსიები და 3. ვირტუალური საქალაქო ექსკურსიები ინტერნეტით. დასავლეთში უკვე დიდი წარმატებით ატარებენ ელექტრონულ ექსკურსიებს მუზეუმებსა და ისტორიულ ქალაქებში. მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ელექტრონული ექსკურსიების განვითარებაში საინფორმაციო ტექნოლოგიებით დაკავებულ მეცნიერებს. სტატიაში მიმოხილულია მათი პროექტები: Taeneb, არიანა, France Télécom-ისა და ოტავის მუნიციპალიტეტის ველინგტონის აპროქსიმაცია.

განხილულია საქალაქო ელექტრონული ექსკურსიები ტექნიკური საშუალებების მიხედვით გერმანელი ოპერატორების მაგალითზე: 1. ელექტრონული ექსკურსიები მობილური ტელეფონით და სპეციალიზირებული ოპერატორები; 2. ელექტრონული ექსკურსიები PDA–ს მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები; 3. ელექტრონული ექსკურსიები MP3/Discam–ის მეშვეობით და სპეციალიზირებული ოპერატორები. ამ მიმართებით საქართველოში აღსანიშნავია მხოლოდ რამდენიმე ვიზუალური ექსკურსია ინტერნეტით და არასამთავრობო ორგანიზაცია – ტურიზმის გეოინფორმაციული ცენტრის საქმიანობა, რომელსაც ვებ-გვერდზე გააჩნია ინტერაქტიული რუკა, რაც მნიშვნელოვნად უადვილებს ტურისტს საქართველოს ტერიტორიაზე მოგზაურობას და ტურის ინდივიდუალურად დაგეგმვას.

Niko Kvaratskhelia

Development of E-excursion in Modern Tourism

Abstract

Technical progress considerably influences development of the tourism industry. The tourism industry flexibly reacts to process and introduces new forms of services. Community demands contemporary service forms from touristic service. The new form of tourism service was implemented due to successful electronic technology. The most popular and widespread forms of electronic excursions are: 1. Audio city excursions; 2. Audio-visual and 3. Virtual city excursions through Internet. Electronic excursions are successfully arranged in museums and historical cities in western countries. Scientists occupied in Information Technologies (IT) contribute into development of electronic excursions. The article deals with their projects: Taeneb, Ariana, France Télécom and Wellington approximation of Ottawa municipality.

The author discusses city electronic excursions according to technical means on the example of German operators: 1. Electronic excursions by a mobile phone and their operators; 2. Electronic excursions by means of PDA and specialized operators and 3. Electronic excursions by means of MP3/Discam and their specialized operators. In this respect only some virtual excursions are worth mentioning in Georgia with Internet, tourists can use websites and an interactive map of NGO “Geoinformation” which helps travelers to plan individual tours in Georgia.

ზურაბ ლაოშვილი

საქართველოს ერთიანი ტურისტული გეოინფორმაციული სისტემა

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს შორის უკვე რამდენიმე წელია უმნიშვნელოვანესი ადგილი ტურიზმს უკავია. მისი განვითარებისათვის ჩვენს ქვეყანაში არსებობს მრავალფეროვანი და გამორჩეული ბუნებრივ-ლანდშაფტური პირობები, ისტორიულ-კულტურული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მემკვიდრეობა, ეგზოტიკური ტრადიციები, ყოფითი კულტურა და სხვა მრავალი. ყოველივე ეს ტურიზმის თითქმის ყველა სახეობის განვითრებისათვის საუკეთესო წინაპირობებს ქმნის.

სამწუხაროდ უახლესი ისტორიიდან საქართველოს გეგმიური ტურიზმი, განადგურებული ინფრასტრუქტურა და მოძველებული ინფორმაციული ბაზა ერგო მემკვიდრეობად. აქედან გამომდინარე ეკონომიკის ამ დარგის მშენებლობა პრატიკულად თავიდან იწყება. საჭიროა მისი განვითრების მოკლე და გრძელვადიანი დაგეგმარება. ამ მიზნით უნდა განისაზღვროს ტურიზმის მიმართულებები, სახეები, მასშტაბები; დაითვალოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, დაიგეგმოს ახალი ტურისტული მარშრუტები, ობიექტები და სხვა. ამ მიზნების განხორციელება, პირველ რიგში, შესაძლებელია შესაბამისი სივრცითი ინფორმაციის ანალიზის შედეგად.

ტურიზმი მიეკუთვნება ინდუსტრიათა იმ რიცხვს, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. იგი ხელს უწყობს სხვა სექტორების პროგრესს, როგორიცაა სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტირება, განთავსება, კვების ობიექტები, გართობა, რეკრეაცია, ისტორიული და კულტურული ცენტრები, ვაჭრობისა და მომსახურების სხვა მიმართულებები.

ამასთან, რაც მეტად ყალიბდება ტურიზმი ეკონომიკის სტრატეგიულ მიმართულებად, მით უფრო აქტუალური ხდება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები.

ტურიზმის განვითარება ეფუძნება მრავალწახნაგოვანი (ბუნებრივი პირობები, დემოგრაფია, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები, მომსახურება და სხვ.) ინფომაციის ანალიზს. ტურისტული პროდუქტის ფორმირება და რეალიზაცია წარმოუდგენელია ინფორმაციული უზრუნველყოფის გარეშე. ზოგადად მთელ მსოფლიოში შესაბამისი სახელმწიფო უწყებები და ტურისტული კომპანიები თავიანთ საქმიანობაში მუდმივად აწყდებიან ტექნოლოგიურ პრობლემებს, რომლებიც აუცილებელი პირობაა ტურისტულ ბიზნესში, როგორც ინფორმაციულ სფეროში ინტეგრირებისათვის.

ამ მიმართულებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემთა სივრცითი ანალიზის-გეოინფორმაციული სისტემების (გის) გამოყენება. იგი დღეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში წარმატებით ინერგება ადამიანის საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში.

XXI საუკუნე ინფორმაციის საუკუნეა. ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში წარმატების მიღწევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გარანტიას, საკმარისი ოპერატიული ინფორმაციის ფლობა წარმოადგენს. დღეისათვის, მსოფლიოში კოლოსალური რაოდენობის ინფორმაციაა დაგროვებული, რაც თავის მხრივ უამრავ პრობლემასა და დაბრკოლებას წარმოშობს. ინფორმაციის დაკარგვა, სამეცნიერო და პრაქტიკული ბრუნვიდან მისი ამოვარდნა, ჭარბი ინფორმაციის დუბლირება, უკვე არსებულის, თუმცაღა მიუწვდომელის ხელმეორედ შეგროვება-მოპოვებაზე ხარჯების ზრდა და მრავალი სხვა, იმ პრობლემათა მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რამაც კაცობრიობა განვითარების გარკვეულ ეტაპზე ინფორმაციულ ლაბირინთში მოაქცია. ინფორმაციაზე მოთხოვნილების სწრაფ ზრდასთან ერთად გაძნელდა მისი შენახვა და გადამუშავება. ინფორმაციული კრიზისის თავიდან აცილების მიზნით საჭირო გახდა მისი რაციონალური გამოყენება, რასაც შესაბამისად ახალი ტექნოლოგიები სჭირდებოდა. გლობალური გამოცდილების შედეგად ნათელია ის ფაქტი, რომ გის-ზე დაფუძნებული ინფორმაციულ-ანალიტიკური ხელსაწყოები ყველაზე ეფექტური საშუალებაა სხვადასხვა სფეროში სტაბილური და უსაფრთხო განვითარებისათვის.

გეოგრაფიული საინფორმაციო სისტემა (გის) არის კომპიუტერულ რუკებსა და გეომონაცემთა ბაზებზე დაფუძნებული საინფორმაციო სისტემა, რომელიც გამოიყენება სივრცეში განთავსებული მონაცემების შენახვის, მართვისა და ანალიზისთვის. იგი მიეკუთვნება უახლოეს ტექნოლოგიებს და მონაცემთა სისტემატიზაციის, ორგანიზებული შენახვის და სივრცით-თემატური ანალიზის ყველაზე უფრო სრულყოფილი და საიმედო პროგრამული საშუალებებს. უფრო კონკრეტულად გის-ი არის:

1. მონაცემთა ბაზების სრულყოფილი ნაირსახეობა, მონაცემთა საიმედო საცავი;
2. მონაცემთა ვიზუალიზაციის (თემატური რუკების, სამგანზომილებიანი მოდელები, გრაფიკები და სხვ.) საშუალება;
3. მონაცემთა მოდელირების და სივრცით-თემატური ანალიზის საშუალება;
4. სხვადასხვა ტიპის მონაცემთა ინტეგრაციის, ურთიერთშეჯერების, შედარების საშუალება;
5. ინფორმაციული ბანკიდან საჭირო ინფორმაციის დროულად მიღების, გაცვლის და სივრცითი გარდაქმნის საშუალება;
6. მონაცემთა შორის ორგანული კავშირების დანახვის, ანალიზის და მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენის საშუალება;

7. სივრცითი გადაწყვეტილების ოპერატიული, ობიექტური და რაციონალური დამხმარე ინსტრუმენტი.

გის-ის ზოგადი სტრუქტურა შედგება თემატური ფენებისგან, გეომონაცემთა ბაზებისგან და მონაცემთა ვიზუალიზაცია-ანალიზის შედეგებისგან (სურ. 1).



სურ. 1. გის-ის შემადგენელი ზოგადი კომპონენტები

გეოინფორმაციული სისტემები რამდენიმე ძირითადი მიმართულებისგან შედგება:

1. გეოინფორმაციული სისტემები: ა) ციფრული ტოპოგრაფიული რუკების შექმნა და განახლება; ბ) სივრცითი მონაცემების შეყვანა და დამუშავება, მონაცემთა მოძიება, სისტემატიზაცია, კლასიფიცირება და ორგანიზებული შენახვა. გეომონაცემთა ბაზების აგება, სივრცითი და ატრიბუტული ინფორმაციის ორგანიზება მონაცემთა შენახვის თანამედროვე ფორმატში-გეომონაცემთა ბაზაში; გ) თემატური რუკების შექმნა-სივრცეში განთავსებული მონაცემების თემატური ვიზუალიზაცია; დ) სივრცითი დაგეგმარება — გადაწყვეტილების მიღების საინფორმაციო სისტემების შემუშავება და მათი აღჭურვა ყველა საჭირო ვიზუალური მასალით; ე) სივრცითი ანალიზი — მანძილების ანალიზი, ქსელური ანალიზი (უმოკლესი მარშრუტები, სადისტრიბუციო ქსელის აგება, მომსახურების ზონების ანალიზი და ა.შ.), სიმჭიდროვის ანალიზი, ტოპოგრაფიული და რელიეფის ანალიზი (ხედვის ზონები, დახრილობა, ექსპოზიცია და ა.შ.), ჰიდროლოგიური ანალიზი და სხვ. ვ) გეოსტატისტიკური ანალიზი — სივრცითი ინტერპოლაცია, ანალიტიკური პარამეტრების სივრცეში გავრცელების გამოთვლა და ვიზუალიზაცია (მაგ., ჰაერის დაბინძურების მონაცემების ანალიზი); ზ) დროითი ანალიზი — სივრცეში განვითარებული პროცესების სივრცით-დროითი განხილვა, დაგროვებული ინფორმაციის სხვადასხვა დროით ჭრილში დათვალიერება.

2. მონაცემთა ბაზები და პროგრამირება: ა)კომპიუტერული საინფორმაციო სისტემის შექმნა — ორგანიზაციის მონაცემების ცენტრალიზებული შენახვა მონაცემთა ბაზაში და მიღებული მონაცემთა ბაზისთვის მართვის სისტემის შემუშავება; ბ) მონაცემთა ბაზებთან სამუშაო პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა — საინფორმაციო სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის შექმნა რომელიც მოიცავს მონაცემების დათვალიერების, დამატების, რედაქტირების, ძიების, ანალიზის, ანგარიშების ფორმირებისა და სხვა საინფორმაციო-ანალიტიკურ ბლოკებს; გ) საძიებო სისტემის შექმნა — ინფორმაციის ოპერატიული ძიება და ვიზულიზაცია; დ) მონაცემების დამატებისა და რედაქტირების სისტემის შემუშავება მონაცემების სწრაფი განახლებისათვის; ე) სტატისტიკური ანალიზის წარმოება; ვ) ანგარიშების ოპერატიული ფორმირება.

4.ლანდშაფტების 3D მოდელირება: ა) რელიეფის სამგანზომილებიანი მოდელირება; ბ) აეროფოტოსურათების სამგანზომილებიანი წარმოდგენა; გ) ტერიტორიების ვირტუალური სამგანზომილებიანი მოდელების აგება; დ) ანალიზის შედეგების სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია; ე) მიწისქვეშა საინჟინრო ქსელების მოდელირება; ვ) სამგანზომილებიანი ანალიზური ჭრილების აგება და სხვა მრავალი.

საქართველოში ტურიზმის დაგეგმარებისა, განვითარებისა და ეფექტურად მართვის მიზნით საჭიროა შეიქმნას **"საქართველოს ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემა".**

სისტემის შემადგენელი კომპონენტებია:

1. საქართველოს და ცალკეული ტურისტული რეგიონების სხვადასხვა მასშტაბის (1: 1000000, 1:500000, 1: 200000, 1:50000, 1:10000) განახლებული ციფრული საფუძვლები;
2. ერთიანი მუდმივადგანახლებადი გეომონაცემთა ელექტრონული ბაზა;
3. სამომხმარებლო სივრცით-თემატური საძიებო სისტემა;
4. საინსტალაციო კორპორაციული და ინტერაქტიული ვებრუკა;
5. გის-ის პლატფორმაზე დაფუძნებული ანალიტიკური სისტემა

სისტემის ძირითადი ინფორმაციული შესაძლებლობებია:

1. რეგიონალური და მარშრუტული გეოსაინფორმაციო პლატფორმები;
2. თემატური რუკები;
3. ანალიტიკური რუკები;

4. კარტოდიაგრამები;
5. ტიპიური ანგარიშები (კრებსითი ინფორმაცია);
6. გის-ში ინტეგრირებული უსაფრთხოების დაგეგმვისა და მოდელირების სახელმძღვანელო.

სისტემა მრავალწახნაგოვანია და ერთმანეთთან ურთიერთდაკავშირებული თემატური საინფორმაციო ბლოკებისაგან შედგება, რომელთა ურთიერთკავშირები ეფექტური ალგორითმებით დიდ დახმარებას გაუწევს ტურიზმით დაინტერესებულ უწყებებსა თუ პირებს (სურ. 2).



სურ. 2. საქართველოს ტურიზმის ერთიანი გეოინფორმაციული სისტემის საინფორმაციო ბლოკების სტრუქტურა

საქართველოს გეოგრაფია მოიცავს: რელიეფი (ოროგრაფია, ჰიფსომეტრია, მწვერვალები და უღელტეხილები, მღვიმეები და კანიონები, გეომორფოლოგიური ძეგლები), ჰიდროგრაფია (მდინარეები, ტბები და წყალსაცავები, მყინვარები, ჭაობები, წყაროები, სამკურნალო ტალახი, შავი ზღვა), კლიმატი (მზის რადიაცია, გაბატონებული ქარები, ჰაერის ტენიანობა, ჰაერის ტემპერატურა, ატმოსფერული ნალექები), ფლორა (ტყის საფარი, სამკურნალო მცენარეები, კულტურული მცენარეები, წითელ წიგნში შესული მცენარეები, ბოტანიკური ძეგლები), ფაუნა (ცხოველთა სამყარო, ფრინველები, თევზები, წითელ წიგნში შესული ინდივიდები), ლანდშაფტები, სოციალური გარემო, დემოგრაფია (მოსახლეობის სიმჭიდროვე, ეთნიკური შემადგენლობა, რელიგიური შემადგენლობა), ეთნოგრაფია, ყოფითი ადათ-წესები და ტრადიციები, რელიგიური წეს-ჩვეულებები და რიტუალები, ხელოსნობა, ტრადიციული არქიტექტურა, ტრადციული სამზარეულო, ტრადიციული ფოლკლორი, ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, ტრანსპორტი და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა (სახმელეთო და საზღვაო, საჰაერო, უღელტეხილები, გვირაბები, ხიდები), კავშირგაბმულობა, ტელე-რადიო მაუწყებლობა, ფიჭური კავშირგაბმულობა, ინტერნეტი, ფოსტა, გარემოს დაცვა (ეკოლოგიური გარემო, დაცული ტერიტორიები, საქართველოს წითელი წიგნი, ცხოველთა სამყარო, მცენარეული საფარი, არაორგანული ბუნება, სამსახურები), არახელსაყრელი ბუნებრივი მოვლენები (წყალმოვარდნა, ზვავი, მეწყერი, ღვარცოფი, სეისმიკა).

ეს ბლოკი სისტემის მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საქართველოს ბუნებისა და საზოგადეობის შესახებ ტურიზმის კონტექსტში, რაც მრავალნაირი ტურისტული ღონისძიების დაგეგმვას შეუწყობს ხელს.

ტურისტულ-რეკრეაციულ რაიონებში გამოიყოფა დასავლეთი, სამხრეთი, აღმოსავლეთი, ჩრდილოეთი. თითოეული რაიონის ფარგლებში შეგიძლიათ მიიღოთ მრავალთემატური ინფორმაცია ბუნების, საზოგადეობის, ტურისტული ობიექტების, მარშრუტების, ინფრასტრუქტურის, უსაფრთხოების და სხვ. შესახებ. ეს ბლოკი პირველ რიგში ტურიზმის მკვლევართათვის არის გამოსადეგი.

ტურიზმის სახეობები გეომონაცემთა ბაზებში დაჯგუფებული იქნება შემდეგნაირად: სამკურნალო ტურიზმი (სამკურნალო კურორტის ტიპები); კულტურული ტურიზმი (ისტორიულ-არქიტექტორული ძეგლები, ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებები, ადათ-წესები, ადგილობრივი ფოლკლორი, საბრძოლო ხელოვნება და იარაღები, აქტიტექტურა და ტრადიციული ხელობები); რელიგიური ტურიზმი (მომლოცველობითი ობიექტები, ტრადიციები და რელიგიური დღესასწაულები, წარმართული დღესასწაულები), ექსტრემალური ტურიზმი (ალპინიზმი, სპელეოლოგია, ჯომარდობა, ავტო, ველო და მოტო, საჰაერო ნაოსნობა), ეკოტურიზმი; სპორტული ტურიზმი (მთამსვლელობა, საცხენოსნო, ავტო, ველო, მოტო, სამთოსათხილამურო); ზღვისპირა ტურიზმი (წყალქვეშა ტურები, აფროსნობა); სოფლის მეურნეობის ტურიზმი (მეღვინეობა), ველური ტურიზმი, სამონადირეო ტურიზმი, ვიზუალური ტურიზმი, დომინირებული სიმაღლეებიდან გადმოსახედები, ეგზოტიკურ ლანჩაფტზე გადმოსახედები, ციური სხეულების დაკვირვება.

ამ ბლოკში შემავალი ინფორმაცია ფასდაუდებელ სამსმახურს გაუწევს ტურისტულ კომპანიებს, ტურ-ოპერატორებს, დამოუკიდებელ ტურისტებს, რომლებიც კონკრეტული სახეობის ტურიზმით არიან დაინტერესებული. მაგალითად, ჯომარდობის მოყვარულთ შესაძლებლობა ექნებათ მიიღონ საქართველოში ტურიზმის ამ სახეობისათვის ვარგისი მდინარეების შესახებ ინფორმაცია (მდინარეთა რუკა ჯომარდობისათვის ვარგისი მონაკვეთების გრადირებული ჩვენებით, მდინარის ხეობის და კალაპოტის მორფომეტრიული და მორფოლოგიური მახასიათებლები, წყლის ჰიდროლოგიური მაჩვენებლები, მისასვლელი გზები, ინფრასტრუქტურის ობიექტები და სხვა). ამ და სხვა დამხმარე ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ტურების შედგენა.

ტურისტულ სეზონებში გამოიყოფა ზაფხულის, ზამთრის, შემოდგომის და ზამთრის. თვითოეულ მათგანში ქვებლოკების სახით გამოყოფილი იქნება ტურიზმის სახეობები, ტურისტული მარშრუტები, ტურისტული ობიექტები.

ეს ბლოკი მომხმარებელს დაეხმარება დასვენების პერიოდი დაამთხვიოს მისთვის სასურველ სეზონს მისი ტურისტულ-რეკრეაციული მოთხოვნების და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ტურისტულ მარშრუტებში გამოიყოფა თემატური (ავტო, ველო, მოტო, საცხენოსნო, საფეხმავლო, ჯომარდობა) და სივრცითი (კონკრეტული მიმართულების) მარშრუტები.

ეს ბლოკი ინფორმაციას იძლევა კონკრეტული თემატური მარშრუტის შესახებ. მაგალითად, საავტომობილო მარშრუტზე შესაძლებელი იქნება განისაზღვროს მარშრუტის სიგრძე, სირთულის კატეგორია, გზის საფარის ტიპი და სხვა ტექნიკური მახასიათებლები, სეზონურობა, რისკები და უსაფრთხოების ნორმები, სერვისი და სხვა მრავალი.

ტურიზმის უსაფრთხოება მოიცავს შემდეგ მიმართულებებს: რისკ-ფაქტორები (ბუნებრივი, სოციალური, სამედიცინო, სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური); **სამაშველო უზრუნველყოფა (**სამაშველო სამსახურები, ჯანდაცვის ობიექტები, დროებითი თავშესაფრები, საკვები მარაგები, საევაკუაციო პუნქტები, კავშირგაბმულობის დაფარვის ზონები); **რეკომენდაციები (**აღჭურვილობა, საკვები და სასმელი, ქცევის წესები).

ეს ბლოკი მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს ამა თუ იმ მარშრუტზე თუ ტურისტულ რეგიონზე ბუნებრივი და საზოგადოებრივი რისკების შესახებ და იძლევა რეკომენდაციებს სეზონების გათვალისწინებით. მაგალითად, განსაზღვრავს ზვავ საშიშროებას, წყალმოვარდნას, მტაცებელი ცხოველების და ქვეწარმავლების ფაქტორს და სხვა.

ტურების დაგეგმარება განხორციელდება სისტემაში ინტეგრირებული სპეციალური კალკულატორით, რომელიც სივრცითი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური ტურების დაგეგარების საშუალებას იძლევა. მას შესაბამის ველებში მომხმარებლის მიერ საჭირო ინფორმაციის შეყვანის შედეგად შეეძლება: ტურისტული ობიექტების შერჩევა, მარშრუტის დაგეგმვა, ფინანსური დაგეგმვა, უსაფრთხოების დაგეგმვა, ტურის კალკულაცია.

ამ ბლოკის დახმარებით დამოუკიდებელ ტურისტსაც კი შეეძლება ინტერაქტიული ვებრუკის დახმარებით დროში, სივრცესა და ფინანსებში დაგეგმოს მომავალი მარშრუტი. სისტემას შეუძლია სივრცითი ინფორმაციის გათავლისწინებით მოცემული თანხის ფარგლებში მომხმარებლის ტურისტულ-რეკრეაცული მოთხოვნების და ფიზიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმოს მარშრუტი. ან მოახდინოს მომხმარებლის მიერ შერჩეული კონკრეტული მარშრუტის ფინანსური კალკულაცია.

ტურიზმის გის-ის ციფრული საფუძვლები განახლებული იქნება უახლესი სატელიტური სურათების გეომეტრიული და თემატური დეშიფრირების შედეგად. მონაცემთა მოძიება და განახლება მოხდება საველე და სტატისტიკური კვლევების შედეგად. სისტემის ფუნქციონალური ალგორითმი დამუშავებული იქნება ტურიზმის, ეკონომიკის, უსაფრთხოების, გეოგრაფების და გის სპეციალისტების ურთიერთთანამშრომლობით. იგი აღჭურვილი იქნება მონაცემთა სივრცითი და თემატური ქართულენოვანი სამომხმარებლო საძიებო სისტემით; თემატური რუკების, გრაფიკების და ანგარიშების გენერირების მარტივი ინსტრუმენტებით. შესაძლებელი იქნება საკუთარი ინფორმაციის გარე განთავსება, რომელსაც სისტემის მართვის ჯგუფი დამუშავების და იდენტიფიცირების შემდეგ განათავსებას ძირითად ბაზებში.

სისტემის შექმნის მიზანი: საქართველოს ერთიანი ტურისტული გეოინფორმაციული სისტემა წარმოადგენს მუდმივ განახლებულ, განვითარებად, მობილურ სისტემას, მრავალწახნაგოვანი საინფორმაციო ბაზით, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევვს, როგორც სახელმწიფო ისე კერძო სტრუქტურებს დაგეგმონ და რაციონალურად მართონ ტურისტული დარგი, ცალკეული ტურები, ტურისტული ობიექტები და სხვა. ამასთან მაქსიმალურად უსაფრთხო გახადონ ტურები. იგი მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სამაშველო სამსახურებს, სამართლდამცავ ორგანოებს და ტურიზმის მკვლევარებს.

მეცნიერულ კვლევებსა და პრაქტიკულ სქმიანობაში სულ უფრო ფართოდ იკიდებს ფეხს ანალიტიკური და ექსპერტული სისტემები (ნიკოლეიშვილი, 2004). ტურიზმის ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემა შეიძლება გამოყენებული იქნას, როგორც ექსპერტული სისტემა.

ლიტერატურა

1. დ. ნიკოლეიშვილი – გეოინფორმაციული და ექსპერტული სისტემები; თბილისი, 2004;
2. Michael N. DeMers - Fundamentals of Geographic Information Systems;- New York, 1999;
3. Verka Jovanoviæ - The application of gis and its components in tourism; Belgrade, 2007.

ზურაბ ლაოშვილი

საქართველოს ერთიანი ტურისტული გეოინფორმაციული სისტემა

რეზიუმე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითრების სტარტეგიულ მიმართულებებს შორის უკვე რამდენიმე წელია უმნიშვნელოვანესი ადგილი ტურიზმს უკავია. ტურიზმი მიეკუთვნება ინდუსტრიათა იმ რიცხვს, რომელიც ძლიერ გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე. მისი განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული მრავალთემატური სივრცითი ინფორმაციის ანალიზზე. ამ მიმართულებით მთელ მსოფლოში ფართოდ გამოიყენება კომპიუტერულ პროგრამებზე ბაზირებული მონაცემთა სივრცითი ანალიზის ტექნოლოგიები – გეოინფორმაციული სისტემები (გის).

საქართველოში ტურიზმის დაგეგმარებისა, განვითარებისა და ეფექტურადმართვის მიზნით საჭიროა შეიქმნას "საქართველოს ერთიანი გეოსაინფორმაციო სისტემა". იგი წარმოადგენს მუდმივ განახლებულ, განვითარებად, მობილურ სისტემას, მრავალწახნაგოვანი საინფორმაციო ბაზით, რომელიც საუკეთესო ინსტრუმენტი იქნება ტურიზმის დაგეგმარებისა და მართვის საქმეში.

Zurab Laoshvili

Integrated Tourism Geo-information System of Georgia

Abstract

Tourism is one of the industries with the strongest impact on the economy, as it helps other sectors to develop. Tourism is a composite of activities, facilities, services and industries that deliver a travel experience. These are transportation, accommodation, dining establishments, entertainment, recreation, historical and cultural sightseeing, shopping and other services available to travelers away from home.

As much as tourism becomes a strategic economic direction, more it challenges all sensitive safety and security aspects of the industry. It is apparent and proven through the global experience that integrated and up-to-date GIS based informational-analytical system is a very effective tool for optimal, sustained and secure development in this field.

ციცა პატარაია

საქართველო - ინვესტორებისთვის (საკუთრების უფლების დაცულობა და ქონების რეგისტრაცია)

სიღარიბის დაძლევა, ინვესტიციების მოზიდვა, ბიზნესის ხელშეწყობა - ბოლო წლებში არაერთხელ დეკლარირდა ეს ამოცანები ქვეყნის განვითარების უმთავრეს პრიორიტეტთა ჩამონათვალში. ეკონომისტები თვლიან, რომ ამ მიზნების მისაღწევად გადამწყვეტ როლს კერძო საკუთრების უფლება ასრულებს და საბაზრო ეკონომიკის ამოსავალ წერტილსაც ის წარმოადგენს. მართლაც, კერძო საკუთრების გარეშე ქვეყნის სტაბილურ სოციალურ–ეკონომიკურ განვითარებაზე და დემოკრატიაზე საუბარი პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

როდესაც ქვეყნის საინვესტიციო გარემოზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ქვეყნის ადგილს საერთაშორიო ანგარიშებსა და რეიტინგებში. ამ შემთხვევაში, ჩვენ დავინტერესდებით ზოგიერთი მათგანით, რომლებიც კონკრეტულ საკვლევ თემატიკასთან ერთად (ეკონომიკური თავისუფლება, პოლიტიკური ტრანსფორმაცია, კონკურენტუნარიანობა და სხვ), მეტნაკლებად ასახავენ ქვეყანაში მიწის პოლიტიკასთან *დაკავშირებულ საკითხებს*[1], *რამდენადაც მიწის პოლიტიკას ქვეყნის განვითარებისა თუ ეკონომიკური თავისუფლების ერთ-ერთ დეტერმინანტად მოიაზრებენ.* ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის შესწავლა, ამ კონკრეტული კუთხით საქართველო როგორ ასახვას ჰპოვებს მსოფლიო რეიტინგებში, როგორი ტენდენციებია დროის ჭრილში?

წინამდებარე სტატიის კვლევის არეალს წარმოადგენს *კერძო საკუთრების უფლება*[2] *და ქონების რეგისტრაციის სისტემა*[3] . ეს საკითხები მით უფრო, საინტერესოა, რამდენადაც მიწის ადმინისტრირების დიდი გამოცდილება ქვეყანას არ გააჩნია. საბჭოთა წყობილების დროს, საქართველოში, ისევე როგორც ყველა სოციალისტურ ქვეყანაში, მთელი მიწა სახელმწიფოს აბსოლუტურ საკუთრებაში იყო. საბჭოთა კავშირის ნგრევამ ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის და კერძო საკუთრების ახალი სისტემის ჩამოყალიბებას ჩაუყარა საფუძველი. დაიწყო მასიური მიწის რეფორმა: პრივატიზაცია წარმოქმნილი ეკონომიკური კოლაფსის დაძლევის უმთავრეს გზად იქნა მიჩნეული. *საკუთრების უფლების რეგისტრაციის კუთხით განხორციელდა სამართლებრივი, ადმინისტრაციულ–ტექნოლოგიური თუ სხვა რეფორმები: განისაზღვრა ოპტიმალური პროცედურები და ვადები, რეგისტრაციის სისტემა გადაეწყო მოქალაქეთათვის „ერთი ფანჯრის“ და „სახლიდან გაუსვლელად“ პრინციპებით მაქსიმალურად მარტივი და კომფორტული მომსახურების მიწოდებაზე.*

რა თქმა უნდა, მიწის მართვის სფეროს ქართული რეფორმები ადეკვატურად აისახა სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებსა და შეფასებებში. მოცემული სტატიის ფარგლებში, 7 ცნობილ საერთაშორისო ინდექსს[4] მიმოვიხილავთ. ინდექსები შევარჩიეთ შემდეგი პრინციპებით: ინდექსის განსაზღვრის მეთოდოლოგიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს <u>უძრავ ქონებაზე</u> საკუთრებასთან დაკავშირებული ესა თუ ის ქვეინდიკატორი. გამოიცემა გარკვეული პერიოდულობით/ ატარებს სისტემატურ ხასიათს[5], გვაწვდის რაოდენობრივ -გაზომვად მონაცემებს ქულებისა და რანგების სახით[6], აუცილებლად სწავლობს საქართველოს[7], არის ეკონომიკური ან პოლიტიკური ხასიათის[8].

აღსანიშნავია, რომ ჩვენს მიერ შერჩეული თითოეული ინდექსი სხვადასხვა ინდიკატორებისგან შედგება. ცალკე აღებული ინდიკატორებიც, თავისთავად, სერიოზული განსჯის საფუძველს ქმნის, თუმცა, მათ დამოუკიდებელ ანალიზს დამკვიდრებულ პრაქტიკაში იშვიათად ვხვდებით. ჩვენს კვლევაში მოცემულია როგორც მთლიანი ინდექსის მაჩვენებელი, ისე უძრავ ქონებაზე საკუთრებასთან დაკავშირებული ცალკე აღებული ქვეინდიკატორები:

ფიზიკური საკუთრების დაცულობა-საკუთრობის დაცულობის ინდექსიდან

ქონების რეგისტრაციის კოპონენტი - ბიზნესის კეთების ინდექსიდან

---

[1] *აქ ვგულისხმობთ: საკუთრების უფლების დაცულობა, ქონების რეგისტრაცია, უძრავი ქონების ბაზრის რეგულაციები და სხვ.*

[2] ***<u>საკუთრებას</u>*** *მოვიაზრებთ, როგორც ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას რომელიც თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ერთგვარი „კატალიზატორი“ და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესების წინაპირობაა.*

[3] *ხოლო უძრავი* ***<u>ქონების რეგისტრაციის სისტემას</u>*** *-როგორც საკუთრების უფლების დამცველ მყარ სამართლებრივ გარანტიას, რომელიც არეგულირებს უძრავ ქონებასთან დაკავშირებით კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს.*

[4] *BTI,DB, CPIA,IPRI,EFW,IEF, GCR.. დაწვრილებით მომდევნო გვერდებზე.*

[5] *არსებობს მდგომარეობის ერთჯერადი ანალიზებიც, მაგ. ფრედომ ჰაუსი.*

[6] *(საკუთრების უფლების საკითხი თავს იჩენს მთელ რიგ თვისებრივ დასკვნებშიც. მაგ. Freedom House)*

[7] *გარკვეული კვლევები, მაგ. საქართველოს არ ეხებიან*

[8] *არსებობს სოციალური ხასიათის უამრავი ინდექსი, რომლებიც შეისწავლიან საქართველოსმაგ., ცხოვრების დონის ინდექსი , ადამიანური პოტენციალის განვითარების , ბედნიერი ქვეყნის ინდექსი და სხვ.*

საკუთრების უფლების დაცულობა-ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიდან,

საკუთრების უფლება და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის რეგულაციები -ეკონომიკური თავისუფლების ინდექსიდან,

საკუთრების უფლების დაცვა - ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციების შეფასება CPIA ,

საბაზრო ეკონომიკა (სადაც 7 კრიტერიუმიდან ერთერთია კერძო საკუთრება) -ბერტელსმანის რეიტინგიდან,

საკუთრების დაცვა - გლობალური კონკურენტუნარიაობის რეიტინგიდან

ჩვენს მიერ ამ სტატიაში გამოყენებული საერთაშორისო ინდექსებიდან სხვადასხვა დროს არაერთი კორელაციური კვლევა განხორციელდა:

მკვლევარებმა ჰანკემ და უოლტერსმა [1] **სპირმენის რანგული კორელაციის კოეფიციენტზე** დაყდნობით ერთმანეთს შეადარეს *5 საერთაშორისო ანგარიში:* Fraser Institute, Freedom House, Heritage Foundation, IMD, World Economic Forum.

კინგმა და გომესმა[2] მემკვიდრეობის ფონდის, ფრაზერის ინსტიტუტისა და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის საერთაშორისო ინდექსებზე დაყრდნობით შეისწავლეს 2 ცვლადი: საკუთრების უფლობის დაცულობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის კორელაციური კავშირები.[3]. მართალია, გრძელვადიან მონაკვეთში მათ ძლიერი კორელაცია დაადასტურეს, თუმცა, საკუთრების დაცულობის ინდექსის ერთეული ზრდის ან ცვლილების შემთხვევების შესწავლისას ასეთი პოზიტიური კორელაცია იკარგებოდა.

მსოფლიო ბანკის ბიზნესის წარმოების ინდექსიც, თავის მხრივ, ნაკვლევია როგორც შიდა ინდიკატორებს შორის კორელაციის კუთხით, ისე სხვა საერთაშორისო ინდექსებთან მიმართებითაც[4]

როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, ინდექსებს შორის კორელაციური კვლევები თანამედროვე ემპირიული ლიტერატურისთვის სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, ჩვენი მიზანი არაა მოცემულ ინდექსებს, ან მათ ქვეინდიკატორებს შორის კორელაციური კავშირების დადგენა. ამ სტატიით ჩვენ შევეცდებით უძრავ ქონებაზე საკუთრებასთან დაკავშირებით არსებული მონაცემების განზოგადების გზით სრული სურათი დავხატოთ -

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი -I E F

ამერიკული კვლევითი ცენტრი „მემკვიდრეობის ფონდი“ HERITAGE FOUNDATION გაზეთ The Wall Street Journal–თან თანამშრომლობით1995 წლიდან ყოველწლიურად აქვეყნებს. *ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს (*Index of Economic Freedom) . საქართველოს შესახებ მონაცემები 1996 წლიდან არსებობს.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი სწავლობს იმ საკანონმდებლო გარემოს, რაც ეკონომიკური განვითარების საფუძველია. *იგი10 სპეციფიკურ კომპონენტზეა დაფუძნებული:* ბიზნესის თავისუფლება, ვაჭრობის თავისუფლება, ფისკალური თავისუფლება, მთავრობის მონაწილეობა, მონეტარული თავისუფლება, ინვესტიციების თავისუფლება, ფინანსური თავისუფლება, საკუთრების უფლება, კორუფციისგან თავისუფლება, შრომის თავისუფლება. თითოეული ეკონომიკური პარამეტრი 0-დან100-მდე ქულით ფასდება, სადაც 100 ქულა ნიშნავს ყველაზე თავისუფალ ბიზნეს გარემოს მსოფლიოში. ქვეყნის საშუალო ქულის მიხედვით განისაზღვრება მსოფლიო რეიტინგიც.



[1] *Steve H. Hanke and Stephen J. K. Walters (Economic Freedom, Prosperity, and Equality, 1996)*

[2] *Property Rights Reform and Development: A Critique of the Cross-National Regression Literature. Lawrence King and Osvaldo Gómez Martínez. თარიღი?*

[3] საკუთრების უფლებები 1995 დან 2005 წლამდე პერიოდში მსოფლიოს 162 ქვეყანა

[4] Mas Ignacio, „A comparison of the World Bank/IFC's Doing Business Regulatory Indicators with other Business Environment Indicators". 2006.

მოცემულ დიაგრამაში ჩენ გთავაზობთ როგორც საქართველოს საშუალო ქულას, ისე, ქვეყნის რეიტინგს მსოფლიოს 179 ქვეყანასთან მიმართებაში. (2011 წელს 179 ქვეყანა მოიცვა). და რა თქმა უნდა, აქვეა ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ერთ-ერთი ქვეკომპონენტის -საკუთრების უფლების დაცულობის ცალკე აღებული ქულა. <u>როგორც დიაგრამიდან ჩანს, ჩვენთვის საინტერესო კომპონენტში სახელმწიფოს ქულა არც ისე მაღალია - 40(100)</u>

მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - EFW

კანადური ფრაზერის ინსტიტუტი 1980 წლიდან მოყოლებული აგროვებს მონაცემებს ეკონომიკურ თავისუფლებასთან დაკავშირებით. *<u>ორგანიზაციის განსაზღვრებით, ეკონომიკური თავისუფლების ტერმინის ქვეშ იგულისხმება არჩევანის თავისუფლება, თავისუფალი ბრუნვა, შეუზღუდავი კონკურენცია და კერძო საკუთრების დაცვა.</u>*

შესაბამისად, ფრაზერის ინსტიტუტის მიერ შემუშავებული ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი - *Economic Freedom of the World* -**EFW Index** ზომავს ქვეყნის ეკონომიკურ თავისუფლებას 5 ძირითადი სფეროს მიხედვით. ესენია: 1. მთავრობის ზომა: ხარჯები, გადასახადები და საწარმოები; 2. **სამართლებრივი სისტემა და საკუთრების უფლების დაცვა;** 3. მდგრადი ვალუტის ხელმისაწვდომობა; 4. საერთაშორისო ვაჭრობის თავისუფლება; 5. კრედიტების, შრომისა და ბიზნესის რეგულირება

აღნიშნული ხუთი სფერო მოიცავს 23 კომპონენტს, რომელთა უმრავლესობა დაყოფილია კიდევ რამდენიმე ქვეკომპონენტად. საერთო ჯამში, ინდექსი აერთიანებს 42 სხვადასხვა ცვლადს. თითოეული კომპონენტი და ქვეკომპონენტი ფასდება 0-დან 10-მდე სკალის მიხედვით. სადაც 10 უმაღლესი შეფასებაა.

საქართველოს შესახებ მონაცემები კვლევებში <u>2003 წლიდან ჩნდება.</u> ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა N2 **სამართლებრივი გარემოს და საკუთრების უფლების დაცვის პარამეტრი,** რომელიც, თავის მხრივ, შეიცავს: სასამართლოს დამოუკიდებლობას, მიუკერძოებელი სასამართლოები, **საკუთრების უფლების დაცულობა**, პოლიტიკურ პროცესებსა და კანონის უზენაესობაში სამხედრო ჩარევა, სამართლებრივი სისტემის ერთიანობა, კონტრაქტების აღსრულება, **უძრავ ქონებით ვაჭრობის ნორმატიული შეზღუდვები.**



საკუთრების უფლების დაცვის კომპონენტში საქართველოს 10 ქულიდან 3.7 შეფასება აქვს. თუმცა უძრავი ქონების ბაზრის რეგულაციები, საერთაშორისო შეფასებით, საკმაოდ მოწესრიგებულია (9,9 ქულა).

საკუთრების უფლების დაცვის ინდექსი -IPRI

საერთაშორისო საკუთრების უფლების დაცვის ინდექსი The International Property Rights Index (IPRI) ზომავს ინტელექტუალური და ფიზიკური საკუთრების უფლების დაცულობას მსოფლიოს 129 ქვეყანაში, საკუთრების დაცვის კუთხით საერთაშორისო გამოცდილების შეფასების სკალა და ინდექსი „საკუთრების დაცვის ალიანსის"-შემუშავებულია, ეს ორგანიზაცია ცნობილია როგორც კერძო საკუთრების ერთერთი თანამედროვე მკვლევარის, ცნობილი პერუელი ეკონომისტის ერნანდო დე სოტოს მოძ-

ღვრების მიმდევარი ორგანიზაცია.[1] ინდექსი ეფუძნება 3 სფეროს: 1.იურიდიული და პოლიტიკური გარემოს პარამეტრი მოიცავს (სასამართლოს დამოუკიდებლობა, კანონის უზენაესობა, კორუფციის კონტროლი, და პოლიტიკური სტაბილობა) 2. ინტელექტუალური საკუთრების უფლების პარამეტრი (პატენტის დაცვას?, საავტორо უფლების პირატობას –მითვისებას?)

3. ფიზიკური საკუთრების უფლებები: მათ შორის შედის ფიზიკური საკუთრების უფლების დაცვა, ქონების რეგისტრაცია, კრედიტების ხელმისაწვდომობა, გენდერული თანასწორობა, მიწასა და სხვა უძრავ ნივთზე წვდომა, კრედიტების ხელმისაწვდომობა, მემკვიდრეობითი სამართალი, სოციალური უფლებები საერთაშორისო საკუთრების უფლების დაცვის ინდექსი 2007 (თუ 2005?) წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა. 2010-2011 წლებში კვლევამ საქართველოს მოიცვა.

იმის გამო, რომ აღნიშნული 2 წლიანი მონაკვეთი *არასაკმარისია* საქართველოში ამ კუთხით არსებული მდგომარეობის დინამიკაში შესასწავლად, თუმცა კარგად ასახავს დღეს არსებულს მდგომარეობას. *აქ მოყვანილი გრაფიკით მხოლოდ არსებული სურათის მწირი აღწერით შემოვიფარგლებით, დამატებითი განზოგადებების გარეშე.* 2010-2011 წლებში საქართველო საერთო რეიტინგით სტაბილურად, 113-ე პოზიციაზეა. (2010 წელს 125 ქვეყანა იყო შესწავლილი, 2011 წელს -129) თუმცა , 2011 წელს ფიზიკური საკუთრების უფლების იმ ქვეკომპონენტით, რომელიც ქონების რეგისტრაციის სიმარტივეს ეხება, ქვეყანა პარადოქსულად წინ, რეიტინგით მესამე ადგილას დგას(!) . მაშინ, როცა იმავე წელს, ფიზიკური საკუთრების უფლების დაცვის ქვეკომპონენტით: 112-ე ადგილზეა.

რაც შეეხება ქულებს, საკუთრების დაცულობის საერთო ქულაზე (4.1) მაღლა ფიზიკური საკუთრების ქულა დგას (6). გაცილებით დაბლა -ინტელექტუალური საკუთრება (2,3). 10 ბალიანი შეფასების სისტემისთვის მოცემული შეფასებები არც თუ ისე სახარბიელოა.



ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციების შეფასება CPIA

მსოფლიო ბანკის კვლევა: ქვეყნის პოლიტიკისა და ინსტიტუციური შეფასება The Country Policy and Institutional Assessment (CPIA) აფასებს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ კურსს და ინსტიტუციურ გარემოს, რაც განაპირობებს სიღარიბის შემცირებას და მდგრად განვითარებას.

CPIA ახდენს ქვეყნების რანგირებას 16 კრიტერიუმის მიხედვით, რომელბიც 4 კლასტერადაა დაჯგუფებული. [2] ეს კლასტერებია. 1, ეკონომიკური მართვა 2,სტრუქტურული პოლიტიკა; 3, სოციალური ჩართულობის და თანასწორობის პოლიტიკა; 4, საჯარო სექტორის და ინსტიტუტების მართვა.

ქვეყნის მიღწევები ფასდება 16 კრიტერიუმის მიხედვით, 1–დან (დაბალი შეფასება) 6 ქულამდე (უმაღლესი შეფასება), თითოეული კრიტერიუმის მიხედვით დათვლილი ქულების საშუალო არითმეტიკულით გამოითვლება კლასტერის ქულა. შემდეგ კი, მათზე დაყრდნობით, განისაზღვრება ქვეყნის რეიტინგი.

CPIA –4 კლასტერში , **<u>საჯარო სექტორის და ინსტიტუტების მართვა</u>** ერთ-ერთი კრიტერიუმია: -საკუთრებისა და წესებზე დამყარებული მმართველობის რეიტინგი.(rule-based governance)

[1] ერნანდო დე სოტო თავის მსოფლიო ბესტსელერში: „კაპიტალის საიდუმლო: რატომ ყვავის კაპიტალიზმი დასავლეთში და რატომ განიცდის მარცხს მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში“ ამტკიცებს, რომ კერძო საკუთრების გარანტირებული უფლება შემდგომი ეკონომიკური განვითარების და სოციალური პროგრესის „ოქროს გასაღებია“. სოტო ამის ორიგინალურ მიზეზს ასახელებს: დასავლეთ ევროპის მკვიდრთა კერძო საკუთრების დიდ ნაწილი მართლმზომიერი და, რეგისტრაციის პროცედურებ გავლილია. შესაბამისად, დასავლეთში საკუთრების დიდი ნაწილი იოლად შეიძლება გამოყენებულ იქნას შემოსავლის წყაროდ: კრედიტების უზრუნველსაყოფად, ინვესტიციების მოსაზიდად და ა. შ. <u>ერნანდო დე</u> სოტო, კაპიტალის საიდუმლო: რატომ ყვავის კაპიტალიზმი დასავლეთში და რატომ განიცდის მარცხს მსოფლიოს დანარჩენ რეგიონებში / <u>ბიზნესი</u>. - თბ., 2008.

[2] კრიტერიუმების რაოდენობა სხვადასხვა დროს,წინა წლებში განსხვავებული იყო

ამ რეიტინგით ფასდება ქვეყნის სამართლებრივი და მმართველობითი სისტემები რამდენად უწყობენ ხელს კერძო ეკონომიკურ საქმიანობას და რამდენად უზუნველყოფენ ქვეყანაში საკუთრებისა და კერძო ხასიათის ქონებრივი უფლებების პატივისცემასა და განხორციელებას.

ეს კრიტერიუმი, თავის მხრივ, შედგება თანაბარი წონის 4 ქვეკომპონენტისგან, როგორებიცაა : საკუთრების და საკონტრაქტო უფლებების დამცველი სამართლებრივი ბაზა. ბიზნეს ლიცენზიები, ეკონომიკური აქტივობის შემაფერხებელი კრიმინალი და ძალადობა და სხვ.

3 ქულა აღნიშნავს შემდეგს: საკუთრების უფლება კანონით, თეორიულად დაცულია, თუმცა ფაქტობრივად, რეესტრი და სხვა დაწესებულებები, რომელთაც ევალებათ ამ კანონის ეფექტური აღსრულება, სუსტად ფუნქციონირებენ – რის გამოც კერძო საკუთრების *დაცვის საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.*

4 ქულა აღნიშნავს შემდეგს: საკუთრების უფლებები დაცულია როგორც თეორიულად , ისე პრაქტიკაში. . კონტრაქტები კანონის ძალით სრულდება, თუმცა პროცესი შესაძლოა იყოს დროში გაწელილი და ძვირადღირებული.

საქართველოს შემთხვევაში, ჩვენვის საინტერესო პარამეტრი უცვლელია დროის 5–წლიანი მონაკვეთისთვის. (*2005-2010 წ)* ეს პასუხი ექვემდებარება ინტერპრეტაციას: *3,5 ქულით საქართველო ამ 2 შეფასებას შორისაა. უმაღლესი შეფასება 6 ქულა. ქვეყნის საერთო ქულას საგრძნობლად ჩამორჩება საკუთრების უფლების კლასტერის მაჩვენებელი..*

.



ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი BTI

გერმანული ბერტელსმანის ფონდის შემუშავებული ტრანსფორმაციის ინდექსი (Bertelsmann-Transformation Index –BTI) არის საერთაშორისო რეიტინგი, რომელიც აანალიზებს და შეფასებას უკეთებს მსოფლიოში განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესებს მსოფლიოს 128 ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიის სიღრმისეულ შეფასებებზე დაყდნობით.

BTI აქვეყნებს 2 რეიტინგს , სტატუსის (მდგომარეობის) და მენეჯმენტის ინდექსები.

ინდექსის კვლევა მოიცავს 4 დროის მონაკვეთს: 2003, 2006, 2008 და 2010 წლებს. შესაბამისად... რეიტინგები.

მდგომარეობის ინდექსის მოიცავს "პოლიტიკური ტრანსფორმაციისა" და "ეკონომიკური ტრანსფორმაციის" ინდექსებს და წარმოადგენს მათ საშუალო ქულას. ამ ორი ქვეინდექსის საშუალო მაჩვენებლები, თავის მხრივ, მიიღება ხუთი პოლიტიკური (დაფუძნებულია 18 მაჩვენებელზე) და შვიდი ეკონომიკური კრიტერიუმისგან (დაფუძნებულია 14 მაჩვენებელზე)

პოლიტიკური ტრანსფორმაცის სტატუსის ინდექსი - განსაზღვრავს დემოკრატიას -გამოითვლება 5 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც დამყარებულია ტრანსფორმაციის პროცესის შემფასებელ 18 ინდიკატორზე. ეს 5 კრიტერიუმია: სახელმწიფოებრიობა, პოლიტიკური ჩართულობა, კანონის უზენაესობა , დემოკრატიული ინსტიტუტების სტაბილურობა, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია.

ეკონომიკური ტრანსფორმაციის სტატუსის ინდექსი -განსაზღვრავს საბაზრო ეკონომიკას, გამოითვლება 7 კრიტერიუმის მიხედვით, რომლებიც დამყარებულია 14 ინდიკატორზე

ეს 7 კრიტერიუმია: სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე, ბაზრისა და კონკურენციის სტრუქტურა, სავალუტო კურსი და ფასების სტაბილურობა, **კერძო საკუთრება,** კეთილდღეობის რეჟიმი, ეკონომიკური მდგომარეობა, მდგრადი განვითარება

მენეჯმენტის ინდექსი – პოლიტიკური აქტორების მართვის ხარისხს აფასებს. აქ შედის: პოლიტიკური აქტორების მანევრირების და კონსენსუსის მიღწევის უნარები, სამოქალაქო საზოგადოების კულტურა, კონფლიქტების ინტენსივობა, მოსახლეობიოს განათლების დონე და სხვ. მაჩვენებლები.



საქართველოს საბაზრო ეკონომიკის ქულა (რომელშიც შედის ჩვენთვის საინტერესო კრიტერიუმი– საკუთრების უფლების დაცვა) 2003 წლის მაჩვენებელთან შედარებით (1,9 ქ) მნიშვნელოვნად გაზრდილია, თუმცა 2008 წელთან შედარებით მცირედ იკლებს (6ქ). ქვეყნის რეიტინგი სტატუსის ინდექსის საბაზრო ეკონომიკის ქვეინდექსის მიხედვით 56 ადგილასაა 128 ქვეყანას შორის 2010 წ.

გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი GCI

გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში (The **Global Competitiveness Report** (**GCR**) მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმის (World Economic Forum) ყოველწლიური ანგარიშია, 1979 წლიდან მოყოლებული სწავლობს ქვეყნების მაკროეკონომიკურ გარემოს, საჯარო ინსტიტუტების მდგომარეობას თუ სხვა მახასიათებლებს. დღეისთვის (2011-2012 წლის ანგარიში) უკვე 142 ქვეყანაა შესწავლილი.

2004 წლიდან, GCR იძლევა ქვეყნების რანგირებას ე.წ. the '**Global Competitiveness Index**' მიხედვით, იკვლევს რა ქვეყნების ბიზნეს - კლიმატსა და ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ძლიერ და სუსტი მხარეებს - ახდენს რა მნიშვნელოვანია ეკონომიკური პრიორიტეტების იდენტიფიცირებას.

ანგარიში აფასებს ქვეყნების შესაძლებლობას მოქალაქეები უზრუნველყონ ეკონომიკური კეთილდღეობის მაღალი ხარისხით. რაც, თავი მხრივ, დამოკიდებულია რამდენად პროდუქტიულად განკარგავს ქვეყანა თავის რესურსებს. ასე რომ, გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი ზომავს ინსტიტუტების, წარმმართველი პოლიტიკური მიმართულებების, და იმ ფაქტორების ერთობლიობას, რაც ეკონომიკური აყვავების აუცილებელი პირობაა. და განსაზღვრავენ ქვეყანაში ეკონომიკური კეთილდღეობის დონეს.

ინდექსი 12 სხვადასხვა ქვეინდექსზეა დაფუძნებული. ესენია:

ინსტიტუტები; .ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანდაცვა და დაწყებითი განათლება; უმაღლესი განათლება და პროფესიული მომზადება; სასაქონლო ბაზრების ეფექტიანობა; შრომის ბაზრის ეფექტიანობა; ფინანსური ბაზრების სირთულე; ტექნოლოგიური მზადყოფნა; ბაზრის სიდიდე; ბიზნესის განვითარება; .ინოვაციები

თითოეული ქვეინდექსი კი რამდენიმე სხვადასხვა ინდიკატორს ეყრდნობა, მათი ჯამი 110-ს აღწევს. მათში რიგით პირველი ინდიკატორი არის სწორედ : საკუთრების უფლების დაცვა. (1.01 ქვეინდექსი: ინსტიტუტები) სწორედ ამ ინდიკატორზე გავამახვილებთ ამჯერად ყურადღებას.

საქართველოს იკვლევს 2004 წლიდან



საინტერესოა, რომ 2004 წლიდან 2011 წლამდე ქვეყანამ საერთო რეიტინგში 6 საფეხურით წაიწია წინ (94-ე ადგილიდან 88-ე ადგილზე). ხოლო რაც შეეხება საკუთრების უფლების დაცულობის რეიტინგს, 2011 წელს ქვეყანა 120-ე ადგილასაა 142 ქვეყანას შორის , 3,2 ქულით. რაც შეეხება თვითონ საკუთრების უფლების ქულას -7 ბალიან სკალაზე (სადაც 7 უმაღლესი ქულაა) საშუალოზე დაბალი შეფასება აქვს. (3.2ქ)

ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი - DB

„ბიზნესის წარმოება“ („Doing Business”) მსოფლიო ბანკის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (the International Finance Corporation -IFC) მიერ მომზადებული ყოველწლიური ანგარიშია, რომელიც ბიზნეს-რეგულაციებს მსოფლიოს 183 ქვეყანაში იკვლევს. კვლევა აგროვებს და შესწავლის უამრავ რაოდენობრივ მონაცემს, და აკადემიურ პერსონალს, ჟურნალისტებს, კერძო სექტორის მკვლევარებს და სხვა დაინტერესებულ პირებს აწვდის ქვეყნის ბიზნეს კლიმატის შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. პირველი ბიზნესის კეთების ანგარიში გამოქვეყნდა 2003წელს,

DOING BUSINESS 2012-ში 10 ბიზნეს რეგულაციაა გამოკვლეული:[1] ბიზნესის დაწყება, სამშენებლო ნებართვის აღება, ელექტროენერგიით მომარაგება, **ქონების რეგისტრაცია** (დროის, პროცედურების რაოდენობის და საფასურის მიხედვით გამოითვლება. 3-ვე კომპონენტს თანაბარი წონა აქვს), კრედიტის აღება, ინვესტორთა დაცულობა, გადასახადების გადახდა, ვაჭრობა საზღვრებს *შორის(ალბათ საერთაშორისო ვაჭრობა)*? კონტრაქტების შესრულება, **გაკოტრება.** საბოლოო ქულა თითოეულ მათგანში მოპოვებული ქულების შეჯამებით გამოითვლება[2].



[1] *„DOING BUSINESS“ გამოკვლეული ბიზნეს რეგულაციები თავდაპირველად ბიზნესის წარმოების 5 კატეგორიას მოიცავდა. 2011წ. 9 კრიტერიუმისგან შედგებოდა. ამ კრიტერიუმებში სხვადასხვა დროს შედიოდა: მუშახელის დაქირავება, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები, ბიზნესის დახურვა..*

[2] *ამ ინდექსისთვის დამახასიათებელია წინა წლის რეიტინგების გადახედვა და ქვეყნების ხელახალი რანგირება კვლევის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებების შედეგად. მაგ, 2010 წელს გამოქვეყნებული მონაცემებით, საქართველო თავდაპირველად მე-11 პოზიციაზე იყო, თუმცა მოგვიანებით, კვლევის მეთოდოლოგიაში შესული ცვლილებების გამო, მე-13 ადგილზე გადაინაცვლა. ამიტომ, გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ გთავაზობთ პირველად რეიტინგებს (ყოველი წლის Doing Business შემაჯამებელ ანგარიშებზე დაყრდნობით)*

კვლევებში ქონების რეგისტრაციის კომპონენტი საქართველოში 2006 (?) წლიდან არსებობს. (უძრავი ქონების მარეგისტრირებელი ოფიციალური ორგანო საჯარო რეესტრი-2004 წელს დაარსდა)

ამ რეიტინგში საქართველო, როგორც მთლიანი ინდექსით, ისე ქონების რეგისტრაციის კუთხით განხორციელებული პროგრესული რეფორმების გამო არაერთგზის დასახელდა ტოპ რეფორმატორად. ხოლო ქონების რეგისტრაციის კუთხით: მსოფლიოში N1 ადგილზე გავიდა 2012 წელს. [1]

<u>დასკვნა:</u>

წინამდებარე სტატიის მიზანი იყო საერთაშორისო ინდექსებში საქართველოს ადგილის საკითხის ფართო აუდიტორიისათვის უკეთ გაცნობა და ჩვენთვის საინტერესო ეკონომიკური ცვლადის – **უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრება** კომპლექსური განხილვა. <u>საერთაშორისო იმიჯის ასამაღლებლად და ინვესტიციების მოსაზიდად, რა თქმა უნდა, უაღრესად მნიშვნელოვანია მსოფლიო რეიტინგებში საქართველოს მოწინავე პოზიციებზე დგომა – თუმცა, აქვე დავსძენთ, ინდექსები კონტექსტურ შესწავლას საჭიროებს -და მათი მიწოდება საზოგადოებისათვის შესაბამისი ანალიზის და კვლევის მეთოდოლოგიის გარეშე არაა მიზანშეწონილი</u>. ნებისმიერი რეიტინგი სანდო მაშინაა, თუ მისი გამოთვლის მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემები საზოგადოებისთვის სრულადაა ცნობილი.[2] მოცემული სტატიით სწორედ აღნიშნული ინდექსების აკადემიურ და ობიექტურ ანალიზს ვისახავდით მიზნად.

7 ინდექსზე და მათ ქვეინდიკატორებზე დაკვირვების და ანალიზისას, ერთ საინტერესო თავისებურებას წავაწყდით. როგორც საერთაშორისო კვლევების მონაცემების შეჯერებით დასტურდება, საქართველოს საკანონმდებლო სისტემა ძალზე ხელსაყრელია საკუთრების რეგისტრაციისთვის, რამდენადაც მაქსიმალურად მორგებულია მოქალაქეებზე, რასაც მოწმობს მსოფლიო ბანკის „ბიზნესის წარმოების“ რეიტინგი. თუმცა, პრაქტიკაში, მიუხედავად ბოლო წლების მეტ-ნაკლებად წარმატებული ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმებისა, საკუთრების უფლების დაცულობა საქართველოში ჯერ კიდევ არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი. ქონების რეგისტრაციის გამარტივების კუთხით მიღწეული პოზიტიური შედეგები კი არასაკმარისია და მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების, კონკურენტუნარიანობისა თუ პოზიტიური ტრანსფორმაციის შესახებ საერთაშორისო შეხედულებებს დადებითისკენ ვერ ცვლის.

აქედან გამომდინარე, სხვადასხვა რეიტინგებში საქართველოს პოზიციები ურთიერთგამომრიცხავია: საქართველოში უძრავი ქონება ყველაზე იოლი დასარეგისტრირებელია მსოფლიოში, ხოლო მასზე საკუთრების უფლება, ამავდროულად, ერთ-ერთი სუსტად დაცული.

ჩვენი დასკვნა ორგვარია და სქემატურად ასე გამოიყურება:

1.A ცვლადი (რეგისტრაციის სიმარტივე) ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს B ცვლადზე (საკუთრების უფლების დაცულობაზე), მისი გაზრდის თვალსაზრისით ან/და

2, A ცვლადი (რეგისტრაციის სიმარტივე) ახდენს გავლენას B ცვლადზე,(საკუთრების უფლების დაცულობა) მაგრამ არსებითად ვერ ცვლის საკუთრების უფლების დაცულობის სურათს ქვეყანაში, სხვა გარეშე ცვლადების „ნეგატიური“ ზემოქმედების გამო.[3]

ასევე საინტერესოა, რამდენად ასახავს ეს რეიტინგები რეალურ სურათს? არის თუ არა რეიტინგული მონაცემები ერთმანეთთან კავშირში? მართლაც, როგორც ვაჩვენეთ, ინდექსების <u>*კვლევის მეთოდოლოგია არაერთგვაროვანია*</u>, შესაბამისად, მათი საიმედოობის ხარისხიც განსხვავდება. ზოგიერთი მათგანი საკუთარი ინდექსის გამოსაყვანად სხვა რეიტინგების მონაცემებს ეყრდნობა.[4] *ამიტომაც, საქართველოს რეიტინგები და ქულები საკუთრების უფლების დაცვის თვალსაზრისით რიგ შემთხვევებში* ერთმანეთთან მჭიდროდ გადაჯაჭვულია, (ის შემთხვევები, სადაც ესა თუ ის კვლევითი ორგანიზაცია ერთმანეთის ანგარიშების იყენებს რანგის მისანიჭებლად); *არის ურთიერთსაწინააღმდეგო შემთხვევებიც –*

---

[1] *იმ ფაქტის ინტერპრეტაციისას, რომ ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ საქართველო მნიშვნელოვნად უსწრებს წინ ბევრ განვითარებულ ქვეყანას , გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოება. ბიზნესის კეთების რეიტინგი აღნიშნავს რამდენად გამარტივდა ბიზნესის კეთების ადმინისტრაციული ბარიერები უკანასკნელ წლებში, მაშინ, როცა, სხვა მოწინავე ქვეყნებში, შესაძლოა, დიდი ხნის გამარტივებული იყოს. ანუ საქართველოს ტოპ რეფორმატორად დასახელება ნიშნავს არა იმას, რომ ბიზნესის კეთება ზოგიერთ განვითარებულ ქვეყანაზე იოლია, არამედ იმას,რომ ბოლო წლებში განხორციელებული რეფორმებით მნიშვნელოვნად გაიოლდა.*

[2] ინდექსების ინტერპრეტაციისას, მთელი რიგი სოციალურ–ეკონომიკური პირობების გაუთვალისწინებლად, დაფიქსირებულა შემთხვევები, საპირისპირო ელფერი ჰქონია. ინდექსების კონტექსტური და სიღრმისეული ინტერპრეტაცია ძალზე აუცილებელია

[3] მოცემული სტატიის ფარგლებში, რთულია მოვახდინოთ იმ გარემოებების იდენტიფიცირება, რომელთა მიზეზითაც რეგისტრაციის სიმარტივის პირობებში, არ ხდება საკუთრების უფლების დაცვა. ეს სხვა მოქმედი ფაქტორები შეიძლება მრავალგვარი იყოს: საკანონმდებლო ბაზით დაწყებული მიკერძოებული სასამართლოთი დამთავრებული..

[4] (მაგ., იპრი იყენებს დოინგ ბუსინესს.

გამომდინარე იქიდან, თუ რა მონაცემებს და ინფორმაციის წყაროებს ეყრდნობა ესა თუ ის კვლევითი ორგანიზაცია.

ცალკე საკითხია: რამდენად ეხმარება ინვესტორებს აღნიშნული რეიტინგები? რომელ ინდექსს უფრო ენდობა ინვესტორი? რომელი უფრო ავტორიტეტულია? სამწუხაროდ, ამ კითხვებზე პასუხი, მოცემული სტატიის კომპეტენციას სცდება. ერთს ვიტყოდით, ინვესტორთა დასაინტერესებლად ბიზნეს პროცედურების გამარტივების და მომსახურების გაუმჯობესების რეფორმებთან ერთად, სასურველია, სახელმწიფო ძალისხმევა საკუთრების უფლების ინდექსის მისამართითაც გააქტიურდეს, რადგან ქონების რეგისტრაციას მხოლოდ სხვა აუცილებელ კომპონენტეტებთან ერთობლიობაში შეუძლია შეასრულოს ნაკისრი ფუნქცია, როგორც საკუთრების უფლების დაცვის გარანტორმა. სათანადო საკანონმდებლო ბაზა, სამართლის უზენაესობის პრინციპზე მოქმედი და ამავე დროს, ძლიერი და ქმედითი სახელმწიფო აპარატი, სადაც გამორიცხულია სახელმწიფო მოხელეების თუ მმართველი პოლიტიკური ძალის თვითნებობა, კეთილსინდისიერი მოხელეები, მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი და სამართლიანი სასამართლო - (საითაც მიმართულია ქვეყნის რეფორმატორული კურსი) მხოლოდ, ამ ყველაფერთან კომპლექტში შეგვიძლია დაცულ საკუთრებაზე საუბარი..

იკვეთება მომავალი საკვლევი პრობლემატიკის გარკვეული კონტურები. ინდექსების ანალიზის შემდგომ ეტაპზე, ვთვლით, საინტერესო იქნებოდა კვლევის საგნად დაგვესახა რეიტინგებს შორის კორელაციების და რეფორმებისა და რეიტინგების მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. www.napr.gov.ge
2. www.worldbank.org.ge
3. www.heritage.org
4. www.wsj.com
5. www.weforum.org
6. gcr.weforum.org
7. www.freetheworld.com
8. www.fraserinstitute.org
9. www.internationalpropertyrightsindex.org
10. www.doingbusiness.org
11. www.worldbank.org/
12. www.bertelsmann-transformation-index.de
13. www.economicswebinstitute.org/ecdata.htm
14. Doing business in 2004 –Understanding Regulation, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation, and Oxford University Press
15. Doing business in 2005 -Removing Obstacles to Growth, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation,and Oxford University Press
16. Doing business in 2006 - Creating Jobs, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation,
17. Doing business in 2007-How to reform, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation,
18. Doing business in 2008, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation,
19. Doing business in 2009, A copublication of the World Bank, the International Finance Corporation, and Palgrave Macmillan
20. Doing business in 2010 - Reforming through Difficult Times, A copublication of Palgrave Macmillan, IFC and the World Bank
21. Doing business in 2011-: Making a Difference for Entrepreneurs, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation
22. Doing business 2012 -in a more transparent world, A copublication of the World Bank and the International Finance Corporation
23. The World Bank eAtlas of Global Development

ცირა პატარაია

საქართველო - ინვესტორებისთვის
(საკუთრების უფლების დაცულობა და ქონების რეგისტრაცია)

წინამდებარე სტატიის კვლევის არეალს წარმოადგენს კერძო საკუთრების უფლება და ქონების რეგისტრაციის სისტემა საქართველოში და ამ მიმართულებით საქართველოს ადგილი საერთაშორისო ინდექსებში

საკითხი საინტერესო და აქტუალურია, რამდენადაც საბჭოთა სოციალისტური წყობილების დროს მიწის ადმინისტრირების გამოცდილება ქვეყანას არ გააჩნდა. ხოლო საქართველოს პოზიციები საერთა-შორისო რეიტინგებში უაღრესად მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითრებისთვის და ინვესტიციების მოსაზიდად.

Tsira Pataraia

Georgia for the Investors /Protection of Property Rights and Property Registration

Abstract

This article is about property rights, property registration system in Georgia and the place of Georgia in international rankings in the property-related issues.

The issue is interesting and critical from Point of view that due to the Soviet Union regime the country didn't have any experience in land administration, and the place of Georgia in international rankings is very important for economic development and attraction of investments.

თალიკო ჟვანია

ელექტრონული სწავლების თანამედროვე სისტემები

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ გამოიწვია ინფორმაციული ტექნოლოგიების შეჭრა საზოგადოებრივი საქმიანობის თითქმის ყველა სფეროში, მათ შორის - სწავლებაშიც. შეიქმნა სწავლების ახალი მიმართულება – ელექტრონული სწავლება (e-Learning), რომელიც გულისხმობს სწავლებას თანამედროვე ელექტრონული და ტელეკომუნიკაციური საშუალებების გამოყენებით [1].

ელექტრონული სწავლება განიხილება, როგორც სწავლების ახალი ფილოსოფია, რომელმაც პერსპექტივაში შესაძლოა სრულად ჩაანაცვლოს სწავლების არსებული ტრადიციული ფორმები. დასახელებაში e-Learning „e“ სიმბოლოს ქვეშ იგულისხმება არა მხოლოდ *e*lectronic (ელექტრონული), არამედ *e*xcellent (საუკეთესო), *e*nhanced (პროგრესული), *e*motional (ემოციონალური), *e*xtended (ფართო), *e*nthusiastic, *e*nergetic (ენთუზიაზმითა და ენერგიით სავსე)..

ზოგადად სწავლების პროცესი [2] შეიცავს სამ ძირითად ასპექტს:

1. სასწავლო კურსის ფორმირება (კონტენტი - ტექსტი, ფორმულები, გრაფიკები და ა.შ.);
2. კურსის მსმენელთათვის მიწოდება. ტრადიციულ სწავლებაში ეს არის ლექცია-სემინარები;
3. კურსის ადმინისტრირება (დასწრება და მიმდინარე მოსწრება, დამოუკიდებელი სამუშაოები, ტესტირებები, კოლუქვიუმები, გამოცდები და ა.შ.).

ელექტრონული სწავლება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც სწავლების ფორმა, რომელშიც სწავლების პროცესის ყველა ასპექტი დაფუძნებულია კომპიუტერულ ტექნოლოგიაზე [3,4]. სწავლების თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიებით შესაძლებელია:

1. სასწავლო მასალის კონტენტის შექმნა და მართვა;
2. მიზანმიმართული ჯგუფების შექმნა და მათთვის სასწავლო მასალის მიწოდება (ლექციების განრიგის, დავალებების და ა.შ);
3. ელექტრონული ტესტების ჩატარება და შედეგების დამუშავება;
4. ჯგუფური მუშაობის ორგანიზება.

ელექტრონული სწავლების კომპიუტერული სისტემები საშუალებას იძლევა შეიქმნას ერთიანი სამუშაო სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომი და მოხერხებულია სწავლების პროცესში მონაწილე ყველა მომხმარებლისათვის: მსმენელთათვის, პედაგოგებისა და ადმინისტრაციისათვის.

ელექტრონული სწავლების კურსის კონტენტი შეიძლება იყოს პასიური ან აქტიური. პირველ შემთხვევაში გადასაცემი ინფორმაცია წარმოდგენილია ტექსტების, გრაფიკების ან/და ცხრილების სახით. ასეთი კონტენტის შესამუშავებლად, როგორც წესი, გამოიყენება გავრცელებული ინსტრუმენტალური შესაძლებლობები - Microsoft Office (Word, Excel, PowerPoint) და სხვა. თუმცა თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიები იძლევა გაცილებით დიდ შესაძლებლობებს: აუდიო და ვიდეო ინფორმაციების, ანიმაციების, სისტემაში ჩაშენებული სწავლების კონტროლის და კონტროლის შედეგიდან გამომდინარე - კურსის კონტენტის მიმდევრობის შეცვლის და ა.შ. ასეთ მულტიმედიურ ინტერაქტიული კონტენტის შექმნა შესაძლებელია სხვადასხვა პროგრამული პაკეტებით: Camtasia (www.techsmith.com), Captivate (www.adobe.com), ToolBook Instructor (www.toolbook.com), eXeLearning (exelearning.org), Xerte (www.nottingham.ac.uk/xerte) და სხვა.

ელექტრონული სასწავლო კურსების მსმენელთათვის მიწოდების შესაძლო ვარიანტებს განეკუთვნება: CD-ROM, ინტრანეტი და ინტერნეტი. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე სწავლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად იქცა ინტერნეტი, რადგანდღეს, როგორც არასდროს აქტუალურია მოთხოვნა ინფორმაციის ოპერატიულად მიღებასა და მის განახლებაზე. ინტერნეტ-სწავლება პროცესებს ხდის უფრო საინტერესოს, სწრაფს და ინტერაქტიულს. სწავლებაში თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება მსმენელს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღოს ვებ-კონფერენციებში, ელექტრონული ფოსტის საშუალებით მიიღოს თემატიკის მიხედვით განახლებული ინფორმაცია, მოიძიოს ახალი მასალები, გამოცდილების და ცოდნის გაზიარების მიზნით კონტაქტი იქონიოს მასწავლებელთან, ასევე - სხვა მსენელებთან. ინტერნეტმა ფაქტობრივად წაშალა დროისა და მანძილის ცნება. ამიტომ, როგორც წესი, ელექტრონული სწავლების ქვეშ იგულისხმება ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენება. ციფრული კონტენტისა და მისი ინტერნეტის საშუალებით დისტრიბუციის შესაძლებლობების ერთობლიობა სრულად უზრუნველყოფს სწავლების პროცესისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას.

ელექტრონული სწავლება შესაძლებელია წარიმართოს, როგორც სინქრონულ, ასევე ასინქრონულ რეჟიმში. სინქრონულ რეჟიმში სწავლება მიმდინარეობს პედაგოგის მიერ განსაზღვრული დროის კონკრეტულ მომენტში. მსმენელები ამ დროს შეიძლება იმყოფებოდნენ მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას. ვირტუალური კლასის ფორმირება ხდება ისეთი ინტერნეტ შესაძლებლობების გამოყენებით, როგორიცაა: Adobe Connect (www.adobe.com), DimDim (www.dimdim.com) BigBlueButton (www.bigbluebutton.org) და სხვა. მათი გამოყენებით მსმენელებს ეძლევათ შესაძლებლობა, დროის რეალურ მომენტში მიმართონ პედაგოგს და ასევე - სხვა მონაწილეებს ელექტრონული შეტყობინებების, აუდიო და ვიდეო საშუალებების გამოყენებით. რაც შეეხება ასინქრონულ რეჟიმს, აქ პედაგოგი და მსმენელი დროით არ არიან ერთმანეთზე დამოკიდებული. მსმენელი მუშაობს თავისი საკუთარი რეჟიმით.

ის ფაქტი, რომ ელექტრონული სწავლების სასწავლო კურსის მთელი მასალა ციფრული ფორმითაა წარმოდგენილი და განთავსებულია ინტერნეტში, განპირობებულია ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით ელექტრონული სწავლების მეთოდების შემდეგი უპირატესობები [3]:

1. ტექნოლოგიურობა. სწავლება თანამედროვე პროგრამული და ტექნიკური საშუალებების გამოყენებით ელექტრონულ განათლებას უფრო ეფექტურს ხდის. ახალი ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა სასწავლო კურსის შექმნის პროცესში გამოვიყენოთ თანამედროვე მულტიმედიური ინფორმაცია, ხოლო სტუდენტსა და მასწავლებელს შორის კომუნიკაცია გახდეს უფრო დინამიკური;
2. სწავლების ხელმისაწვდომობა. სწავლების ხელმისაწვდომობა გულისხმობს სასწავლო დაწესებულებიდან გარეთ, საკუთარი სახლის ან ოფისის დატოვების გარეშე სწავლის შესაძლებლობას. ეს საშუალებას აძლევს არამარტო სტუდენტს, არამედ თანამედროვე სპეციალისტს, ისწავლოს პრაქტიკულად მთელი ცხოვრება, სპეციალური მივლინებებისა და შვებულებების გარეშე ისე, რომ შეათავსოს სწავლა ძირითად საქმიანობასთან.
3. თავისუფლება და მოქნილობა. სწავლების ელექტრონული სისტემების გამოყენების შედეგად ჩნდება სასწავლო კურსის არჩევის ახალი შესაძლებლობები. ადვილია რამდენიმე კურსის შერჩევა არა მხოლოდ სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდანაც კი. შესაძლებელია ასევე განათლების მიღება ერთდროულად რამდენიმე სასწავლო დაწესებულებაში, სურვილის შემთხვევაში, სხვადასხვა სპეციალობით;
4. სწავლების ინდივიდუალურობა. ელექტრონული სწავლება ატარებს სწავლების ინდივიდუალურ ხასიათს, მოქნილია, მსმენელი თვითონ განსაზღვრავს სწავლების ტემპს, შეუძლია რამდენჯერმე დაუბრუნდეს ცალკეულ ლექციას, გამოტოვოს ცალკეული ნაწილი და ა.შ. სწავლების ასეთი სისტემა სტუდენტს აიძულებს იმეცადინოს დამოუკიდებლად და გამოიმუშაოს თვითგანათლების ჩვევები.

ცხადია, უპირატესობებთან ერთად ელექტრონული სწავლების მეთოდს გარკვეული ნაკლოვანებებიც გააჩნია:

1. მსმენელსა და მასწავლებელს შორის პირდაპირი ურთიერთობის არარსებობა. არ არის უშუალო კომუნიკაცია სტუდენტსა და მასწავლებელს შორის, რთულია შემოქმედებითი ატმოსფეროს შექმნა სასწავლო ჯგუფებში. იკარგება ემოციური კონტაქტი სასწავლო პროცესში მონაწილე ადამიანებს შორის, რაც სწავლების ამ მეთოდის მნიშვნელოვანი მინუსია;
2. ინფორმაციის წყაროებისადმი მუდმივი წვდომის აუცილებლობა. საჭიროა კარგი ტექნიკური აღჭურვილობა (თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკა, ინტერნეტი), მაგრამ სწავლის ყველა მსურველს არა აქვს კომპიუტერი და ვერ სარგებლობს ინტერნეტის ქსელით. საჭიროა ელექტრონული სწავლების საშუალებების გამოყენებისადმი ტექნიკური მზადყოფნა;
3. პროცესის ადმინისტრირებისა და მსმენელების მოტივაციის სირთულე. რადგანაც არ არსებობს პირდაპირი კომუნიკაცია სისტემის მომხმარებლებს შორის, რთულია თვალყურის დევნება, რამდენად კეთილსინდისიერად და დამოუკიდებლად მუშაობს კურსის თითოეული მსმენელი. საჭიროა დამატებითი ღონისძიებების მიღება (ვებ-კამერისა და სხვა სპეციალური საშუალებების გამოყენება) ამ ტიპის საფრთხეების თავიდან ასაცილებლად. თუ ღონისძიებები ეფექტურად იქნა გატარებული, სტუდენტი იძულებული იქნება იფიქროს რეალური ცოდნის შეძენაზე და არა ტესტირებისას თავის დაძვრენის გზებზე;
4. მომხმარებლის აუთენტიკაციის პრობლემა. ინტერნეტ-სწავლების ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად რჩება მომხმარებლის აუთენტიკაცია ცოდნის შემოწმების დროს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზოგჯერ ეს სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს და მოითხოვს სპეციალური ზომების მიღებას;
5. ელექტრონული სწავლების სისტემის შექმნის მაღალი თვითღირებულება. სისტემის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე მაღალია ელექტრონული სწავლების სისტემის შექმნასა და ტექნიკური უზრუნველყოფის შეძენაზე გაწეული დანახარჯები. ასევე მნიშვნელოვანია თვით ელექტრონული სასწავლო კურსების შექმნის ხარჯებიც.

ელექტრონული სწავლების სისტემა წარმოადგენს პროგრამებისა და გადაწყვეტების რთულ კომპლექსს, რომლის ნაწილიც განთავსებულია სერვერზე, ხოლო ნაწილი - მსმენელის კომპიუტერზე. ინფორმაციის გადაცემა სერვერსა და მსმენელს შორის ხორციელდება ინტერნეტის ქსელის საშუალებით. სერვერი, როგორც წესი განთავსებულია სასწავლო ორგანიზაციაში, რომელზეც ინახება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია: სასწავლო კურსები, მსმენელთა მონაცემები, განრიგი, საცნობარო ინფორმაცია, სტუდენტთა შეფასებები და სხვა.

ზოგადად, სწავლების ელექტრონული გარემოს ორგანიზების სისტემები შემდეგ კატეგორიებად იყოფა:

1. საავტორო პროგრამული პროდუქტები (AP - Authoring Packages);
2. სწავლების მართვის სისტემები - (LMS - Learning Management Systems);
3. კონტენტის მართვის სისტემები - (CMS - Content Manage¬ment Systems);

თითოეული მათგანი შეიძლება ფუნქციონირებდეს როგორც დამოუკიდებლად, ასევე მათი გარკვეული კომბინაციის სახით. მათი ფუნქციები არ არის მკვეთრად გამიჯნული. სისტემები, რომლებიც სწავლების მართვისათვის არის შექმნილი, შეიცავს როგორც სასწავლო პროცესის მართვის, ასევე სასწავლო მასალის დამუშავების შესაძლებლობებსაც. ამიტომაც ზოგჯერ არ ხდება სისტემების მკაცრი კლასიფიკაცია და მხოლოდ ერთ რომელიმე კატეგორიაში გაერთიანება. მაგალითად, სწავლებისა და კონტენტის მართვის რომელიმე სისტემა (LCMS) შეიძლება იქნას ნახსენები, როგორც სწავლების მართვის (LMS) ან

კონტენტის მართვის (CMS) სისტემა. ფაქტობრივად, ზოგიერთ კონტექსტში ისინი სინონიმებსაც წარმოადგენს.

მიუხედავად გარკვეული ფუნქციონალური განსხვავებისა, ელექტრონული სწავლების ორგანიზებისათვის განკუთვნილი ყველა სისტემა [4,5] მსგავსი ძირითადი შესაძლებლობებით ხასიათდება:

1. სასწავლო მასალის განთავსება და ერთობლივი გამოყენება. ამ სისტემების უმეტესობა მომხმარებელს სთავაზობს მასალის ატვირთვის მარტივ შესაძლებლობას. HTML რედაქტორის გამოყენებისა და შემდეგ დოკუმენტის FTP-ის საშუალებით სერვერზე გადაგზავნის ნაცვლად სისტემაში სასწავლო მასალის შესანახად ვებ-ფორმა გამოიყენება;

2. ტესტირება. ონლაინ ტესტირება შეიძლება შეფასდეს მისი დასრულებისთანავე და სტუდენტს მაშინვე შეუძლია საკუთარი შედეგების გაცნობა;

3. შედეგების აღრიცხვა-შეფასებების ონლაინ წიგნის საშუალებით შესაძლებელია უახლესი და ამომწურავი ინფორმაციის მიღება კურსში სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესახებ;

4. ფორუმები და ჩატი. ფორუმები და ჩატი საკლასო ოთახის გარეთ კომუნიკაციის გაგრძელებაა. მათი გამოყენება შეიძლება სიახლეების, დაგეგმილი ღონისძიებებისა და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენების ანონსირებისთვის. ფორუმი და ჩატი სისტემის მომხმარებლებს შორის ინტერაქტიული კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებაა, რომელიც, ამავე დროს, სოციალური ფორმატის მქონე კურსის ორგანიზებისათვის გამოიყენება.

დღეისათვის მსოფლიოში ელექტრონული სწავლების ორგანიზების არაერთი პლატფორმა არსებობს და სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის მათ აქტიურად იყენებენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტები. ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის არჩევა მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული. უნდა გაანალიზდეს, რა მოთხოვნები წაეყენება კონკრეტულ სასწავლო გარემოს და როგორია მისი ტექნიკური აღჭურვილობა, ვინ იქნება ამ სისტემის მომხმარებელი და როგორია მოცემული სასწავლო გარემოს არსებული სპეციფიკა.

უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების მართვის სისტემების გარკვეული ნაწილი კომერციულია და საკმაოდ ძვირადღირებულიც. კომერციული პროგრამული უზრუნველყოფის ძირითადი პლიუსები ფართოდაა ცნობილი. უმეტესწილად ესაა მათი საიმედოობა, რეგულარული განახლება და ახალი ვერსიები. თუმცა არის მინუსებიც. ასე მაგალითად, არსებობს ე.წ. "დახურული კარის" პრობლემა. ეს გულისხმობს, რომ სისტემის საწყისი კოდი მომხმარებლისთვის მიუწვდომელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებლის დონეზე შეუძლებელია მასში მცირე ცვლილებების შეტანაც კი. გარდა ამისა, მინუსებს უნდა მივაკუთვნოთ ნებისმიერი კომერციული პროდუქტის მაღალი ღირებულება, რეგულარული გადასახადი ლიცენზიაზე, გადასახადი მომხმარებელთა მზარდ რაოდენობაზე და სხვა.

კომერციულ პროდუქტებს შორის მსოფლიოში ლიდერია ამერიკული კომპანია Blackboard Inc. (www.blackboard.com), რომელმაც შექმნა ელექტრონული სწავლების პლატფორმა Blackboard. ეს პროდუქტი გამოიყენება სასწავლო პროცესის ორგანიზებისათვის სწავლების ყველა დონეზე დაწყებული სკოლის დაბალი კლასებიდან სახელმწიფო და სამრეწველო ორგანიზაციებში ტრენინგების ჩათვლით. Blackboard განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ამერიკასა და იაპონიაში. მას შემდეგ კი, რაც აღნიშნულმა კომპანიამ შეიძინა მეორე მსხვილი კომპანია WebCT, რომელიც ასევე ორიენტირებული იყო ელექტრონულ სწავლებაზე, Blackboard-მა წამყვანი პოზიციები დაიკავა ასევე ევროპაშიც. ამ პროდუქტის უარყოფით მხარეს ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის წარმოადგენს მისი მაღალი ღირებულება და ქართული ლოკალიზაციის არქონა.

მსოფლიოში ასევე ფართოდაა გავრცელებული ელექტრონული სწავლების მართვის შემდეგი კომერციული სისტემები: NetCat, Learning Space, Prometeus, Bitrix და სხვა.

გარდა კომერციული სისტემებისა, არსებობს ელექტრონული სწავლების ორგანიზების ე.წ. „ღია კოდის" სისტემები. რომლებიც ვრცელდება GNU GPL (GENERAL PUBLIC LICENSE) ლიცენზიის პირობებით, ამიტომ მიწოდება და გამოყენება ხდება უფასოდ. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ღია კოდის მქონე პროგრამული უზრუნველყოფების მომხმარებლებს სისტემის ძირითად კოდთან მუშაობისა და ამ კოდის საკუთარი შექმნილი პროგრამებით (Plugin) გამდიდრების შესაძლებლობა გააჩნიათ. ამიტომ ამ ტიპის სისტემები განუწყვეტელი განახლების პროცესში იმყოფებიან, რაც მუდმივად ზრდის მათ შესაძლებლობებს. ზოგადად, ღია კოდის მქონე სისტემები მომხმარებელს იმავე ამოცანის გადაჭრას სთავაზობენ რასაც კომერცული სისტემები, იმ განასხვავებით, რომ მომხმარებელს შეუძლია ღია კოდის მქონე სისტემის მოდიფიკაცია კონკრეტული სასწავლო გარემოს სპეციფიკაციის გათვალისწინებით.

დღეისათვის ღია კოდის პრინციპით შექმნილია ელექტრონული სწავლების რამდენიმე ათეული პლატფორმა, რომლიც ფართოდ გამოიყენება სასწავლო პროცესში. Atutor, Dokeos, dotLRN, ILIAS, Moodle, LAMS, Sakai, SpaghettiLearning და სხვა. ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ელექტრონული სწავლების ორგანიზების ოპტიმალურ პლატფორმას ამ ტიპის სისტემებს შორის წარმოადგენს სწავლების მართვის სისტემები Moodle და Sakai. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტს, რომ Moodle ქართული ენის მხარდაჭერასაც უზრუნველყოფს [3,5], შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეს სისტემა ყველაზე ოპტიმალურია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში გამოსაყენებლად. მართლაც, საქართველოს საუნივერსიტეტო სივრცეში უნივერსიტეტების უმრავლესობა (გთთუ, თსუ, სტუ, ილია უნივერსიტეტი და სხვა) აქტიურად იყენებს ელექტრონული სწავლების დანერგვაში ამ პლატფორმას.

ამრიგად, ვინაიდან ელექტრონული სწავლების სისტემების უნივერსიტეტებში დანერგვას პრაქტიკულად ალტერნეტივა არა აქვს, აუცილებელი გახდა, შეიქმნას ორგანიზაცია, რომელიც კოორდინაციას გაუწევს სხვადასხვა უნივერსიტეტებში ელექტრონული სწავლების ორგანიზების, სწავლების მართვის სისტემების ლოკალიზებისა და ელექტრონული რესურსების შექმნასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებს. ასეთი ორგანიზაციები თითქმის ყველა ქვეყანაშია შექმნილი და მასში გაწევრიანებულია LMS Moodle-ს ყველა მოხმარებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. D. Randy Garrison, E-Learning in the 21st Century: A Framework for Research and Practices, Publisher: Routledge (2 edition), 2011
2. Norbert M. Seel (Editor), Encyclopedia of the Sciences of Learning, Publisher: Springer, 2011
3. დ. კაპანაძე, თ. ლომინაძე, თ. ჟვანია, თ, თოდუა, ა. კობიაშვილი, დისტანციური სწავლების ორგანიზება LMS Moodle, ს/ს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბილისი, 2008
4. William Horton, Katherine Horton, E-Learning Tools and Technologies: A consumer's guide for trainers, teachers, educators and instructional designers, Publisher: Wiley, 2003
5. William Rice, Moodle E-Learning Course Development, Packt Publishing, 2006

თალიკო ჟვანია

ელექტრონული სწავლების თანამედროვე სისტემები

რეზიუმე

ნაშრომში მოცემულია ელექტრონული სწავლების როლი და მნიშვნელობა თანამედროვე საგანმანათლებლო საქმიანობაში. განხილულია ელექტრონული სწავლების უპირატესობები, ნაკლოვანებები და სხვადასხვა სპეციფიკური ასპექტები. მოცემულია ელექტრონული სწავლების ორგანიზების სისტემების კლასიფიკაცია და მსოფლიოში გავრცელებული პლატფორმების შედარებითი მიმოხილვა შემოთავაზებულია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში ელექტრონული სწავლების განვითარების ხელშემწყობი იდეა.

Taliko Zhvania

Modern Systems of E-learning

Abstract

The article discusses the role and value of e-learning in modern educational activity, Advantage of e-learning, its negative sides and various specific aspects. The authot offers Classification of organizing electronic systems. She also deals with the most widespread platforms and offers application of e-learning in Georgian educational system.

ალექსანდრე სიჭინავა, ლევან ტატიშვილი

უძრავი ქონების კონკურსის საფუძველზე გაყიდვის სოციალური და საინვესტიციო პირობები

კომერციულ კონკურსზე სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების გაყიდვისას დგინდება სოციალური პირობები, თუკი გაყიდვის ობიექტია საწარმო, როგორც ქონებრივი კომპლექსი ან ღია სააქციო საზოგადოების აქციები, რომელიც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტს.

სოციალურ პირობებში შეიძლება მოიაზრებოდეს: სამუშაო ადგილების განსაზღვრული ოდენობის შენარჩუნება ან დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა; მომუშავეთა გადამზადებას ან კვალიფიკაციის ამაღლებას; მომუშავეთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის არსებული სისტემის შენარჩუნებას; შეზღუდვები მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ან სატრანსპორტო მომსახურების ობიექტების საქმიანობის პროფილის შეცვლაზე ან მათ გამოყენებაზე; გარემოსა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების რეალიზაცია;

სოციალური პირობების ჩამონათვალი ამომწურავადაა მოცემული და შეცვლას არ ექვემდებარება. იგი უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული, უნდა გააჩნდეს ღირებულებითი გამოხატულება, შესრულების ვადები და კონკურსის გამარჯვებულის მიერ მათი შესრულების დადასტურების წესი.

კომერციული კონკურსის სოციალური პირობები უნდა შეთანხმდეს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და ღია სააქციო საზოგადოების მუშაკებთან, რომელთა აქციებიც არის პრივატიზების ობიექტი.

კომერციული კონკურსის **საინვესტიციო პირობები** შეიძლება გულისხმობდეს:

პრივატიზაციის ობიექტის რეკონსტრუქციის, მოწყობილობათა შეძენის, მოდერნიზაციისა და წარმოების გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას; კონკურსის გამარჯვებულის ვალდებულებას განახორციელოს სატარიფო და არასატარიფო პროტექციონიზმის ღონისძიებები ქვეყნის საქონლის მწარმოებლებთან მიმართებით, მათ შორის გამოიყენოს ადგილობრივი ნედლეული, მასალები და ნახევარფაბრიკატები იმ შემთხვევებში, როცა მათი ხარისხი შეესაბამება ან აღემატება საზღვარგარეთულ ანალოგებს, ან როცა მათი ფასები შეესაბამება საზღვარგარეთული ანალოგების ფასებს ან მათზე დაბალია; ვალდებულებას დაწესებულ ვადაში დაფაროს დავალიანება ბიუჯეტში, ქვეყნის სუბიექტების ბიუჯეტების, მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე.

კომერციული კონკურსის საინვესტიციო და სოციალური პირობებს, მოცულობებს, განხორციელების წესს, მათ რეალიზაციაზე კონტროლის ზომებს, ასევე კონკურსის გამარჯვებულის მიერ პირობების შესრულების დადასტურების წესს ადგენენ პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებისას ქონების მართვის შესაბამისი კომიტეტები ქვეყნის ხელისუფლების, მისი სუბიექტების ან მუნიციპალიტეტების ორგანოებთან შეთანხმებით.

უძრავი ქონების გაყიდვისა და კონკურსში მონაწილეობის პირობები შეიძლება გამოცხადდეს შემდეგნაირად:

1. ცხადდება კომერციული კონკურსი; 2.ობიექტის გაყიდვის პირობები; 3.საწყისი ფასი, მინიმუმ;

4. ობიექტის დანიშნულების ან საწარმოს პროფილის შენარჩუნება 3 წლის ვადით; 5. დასაქმებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა 1 წლით; 6. ახალი ინვესტიციები ობიექტში პირველ წელს; 7. სოციალური სფეროს ობიექტების დაფინანსება და გამოყენება

8. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ყიდვიდან 2 თვეზე მეტი დროით შესვენების აკრძალვა; 9. სხვა პირობების წაყენება აკრძალულია;10. კონკურსის მონაწილეები; 11. იურიდიული პირები; 12. ფიზიკური პირები; 13. შემოთავაზებები კონკურსის პირობების შესაბამისად - დალუქულ კონვერტში; 14. საგადასახდელო დოკუმენტი საწინდრის შეტანის შესახებ;15. დამფუძნებელი დოკუმენტების ასლები; 16. მონაწილეებსაკრძალული აქვთ ინფორმაციის გაცვლა შემოთავაზებების შესახებ; 17.ცნობები მონაწილეთა შესახებ არ ხმაურდება კონვერტის გახსნამდე.

აუცილებელია**საინფორმაციო ცნობს გამოქვეყნება კომერციული კონკურსის შესახებ. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:**

1.ცნობას შეიმუშავებს უძრავი ქონების მესაკუთრე; 2.გამოქვეყნებას ორგანიზებას უწევს საკონკურსო კომისია; 3. ხდება კონკურსის ობიექტების რეკლამირება; 4. ცხადდებაკონკურსის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები; 5. დგინდება ობიექტის საწყისი ფასი; 6. გადახდის ფორმა; 7. ობიექტის გაცნობის წესი; 8. განაცხადებისა და დოკუმენტების მიღების ვადები; 9.საწინდრის თანხა; 10. შემოთავაზებების კონვერტების გახსნის თარიღი, დრო და ადგილი; 11. ჩატარების ხერხი: ღია ან დახურული აუქციონი; 12.საწარმოს სახელწოდება და ადგილმდებარეობა;13. მიწის ნაკვეთის ფართობი; 14. მომუშავეთა რიცხოვნობა, ნომენკლატურა და პროდუქციის მოცულობა; 15. ძირითადი ფონდების შემადგენლობა და შეფასება;16.მასალების მარაგი; 17. ფულადი საშუალებების, ფასიანი ქაღალდების და სხვა საწარმოების აქტივების არსებობა; 18. საწარმოს ვალდებულებები; 19. დაწყებული საინვესტიციო პროექტები; 20. წლიური ბალანსი; 21. საკონტაქტო ტელეფონი.

კომერციული კონკურსის ყველა საინვესტიციო და სოციალური პირობა რეალიზდება კონკურსის გამარჯვებულის მიერ გამყიდველთან კონკურსის გამარჯვებულის მიერ საინვესტიციო და სოციალური პირობების შესრულების წესის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უსასყიდლო და დაუბრუნებად საფუძველზე შეტანილი ფულადი საშუალებების ხარჯზე. თუკი პრივატიზაციის ობიექტია ღია

სააქციო საზოგადოება, იგი კონკურსის გამარჯვებულის მიერ საინვესტიციო და სოციალური პირობების შესრულების შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად ქონების გამყიდველთან დებს ხელშეკრულებას საინვესტიციო საშუალებების გამოყენების შესახებ. მითითებული ხელშეკრულებების დადება სავალდებულოა კომერციული კონკურსის გამარჯვებულისათვის. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაუშვებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა კონკურსის ინვესტიციურ და სოციალურ პირობებსა და მისი გამარჯვებულების ვალდებულებებში.

საინვესტიციო ხელშეკრულების პრინციპული პარამეტრებია: ინვესტიციების მიმართულებები და მოცულობა; საინვესტიციო პროგრამა

ზოგადად, გამოყოფენ **კაპიტალდაბანდებათა** (ინვესტიციების) **ორ მიმართულებას:** ა) უძრავი ქონების ობიექტში - შენობა-ნაგებობების, ფასადების რემონტი და სხვ.; ბ) თვით წარმოების მოდერნიზაციაში - ტექნოლოგიური მოწყობილობის შესყიდვა და მონტაჟი.

საინვესტიციო პროგრამა მუშავდება ბიზნეს-გეგმის ფორმით და მოიცავს:

უძრავი ქონების ობიექტის მდგომარეობის დახასიათებას; ობიექტის რეკონსტრუქციის პროექტს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩათვლით; საწარმოს მატერიალური ბაზისა და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას გამოშვებული პროდუქციის (გაწეული მომსახურების) სახეებისა და მოცულობის, დასაქმებულთა რიცხოვნობის მითითებით; წარმოების მოდერნიზაციის პროექტს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით; საწარმოს მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებებს საინვესტიციო პროგრამის დასრულების შემდეგ, გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და დასაქმებულთა ოდენობას; ინვესტიციების წყაროებსა და მოცულობებს (სესხების გამოყენებისას - დაფარვის მოცულობებსა და ვადებს); ინვესტიციების განხორციელების შემდეგ პრივატიზებული საწარმოს ბაზაზე შექმნილი ღია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სიდიდის განსაზღვრას პოტენციური დამფუძნებლების და საწესდებო კაპიტალში მათი წილის მითითებით.

კონკურსის ჩასატარებლად ქონების მართვის დეპარტამენტი გამყიდველს გადასცემს:

საპრივატიზაციო ობიექტზე საკუთრების მოწმობას; ობიექტის პრივატიზაციის გეგმას, რომელიც მოიცავს კონკურსის ჩატარების პირობებს; კონკურსის ჩატარების შესახებ საინფორმაციო ცნობის პროექტს; სალიკვიდაციო კომისიის მასალები ლიკვიდირებული საწარმოს ქონების გაყიდვისას.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

დადგენილი ფორმის განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ; ცალკე კონვერტში დალუქული წერილობითი შეთავაზები საკონკურსო პირობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებთან დაკავშირებით; გამყიდველის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ბეს შეტანის შესახებ საგადასახდელო დოკუმენტის ასლი; დადგენილი წესით დამოწმებული იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტების ასლები.

დოკუმენტების მიღების შემდეგ საკონკურსო კომისია განმცხადებლებს უგზავნის წერილობით შეტყობინებას კონკურსში მისი მონაწილეობის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის თარიღის მითითებით.

კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს გაიტანოს თავისი შეთავაზება კონკურსის ჩატარების დადგენილ ვადამდე, რის შესახებაც უნდა აცნობოს საკონკურსო კომისიას წერილობით. ამ შემთხვევაში მას უბრუნდება ბეს თანხა.

მყიდველთა წინადადებები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირობებისა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის შესაბამისად.

დადგენილ დღესა და დროს საკონკურსო კომისიის სხდომაზე იხსნება კონვერტები შემოსული შემოთავაზებებით. საკონკურსო კომისია ამოწმებს ყველა ფორმალობის დაცვას, განსაზღვრავს მოთხოვნილი მონაცემებისა და დოკუმენტების არსებობას. ამ მუშაობის შედეგად დგება ოქმი, რომელშიც ფიქსირდება შემოსული ყველა შემოთავაზება და მათი შესაბამისობა კონკურსის პირობებთან. კონვერტები უნდა გაიხსნას კონკურსის შესახებ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან არაუადრეს ერთი თვისა.

შემოთავაზებები, რომლებიც არ პასუხობს კონკურსის პირობებს, არ დაიშვება კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად და ფიქსირდება ოქმში ცალკე.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების დამალვა, მათი გაუთვალისწინებლობა შედეგების შეჯამებისას იწვევს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჯარიმდება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში კონკურსის შედეგები ბათილად იქნება გამოცხადებული.

დალუქული კონვერტების გახსნისა და გამოცხადებისას შეიძლება ესწრებოდნენ კონკურსის მონაწილეები ან მათი წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ შესაბამისი რწმუნება (მინდობილობა).

ყველა მონაწილის წარმოდგენილი შემოთავაზებების გაცნობის შემდეგ საკონკურსო კომისიის ყოველი წევრი ადგენს წერილობით დასკვნას საკუთარი არჩევანის დასაბუთებით.

გადაწყვეტილება კონკურსის გამარჯვებულის შესახებ მიიღება კომისიის თავმჯდომარის მიერ კონვერტების გახსნის დღეს საკონკურსო კომისიის წევრთა დასკვნების საფუძველზე.

შემაჯამებელ ოქმში უნდა იყოს მოცემული საკონკურსო კომისიის დასკვნა შემდეგი ფორმით:

საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება; საკონკურსო კომისიის შემადგენლობა;

მონაცემები კონკურსის მონაწილეების შესახებ; კონკურსის მონაწილეების შემოთავაზებები; საკონკურსო კომისიის წევრთა წერილობითი დასკვნები თავიანთი არჩევანის დასაბუთებით; კონკურსის გამარჯვებულის დასახელება; ობიექტის შეძენის ფასი, გადახდის ფორმა.

ოქმს თან ერთვის საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის გამარჯვებულისათვის მომზადებული წერილის პროექტი, რომლითაც ატყობინებს მისი შეთავაზების მიღების შესახებ და იწვევს გამყიდველთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

მითითებული ოქმი და დოკუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება გამყიდველს.

გამყიდველის მიერ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ ოქმის ასლი ეგზავნება კონკურსის ყოველ მონაწილეს. კონკურსის გამარჯვებულს ეგზავნება გამყიდველის წერილი, რომლითაც იგი ატყობინებს მისი შეთავაზების მიღების შესახებ და იწვევს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

საკონკურსო კომისია კონკურსს ჩაშლილად აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო კომისიაში შემოვიდა საკონკურსო პირობების შესატყვისი არაუმეტეს ერთი შემოთავაზებისა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ შენაძენის ფასი საწარმოს საწყის ფასთან შედარებით შემცირდა 30 %-ით. საკონკურსო კომისია ადგენს ოქმს კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს გამყიდველი, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტები უბრუნდება კომიტეტს. ამ შემთხვევაში ქონების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს საწარმოს პრივატიზაციის გეგმა.

კონკურსის შედეგები შეიძლება გაპროტესტებულ იქნას მონაწილეთა მიერ დადგენილი წესით ოქმის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 30 კალენდარული დღის განმავლობაში მყიდველი ვალდებულია ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოსა და ქონების ფონდის (გამყიდველის) საინფორმაციო ბიულეტენში გამოაქვეყნოს ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ.

უკანასკნელ წლებში ქონების მართვის დეპარტამენტი ატარებს კონკურსებს უძრავი ქონების სახელმწიფო ობიექტების გასაყიდად აუქციონის ფორმით, რომლის დროსაც **აუქციონი იწყება კონვერტების გახსნისთანავე,** რომელშიც მონაწილეები ათავსებენ თავიანთ შეთავაზებებს ფასთან დაკავშირებით. ამასთან, კონკურსის მონაწილის მიერ შემოთავაზებაში დასახელებული **მაქსიმალური ფასი** ითვლება ღია აუქციონის **სასტარტო ფასად**, ხოლო აუქციონის ნაბიჯი აითვლება სასტარტო ფასის 5-15 %-ის ფარგლებში.

ამის შემდეგ იწყება თვით აუქციონის პროცესი: აუქციონისტი ასახელებს ფასს, ხოლო მონაწილეები სწევენ ბილეთებს.

აუქციონი სრულდება, თუ მორიგი ფასის სამგზის გამოცხადების შემდეგ არცერთმა მყიდველმა არ ასწია ბილეთი. გამარჯვებულად ჩაითვლება მყიდველი, რომელიც უკანასკნელად დაასახელა აუქციონისტმა.

თუ კონვერტებისა გახსნისა და საწყისი ფასის გამოცხადების შემდეგ არცერთმა მონაწილემ არ ასწია ბილეთი, აუქციონი ჩაშლილად ითვლება, ხოლო ობიექტი უბრუნდება განმეორებითი გაყიდვისათვის მოსამზადებლად. ამასთან, კონკურსის მონაწილეს, რომლის შემოთავაზება საკონკურსო კომისიამ მიიღო აუქციონის სასტარტო ფასად, არ უბრუნდება შეტანილი ბეს თანხა.

აუქციონის დასრულების შემდეგ გამარჯვებულმა ხელი უნდა მოაწეროს ოქმს, რომელშიც გადმოცემულია მხარეთა ვალდებულებები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, რომელიც უნდა შედგეს 30 დღის ვადაში.

სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების სავალდებულო პირობად ითვლება: მონაცემები ქონების გამყიდველსა და მყიდველებზე; პრივატიზაციის ობიექტის დასახელება; მისი ადგილმდებარეობა; სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების შედგენილობა და ღირებულება; მიწის ნაკვეთის არენდის (სარგებლობის) პირობები; ღია სააქციო საზოგადოების აქციათა რაოდენობა; მათი კატეგორია (ტიპი) და ღირებულება; სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების მყიდველის საკუთრებაში გადაცემის წესი; შეძენილი ქონების საფასურის გადახდის ფორმა და ვადები; მყიდველის ვალდებულებები სარგებლობასთან დაკავშირებით; ინვესტიციური და სოციალური პირობები, რომლის შესაბამისადაც იქნა მყიდველის მიერ შეძენილი მითითებული ქონება; მყიდველის მიერ ამგვარი პირობების შესრულების დადასტურების წესი; ინვესტიციური და სოციალური პირობების უზრუნველყოფის საშუალებები, მათი შესრულების გარანტიები; მყიდველის მიერ მითითებული ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლებების განხორციელების წესი მასზე აღნიშნული ქონების მესაკუთრის უფლების გადაცემამდე; აღნიშნული ხელშეკრულების მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით დადგენილი სხვა პირობები.

მყიდველის ყველა ვალდებულება პრივატიზაციის ობიექტთან მიმართებით უნდა შეიცავდეს მათი შესრულების ვადებს, ასევე, ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრულ ღირებულებითი ფასს.

კონკურსის გამარჯვებულის მიერ სოციალური და ინვესტიციური პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას პრივატიზაციის ობიექტი ექვემდებარება უსასყიდლო გასხვისებას სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში, ხოლო ხელისუფლების შესაბამისი მხარეები, გამყიდველი ან პროკურატურა ვალდებულია სასამართლო წესით შეიტანოს სარჩელი ქონების პრივატიზაციის გარიგების გაუქმებისა და უძრავი ქონების სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად ზარალის ანაზღაურების შესახებ

მიზნებისა და პირობების შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნას უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ხერხები, ესენია:

აუქციონი; კომერციული კონკურსი; საინვესტიციო კონკურსი; სწრაფი გაყიდვა. მაქსიმალური ფასი; გაყიდვა ადგილობრივი ან უფრო ფართე პირობების გათვალისწინებით. უფრო მაღალი ფასი; ინვესტირება ობიექტის განვითარებაში. გერგილიანი მფლობელი და სხვა.

მაშასადამე, სოციალური და საინვესტიციო პირობების შესრულებას გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დროს.

ალექსანდრე სიჭინავა, ლევან ტატიშვილი

უძრავი ქონების კონკურსის საფუძველზე გაყიდვის სოციალური და საინვესტიციო პირობები

რეზიუმე

სტატიაში განხილულია კომერციული კონკურსის წესით სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების გაყიდვისას სოციალური და საინვესტიციო პირობების განსაზღვრის სფეროები, მისი მიმართულებები და კრიტერიუმები. კერძოდ, აღნიშნულია თუ რა შეიძლება მოიაზრებოდეს სოციალურ პირობებში, კომერციული კონკურსის საინვესტიციო პირობებში. განხილულია კონკურსის პირობების, მის მოცულობათა და განხორციელების წესის, მათ რეალიზაციაზე კონტროლის ზომების განმსაზღვრელი ორგანოს უფლებამოსილებანი. განხილულია უძრავი ქონების გაყიდვისა და კონკურსში მონაწილეობის პირობები, საინფორმაციო ცნობების შინაარსი და გამოქვეყნების წესი, საინვესტიციო ხელშეკრულების ძირითადი პარამეტრები, საინვესტიციო პირობების შემუშავების წესი და ფორმები.

Aleksandre Sichinava, Levan Tatishvili

The Sale of the Real State on the Basis of Social and Investment Conditions

Abstract

The article deals with the rule of commercial competition, while selling state or municipal property, social and investment condition identifying areas, its directions and criteria. In particular, indicating what could be considered in social conditions, investment conditions of commercial competition. The article discusses the conditions of competition, its volumes and the implementation of the rules, defining the power control measures on their realization. The author also discussed the sales and competition participation conditions of real estate, information on the content and publication rules, the main parameters of the investment contract, rules and forms of investment conditions work out.

CHARLES M. STROMME

TAX ADMINISTRATION AND THE FRAUDULENT OWNERSHIP OF PROPERTY

Executive summary: The government needs swift recourse when a debtor's property has been fraudulently titled in another name. Three avenues of collection are 1) nominee liens, 2) alter ego liens, and 3) suits attacking fraudulent transfers. The first two are administrative in nature, thus offering swift collection. The suits are judicial, of course, but the government's claim of interest can be established prior to the settlement of the lawsuit.

* * * * *

Where there are no problems with debts, neither the state nor private creditors should have any interest in how or to whom property is titled. It simply doesn't matter. However, public and private creditors may very well question the true ownership of property when they suspect that it is actually owned by a debtor and merely titled in the name of someone else to avoid payment of a debt.

It is very common for debtors to claim that they don't really own property that they *seem* to own. For instance, a tax debtor may say that someone else really owns the mansion that he lives in. That may sometimes be the truth -- renting is a common example -- but it may also be a way to hide an interest in property in order to avoid it being seized and sold for taxes or other debts.

For example, a major investigation was announced against a prominent public figure. We read in the newspaper that his luxury mansion "… is registered in someone else's name", that someone else being a friend or relative. We must leave the facts there for others to decide, but we know that fraudulent ownership, including placing property in someone else's name, can be a way to hide the true ownership of property from creditors, including the government. Once the fraud is recognized, the government needs recourse to proceed against that property. That's what this paper is about.

As another example, assume that I am a tax debtor. I own a home but I'm afraid that it might be seized and sold for my tax debts. I transfer the house to my brother's name for no payment. I continue to live in the house and I show all the signs of ownership except for bare legal title. If I didn't owe taxes, no one would care. But I do owe and the government cares and wants to be paid. I don't have legal title but I own the house in all other respects, including paying the mortgage payments. That is a classic example of nominee ownership. The government needs swift recourse to counter this fraud and enforce payment.

It is possible to draft tax legislation that contains sections that address the fraudulent ownership of property and allows the tax agency, once it administratively determines fraudulent ownership, to seize and sell the property as if it were titled in the name of the true owner/tax debtor. Two types of fraudulent ownership that we will address are called nominee ownership and alter ego ownership.

A. Nominee Ownership

Nominee ownership is property-specific. Nominee ownership of property occurs when legal title is vested in one person (a physical person or a legal person/entity such as a corporation) but the true right, title and interest in the property belongs to another person who is a tax debtor (for our purposes) or any debtor for any other creditors' purposes. An example might be a tax debtor registering his home in the name of a friend or relative like the investigation that I previously mentioned.

Proving nominee ownership is a matter of facts and circumstances in each case. If the tax agency can show with a preponderance of the evidence that nominee ownership exists, then it can record a tax lien that specifically identifies the owner of the property in question as being a nominee owner of that property. Having thus established an interest in the property it can then proceed to seize and sell the property as if it were titled to the tax debtor.

This does not require a suit by the government. The tax agency can act as soon as its own legal staff approves the nominee determination. However, the government's position is rebuttable. That means that someone other than the taxpayer may challenge ownership of the property.

This can be done by administrative claim which, if unsuccessful, can lead to a lawsuit wherein the government will have to prove its claim in court against the challenge. In all cases, the tax agency must have made a solid administrative case prior to taking any enforcement action or forwarding its case files in support of a defense against a counter-claim.

In order to prove its case for nominee ownership, the tax agency may look at such facts as

1. Who *really* paid/is paying for the property? (Sources of funds)
2. Who has possession of the property? (Who is using or living on the property)
3. Who pays for the maintenance and upkeep of the property? (Sources of funds and who initiates, oversees or approves work done on the property)

4. Who represents to third parties that he owns the property? (For instance, on loan applications or utility orders)

The nominee investigation is not limited to these facts. The tax agency may investigate any other facts that tend to support its case. Any kind of property, movable or immovable, can be the subject of nominee ownership.

B. Alter Ego Ownership

Alter ego ownership is NOT property-specific. An alter ego relationship exists between physical or legal persons when the separate identity of one has become so interchangeable with the other that to recognize their separateness creates a fraud to creditors. The fraud is that creditors will be prohibited from the otherwise legal collection of debts if the alter ego relationship is ignored.

Typically, alter ego relationships isolate debts in one entity and place assets in the name of the other. Proving alter ego ownership is also a matter of facts and circumstances in each case. If the tax agency can show with a preponderance of the evidence that an alter ego relationship exists, then it should record a lien that specifically identifies each such person as an alter ego of the other and then proceed to seize and sell the property of the non-tax debtor alter ego as if it were titled to the tax debtor alter ego.

Because fraudulent ownership of property is such a common problem, there must be a quick and effective remedy under law to address that problem so that tax arrears can be collected in the least amount of time.

What I propose is the administrative determination that a nominee or alter ego relationship exists, followed by an administrative seizure and sale. That's because of the state's urgent need for revenue and because this tends to discourage the establishment of these relationships.

However, don't be fooled. There will often be adamant resistance to these determinations. Just because we don't contemplate judicial review before we make these determinations or act on them doesn't mean that we won't be sued later on. For that reason I strongly suggest that any determination that nominee or alter ego relationships exist be made by the tax agency's legal staff based on a recommendation by the collection function. Prior legal review should take place in every instance.

The tax agency must always create a comprehensive case file documenting all of its findings and conclusions before any action is taken. Tax agency management must approve all enforcement action based on a nominee lien.

C. Fraudulent Transfers of Property

Another fraud that you may encounter is the fraudulent transfer of property. It is only right that the government should be able to undo such fraud and recover the fraudulently transferred property or collect the value of the fraudulently transferred property.

A fraudulent transfer is a transfer of property for less than adequate consideration if that transfer harms or defeats a creditor's (for our purposes, the tax agency's) ability to collect a debt. This does not preclude the sale of property at a bargain price. We may define a bargain price to be a sale price no less than 75% of an item's fair market value at the time of transfer, though some other ratio might serve as well.

Depending on the nature of the property that was transferred, the government should have a choice of recourses. If the property was of a type that tends to appreciate over time, the government may choose to attack the transfer itself and restore title of the property to the transferor/tax debtor so that existing tax liens attach automatically. If the property was of a type that tends to depreciate over time, the government may want to attack the transferee to recover the value of the property at the time it was transferred.

It is important to note that a fraudulent transfer is not dependent on the existence of a tax lien. In fact, a recorded tax lien at the time of an otherwise fraudulent transfer would allow the tax agency to seize and sell the property without regard to the transfer. That is because the lien would continue to attach to the property even though it is in the name of a new owner. The assertion of a fraudulent transfer would be unnecessary.

Fraudulent transfers are one of the rare areas of tax collection where the courts should be involved. Why? The facts are very disputable and each side should have the opportunity to present its case and defense in an unbiased forum. Either recourse -- fraudulent transfer (appreciated property) or suit to establish a transferee liability (depreciated property) -- should be by way of a lawsuit rather than an administrative remedy.

One such lawsuit is called a "suit to set aside a fraudulent transfer". If the government is successful, the fraudulent transfer is legally considered never to have happened and the property is legally returned to the name of the person who made the fraudulent transfer. Any tax liens immediately attach to it. The government may seize and sell the property in accordance with the laws and rules governing seizures and sales.

In the alternative, when a fraudulently transferred asset has declined in value or even disappeared, consider a "suit to establish transferee liability". If the government is successful, the result will be a judgment against the transferee in the amount of the value of the property *at the time it was transferred to him*, minus any amount that he can prove that he paid for it but notwithstanding any improvements he may have made. When the government wins this suit it should immediately assess and begin to collect the amount of the judgment against the transferee in the same manner as tax.

After the lawsuit is filed, the government should seek to bar any subsequent transfer or hypothecation of the property in question (if not accompanied by an acceptable bond) by means of a public filing of some sort. There is a

useful tool called a "pre-judgment lien" which serves this purpose well. This is simply a notice of the government's claim to an interest in the property if it is successful in its lawsuit.

Another point to consider here is the indemnification of tax collectors and collection managers. Tax employees at any level should be indemnified by their government from lawsuits based on actions they took or approved or condoned in the course of their duties as long as they had reasonable cause to believe that their actions were lawful and in accordance with their assigned duties. That is one more reason for legal review of collection action based on a determination of fraud and for managers to review and approve seizures.

In summary, tax revenue is the life blood of government. Its collection must be swift and certain so that government can proceed in an orderly fashion. Some taxpayers who can pay but refuse to, use fraudulent ownership and fraudulent transfers to conceal their interest in properties that might be used to liquidate their tax liabilities. This paper offers three methods of recourse for the government to attack fraudulent ownership and fraudulent transfers so as to further secure the orderly flow of tax revenue.

ჩარლზ სტრომე მორგანი

გადასახადების ადმინისტრირება და ქონების თაღლითური მისაკუთრება

რეზიუმე

როდესაც საგადასახადო დავალიანების მქონე საწარმოს ქონება თაღლითურად არის გადაცემული სხვა პირზე, მთავრობამ უნდა განახორციელოს სწრაფი რეაგირება. არსებობს ამოღების სამი გზა: 1) ახალი მფლობელის ქონების დაყადაღება; 2) ალტერ ეგო-ს დაყადაღება, და 3) სარჩელები ქონების თაღლითური გადაცემის წინააღმდეგ. პირველი ორი თავისი ბუნებით არის ადმინისტრაციული ხასიათის ქმედება და ამდენად წარმოადგენს ამოღების „რბილ“ ვარიანტს. სარჩელი, რა საკვირველია, იურიდიული ქმედებაა, მაგრამ მთავრობის პრეტენზია შეიძლება დაწესდეს სარჩელის გადაწყვეტამდე.

Charles M. Stromme

Tax Administration and the Fraudulent Ownership of Property

Abstract

The Government needs swift recourse when a debtor's property has been fraudulently titled in another name. Three avenues of collection are 1) nominee liens, 2) alter ego liens, and 3) suits attacking fraudulent transfers. The first two are administrative in nature, thus offering swift collection. The suits are judicial, of course, but the government's claim of interest can be establishe prior to the settlement of the lawsuit.

ლაშა ტაბატაძე

ინვესტიციური მიმზიდველობის ანალიზი

საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთერთი მნიშვნელობანი ფაქტორი ინვესტიცი-ების ზრდაა. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით 2004-2011 წწ . მკვეთრად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები: 499,1- მლნ. აშშ დოლარი - 2004 წელს. 2008 წელს კი - 1,564 მლნ. აშშ დოლარი. შეინიშნება სხვადასხვა დარგში ინვესტიციების დისბალანსი და არათანაბარი განაწილება. იგი დამოკიდებულია ბაზრის სეგმენტსა და საწარმოების გაკოტრების რისკზე. ინვესტორებისთვის მომხიბ-ლავი და აქტუალური რჩება სოფლის მეურნეობის, ტურიზმის და ტრანსპორტის დარგები. 2008-2010 წწ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის ცვლილების დინამიკა მოცემულია ცხრილში 1, ხოლო ეკონომიკის სექტორების მიხედვით - ცხრილში 2.

ცხრილი 1

წლები	მოცულობა მლნ. აშშ დოლარი	ცვილილება % წინა წელთან შედარებით
2008	1564,0	-22,4
2009	658,4	-57,9
2010	814,5	23,7

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ცხრილი 2

	2007	2008	2009		2010	2011[1]
სულ	**2,014,841.6**	**1,563,962.4**	**658,400.6**		**814,496.6**	**643,104.5603**
მათ შორის:						
სოფლის მეურნეობა, თევზჭერა	15,527.9	7,844.3	22,326.9		8,631.9	9,195.8
მოპოვებითი და დამამუშავებელი მრეწველობა	398,240.9	207,327.9	139,805.1		228,770.5	140,545.1
ენერგეტიკა	362,581.1	294,864.8	-2,130.6		21,877.9	79,163.5
მშენებლობა	171,891.8	56,725.3	105,218.8		4,705.9	31,154.3
სასტუმროები და რესტორნები	242,075.9	181,939.2	37,542.3		17,121.8	14,724.3
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416,694.7	422,690.0	98,432.0		215,116.2	74,272.7
უძრავი ქონება	30,543.9	277,837.7	147,410.3		119,253.0	77,538.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოცია-ლური დახმარება	1,185.8	-14.5	289.1		1,182.4	18,490.3
დანარჩენი მომსახურება[1]	139,544.9	101,240.0	51,291.2		89,212.8	70,665.5
საფინანსო სექტორი[2]	136,914.5	8,519.4	49,663.4		107,406.4	123,603.0
უცნობი[3]	99,640.2	4,988.2	8,552.2	-	1,217.9	3,752.0

საწარმოს ინვესტიციური მომხვიბლელობა დამოკიდებულია საწარმოს შემოსავალზე. ინვესტიცი-ური გადაწყვეტილების ეფექტიანობა კი - საწარმოს გადახდისუნარიანობაზე, რომლის შეფასებაც ხდე-ბა კონკრეტული ფინანსური კოეფიციენტების მნიშვნელობის მიხედვით. საინვესტიციო პროექტის ეფექტიანობის შეფასების ბუღალტრული მიდგომა მოიცავს საწარმოს ფინანსური მდგომარეობის კომპლექსურ ანალიზს.

ქვემოთ მოცემულია ანალიტიკოსთა სხვადასხვა ჯგუფის მიერ მსოფლიო პრაქტიკაში მიღებული საინვესტიციო პროექტის შესაფასებლად გამოყენებული ფინანსური მაჩვენებლები:

1.გადახდისუნარიანობის და ლიკვიდურობის მაჩვენებელი

1.1. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი ≥ 0,2

1.2. სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი - 0,8-1

1.3. მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი ≥ 1

[1] www.geostat.ge – სამი კვარტალის მაჩვენებელი.

2.ფინასური მდგრადობის მაჩვენებელი:
2.1. ავტონომიურობის კოეფიციენტი - 0.3-0.4
2.2. ძირითადი საშუალებების მოცულობა
2.3. ბალანსის ვალუტის მოცულობა
3.შემოსავალი რეალიზაციიდან;
4.წმინდა მოგება (PAT);
5.აქტივების ღირებულება (NAV);
6.საწარმოს ფულადი სახსრები (CF);
7.დამატებითი ეკონომიკური ღირებულება (EVA);
8.დამატებითი სააქციო ღირებულება (SVA);
9.და სხვა.

საინვესტიციო პროექტის მიმზიდველობის განსაზღვრის მეორე მეთოდს წარმოადგენს ე.წ. საბაზრო მეთოდი რომელიც მოიცავს შემდეგი მაჩვენებლებს:

1.აქციების საერთო შემოსავალი (TSR);
2.სააქციო კაპიტალზე დამატებითი საბაზრო ღირებულება (MVA);
3.საბაზრო კაპიტალიზაციის თანაფარდობა კაპიტალთან (MBR);
4.კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულება (WACC).

საქართველოში მოქმედი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შეფასების მეთოდიკით გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევის საფუძველია შემდეგი კრიტერიუმები:

1.არარეზიდენტი დამფუძნებელის არსებობა;
2.ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების შესრულება;
3.არარეზიდენტებისგან სესხის აღება ან გაცემა;
4.დეპოზიტების არსებობა არარეზიდენტ ბანკებში;
5.არარეზიდენტის მიერ საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10% და მეტის ფლობა;
6.არარეზიდენტებისთვის გაწეული ან მათგან მიღებული მომსახურება.

მონაცემთა სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების საფუძველზე შესაძლებელია FDI-ის მონაცემთა გაანგარიშება ინფორმაციის წყაროების მიხედვით.[1]

ზემოთ მოყვანილი მაჩვენებლებით განისაზღვრება მხოლოდ საწარმოს მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა რაც ინვესტორისთვის ინვესტიციების ეფექტიანობის მომავალი პროგნოზირებისთვის საკმარისი არაა. დივერსიფიკაციის განხორციელების მიზნით ინვესტორი ხშირად ინვესტირებას ახორციელებს ე.წ გაყოფად პროექტებში, სადაც შემოსავალი მიიღება განხორციელებული ინვესტიციების პროპორციის შესაბამისად: იანგარიშება პროექტის მომგებიანობის ინდექსი, ხორციელდება პროექტების კატეგორიებად დაყოფა მოგებიანობის ინდექსის მიხედვით და წარმოებს ფონდების განთავსება პროექტებში კატეგორიების მიხედვით, ფონდების სრულ ათვისებამდე.

ეფექტურია ორივე მეთოდის ერთად გამოყენება და დამატებითი რისკ ფაქტორების განსაზღვრა. საინვესტიციო პროექტის ეფექტურობის შეფასებაზე მოქმედი ძირითადი რისკ ფაქტორებია: საწარმოო და სამოქალაქო კანონდებლობის არასრულყოფილობის რისკი, დაზღვევის სისტემა, ფინანსური ანგარიშგების ხელმისაწვდომობის რისკი, ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებული რისკი, საწარმოს მართვის სისტემის ხარვეზები.

ზემოთ მოყვანილი მეთოდების საფუძველზე ინვესტირების ეფექტურობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების ლოგიკური კავშირები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ცხრ 3-ის სახით. მნიშვნელობების მინიჭებისას მხედველობაში იქნა მიღებული მსოფლიო ბანკის მიერ განსაზღვრული რისკ-ფაქტორების შორის არსებული თანაფარდობა.

[1] www.geostat.ge

ინვესტიციურ პროექტზე მოქმედი რისკ-ფაქტორები

ცხრილი 3

საწარმოო და სამოქალაქო კანონდებლობის არასრულყოფილობის ალბათობა $Q=0.1$	სრულყოფილი კანონდებლობა $R=0{,}9$
დაზღვევის სრულყოფილი სისტემის არსებობის ალბათობა $Q=0.1$	სრულყოფილი დაზღვევის სისტემა $R=0.9$
ფინანსური ანგარიშგების ხელმისაწვდომობის რისკი $Q=0.1$	ფინანსური ანგარიშგების ხელმისაწვდომობისა და გამჭირვალობის ალბათობა $R=0.9$
ფასიანი ქაღალდების ბაზართან დაკავშირებული რისკი $Q=0.2$	განვითარებული საფონდო ბირჟის არსებობა $R=0.8$
საწარმოს მართვის სისტემის ხარვეზები $Q=0.2$	საწარმო მართვის სრულყოფილი სისტემა $R=0.8$

ჩვენს შემთხვევაში სისტემა შედგება n=5 რისკ-ფაქტორისგან. სისტემის მდგომარეობა "ცუდი" და "კარგი" სულ იქნება N=120 საიდანაც N-1=119 სისტემა შეიცავს ერთ მაინც ცუდ ვარიანტს. ნებისმიერმა მაჩვენებელმა შეიძლება მიიღოს ორი საწინააღმდეგო მნიშვნელობა „ერთი" და "ნოლი". თუ n -ის მნიშვნელობა მისაღებია ავღნიშნოთ R -ით, წინააღმდეგ შემთხვევაში Q ასოთი. სისტემის მდგომარეობათა საერთო რაოდენობა $C_n^m = n!/m_i!k_i!),\ i=\overline{1-n}$, ხოლო მაკროეკონომიკური სტაბილურობის რისკის ალბათობა იანგარიშება ფორმულით $P_t\{A(Q)\}=1-\prod_{i=1}^{n}(p_t(R_i))$.

ლოგიკურ-ალბათური[1] მოდელირების შედეგები ასახულია ცხრილში 3.

ცხრილი 3

	m_i სისტემის "კარგი" მდგომარეობის რიცხვი რისკ-ფაქტორების რაო-დენობის მიხედვით	$k_i=n-m$ სისტემის "ცუდი" მდგომარეების რიცხვი, რისკ-ფაქტორების რაოდენობის მიხედვით	სისტემის საიმედოობის ალბათო-ბის გამოანგარიშების ალგორითმე-ბი, თითოეული რისკ-ფაქტორის ალბათობის გათვალისწინებით -$P_t(Y_i)P_t(Y)$
	5	*0*	*0.23328*
	4	*1*	*0.04121*
	3	*2*	*0.07632*
	2	*3*	*0.00816*
	1	*4*	*0.00176*
	0	*5*	*0.00032*

გაანგარიშების შედეგად მივიღეთ, რომ თუ ავიღებთ ზემოთ აღნიშნულ რისკ-ფაქტორებს, საერთო რისკის ალბათობა თითოეული ფაქტორის მოქმედების წონის გათვალისწინებით იქნება 0.25 %.

$$\sum P_t\{Y(0 \le m < 5,\ 0 < k \le 5)\} = 0.2507$$

ინვესტიციების მიმზიდველობის ანალიზის დროს შეგვიძლია გამოვიყენოთ ლოგიკო-ალბათური მოდელი. სტატიაში ნაჩვენებია ლოგიკო-ალბათური მოდელირების მცირე მონაკვეთი. გაკეთებულია ინვესტიციური პროექტის ეფექტიანობის შეფასების პროგნოზი.

ინვესტიციების მიმზიდველობის ანალიზი საკმაოდ რთული და მრავალკომპონენტია თემაა. სტატიაში მოკლედაა განხილული ინვესტიციურ პროექტზე მოქმედი რისკ ფაქტორების პროგნოზირების ლოგიკურ-ალბათური მათემატიკური მოდელი. საწარმოს ინვესტიციური მიმზიდველობა ძირითადად განისაზღვრება კონპანიის ფინანსური ანგარიშგების ანალიზის საფუძველზე საბაზრო და ბუღალტრული მეთოდების გამოყენებით, რომლებიც იძლევიან ინვესტიციური ეფექტურობის მიმდინარე სურათს. დამა-

[1] მუნჯიშვილი თ. ლოგიკურ-ალბათობათა მეთოდით ეკონომიკური რისკების გაანგარიშებათა ავტომატიზაცია. ჟურ. მეცნიერება და ტექნოლოგიები. 2007, № 7-9, გვ. 11-16.

ტებით, ინვესტირების შეფასებისას საწარმოს ფინანსურ მდგარადობაზე მოქმედი რისკ-ფაქტორების გათვალისწინება პროგნოზისტული შეფასების ცდომილების მინიმიზაციას ახდენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Солженцов Е.Д, Сценарное логико-вероятностное управление риском в бизнесе и технике //Издательский дом « Бизнес-приесса», Санкт-Петербург,2006,216 с;
2. მუნჯიშვილი თ. საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შეფასების ლოგიკურ-ალბათური მოდელი. თბ. 2007, #364 (24), გვ. 216-229;
3. საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტი – პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით – 2012წ.

ლაშა ტაბატაძე

ინვესტიციური მიმზიდველობის ანალიზi

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში, საინვესტიციო მიმზიდველობის ანალიზისას, გამოყენებულია ინვესტიციების შეფასებისა და ანალიზის ლოგიკურ - ალბათური მოდელი. განხილულია ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება კომპანიის საფინანსო რისკებსა და სტაბილურობას. სტატიაში წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების და აღრიცხვის მეთოდები, საშუალებას გვაძლევენ შევქმნათ ინვესტიციების ეფექტიანობის სურათი, რაც თავისმხრივ მინიმუმამდე ამცირებს ინვესტიციების შეფასების საპროგნოზო შედეგების ხარვეზებს.

Lasha Tabatadze

The Analysis of Appeal for Investment

Abstract

The work deals with the analysis of investment appeal. The author applies logico - probabilistic model and discusses the problems that are connected with stability and financial issues of the company. Financial calculation and accounting methods presented in the article give us the grounds for creation of investment efficiency picture that draws to the minimum the failures in the prognostication results of investment assessment.

მაია უკლება

ადგილობრივი საზოგადოება და დესტინაციის მდგრადი განვითარება

ტურიზმის ინოვაციური მენეჯმენტი სულ უფრო მეტად ფოკუსირებულია ლოკალური დესტინაციების მდგრადობასა და მის მართვაზე. მეცნიერები არ კამათობენ იმის თაობაზე, რომ დესტინაცია ტურიზმის ბირთვია, შესაბამისად, იოლი შესაფასებელია თუ რა მნიშვნელობა ენიჭება დესტინაციის მდგრადობას, რაც, პრაქტიკულად ტურიზმის მდგრადობის ტოლფასია. მიუხედავად ამისა, ქართული სამეცნიერო წრეები შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ზოგადად დესტინაციებისა და, კერძოდ, მისი მდგრადობის მართვის პრობლემებს.

ტურიზმის მდგრადი განვითარების იდეა, რაც საფუძველს იღებს გერმანიიდან (1713, Forestry Sciences) მსოფლიოს მიერ მე–20 საუკუნის მიწურულს, აღიარებული იყო, როგორც უმნიშვნელოვანესი იდეა გარემოსდაცვით პოლიტიკაში. თუმცა ტერმინი „მდგრადობა“ ხშირად გამოიყენებოდა როგორც პოპულარული ტერმინი, რაიმე სპეციფიკური მნიშვნელობის გარეშე. მდგრადობის არსის ახლებური, ინოვაციური გააზრება სათავეს იღებს ეგრეთ წოდებული ბრანდტლენდის კომისიის ანგარიშის (ოფიციალურად World Commission os Environment and Development, 1987) შემდეგ. ამ ანგარიშის, რომლის სახელწოდებაა "Our Common Future" მთავარი არსია: გარემოსა და მისი განვითარების განუყოფელობა, სწორად აქედან იწყება აქტიური დისკუსიები გარემოს მდგრადი განვითარების ფართო ასპექტებში საზოგადოების ჩართულობის მნიშვნელობაზე. უნდა ითქვას, რომ აღნიშნულმა ანგარიშმა სერიოზული გავლენა მოახდინა რიო –დე– ჟანეიროს სამიტის (Earth Summit in Rio de Janeiro, Brazil, 1992) რეზოლუციებზე ხანგრძლივვადიან გარემოსდაცვითი ღონისძიებების შესახებ. მიუხედავად ამისა, უნდა ითქვას, რომ რიგი მეცნიერებისა ბრანდტლენის კონცეფციას განიხილავდა, როგორც ცუდ კომპრომისს გარემოს დაცვასა და ეკონომიკური ზრდისაკენ სწრაფვას შორის.

შემდგომში ჩამოყალიბდა „ძლიერი მდგრადობის“ თეორია (კონრად ოტი, რალფ დორინგი, 2004), რაც ე.წ. გრეიფსვალდის მიდგომის სახელითაა ცნობილი. ამ მიდგომით მდგრადობა განიხილება როგორც ნორმატიული ტერმინი, რომელიც ეხება ეკონომიკური აქტივობებისა და ცხოვრების სტილის ფორმებს, რაც მომავალი თაობების წინაშე მორალურ ვალდებულებებს ეფუძნება. აქედან გამომდინარე, მდგრადობა ეს არის კოლექტიური მიზანი, რაც იწყება ინდივიდებისაგან და გადადის კოლექტიურ პასუხისმგებლობაში.

ზოგი მეცნიერი დესტინაციის მდგრადობას განიხილავს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ტრივიალურ მოთხოვნად და მიიჩნევს, რომ ეს არის ეკონომიკური და საზოგადოებრივი მდგრადობა და მყარი წონასწორობა მათ შორის. რასაც ჩვენც ვეთანხმებით.

და მაინც, რატომ არის დესტინაციის მდგრადობა ასეთი მიმზიდველი? რამდენად მდგრადი უნდა იყოს დესტინაცია კანონის და/ან მორალის თვალსაზრისით და ხომ არ ეწინააღმდეგება ეს ბალანსი დესტინაციის ეკონომიკური განვითარების კონკურენტულ ინტერესებს?

ოტისა და დორინგის მიხედვით (Ott, K. and Doring, R. Theorie und Praxis starker nachhaltigkeit. Marburg. Metropolis-verlag. 2008), მდგრადობის ეთიკის კონცეფციების თუ არსი მდგომარეობს ახლანდელი და მომავალი თაობების წინაშე სამართლიანობის გავრცელებასა და ვალდებულებების შესრულებაში.

კიდევ უფრო თუ ჩავღრმავდებით, დესტინაციის მდგრადობა არის ეკონომიკური, სოციალური, გარემოსდაცვითი და ეთიკური კატეგორია, რომლის განვითარებასა და დაცვას სჭირდება პასუხისმგებელთა სხვადასხვა კატეგორიები. ამ კატეგორიებს შორის კი ერთ–ერთ მნიშვნელოვნად გვესახება ადგილობრივი საზოგადოება და დესტინაციის მდგრადობას განვიხილავთ პასუხისმგებლობის ორ ჭრილში, კერძოდ:

1.ადგილობრივი საზოგადოების პასუხისმგებლობა

2.პასუხისმგებლობა ადგილობრივი საზოგადოების მიმართ

ბოლო დროს დესტინაციის მენეჯმენტის ინოვაციურ მიდგომად ითვლება ადგილობრივ საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარება (Community Based Tourism), ვინაიდან ტურიზმის როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ზეგავლენას სწორედ ადგილობრივი საზოგადოება განიცდის განსაკუთრებულად.

მაშ ასე, თუ დესტინაციის მდგრადობას შევადარებთ პირამიდას, მის სათავეში უნდა იყოს საზოგადოების მდგრადობა.

რამდენად მდგრადია ადგილობრივი საზოგადოება დესტინაციაში?

ტურიზმის პრიორიტეტულობის აღიარებით საქართველოს ხელისუფლება ცდილობს ტურიზმში უცხოური ინვესტიციების მოზიდვით მიაღწიოს ეკონომიკურ სარგებელს. როდესაც ვსაუბრობთ ლოკალურ დესტინაციებში ტურიზმისაგან პოტენციურ სარგებელზე, პირველ რიგში აღინიშნება ხოლმე სამუშაო ადგილების შექმნა, რაც, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი საკითხია. თუმცა, თუ სამუშაო ადგილების შექმნაში იგულისხმება დამოუკიდებელი, თვითკმარი მეურნე გლეხის ტრანსფორმირება კურორტებზე სეზონურად დასაქმებულ მომსახურე პერსონალთა დაქირავებულ საზოგადოებად – ძნელია ვისაუბროთ პასუხისმგებლობაზე ამ საზოგადოების მდგრადი განვითარების მიმართ. პირიქით, ტურიზმის განვითარების მიზნები უპირველესად ამ საზოგადოების ინტერესებს უნდა ითვალისწინებდეს.

ტურიზმი დესტინაციებში, რომლის მისიაა მდგრადი შემოსავლებისა და კეთილდღეობის მხარდაჭერა, ლოკალურ დესტინაციებში უნდა ემსახურებოდეს შემდეგ მიზნებს:

ა.ტურიზმის ნეგატიური გავლენის მინიმიზაცია და ტურიზმის პოზიტიური გავლენის მაქსიმიზაცია ადგილობრივი საზოგადოებისათვის – ეს არის ტურიზმის სამართლიანი საქმიანობა.

ბ.ტურიზმი ხშირად გამოიყენება ლოკალური დესტინაციის საზოგადოების განვითარების პრომოუტერად, რაც თეორიულად შესანიშნავი მიდგომაა, თუმცა ამ მიდგომის პრაქტიკაში გატარება რიგ პრობლემას ხვდება.

I პრობლემა: საზოგადოების ჰეტეროგენური ბუნება.

საზოგადოება დაყოფილია სხვადასხვა ფენებად, შესაბამისად, ოჯახები და ინდივიდები აცხადებენ პრეტენზიებს პრივილეგიების თაობაზე მათი ფენის სტატუსის შესაბამისად. სამწუხაროდ, საზოგადოების სხავასხვა ფენებს აქვთ სხვადასხვა ხარისხისა და სამართლიანობის მისაწვდომობა ტურიზმის განვითარებაში ჩართვისათვის. აგრეთვე განსხვავებულია სარგებელიც, რაც მათთვის ტურიზმს მოაქვს, ვინაიდან საზოგადოებაზე დაფუძნებული ტურიზმის განვითარების ძალისხმევაში ხშირად დომინირებს ე.წ.ელიტა და, შესაბამისად, ახდენს ტურიზმისაგან სარგებლის მონოპოლიზებას.

იმ შემთხვევაში, როდესაც დესტინაციების მოქალაქეებს მოვუწოდებთ, ჩაერთონ ტურიზმის განვითარებაში, სერიოზული განსჯის საგანი უნდა გახდეს საზოგადოების ყველა ფენის თანაბარი და მიუკერძოებელი მონაწილეობა. სოციალური, ეთნიკური, გენდერული საკითხები, რაც საზოგადოების ჰეტეროგენობას განსაზღვრავს, ტურიზმის დაგეგმვის პროცესშივე უნდა იყოს გათვალისწინებული. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ამგვარი მოწოდება მხოლოდ ფიქციაა.

II პრობლემა: ინფორმაციის დეფიციტი

როგორც წესი, ადგილობრივ საზოგადოებას არ აქვს საკმარისი ინფორმაციული რესურსი და ძალაუფლება ტურიზმით დაინტერესებულ სხვა მონაწილეებთან ურთიერთობებისათვის. ასევე, ის არ არის გამოცდილი ბიზნესში, ისევე, როგორც განსწავლული კანონებსა და ფინანსებში. ამ პირობებში შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განვითარებადი ქვეყნების დესტინაციების ადგილობრივი საზოგადოებები განწირულნი იქნებიან ექსპლოატაციისათვის.

ტურიზმის განვითარებით დაინტერესებულმა განვითარებადმა სახელმწიფოებმა, მათ შორის საქართველომაც, აუცილებლად უნდა უზრუნველყოს ტურისტული დესტინაციების ადგილობრივი საზოგადოებების წვდომა ინფორმაციაზე, უნარებსა და რესურსებზე, რომელიც მათ დასჭირდებათ უპირველესად იმისათვის, რომ მიიღონ ტურიზმის განვითარებაში ჩართვის გადაწყვეტილება. არსებობს ჩართულობის სხვადასხვა სიღრმეები: არაპირდაპირი (მცირე თანხების მოგროვება ტურიზმის მიზნებისათვის) და პირდაპირი (ტუროპერატორების დაარსება, რომელიც ამუშავებს პროდუქტს, რეკლამას უკეთებს მას, ზრუნავს ტურისტების ჩაყვანაზე ლოკალურ დესტინაციაში).

საზოგადოების ჩართულობას ტურიზმში მოიხსენებენ, როგორც „განვითარების ალტერნატიულ სტრატეგიას“.

ზოგადად დესტინაციების მდგრად განვითარებაზე ყურადღების გამახვილება გამოიწვია ბუნებრივ გარემოზე ტურიზმის გავლენის კრიტიკამ. ეკოსისტემების დესტრუქცია, რესურსების ჭარბი გამოყენება, დაბინძურება – ეს განვითარებადი სამყაროს პრობლემებია. ამ პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია ტურიზმის განვითარებით დაინტერესებული ყველა მონაწილის: სახელმწიფო სექტორის, კერძო სექტორის, ადგილობრივი საზოგადოების – მაღალი ხარისხით ურთიერთთანამშრომლობის გარეშე, იმის მიუხედავად, რომ ყველა მათგანს განსხვავებული ინტერესები და მოლოდინები აქვს. თუმცა მივიჩნევთ, რომ დესტინაციის მდგრადი განვითარება სწორედ ადგილობრივი საზოგადოებებისთვის არის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ვინაიდან ტურიზმი სხვადასხვა შედეგებით „იჭრება“ მათ საცხოვრებელ და საარსებო გარემოში. ამ თვალსაზრისით სწორედ მათი ჩართულობაა გადამწყვეტი.

ისმის კითხვა, როგორ უნდა ჩაერთონ ადგილობრივი საზოგადოებები დესტინაციის განვითარებაში, განსაკუთრებით კი იმ ნაწილში, რომელშიც მონაწილეობა კონტროლს ნიშნავს?

შეიძლება გამოვყოთ ჩართულობის 4 დონე:

1.პასიური მონაწილეობა

ამ შემთხვევაში, საზოგადოების მცირე ნაწილს შეუძლია არც ისე მნიშვნელოვანი სამუშაოს მიღება კურორტებზე, ტურისტულ ცენტრებში, ან ჰქონდეს მცირეოდენი პროცენტი შემოსავლებიდან, მაგ., ეროვნულ პარკებთან ან სხვა ატრაქციებთან ახლო მდებარეობის გამო და სხვა.

პასიური მონაწილეობის შემთხვევაში არ არსებობს საზოგადოების კონტროლი ტურიზმის განვითარებაზე.

2.აქტიური მონაწილეობა

აქტიური მონაწილეობის შემთხვევაში საზოგადოებები ფლობენ Pro et Contra ინფორმაციას ტურიზმის განვითარების თაობაზე. პირდაპირ არიან ჩართულნი ტურიზმის დაგეგმვისა და მართვის პროცესში, იცავენ თავიანთ ინტერესებსა და რესურსებს.

3.სანქცირებული მონაწილეობა

ამ შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ინიცირებას უკეთებს და მართავს ადგილობრივი საზოგადოებების მოტივირების პროცესს, რათა ისინი ჩაერთონ ტურისტული დესტინაციის მდგრადი განვითარების ყველა ეტაპზე, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღების დონეზეც. (განვითარებადმა ქვეყნებმა ამ მიმართულებით უკვე დააგროვეს გარკვეული გამოცდილება, მაგ. შექმნილია პროგრამა CAMPFIERE- Communal Area Management Program for Indigenous Recourses-Scheme).

ამ ტიპის მონაწილობისას მართვის პასუხისმგებლობა გადადის ადგილობრივ საზოგადოებაზე, რომელსაც აქვს ძალაუფლება გადაწყვიტოს, როგორ გამოიყენოს საკუთარი რესურსები და როგორ მიიღოს სარგებელი მათგან. ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ლოკალური დესტინაციების საზოგადოებები, როგორც წესი, იღებენ ეკოტურიზმის (ე.წ. მოხმარებითი ფორმა) განვითარების გადაწყვეტილებას.

4.მონაწილეობა დამოუკიდებელ ორგანიზაციებში

იქმნება დამოუკიდებელი ორგანიზაციები, რომლებიც აკონტროლებენ ტურიზმის განვითარებას დესტინაციებში. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ ოპონირებას როგორც კონფრონტაციის გზით, ისე კონფრონტაციის გარეშე.

ეს ორი, ძალზე განსხვავებული სცენარია, თუმცა ორივე შემთხვევაში ტურიზმის განვითარებაში ჩართული მხარეები იძულებულნი არიან იყვნენ დამაჯერებელნი და სანდონი.

ამგვარი ორგანიზაციების შექმნა დიდ შესაძლებლობებს იძლევა მცირემასშტაბიანი ტურიზმის ფორმებში აქტიური მონაწილეობისათვის.

საზოგადოების აქტიური მონაწილეობა დესტინაციის განვითარების დაგეგმვასა და კონტროლში, რაღა თქმა უნდა, იდეალური მდგომარეობაა, თუმცა პრაქტიკაში მისი დანერგვა მარტივი პროცესი არ არის.

ადგილობრივი საზოგადოების აქტიურ ჩართულობას აფერხებს რიგი ფაქტორები, კერძოდ:

1.დესტინაციის ადგილობრივ საზოგადოებას უმეტეს შემთხვევაში არ აქვს საკუთრების განცდა დესტინაციის ტერიტორიისა და რესურსების მიმართ. ამდენად, მათი დაინტერესებისა და პასუხისმგებლობის ხარისხი დაბალია, რაც ხელს უწყობს გარე მონაწილეების კონტროლის ზრდას;

2.ადგილობრივი საზოგადოების დონეზე ძალზე მცირეა დესტინაციის მდგრადი განვითარებისათვის შესაბამისი უნარები, ცოდნა და რესურსები;

3.ღარიბი ადგილობრივი საზოგადოებები თვლიან, რომ ძნელია ფინანსების აკუმულირება ტურისტული ატრაქციების განვითარებისათვის;

4.ვინაიდან ლოკალური საზოგადოება აერთიანებს განსხვავებული ინტერესების მქონე ჰეტეროგენურ ჯგუფებს, შეიძლება მათ შორის ვერ მოხდეს შეთანხმება ტურიზმის პოტენციურად სარგებლიანი ფორმების განვითარების საკითხში;

5.ძნელია მივაღწიოთ კონტროლს ადგილობრივი საზოგადოებების მხრიდან, თუკი ფინანსური რესურსების სიმცირის გამო ისინი ჩართულები არიან პარტნიორულ თანამშრომლობაში ძალზე ძლიერ გარე მონაწილეებთან, რომლებიც აფინანსებენ ტურიზმის განვითარებას.

თუ ვთანხმდებით დესტინაციის განვითარების ხანგრძლივვადიანი მდგრადობის აუცილებლობაზე, ცხადია, ვთანხმდებით ამ პროცესებში ადგილობრივი საზოგადოების უდიდეს როლზეც, რაც წარმატებით ხორციელდება მოწინავე ქვეყნებში. აქ ადგილობრივი საზოგადოებები ახორციელებენ მაკონტროლებლის როლს, განსაკუთრებით კი მცირე მასშტაბების ტურიზმში. შედარებით ნაკლებია მათი მონაწილეობის ინტენსივობა დიდი კაპიტალდაბანდებების საწარმოებში. ასეა თუ ისე, ადგილობრივ საზოგადოებებს შესწევთ ძალა გადაწყვიტონ, არის თუ არა ტურიზმის ესა თუ ის სახეობა მიზანშეწონილი მათი არეალისთვის და ტურიზმის რა ფორმების განვითარება იქნებოდა უფრო ხელსაყრელი მათთვის. მეტიც, როგორც აქტიურ მონაწილეებს, მათ შესწევთ ძალა ტურიზმის განვითარების შესაჩერებლად, თუკი ის საფრთხეს უქმნის მათ კეთილდღეობას.

ჩვენ რეალობაში კი შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ სტრატეგიული გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), უფრო ხშირად კი სხვადასხვა დონის განცხადებები ტურიზმის განვითარების თაობაზე გვარწმუნებენ, რომ ის იძლევა ადგილობრივი საზოგადოების ჩართვის დიდ შესაძლებლობებს მაშინ, როდესაც არ არსებობს ამ მონაწილეობის მიზანმიმართული დაგეგმვის არც ერთი ფაქტი და არ შემუშავებულა მხარდაჭერის პროგრამები.

ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ლოკალური საზოგადოებების გათვითცნობიერება და მათი შესაძლებლობების/უნარების ამაღლებაზე ზრუნვა დაიწყოს დესტინაციებში ტურიზმის განვითარების დაგეგმვის ადრეული სტადიიდან და არა დასრულებულ პროექტებში მათი მოგვიანებით ჩართვით (რაც , ასევე იშვიათად ხდება).

არ არის მიზანშეწონილი, გადაჭარბებულად შეფასდეს ტურიზმის მნიშვნელობა ამა თუ იმ დესტინაციის ადგილობრივი საზოგადოების ეკონომიკური განვითარების საკითხში, თუმცა ნათელია, რომ ამ თვალაზრისით მას დიდი პოტენციალი აქვს.

კერძოდ, რას უნდა ელოდნენ დესტინაციების ადგილობრივი საზოგადოებები ტურიზმის მდგრადი განვითარების პროექტებში ჩართვით?

□"საკუთარი" დესტინაციის ტურიზმის მართვის უფლებამოსილების მოპოვებას;

□დესტინაციის კომერციულ სიცოცხლისუნარიანობას;

□კოლექტიურ სარგებელს;

□ბუნებრივი და კულტურული გარემოს დაცვას;

□საკუთარი საწარმოების დაარსებას და მათ მართვას;

□საზოგადოებისათვის სარგებლიანი კერძო სექტორის საწარმოებს;

□ლოკალურ არეალში ტურიზმის მარკეტინგისათვის პროდუქტის ქსელის შექმნას;

□ადგილობრივი საზოგადოებების საწარმოებს ფართო კოოპერაციების შიგნით;

□კერძო სექტორის განვითარებას საზოგადოებების საკუთრებაში არსებული რეზერვების გამოყენებით;

ფაქტია, რომ ადგილობრივი საზოგადოებების მხრიდან ტურიზმის განვითარების ინიცირება არ ხდება გარე ინვესტორებისა და რესურსების, მცირე მეწარმეების, კერძო ტუროპერატორების, არასამთავრობო ორგანიზაციების, დონორების, საერთაშორისო სააგენტოების და სხვათა გარეშე. დესტინაციების მდგრადი და სამართლიანი განვითარებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ადგილობრივი საზოგადოებების შეთანხმებულ მუშაობას სხვადასხვა რანგის მონაწილეებთან, რომლებიც თავის მხრივ მხარს უნდა უჭერდნენ ამ საზოგადოებების განვითარებას. მონაწილეთა შორის განსაკუთრებულია სახელმწიფო სტრუქტურების როლი და მათი მხარდაჭერა ადგილობრივი საზოგადოებებისათვის ტურიზმის განვითარებაში ჩართვის მიზნით, რისთვისაც შესამუშავებელია მხარდაჭერის სტრატეგია და პოლიტიკა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, მდგრადი დესტინაციების იდეა განუხორციელებელი დარჩება.

გამოყენებული ლიტერატურა;

1. Asker,S. Bononyak,L. and oth. Effective Community Based Tourism. A best Practice Manual. Griffith University, 2010
2. Goodwin, H., Santili, R. Community Based Tourism: a success?. GTZ, Responsible Tourism, 2009
3. Samieson,W. Noakes,S. and oth.SNV and university of Hawaii, 2007

მაია უკლება

ადგილობრივი საზოგადოება და დესტინაციის მდგრადი განვითარება

რეზიუმე

სტატია ეხება ლოკალური ტურისტული დესტინაციების მდგრად განვითარებას და ადგილობრივი საზოგადოების როლს ამ პროცესში. განხილულია დესტინაციების ტურიზმის მდგრად განვითარებაში ადგილობრივი საზოგადოებების მონაწილეობის ფორმები, პრობლემები და ამ პრობლემების დაძლევის გზები.

Maia Ukleba

Local Community and Substainable Development of Destanation

Abstract

This article deals with sustainable development of Tourism destinںtions and the role of local Communities in this process.

The author discusses the local community participation forms in sustainable development of destination tourist.

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიები და საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემაში ინტეგრირება

development. კავშირგაბმულობის მომსახურება სამ საუკუნეზე მეტ ხანს ითვლის. მას შემდეგ, რაც საქმიანი ურთიეთობების განვითარებამ წარმოშვა ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა, საჭირო გახდა ინფორმაციის მატარებლის არსებობა. მის როლს XVIII საუკუნის ოციან წლებში (1720წ) ,,საფოსტო მტრედი'' ასრულებდა, რაც იმხანად, საფოსტო კავშირის თავისებური სახე იყო. მოგვიანებით კი (1832წ) პ. შილინგის მიერ, მორზეს ანბანის საფუძველზე, გამოგონებულ იქნა სატელეგრაფო აპარატი.[1] 1882 წელს თბილისში პირველი ტელეფონები, ხოლო 1893 წელს პირველი სატელეფონო ქსელი ამუშავდა.[2] 1893 წლის ივლისის პირველ რიცხვებში თბილისში ჩამოსულმა ე. გვოზდევმა, ინჟინერ ა. ბუნგერთან ერთად გადაწყვიტა ტელეგრაფის ხაზით სატელეფონო კავშირი დაემყარებინა თბილისსა და კოჯორს შორის. 11 ივლისს ,,თბილისი და კოჯორი ერთმანეთს დაუკავშირდა გვოზდევის ტელეფონით,რომელიც ტელეგრაფთან ერთდროულად და ერთ ხაზში ამოქმედდა''.[3]

თბილისის შემდეგ, 1895წ. ტელეფონები ამუშავდა ბათუმსა და ფოთში. 1900 წლისათვის თბილისის სატელეფონო ქსელში ჩართული იყო 682 აბონენტი; საჰაერო ხაზების საერთო სიგრძე 214 კილომეტრს შეადგენდა, მას ემსახურებოდა 34 თანამშრომელი, მიწისქვეშა კაბელები არ იყო გაყვანილი. ბათუმის სატელეფონო ქსელს კი 134 აბონენტი ჰყავდა, რომელთაც მომსახურებას 8 თანამშრომელი უწევდა, საჰაერო ხაზების სიგრძე 22 კილომეტრი იყო. ფოთი სატელეფონო ქსელში 41 აბინენტი იყო ჩართული სულ 4 მომსახურე პერსონალით. საჰაერო ხაზების სიგრძე კი 19 კილომეტრი იყო. ქუთაისში კი, აბონენტთა არასაკმარისი რაოდენობის გამო, სატელეფონო ქსელი მხოლოდ 1905 წელს ამოქმედდა. ამ დროისათვის ქუთაისის სატელეფონო ქსელს 75 აბონენტი ჰყავდა. ქუტაისის ტელეფონები ერთმანეთთან პირველად შეაერთეს ტელეფონისტებმა მიქელაძემ და ასათიანმა.[4]

საქართველოში პირველი სატელეფონო სადგურების ამოქმედებიდან ორი ათეული წლის შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ავტომატური სატელეფონო სადგურების მშენებლობის საკითხი. 1935 წელს ავტომატური სატელეფონო სადგურების ტევადობა 17 300 ნომერს აღწევდა. 1937 წლისათვის კი სატელეფონო ქსელების მონტირებული ტევადობა 19 400 ნომერი იყო, აბონენტების რიცხვი კი 16 000 შეადგენდა.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გაფართოვებამ ასახვა კავშირგაბმულობის დარგზეც ჰპოვა. ლაზერის სხივის გამოყება შესაძლებელი გახდა რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიაში. უფრო მოგვიანებით კი სატელეკომუნიკაციო სფეროში ფართო გამოყენება ჰპოვა ოპტიკურმა ბოჭკომ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი 100 –ჯერ ნაკლებს იწონის ვიდრე სპილენძის კაბელი. 13 მილიმეტრიან დიამეტრიც მქონე კაბელს იმდენივე ინფორმაციის გადაცემა შეუძლია, რაც სპილენძის მსხვილ კაბელებს. ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელები კოროზიისაგან დაცულები არიან და მათი გაყვანა ზღვებსა და ოკეანეებშიც შესაძლებელია.

90-იან წლებში საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ განახრციელა დარგის სტრუქტურული რეორგანიზაცია. შედეგად, 1994 წელს საქართველო შეუერთდა პროექტს ტრანსაზია-ევროპის ოპეტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემის (TAE) სახელწოდებით. TAE-ს ტერმინალებად დამტკიცდა ევროპაში – ფრანკფურტი (გერმანია), ხოლო აზიაში შანხაი (ჩინეთი). საკაბელო ტრასის მთლიანი სიგრძე 17 000 კმ-ია. საქართველოსთვის ამ პროექტს დიდი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს. იგი უზრუნველყოფს ქვეყნის მოსახლეობას უმაღლესი ხარისხის პირდაპირი კავშირით მის წევრ ქვეყნებთან; ასევე შესაძლებელია სატრანზიტო ტრაფიკისგან მყარ ვალუტაში შემოსავლის მიღება.[5]

ზღვებსა და ოკეანეებში ჩადებული მაგისტრალების გამოყენებით საერთაშორისო სატელეფონო კავშირი დამყარებულია მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანაში. წყალქვეშა კაბელების სერიოზული კონკურენტია კავშირგაბმულობის თანამგზავრი.

ღია ეკონომიკის პირობებში, გლობალურ სივრცეში ქვეყნების ინტეგრირებამ, სულ უფრო მეტად წარმოაჩიანა საქართველოს მრავალფეროვანი რესურსული პოტენციალი. მსოფლიოს ყურადღება კი უფრო მეტად მისმა გეოპოლიტიკურმა პოტენციალმა მიიპყრო, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების აუცილებლობა. აღნიშნულის გამოხმაურება იყო 2002 წელს საქართველოსა და განვითარებულ ქვეყნებს შორის ციფრული

---

[1] ბ. ბოჭორიშვილი, ა. კარბელაშვილი, სატელეფონო კავშირების განვითარება და პერსპექტიული სიახლები რესპუბლიკაში; თბ. 1990; გვ.70

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1980; ტ.5; გვ. 313

[3] ბ. ბოჭორიშვილი, ა. კარბელაშვილი, სატელეფონო კავშირების განვითარება და პერსპექტიული სიახლები რესპუბლიკაში; თბ. 1990; გვ.70

[4] ბ. ბოჭორიშვილი, ა. კარბელაშვილი, სატელეფონო კავშირების განვითარება და პერსპექტიული სიახლები რესპუბლიკაში; თბ. 1990; გვ.96.

[5] საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ,საქართველოს ტელეკომუნიკაცია'' – 1996; № 6;

უთანასწორობის შემცირების მიზნით შემუშავებული სახელმწიფო კონცეფცია.[1] ეს დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას; შესაბამისიო ბაზრისა და კორპორატიული სისტემების განვითარებას; საინფორმაციო და საკომუნიკაციო სფეროს კანონმდებლობის მართვის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობასა და საბოლოო ანგარიშით ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების ჩამოყალიბებას.

მიუხედავად მსოფლიოს ტელეკომუნიკაციის გიგანტების დიდი ფინანსური და ტექნიკური შესაძლებლობებისა, დღეს საქართველოს საკომუნიკაციო სისტემა სერიოზულ განაცხადს აკეთებს მსოფლიოს ბაზარზე შესაღწევად. ამის საფუძველია დედამიწის თანამგზავრზე მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური ქართული რეფლექტორული ანტენის გაშვება, რომელსაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-ეკონომიკური დატვირთვა აქვს და ,,საუკუნის პროექტებად'' ცნობილი (,,ტრასეკა"; ,,ტაე"; ,,ნაბუქო" და ა.შ.) პროექტების უსაფრთხო და უწყვეტი ფუნქციონირების გარანტია.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების განვითარების თანამედროვე მოთხოვნებმა გამოიწვია ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემების, ციფრული ქსელებისა და ფიჭური კავშირგამბმულობის სწრაფი დანერგვა-განვითარება.

უკანასკნელ წლებში საქართველოს ეკონომიკაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებების შედეგად, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების სფეროში, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემაში ინტეგრაციის მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. დაინერგა კავშირგაბმულობის საშუალებების და მომსახურების ახალი სახეობები. ტელეკომუნიკაციების ბაზარზე სულ უფრო ვითარდება კონკურენცია, რაც დადებით გავლენას ახდენს დარგის განვითარებასა და, რაც მთავარია, მომსახურების ხარისხზე.

2000 წლიდან დაწყებული, ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის შემოსავლების წილი მთლიან შიდა პროდუქტში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2001 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 3,76%-ს შეადგენდა, 2006 წლისათვის კი 7,49%-ს მიაღწია. 2007 წელს შემცირდა მშპ-ის ზრდის უპრეცედენტო ტემპის ფონზე, 2008 წელს ისევ მოიმატა, 2009 წელს 6,9%-ს, 2010 წელს კი 13.0% შეადგენდა.

საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ყოველთვიური შემოსავლების საშუალო ოდენობა მოსახლეობის ერთ სულზე 2003 წელს 9,48 ლარი, 2007 წელს – 21,1 ლარი, ხოლო 2008 წელს 24,96 ლარი იყო. აღნიშნული ზრდა დაფიქსირდა საკომუნიკაციო მომსახურების საერთო ტარიფების დონის შემცირების შედეგად.

2008 წელს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანი შემოსავალი (დღგის ჩათვლით) ზრდით ხასიათდებოდა და 1 მლრდ 312 მლნ ლარზე მეტი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 199 056 მლნ ლარით მეტია.

გრაფიკი 1

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის
მომსახურების შემოსავლების დინამიკა 2005-2009 წლებში
წინა წელთან შედარებით (%) [2]



მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე, საქართველოში ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის მთლიანი შემოსავლების კლება აღინიშნა 2009 წელს და 1 მლრდ 250 მლნ ლარი შეადგინა (დღგ-ის ჩათვლით).

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კავშირგაბმულობის ასეთი მაღალი ტემპებით ზრდის მიუხედავად, გაწეული მომსახურების ფასი ახალი ტექნოლოგიებისა და მომსახურების ახალი სახეობების და-

[1] საქათველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის ციფრული უტანასწორობის შემცირების სახელმწიფო კონცეფცია - პირველი ნაწილი, ელექტრონული მთავრობა; თბ.2002; გვ.1

[2] საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში, 2009. გვ.49

ნერგვის შედეგად არ გაზრდილა, ხოლო მის ცალკეულ სახეობებში შემცირდა კიდეც (მაგაკითად, საერთაშორისო სატელეფონო კავშირები).

ელექტრონული საკომუნიკაციო ბაზრის ცალკეულ სეგმენტებზე მოქმედი ოპერატორების მიერ მიღებული შემოსავლების პროცენტული განაწილება მომსახურების სახეების მიხედვით და მათი მატების დინამიკა ნათლად მეტყველებს დარგის საერთო განვითარების ტენდენციებზე.

ცხრილი 1

საქართველოს ფიქსირებული სატელეფონო კავშირის ოპერატორები 2000 წ.[1]

ასახელება	დაარსे-ბის წელი	გადართვის სისტემა	ბაზრის მოცულობა	აბონენტების რაოდენობა; ათასი
„საქართველოს ელექტრო კავშირი“	1995	ბიჯური, ჯვარედინი, დიგ. AXE	69%	361
„საქართველოს ტელეკო-მი“	1994	სიმენსი 2xEWSD	17%	250
„ფოტნეტი“			10%	150
„ახალი ქსელები“	1996	ციფრული გადართვა - Daewoo, Alcatel	4%	120
„ეგრისი“	1997	Teldar DMS300 12K trunks instl.		
„იბერიატელი“	1998	Teldar DMS10		
საქართველოს ცენტრა-ლური კომუნიკაციები	1995	Alcatel S-12		
საკაბელო ტელევიზია „აი-ეტი''				
„საქტელკომპლუსი“	1998			
„გუდვილკომიი“	1998			

საქართველოში ელექტრონული კომუნიკაციების ბაზარი ძირითადად სამი სეგმენტით არის წარმოდგენილი: ფიქსირებული სატელეფო ქსელი, მობილური ქსელი და მაუწყებლობა (რადიო და ტელე).

საქართველოს საკომუნიკაციო მომსახურების ბაზარზე 2000 წლისათვის წარმოდგენილი 14 ოპერატორიდან 10 ფიქსირებულ სატელეფონო ბაზარს მოიცავდა, სამი ფიჭურს, ერთი კი პეიჯერულ კავშირგაბმულობის ოპერატორს წარმოადგენდა.

საქართველოს ელექტრო კავშირი ადგილობრივი მომსახურების ოპერატორია. იგი მოიცავს საქართველოს მთელ ტერიტორიას და უზრუნველყოფს საერთაშორისო კავშირებს. ის აგრეთვე საერთაშორისო სატრანზიტო სატელეკომუნიკაციო პროექტების პარტნიორია. რიგით მესამე ოპერატორს წარმოადგენს ,,ფოტნეტი'', როემლიც ფლობს ყველაზე დიდ ოპტიკურ-ბოჭკოვან ქსელს. მას ეკუთვნის ტრანს-აზია-ევროპის (TAE) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელი და ჰყავს 150 ათასი აბონენტი.

ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე შემოსავლების უმეტესი წილი 2000-2008 წლებში სს „საქართველოს გაერთიანებულ სატელეკომუნიკაციო კომპანიაზე“ მოდიოდა. ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების აბონენტების (აქტიური სატელეფონო ხაზების) რაოდენობა 2000-2007 წლებში 98 447-ით გაიზარდა და 2008 წლის დასასრულს 618 ათასი აბონენტი შეადგინა. ფიქსირებული საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის ჯამური შემოსავლები 2008 წელს 381 მლნ ლარამდე გაიზარდა (52 მლნ ლარით, წინა წელთან შედარებით) და საკომუნიკაციო დარგის მთლიანი ბაზრის შემოსავლებში 29% შეადგინა.

რაც შეეხება მობილურ ქსელს, 2008 წელსაც წინა წლების მსგავსად, მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ზრდის ტენდენცია შენარჩუნდა და ამ სეგმენტის შემოსავლებმა თითქმის 831 მლნ ლარს მიაღწია, რაც 2007 წელთან შედარებით 123 327 მლნ ლარით მეტია. მობილური საკომუნიკაციო ბაზრის ზრდის ტემპი დარგში ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება, ხოლო მისი წილი მთლიანად ბაზარზე 63%-ია. 2008 წელს გაგრძელდა მობილური ქსელის აბონენტების ზრდა, თუმცა, 2007 წლის რეკორდული მატების ნიშნულს (895 ათასით მატებას) ვერ მიაღწია. 2008 წელს დაფიქსირდა 155 383-ით მეტი აბონენტი, რამაც, საერთო ანგარიშით მობილური ქსელის 2 599 704 აბონენტი შეადგინა. მობილური სატელეფონო მომსახურების აქტიური აბონენტების რაოდენობამ ჯერ კიდევ 2003 წელს გადააჭარბა ადგილობრივი სატელეფონო მომსახურების აბონენტების რაოდენობას. 2009 წელს პირველად საქართველოში დაფიქსირდა მობილური სატელეფონო მომსახურების 74 მლნ ლარით კლება. მობილური შემოსავლების ზრდის ტემპი 2006 წელს 53,05% იყო, 2007 წელს 8,53%, 2008 წელს კი - 25, 67%.[2]

მობილური სატელეფონო ქსელი სატელეკომუნიკაციო ბაზარზე დღეისათვის სამი კომპანიითაა წარმოდგენილი: შპს ,,მაგთიკომი", შპს ,,ჯეოსელი" და შპს ,,მობიტელი''(ბილაინი). ეს უკანასკნელი შედა-

[1] საქათველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის ციფრული უტანასწორობის შემცირების სახელმწიფო კონცეფცია; თბ.2002; გვ.5

[2] საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში, 2009. გვ. 55-58

რებით ახალი ოპერატორია ქართულ ბაზარზე. მან საქმიანობა 2007 წელს დაიწყო და უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული აქტიური კამპანიის შედეგად დიდი რაოდენობის მომხმრებლის (140 271 ახალი აბონენტი) მოზიდვა მოახერხა.[1]

ცხრილი 1

კავშირგაბმულობის ძირითადი მაჩვენებლები
1990-2009 წლებში*

წლები	სატელეფონო სადგურების რაოდენობა, ერთეული	სატელეფონო ქსელში ჩართული აბონენტების		ფიქსური კავშირის აბონენტების რაოდენობა, ათასი
		სულ ათასი ერთეული	აქედან, ბინის	
1990	1101	705,5	517,6	_
1995	737	626,3	512,5	_
2000	427	572,4	404,6	185,5
2001	409	582,3	394,0	284,0
2002	405	584,0	389,4	412,8
2003	396	588,3	363,8	560, 8
2004	318	532,8	445,1	840,6
2005	346	544,4	480,8	1174,3
2006	364	571,7	507,6	1703,9
2007	221	577,2	500,2	2310,4
2008	202	571,6	503,5	2755,1
2009	237	611,1	541,3	3130,5

საქართველოს ტელესაკომუნიკაციო ბაზარზე ტელერადიომაუწყებლობის ბაზრის ლიბერალიზაციის და გაფართოების ტენდენცია 2008 წელსაც დაფიქსირდა. აღნიშნული სეგმენტი ეკონომიკურად მომგებიან სექტორად ჩამოყალიბდა. 2008 წლის მონაცემებით, მისი წილი მთლიანად ელექტრონული კომუნიკაციების ბაზრის 7,7%-ია. აბსოლუტურ მონაცემებში მან 100,5 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 20,5 მლნ ლარით მეტია.

ფართო მოხმარებით სარგებლობს ინტერნეტსექტორი. ინტერნეტის ქსელით მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები, ისევე როგორც ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა, წლიდან წლამდე იზრდება. 2008 წელს შემოსავლების ზრდამ, წინა წელთან შედარებით, თითქმის 23 მლნ ლარს მიაღწია. რაც შეეხება ADSL აბონენტების რაოდენობას, 2004 წელს მათი რიცხვი 4 245 იყო, 2005 წელს – 15 263, 2007 წელს – 41 234, ხოლო 2008 წელს - 96 131. ინტერნეტმომსახურების საბოლოო მომხმარებელთა რაოდენობამ კი 2008 წელს 903 ათასს გადააჭარბა.

ცხრილი 3

ინტერნეტმომსახურების შემოსავლები საქართველოში[2]



ბოლო წლებში განხორციელებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა მნიშვნელოვნად გაამარტივა ლიცენზირების პროცედურაც. საქართველოს კანონის - "ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ" შესაბამისად ლიცენზირება შეიცვალა ავტორიზაციით, რომელიც გულისხმობს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით უზრუნველყოფის ან ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების

[1] იქვე, გვ. 51
* საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული -2010; გვ. 204
[2] ***საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; წლიური ანგარიში 2009; გვ.60***

მიწოდების განმახორციელებელი პირის საქმიანობის რეგისტრაციას. ლიცენზირებას ექვემდებარება მხოლოდ ამოწურვადი რესურსით სარგებლობის უფლების მოპოვება.

2009 წელს ავტორიზაცია გაიარა საქართველოს ტელესაკომუნიკაციო ბაზარზე მონაწილე 45 იურიდიულმა და ფიზიკურმა პირმა შემდეგ მომსახურებებზე: ადგილობრივი საკომუნიკაციო მომსახურება –20; ინტერნეტმომსახურება –22; საკაბელე სატრანზიტო ტელემაუწყებლობა –25; საერთაშორისო საკომუნიკაციო მომსახურება - 20; მობილური საკომუნიკაციო მომსახურება –10; საქალაქთაშორისო სკომუნიკაციო მომსახურება –20; სამაუწყებლო მომსახურება –16; საკაბელო სატრანზიტო რადიომაუწყებლობა –30; სხვა საკომუნიკაციო მომსახურება -9; საკაბელო სატრანზიტო ტელემაუწყებლობა – 61.

მიუხედავად მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, საქართველოში არ შენელებულა ინვესტირების ტემპები სატელეკომუნიკაციო სფეროში. 2010 წლის მონაცემებით, ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35,1% ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე მოდის.

კავშირგაბმულობის დარგის ბრუნვის მოცულობა 2010 წლის I კვარტალის მდგომარეობით 517.4მლნ ლარს შეადგენს; გამოშვების მოცულობის წილად კი ამავე პერიოდში 382.3მლნ ლარი მოდის.[1]

XXI საუკუნე საქართველოს კავშირგაბმულობისათვის წარმატებით დაიწყო. იგი გაწევრიანდა "ევროპის ქვეყნების ფოსტის და ტელეკომუნიკაციების ადმინისტრაციათა კონფერენციაში" (CEPT). ამ რეგიონული ორგანიზაციის მეშვეობით კავშირგაბმულობისა და ფოსტის სფეროში განხორციელდება საქართველოს ინტერესების ლობირება ევროსაბჭოში და ევროკავშირში, აგრეთვე გაეროს ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორებიცაა საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი (ITU) და მსოფლიო საფოსტო კავშირი (UPU).

საქართველოს მთავრობის პროგრამაში ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ინფოკომუნიკაციები იქნა აღიარებული, რადგანაც მათ უნდა უზრუნველყონ ქვეყანაში საინფორმაციო საზოგადოების მშენებლობის პროცესების დაჩქარება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის წინაშე დგას აუცილებლობა, შემუშავებული იქნას საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული სტრატეგია, რათა ინფოკომუნიკაციების სფეროში შეიქმნას საფუძველი მიზნობრივი პროგრამების განხორციელებისთვის. ინფოკომუნიკაციების სექტორის პირველ რიგში გადასაწყვეტ პრობლემებს წარმოადგენენ ინფოკომუნიკაციებისა და ფოსტის ქსელების ინტელექტუალიზაცია და გლობალიზაცია. ამ მიმართულებით მიმდინარეობს მუშაობა კანონპროექტებზე "ფოსტის შესახებ", "ელექტრონული ხელმოწერის შესახებ", "ელ-კომერციის შესახებ" და ხორციელდება მათი ევროპულ საკანონმდებლო სივრცეებთან სრული ჰარმონიზება.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიო-კომუნიკაციების ბიუროს (RB) რეკომენდაციით, მსოფლიოს ყველა ქვეყანა თანდათან უნდა გადავიდეს ციფრულ მაუწყებლობაზე რაშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო აქტიურადაა ჩართული საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან ერთად.[2]

საინფორმაციო საზოგადოების ფორმირებისათვის და აღნიშნულ სფეროში ინტეგრაციის კუთხით, უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები: საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ინიციატივით, მსოფლიო ბანკისა და გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, დასრულდა მუშაობა საქართველოში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამის შემუშავებაზე. ქვეყნის ეკონომიკაში გააქტიურდა ICT ბიზნეს-სექტორი; სახელმწიფო დაწესებულებებში დაინერგა ლოკალური საინფორმაციო ქსელები (LAN); მთავრობა აქტიურად მუშაობს სამთავრობო სტრუქტურების ბაზაზე ერთიანი სამთავრობო ქსელის შექმნაზე; ICT-კომპონენტები შეიქმნა და გამოყენებული იქნა მრავალი საერთაშორისო პროექტის ფარგლებში; საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენები ეუფლება კომპიუტერულ განათლებას; შეიქმნა და ექსპლუატაციაში გადაიცა ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო ხაზი სამხრეთ კავკასიის ქვეყნების (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) სარკინიგზო მაგისტრალების გასწვრივ. იზრდება თანამედროვე ციფრული სისტემებით მოცული ადგილობრივი სატელეფონო (ფიქსირებული) ქსელების აბონენტთა და ამ სისტემებით აღჭურვილი მაგისტრალური საქალაქთაშორისო საკაბელო და რადიოსარელეო ხაზებით ორგანიზებული არხების რაოდენობა. აღინიშნება მობილური ფიჭური რადიოსატელეფონო ქსელებით ქვეყნის ტერიტორიის დაფარვის და ამ ქსელების აბონენტთა ზრდა და ა.შ.

2009 წლის მაისში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა (EBRD) მსოფლიოს 29 ქვეყნის საკომუნიკაციო სექტორი გამოიკვლია. კვლევა ეხებოდა საქართველოსაც. მსო-ს მიერ შემუშავებული სარეკომენდაციო დოკუმენტთან შესაბამისობის შემოწმების შედეგად, საქართველომ მაღალი შეფასება მიიღო. EBRD - ის განცხადებით საქართველომ ეს პოზიცია საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის, არსებული მარეგულირებელი ჩარჩოსა და ინსტიტუციური თვალსაზრისით დაიკავა.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია სამომავლოდ კვლავაც ისახავს საკომუნიკაციო ბაზრის ლიბერალიზაციის პოლიტიკის ფართოდ გატარებას. მისი სტრატეგიული მიზნებიდან აღსანიშნავია ანალოგური ქსელის მთლიანად ციფრულით შეცვლა, ტარიფების რებალანსირება და ტე-

[1] საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა; 2010წ. I კვარტალი; გვ.17-18

[2] www.economy.ge

ლეკომუნიკაციის ბაზარზე კონკურენციის ხელშეწყობა ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და საქართველოს ტელესაკომუნიკაციო ბაზრის ევროსივრცეში ინტეგრაცია.[1]

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ. 1980; ტ.5;
2. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი ,საქართველოს ტელეკომუნიკაცია'' – 1996; № 6;
3. საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისია. წლიური ანგარიში, 2009.
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული - 2010;
5. საქათველოსა და მოწინავე ქვეყნებს შორის ციფრული უტანასწორობის შემცირების სახელმწიფო კონცეფცია; თბ.2002;
6. ბ. ბოჭორიშვილი, ა. კარბელაშვილი, სატელეფონო კავშირების განვითარება და პერსპექტიული სიახლები რესპუბლიკაში; თბ. 1990;
7. ლ. ჩაგელიშვილი – ტექნიკური პროგრესი და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა სქართველოს კავშირგაბმულობაში; თბ.1999
8. ლ. ჩაგელიშვილი – საქართველოს კავშირგაბმულობა მსოფლიო საინფორმაციო კომუნიკაციის სფეროში თბ. 2000

[1] *საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია; წლიური ანგარიში 2009; გვ.43; 68*

ლალი ჩაგელიშვილი-აგლაძე

ინფორმაციული ტექნოლოგიები და საქართველოს ტელეკომუნიკაციის სფეროს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო სისტემაში ინტეგრირება

რეზიუმე

გლობალურ სივრცეში ქვეყნების ინტეგრირებამ, სულ უფრო მეტად წარმოაჩიანა საქართველოს მრავალფეროვანი რესურსული პოტენციალი. მსოფლიოს ყურადღება კი უფრო მეტად მისმა გეოპოლიტიკურმა პოტენციალმა მიიპყრო, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების აუცილებლობა.

ნაშრომში ასახულია საქართველოს საინფორმაციო კომუნიკაციების სფეროს ევოლუცია; გაკეთებულია საკომუნიკაციო ბაზრის დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და მოცემულია მისი განვითარების პერსპექტივები.

Lali Chagelishvili-Agladze

Informational Technologies and Integration of Telecommunicative Sphere of Georgia in Iinternational Telecommunicative System

Abstract

Integration of the countries in global space puts forward variety of potential of Georgian resources. The world attention was paid to its geopolitical potential which caused necessity of rapid development of informational technologies.

In the article the author describes the evolution of the sphere of informational communications. She makes analysis of nowadays market in communication and gives perspectives for its Development.

გელა ჭიკაძე, ვალიდა სესაძე

ღია ეკონომიკაში ფასების ფორმირების ანალიზი და მათემატიკური მოდელირება

მათემატიკური მოდელირების მეთოდები, როგორც ვიცით, გამოიყენება მაკროეკონომიკურ კვლევებშიც.

ჩვენს ნაშრომში განვიხილეთ ფასების ფორმირების მოდელი ღია ეკონიმიკის პირობებში, როდესაც ქვეყანაში არის ძალიან დიდი ნაკადი იმპორტული სამომხმარებლო საქონლისა. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კავშირი, იმპორტული სამომხმარებლო საქონლის ფასებსა და სამამულო საქონლის ფასებს შორის, ბუნებრივია ეს კავშირი არსებობს და ძალიან მტკივნეულად აისახება იმ მუშაკების ხელფასებზე, რომლებიც მუშაობენ მოცემული ეკონომიკური სისტემის შიგნით თუ გარეთ.

ჩვენთვის სასურველი ეკონომიკური სისტმის ინდექსი აღვნიშნოთ g ხოლო გარე ეკონომიკის ინდექსი იყოს s.

⇨ ვთქვათ ეკონომიკურ სისტემაში მოცემულია სამი სექტორი:

⇨ R – საწყისი რესურსების აღწარმოების სექტორი, R(t) - t ურ წელში გამოშვებული პროდუქციით.

⇨ X – საზოგადოებრივი მოხმარების წარმოების სექტორი, X(t) – t ური წლის წარმოების მოცულობა(თავდაცვა, მეცნიერება, საზოგადოებრივი მოხმარების ფონდები და ა.შ.).

⇨ Y – პირადი მოხმარების სექტორი, Y(t) - t ური წლის წარმოების მოცულობა.

თითოეული სექტორის ფუნქციონირების პროცესი შეიძლება აღწერილ იქნას წრფივი საწარმოო ფუნქციების საშუალებით:

$$R(t) = \alpha_R R_R(t-1),\ X(t) = \alpha_X R_X(t-1),\ Y(t) = \alpha_Y R_Y(t-1)$$

სადაც α_R =cost, k=R,X,Y.

R_k - k ური დარგის საწყისი რესურსების მოცულობა, $\alpha_R > 1$ (ნიშნავს, რომ პირველ სექტორში პირველ სექტოტრში ჩართვას და წარმოების მოცულობის ზრდას). α_K კოეფიციენტი გვიჩვენებს თუ ნედლეულის ერთეული რამდენ რამდენ k ური ტიპის პროდუქტად გარდაიქმნება.

საწყისი პირობები:R(0)= R_0, X(0)=Y(0)=0. სიდიდეები $R_k(t) = y_k(t)R(t)$,

$\sum_k y_k(t) \le 1 \quad \forall t$ თვის. თითოეული β_k შრომადანახარჯების კოეფიციენტები ითვლება, რომ მუდმივი სიდიდეებია, რაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ შრომითი განვსაზღვროთ შრომითი მოთხოვნილებები: $l_k(t) = \beta_k R_k(t)$, k=R,X,Y.

შრომითი ზრდა მოცემული დროის განმავლობაში ცნობილია: $l(t) = l_0 e^{\xi t}$.

ვთქვათ $\omega_g(t)$ – ერთი დასაქმებულის შემოსავალი g –ურ ეკონომიკაში, რომელიც გამოყოფილია t –ურ წელს პირად მოხმარებაზე. იგივე მონაცემი S –ურ ეკონომიკაში აღვნიშნოთ $\omega_S(t)$-ით. სიმარტივისათვის ჩავთვალოთ, რომ ხელფასი, გადასახადი და გადახდისუნარიანობა ერთნაირია ყველა g –ურ ეკონომიკაში მომუშავე ადამიანებისათვის.იგივე შეიძლება ითქვას S –ური ეკონომიკისთვისაც, ამასთან ცნობილია ისიც თუ, წარმოების მუშაკები ხელფასის რა ნაწილს გამოყოფენ მოხმარებაზე.

ვთქვათ y_g და y_S - ხვედრითი პირადი მოხმარებებია g –ურ და S –ურ ეკონომიკებში, $L_k(t)$- სამუშაოს მიღება t –ურ წელს, ანუ მდებარეობს k-ური ეკონიმიკის (t,t+1) ინტერვალზე $l_k(t)$ –არის g –ური ეკონომიკის k –ური სექტორის, რიცხვი (t,t+1) ინტერვალში. ასეთივე სიდიდეებია $l_g(t)$ და $l_s(t)$ ანუ დასაქმებულთა საერთო რიცხვი g –ურ და k –ურ ეკონომიკებში შესაბამისად (t,t+1) ინტერვალში.

ვთქვათ ახლა C_{gY} და C_{SY} არიან პირადი მოხმარების ფასი შესაბამისად g –ურ და S –ურ ეკონომიკებში.

განვიხილოთ სიტუაცია, როდესაც ყველა მწარმოებელი არის ფასისა და მოგების დამოკიდებულების გრაფიკის საწყის შტოზე. ასეთ სიტუაციაში, ბუნებრივია საჭიროა ყველაფერი (ანუ წარმოებული პროდუქცია) გაიყიდოს და მეორე მწარმოებლის მისწრაფება მოგების მაქსიმიზებისაკენ ნიშნავს, რომ ისინი დაინტერესებულნი არიან წარმოებისა და წარმოებული პროდუქციის მოცულობის გაზრდაში.

ხარჯები მოხმარებაზე განსაზღვრავენ ხვედრით ხარჯებს, რაზეც არის დამოკიდებული შრომითი წინადადება. ჩავთვალოთ, რომ თანამშრომლები ახორციელებენ რა არჩევანს S და g ეკონომიკებს შორის, თანაც ეს ერთნაირად, ხელფასების თანაფარდობის მიხედვით: $p = \frac{\omega_S}{\omega_g}$.

$$L(t) = \sum_k L_k(t) = \Gamma(p)l(t), \quad \Gamma(p) \in (0;1), \quad (\frac{\partial \Gamma}{\partial p}) < 0.$$

ვთქვათ e_g და e_S – არიან შესაბამისად, ხარჯების ის წილები ω_g და ω_S, რომლებიც გამოიყოფიან პირადი მოხმარებისათვის, რომელიც მიეკუთვნება g - ურ ეკონომიკას. აქედან გამომდინარე წონასწორობის პირობა S-ურ და g-ურ ეკონომიკებში მოთხოვნასა და პირადი მოხმარების წინადადებებს შორის შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი განტოლებებით:

$$e_g \omega_g l_g + e_S \omega_S l_S = C_{gY} Y_g, \quad (1-e_g)\omega_g l_g + (1-e_S)\omega_S l_S = c_{Sy} Y_S; \quad l_g, l_S \in [0;1]$$

უნდა აღინიშნოს ,რომ მომხმარებელთა მისწრაფება , შეიძინონ იქ სადაც უფრო იაფია, გამოიწვევს ფასების გაზრდას, იმის გამო, რომ გაიზრდება იმ ფულის მასა, რომელიც გადაიხდება საქონლის გარკვეულ მოცულობაზე. მაშასადამე ფასები C_{gy} და C_{Sy} დამოკიდებულნი არიან e_g და e_S ზე. ბუნებრივია თანამშრომელთა სურვილი მაქსიმალურყონ თავიანთი მოხმარების ხვედრითი წილი, შეიძლება ჩაწერილი იქნას ფორმულებით:

$$\max(\frac{e_g \omega_g}{C_{gY}} + \frac{(1-e_g)\omega_g}{C_{SY}}), \quad \text{და} \quad \max(\frac{e_S \omega_S}{C_{gY}} + \frac{(1-e_S)\omega_S}{C_{SY}}).$$

მოთხოვნილებებისა და წინადადებების წონასწორობის პირობიდან გამომდინარეობს,რომ :

$$C_{gY} = \frac{e_g l_g \omega_g + e_S \omega_S l_S}{Y_g}, \quad C_{gY} = \frac{(1-e_g)\omega_g l_g + (1-e_S)\omega_S l_S}{Y_S}.$$

ამის შემდეგ ხვედრითი მოხმარებების ფორმულაში თუ ჩავსვავთ ფასებს მივიღებთ:

$$y_g = \frac{e_g Y_g}{e_g l_g + p e_S l_S} + \frac{(1-e_g)Y_S}{(1-e_g) l_g + p(1-e_S) l_S},$$

$$y_S = \frac{p e_S Y_g}{e_g l_g + p e_S l_S} + \frac{p(1-e_S)Y_S}{(1-e_g) l_g + p(1-e_S) l_S}, \quad p = \frac{\omega_S}{\omega_g}.$$

აღსანიშნავია, რომ $\forall e \in (0;1)$ $e_g = e_S = e$ თვის გვექნება

$$y_g^* = y_g(e,e) = \frac{Y_g + Y_S}{l_g + p l_S}, \quad y_S^* = y_S(e,e) = \frac{p(Y_g + Y_S)}{l_g + p l_S},$$

$y_g(e_g, e_s)$ და $y_S(e_g, e_s)$ ზედაპირების თავისებურებები შეიძლება დავინახოთ თუ გავაანალიზებთ ჯერ $e_g = e_f$ ხოლო შემდგომ $e_S = e_f$ კვეთებს (e_f რაღაცა ფიქსირებული სიდიდეებია) , ამის შემდგომ გამოვიკვლიოთ ფუნქციები ექსტრემუმზე. $e_g = e_f$ შემთხვევაში მივიღებთ;

$$y_g(e_f, e_S) = \frac{e_f Y_g}{e_f l_g + p e_S l_S} + \frac{(1-e_f)Y_S}{(1-e_f) l_g + p(1-e_S) l_S},$$

ანუ y_g ექნება სახე: $y_g = \frac{a}{b + c e_S} + \frac{d}{p - q e_S}$ სადაც a,b,c,d.p.q – დადებითი მუდმივებია. მაშასადამე კვეთაში $e_g = e_f$ ფუნქცია $y_g(e_f, e_S)$ გაღუნულია ქვევით.

ანალოგიური მსჯელობის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ $y_g(e_g, e_f)$ გაღუნულია ზევით, $y_S(e_f, e_S)$ გაღუნულია აგრეთვე ზევით, ხოლო $y_S(e_g, e_f)$ გაღუნულია ქვევით.

y_g და y_S ფუნქციების ექსტრემუმზე გამოკვლევის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ თუ $e_g = e_s = e^* = \frac{Y_g}{Y_g + Y_S}$, ისევე, როგორც e_g და e_S ყველა სხვა მნიშვნელობებისათვის ამ ფუნქციებს ექ-სტრემუმი არა აქვს.



ნახ. 1. $y_S(e_g, e_s)$ *ზედაპირის სახე*

თუ გავითვალისწინებთ ზედაპირების ყოფაქცევას კვეთაში, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ზედაპირებს აქვთ უნაგირის ფორმა ნახ. 1.

უნდა აღინიშნოს, რომ $e_g = e_s$ წრფის გასწვრივ $y_g = const$ და $y_S = const$

მაშინ, როცა $e_g + e_S = \frac{Y_g}{Y_g + Y_S}$ წრფის გასწვრივ, რომელიც გადის უნაგირის წვეროზე

$e_g = e_S = e^*$ და $e_g = e_s$ წრფის ორთოგონალურია და როგორც შემოწმებით შეიძლება დავრწმუნდეთ y_g, y_S სტაბილური არ არიან.

$y_g(e_g, e_S)$ ყოფაქცევის გამოვლენილი თავისებურებების შედეგს წარმოადგენს პირადი მოხმარე-ბის ფასების C_{gY}, C_{Sy} სიდიდეების კავშირი g და S ეკონომიკებში. მოთხოვნისა და წინადადებების წონას-წორობის პირობიდან გამომდინარეობს:

$$C_{gY} = \frac{e_g l_g \omega_g + e_S \omega_S l_S}{Y_g}, \qquad C_{gY} = \frac{(1-e_g)\omega_g l_g + (1-e_S)\omega_S l_S}{Y_S}.$$

თუ $e_g = e_S = \dfrac{Y_g}{Y_g + Y_s}$ მაშინ მიიღება $C^*_{gY} = C^*_{SY} = \dfrac{\omega_g l_g + \omega_S l_S}{Y_g + Y_S}$. ეს სიდიდე აღვნიშნოთ უბრალოდ C^*. თუ e_g, e_S გადაიხრებიან $e^* = \dfrac{Y_g}{Y_g + Y_S}$, მაშინ სიტუაცია ფასებთან დაკავშირებით იცვლება. ვთქვათ $e_g = e_S = e^*$. მაშინ გვაქვს

$$C_{gY} = \frac{e(\omega_g l_g + \omega_S l_S)}{Y_g},\ C_{SY} = \frac{(1-e)(\omega_g l_g + \omega_S l_S)}{Y_S},\ \frac{C_{gY}}{C_{SY}} = \frac{eY_S}{(1-e)Y_g}.$$

ადვილი საჩვენებელია, რომ თუ $e \neq e^*$ გვექნება $C_{gY} \neq C_{SY.}$

ზოგადად თუ $e_g = e^* + \delta_g$ და $e_S = e^* + \delta_S$, მაშინ ფასები შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$C_{gY} = \frac{\omega_g l_g + \omega_S l_S}{Y_g + Y_S} + \frac{\delta_g \omega_g l_g + \delta_S \omega_S l_S}{Y_g},\ C_{SY} = \frac{\omega_g l_g + \omega_S l_S}{Y_g + Y_S} - \frac{\delta_g \omega_g l_g + \delta_S \omega_S l_S}{Y_S},$$

ვთქვათ $\Delta = \delta_g \omega_g l_g + \delta_S \omega_S l_S$, მაშინ ფასების e^* დან e_g, e_S სიდიდეების გადახრა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: $C_{gY} = C^*_{gY} + \dfrac{\Delta}{Y_g},\ \ C_{SY} = C^*_{SY} - \dfrac{\Delta}{Y_S}$

როგორც უკვე ვნახეთ, $C^*_{gY} = C^*_{SY} = \dfrac{\omega_g l_g + \omega_S l_S}{Y_g + Y_S}$.

მაშასადამე, ფასები C_{gY}, C_{SY} და C^* დამოკიდებულნი არიან Δ -ზე, პირველ ორ ფასბს შორის აუცილებლად მეტია მეორეზე, როცა $\Delta \neq 0$.

შემთხვევა $\Delta = 0$ ნიშნავს, რომ $C_{gY} = C_{SY} = c^*$. რადგანაც $\delta_g = e_g - e^*$, $\delta_S = e_S - e^*$, $\Delta = 0$ თვის გვექნება: $(e_g - e^*)\omega_g l_g + (e_S - e^*)\omega_S l_S = 0$, რაც გვაძლევს $e_S = -\dfrac{l_g e_g}{pl_S} + \dfrac{e^*(l_g + pl_S)}{pl_S}$, ანუ წრფის გასწვრივ, რომელიც მოიცემა აღნიშნული განტოლებით, ფასები ეკონომიკებში ერთნაირია და უდრის C^*. უფრო მეტიც, ამ წრფის გასწვრივ გარდაქმნების შედეგად შეგვიძლია მივიღოთ:

$$y^*_g = y_g\left[e_g; -\frac{l_g e_g}{pl_S} + \frac{e^*(l_g + pl_S)}{pl_S}\right] = \frac{e_g Y_g}{e_g l_g + pl_S\left[-\dfrac{e_g l_g}{pl_S} + \dfrac{e^*(l_g + pl_S)}{pl_S}\right]} +$$

$$+ \frac{(1-e_g)Y_S}{(1-e_g)l_g + \left[1 + \dfrac{e_g l_g}{pl_S} - \dfrac{e^*(l_g + pl_S)}{pl_S}\right]pl_S}$$, ხოლო y^*_S - თვის იგივე სახის ფორმულაა:

$y^*_S = y_S\left[e_g; -\dfrac{e_g l_g}{pl_S} + \dfrac{e^*(l_g + pl_S)}{pl_S}\right]$ თუ $l_g = pl_S$, მაშინ მოძებნილი წრფე იქნება ორთოგონალური $l_S = l_g$ წრფისა.

წრფეს , რომლის გასწვრივაც $C_{gY} = C_{SY} = C^*$ და $y_g = y^*_g, y_S = y^*_S$, ვუწოდოთ ტოლფასი. ის მოიცემა აუცილებლად, რადგან $y_g(e_g; e_S), y_S(e_g; e_S)$ ზედაპირს აქვს უნაგირის სახე.

შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ თუ $y_g > y^*_g$ მაშინ $y_S < y^*_S$.



ნახ. 2-ზე მოცემულია ფასების განსხვავების ზონები. აგრეთვე მოცემულია მოხმარების ხვედრითი სიდიდეების ყოფაქცევა ერთეულოვანი კვადრატის წვეროებში აგრეთვე მოგების დამო კიდებულება ფასებზე

ნახ. 2 y_g -ის და y_S -ის მეტობის არეები

ეს ყველაფერი გვაძლევს საშუალებას დავინახოთ ის თუ რა მოხდება მაშინ თუ e_g, e_S სიდიდეების გადახრა ფასების ტოლობის წრფისაგან.

გარკვეულ ინტერესს წარმოადგენს y_g^* და y_S^* სიდიდეების კავშირი $p = \dfrac{\omega_g}{\omega_S}$ სიდიდესთან.

დავუშვათ R_X საზოგადოებრივი მოხმარების მოცულობები იყვნენ ფიქსირებულნი (ანუ ეს იქნება საფუძველი მიმდინარე და სამომავლო საზოგადოებრივი გეგმებისათვის), R_Z იყოს წარმოებაში დაგროვილი მარაგი (როგორც მომავალი განვითარებისა და მანევრის საფუძველი). R_X და R_Z სიდიდეები განისაზღვრებიან წინასწარ რაიმე ამოცანების გადაწყვეტის შედეგად, რომლებიც წარმოადგენენ უფრო მაღალი სირთულისა და რანგის ამოცანებს ვიდრე აღნიშნული ამოცანები. უნდა ავღნიშნოთ, რომ P -ზე დამოკიდებულნი არიან $\Gamma, R_Y, R_S, R_R, y_g^*$ და y_S^* სიდიდეები. ჩანაწერების სიმარტივისათვის y_g^* და y_S^* ნაცვლად გამოვიყენებთ უბრალოდ ამავე ცვლადებს ვარსკვლავების გარეშე ანუ y_g და y_S -ებს.

განვიხილოთ განვითარების მარტივი სიტუაცია. ვთქვათ ყველა სექტორში წარმოების მოცულობები იყვნენ უბან-უბან მუდმივი სიდიდეები, მაშინ არიან რამოდენიმე მომენტების განმავლობაში, რომელიღაც ინტერვალზე, გამოშვების მოცულობები მუდმივი სიდიდეებია, ხოლო შემდეგი ინტერვალის დასაწყისში მოცულობები ნახტომისებურად იზრდებიან და რჩებიან შემდგომ მუდმივები მომდევნო რამოდენიმე ინტერვალისთვის. ეს გამარტივება ამოცანას არ დააწვება რაიმე განსაკუთრებულ ტვირთად, თანაც იგი რეალობასთან საკმაოდ ახლოსაა: წლის განმავლობაში გამოშვების მოცულობები და დასაქმებულთა რაოდენობა თითქმის მუდმივი სიდიდეებია.

ინტერვალის იმ მომენტისათვის, როდესაც ადგილი აქვს სტაციონარულ რეჟიმს (ვთქვათ მას ჩაწერის მოცემული ტიპისთვის შევუსაბამოთ ინდექსი f), მაშინ მივიღებთ:

$$R_R = \frac{R_f}{\alpha_R}, R_X = \frac{X_f}{\alpha_X}, R_Y = \frac{Y_f}{\alpha_Y}, \qquad R_f = \frac{R_f}{\alpha_R} + \frac{X_s}{\alpha_X} + \frac{Y_f}{\alpha_Y} + R_Z + R_S,$$

სადაც $Y_f = Y_g$- პირადი მოხმარების საქონლის გამოშვება შიგა ეკონომიკაში, R_s - ექსპორტზე გასული ნედლეულის მოცულობა. ბოლო ტოლობა გვაძლევს საშუალებას მოვძებნოთ R_f - მარაგების სტაციონარული მოცულობა, იმ პირობებში, რომ სხვა სექტორებში გვექნება წარმოების საჭირო მოცულობები:

$$R_f = \frac{\alpha_R X_f}{\alpha_X(\alpha_R - 1)} + \frac{\alpha_R Y_f}{\alpha_Y(\alpha_R - 1)} + \frac{\alpha_R R_Z}{\alpha_R - 1} + \frac{\alpha_R R_S}{\alpha_R - 1}.$$

ამას გარდა,

$$R_R = \frac{R_f}{\alpha_R} = \frac{X_f}{\alpha_X(\alpha_R - 1)} + \frac{R_Z}{\alpha_R - 1} + \frac{R_S}{\alpha_R - 1} + \frac{Y_f}{\alpha_Y(\alpha_R - 1)},$$

$$l_R = \frac{\beta_R X_f}{\alpha_X(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R Y_f}{\alpha_Y(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R R_Z}{\alpha_R - 1} + \frac{\beta_R R_S}{\alpha_R - 1} =$$

$$= \frac{\beta_R X}{\alpha_X(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R Y_g}{\alpha_Y(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R R_Z}{\alpha_R - 1} + \frac{\beta_R(1-\Gamma)l}{\beta_S(\alpha_R - 1)},$$

აქ გათვალისწინებულია, რომ $R_S = \frac{l_S}{\beta_S} = (1-\Gamma)\frac{l}{\beta_S}, Y_f = Y_g$ f ინდექსი გამოტოვებულია.

თუ ჩავთვლით, რომ Γ არის p - ს ფუნქცია, მაშინ t მომენტისათვის შეგვიძლია შეგვიძლია ჩავწეროთ: $l_g = l_R + l_X + l_Y = \Gamma l,\ l_S = (1-\Gamma)l,$, - არის წარმოებაში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ფიქსირებული X -თვის ფიქსირებული იქნება აგრეთვე l_X სიდიდეც, მაშინ მივიღებთ: $l_R + l_Y = \Gamma l - l_X$

$$\Gamma l - l_X = \frac{\beta_R X}{\alpha_X(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R Y_g}{\alpha_Y(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_R R_Z}{\alpha_R - 1} + \frac{\beta_R(1-\Gamma)l}{\beta_S(\alpha_R - 1)} + \frac{\beta_Y Y_g}{\alpha_Y},$$

რაც გვაძლევს საშუალებას მოვძებნოთ $Y_g = A_g\Gamma - B_g,$ სადაც

$$A_g = \frac{\alpha_Y(\beta_R + \beta_S(\alpha_R - 1))l}{\beta_S(\beta_R + \beta_Y(\alpha_R - 1))} > 0,$$

$$B_g = \frac{\alpha_Y(\alpha_X\beta_R l + \beta_S\beta_R X + \alpha_X\beta_S\beta_R R_Z + \alpha_X\beta_S(\alpha_R - 1)l_X)}{\alpha_X\beta_S(\beta_R + \beta_Y(\alpha_R - 1))} > 0.$$

ბუნებრივია, გვაქვს $Y_g > 0,$ ანუ $A_g\Gamma - B_g > 0,$ მაშინ $\Gamma < 1$ თვის მივიღებთ $A_g - B_g > A_g\Gamma - B_g$, ანუ სრულდება უტოლობა $A_g > B_g$.

ინდენად რანდენადაც განიხილება სიტუაცია, როდესაც გარე ბაზარზე $P_{SY}Y_{SY} = P_{sR}R_{S,}$ სადაც P არის გარე ბაზარზე R მარაგის ფასი რომლის მოხმარებაა Y, მაშინ:

$$Y_S = \frac{P_{SR}}{P_{SY}}R_S = \frac{P_{SR}l_S}{P_{SY}\beta_S} = \frac{P_{SR}(1-\Gamma)l}{P_{SY}\beta_S} = -A_S\Gamma + A_S,\ \text{სადაც}\ A_S = \frac{P_{SR}l}{P_{SY}\beta_S}.$$

ერთ სულ მოსახლეზე მოხმარების მაჩვენებლისათვის გვაქვს:

$$y_g = \frac{Y_g + Y_S}{l_g + pl_s} = \frac{A_g\Gamma - B_g - A_S\Gamma + A_S}{\Gamma l + p(1+\Gamma)l} = \frac{A\Gamma + B}{(\Gamma + p(1+\Gamma))l},$$

სადაც $A = A_g - A_s, B = A_S - B_g$.

y_g და y_S სიდიდეების კავშირი p -თან კონკრეტულად ნიშნავს შემდეგს. შესაძლებელია თუ არა, რომ p -ს ზრდასთან ერთად იზრდებიან აგრეთვე y_g და y_S სიდიდეებიც. ახლავე აღვნიშნოთ შემდეგი მომენტი. თუ $p > 1$ -თვის შესაძლებელია, რომ $\frac{dy_g}{dp} \geq 0$ $1 < p \leq p_g$, სადაც p_g არის $\frac{dy_g}{dp} = 0$ განტოლების ამონახსნი, მაშინ $y_S = py_g$ და მიიღება: $\frac{dy_s}{dp} = y_g + p\frac{dy_g}{dp}$, რაც გვაძლევს იმას, რომ

$$\left.\frac{dy_S}{dp}\right|_{P_g} = y_g(p_g) + p\left.\frac{dy_g}{dp}\right|_{P_g} = y_g(p_g) > 0.$$

მაშასადამე, აქედან დასკვნა: y_S ჯერ კიდევ იზრდება მაშინ, როცა y_g ზრდა უკვე დაასრულა (რაღა თქმა უნდა თუ თითოეულ ამ ფუნქციათაგანს აქვს ერთადერთი მაქსიმუმი), რასაც სწორედაც, რომ აქვს ადგილი გარკვეული პირობების შემთხვევაში, მათი არ შესრულება კი ნიშნავს ფუნქციის მონოტონურ კლებას.

$\frac{dy_g}{dp} = 0$ პირობიდან გამომდინარე ჩვეულებრი ტიპის დიფერენციალური განტოლების ამოხსნა და ამონახსნის ანალიზი იმ მიზნით, რომ გავარკვიოთ ამონახსნი p_g^* , რომელიც ერთზე მეტია, ამ სტატიაში ჩვენ არა გვაქვს განხილული. თუმცაღა უნდა ითქვას, რომ ამის გაკეთება არ არის რთული მაგრამ დიდი მოცულობისაა. ამიტომ ვთქვათ, რომ $p_g^* > 1.$

მაშასადამე, მივიღეთ, რომ შესაძლებელია კონკრეტული პირადი მოხმარების ზრდა ყველა შემთხვევაში, თუ დაცულია გარე ვაჭრობის სფეროში ხელფასის წინმსწრები ზრდის პირობა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა $A_S > A_g$. თუ ამ პირობას ამოვწერთ დაწვრილებით მივიღებთ:

$$\frac{P_{SR}}{P_{SY}} > \frac{\alpha_Y(\beta_R + \beta_S(\alpha_R - 1))}{\beta_R + \beta_Y(\alpha_R - 1)}.$$

ჩვენს მიერ განხილული მოდელი არის იმის მაგალითი თუ, როგორ შეგვიძლია გამოვიყენოთ მათემატიკური მოდელირების მეთოდები დიდი ეკონომიკური სისტემების ანალიზის პროცესში. აღნიშნული მეთოდის კომპიუტერული რეალიზაცია განხორციელებულია კომპიუტერულ პროგრამულ პაკეტში “ *Maple* ” –ზე. კომპიუტერზე მიღებული შედეგები მნიშვნელოვნად აადვილებს ანალიზის პროცესს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.შ. გუგუშვილი და სხვები. ოპტიმალური მართვის სისტემები სტუ თბილისი 2003 წ. 380
2. В.М. Трояновский Математическое моделирование в менеджменте Москва 1999 г.
3. Almaskhan Gugushvili Symmetries and Conservation Laws in Optimal Control System თბილისი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია 2011წ.
4. გ.ჭიკაძე, ვ.სესაძე კომპიუტერული მოდელირების სისტემა Maple და დაპროგრამება M – ენაზე თბილისი სტუ-ს გამომცემლობა 2006წ.

გელა ჭიკაძე,ვალიდა სესაძე

ღია ეკონომიკაში ფასების ფორმირების ანალიზი
და მათემატიკური მოდელირება

სტატიაში განხილულია ღია ეკონომიკის პირობებში ფასების ფორმირების პროცესის ანალიზი. მოცემულია ამ პროცესის მათემატიკური მოდელირების მეთოდები. მითითებულია ამ მეთოდების კომპიუტერული რეალიზების გზები და საშუალებები.

Gela Chikadze, Valida Sesadze

An open economy in the price formation analysis and mathematical modeling.

Summary

Thy article presents the price formation process analysis in open economy. The Author offers the methods of mathematical modeling of these processes, shows the ways and means for computerized realization of this methods

ნონა ახალაშვილი

პიროვნება და კრიმინალური ქცევა

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში დანაშაულების დონე მომატებულია. განსაკუთრებით ეს ხდება იქ, სადაც საზოგადოება დაყოფილია სოციალურ ფენებად. შემაშფოთებელია ისიც, რომ ძალადობრივი დანაშაულებისა და მკვლელობების ჩამდენ პირთა შორის სულ უფრო ხშირად ხვდებიან ბავშვები და მოზარდები; ამიტომ, გასაკვირი არ არის, რომ მსგავს დანაშაულებათა მიზეზების ახსნაში კრიმინოლოგების, იურისტებისა და პოლიციელების გარდა, აქტიურად ჩაერთნენ სოციოლოგები, პოლიტიკოსები და ფსიქოლოგები.

ფსიქოლოგები დიდი ხანია იკვლევენ სხვადასხვა კრიმინალურ მოქმედებებთან დაკავშირებულ ფსიქოლოგიურ პროცესებს. XVIII – XIX სს-ში ითვლებოდა, რომ კრიმინალური ქცევის შესწავლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ადამიანში „ნების თავისუფლების“ არსებობა[3]. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანი თავად ირჩევდა დანაშაულში მონაწილეობას. იმდროინდელი კანონების მიხედვით დამნაშავეს მკაცრი სასჯელი ელოდა. თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერების თვალსაზრისიდან გამომდინარე ანტისოციალური საქციელი აიხსნება რიგი გენეტიკური, სოციალური და პიროვნული ფაქტორების ურთიერთქმედებით; კრიმინალურ ქცევას აყალიბებს ამ ფაქტორთა განსხვავებული და მძლავრი ზემოქმედება[8].

ფსიქოანალიტიკური მიმართულების მქონე ფსიქოლოგები თვლიან, რომ კრიმინალური ქცევისა და დელინკვენტობის მიზეზები უკავშირდება იდი-სა და ეგო-ს ფუნქციონირებას, ასევე ადამიანის ინფანტილურ ემოციურ განცდებს[4]. კრიმინალური აქტივობის არსებობა ან არარსებობა დამოკიდებულია ადამიანის პიროვნების შინაგან დინამიკაზე. ახალგაზრდობაში ადამიანის ქცევის მთავარ მამოძრავებელ ძალას „კმაყოფილების პრინციპი“ წარმოადგენს, ამიტომ, ახალგაზრდები უმეტესად ასოციალურები არიან და უბრალოდ ისწრაფვიან საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და გართობისადმი. იმასთან დაკავშირებით, რომ კმაყოფილების პრინციპი თანდათანობით იცვლება რეალობის პრინციპით (ანუ ეგო-თი), ადამიანების უმრავლესობა ცდილობს დაიცვას დადგენილი ნორმები და წესები; მაგრამ, ნაწილი მაინც უგულებელყოფს მათ. ამ ადამიანების სოციალიზაცია აღმოჩნდა არაეფექტური; მათი ქცევა გადის სოციალურად მიღებული ქცევის დადგენილი ჩარჩოებიდან და ამიტომ შეინიშნება დელინკვენტური და ანტისოციალური ტენდენციები[4].

ამდენად, ფსიქოანალიტიკური თვალსაზრისის მიხედვით, კრიმინალური ქცევა განიხილება როგორც ეგო-სა და სუპერ-ეგოს შორის კონფლიქტის შედეგი, ანუ ინტრაფსიქიკური კონფლიქტი. გამომდინარე აქედან, აუცილებელი არ არის ეს კონფლიქტი უკავშირდებოდეს განსაზღვრულ პიროვნულ ტიპს (მაგალითად, დაბალი თვითშეფასების ან ექსტრავერსიის მაღალი დონის მქონეს). აღიარებულია, რომ „კარგად განვითარებული სუპერეგო-ს“ მქონე ადამიანებსაც კი შეუძლიათ კრიმინალური ქცევის ჩადენა, როდესაც მათში წინა პლანზე აკრძალული ლტოლვები გამოდის.

ფსიქოანალიტიკოსები თვლიან, რომ კრიმინალური ქცევა მნიშვნელოვნად გაპირობებულია სუბლიმაციით[4]. ეს ნიშნავს, რომ ქცევის მამოძრავებელ ძალას ინსტინქტებინარმოადგენს; ჩვენი ემოციები და აზრები გაპირობებულია ინსტინქტური იმპულსებით და კრიმინალური ქცევა „უხერხული სიტუაციიდან თავის დაძვრენის“ პროცესია. დაუკმაყოფილებელი ინსტინქტები ადამიანებს კანონსაწინააღმდეგო საქციელისაკენ უბიძგებენ.

კრიმინალური ქცევის ფსიქოანალიტიკურ ახსნაში მთავარი ადგილი ქცევის იმპულსურობასა და მშობლების მხრიდან ბავშვის დევიანტური ქცევის წახალისებას უჭირავს[4].

კრიმინალური ქცევა და დელინკვენტობა გაპირობებულია რთული ინსტინქტური ლტოლვებით, რომელთა დამორჩილებაც აღზრდით შეუძლებელია. ამას გარდა, ზეგავლენას ახდენენ სოციალური გარემოს განსაზღვრული ფაქტორები, განსაკუთრებით, დედა-შვილს შორის არაკეთილმყოფელი ურთიერთობა[5]. ხშირად დამნაშავეები განიცდიან „ტრავმირებადი წარმომავლობის შფოთვას“ ისე ძლიერად, რომ მისი დონე არ ქვეითდება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი თავს „გამარჯვებულად“ თვლიან. გამომდინარე აქედან, ფსიქოანალიტიკური თეორიის თანახმად, დამნაშავეებს აქვთ შფოთვის მაღალი დონე, კონფლიქტური დამოკიდებულება მშობელთან (დედასთან) და შინაგანი კონფლიქტები უბიძგებენ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაკენ.

ადლერი ხაზს უსვამდა იგივე პრობლემებს. მისი აზრით, ოჯახის წევრებთან არაჯანსაღი ურთიერთობების მიზეზებს მოუმწიფებლობა და გუნება-განწყობილების ცვალებადობა წარმოადგენს. ასეთი ადამიანები მუდმივად განიცდიან „დაუსრულებლობას“ და შეწუხებულნი არიან საკუთარი არარეალური მოლოდინების გამო. მშობლებთან არაჯანსაღი ურთიერთობები მათში იწვევს შიშს - არ დარჩნენ „მიტოვებული“ და „იგნორირებული“. ამიტომ მუდმივად ითხოვენ „დახმარებას“. ადლერი წერს, რომ ზოგიერთი ადამიანი სპეციალურად ჩადის დანაშაულს მხოლოდ იმიტომ, რომ მართლმსაჯულებამ მასზე იზრუნოს[1].

ფსიქოანალიტიკური მიმართულების ფსიქოლოგები არ განარჩევენ სხვადასხვა კატეგორიის ძალადობრივი და არაძალადობრივი დანაშაულების მიზეზებს. აშის აზრით, ძალადობის უკიდურესი გამოვლენა გაპირობებულია იმპულსური მისწრაფებებითა და მომატებული თვითშეფასებით. უაზრო ძალადობის ან ვანდალიზმის აქტების შესრულებისას, დამნაშავე ახდენს საკუთარი სუპერ-ეგოს ანუ საზოგადოებრივი ნორმებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას[3].

ფსიქოანალიტიკოსების ჰიპოთეზების ემპირიული შემოწმება რთულია. კრიტიკოსთა უმეტესობა თვლის, რომ შედეგების გენერალიზება შეუძლებელია ქცევის ინდივიდუალური სპეციფიკიდან გამომდინარე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ფსიქოანალიტიკური მიდგომა გაკრიტიკებულია იმის გამო, რომ ადამიანის ქცევაში ინსტინქტებსა და ლტოლვებს მომეტებულად მნიშვნელოვან როლს ანიჭებს[3].

სოციალურ-კოგნიტური შეხედულება კრიმინალურ ქცევაზე.

სოციალურ-კოგნიტური მიდგომის თანახმად, ადამიანები ყოველთვის არ განჭვრეტენ თავიანთი საქციელის შედეგებს. გამოდის, რომ ისინი იმპულსურად მოქმედებენ, არ უფიქრდებიან ჩადენილ საქციელს, არ ითვალისწინებენ შესაძლო შედეგს და არ ეძებენ ქცევის ალტერნატიულ ვარიანტებს. ამ მიდგომის წარმომადგენლებმა ემპირიულად დაადასტურეს, რომ დელინკვენტური და კრიმინალური ტიპებისათვის დამახასიათებელია იმპულსურობის მაღალი დონე[3].

სოციალურ-კოგნიტური მიმართულების წარმომადგენლები თვლიან, რომ ადამიანი მონაწილეობს თუ არ მონაწილეობს კრიმინალურ საქმიანობაში, რამდენადმე დამოკიდებულია მის კოგნიტურ შესაძლებლობებზე. დამნაშავეების ძირითად განმასხვავებელ ნიშან-თვისებად ითვლება მათ მიერ სხვადასხვა სოციალური სტიმულის მკაფიოდ გამოყოფის უუნარობა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მათთვის დამახასიათებელ ქცევით „რეპერტუარში“ არ მოიძებნება ისეთი ელემენტები, როგორიცაა:

1. მოცემული სიტუაციისათვის შესაფერისი ქცევის შერჩევის უნარი;
2. პრობლემის გადაჭრის ვარიანტების მოძებნის უნარი;
3. საკუთარი მოქმედებების შესაძლო შედეგების გათვალისწინების უნარი;
4. განსაზღვრული შედეგის მისაღწევად აუცილებელი მოქმედებების დაგეგმვის უნარი.

სოციალურ - კოგნიტური მიდგომის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, სამართალდამრღვევები, მეტ-ნაკლებად მაინც ჩადიან წინასწარგანზრახულ დანაშაულს. ისინი ვარაუდობენ, რომ დამნაშავე არის ადამიანი, რომელიც იღებს „რაციონალურ გადაწყვეტილებებს“, მაგალითად, როდესაც იგი შეამჩნევს, რომ სახლში არავინაა და გადაწყვეტს გაქურდოს სახლი. მსგავს შემთხვევაში, დამნაშავე ხელსაყრელ სიტუაციას საკუთარი მიზნებისათვის იყენებს.

პიროვნული ფაქტორები და დელინკვენტობა.

მრავალი წლის მანძილზე მიმდინარე კვლევები ადასტურებს, რომ პიროვნული ფაქტორები უკავშირდება ანტისოციალური, კრიმინალური და დელინკვენტური ქცევის განსხვავებულ ფორმებს. დელინკვენტობაზე ჩატარებულ გამოკვლევებში დადგინდა კავშირი კრიმინალურ ქცევასა და სამ ძირითად პიროვნულ ფაქტორს შორის, რომლებიცაა: ექსტრავერსია, ნეიროტიზმი და ფსიქოტიზმი[5].

ჰანს აიზენკი, თავისი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში თვლიდა, რომ კრიმინალური ქცევა დაკავშირებულია ექსტრავერსიასთან, რაც ნიშნავს, რომ მაღალი ექსტრავერტირებულობის მქონე პირები განიცდიან „სენსორულ შიმშილს“ და მათი ქცევა მიმართულია ახალი და მძაფრი შეგრძნებების მიღებაზე. ექსტრავერტებს აქვთ დაბალი აგზნებადობა, რის გამოც ისინი მუდმივად ისწრაფვიან რისკისშემცველი მოქმედებებისაკენ. ინტროვერტებთან პირიქითაა, ისინი მომატებულად აგზნებადნი არიან და ამიტომაც გაურბიან სოციალურ კონტაქტებსა და ახალ სტიმულებს (გამღიზიანებლებს)[8].

კრიმინალურ ან დელინკვენტურ ქცევას ნეიროტიზმი უკავშირდება შფოთვით. მაღალი დონის ნეიროტიზმის მქონე ადამიანები მიდრეკილნი არიან შფოთიანობისადმი, ხოლო მაღალი შფოთიანობა მოქმედებს როგორც ბიძგი (ამგზნები), რაც ძლიერდება ჩვევის გამოვლენისთანავე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თუკი, დელინკვენტური ქცევის მქონე ინდივიდს ნეიროტიზმის დონე მაღალი აქვს, მაშინ მსგავსი ქცევის მუდმივად გამეორების ალბათობაც დიდია[6]. დადგენილია ასევე მჭიდრო კავშირი ფსიქოტიზმსა და დელინკვენტურ-კრიმინალურ აქტიურობას შორის. მაგალითად, აღიარებულია, რომ მომატებული ფსიქოტიზმის მქონე ადამიანები აგრესიულები, უდისციპლინოები, ხისტები, სხვა ადამიანების გრძნობე-

ბისა და მოთხოვნილებებისადმი უყურადღებონი და არაემპათიურები არიან; არ ზრუნავენ გარშემომყოფებზე და არასოდეს განიცდიან დანაშაულის გრძნობას. სხვების თვალში ისინი ჩანან უაზროდ მამაცნი და უპირატესობას ყოველივე უჩვეულოსა და უცნაურს ანიჭებენ[1]. მაღალი ფსიქოტიზმის მქონე პირები ასევე არიან იმპულსურები და არ შეუძლიათ სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა. მრავალი მკვლევარის მიერ დადასტურებულია, რომ ფსიქოტიზმი მჭიდრო კავშირშია ღია აგრესიულობასა და იმპულსურობასთან. გამომდინარე აქედან, ფსიქოტიზმის შეფასებების მიხედვით შეიძლება ერთმანეთისგან განსხვავდეს დამნაშავეები და უდანაშაულოები[7].

მოზარდებზე ჩატარებულმა ექსპერიმენტებმა აჩვენა, რომ ფსიქოტიზმი აძლიერებს რისკისადმი მიდრეკილებას ორივე სქესის მოზარდებში. უფრო მეტიც, მაღალი ფსიქოტიზმის მქონე გოგონებში დაფიქსირდა ნეგატიური ოჯახური კომუნიკაციები[5].

ისმის 0.კითხვა: როგორ უნდა განსხვავდეს დელინკვენტური ქცევა არადელინკვენტურისგან?

ამერიკელი ფსიქოლოგების მიერ შემუშავებულია რამდენიმე შკალა დელინკვენტობის შესაფასებლად[3]. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ ერთ-ერთს (ბოლო წლებში შემუშავებულს):

1. მოტყუება (მაგალითად, სათამაშო ავტომატებზე თაღლითობა);
2. სტატუსი (მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების მოხმარება);
3. ჩხუბები (მაგალითად, ჩხუბი იარაღის გამოყენებით);
4. სატრანსპორტო საშუალებების მოპარვა;
5. ნარკოტიკები;
6. ქურდობა;
7. სხვა ადამიანებისადმი ზიანის მიყენება;
8. საჭეს მართვა არაფხიზელ მდგომარეობაში;
9. წესრიგის დარღვევა (მაგალითად, სასკოლო ინვენტარის გაფუჭება).

დელინკვენტებს არ აქვთ სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობა, ფლობენ მყარ რიგიდულობას, ასევე დეპრესიასა და აპათიას. მათ არ სურთ ან არ შეუძლიათ საკუთარ მოქმედებებზეც კი აგონ პასუხი. ისინი არასანდო ადამიანები არიან თითქმის ყველაფერში. ითვლება, რომ დელინკვენტებს არასაკმარისად აქვთ „მე-ს“ ინტეგრაციის გრძნობა განვითარებული იმ ჯგუფის (ან ოჯახის) მიმართ, რომლის წევრებიც არიან. ასეთი ადამიანები სოციალურად ექსტრავერტირებულები არიან, უჭირთ ყურადღების კონცენტრირება; მათი ოჯახური ატმოსფერო საკმაოდ უსიამოვნოა; ოჯახის წევრების მხრიდან აკლიათ სიყვარული, გაგება და მხარდაჭერა; ჰგონიათ, რომ ნათესავები და ახლობლები მათ მიმართ განწყობილნი არიან ზედმეტად მკაცრად და კრიტიკულად, უზღუდავენ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

ამ საკითხთან დაკავშირებული ლიტერატურის მიმოხილვა აჩვნებს, რომ კრიმინალური აქტები ასევე უკავშირდება რიგ პიროვნულ ნიშან-თვისებებს, რომლებიც დამოუკიდებლად შეისწავლება[3]. მათ შორისაა, მაგალითად, მტრობა, რისკისადმი მიდრეკილება, სოციალური პირობითობების უგულებელყოფა, აგრესიულობა, თვითკონტროლის დაბალი დონე და ექსტერნალური ლოკუს კონტროლი (რაც ნიშნავს, რომ ადამიანი საკუთარ წარმატება-წარუმატებლობაში ადანაშაულებს სხვებს, გარეგან ძალებს). გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება იმის შესახებ, რომ პიროვნულ ფაქტორებს შეუძლიათ გააშუალონ დელინკვენტობაზე სხვა ცვლადების (მაგალითად, საკუთარი ოჯახის აღქმა) ზეგავლენა. ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ კავშირი მშომლების აღზრდის სტილსა და დელინკვენტობას შორის, გაშუალებული იყო მოზარდთა ლოკუს კონტროლით. კერძოდ, აღზრდის პუნიტიური სტილი და მშობლიური სითბოს უკმარისობა მნიშვნელოვნად უკავშირდება მომატებულ დელინკვენტობას, ამასთან ეს კავშირი გაშუალებული იყო გარეგანი ლოკუს კონტროლით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაპუნიტიური აღზრდის სტილის შემთხვევაში, შეიმჩნეოდა დელინკვენტობის შემცირების ტენდენცია. ეს ეფექტი გაშუალებული იყო შინაგანი ლოკუს კონტროლით (ამ შემთხვევაში ინდივიდი საკუთარ გამარჯვებასა თუ დამარცხებაში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებს).

ერთ-ერთ გამოკვლევაში, არასრულწლოვანი სამართალდამრღვევთა მშობლებს, რომელთაც ჩადენილი ჰქონდათ არაძალადობრივი დანაშაულები, თხოვდნენ შეეფასებინათ თავიანთი შვილების პიროვნული მახასიათებლები. დელინკვენტთა შესაბამის საკონტროლო ჯგუფთან შედარებით, მათ მშობლები აფასებდნენ როგორც უფრო ანტისოციალურებს, პასიურად აგრესიულებს, დამოკიდებულებსა და საკუთარ ძალებში არადაჯერებულებს. გარდა ამისა, მშობლებს ისინი ეჩვენებოდათ დეპრესიულები, გაფანტული ყურადღების მქონენი და ჰიპერაქტიურები. ამდენად, კვლევის შედეგებმა ამ ჯგუფში აჩვენა ნათლად გამოხატული ნეიროფსიქოლოგიური დარღვევები, ასევე ემოციური დეზადაპტაციის ნიშნები[3].

ზემომოყვანილი მონაცემები ეხებოდა იმ არასრულწლოვანთა პიროვნულ მახასიათებლებს, რომლებიც ითვლებიან „ნორმალურად“ ანუ არ ყოფილან პასუხისგებაში მიცემული. მაგრამ, როგორია სურათი იმ მოზარდებთან, რომელთაც უკვე მოიხადეს სასჯელი? გამოკვლევებმა აჩვენა, რომ 12-დან 19 წლის

ასაკის ჩათვლით მამრობითი სქესის არაერთხელ ნასამართლევ სამართალდამრღვევებს აღმოაჩნდათ პიროვნული დარღვევები, კერძოდ, შიზოტიპური, პარანოიალური ან მოსაზღვრე, რაც გამოიხატება გუნება-განწყობილების მკვეთრ ცვალებადობაში, განმეორებად სმენით ჰალუცინაციებში, ექსცენტრიულ ქცევებში, დევიანტური ტიპის კომუნიკაციებში, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის უკონტროლოდ მოხმარებაში, მუდმივად სიცარიელისა და მოწყენილობის შეგრძნებაში, მოჩხუბარობაში, არამყარ პიროვნებათაშორის ურთიერთობებში და ა.შ. აღსანიშნავია,რომ ყმაწვილთა უმრავლესობა არასრულფასოვანი ოჯახების წარმომადგენლები იყვნენ. შეიძლება ითქვას, რომ ეს გარეგანი ფაქტორები პიროვნულ დისპოზიციებთან ურთიერთქმედებენ, რაც უფრო მეტად ართულებს არასრულწლოვანი დამნაშავის მდგომარეობას[1].

პიროვნება და რეციდივიზმი.

მრავალი ფსიქოლოგი თვლის, რომ პიროვნული ფაქტორები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რეციდივიზმის აღმოცენებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველა მონაცემი არ ადასტურებს ამ თვალსაზრისის ჭეშმარიტებას. ზოგიერთი ამტკიცებს, რომ პიროვნების მიერ წარსულში ჩადენილი კრიმინალური მოქმედებები წარმოადგენს მომავალში სამართალდარღვევის ისეთივე პროგნოსტიკულ ნიშანს, როგორც სხვა ფაქტორები.

ერთ-ერთი გამოკვლევის შედეგების მიხედვით, სადაც ფსიქოლოგები მუშაობდნენ და აკვირდებოდნენ ბავშვებზე სექსუალურ ძალადობაში მისჯილ დამნაშავეებს, დაფიქსირდა რეციდივიზმის ისეთი ნიშნების მნიშვნელოვნბა, რომლებიც არანაირ კავშირში არ იყო პიროვნულ თვისებებთან. მკვლევარებმა გააანალიზეს ორასი დამნაშავის რეციდივიზმის მაჩვენებლები მათ მიერ სასჯელის მოხდის შემდგომ. დაკვირვება მიმდინარეობდა 16 წლის განმავლობაში. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ხელმეორედ მოხვედრის საუკეთესო პროგნოზის მაჩვენებელი გახდა შემდეგი ფაქტორები:

- ქორწინება („არ არის დაქორწინებული“);
- წარსულში სექსუალური დანაშაულის ჩადენის გამო გასამართლება;
- ადრეულ პერიოდში ჩადენილი ძალადობების აღიარება.

გარდა ამისა, ბიჭებზე სექსუალურ ძალადობაში დადანაშაულებულ პირებში რეციდივიზმის რისკი იყო უფრო მაღალი, ვიდრე იმ მამაკაცებში, რომლებმაც ძალადობა განახორციელეს გოგონებზე ან ჩაიდინეს ინცესტი. მსგავსი შედეგების ანალიზმა მკვლევარები დააეჭვა პიროვნულ ფაქტორებსა და რეციდივიზმს შორის კორელაციურ კავშირში და ამიტომ, თითქმის ყველა ერთხმად აღიარებს შემდგომი გამოკვლევების ჩატარების აუცილებლობას[3].

აიზენკის პიროვნული კითხვარის (EPQ) გამოყენებით ჩატარებული გამოკვლევების შედეგად (გამოკვლევა ჩატარდა ინდოეთში. ხდებოდა მკვლელებისა და არამკვლელების პიროვნული ფაქტორების შეფასება). აღმოაჩინეს, რომ არამკვლელ-რეციდივისტებს მნიშვნელოვნად მაღალი შეფასება ჰქონდათ ექსტრავერსიისა და ნეიროტიზმის შკალებზე, იმ დროს როცა მკვლელ-რეციდივისტებს შედარებით მაღალი დონე აღმოაჩნდათ ფსიქოტიზმის პარამეტრის მიხედვით. ამ შედეგებმა დაადასტურა აიზენკის თეორიის საფუძველზე გაკეთებული პროგნოზი[6].

პიროვნებასა და კრიმინალურ ქცევას შორის კავშირის დასადგენად აიზენკის ტესტის გარდა ასევე წარმატებით გამოიყენება MMPI[5].

ერთ-ერთ გამოკვლევაში, სადაც მონაწილეობა მიიღო გაუპატიურებაზე გასამართლებულმა 1272-მა მამაკაცმა, ამ ტესტის გარდა გამოიყენეს მრავალასპექტიანო სექსუალური კითხვარიც. მკვლევარებმა გამოყვეს შემდეგი პიროვნული ქვეტიპები:

- სოციოპათიური ტიპები საკუთარ იმპულსებზე კონტროლის დაბალი დონით. ხშირად ასეთი ადამიანები აუპატიურებენ სხვა კრიმინალური აქტიურობის პროცესში.
- არამდგრადი, მტრული და საშიში ტიპები. ასეთ ადამიანებში გამოვლინდა ტენდენცია ანტისოციალურობისა და აგრესიისადმი; მათში გაუპატიურობის მოტივად გამოდის მტრობა და არა სექსუალურობა;
- უნდობი ტიპები ნეგატიური სოციალური ურთიერთობებით. ასეთ ადამიანებს აქვთ ტენდენცია სოციალური გაუცხოებისადმი. ისინი ვერ აკონტროლებენ საკუთარ იმპულსებს; არ აკმაყოფილებთ არც საკუთარი თავი და არც სხვები. ისინი სექსუალურ ძალადობას მიმართავენ იმისათვის, რომ მოახდინონ სხვებთან შედარებით საკუთარი პიროვნების უპირატესობის დემონსტრირება;
- ტიპები მძიმე დარღვევებით. მათთვის დამახასიათებელია აზროვნების დაქვეითება, სერიოზული ფსიქოლოგიური და სოციალური დარღვევები. ისინი ფლობენ სადისტურ მიდრეკილებებს და მსხვერპლის ტანჯვა-წამება მათ სექსუალურ აგზნებას აძლიერებს.

შეიძლება ითქვას, რომ პიროვნული ტესტებისა და კითხვარების შედეგების დახმარებით, შესაძლებელია მოხდეს კრიმინალური ქცევის პროგნოზირება. დღემდე ამ სფეროში გამოიყენება აიზენკის

პიროვნული კითხვარი (EPQ, EPI) და მინესოტის მრავალასპექტიანი პიროვნული კითხვარი(MMPI). დაგროვილი მასალა დაბეჯითებით ადასტურებს მჭიდრო კავშირს აიზენკის ფსიქოტიზმის ფაქტორსა და კრიმინალურ ქცევას შორის[7]. განსაკუთრებით საინტერესოა პიროვნულსა და სხვადასხვა ფსიქოსოციალურ და ფსიქოფიზიოლოგიურ ფაქტორებს შორის ურთიერთქმედების შესწავლა კრიმინალური და დელინკვენტური ქცევის პროგნოზირების მიზნით. დასაშვებია, რომ სწორედ ადრეულ ბავშობაში პიროვნული მახასიათებლები „განაწყობს" ზოგიერთ ადამიანს კრიმინალურ ცხოვრებაზე, მაგრამ ჭაბუკობის დასასრულს სხვა უფრო მნიშვნელოვანი სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები უწყობს ხელს მათში კრიმინალური ქცევის შენარჩუნებას. ამიტომ აუცილებელია ისეთი გამოკვლევების ჩატარება, სადაც ცდისპირზე დაკვირვება მოხდება ადრეული ბავშვობიდან ზრდასრული ასაკის მიღწევამდე.

უდავოა, რომ პიროვნული ფაქტორები კრიმინალური ქცევის ბუნებაზე მეცნიერული შეხედულებების განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. კრიმინალური ქცევის სხვადასხვა ფორმები დაკავშირებულია განსხვავებულ პიროვნულ ფაქტორებთან, რაც მიუთითებს დამნაშავის პიროვნებასა და დანაშაულს შორის კავშირის სირთულეზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ახალაშვილი ნ. იურიდიული ფსიქოლოგია. თბილისი, 2009.
2. Майерс Д. Социальная психология. С-Пб., 1999.
3. Фернхем А., Хейвен П. Личность и социальное поведение. С-Пб., 2001.
4. Фрейд З. Введение в психоанализ. Лекции. М., 1989.
5. Argyle M. Psychology and Social problems. Social Science Paperbacks. SSP. 26.
6. Eysenck H. and Eysenck S. (1975) Manual of The Eysenck Personality Questionnaire. London. Hodder & Stougton.
7. Eysenck H. and Gudjonsson G. (1989) The causes and cures of criminality. New York: Plenum Press.
8. Eysenck H. and Eysenck M. (1985). Personality and individual differences: a natural science approach. New York: Plenum.

ნონა ახალაშვილი

პიროვნება და კრიმინალური ქცევა

რეზიუმე

მრავალი წლის მანძილზე მიმდინარე კვლევები ადასტურებს, რომ პიროვნული ფაქტორები ანტი-სოციალური, კრიმინალური და დელინკვენტური ქცევის განსხვავებულ ფორმებს უკავშირდება. დელინ-კვენტობაზე ჩატარებულ გამოკვლევებში დადგინდა კავშირი კრიმინალურ ქცევასა და სამ ძირითად პიროვნულ ფაქტორს შორის. ესენია: ექსტრავერსია, ნეიროტიზმი და ფსიქოტიზმი. პიროვნული ტესტე-ბისა და კითხვარების (EPI, EPQ, MMPI) შედეგების დახმარებით შესაძლებელია მოხდეს კრიმინალური ქცევის პროგნოზირება. კრიმინალური ქცევის სხვადასხვა ფორმა განსხვავებულ პიროვნულ ფაქტორ-თანაა დაკავშირებული, რაც პიროვნებასა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულს შორის კავშირის სირთულე-ზე მიუთითებს.

Nona Akhalashvili

Person and Criminal Behavior

Abstract

According to the long term researches, personal factors are related to different forms of antisocial, criminal and delinquency behavior. Though the researches about delinquency out, was found that there is a connection between criminal behavior and three basic personal factors. They are: extraversion. neirotism and psychotism. Some psychologists have suggested that delinquents are neurotic. In charge of personal tests and the results of questionaries (EPI,EPQ,MMPI) it is possible to prognosticate criminal behavior. The forms of criminal behavior are related to different personal factor that indicates the complexity of the connection between the personality of the offender and the offense.

ნანა გოგიჩაშვილი

კრიტიკული და კრეატული აზროვნების ურთიერთმიმართება

სწავლების მიმართ ახალი მიდგომა ბუნებრივად მოითხოვს ურთიერთობის დემოკრატიული სტილის დანერგვას სკოლასა თუ უნივერსიტეტში, რომელიც, თავის მხრივ უკავშირდება არა მხოლოდ პიროვნებაში თავისუფალი დემოკრატიული საწყისების აღზრდას, არამედ გარკვეულ ცვლილებებს აზროვნების სტილში. კერძოდ, მოსწავლე თუ სტუდენტი უნდა გახდეს კრიტიკულად და კრეატულად მოაზროვნე. ბუნებრივად იბადება კითხვა — რა არის კრიტიკული აზროვნება? რა არის კრეატული აზროვნება და რა მიმართება არსებობს მათ შორის?

ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში ეს ორი ტერმინი – ,,კრიტიკული აზროვნება" და ,,კრეატული აზროვნება" ხშირად ექვივალენტური მნიშვნელობით იხმარება, ხშირად მათ დიფერენცირებული ასპექტებიც მიეწერება. აკადემიკოსი ა.ნაფტულიევი პირდაპირ მიუთითებს, რომ კრიტიკული აზროვნება, უპირველეს ყოვლისა, გახლავთ შემოქმედებითი აზროვნება, რაც, თავის მხრივ, წარმოადგენს განვითარების ფსიქოლოგიის თვითრეფლექსიის შედეგს, როდესაც წინა პლანზე დგება საკითხი არა ,,რა ვასწავლოთ", არამედ ,,როგორ ვასწავლოთ". სერბი ფსიქოლოგი ივან ივიჩი თვლის, რომ შემოქმედებითობა ანუ კრეატულობა არის კრიტიკული აზროვნების ერთ–ერთი ასპექტი და მისი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ სრულფასოვანი კრიტიკული აზროვნების განვითარების შემთხვევაში. ამ მოსაზრების აბსოლუტურად საწინააღმდეგო დებულებას გვთავაზობს ამერიკელი ფსიქოლოგი ლ. ტერსტოუნი, რომლის მიხედვითაც, შემოქმედებითობის მასტიმულირებელი საშუალება არის ახალი იდეების მიმღებლობისადმი მზადყოფნა, გონებამახვილობა, გამომგონებლობა და არა წინდახედულება და სიზუსტე, რომელიც საფუძვლად უდევს კრიტიკულ აზროვნებას. ლ. ტერსტოუნი აგრეთვე აღნიშნავს, რომ შემოქმედებითი იდეები, ყველაზე ხშირად ადამიანს მოსდის სრული რელაქსაციის და არა იმ დროს, როდესაც იგი მთელი თავისი ცნობიერებით კონცენტრირებულია პრობლემის გადაწყვეტაზე.

ჩვენ რა თქმა უნდა, შეგვიძლია მოვიყვანოთ მრავალი განსხვავებული აზრი კრიტიკული და კრეატული აზროვნების შესახებ, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, გვინდა დავაფიქსიროთ ჩვენი პოზიცია.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აზროვნების ამ ორ სახეს უდაოდ ბევრი საერთო თვისება აქვს. როგორც კრიტიკული, ისე შემოქმედებითი აზროვნებისათვის დამახასიათებელია ისეთი უნარ–ჩვევები, რომლებიც მოსწავლეებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევს შეაფასონ წაკითხულის, მოსმენილის, ნაფიქრის სარგებლობა და მნიშვნელობა, მოახდინონ პრობლემის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსჯა, პრობლემის გადაჭრა და დასკვნების გამოტანა, პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიული ვარიანტების გამოძებნა და სხვ. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც არ შეიძლება მათი იდენტიფიცირება. ჩვენ ვთვლით, რომ კრიტიკული აზროვნება არის ზოგადად აზროვნების სტილი, ხოლო კრეატული უნარი არის პიროვნული ნიშანი, რომელიც ვლინდება შემოქმედებით აზროვნებაში. კრეატივები პრობლემის გადასაჭრელად უმეტეს შემთხვევაში იყენებენ არაშაბლონურ, სრულიად ახალ, ორიგინალურ გზას, როცა მათ წინაშე დგას რაღაც ახალი ამოცანა, ისინი ცდილობენ გამოვიდნენ სიტუაციის ტყვეობიდან, შეცვალონ იგი, დაარღვიონ აზროვნების ჩვეული გზა. რაც შეეხება კრიტიკულად მოაზროვნე პიროვნებას, იგი შედარებით შეზღუდულია, დეტერმინირებულია, მან უნდა გამოკვეთოს პრობლემა, განსაზღვროს რა სახის ინფორმაციაა საჭირო, მოახდინოს ფაქტების გარჩევა შეფასებისაგან, განსაზღვროს რამდენად თანმიმდევრულია განცხადებები როგორც ერთმანეთის მიმართ, ასევე საერთო კონტექსტთან მიმართებაში, გამოცადოს დასკვნები და ჰიპოთეზები, წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგები და ა.შ.

ამრიგად, კრიტიკული და კრეატული აზროვნების გამიჯვნას, ჩვენი აზრით, ნამდვილად აქვს საფუძველი, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება მათი გონივრული შერწყმა.

აზროვნების ამ ორი სახის (კრიტიკული და კრეატული) არსში უფრო ღრმად ჩაწვდომისათვის თითოეული მათგანი განვიხილოთ ცალ–ცალკე.

ტერმინი „კრიტიკული აზროვნება" საგანმანათლებლო წრეებში ათწლეულების განმავლობაში იხმარება და სხვადასხვა წრეებში სხვადასხვა რამეს გულისხმობს. საგანმანათლებლო სფეროს წამყვანი სპეციალისტები კრიტიკულ აზროვნებას აზროვნების უფრო მაღალ დონედ მიიჩნევენ. ფილოსოფიური მეცნიერების წარმომადგენლების განმარტებით, კრიტიკული აზროვნება, ძირითადად გულისხმობს ლოგიკისა და არგუმენტების მოშველიებას, რაც მოსწავლეს და სტუდენტს ეხმარება ტექსტის ყურადღებით წაკითხვაში, ანალიტიკურ განხილვასა და გასაგებად წერაში. ლიტერატურის თეორეტიკოსებისათვის კრიტიკული აზროვნება არის სწრაფი საშუალება ტექსტის შემადგენელ ნაწილებად დაყოფისა. პაოლო ფრეირის მიმდევრებისათვის კრიტიკული აზროვნება განათლების სფეროში არის ცნობიერების ამაღლების საფუძველი, რაც აძლიერებს მოსწავლეთა და სტუდენტთა უნარს თავად იყვნენ საკუთარი ბედის შემოქმედნი.

1991 წელს, ფილოსოფოსმა მეთიუ ლიპმანმა გადაწყვიტა აღენუსხა ის შემეცნებითი პროცესები, რომლებსაც კრიტიკული აზროვნება შეიძლება დაერქვას, ბოლოს კი აღიარა, რომ „ეს სია უსასრულოა, ვინაიდან კაცობრიობის ინტელექტუალური ენერგიის კრებულს წარმოადგენს". ლიპმანი აგრეთვე

თვლის, რომ ის მენტალური პროცესები, რომლებიც გამოიყენება კრიტიკული აზროვნების კურსში, ყველაზე მეტად მიესადაგება თავისუფალი საზოგადოებისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე მოქალაქეების აღზრდის ამოცანას. ეს პროცესები გახლავთ:

- ❖ ორიგინალური აზრების ფორმირება;
- ❖ მსგავსი იდეებიდან ყველაზე მეტად გონივრულის ამორჩევა;
- ❖ პრობლემების გადაწყვეტა;
- ❖ ყოველი იდეის სიღრმისეული განხილვა.

ამ სიას უნდა დავამატოთ სოციალური ფაქტორიც, რომლის ძირითადი არსი არის სხვა ადამიანებთან თანამშრომლობა ერთიანი შინაარსის ჩამოსაყალიბებლად. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანების განვითარების დონე მოქმედებს მათ აღქმასა და სამყაროსადმი დამოკიდებულებაზე. ყველაზე სწორი დამოკიდებულება საკითხისადმი არის ის, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებს და სტუდენტებს იაზროვნონ აქტიურად, სხარტად და არა აბსტრაქტულ ლოგიკაზე დაყრდნობით. ეს უკანასკნელი აძლევს მათ საშუალებას იფიქრონ მართლაც მნიშვნელოვან საკითხებზე. მეტიც, კრიტიკული აზროვნების უნარი უკეთ ვითარდება მაშინ, როცა ის მსმენელის ცნობისმოყვარეობიდან მომდინარეობს და ეხება იმ საკითხებს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია. რაც შეეხება შედარებით კონკრეტულ განმარტებას, ფსიქოლოგიისა და მომიჯნავე მეცნიერებების სპეციალისტებმა შემოგვთავაზეს ტერმინ ,,კრიტიკული აზროვნების“ რამდენიმე განსაზღვრება, რომლებიც ფაქტიურად, თავისი არსით, საკმაოდ ახლოს არიან ერთმანეთთან. დ.ხალპერნი თავის წიგნში ,,კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგია“ აღნიშნავს, რომ მათგან ყველაზე მარტივი ასეთია: კრიტიკული აზროვნება – ეს არის კოგნიტური სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც ხელს უწყობენ სასურველი საბოლოო შედეგის მიღების ალბათობას. აქ იგულისხმება აზროვნების ტიპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ლოგიკურობა და მიზანმიმართულება. კრიტიკული აზროვნების სხვა განსაზღვრებები დამატებით მიუთითებენ მის ისეთ მახასიათებლებზე, როგორიცაა ლოგიკური დასკვნები, ურთიერთდაკავშირებული ლოგიკური მოდელების ჩამოყალიბება და დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც ან ეთანხმებიან არსებულ მსჯელობებს ან ეწინააღმდეგებიან.

გრეის კრაიგს, 2000 წელს გამოცემულ თავის წიგნში ,,განვითარების ფსიქოლოგია“ მოჰყავს არტურ კოსტას შეხედულება კრიტიკული აზროვნების შესახებ. კოსტა თვლის, რომ კრიტიკული აზროვნების პროცესი უნდა გახდეს სწავლების პროცესის შემადგენელი ნაწილი. მოსწავლეების და სტუდენტების მიერ გადაწყვეტილებების მიღება, აზრების ჩამოყალიბება, პრობლემების გადაჭრა, ერთობლივად მუშაობა, იმის ათვისება, თუ როგორ უნდა ისწავლო მრავალი განსხვავებული წყაროდან, აგრეთვე იდეებისა და ინფორმაციის შემოქმედებითი ინტეგრირება, პროგრამის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს და არ უნდა იქნას განცალკევებული შინაარსისაგან.

არტურ კოსტა და მისი კოლეგები თვლიან, რომ მოსწავლეებისათვის აუცილებელია მათი გონებრივი მოქმედების ექვსი მიმართულებით განვითარება.

1. გახსენება: ფაქტების, წარმოდგენებისა და ცნებების გონებაში აღდგენა.
2. გამოყენება: ნიმუშისა და ალგორითმის მიხედვით მოქმედება.
3. დასაბუთება: კერძო შემთხვევის ზოგად პრინციპამდე ან ცნებამდე აყვანა.
4. რეორგანიაცია: ამოცანის საწყისი პირობის ახალ პრობლემურ სიტუაციად გარდაქმნა, რომელიც ორიგინალური გადაწყვეტის საშუალებას იძლევა.
5. შესატყვისობა: ახლად მიღებული ცოდნის ძველთან ან პირად გამოცდილებასთან დაკავშირება.
6. რეფლექსია: კონკრეტულად აზრის და მისი გაჩენის მიზეზთა კვლევა.

ამრიგად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩვენ მივდივარ ისევ და ისევ იმ დასკვნამდე, რომ მოსწავლეებს და სტუდენტებს შეიძლება ვასწავლოთ კრიტიკული აზროვნება თუ მათთან ჩატარებული მეცადინეობები შეესაბამება ამ ამოცანას. აუცილებელია, რომ კრიტიკული აზროვნების სხვადასხვა მეთოდების სწავლებას ყოველ მეცადინეობაზე დაეთმოს ადგილი და მოსწავლეები და სტუდენტები სწავლობდნენ მიღებული ცოდნის ნებისმიერ სიტუაციაში გამოყენებას. კვლევის შედეგების ანალიზი, სადაც ხდებოდა მოსწავლეთა რამდენიმე ჯგუფის შედარება, იძლევა საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ შედეგები შედარებით უფრო მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სწავლების კურსი ორიენტირებულია კონკრეტულად კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე. კრიტიკული აზროვნება არ ჩამოყალიბდება ავტომატურად, თავისთავად, როგორც სწავლების გარკვეული შედეგი. სასურველი შედეგის მისაღწევად, როგორც მ.ბარონი აღნიშნავს, აუცილებელია სისტემატური მეცადინეობები აზროვნების სრულყოფისათვის და კიდევ, ერთი, იმისათვის რომ მოსწავლეებმა შეგნებულად გააცნობიერონ და შეძლონ საკუთარი სააზროვნო უნარების გაუმჯობესება და ამ შეძენილი უნარების დანიშნულებისამებრ გამოყენება, კრიტიკული აზროვნების სწავლებაში ჩართული უნდა იყოს ცხოვრებისეული მაგალითების უამრავი რაოდენობა.

ამრიგად, აღნიშული საკითხის ანუ კრიტიკული აზროვნების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ჩვენ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ კრიტიკული აზროვნების ფორმულა: იფიქრო კრიტიკულად, ნიშნავს იყო ცნობისმოყვარე, ჩამოაყალიბო შეკითხვები და სისტემატურად შეეცადო ამ შეკითხვებზე პასუხის მოძებნას. კრიტიკული აზროვნება რამდენიმე დონეზე მოქმედებს, რაც მოი-

ცავს არა მარტო ფაქტების ფიქსაციას, არამედ ამ ფაქტების მიზეზებისა და იმპლიკაციების გარკვევას. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს იყო თავაზიანად სკეპტიკური და მოახერხო ალტერნატიული აზრების პოსტულირება უკვე ჩამოყალიბებული პოზიციის ქონისას. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს საკითხთან მიმართებაში გარკვეული პოზიციის ქონას, როდესაც ახერხებ ამ პოზიციის რაციონალურად ჩამოყალიბებას და დაცვას. იაზროვნო კრიტიკულად ნიშნავს ყურადღებით გაიაზრო სხვების არგუმენტები და შეგეძლოს ამ არგუმენტების ლოგიკურად გაშიფრვა. კრიტიკული აზროვნების მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ კითხვები, რომლებსაც მოსწავლეები საკუთარ თავს უსვამენ: რას ნიშნავს ეს ინფორმაცია ჩემთვის? როგორ გამოვიყენო იგი? როგორ მიესადაგება ახალი ინფორმაცია იმას, რაც მე უკვე ვიცი? სასარგებლოა თუ არა ეს ინფორმაცია? რა დამოკიდებულება მაქვს ამ აზრის მიმართ? რა შედეგი მოჰყვება ამ აზრის განხორციელებას ჩემთვის ან სხვისთვის და ა.შ.

კრიტიკული აზროვნებისაგან განსხვავებით რა არის შემოქმედებითი ანუ კრეატული აზროვნება?

შემოქმედებითი აზროვნების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ ამოცანის გადაწყვეტა აზროვნების არატრადიციული საშუალებების გამოყენებით, პრობლემის განსხვავებული ხედვა, აზროვნების წარმართვა მსჯელობის ჩვეულ საზღვრებს მიღმა. ორიგინალური ქცევა, ახლის ძიება არის კრეატივების მორგების კონკრეტული ტიპი. საბოლოო ჯამში, შემოქმედებითობა ანუ კრეატულობა არის ინდივიდისა თუ კულტურისათვის რაიმე ახლის შექმნის უნარი.

შემოქმედებითობის ცნების განსაზღვრებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჯ.გილფორდს, რომელიც შემოქმედებითობის ძირითად მახასიათებლად თვლიდა ორიგინალობას, არატრივიალობას, ინტელექტუალური სიახლისადმი ნათლად გამოხატულ მისწრაფებას, სემანტიკურ და ხატოვან ადაპტაციურ მოქნილობას, პრობლემის გადასაწყვეტად საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული გზებისა და საშუალებების ძიებას. ჯ.გილფორდმა მოახდინა რა თავისი კვლევების სისტემატიზაცია, შემოგვთავაზა ,,ინტელექტის სტრუქტურის" კუბის ფორმის მქონე მოდელი, რომელშიც ინტელექტის თვისებების კლასიფიკაცია მოახდინა სამი განზომილების მიხედვით: ოპერაცია, პროდუქტი, შინაარსი. ოპერაციის განზომილებაში ავტორმა მოათავსა შემეცნება, მეხსიერება, დივერგენტული აზროვნება, კონვერგენტული აზროვნება და შეფასება. პროდუქტის განზომილებაში – ერთეული, კლასი, ურთიერთობა, სისტემა, ტრანსფორმაცია და მსჯელობა. და ბოლოს, შინაარსის მიხედვით, შესაბამისი ოპერაცია წარმოადგენს მოქმედებას ობიექტებთან, სიმბოლოებთან, სემანტიკასთან და ქცევასთან.

მართალია, ეს მოდელი ყველა ინტელექტუალურ ფუნქციას მოიცავდა, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც იყო გილფორდის წვლილი კონვერგენტული და დივერგენტული აზროვნების გარჩევაში და დივერგენტული აზროვნების დახასიათებაში, რომელსაც ავტორიც და სხვა მკვლევარებიც კრეატულობას უწოდებენ. კონვერგენტული აზროვნებისაგან განსხვავებით, რომელიც ცნობილი და მსგავსი პრობლემების გადაჭრაზეა ორიენტირებული და მივყავართ მოცემული ფაქტებიდან გამომდინარე ერთადერთ ჭეშმარიტ დასკვნამდე, დივერგენტული აზროვნება მჟღავნდება მაშინ, როცა პრობლემა ჯერ კიდევ არ არის განსაზღვრული და მოცემული და როდესაც არსებობს მისი გადაჭრის ალტერნატიული გზები. ეს არის აზროვნების ტიპი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იშლება. ასეთი აზროვნება ნაკლებად შეზღუდულია მოცემული ფაქტებით, უშვებს პრობლემის გადაჭრის გზების ცვლილებებს და მივყავართ მოულოდნელ შედეგებამდე.

კონვერგენტული და დივერგენტული აზროვნების მსგავსად კრეატულობის კვლევის თვალსაზრისით ასეთივე ახალი ცნებები შემოიტანა კრეატული უნარების მკვლევარმა და ლონდონში შემოქმედებითი უნარების ლაბორატორიის დამაარსებელმა ედვარდ დე ბონომ, რომელსაც მან ლატერალური და ვერტიკალური აზროვნება უწოდა.

ლატერალური აზროვნების საფუძველს წარმოადგენს იგივე, რაც საფუძვლად უდევს ინსაითს, კრეატულობას და იუმორს და იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ლოგიკური ანუ ვერტიკალური აზროვნებისაგან, სადაც ამოცანის გადაწყვეტა ხდება ალგორითმის საშუალებით ანუ ნაბიჯ–ნაბიჯ მივდივართ ამოცანის საბოლოო გადაწყვეტისაკენ და ამავე დროს, თითოეული ნაბიჯი გათვლილი, გაცნობიერებულია და არგუმენტირებულია. ვერტიკალური აზროვნება მუშაობს გამორიცხვის მეთოდით. მისგან განსხვავებით, ლატერალური აზროვნება ეს არის პრობლემის სწრაფი და ეფექტური გადაწყვეტა ერთი შეხედვით არალოგიკური საშუალებებით; უნარი და მზაობა საგნებს და მოვლენებს „შეეხედო" სხვა რაკურსით; ეს არის აზროვნების ტიპი, რომელიც განიხილება ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების შემავსებელ კომპონენტად; ეს არის ტერმინი, რომელიც ცვლის კრეატულობას და შემოქმედებითობას; ეს არის კითხვის დასმა ,,რა იქნებოდა, რომ..."; ლატერალური აზროვნება ნიშნავს კონსტრუქციული გამოწვევა გამოუცხადო შაბლონურ და სტრეოტიპულ აზროვნებას; მოძებნო პრობლემის გადაწყვეტის ალტერნატიული გადაწყვეტილებები; პრობლემები გადააქციო შესაძლებლობებად; მოახდინო შემოქმედებითი იდეებისა და ინოვაციების რეალიზაცია და ა.შ. იგივე ბონო ამბობდა, რომ ,,კრეატულობა, შემოქმედებითობა საკმაოდ მრავალფეროვანი, მრავალმნიშვნელოვანი და საკმაოდ გაშლილი ცნებაა. იგი ითვალისწინებს მთლიან შემოქმედებით საწყისს – საწერ მაგიდაზე შექმნილი შემოქმედებითი უწესრიგობიდან სიმფონიის შექმნამდე".

აღნიშნული იდეის შემუშავებით ედვარდ დე ბონო შესულია ოქსფორდის ლექსიკონში როგორც ,,ადამიანი, რომელიც ცდილობდა პრობლემის გადაწყვეტას არაორთოდოქსალური და აშკარად არალოგიკური მეთოდებით".

კრეატულობის ცნებას ეხებოდნენ რ.ვუდვორტსი, ხ.ტრიკი, დ.კრაჩფილდი, დ.კრეჩი, ნ.ლივსონი, კ.როჯერსი, ე.კრეჩმერი და სხვები, მაგრამ ყველაზე თანმიმდევრული აღწერა მოგვცა პ.ტორენსმა და მანვე, რაც მთავარია შექმნა კრეატულობის გაზომვის მეთოდები. პ.ტორენსი ამ უნარს აღწერს, როგორც ,,პრობლემის, ცოდნის დეფიციტის და ხარვეზების, დისჰარმონიის მიმართ გაზრდილ მგრძნობელობას, სიძნელეთა აღმოჩენის, გადაწყვეტილებების ძიების, ვარაუდებისა და ჰიპოთეზების შემოწმებასა და გადამოწმებას, მათ შესაძლო მოდიფიკაციასა და ბოლოს, შედეგების გადმოცემას. ეს დეფინიცია ბუნებრივ ადამიანურ პროცესს აღწერს, რომელშიც ძლიერი ადამიანური მოთხოვნილებები ყველა სტადიაზეა ჩართული. თუ ვგრძნობთ დაუსრულებლობას ან დისჰარმონიას, აღმოცენდება დაძაბულობა. ჩვენ თავს ვგრძნობთ არაკომფორტულად და გვინდა ამ დაძაბულობის მოხსნა. მას შემდეგ რაც ქცევის ნაცნობი ხერხები გამოუსადეგარი აღმოჩნდება, ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ არაადექვატური, ჩვეულებრივი და აშკარა, მაგრამ არასწორი გადაწყვეტილებები და მივმართავთ კვლევას, დიაგნოსტირებას, მანიპულაციას, ვარაუდსა და შეფასებას. მანამ, სანამ ვარაუდები და ჰიპოთეზები არ არის შემოწმებული, მოდიფიცირებული და გადამოცმებული, ჩვენ თავს ისევ არაკომფორტულად ვგრძნობთ. გარდა ამისა, დაძაბულობა არ გაქრება მანამდე, სანამ ვინმეს არ გავუზიარებთ ჩვენი აღმოჩენის შესახებ".

ამრიგად, შემოქმედებითი ანუ კრეატული აზროვნება არის აზროვნების განსაკუთრებული ფორმა(სახე) მიმართული ახლის ძიების, გარდაქმნის, შექმნისაკენ, რომელიც არა გარემოდან წამოსული მოთხოვნის, არამედ შინაგანი იმპულსის, ფუნქციონალური ტენდენციის ბაზაზე ხორციელდება. კრეატულობა, როგორც თვისება ახასიათებს არა მხოლოდ ინტელექტუალურ მოღვაწეობას, არამედ პიროვნებას, როგორც მთელს ანუ ეს არის ფსიქიკის ინტეგრაციული თვისება(ვ.დრუჟინინი), კოგნიტური სფეროს სინთეტური უნარი, რომელიც თავის მხრივ, ითვალისწინებს ინტელექტისა და ფანტაზიის მომენტებს. გარდა ამისა, კრეატული ქცევა თავის გამოხატულებას პოულობს ნებისყოფის დაძაბვასა და თავისებურ ემოციურ მდგომარეობაში.

რაც შეეხება კრიტიკულ და კრეატულ აზროვნებას შორის არსებულ ურთიერთმიმართებას, აქ მართებული იქნება გავიხსენოთ ჯ.ბრუნერის მიერ ფორმულირებული ანალიზური და ინტუიტური აზროვნების ცნებები. ავტორის აზრით, ანალიზური აზროვნება ხასიათდება იმით, რომ მისი ცალკეული ეტაპები მკვეთრადაა გამოხატული და პიროვნებას აქვს უნარი მათ შესახებ მოუთხროს სხვას. აქ ცნობიერდება მისი როგორც შინაარსი, ისე შემადგენელი ოპერაციები. მან შეიძლება მიიღოს დედუქციური მსჯელობის ფორმა, სადაც ხშირად გამოიყენება მათემათიკა და ლოგიკა, ინტუიტური აზროვნება კი ხასიათდება იმით, რომ მასში არ გვაქვს მკვეთრად განსაზღვრული ეტაპები. იგი უპ.ყ. ემყარება მთელი პრობლემის შეკუმშულ აღქმას. ადამიანი იღებს სწორ ან არასწორ პასუხს და ვერ აცნობიერებს იმ პროცესს, რომლითაც მან იგი მიიღო. ინტუიტური აზროვნება, ჩვეულებრივ, ემყარება ძირითად ცოდნას მოცემულ სფეროში. ეს აძლევს შესაძლებლობას ამ პროცესს განხორციელდეს ნახტომისებურად, სწრაფი გადასვლებით, სადაც რამდენიმე რგოლია გამოტოვებული. აქედან გამომდინარე, საჭიროა ამ გზით მიღებული ინდუქციური თუ დედუქციური დასკვნების შემოწმება ანალიზური აზროვნების საშუალებებით. ამრიგად, ბრუნერის აზრით, ინტუიტური და ანალიზური აზროვნება ერთმანეთს ავსებს. ინტუიციაზე დაყრდნობით ადამიანმა შეიძლება გააკეთოს მნიშვნელოვანი აღმოჩენა, რომელსაც ანალიტიკოსი ვერ შეძლებს, თუმცა, ამ უკანასკნელს შესწევს უნარი დახვეწოს და შესაბამისი ფორმალური სახე მისცეს გაკეთებულ აღმოჩენას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ანალოგიური დამოკიდებულება არსებობს კრიტიკულ და კრეატულ აზროვნებას შორის. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჩვენივე აზრით, კრიტიკული აზროვნება სამართლიანდ შეიძლება მივაკუთნოთ ანალიზურ აზროვნებას, ხოლო კრეატული აზროვნება – ინტუიტურ აზროვნებას. პიროვნება რომელიც ახდენს საკუთარი კრეატული იდეების ფორმულირებას, ამავდროულად უნდა იყენებდეს კრიტიკული აზროვნების საშუალებებს, რომელიც მას დაეხმარება იმის განსაზღვარაში, თუ რამდენად რეალურია ამა თუ იმ ჩანაფიქრის განხორციელება. იმისათვის, რომ ესა თუ ის ამოცანა ნამდვილად ეფექტურად და შემოქმედებითად გადაწყდეს, აუცილებელია ამ იდეების ე.წ. ტესტირება: მართლა საჭიროა თუ არა იგი? როგორ შეიძლება მისი სრულყოფა? იქნებ ეს ყველაფერი უნაყოფოა და ა.შ. შემოქმედებითობა ნაკლებ პროდუქტული იქნება, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ მიღებული პროდუქციის ან ინფორმაციის გადამოწმებასა და გადახარისხებას. შესაბამისი გადარჩევის მიზნით, აუცილებელია, პირველ რიგში, დავიცვათ დისტანცია ანუ ობიქტურად შევაფასოთ საკუთარი იდეები (სწორედ კრიტიკული აზროვნების საშუალებით) და მეორეს მხრივ, გავითვალისწინოთ ის კრიტერიუმები და შეზღუდვები, რომლებიც განსაზღვრავენ ახალი შემოქმედებითი იდეების პრაქტიკულ ღირებულებებს.

ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება(გ.ლინდსეი; კ.ხალი; რ.ტომპსონი.), რომ კრიტიკული აზროვნება კონკურენციას უწევს კრეატულ აზროვნებას და რომ კრიტიკული აზროვნება აუცილებლად მიმართული უნდა იყოს სხვა ადამიანთა მსჯელობებში გარკვეული ნაკლოვანებების გამოსავლენად.

ჩვენ ვთვლით, რომ ეს არასწორი შეხედულებაა.

მართალია, სიტყვა ,,კრიტიკული" განისაზღვრება, როგორც შეფასებითი კომპონენტი და იგი გამოიყენება როგორც რაღაცისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოსახატავად, მაგრამ შეფასება შეიძლება და უნდა იყოს როგორც ნეგატიური, ისე პოზიტიური დამოკიდებულების კონსტრუქციული გამოხატულება. ამავე აზრს იზიარებს დ.ჰალპერნიც წიგნში „კრიტიკული აზროვნების ფსიქოლოგია". იგი ამბობს, რომ როდესაც ჩვენ კრიტიკულად ვაზროვნებთ, ჩვენ ვაფასებთ საკუთარი სააზროვნო პროცესების შედეგებს – რამდენად სწორია ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ან რამდენად წარმატებულად გავართვით თავი ჩვენს წინაშე არსებულ ამოცანას. კრიტიკულ აზროვნებას ხშირად უწოდებენ მიმართულ აზროვნებას, რამდენადაც მასში გათვალისწინებულია სასურველი შედეგის მიღება. ოცნება, სიზმარი და აზროვნების სხვა სახეები არ განეკუთვნებიან კრიტიკული აზროვნების კატეგორიას. ასევე კრიტიკულ აზროვნებად არ შეიძლება ჩაითვალოს აზროვნების ის ტიპი, რომელიც საფუძვლად უდევს ჩვენს ყოველდღიურ ჩვევებს. ამ დროს ჩვენი აზროვნება ორიენტირებულია გარკვეულ მიზანზე, მაგრამ პრაქტიკულად არ ითვალისწინებს იმ ქცევის გაცნობიერებულ შეფასებას, რომელსაც ჩვენ ვახორციელებთ. ამ შემთხვევაში გვაქვს არამიმართული ანუ ავტომატური აზროვნება.

რაც შეეხება სწავლების პროცესში ამ ორი უნარის ურთიერთმიმართებას, ჩვენ ვთვლით, რომ მოსწავლეთათვის და სტუდენტებისათვის აუცილებელია, როგორც კრიტიკული (კოვერგენტული,ანალიზური,ვერტიკალური),ისე კრეატული(დივერგენტული, ინტუიტური, ლატერალური) უნარების ფორმირება და განვითარება. ასევე აუცილებელად მიგვაჩნია ის, რომ მას უთუოდ სისტემატური სახე უნდა მიეცეს და იგი სასწავლო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ანუ მოსწავლეთა და სტუდენტთა სწავლის პროცესში ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწავლების პროცესის ისეთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილთა ურთიერთობაზე, როგორიცაა გამოცდილება, ლოგიკა და ინტუიცია, ვინაიდან ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება, ახლის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციის და ლოგიკის სწორი ურთიერთობით. ინტუიციის გარეშე აზროვნება დაკარგავდა მოქნილობას, მობილურობას, არასტანდარტულობას, მით უფრო, რომ ამოცანის(საერთოდ პრობლემის) მხოლოდ ლოგიკური გააზრების დროსაც კი უცაბედად, ინტუიციურ ბიძგს, ადამიანი ხშირად მიჰყავს სწორ პასუხამდე.

აზროვნების ინტუიციური და ლოგიკური კომპონენტების ერთობლიობა გამოიხატება იმით, რომ ერთი აუცილებლად გვთავაზობს მეორეს და პირიქით. ინტუიციისა და ლოგიკის ანუ კრიტიკულობისა და კრეატულობის მიმართება დამოკიდებულია მოსწავლეებში და სტუდენტებში ლოგიკური, გამოთვლითი, სამეტყველო თუ სივრცითი ორიენტაციის უნარების ჰარმონიულ განვითარებასა და თანაფარდობაზე, რომლებიც შემეცნების პროცესში ავსებენ ურთიერთს და გვევლინებიან მოსწავლეთა გონებრივი წვრთნის ეფექტურ საშუალებად. ამგვარი ჰარმონიული ურთიერთშერწყმის შედეგად მოსალოდნელია მოსწავლეთა სრულფასოვანი ინტელექტუალური კმაყოფილება, რაც ნიშნავს ამოცანის ამოხსნით გამოწვეულ სიხარულს, ამოცანის ამოხსნას რაციონალური გზების მიგნებით.

ამგვარად, ინტუიციისა და ლოგიკის კომპონენტების განვითარება ინტელექტუალური უნარ–ჩვევების სრულყოფის საწინდარია, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს მოსწავლეებში და სტუდენტებში კონვერგეტული და დივერგენტული აზროვნების ელემენტების ჩამოყალიბებას. არ უნდა გვეგონოს, რომ ისინი ბუნებრივად მივლენ ეფექტურ კრიტიკულ და კრეატულ აზროვნებამდე, მხოლოდ იმიტომ რომ ეს მნიშვნელოვანია. აუცილებელია, რომ ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე განუვითაროთ როგორც კრიტიკული, ისე კრეატული აზროვნება, თანაც ისე, რომ ისინი ერთმანეთის მიმართ იმყოფებოდნენ წონასწორობაში, იყვნენ ერთმანეთის თანმხლები და პერიოდულად ცვლიდნენ ერთმანეთს ნებისმიერ სააზროვნო ოპერაციაში, ვინაიდან ბავშვის გონებრივი განვითარებისათვის, მისი ნორმალური ფუნქციონირებისათვის აუცილებელია შემოქმედებითი(ინტუიტური) და კრიტიკული(ანალიზური) აზროვნების გონიერი შერწყმა.

და კიდევ, აუცილებლად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან კრიტიკული აზროვნება და კრიტიკული განწყობა. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული აზროვნება თავისი სპეციფიკის მიხედვით, ახდენს ზოგიერთი იდეებისა და აზრების ბლოკირებას, მისი საბოლოო მიზანი მაინც კონსტრუქციულია, ხოლო კრიტიკული განწყობა თავისი არსითვე უკვე დესტრუქციულია, ვინაიდან აკრიტიკო ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი თვისებების შემჩნევისა და მსჯელობებში გარკვეული ნაკლოვანებების გამოსავლენად, ჩვენი აზრით, არის პიროვნებისადმი ჩვენი დამოკიდებულების გამომხატველი მომენტი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Боно Эдвард де. Рождение новой идей. О нешаблонной мышлении. М. Изд-во ,,Прогресс,, 1976.
2. Дружинин В.В. Психология общих способностей. Питер. 2000.
3. Крайг Г. Психология развития. Питер. 2000.
4. Халперн Д. Психология критического мышления. Питер. 2000.

ნანა გოგიჩაშვილი

კრიტიკული და კრეატული აზროვნების ურთიერთმიმართება

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია კრიტიკული და კრეატული აზროვნების ურთიერთმიმარტების საკითხი. კერძოდ, მიუხედავად იმისა, რომ რომ აზროვნების ამ ორ სახეს უდაოდ ბევრი საერთო თვისება აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ როგორც კრიტიკული, ისე შემოქმედებითი აზროვნებისათვის დამახასიათებელია ისეთი უნარ–ჩვევები, რომლებიც მოსწავლეებს და სტუდენტებს საშუალებას აძლევენ შეაფასონ წაკითხულის, მოსმენილის, ნაფიქრის სარგებლობა და მნიშვნელობა, მოახდინონ პრობლემის განსაზღვრა და ჩამოყალიბება, ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებული ინფორმაციის განსჯა, პრობლემის გადაჭრა და დასკვნების გამოტანა, პრობლემის გადასაჭრელად ალტერნატიული ვარიანტების გამოძებნა და სხვა, მაინც არ შეიძლება მათი იდენტიფიცირება. ჩვენ ვთვლით, რომ კრიტიკული აზროვნება არის ზოგადად აზროვნების სტილი, ხოლო კრეატული უნარი არის პიროვნული ნიშანი, რომელიც ვლინდება შემოქმედებით აზროვნებაში. კრიტიკული აზროვნების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვის საფუძველზე ჩვენ შემდეგნაირად ჩამოვაყალიბეთ კრიტიკული აზროვნების ფორმულა: იფიქრო კრიტიკულად, ნიშნავს იყო ცნობისმოყვარე, ჩამოაყალიბო შეკითხვები და სისტემატურად შეეცადო ამ შეკითხვებზე პასუხის მოძებნას. კრიტიკული აზროვნება ნიშნავს იყო თავაზიანად სკეპტიკური და მოახერხო ალტერნატიული აზრების პოსტულირება უკვე ჩამოყალიბებული პოზიციის ქონისას. იაზროვნო კრიტიკულად ნიშნავს ყურადღებით გაიაზრო სხვების არგუმენტები და შეგეძლოს ამ არგუმენტების ლოგიკურად გაშიფრვა.

შემოქმედებითი აზროვნების უპირველესი დამახასიათებელი ნიშანი კი გახლავთ ამოცანის გადაწყვეტა აზროვნების არატრადიციული საშუალებების გამოყენებით, პრობლემის განსხვავებული ხედვა, აზროვნების წარმართვა მსჯელობის ჩვეულ საზღვრებს მიღმა. საბოლოო ჯამში, შემოქმედებითობა ანუ კრეატულობა არის ინდივიდისა თუ კულტურისათვის რაიმე ახლის შექმნის უნარიორი უნარის ურთიერთმიმართებას, ჩვენ ვთვლით, რომ მოსწავლეთათვის აუცილებელია, როგორც კრიტიკული(ანალიზური), ისე კრეატული((ინტუიტური) უნარების ფორმირება და განვითარება. ასევე აუცილებელად მოგვაჩნია ის, რომ მას უთუოდ სისტემატური სახე უნდა მიეცეს და იგი სასწავლო პრაქტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს ანუ მოსწავლეთა სწავლის პროცესში ყურადღება უნდა გავამახვილოთ სწავლების პროცესის ისეთ უმთავრეს შემადგენელ ნაწილთა ურთიერთობაზე, როგორიცაა გამოცდილება, ლოგიკა და ინტუიცია, ვინაიდან ცხოვრებისეული გამოცდილების გაზიარება, ახლის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ ინტუიციის და ლოგიკის სწორი ურთიერთობით.

Nana Gogichashvili

The Interrelationship of Critical and Creative Thinking

Abstract

The work refers to the question of interrelationship of critical and creative thinking. Despite the fact that these two types of thinking have plenty of common features, which means that both critical and creative thinking share the characteristic skills which enable pupils and students to evaluate the benefit and the meaning of reading, listening and thinking materials, to define and formulate the problem, to discuss the information connected to some problem, to solve a problem and draw a conclusion, to find alternative ways to solve a problem and others, still their identification is not possible. We consider that critical thinking is a style of thinking generally, while creative ability is an individual quality, which is revealed in creative thinking. On the basis of analyzing the available literature referring to critical thinking, we formulated critical thinking as follows: think critically means being curious, forming questions and trying systematically to find the answers to these questions. Critical thinking means being reasonably skeptical and able to postulate alternative ideas while having a formulated position. Think critically means considering other arguments carefully and being able to realize these arguments logically.

The most characteristic feature for creative thinking is solution to a problem applying untraditional ways of thinking, a different view to a problem, thinking beyond conventional limits of discussion. In the end, creativity is ability to create something new for an individual or the culture.

As for the interrelationship of these two abilities while teaching, we consider that formation and development of both critical (analytical) and creative (intuitive) abilities are essential for a student. We also consider that it should take systematical place and become the part of educational practice, thus while teaching we should focus on the relations of such constituent parts as experience, logic and intuition, as sharing the life experience and formation of new is possible only with the proper relations of intuition and logic.

რომან გოგოლაური

ერეკლე II-ის ერთი განჩინების საკითხისათვის

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ, გავაანალიზოთ და დავაზუსტოთ ის სოციალური ურთიერთობანი, რომელიც არსებობდა ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასა და რეგიონს შორის, კერძოდ კი კახეთის სამეფოსა და ფშავს შორის.

ვიდრე უშუალოდ ზემოხსენებულ განჩინებას შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ იმ ისტორიულ ვითარებას, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სოციალურ ურთიერთობას მთასა და ბარს შორის.

XV ს_ის მეორე ნახევარში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო_სამთავროებად დაიშალა, აღმოსავლეთ საქართველო ქართლ_კახეთის სამეფოებად დანაწილდა. უკანა ფხოვი, რასაც ახლა უკანა ფშავს უწოდებენ, ორწყლამდე, (სადაც ფშავისა და ხევსურეთის არაგვი ერთდება), კახეთის სამეფოში შევიდა, ხოლო ორწყლიდან ქვემო არაგვის ფშავი ქართლის სამეფოს გამგებლობაში მოექცა [1. 349].

კახეთის სამეფოს გამგებლობაში იყო მოქცეული აგრეთვე თუშეთი და ხევსურეთი. დასახელებული სამი კუთხის გამგებლად კახეთის სამეფოს დანიშნული ჰყავდა მოურავი ჩოლოყაშვილი. როგორც მკვლევარი გ. ჯალაბაძე აღნიშნავს: `მოურავი ამ მიკრორაიონებისათვის, ზემოდან მეორე მებატონე პირს წარმოადგენდა, ე. ი. იყო ქვეყნის უზენაესი მფლობელი მეფე და იყო მისი ძალაუფლების მოქმედებაში შემყვანი სახლთხუცი_მოურავი~ [2.59]. ივ. სურგულაძის მტკიცებით, სახლთხუცესის თანამდებობა მეფის მმართველობის ცენტრალურ აპარატში პირველი მოხელეობა ყოფილა, რომ სახლთხუცს სამეურნეო_საფინანსო ხასიათის ფუნქციები ჰქონოდა ჩაბარებული[3. 175]. სახელმწიფო გადასახადიდან გარკვეული წილი სახლთხუცს ეკუთვნოდა. იგი თითქმის ყველა სახის გადასახადიდან თუ ბაჟიდან ღებულობდა სათანადო შემოსავალს. ფშავ_ხევსურეთი და თუშეთი XII საუკუნიდან მოყოლებული, გარკვეულ გამოსაღებს იხდიდა [3. 177], მაგრამ შემდგომში, როცა მონღოლთა შემოსევებმა ქვეყნის საერთო მდგომარეობა გაართულა, ფხოველთა ხარაჯისათვის ქვეყნის მესვეურთ დრო არ ჰყოფნიდათ, მთიელთა მიმართ ამ მძიმე პერიოდში რაღაც დათმობაზე წასვლა იყო საჭირო. ვერ დავეთანხმებით მკვლევარ გ. ჯალაბაძის მოსაზრებას, თითქოს ფშავ_ხევსურეთი და თუშეთი XIII საუკუნიდან მოყოლებული გადასახადს იხდიდნენ. ამის დასტურად გ. ჯალაბაძეს მოაქვს ერეკლე II-ის სიგელი თუშებისადმი: `შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ ჩვენს მამა_პაპათგან ნამსახურთ და დიდად ერთგულ ყმასა ჩვენთა სულ ერთობილ თუშთა დიდთა, პატარათა- შეგიწყალეთ და გიბოძეთ ალონი (ალვანი, რ. გ.) ისე, რომ ჩვენს მამა პაპათაგანაც წყალობად ჰქონდათ და ჩვენც ამრიგად ასე გვიბოძებია. ვინცავინ მოხნევდეს საღალის მიწას, ღალა ჩვენ უნდა მოგვცემოდეს და თქვენ, როგორც ძველთაგან, ან საბალახე და საფოთლე გერთმეოსდეთ, და საკომლო ისე გამოგერთმეოდესთო~ [4]. მართალია სიგელში ჩანს, რომ გამოსაღები საფოთლე, საბალახო და საკომლე ძველთაგანვე ყოფილა დაწესებული, მაგრამ თუ სახელოვან მეცნიერს ვახუშტი ბატონიშვილს დავუჯერებთ ერთიანი საქართველოს უკანასკნელ და კახეთის სამეფოს პირველ მეფე გიორგი VIII (გიორგი I კახეთში) `... არა მორჩილებდნენ თუშნი და ფშავ_ხევსურნი~ [5. 568]. ამასთანავე აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ალვანი (თანამედროვე ახმეტის რაიონშია) წარმოადგენს კახეთის ბარის ნაწილს და ამ ტერიტორიაზე საგადასახადო სისტემა მოქმედებდა. მაგრამ ხშირად სახლთხუცი თვითნებობდ, იმ დიდ უფლებებს პირადი აღზევებისათვის იყენებდა, სახელმწიფო გადასახადს თავისი სურვილისამებრ აწესებდა [2. 60]. ფშავ_ხევსურეთში თუ რა ღონისძიებას ატარებდა სახლთხუცი_მოურავი, ამის შესახებ მხოლოდ XVIII ს-ის შუა წლების მასალაა შემონახული. ამ მასალის მიხედვით ჩანს შემდეგი: მეფე თეიმურაზ II-ს სახლთხუც გრიგოლ ჩოლოყაშვილის კუთვნილი მამული მარელისში შეუწირია ლაშარის ჯვრისათვის: `იმის თაობაზე წერია პირობის წიგნში, _ თქვენც გაგვიწყერით და ჩვენც ბევრი თქვენი საწყენი საქმე ვქენით. ახლა მოვედით და ბატონთან სამართალში ჩავცვივდით. ბატონმაც წყალობა გვიყო და ჩვენც შევრიგდით. ჩვენზედ თქვენი გული მოიბრუნეთ: ჩვენცა, როგორც მამა და პაპა ყოფილა, ისე ერთგული და მოსამსახურე ვიყვნეთ~ [6. 407]. აქ აშკარად ჩანს, რომ გრიგოლ ჩოლოყაშვილის მამა და პაპა ისევე თხოვდა ფშავ_ხევსურთ სამსახურს, როგორც მათი საქმის გამგრძელებელი. განსხვავებული ხასიათისაა 1724 წლის კახეთის მეფე კონსტანტინეს (მაჰმად_ყული ხანი) სიგელი ფშავლებისადმი: `... არამედ შევწირეთ ლაშარის ჯვარსა და შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენცა მისთა მოყმეთა სრულიად ფშაველთა ნახევარი მარილისი ოთარის კერძი, გარდა გარსევან მოურავისა (ჩოლოყაშვილი, რ. გ.) და ალავერდის კერძისა რისაც მქონებელი მამულისა მარილისში ოთარის ყოფილიყოს ლაშარის ჯვარისათვის, შეგვიწირავს და თქვენ ფშაველთათვის გვიბოძებია სასახლე, ზვარი და მარანი, საკვამლო კაცითა შენითა და უშენითა, რადგან გარსევან მოურავის ყმად იყო ის ალაგი გამოვართვით და თქვენ მოგეცით. მოურავად ისევ გარსევან მოურავი იყოს იმ ქვეყნის წილის ალაგისა, გქონდესთ და გაბედნიეროსთ ღმერთმან ჩვენს ერთგულებაში და სამსახურში არ მოგეშალოსთ ჩვენგან არც შემდგომთა მეფეთა და დედოფალთაგან, მოძმეთა და ნათესავთა ჩვენთა უკუნისამდე~ [7]. როგორც სიგელიდან ირკვევა მარილისის ნახევარი მამული, რომელიც ოთარ ჩოლოყაშვილს ეკუთვნოდა, გარდა გარსევან ჩოლოყაშვილის და ალავერდის კერძისა, კონ-

სტანტინე კახთა მეფეს ლაშარის ჯვრისათვის შეუწირავს და ფშავლებისათვის უბოძებია. შემდეგ, XVIII ს-ის 40-იან წლებში მეფე თეიმურაზ II-ს განუახლებია ეს სიგელი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ საქართველოში მოქმედი კანონების მიხედვით ვიმსჯელებთ, სამოურაო სარგო არც თუ ისე მცირე გამოსაღებს შეადგენდა. დასტურლამალის მიხედვით (იხ. კარი47), სახლთხუცი ყველა სახის შემოსავლიდან იღებს გარკვეულ პროცენტს, მათ შორის სამეფო შემოსავლიდანაც [2. 60]. სწორედ ეს გაზრდილი მოთხოვნილებები აღუძრავდა მადას მოურავებს, კერძოდ კი ჩოლოყაშვილს, ასეთივე პირობები გაევრცელებინა მთის მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ უკმაყოფილებას იწვევდა თავისუფლებისმოყვარე ფხოველებში. ამაზე ნათლად მეტყველებს გრიგოლ ჩოლოყაშვილის პირობის წიგნი, მიცემული ერთობლივ ფშავლებისადმი: ქ. ეს წიგნი მოგართვით ლაშარის ჯვარსა და იმის ყმათ ერთობილ ფშაველთა ჩვენ ჩოლოყაშვილმა სახლთხუცმა გრიგოლ, ოთარ და სარიდან შვილთა და მომავალთა სახლისა ჩვენისათა: - ასე რომ, ბატონმა ჩვენი წილი მამული მარელისში შემოგწირა. ახლა იმის თაობაზე ჩვენც თქვენი ბევრი საწყენი საქმენი ვქენით და თქვენც გაგვიწყერით. საბატონოდ გახდა და თქვენს მოძმესთან ვილაპარაკეთ~. ქვემოთ ამ საბუთიდან ჩანს, რომ გრიგოლ ჩოლოყაშვილს ლაშარის სასარგებლოდ ჯარიმა გადაუხდია. ამ ინცინდენტში მთავარ მაძიებლად ჩანს ვინმე დემეტრე ასათაშვილი. დოკუმენტში ასეა ფიქსირებული: `ასათაშვილს დემეტრეს ბევრი დანაშაული ჰქონდა ჩვენზედ, არცარა ჩვენ უსაყვედუროთ რა ამას და არცარა შვილთA და მომავალთა ჩვენთა. ამ დანაშაულზე თუ ამას რამე გარდახდეს ჯუღაბის მომცემი ჩვენ ვიყვნეთ და თუ სხვა რამ დააშავა პასუხი თქვენც მისცეთ და ჩვენც გარდავახდევინოთ~ [8. 560].

როგორც ზემოთ აღნიშნულ საბუთებიდან ჩანს, მომჩივან-მოპასუხენი თითქოს დაზავდნენ, მაგრამ საბუთში მითითებული დემეტრე ასათაშვილის მიმართ მტრობა მაინც მტრობად დარჩენილა. ერთგულებისა და დაზავების ნიშნად, როგორც ჩანს ჩოლოყაშვილის 1747 წელს ფშავიდან მძევლები წამოუყვანია, მათ შორის ჩანს დემეტრე ასათაშვილიც [6. 406]. მართალია დოკუმენტში საუბარია ფშავლებსა და ჩოლოყაშვილს შორის მომხდარ ინცინდენტზე, სადაც მთავარ მოქმედ პირად დემეტრე ასათაშვილი ჩანს, მაგრამ მიზეზი ამ დაპირისპირებისა დასახელებილი არ არის. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: რა იყო ამ ინცინდენტის მთავარი მიზეზი? როგორც ჩანს, ერთობილ ფშაველთ და ასათაშვილის დამოკიდებულება სახლთხუცთან რომ დაპირისპირებული ჩანს, არც ეს არის შემთხვევითი მოვლენა. 1696 წლის ერთი საბუთის მიხედვით, რომელიც ფშავლებს ეხება, ასათაშვილი ქაჩალაურის დასახლების მოურავის მოვალეობის შემსრულებელია. ფშაველნი ამ საბუთში არ იხსენებიან, მაგრამ ფშავლების გამოსახატად ნახმარია `ერთობილნი~. `ერთობილ ფშაველნი~ სხვა საბუთებშიც გვხვდება. ამ შემთხვევაში კი (1696 წლის საბუთში) იგი ასეთ კონტექსტშია: `სიგელი გიბოძეთ თქვენ ერთობილთ ვინც ქაჩალაურში დასახლდეთ ჩვენ, ჩოლოყაშვილმან... ხუთ წელიწადს აზატობა მოგვიცია, ხუთ წელიწადს უკან ვინც მსახურობა შეეძლოს მსახური გვაძლიოს, ერთი ცხვარი წელიწადში მოგვართვას, ვინც მსახურობა ვერ შაიძლოს, წელიწადში ერთი ცალი ღვინო და ერთი ცალი ცხვარი მოგვართოს, სხვა ჩვენი გამოსავალი არა გეთხოვებოდეს_რა, არა ბეგარა არა კალოს პური, არა კულუხი, არა საქორწილო, არა სააღაპო, არა ძიძა, არა ტყვე, მანდედან არ გამოვიდეს, მანდაური ციხე, მთა და ბარი თქვენ გებარებოდეს. მოურაობა ამ ასათაშვილებისათვის გვიბოძებია, სამოურაო უწინ ბევრი გდებოდათ (ლაპარაკია ადგილობრივ მოსახლეობაზე) და ეხლა ნაოხრობისათვის, არცარა ჩვენის ყალნის დადებით ძალი გიყავით, არც სამოურაოთი, სამოურაო არ გედვას: კომლზე სამი ჩაფი ტკბილი და ერთი დღის სამუშაო მანამდი მანდ სახნავი გამოვიდოდესო~ [6. 374]. სარწმუნო წყაროების უქონლობის გამო, ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად პირნათლად ასრულებენ ქაჩალაურში ჩამოსახლებული თავისუფალი ფშავლები ამ მოთხოვნას, მაგრამ დანამდვილებით ერთის თქმა შეიძლება: თავისუფლებისმოყვარე ფშავლებისათვის შესაძლებელია სამოურაო სარგო მძიმე გადასახადიც კი ყოფილიყო და ამას უკმაყოფილებაც გამოეწვია მთაში, მომხდარიყო მათი დარაზმვა ასათაშვილის გარშემო, ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ. გასათვალისწინებელია 1724 წლის კონსტანტინე კახთა მეფის გუჯარი ფშავლებისადმი, სადაც საუბარია მეფის მიერ მარელისში არსებული ოთარ ჩოლოყაშვილის მამულის გადაცემაზე ფშავლებისათვის. ჩანს, შემდგომში ოთარის ვაჟს გრიგოლს უკან დაუბრუნებია კუთვნილი მამული, მაგრამ ამის მერე მეფე თეიმურაზ II ხელახლა სწირავს ლაშარის ჯვარს აღნიშნულ მამულს. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ მოცემულ ინცინდენტში მთავარ მაძიებლად დემეტრე ასათაშვილი ჩანს, მართალია მოდავე მხარეები დაზავდნენ, მაგრამ გრიგოლ ჩოლოყაშვილს მის მიერვე დადებული პირობა დაზავების შესახებ თვითონვე დაურღვევია და დემეტრე ასათაშვილი არათუ მძევლად, არამედ ტყვედ წამოუყვანია. სწორედ ამ გარემოებას უნდა აეძულებინა თვისუფლებისმოყვარე გოგოლაური, რომ იარაღისათვის მოეკიდა ხელი, რაც კარგად ჩანს 1747 წლის მეფე ერეკლე II-ის განჩინებაში: `ქ. ეს განაჩენის წიგნი დაგვიდვია ჩვენ, მეფე ერეკლეს, _ ასე რომ გრიგოლ სახლთხუცესი გავგზავნეთ ფშავს ჩვენი მოძმის კარზე და ფშაველთ სტუმარი იყო. წამოსვლაში იმასთან იყო ასათაშვილი დემეტრე, ვედრაული პაპა, კუსრა ნაცვალი. გზაზე გოგოლაური ჩეშჯდომოდა, თოფი რომ უნდა დაეკრა, სასხეპი მოსტყდომოდა, ვეღარა ექნა რა, რადგან რომ მთის კაცსში სასტუმრო დადებული არის თექვსმეტი ჰარი, ეს ჯერ რომ იყო თავადიშვილი, მერე ჩემი გაგზავნილი და მოძმის კარიდან წამოსული იყო. ახლა ჩვენ გაგვიპჭვია: სასტუმროც ის არის, ჩვენიც ჯარიმაც შიგ არის _ თოთხმეტჯერ თექვსმეტი ჰარი უნდა მოსცეს და, თუ

ის კაცი ჩვენ ჩავიგდევით, იმისი კიდევ ჩვენ ვიცით. ამ სახლთხუცეს და ამ კაცს სამართალს ჩვენ უზამთ და თუ სიტყვა ქონდეს... ჩვენ მოგვახსენოს იმ გოგოლაურმა. დაიწერა იანვარს იც, ქ [ორონი] კ [ონს] ულე [6. 417]. ჩანს მეფე ერეკლე ან არ არის ინფორმირებული საქმის ნამდვილ ვითარებაში, ან არა და ტენდენციურობას იჩენს საქმისადმი. რაც შეეხება განჩინების მიზეზს _ ფშაველი გოგოლაური გრიგოლ ჩოლოყაშვილის მკვლელობის მცდელობისათვის 224 ხარით დაჯარიმდა.

ზემოთაღნიშნული ინცინდენტიდან სამი წლის შემდეგ გრიგოლ სახლთხუცესს ბრალს სდებენ დემეტრე ასათაშვილის მოწამვლაში და აღიძრება საჩივარი მეფის წინაშე. ამის თაობაზე მეფე ერეკლე II სასამართლოს იწვევს თუშეთში. სასამართლოზე მოუწვევიათ როგორც ქართლ-კახეთის, ისე ფშავის, ხევსურეთის და თუშეთის თავკაცები _ სულ 50-მდე კაცი. თუ რამხელა რეზონანსი გამოიწვია ასათაშვილის მკვლელობამ ფშავში, ჩანს იქიდანაც, რომ ერეკლე II იძულებული ხდება ქართლითა და კახეთით ორსავე საერისთაოთი თუშეთს აბრძანდეს და სასამართლოს მსვლელობაში მიიღოს მონაწილეობა. შემდეგ ჩამოთვლილია სასამართლოს მონაწილე პირნი, სულ 39 კაცი. რაკი ჩოლოყაშვილმა თავი იმართლა, ფშავ-ხევსურნი მას კვლავ აღუთქვამენ სამსახურს, რაც ერეკლე II-ის ავტორიტეტს უნდა მიეწეროს. რას ნიშნავდა მათი სამსახური ბატონის წინაშე მთის პირობების შესაბამისად, წყაროებიდან არ ჩანს. ჩვენი აზრით მთიელთა სამსახური ბატონის წინაშე მოლაშქრეობით უნდა განსაზღვრულიყო, ვინაიდან მთიელების თავისუფალი თემების ჯარი მეფის ხელისუფლების დასაყრდენი და ქვეყნის ძლიერების საფუძველი იყო. სწორედ ამას უნდა გამოეწვია ერეკლეს ასეთი გულისხმიერი დამოკიდებულება ფშაველთა საკითხის მიმართ და მისი ობიექტურად გადაჭრა თვით მეფის ინტერესებში შედიოდა.

ამრიგად, ერეკლე II-ის 1747 წლის განჩინება, რომელიც ძირითადად ფშავლებისა და კახეთის სამეფოს სახლთხუცესის, გრიგოლ ჩოლოყაშვილის ურთიერთობას ეხება, ჩვენი აზრით მოურავის თვითნებური მოქმედების შედეგია, რომელსაც არ შეიძლება ერთობილ ფშავის მოსახლეობის გამოსვლა არ გამოეწვია სახელმწიფოს ფეოდალური იერარქიის წარმომადგენელთა მოქმედების წინააღმდეგ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში გოგოლაურისა მოურავ ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ).

რა თქმა უნდა, მთელი ეს მოსაზრება არსებით ნაწილში პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ჭეშმარიტებას ვერ დაიჩემებს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ მას არსებობის საკმაოდ მყარი საფუძველი გააჩნია.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის სია

1. ბერი ეგნატაშვილი, ქართლი ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1959წ.
2. გ. ჯალაბაძე, მემინდვრეობის კულტურა აღმ. საქართველოში, თბ. 1986წ.
3. ივანე სურგულაძე, საქ_ოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, ტ. I, თბ.1952წ.
4. ხელნაწრთა ინსტიტუტი, ფ. დH №. 10063.
5. ვახუშტი ბატონიშვილი, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1973წ.
6. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, თბ. 1940წ.
7. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი შდ №2940.
8. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის გამოცემა, თბ. 1965წ.

რომან გოგოლაური

ერეკლე მეორის ერთი განჩინების საკითხისათვის

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში ჩვენი მიზანია, გავაანალიზოთ და დავაზუსტოთ ის სოციალური ურთიერთობანი, რომელიც არსებობდა ცენტრალურ სამეფო ხელისუფლებასა და რეგიონს, კერძოდ კახეთის სამეფოსა და ფშავს შორის.

XV საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ფშავი, ხევსურეთი და თუშეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, რომლის გამგებლად კახეთის მეფეს დანიშნული ჰყავდა მოურავი ჩოლოყაშვილი. იგი ამასთანავე სამეფო კარის სახლთუხუცესი იყო. სახლთუხუცესს მეფის კარზე სამეურნეო-საფინანსო ხასიათის ფუნქციები ჰქონდა ჩაბარებული. იგი თითქმის ყველა სახის გადასახადიდან თუ ბაჟიდან ღებულობდა სათანადო შემოსავალს. სწორედ ეს გაზრდილი მოთხოვნილებები აღუძრავდა მადას მოურავებს, კერძოდ კი ჩოლოყაშვილს ასეთივე პირობები გაევრცელებინა მთის მოსახლეობაზე, რაც თავის მხრივ უკმაყოფილებას იწვევდა თავისუფლებისმოყვარე ფხოველებში.

თუ რა ღონისძიებებს ატარებდა სახლთხუცი-მოურავი ფშავ-ხევსურეთში, ამის შესახებ მხოლოდ XVIII საუკუნის შუა წლების მასალაა შემონახული. ყოველივე ეს კარგად ჩანს მეფე ერეკლე II-ის 1747 წლის განჩინებაში, რომლის მიხედვითაც სახლთხუც-მოურავს გრიგოლ ჩოლოყაშვილს, გადამეტებული თვითნებობის გამო, ფშაველი გოგოლაური თოფს ესვრის, რის გამოც მეფე აჯარიმებს 224 ხარით მკვლელობის მცდელობისათვის. ჩანს აღნიშნულ ინციდენტს დიდი რეზონანსი გამოუწვევია მეფის კარზე, რის გამოც იგი იძულებულია სამი წლის მერე, 1750 წელს თუშეთში მოეწვია სასამართლო ქართლ-კახეთის, ფშავის, თუშეთისა და ხევსურეთის თავკაცების მონაწილეობით და მხარეები მოერიგებინა.

ამგვარად, ერეკლე II-ის 1747 წლის განჩინება, ჩვენი აზრით მოურავის თვითნებური მოქმედების შედეგია, რომელსაც არ შეიძლება ერთობლივ ფშავის მოსახლეობის გამოსვლა არ გამოეწვია სახელმწიფოს ფეოდალური იერარქიის წარმომადგენელთა მოქმედების წინააღმდეგ (ამ კონკრეტულ შემთხვევაში გოგოლაურისა და მოურავ ჩოლოყაშვილის წინააღმდეგ).

Roman Gogolauri

One Essue of Erekle II`s Verdict

abstract

The aim of this paper is to show, analyse and obtain those social relations which existed between central kingdom authority and the region (e.g. between the Kakheti Kingdom and Pshavi).

In the second haif of the 14th centery when united Georgia was dissoluted Pshavi, Khevsureti and Tusheti became the part of Kakhetian Kingdom under the leadership of Cholokashvili who ruled Kakheti region. At the same time he was the House-manager. His duties were to manage economic and financial functions. He got a great deal of income tax from all kind of customs. This increased demands were the reason for Cholokashvili spreading these conditions on the people living in the mountainous region. This was the reason of dissatisfaction Specially among the Pkhovelians, the most freedom-loving people.

In Formation of Measures taken by the house-manager in Pshav-khevsureti is kept only in the middle of the 18-th centery sources. This is clearly seen in the verdict by Erekle II in 1747.

According to this sourse, house-manager Cholokashvili was shot by Gogolauri from Pshavi because of barefaced impudence. The king fined Pshavian Gogolauri imposed him to pay 224 oxen for the attampt of killing. This incident made a great reflection in the royal palace. After this the king was under the compulsion to hold the coart where the heads of Khartl-Kakheti, Pshavi, Tusheti and Khevsureti took part to mutual agreement.

So the 1747 verdict made by Erekle II is the result of barefaced impudence action of house-manager. This case caused the Pshavelians uprising against the action of feudal repesentatives (in this case Gogolauri against the house-manager Cholokashvili).

INGA DIAKONIDZE

SOME PRACTICAL RECOMMENDATIONS ON TEACHING ENGLISH FOR SPECIFIC PURPOSES (ESP)

English for Specific Purposes (ESP) is known as a learner-centered approach to teaching English as a foreign or second language. It meets the needs of learners who need to learn a foreign language for use in their specific fields, such as science, technology, medicine, leisure, and academic learning. ESP may mean English for hotel receptionists, English for pharmaceutical salesmen or English for telephoning. It may also mean the rather wide title of 'business English' [1,324].

We think that the fact that 'Business English' can be the wide title for English for Specific Purposes in general, including different spheres cited above and not only that of economics or finances as it is often apprehended, is worth mentioning in order to avoid further misunderstanding.

Applied linguistics distinguishes between teaching methodology for ESP teenage and ESP adult learners. We consider it especially noteworthy as far as the students of the faculties of Law, Business Administration (finances, tourism, management marketing), journalism, who are mostly taught ESP language on the first and/or second year of Bachelor program, are newcomers from the school and still in their teens.

What are the most important problems encountered while teaching teenagers foreign language and especially teaching them ESP? What are the most influential factors for success of the language teacher with teenager classes? In spite of the fact that we touch upon some of extralingusictic or psychological factors influencining language teaching and learning process, it is not the main purpose of this article. We just like to stop on some of the issues that seem most relevant in this case. As we have already mentioned the freshmen in Georgian universities are mostly in their teens, and the fact is that being in their late teens they are very sensitive, absorbed in the acute process of discovering themselves.

In teenage classes, the learners are searching for a range of new possibilities for themselves. They are discovering what impact they can have on the world and can be very motivated. The learners can bring strong enthusiasm for topics they are interested in. and they can get very focused on specific things relevant to themselves. They often respond well to work that is clearly organized and take their interest into the account. But although the teenage classes can be among the most interesting and exciting, they also have some reputation for being demanding on the teacher. Some of these reasons are listed below:

- It's difficult period of life. Teenagers often are often not sure about themselves and how they feel about things.
- Strong emotions of various kind can be rising and falling;
- Teenagers have changing interests: they get bored quickly;
- Activities might be rejected or done without personal investment because the learners feel silly or embarrasses when doing them. Basic things like speaking English in activities may become issues.
- Motivation may appear to be low, especially if learners feel that they have been forced to attend something they do not want to.
- They say they are fed up,' they sit there and do nothing,' and etc.[ibid, 328; 2, 479-490].

The list can be very long and endless. It depends on the teaching experience of the teacher and the ways and techniques of solving them can be numerous, (we will discuss them later). But the most crucial point is to make a start. Good start always makes a sense, especially if this start is with the class of the teenage students studying ESP.

In spite of the fact that 'Business English' is the compulsory subject for Bachelor degree programs in many Georgian Universities, each students sitting in the class may have individual reasons for being in a class and learning English _ even when these are not consciously known or recognized. We can teach better if we know more about these. So it would be quite reasonable if we start with finding out what they expect to acquire at language classes and for what purpose _ to conduct so called needs analysis.

There are various tools, procedures and materials used for finding out about learners needs. Often a Need Analysis includes not only information about why learners might need language in the future, but also information about:

- Where learners are starting from: their present language level, current problems, etc.;
- What learners would like to learn (which may be different from what they need);
- How they want to study it (people have very different preferences about how they learn things).
- We might use formal gathering procedures (e.g. setting questionnaires, tests, etc.);

Or approaching it more informally (e.g. gleaning information from chats and activities over the time) [1, 71].

It is clear that the forms and procedures of need analysis can be different, written or spoken, by e-mail or chat but the question is that 'if the information turns up unhelpful or even untrue? What if they copied from each other or have not taken the task very seriously? Of course it can be the case, but probably not with everyone. Needs analysis will be helpful anyway as far as:

- It will make the teenagers think and discover more about themselves, their needs, their desires and future plans;

• Or at least it will make each of them understand what others' reasons of sitting at English class are. What do they look for, what are their future expectations; and at last it can become a good step for the motivations of the whole group.

However, as we have already mentioned above, the next and the most important step after needs analysis is choosing the right methodology, techniques and material. These concepts represent the parameters for an ESP course devised by Farhady [3, 479-490].

See the chart below:



According to Belcher [4,165-186] ESP is an attempt to help learners accomplish their academic and occupational needs and goals.

There was much controversy about the character of choosing the material for ESP learners. This controversy took the form of the following statement: 'Authentic materials vs. textbook-based materials' [5, 4].

Authenticity has been viewed diversely by different scholars. Morrow [6] defines authentic text as the language produced by a real speaker or writer for a real audience which is expected to express a real message. Nunan [7] concentrate on the issue of purpose and state that authentic is any material which has not been specifically produced for the purpose of language teaching. As for the textbook based materials, they are simplified text devised exceptionally for pedagogical means.

To Velazquez [8,133-138] both kinds of texts are valuable. He values simplified texts compared to authentic texts because he considers them as easy-to-comprehend language which is tailored to students' language ability at a specific level. He further argues that simplified texts can reinforce vocabulary and grammar and prepare learners for reading authentic texts.

Tomilson [9] believes that since the contrived materials focus on the target form or structure they can be more helpful to learners although he further claims that if meaningful exposure to language is aimed authentic materials better prepare learners. Authentic materials are valuable because they contain cultural aspects and show the students the real samples of language as used by native speakers. Constructed materials are advantageous because they use more familiar structures and words. These are more appropriate when a new grammatical structure is to be introduced or reinforced. However there are disadvantages seen for constructed materials such as being less interesting and not introducing real world reading to learners [10]. She further states that when there is an aim of intensive reading both authentic and constructed materials are advised to be used while for extensive reading authentic materials are preferred (ibid).

We quite agree with the arguments of Tomilson and Velazquez on the advantages and disadvantages of authentic and text-based materials, but share the position of Horwitz, that joint application of the both types of materials can lead to the most desired results. Moreover, through our own experience we can say that modern books applied for teaching Business English are constructed on true to life stories and newspaper articles, but it must be also mentioned that as the most class experiences have proven, their application in combination with authentic materials appear to be more efficient than relying only on the textbooks. Students in the majority of classes prefer to do authentic situations, role play, simulations and cases that are taken from their specialty sphere. These materials can be chosen through negotiation with specialization course leader, as far as there are authentic texts, situations and simulations (mock court, in case of law students) that are real, most recent, true to life. The most important factor is that the students do these tasks first for their specialization classes. We can cite below ***(see: problems and applications)*** several examples of authentic tasks that are given to Business Administration students during their microeconomics course, but in Georgian language. We can use them as an authentic material for ESP classes in order to check the progress after covering certain units with relevant ESP vocabulary. The fact that the topic and situation will be familiar to the students and they will have solved them at their microeconomics classes, can be considered plus, as far as they won't need to think much of solving the task, but mostly concentrate on accurate and fluent application of ESP language.

Problems and applications

1. Explain each of the following statements using supply-demand diagrams.
a. When a cold snap hits Florida, the price of orange juice rises in supermarkets throughout the country.
b. When the weather turns warm on New England every summer, the prices of hotel roomsin Carribean resort plummet.
c. Whe a war breaks out in the Middle East, the price of gasoline rises, while the price of used Cadillac falls.
2. "An increase in the demand for notebooks raises the quantity of notebooks demanded, but not the quantity supplied.'' Is this statement true or false? Explain
3. Consider the market for minivans, for each of the events listed here; identify which of the determinants of demand or supply are affected. Also indicate whether demand or supply increased or decreased. Then show the effect on the price and quantity of minivans.
a. People decide to have more children.
b. A strike by steelworkers raises steel prices.
c. Engineers develop new automated machinery for the production of minivans.
d. The price of sport utility vehicles rises.
4. During the 1990s, technological advances reduced the cost of computer chips. How do you think this affected the market for computers?

As we have already mentioned these examples were taken from the microeconomic course classes, but that does not mean that you can only refer to this type of authentic texts. You can also devise the situations and role play games yourself taking into the consideration the interests of your focus group. If they study tourism, the following activities are possible [1,325]:

1. Design an information-gap activity that involves one person knowing names, numbers, etc. that they have to communicate to the other person so that they can write it down.
A. Book flight to Athens on 13th Feb. in the morning, if possible.
B. Flights to Athens leave at 02:45, 09:05, 12:35, 17:55.
Book flight for…. on …. at……
The activity could be done in pairs in class.

References:

1. Scrivener J. (2011) Learning Teaching – The essential Guide to English Language Teaching, Macmillan Books for teachers Series Editor: Adrian Underhill, Macmillan, Second edition 2011
2. Farhady, H. (1995). On the specificity of purpose in ESP. in Miremdi, A. the proceedings of the second international conference in linguistics and applied linguistics. Tehran: Allameh Tabatabaee University Press.
3. Farhady, H. (2005). *Reflections on and Directions for ESP Materials Development in SAMT.* In: Kiany, G. R., Khayyamdar, M. (Eds.), Proceedings of the First National ESP/EAP Conference (vol. 3).SAMT, Tehran.
4. Belcher, D. D. (2004). Trends in teaching English for specific purposes. Annual review of applied linguistics.
5. A Review on the Effectiveness of Using Authentic Materials in ESP Courses Zahra Zohoorian Vahid baghban Islamic Azad University of Mashhad Professor Ambigapathy, PandianUniversity Science Malaysia, English for Specific Purposes World, Issue 31 Volume 10, 2011
6. Morrow, K. (1977). Authentic texts in ESP. In Holden, S.(Ed). English for specific purposes. London: Modern language publications.
7. Nunan, D. (1989). Designing tasks for the communicative classroom. Cambridge: Cambridge University Press.
8. Velazquez, A. C. & Redmond, M. L. (2007). The Use of Authentic Texts in the K-12 Spanish Program. In McCoy, L. P. (Ed), Studies in Teaching 2007 Research Digest. Research Projects Presented at Annual Research Forum. NC, Winston-Salem.
9. Tomilson, B. (2001). Materials development. In Carter, R. & Nunan, D. (Eds). The Cambridge guide to teaching English to speakers of other languages. Cambridge: Cambridge University Press.
10. Horwitz, E. K. (2008). Becoming a language teacher: a practical guide to second language learning and teaching. Boston: Pearson Education.

Inga diakonidze

Some Practical Recommendations on Teaching English for Specific Purposes (ESP)

Abstract

The main purpose of the article is to give some practical recommendations to ESP teachers on choosing right teaching material analyzing and taking into the considerations the needs and interests of ESP class. In particular, after conducting the needs analysis, the author suggests combining ESP course book application with authentic materials that can be provided 1. by ESP teacher or; 2. With the help or directly by their specialty course leader.

ინგა დიაკონიძე

რამდენიმე პრაქტიკული რეკომენდაცია
დარგობრივი ინგლისურის სწავლებისათვის

რეზიუმე

წარმოდგენილი სტატიის მთავარ მიზანს დარგობრივი ინგლისურის მასწავლებლებისათვის რამოდენიმე პრაქტიკული რეკომენდაციის მიცემა წარმოადგენს. ეს რეკომენდაციები ეხება სასწავლო მასალის სწორად შერჩევას შემსწავლელთა ჯგუფის ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით. კერძოდ, ავტორი უპირველეს ყოვლისა, გვთავაზობს საჭიროებთა ანალიზის ჩატარებას ფოკუს ჯგუფებში, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო მასალის სწორ შერჩევა-ორგანიზებას. ნაშრომში გამოთქმულია მოსაზრება, რომ დარგობრივი ინგლისურის სწავლება სასურველია ხორციელდებოდეს სახელმძღვანელოს და აუტენტური მასალის ერთობლივი გამოყენებით. აუტენტური მასალის შერჩევა შეიძლება მოხდეს 1. არგიბრივი ინგლისურის პედაგოგის მიერ; 2. სპეციალობის კურსის წამყვანი პედაგოგის დახმარებით, ან მის მიერ მოწოდებული მასალების საფუძველზე.

ნინო ვაშაყმაძე

1917 წლის ოქტომბრის რუსეთის რევოლუცია და ქართული სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა

მსოფლიოში უდიდესი ტოტალიტარული იმპერიის, საბჭოთა კავშირის ნგრევამ, სერიოზული კრიტიკული ანალიზის, განსჯის საგნად აქცია ამ სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველი. თუმცა, საკითხის კვლევისას გარკვეული მიჯნა უნდა გაივლოს თეორიულ დოქტრინასა და ცხოვრებაში მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის. ჩვენი ინტერესის საგანი სოციალიზმის თეორიული დოგმების დამკვიდრების მეთოდები და გზები გახდა, რასაც ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა 1917 წლის რუსეთის რევოლუციების ქარცეცხლიანმა ეპოქამ.

სოციალიზმი მე-19 საუკუნიდან იღებს სათავეს და ინდუსტრიული კაპიტალიზმის ზრდის პირობებში წარმოიქმნა. მისი იდეები – კერძო საკუთრების გაუქმება, სახელმწიფოს მიერ წარმოების საშუალებების თანაბარი რედისტრიბუცია, გეგმიური ეკონომიკა და ა.შ. – მალე ახალი ინდუსტრიული მუშათა კლასის განვითარებას დაუკავშირდა. სოციალიზმის შიგნით, სოციალური საზოგადოების მოწყობის შესახებ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიდგომებს გამოყოფენ. თავისი არსით, სოციალიზმს ყოველთვის ოპოზიციონერული ხასიათი ჰქონდა: იგი ცვლილებების, კაპიტალიზმის ან კოლონიური საზოგადოებების გარდაქმნის მამოძრავებელ ძალად მიიჩნეოდა. ამ „გზამ", გარდა სტრატეგიული მნიშვნელობისა, სოციალისტური მოძრაობების ხასიათიც განაპირობა და სოციალიზმის მიღწეულ ფორმებზეც იქონია გავლენა. აქ იკვეთება ძირეული უთანხმოება ფუნდამენტალისტურ სოციალიზმსა და რევიზიონისტურ (ევოლუციურ) სოციალიზმს შორის, რომლებსაც, შესაბამისად, კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული ტრადიციები წარმოადგენს. [12]

ფუნდამენტალისტები (მარქსი, ენგელსი, ლენინი) მიიჩნევდნენ, რომ სოციალიზმის მიღწევა მხოლოდ რევოლუციითა და არსებული პოლიტიკური სისტემის დამხობით იყო შესაძლებელი. "მარქსიზმი ფუნდამენტურ წინააღმდეგობაშია ეკონომიკურ ლიბერალიზმთან, რადგან ის ეკონომიკას განიხილავს არა როგორც დადებით ჯამოვან თამაშს, არამედ როგორც ადამიანების ექპლუატაციის და კლასობრივი უპირატესობის ასპარეზს... კაპიტალიზმი ეყრდნობა ორ კლასს: ბურჟუაზია, რომელიც ფლობს წარმოების საშუალებებს და პროლეტარიატს, რომელსაც გააჩნია მხოლოდ სამუშაო ძალა, რომელსაც ბურჟუაზია მისგან ყიდულობს. მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალისტური ეკონომიკა ექსპლუატაციაზეა დაყრდნობილი, მარქსი მას მაინც პროგრესულ მოვლენად განიხილავდა, რადგან განვითარების საბოლოო ეტაპს ხედავდა სოციალისტურ რევოლუციაში, რომლის შედეგადაც წარმოების საშუალებებზე დამყარდებოდა სოციალური/კოლექტიური კონტროლი. [9].

მარქსისიტულ დიალექტიკურ მატერიალიზმს, სოციალისტური რევოლუციის იდეასა და პროლეტარიატის დიქტატურას 90-იან წლებში დაუპირისპირდა რევიზიონისტული იდეებით გერმანელი სოციალ-დემოკრატი ედუარდ ბერნშტაინი. მან ვერ შეამჩნია კაპიტალიზმში მარქსის მიერ ნაკარნახები კრახის ნიშნები და ნაშრომში: "სოციალიზმის წინაპირობები და სოციალ დემოკრატიის ამოცანები" ამტკიცებდა სოციალიზმზე თანდათანობით და მშვიდობიანად გადასვლის აუცილებლობას.

ცნობილი თეორეტიკოსი ლუდვიგ ფონ მიზესი სოციალიზმის განხორციელების ორივე გზას ხედავს კარლ მარქსისის, ფრიდრიხ ენგელსის საპროგრამო დოკუმენტებში და მათ მსოფლმედველობრივ ევოლუციზე საუბრობს თავის ნაშრომში: "პოპულისტური პოლიტიკა - გზა სოციალიზმისკენ". "1848 წელს კომუნისტურ მანიფესტში, მათ ჩამოაყალიბეს კაპიტალიზმის სოციალიზმად გარდაქმნის ეტაპობრივი გეგმა. პროლეტარიატი არ უნდა ამაღლებულიყო მმართველი კლასის მდგომარეობამდე და გამოეყენებინა თავისი "პოლიტიკური უპირატესობა" "რათა ბურჟუაზიისგან მთელი კაპიტალი გამოეგლიჯა". ეს, ამბობენ ისინი, "საკუთრების უფლებისა და ბურჟუაზიული წარმოების წესის დაუნდობელი ხელყოფის გარეშე ვერ მოხდება; შესაბამისად, ისეთი სამოქმედო საშუალებები უნდა იყოს გამოყენებული, რომლებიც ერთი შეხედვით შეუსაბამო და ეკონომიურად გამოუსადეგარი ჩანან, მაგრამ მოქმედებაში საკუთარ თავს აჭარბებენ". ამ განწყობილებით ისინი ათი გადაუდებელი ღონისძიების მაგალითს განიხილავენ.

მოგვიანებით მარქსმა და ენგელსმა აზრი შეიცვალეს. თავის ტრაქტატში "Das Capital" (კაპიტალი), რომელიც პირველად გამოქვეყნდა 1867 წელს მარქსი მოვლენებს სხვაგვარად უყურებდა. სოციალიზმი "ბუნების შეუვალი კანონის" ძალით დამკვიდრდება. მაგრამ ვერ გამოვლინდება, ვიდრე კაპიტალიზმი სრულ სიმწიფეს არ მიაღწევს. კაპიტალიზმის სრულ განადგურების ერთადერთი გზა, თავად კაპიტალიზმის დაჩქარებული ევოლუციაა. მშრომელთა კლასის უდიდესი აჯანყება, მხოლოდ ამის შემდეგ მიაყენებს მას საბოლოო დარტყმას და მარადიულ კეთილდღეობას დაამკვიდრებს." [10].

პირველ მსოფლიო ომამდე სოციალისტური მოძრაობის შიგნით გამოიკვეთა გამოიკვეთა სამი ფრთა _ მემარჯვენე (ე. ბერნშტაინი, პ, ჰაინდმანი, ლ. ბოსოლატი დას ხვ.), ცენტრიზმი (კ. კაუცკი, ჯ. რ.

მაკდონალდი, ა. ტომა, ე. ვანდერველდე, ო. ბაუერი დას ხვ.), და მემარცხენე ფრთა (ბოლშევიკები ვ. ლენინის მეთაურობით და დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიათა მემარცხენე მოღვაწენი: ფ. მერინგი, რ. ლუქსემბურგი, კ. ლიბკნეხტი, დას ხვ.).

1905-1907 წლების რევოლუციის შემდეგ "რუსეთის სოციალ-დემოკრატია, ფატრობრივად, ორ მიმართულებად გამოიყო. პირველი: ძირითადად ბოლშევიკები (ვ. ლენინი, ი. სტალინი, გ.ზინოვიევი, ლ. კამენევი და სხვ) მომხრენი იყვნენ რევოლუციური ბრძოლის განახლების ტაქტიკის. ისინი არ ცნობდნენ პარლამენტურ გზას. მეორენი, ძირითადად მენშევიკები (ლ. მარტოვი, ირ. წერეთელი, ნ. ჩხეიძე და სხვ.) ბრძოლის პარლამენტურ ტაქტიკას უჭერდნენ მხარს, თუმცა რევოლუციური ბრძოლის გზასაც არ უარყოფდნენ და ახალ რევოლუციურ აფეთქებას არ გამორიცხავდნენ" [4. 240].

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ ნათლად გამოვლინა სოციალიზმის ორ გზას შორის შეუთანხმებლობა. სრულიად რუსეთის ბოლშევიკური პარტიის 1917 წლის (24-29 აპრილის) კონფერენციის შემდეგ "კიდევ უფრო გააფრთებული გახდა სოციალ-დემოკრატიის ამ ორი ფრაქციის იდეურ-პოლიტიკური ბრძოლა. მენშევიკები დემოკრატიული რევოლუციის მონაპოვართა განმტკიცებას თვლიდნენ თავის მიზნად, ბოლშევიკები კი სოციალისტური რევოლუციისთვის ნიადაგის მომზადებას ცდილობდნენ" [3. 41]. ქართულ სინამდვილეში ორივე ჯგუფი ერთგვაროვნად ნიჰილისტურად იყო განწყობილი ეროვნული საკითხის მიმართ.

ეროვნული საკითხისადმი ინდიფერენტული დამოკიდებულების მიღმა "ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ მე-20 საუკუნის სოციალიზმთან დაკავშირებული ექსპერიმენტების შედეგების უდიდესი ნაწილი განჭვრიტა. მისი შთაგონების წყარო ევროპული სოციალისტური პარტიები გახლდათ, მაგრამ თავადაც ახდენდა გავლენას მათზე და საერთაშორისო დებატებში, რომელიც ეროვნულ გლეხობისა და ომის საკითხებზე მიმდინარეობდა, თავისი წვლილი შეჰქონდა" [7. 351]

25 ოქტომბერის ბოლშევიკური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ, რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმატებულ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) ფართო ასპარეზი გაეხსნათ ამიერკავკასიაში სამოღვაწეოდ. ტრადიციულ პრორუსულ ორიენტაციაზე მათ არც ამჯერად უთქვამთ უარი და მომავალი დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში ქართველი ერის რაიმე ფორმით (ფედერაციის, ავტონომიის) არსებობას შესაძლებლად მიიჩნევდნენ.

1917-1918 წლებში სოციალისტური მოძრაობის წიაღში ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ისინი, ვისაც "აღმოსავლეთის დიდი სინათლისა" სწამდა და ისინი ვინც, დაუნდობლად აკრიტიკებდა ბოლშევიკებს. კამათი უმთავრესად ლენინის მეთოდებს ეხებოდა: ძალადობას, დანაშაულს, ტერორს" [6. 31].

ქართულ სოციალ-დემოკრატიას ბოლშევიკების მიერ არჩეული გზა მარქსიზმისგან გადახვევად, რუსულ სინამდვილეში მიუღებელ ექსპერიმენტად მიაჩნდათ. ბოლშევიზმის მიზანშეუწონლობაზე ამახვილებდა ყურადღებას ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი ნ. ჟორდანია კავკასიის მუშათა დეპუტატების მეორე ყრილობაზე (1917 წლის 19 დეკემბერი) გამოსვლისას. იგი ამტკიცებდა, "რომ ბოლშევიკები სცილდებიან მეცნიერული სოციალიზმის ანბანს და ჩამორჩენილ ქვეყანაში უნდათ განახორციელონ სოციალიზმი...ოქტომბრის ამბოხება ესაა უმრავლესობის წინაშე უმცირესობის ამბოხება" [2. №224].

პეტროგრადში მიმდინარე მოვლენები ყურადღების მიღმა არ დარჩენია მარქსიზმის ცნობილ თეორეტიკოსს კარლ კაუცკის და თავისი პოზიცია გამოხატა წერილში: "ბოლშევიკების აჯანყება" – ავტორი მიიჩნევს რომ "ეკონომიკურად ჩამორჩენილ რუსეთში კაპიტალისტური წარმოების სოციალისტურით შეცვლა შეუძლებელი იყო, ხოლო პოლიტიკურად დაუძლურებულ პროლეტარიატს სახელმწიფო აპარატის თავისი მოთხოვნის შესაბამისად ამუშავება არ შეეძლო. აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებიდან გამომდინარე კ. კაუცკი პროლეტარიატის დიქტატურის რუსეთის სინამდვილისთვის გამხრწნელ საშუალებად გადაქცევას არ გამორიცხავდა" [5. 42].

ახალ პოლიტიკურ რეალობაში სოციალიზმის მშენებლობის გზების შესახებ თავისი ხედვა კიდევ უფრო განავრცო კ. კაუცკიმ 1918 წელს დაწერილ წიგნში "პროლეტარიატის დიქტატურა": "ორი სოციალისტური მიმდინარეობის დაპირისპირება[...] ორი განსხვავებული – დემოკრატიული და დიქტატორული მეთოდების დაპირისპირებაში მდგომარეობს. ორივე მომდინარეობის მიზანი ერთია; სოციალიზმმა გაათავისუფლოს პროლეტარიატი და მასთან ერთად მთელი კაცობრიობა იხსნას. თუმცა ერთი ნაწილის მიერ არჩეული გზა მეორემ მცდარად მიიჩნია და ორივემ კრახი განიცადა [...]თავისუფალი დისკუსიის მოთხოვნა პირდაპირი დემოკრატიის გზაზე გვაყენებს. დიქტატურის მიზანია არა ოპოზიციური აზრის უარყოფა, არამედ მისი გამოხატვის სასტიკად აღკვეთა. ამგვარად, დემოკრატიისა და დიქტატურის მეთოდები ერთმანეთს დისკუსიის დაწყებამდე უპირისპირდება. პირველი დისკუსიას მოითხოვს, მეორე მის უარყოფას" [6. 708].

ეროვნული საკითხისადმი ნიჰილისტურად განწყობილი ქართული სოციალ-დემოკრატია, ისტორიულ პროცესთა განვითარებამ, ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის აუცილებლობამდე მიიყვანა და ხელისუფლების სათავეში აღმოჩნდნენ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა იდეურ საფუძვლად ევროპული ტიპის სოციალიზმის მოდელი აიღეს. ამასთან დაკავშირებით ნ. ჟორდანია აცხადებდა: "მიგვაჩნია, რომ

განვითარების კაპიტალისტურ სტადიას ვერ გადავახტებით. ნაადრევად დაწყებული სოციალიზმის ექსპერიმენტი მოგვიტანს არა სოციალურ თავისუფლებას, არამედ სოციალურ რეაქციას, საზოგადოებრივი სიმდიდრის განადგურებას, სახალხო მეურნეობის მოშლას. ბურჟუაზიული სახელმწიფოს სათავეში მყოფ ჩვენს პარტიას ევალება კერძო ინიციატივის წახალისება, საწარმოო ძალთა განვითარებისთვის ხელის შეწყობა, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლება, ჩვენი საერთო მიზანი სოციალ-დემოკრატიის პროგრამა მინიმუმის განხორციელება არის" (სცსსა, ფ.1825, ანაწ. 1, საქმე 4. ფურც. 68-69). ამგვარად, ქართველი სოციალ-დემოკრატები, სოციალიზმის გზებისა და პოლიტიკური ფორმების საკითხში, საერთაშორისო სოციალისტური მოძრაობის ცენტრის - II ინტერნაციონალის თეორიულ შეხედულებათა ფორმატში იჯდნენ.

ქართველ სოციალ-დემოკრატთა სახელმწიფოებრივი მშენებლობის პრაქტიკა, ისტორიკოსთა ფართო დაინტერესების საგანი გახდა და არაერთი მონოგრაფია მიეძღვნა. მკვლევართა მხრიდან, ზოგადად, ლიბერალიზმისა და სოციალიზმის დაპირისპირების კონტექსტში განიხილება ქართველ სოციალ-დემოკრატთა მოღვაწეობის შედეგიც." ეს იყო დემოკრატიული სოციალიზმის ევროპული მოდელი, რომელიც ძირითადად დაფუძნებულია სამი მთავარი ფუნქციის _ სახელმწიფოს, დიდი ბიზნესისა და პროფკავშირების ჰარმონიულად თანამშრომლობის პრინციპზე.

დემოკრატიული სოციალიზმის ფუძემდებლური ელემენტებია წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრება და საბაზრო მექანიზმების სრულყოფა, რაც რადიკალურად განასხვავებს მას სოციალიზმის ბოლშევიკური გაგებისაგან, რომელიც გულისხმობს ბურჟუაზიის, როგორც კლასის განადგურებას"[8].

თანამედროვე რუსი მკვლევარი ს. გ. კარა-მურზა 1918-21 წლების რუსეთის სამოქალაქო ომის მოვლენებს თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ოქტომბრის გადატრიალების, დიქტატორული მოდელისა და რეფორმისტულ -სოციალისტური მიმართულების დაპირისპირების ჭრილში განიხილავს. ამ ფონზე, ძალზე საინტერესო ექსპერიმენტად მიაჩნია ქართველი სოციალ-დემოკრატების საქმიანობა და წარმატების მიზეზების ახსნას ნოე ჟორდანიას სიტყვებით ცდილობს: „ჩვენი გზა მიდის ევროპისკენ, რუსეთის კი - აზიისკენ. მე ვიცი, ჩვენი მტრები იტყვიან, რომ იმპერიალისტების მხარეს ვართ. ამიტომ, უნდა გადაჭრით განვაცხადო: მე ვამჯობინებ დასავლეთის იმპერიალიზმს აღმოსავლეთის ფანატიკოსებს" [13].

მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯის პროფესორი სტივენ ფ. ჯონსი გლეხურ ქვეყანაში ქართული სოციალ-დემოკრატიის წარმატების მიზეზებს სოციალიზმის, დემოკრატიისა და ზომიერი ნაციონალიზმის შერწყმაში ხედავს: ,,ქართული სოციალ-დემოკრატია სოციალიზმის გაერთიანებას ლამობდა ევროპულ ღირებულებებთან, პლურალიზმთან, ადამიანის უფლებებთან და კერძო საკუთრებასთან. ის "მესამე გზას" ეძებდა ჯერ კიდევ ამ ტერმინის გამოგონებამდე" [7. 351].

პოზიტიური შეფასების გვერდით დომინირებს აზრი, რომ ნებსით თუ უნებლიედ "ხელისუფლებამ ვერ შესძლო, სათანადოდ უზრუნველეყო ქვეყანაში კაპიტალიზმის თავისუფალი განვითარება. მმართველ პარტიაში, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებში აღმოჩნდნენ სოლიდური ძალები, რომლებიც წინ ეღობებოდნენ ქვეყნის ბურჟუაზიულ განვითარებას" [11].

სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის შეფასებისას აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, 1917 წლის ოქტომბერში ქართული სოციალ-დემოკრატიიის არჩევანმა, საქართველო ჩამოაცილა რუსეთის სამოქალაქო ომის საშინელებას, ქაოსს და პირველმა სცადა პრაქტიკაში განეხორციელებინა სოციალიზმის ევროპული მოდელი.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. სცსსა. ფ. 1825, ანაწ. 1. საქმე 4. ფურც., 68-69
2. გაზ. ერთობა, 1917 წ. 23 დეკემბერი, №224
3. ა. ბენდიანიშვილი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918-1921 წწ., თბ., 2001
4. ვ. გურული, ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორია (1892-1918), თბ., 1999
5. შ. ვადაჭკორია, ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში, თბ., 2001
6. კომუნიზმის შავი წიგნი: დანაშაულები, ტერორი, რეპრესია, სტეფან კურტუას რედაქციით, თბ., 2011
7. სტივენ ფ. ჯონსი, სოციალიზმი ქართულ ფერებში (სოციალი-დემოკრატიის ევროპული გზა 1883-1917), თბ., 2007
8. ნ. ტერაშვილი. სოციალიზმის "შვედური მოდელი", გაზ. "თბილისი", 1989, 23 დეკემბერი
9. http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=5&t=7012
10. http://burusi.wordpress.com/2010/12/28/ludwig-von-mises-3/
11. http://burusi.wordpress.com/2010/02/14/anchabadze/
12. http://www.tabula.ge/article-5020.html
13. http://www.e-reading.org.ua/bookreader.php/25421/Grazhdanskaya_voiina_1918-1921_gg.%A0%97_urok_dlya_XXI_veka.html

ნინო ვაშაყმაძე

1917 წლის ოქტომბრის რუსეთის რევოლუცია და ქართული სოციალ-დემოკრატიის ევროპული გზა

რეზიუმე

მსოფლიოში უდიდესი ტოტალიტარული იმპერიის, საბჭოთა კავშირის ნგრევამ, სერიოზული კრიტიკულ ანალიზს, განსჯის საგნად აქცია ამ სახელმწიფოს იდეოლოგიური საფუძველი. თუმცა, საკითხის კვლევისას გარკვეული მიჯნა უნდა გაივლოს თეორიულ დოქტრინასა და ცხოვრებაში მის პრაქტიკულ განხორციელებას შორის. სოციალიზმის თეორიული დოგმების გამკვიდრების მეთოდებისა და გზების მრავალფეროვნებას ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა 1917 წლის რუსეთის რევოლუციების ქარცეცხლიანმა ეპოქამ.

სოციალური საზოგადოების მოწყობის შესახებ მიზნებსა თუ მოსაზრებებთან დაკავშირებით სოციალიზმის შიგნით, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიდგომებს გამოყოფენ და იკვეთება ძირეული უთანხმოება ფუნდამენტალისტურ სოციალიზმსა და რევიზიონისტურ (ევოლუციურ) სოციალიზმს შორის, რომლებსაც, შესაბამისად, კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული ტრადიციები წარმოადგენს.

ამ კუთხით, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობაში არსებული დაპირისპირება ქართულმა სოციალ-დემოკრატიამაც გაიზიარა და შესაბამისად, საფუძველი დაუდო ბოლშევიზმსა და მენშევიზმს. რუსეთის ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ეპოქალურ გზაჯვარედინზე ქართული სოციალ-დემოკრატია (მენშევიზმი) ნოვატორული თეორიული პროგრამისა და ტაქტიკის წყალობით დამოუკიდებელი გზით წავიდა. იგი ცდილობდა დემოკრატიის ფესვების, კერძო მეწარმეობისა და მიწის კერძო მფლობელობის სოციალისტურ იდეოლოგიასთან გაერთიანებას.

Nino Vashakmadze

The Revolution of Ockover in Russia and European way of the Georgian Social –Democracy Party

abstract

After the Soviet Union, the world's largest totalitarian empire had collapsed; its ideological basis became a subject of discussion. However, definite boundary must be made between theoretical doctrine and practical use of this ideology in a real life. The Russian Revolution of 1917 played important role in developing methods and theoretical dogma of Socialism.

Even coming out from a common aim of establishing Social society, significant controversy appears between the Fundamental and Evolutionary Socialism, in their turn they are represented by Communist and social – democracy traditions.

Thus the confrontation in Russian Social – Democracy movement that had been shared by Georgian Social - democracy party led to Bolshevism and Menshevism. Having stopped on the crossroad of Social ideology after Russian October Revolution, Georgian Social – Democratic Party (Mensheviks) establishing innovative theory, chose the way leading to independency. They tried to combine the views of democracy, private enterpreneourship and private ownership of land with socialistic ideology.

ელდარ იბერი

საზოგადოებრივი მაუწყებელი — მაუწყებლობა საზოგადოებისათვის

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საზოგადოებრივი რეგულირების იდეა განხორციელდა იმ სფეროებში, სადაც სახელმწიფო და საბაზრო მექანიზმები ვერ უზრუნველყოფდა მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესების დაკმაყოფილებას. იქიდან გამომდინარე, რომ ტელერადიომაუწყებლობა ინფორმაციის ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც მზარდი შემოსავალი აქვს, ხელისუფლება და კომერციული სტრუქტურები ყოველთვის ცდილობდნენ მის გაკონტროლებას. ხოლო თვითონ ტელერადიოპროდუქციის წარმოებისა და გავრცელების დიდმა სიძვირემ ბეჭდურ მედიასთან შედარებით, ობიექტურად განაპირობა მისი კონცენტრაცია მსხვილ სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებში, რომელთაც თავიანთი სამაუწყებლო პრინციპები გააჩნდათ და ნაკლებად ან საერთოდ არ ითვალისწინებდნენ რიგი სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და მოთხოვნილებებს. ძირითადად ამან განაპირობა მაუწყებლობის განსაზოგადოების პროცესის განვითარება. 1996 წელს ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია საზოგადოებრივი მაუწყებლობის, როგორც ,,ინფორმირებული სამოქალაქო საზოგადოების დაცვის ინსტრუმენტის" მხარდასაჭერად.[1]

რადიო და, განსაკუთრებით, ტელევიზია ის სოციალური ინსტიტუტებია, რომლებიც დიდწილად განსაზღვრავენ ადამიანების სულიერ ცხოვრებას, მათ საზოგადოებად ჩამოყალიბებას, ამიტომ საზოგადოებისთვის სულ ერთი როდია, ვის ან რას ემსახურება იგი, რა ღირებულებებსა და იდეალებს ამკვიდრებს. როგორც ევროსაბჭოს 1996 წელს მიღებული რეკომენდაცია "საზოგადოებრივი მაუწყებლობის მომსახურების დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ" მიუთითებს, "2...საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციები ყველაზე მეტ გავლენას ახდენენ, მედიის სააგენტოებს შორის, დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაზე... მათ უნდა წარმოადგინონ ახალი ამბების, საგანმანათლებლო, კულტურული და გასართობი პროგრამების ფართო სპექტრი, რომელიც ასახავს საზოგადოებას, და კერძოდ, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური ჯგუფების მოსაზრებებს, უმცირესობების ჩათვლით და სთავაზობენ სადისკუსიო პლატფორმას, რითაც ხელს უწყობენ ჭეშმარიტ დემოკრატიას. ამით ისინი განსხვავდებიან კომერციული სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან, რომელთა პროგრამული პოლიტიკა მნიშვნელოვნად განისაზღვრება კომერციული სარგებლის მიღების იმპერატიული მოთხოვნით.

3. საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციები განსხვავდებიან აგრეთვე სახელმწიფოს მიერ მართვადი სამაუწყებლო ორგანიზაციებისაგან იმით, რომ ისინი დამოუკიდებლად, ხელისუფლების ორგანოთა, კერძოდ, გარეშე საჯარო ხელისუფლების ორგანოთა ჩაურევლად ასრულებენ თავიანთ ამოცანებს... პრინციპი, რომლის თანახმადაც საზოგადოებრივი მაუწყებლები დამოუკიდებელნი და, შესაბამისად, თავიანთი საქმისათვის ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე, უმნიშვნელოვანესია მათი ამოცანების შესასრულებლად, განსაკუთრებით, საინფორმაციო სფეროში."[2] აქედან გამომდინარე, 2002 წელს "არტიკლი 19"-ის შესაბამისად მომზადებულ "ტელერადიომაუწყებლობის საქმიანობის რეგულირების საერთაშორისო სტანდარტებში" 34-ე პრინციპად პირდაპირ ჩაიწერა, რომ "სადაც სახელმწიფო ან სამთავრობო მაუწყებლობა არსებობს, ამ ნაწილის თანახმად ისინი უნდა გარდაიქმნას საზოგადოებრივ მაუწყებლობებად."[3]

ცხადია, რომ საზოგადოებრივი სამაუწყებლო სტრუქტურები შესაძლებელია მხოლოდ დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობდეს. საქართველოში სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის საზოგადოებრივად გარდაქმნა განაპირობა იმ დემოკრატიულმა პროცესებმა, რომლებიც თან მოჰყვა ავტორიტარული სოციალისტური სისტემის კრახს აღმოსავლეთ ევროპასა და საბჭოთა კავშირში. 1996 წელს ამის შესახებ ევროსაბჭომ სპეციალური მოთხოვნა წაუყენა საქართველოს ხელისუფლებას და ამ საკითხს ჩვენი ქვეყნისთვის საერთაშორისო პრესტიჟის მნიშვნელობაც კი მიენიჭა. საჯაროდ ეს იდეა პირველად გაჟღერდა 1997 წელს გამოქვეყნებულ კანონპროექტში "მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა შესახებ". იგი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სისტემის რეფორმის ერთ-ერთ ძირითად მომენტად მიიჩნევდა მაშინდელი სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის ბაზაზე საზოგადოებრივი რადიო-ტელევიზიის ჩამოყალიბებას და არა მის პრივატიზაციასა და კომერციული სტრუქტურით ჩანაცვლებას. 2000-2001 წლებში ხელისუფლებამ თითქოს კიდეც დააპირა ასეთი რეფორმის გატარება, მაგრამ თავისი უნიათობის გამო თავი ვერ მოაბა, ისევე, როგორც ბევრ სხვა აუცილებელ ღონისძიებას. 2004 წლის იანვარში სამოქალაქო საზოგადოება "დარბაზის" წევრებმა ღია წერილით მიმართეს საქართველოს ახალ პრეზიდენტს და კატეგორიულად მოსთხოვეს ამ საკითხის გადაწყვეტა.

ამ დროისთვის სახელმწიფო რადიო-ტელევიზიას საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის გარდა სხვა გამოსავალი არც ჰქონდა. მას რეალური ალტერნატივა აღარ გააჩნდა ორი მიზეზის გამო: პირველი, "ვარდების რევოლუციის" შემდეგ იგი სრულიად დისკრედიტებული აღმოჩნდა საზოგადოების თვალში ძველი ხელისუფლების აშკარა მხარდაჭერისათვის, და მეორე, აღარ შეიძლებოდა ევროსაბჭოს მრავალწლიანი მოთხოვნის იგნორირება.

2004 წლის გაზაფხულზე პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოში მაუწყებლობის რეგულირების — საქტელერადიომაუწყებლობის დამოუკიდებელ საზოგადოებრივ მაუწყებლობად გარდაქმნისათვის მომზადების მიზნით, მაუწყებლობის შესახებ კანონის მიღებამდე იქმნება საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისია. მასში შევიდნენ საზოგადოებისათვის საკმაოდ ცნობილი პირები: ლევან რამიშვილი — "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორი, ვახტანგ ბაბუნაშვილი — ჯგუფ "სოფთ ეჯექთის" წევრი, ანა ახალკაცი — საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენელი საქართველოში, კოტე კუბლაშვილი — განვითარებისა და რეფორმების ფონდის დირექტორი, მამუკა ხერხეულიძე — "წიგნის დარბაზის" ხელმძღვანელი, დავით-დეფი გოგიბედაშვილი — მწერალი, დავით პაიჭაძე — "რადიო "თავისუფლების" ჟურნალისტი. 2004 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი "მაუწყებლობის შესახებ", რომელიც პრეზიდენტის ხელმოწერით გამოქვეყნდა 2005 წლის 18 იანვარს, რაც ავტომატურად გულისხმობდა ამ დღიდან მის ამოქმედებას. კანონის 76-ე მუხლის მე-5 პუნქტში აღნიშნული იყო, რომ "ამ კანონის ამოქმედებიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრების დანიშვნამდე მოხდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის "საქართველოს ტელევიზია და რადიომაუწყებლობა" რეორგანიზაცია "საზოგადოებრივ მაუწყებლად".

როგორც ჩანს, ამ დროისათვის არხის "რეორგანიზაცია" უკვე დამთავრებულიც იყო, რადგან ჯერ კიდევ პარლამენტის მიერ კანონის მიღებამდე, 2004 წლის 20 დეკემბერს სახელმწიფო სტატუსის მქონე ტელევიზია განახლებული პროგრამით გავიდა ეთერში, ხოლო რამდენიმე დღით ადრე მისმა ხელმძღვანელმა ზაზა შენგელიამ ამასთან დაკავშირებით პრესკონფერენცია მოაწყო და ახალი პროექტები და არხის ახალი სახეები ოფიციალურად წარუდგინა საზოგადოებას (ზაზა შენგელია საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის ხელმძღვანელი იყო 1999 წლის მარტიდან, 2003 წლის 21 ნოემბერს გადადგა "პროტესტის ნიშნად" და 2004 წლის თებერვლიდან ახალმა ხელისუფლებამ ისევ დააბრუნა ძველ თანამდებობაზე, რომელიც წლის ბოლომდე ეკავა). მისი განცხადებით, განახლებული არხის კონცეფცია ეყრდნობოდა იმას, რომ ეს იყო ხალხის, საზოგადოების რადიო-ტელევიზია და მისი ახალი დევიზი — "ჩვენ ერთად ერთნი ვართ" სწორედ ამას ნიშნავდა. საზოგადოებრივი არხის ბადე გულისხმობდა ახალი ამბების რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოშვებას, საინფორმაციო პროგრამა "მოამბეს" ეწოდა "მთავარი", დილის პროგრამა "ალიონს" — "ადრე", პროგრამა "სპას" ჩაენაცვლა "მხედრობა", თეა გვასალია გაუძღვებოდა გადაცემა "სარჩევს", სერგი გვარჯალაძე — "ვაკანსიას", ვანო თარხნიშვილი — "ტაქსის", ეკა ბერიძე საავტორო პროექტ — "მედიატორს" შესთავაზებდა მაყურებელს და ა.შ. მონიტორინგის ჯგუფის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად არხზე დარჩებოდა ჟურნალისტი კოკა ყანდიაშვილი, რომელიც მოამზადებდა გადაცემას — "ჩვენ". ამავე დროს ზაზა შენგელია დიდ მადლობას უხდიდა ახალ ხელისუფლებას და თავისთავად საზოგადოებრივი მონიტორინგის საბჭოს, რეფორმების გატარებასა და "კადრები ოპტიმიზაციაში" მხარდაჭერისათვის.

"კადრების ოპტიმიზაცია", უფრო ზუსტად, რადიკალური შემცირება, უშუალოდ უკავშირდებოდა მიმდინარე რეფორმას, რადგან თანამშრომლების მასობრივ დათხოვნას არხის ხელმძღვანელობა საზოგადოებრივი მაუწყებლობის შექმნის ლოზუნგით ახორციელებდა. სამწუხაროდ, ეს პროცესი გარდაუვალი იყო — სახელმწიფო რადიო-ტელევიზია წარმოადგენდა ტიპურ საბჭოთა დაწესებულებას არაბუნებრივად გაბერილი შტატებით და დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსური რესურსების პირობებში ამ სფეროში რამდენიმეათასიანი კოლექტივის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. მასობრივი დათხოვნები განხორციელდა ჯერ 2004 წლის მარტში, შემდეგ აპრილში და ნაწილობრივ ზაფხულის თვეებშიც. როგორც კი რომელიმე მუშაკს ხელშეკრულების ვადა გაუთავდებოდა, ავტომატურად ტოვებდა სამუშაოს (საერთოდ, თანამშრომლების მოკლევადიან ხელშერულებაზე გადაყვანა თავიდანვე ხელმძღვანელობის საკადრო პოლიტიკის ერთგვარ სტრატეგიას წარმოადგენდა). საბოლოოდ დათხოვნილ იქნა 2500-მდე თანამშრომელი და დაახლოებით მხოლოდ 700-მა კაცმა შეინარჩუნა სამუშაო. ხელმძღვანელობის დაპირება, რომ შემცირების პროცესი სამართლიანად წარიმართებოდა და პროფესიონალებს არ შეეხებოდა თუნდაც იმიტომ, რომ იგი "საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითი კომისიის" კონტროლქვეშ მიმდინარეობდა, სამწუხაროდ, არ გამართლდა. მართლაც უფუნქციო მუშაკებთან ერთად სამუშაო დაატოვებინეს ბევრ ისეთ პიროვნებასაც, ვისაც უდიდესი წვლილი მიუძღოდა საქართველოს ტელევიზიის შექმნასა და განვითარებაში, რაც დიდწილად განსაზღვრა სუბიექტურმა ფაქტორმა — ხელმძღვანელობის პირადმა დამოკიდებულებამ ამა თუ იმ თანამშრომელთან. ამას დიდი გამოხმაურება მოჰყვა იმდროინდელ პრესაში, დაიბეჭდა უამრავი კრიტიკული და მამხილებელი სტატია, ზოგიერთი საქმე სასამართლომდეც კი მივიდა (და გათავისუფლებული მუშაკის სასარგებლოდ დასრულდა), მაგრამ არსებითად არაფერი შეცვლილა — ხელმძღვანელობის განცხადებით ეს დათხოვნა საბოლოო არ იყო და განთავისუფლებულ თანამშრომლებს შეეძლოთ უკან დაბრუნება — ოღონდ ახალი წესის, კონკურსში მონაწილეობის მეშვეობით (რაც იშვიათი გამონაკლისი გარდა არ მომხდარა).

უნდა აღინიშნოს, რომ "საზოგადოებრივი მონიტორინგის დროებითმა კომისიამ" თავიდანვე უარყოფითი პოზიცია დაიკავა "ძველი სახეების" მიმართ, რამაც კოლექტივის განსაკუთრებული აღშფოთება გამოიწვია. "თავისუფლების ინსტიტუტის" დირექტორის ლევან რამიშვილის განცხადებით, საზოგადოებრივი მაუწყებლობა სახელმწიფო ტელევიზიისგან პრინციპულად განსხვავებული უნდა ყოფილიყო და მის ეთერში ძველი ტელეპერსონები აღარ უნდა გამოჩენილიყვნენ. კომისია კონკრეტულად სამუშაოდან არავის გაშვებას არ მოითხოვდა, საქმე პრინციპს შეეხებოდა — ტელეჟურნალისტები, რომლებიც ხან ერთ ხელისუფლებას უკმევდნენ გუნდრუკს და ხან მეორეს ახალ ტელევიზიას დისკრედიტაციის გარდა არაფერს მოუტანდნენ. ასეთი დამოკიდებულება შეიძლება გამართლებულიც იყო იმ პოლიტიკურ გადაცემა-

თა ავტორების მიმართ, რომლებიც ხელისუფლების რუპორს წარმოადგენდნენ, თეთრს შავად აჩვენებდნენ საზოგადოებას და სათანადო პრივილეგიებითაც სარგებლობდნენ, ხოლო ისინი, ვინც განათლების, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების და ა.შ. საკითხებზე მუშაობდნენ, ნამდვილად არ იმსახურებდნენ არც სამუშაოდან დათხოვნას და არც ეკრანიდან ჩამოშორებას. უზნეობაა ადამიანებს დანაშაულად ჩაუთვალო ის, რომ ამა თუ იმ ხელისუფლების პერიოდში უწევდათ მუშაობა.

ესეც რომ არ იყოს, საზოგადოებრივი მაუწყებლობის საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპები კატეგორიულად ეწინააღმდეგება კადრების შერჩევას პოლიტიკური მრწამსის მიხედვით. იმავე "ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1996 წლის 11 სექტემბრის რეკომენდაციებში", რის საფუძველზეც შეიქმნა "საზოგადოებრივი მონიტორინგის კომისია", "№14 სახელმძღვანელო პრინციპი" პირდაპირ მიუთითებს, რომ "საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების დამოუკიდებლობაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული, თუმცა არცთუ ყოველთვის ცხადი, ჩარევაა პერსონალის სამუშაოდ აყვანა და გათავისუფლება, კარიერული წინსვლა და უკუსვლა უფრო პოლიტიკური ორიენტაციის და არა პროფესიული უნარის საფუძველზე. ასეთი პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად ეს სახელმძღვანელო პრინციპი ადგენს საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების პერსონალის სამუშაოდ აყვანისა და სამსახურის მნიშვნელოვან პრინციპს ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე."[4] იგივე პრინციპი არის გაცხადებული გენერალური დირექტორის მიერ 2006 წლის 26 სექტემბერს დამტკიცებული "საზოგადოებრივი მაუწყებლობის შრომის შინაგანაწესში": "...შრომით ურთიერთობაში აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობების, რელიგიური ან რაიმე გაერთიანებისადმი კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, **პოლიტიკური და სხვა შეხედულებების** (ხაზგასმა ჩემია, ე.ი) გამო."

ლევან რამიშვილის განცხადება მით უფრო გამაღიზიანებელი იყო, რომ არ შეეხებოდა თავად რადიო-ტელევიზიის თავმჯდომარეს, რომელიც შევარდნაძის ხელისუფლებაში ჯერ სახელმწიფო მინისტრის მოადგილე იყო, შემდეგ იმ რადიო-ტელევიზიის ხელმძღვანელი, რომელიც ყველანაირი დემაგოგიური მეთოდებით იცავდა მას, ბოლოს კი ახალი ხელისუფლების ნდობით აღჭურვილი "ყველაზე დამოუკიდებელი მაუწყებლობის" "დამაარსებლად" მოევლინა საზოგადოებას. თუმცა, როგორც ჩანს, მისი დროებით უკანდაბრუნება იმ მიზნით მოხდა, რომ განეხორციელებინა სახელმწიფო რადიო-ტელევიზიის კადრების მასობრივი დათხოვნა და საზოგადოებრივი სამაუწყებლო სტრუქტურის ხელმძღვანელად ახალი ხელისუფლება მას არ მოიაზრებდა. ეს ნათლად გამოჩნდა მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოების — სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებისა და გენერალური დირექტორის არჩევის პროცესში. კანონის თანახმად, სწორედ სამეურვეო საბჭო ირჩევს გენერალურ დირექტორს და განსაზღვრავს საზოგადოებრივი მაუწყებლის პრიორიტეტებს, რომლებსაც შემდგომ მენეჯმენტი ახორციელებს. სამეურვეო საბჭო შედგება 9 მეურვისაგან, ხოლო "მეურვეობის კანდიდატი უნდა იყოს საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი", რომლის დასახელების უფლება ყველას აქვს კონკურსის გამოცხადების დღიდან 30 დღის განმავლობაში. "კანდიდატთა სიის გამოქვეყნებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი ამ კანონით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატურათა შერჩევის შესახებ და საქართველოს პარლამენტს წარუდგენს 1 ვაკანტურ თანამდებობაზე არანაკლებ 3 კანდიდატურას... საქართველოს პრეზიდენტის მიერ კანდიდატურების წარდგენიდან 30 დღის ვადაში საქართველოს პარლამენტი ფარული კენჭისყრით აძლევს თანხმობას პრეზიდენტს მეურვის დანიშვნაზე." ცხადია, რომ ამგვარი ორმაგი გაცხრილვის შემდეგ (ჯერ პრეზიდენტი, შემდეგ მისი მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობა) ხელისუფლებისადმი არალოიალურად განწყობილი პიროვნება ძნელად თუ მოხვდებოდა სამეურვეო საბჭოში და იგი მმართველი სტრუქტურისათვის ყველაზე სასურველ პიროვნებას აირჩევდა გენერალურ დირექტორად. 2005 წლის 10 ივნისს პარლამენტმა დაამტკიცა სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა: ლევან თარხნიშვილი (თავმჯდომარე), თამარ კინწურაშვილი (მოადგილე), ნინო ანანიაშვილი, ფრიდონ თოდუა, გია ნოდია, ალექსანდრე რონდელი, რუსუდან სებისკვერაძე, მამუკა ხერხეულიძე და გიორგი ხუბუა. 2005 წლის ივნისსა და ივლისში საბჭომ ვერ მოახერხა გენერალური დირექტორის პოსტზე სათანადო კანდიდატურის არჩევა (თუმცა კონკურსში მონაწილეობდა "ძველი ტელევიზიის" ბევრი ცნობილი სახე და "საზოგადოებრივი აღიარებისა და ნდობის მქონე პირი": ავთანდილ იმნაძე, გიორგი კახაბრიშვილი, მიხეილ მჭედლიძე, თამარ ფხაკაძე, დოდო შონავა, ლევან ღვინჯილია, ლაშა ბაქრაძე, გიორგი ჭანტურია, დავით პაიჭაძე და სხვ.) ამის შემდეგ გამოცხადდა ახალი კონკურსი, რომელშიც მონაწილე 17 კაციდან 8 ძველი კონკურსანტი იყო. აგვისტოს შუა რიცხვებში ამ თანამდებობაზე უკვე 24 კაცი აცხადებდა პრეტენზიას, მათ შორის "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თამარ კინწურაშვილი, რომელიც ამავე დროს სამეურვეო საბჭოს წევრიც იყო. საბჭომ სწორედ იგი აირჩია გენერალურ დირექტორად მიუხედავად სხვა კონკურსანტების პროტესტისა და თავი იმით გაიმართლა, რომ მეურვის კონკურსში მონაწილეობა კანონით აკრძალული არ იყო.

საერთოდ, "თავისუფლების ინსტიტუტს" დომინანტური პოზიცია ეკავა მაუწყებლობის მიმდინარე რეფორმის პროცესში. რაც თითქოს იმით აიხსნებოდა, რომ საქართველოში საზოგადოებრივი ტელევიზიის ჩამოყალიბების იდეა მას ეკუთვნოდა და კანონიც მისი მომზადებული იყო (თითქოს მანამდე არც არსებობდა ევროსაბჭოს მოთხოვნა ანდა საზოგადოებრივი მაუწყებლობის პრინციპები დაწვრილებით არ იყო ჩამოყალიბებული მის დოკუმენტებში). რადიო-ტელევიზიის თანამშრომლებისა და საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვისაც კი გაუგებარი იყო, რატომ უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ ერთი ორგანიზაციის ხელში — "თავისუფლების ინსტიტუტიდან" იყო გენერალური დირექტო-

რი, ასევე საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი, ხოლო ლევან რამიშვილი ფაქტობრივად ყველაფერს აკონტროლებდა ტელევიზიაში. როცა 2006 წლის გაზაფხულზე დადგა საკითხი, რომ პარლამენტში მოესმინათ მის მიერვე დანიშნული სამეურვეო საბჭოს ანგარიში, ლევან რამიშვილი მაშინვე გამოვიდა თანაგუნდელების დასაცავად: "საბჭოს პარლამენტში დაბარება იქნება უპრეცენდენტო დარღვევა იმისა, რასაც მსოფლიოში საზოგადოებრივ მაუწყებლობას ეძახიან"[5] — განაცხადა მან.

ბეჭდური მედიის დიდი ნაწილის აზრით, საზოგადოებრივ არხზე თ. კინწურაშვილის ხელმძღვანელად დანიშვნას მაინცდამაინც სასიკეთო ძვრები არ მოჰყოლია: სულ მალე, 2006 წლის გაზაფულზე დაიწყო შიდა დაპირისპირება — არხი დატოვეს სამეურვეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ჯგუფის რამდენიმე წევრმა (შემდგომშიც სამეურვეო საბჭოს შემადგენლობა რამდენიმეჯერ შეიცვალა). ისევ გრძელდებოდა ძველი საკადრო პოლიტიკა — თანამშრომლების თვითნებური დათხოვნა, ხოლო დარჩენილების 1-თვიანი ხელშეკრულებით დატერორება. რეფორმები ძალზე არაობიექტურად მიმდინარეობდა, კონკურსები და ტენდერები მხოლოდ ფორმალობას, ფარსს წარმოადგენდა, რადგან ყველაფერი წინდაწინ სუბიექტურად იყო გადაწყვეტილი. როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრი მანანა ჯებაშვილი აცხადებდა, — თუ ადრე საზოგადოებრივი ტელევიზიის რეიტინგი 6% აღწევდა, ამ დროისთვის იგი 1%-მდე იყო დაცემული.[6] ოპოზიციური პარტიები წინანდებურად მტრულად იყვნენ განწყობილი სახელწოდებაშეცვლილი "პირველი არხის" მიმართ და მიჩნდათ, რომ ის ახალ ამპლუაშიც ხელისუფლების რუპორად რჩებოდა. ტელე-რადიოცენტრის შენობასთან კვლავ იმართებოდა მიტინგები როგორც თ. კინწურაშვილის, ისე მისი მომდევნო ხელმძღვანელების — ლევან ყუბანეიშვილისა და გიორგი ჭანტურიას მმართველობის პერიოდშიც. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირების ზემოთ აღნიშნული პროცესების გაუთვალისწინებლად ძნელია გავიაზროთ რას წარმოადგენს დღეს იგი და რამდენად უახლოვდება საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებს.

ამჟამად საზოგადოებრივი მაუწყებელი აერთიანებს სამ სატელევიზიო („პირველი არხი", „მეორე არხი" და „პირველი კავკასიური") და ორ რადიო („პირველი არხი" და „რადიო-2 — ქართული რადიო") არხს, აქვს საკუთარი ბეჭდვითი ორგანო — ჟურნალი „მაუწყებელი", საკუთარი ეთიკის კოდექსი და ამზადებს უფრო მეტ გადაცემას, ვიდრე ერთად აღებული ყველა კომერციული არხი. ევროსაბჭო, რომელიც საზოგადოებრივ მაუწყებლობას პლურალისტური ურთიერთკავშირის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად მიიჩნევს, №18 სახელმძღვანელო პრინციპში აღნიშნავს, რომ "საზოგადოებრივი მაუწყებლის მიზანი უნდა იყოს საზოგადოებრივი მსჯელობის ფორუმის შექმნა და შეთავაზება, რომელზეც შეიძლება გამოითქვას მოსაზრებებისა და შეხედულებების შესაძლებლად ყველაზე ფართო სპექტრი."[7] ამ ფუნქციის უზრუნველსაყოფად კი აუცილებელია საგამომცებლო დამოუკიდებლობა, რაც №1 პრინციპის მიხედვით ნიშნავს "...საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების უფლებას თავისუფლად და გარეშე ხელისუფლების ორგანოების ჩაურევლად განსაზღვრონ თავიანთი პროგრამების შინაარსი... სარედაქციო დამოუკიდებლობა უშუალოდ და მჭიდროდაა დაკავშირებული საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების ინსტიტუციონალურ ავტონომიასთან, ანუ ამ ორგანიზაციების უფლებასთან, თავისუფლად განახორციელონ თავიანთი საქმიანობის ორგანიზაცია და მართვა იმ კანონების და წესების ჩარჩოებში, რომელიც ეხება მმართველი ან სამეთვალყურეო საბჭოების მუშაობის რეგულირებას."[8] თუმცა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ყოველწლიურად იღებს დაფინანსებას სახელმწიფო ბიუჯეტიდან (ამჟამად იგი შიდაპროდუქციის 0,12 პროცენტს ანუ დაახლოებით 25 მილიონ ლარს შეადგენს), მისი განმკარგავი მხოლოდ სამეურვეო საბჭოა და ეს ფინანსური დამოუკიდებლობა საკანონმდებლო გარანტიით არის უზრუნველყოფილი.

ამავე დროს, №2 სახელმძღვანელო პრინციპით "ამ შიდა ზედამხედველობის გარდა საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სასამართლოს წინაშე, კერძოდ, პროგრამებში გამოხატული სხვადასხვა კანონიერი უფლებების შესაძლო ხელყოფისთვის... საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციები თავიანთი საქმიანობისთვის შეიძლება პასუხისმგებელნი იყვენენ არა მხოლოდ სასამართლოს, არამედ სხვა გარეშე უწყებების წინაშე იმ პირობით, რომ ეს დამოუკიდებელი უწყებებია."[9] ცალკე საკითხია კიდევ ერთი პასუხისმგებლობა — პასუხისმგებლობა თავად საზოგადოების წინაშე. რომელიც ასევე ზუსტად არის ასახული ამავე სახელმძღვანელო პრინციპში: "...საზოგადოებრივი მაუწყებლები, საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ რეზოლუციის თანახმად, უშუალოდ საზოგადოების წინაშე უნდა იყვნენ ანგარიშვალდებულნი. ამ პრინციპის პრაქტიკული შედეგი ისაა, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებლებმა რეგულარულად უნდა გამოაქვეყნონ ინფორმაცია საკუთარი საქმიანობის თაობაზე, მაგალითად, წლიური ანგარიშის სახით. საზოგადოებისადმი გამჭვირვალობის ეს მოთხოვნა ყოველთვის გასათვალისწინებელია..."[10] საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ერთ-ერთი გამოხატულებაა ისიც, რომ სამეურვეო საბჭოსთან შექმნილია კიდევ ერთი საკონსულტაციო რგოლი — საზოგადოებრივი საბჭო, რომელიც აქტიური და დაინტერესებული მაყურებლებისაგან შედგება (ეს თავიდანვე იყო კანონით გათვალისწინებული).

საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის ყველა ზემოთ ხსენებული პრინციპი, ისევე როგორც საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ, კარგად უნდა იყოს ცნობილი არა მხოლოდ რადიო-ტელევიზიის პერსონალისთვის, არამედ ქვეყნის ყველა მოქალაქისთვის. რამდენადაც საზოგადოებრივი მაუწყებლობის საქმიანობა მჭიდროდ უკავშირდება საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებსა და მოთხოვნილებებს, ამდენად საზოგადოებაც თავის მხრივ უნდა იყოს აქტიური მასთან მიმართებაში და იცოდეს რა უნდა მოითხოვოს მისგან. სამოქალაქო საზოგადოებისათვის ასეთი აქტიურობისათვის ხელშეწყობა თავად საზოგადოებრივი მაუწყებლის ინტერესსაც უნდა წარმოადგენდეს თუნდაც მისი დამოუკიდებლობი-

სა და პროგრამების მრავალფეროვნების დასაცავად. ამ მიზნით შეიძლებოდა სხვადასხვა ფორმების გამოყენება: სპეციალური ინტერაქტიური პროგრამების მომზადება, საინფორმაციო დღეებისა და საზოგადოებასთან შეხვედრების ორგანიზება, საგანგებო სატელეფონო ხაზის ან სხვა ტელესაკომუნიკაციო საშუალების შემოღება, რომელთა დახმარებითაც საზოგადოება თავის აზრს გამოთქვამდა პროგრამებთან დაკავშირებით.

აქედან გამომდინარე, დროულია, რომ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო ახალი პროექტის — ,,რეგიონების" განხორციელება, რომლის ძირითადი მიზანი სხვადასხვა რაიონის მოსახლეობასთან კონტაქტის დამყარებაა. ასეთი შეხვედრების მეშვეობით აუდიტორია უკეთ გაიგებს რა არის საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქცია, რით განსხვავდება იგი სხვა კომერციული არხებისაგან და რა სოციალურ პოლიტიკური დატვირვთვა გააჩნია. მისასალმებელია ისიც, რომ 2011 წლის მაისიდან საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა დაიწყო ჟურნალ ,,მაუწყებელის" გამოცემა და თავის შეხედულებებს თუ მომავალ მიზნებს აცნობს აუდიტორიას. მაგრამ მასში ალბათ თვითონ ამ აუდიტორიასაც უნდა დაეთმოს მეტი ადგილი, რომ ჟურნალი მხოლოდ კომუნიკატორის პოზიციის გამომხატველი არ გახდეს და საზოგადოების ინტერესებს არ ასცდეს. მეორე მხრივ, შეიძლება სადაო იყოს ისიც, თუ რას ნიშნავს თავად ,,საზოგადოების ინტერესების გამოხატვა". საზოგადოების მოთხოვნა, თუ რა უნდა გადიოდეს ამ არხზე, ხშირად არ შეესაბამება საზოგადოებრივი მაუწყებლობის დანიშნულებას და ეს საკითხი სულაც არაა პლებისიტური უმრავლესობის გადასაწყვეტი. ინგლისში ჯერ კიდევ 60-იან წლებში აღნიშნავდნენ, რომ თუ ბიბი-სი მხოლოდ პოტენციური უმრავლესობის მომსახურებაზე აიღებდა გეზს, მოუწევდა ავტომატურად გაეუქმებინა არსებული პროგრამების სულ მცირე 50 პროცენტი.[11]

ცხადია, აქ ბევრ რამეს განსაზღვრავს კონკრეტული ქვეყნის პოლიტიკური და კულტურული ტრადიციები, მაგრამ სპეციალისტები გამოჰყოფენ სამ ძირითად მომენტს, რომელიც ყველაზე ნათლად გვიჩვენებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, როგორც ,,საზოგადოებრივი სამსახურის" ბუნებას: ,,1. მის-ი — ესაა მომსახურებათა სფერო, რომელიც ხელმისაწვდომია ყველასთვის, მიუხედავად მისი შემოსავლისა, საცხოვრებელი ადგილისა და ა.შ.; 2. ,,საზოგადოებრივი მის"-ისათვის დამახასიათებელია საინფორმაციო მასალების თუ სხვადასხვა ჟანრის გადაცემების დაბალანსება; 3. ფინანსური თვალსაზრისით, ,,საზოგადოებრივი მის"-ი დამოუკიდებელია როგორც სახელმწიფოსაგან, ისე კერძო სექტორისგანაც".[12]

უფრო ვრცლად თუ განვიხილავთ, საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ" ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს შექმნას მაღალი ხარისხის ტელერადიოპროგრამები, რომლებიც თავისუფალი იქნება როგორც მიმდინარე პოლიტიკური, ისე კომერციული ინტერესების ზეწოლისაგან; ასახოს საზოგადოებაში არსებულ მოსაზრებათა პლურალიზმი, ეთნიკური, კულტურული, ენობრივი, რელიგიური, ასაკობრივი და გენდერული მრავალფეროვნება; უზრუნველყოს აუდიტორიის დროული და ყოველმხრივი ინფორმირება საქართველოში, მის რეგიონებსა და მსოფლიოში მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ; ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობის, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალფეროვნების განვითარებას; სათანადო პროპორციით განათავსოს უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამები; ბავშვთა და მოზარდთა ინტერესების შესაბამისი პროპორციით განათავსოს საბავშვო პროგრამები და ა.შ. ფაქტობრივად ეს არის ის ძირითადი პრიორიტეტები, რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სტრატეგიული მიმართულებანი. მაგრამ რამდენად აისახება ის არხის კონცეფციაში და რა ადგილი უჭირავს სამაუწყებლო ბადეში?

1. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი კომერციულ ტელეარხებზე მეტად ცდილობს სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა დაბალანსებას (დღესდღეობით ხელისუფლებას ისეთი დიდი გავლენა აქვს ამ თითქოსდა დამოუკიდებელ არხებზე, რომ ისინი უფრო თავგამოდებით ემსახურებიან მას ვიდრე ამას ყოფილი სახელმწიფო არხი ახერხებდა). საზოგადოებრივი მაუწყებლის ადრინდელი თუ ახლანდელი პოლიტიკური პროგრამები: "მსოფლიო დღეს", "არგუმენტი", "საჯარო პოლიტიკა", "დიალოგი დავით პაიჭაძესთან" და სხვ. თანაბრად უთმობს ეკრანს ყველა პოლიტიკურ ძალას და ხშირად ოპოზიციური პარტიების ბრალდება მის ტენდენციურობაზე არასამართლიანია. ამას ემატება ისიც, რომ ყოფილი სახელმწიფო ტელევიზიის ,,მეორე არხი" საპარლამენტო-პოლიტიკურ არხად გადაკეთდა და მისი ყოველდრიური რუბრიკები: ,,ბრიფინგის დროით" და ,,თავისუფალი ტრიბუნა" ყველასთვის ხელმისაწვდომია. ამავე დროს, მთლიანად არხი უფრო მეტად განიცდის ხელისუფლების ზეგავლენას, ვიდრე ეს საზოგადოებრივი მაუწყებლის სტატუსითაა გათვალისწინებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ბოლო 3-4 წლის მანძილზე მისი საზოგადოებრივ-ანალიტიკური გადაცემების უმრავლესობას ის სატელევიზიო სახეები წარმოადგენენ, რომლებიც ხელისუფლებასთან ასოცირდებიან (დავით დარჩიაშვილი, დავით აფრასიძე, დავით პაიჭაძე, ეკა კვესიტაძე, გიგა ზედანია, გია ბუღაძე და სხვ.). საინფორმაციო პროგრამა "მოამბის" "დღის წესრიგს" ისევე განსაზღვრავს ხელისუფლების "დღის წესრიგი", როგორც "ქრონიკისას" ან "კურიერისას". ამას ნამდვილად ვერ ვუწოდებთ იმ "გამონაკლის გარემოებებს", რომელსაც ევროსაბჭოს შესაბამისი დოკუმენტი განსაზღვრავს: "მაშინ, როდესაც დემოკრატიულ საზოგადოებაში ნორმალურია და სასურველიც კი, რომ თავიანთი ქმედებების შესახებ საჯარო ხელისუფლების ორგანოები მასმედიითა და, კერძოდ, საზოგადოებრივი სამაუწყებლო ორგანიზაციების ეთერში გამოვიდნენ და ისაუბრონ, აუცილებელია ასეთი გამოსვლების პირობების ზუსტი რეგულირება, რათა საზოგადოებრივი მაუწყებლები საჯარო ხელისუფლების რუპორებად არ იქცნენ. ამიტომ სახელმძღვანელო პრინციპი №21 ადგენს პრინციპს, რომლის თანახმად, საჯარო ხელისუფლების ორგანოებისა-

გან მომავალი ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებების ან საუბრების გადაცემა გამონაკლის გარემოებებში უნდა ხდებოდეს".[13]

2. საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიმართულებად ჩამოყალიბდა, მსოფლიოს წარდგენა საქართველოსთვის და საქართველოს წარმოჩენა მსოფლიოში. საკმარისია დავასახელოთ ციკლები: "ევროკავშირი და საქართველო", "ევროპული არჩევანი" (რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით მზადდება), "გზა ნატოსკენ", "ვაშინგტონი დღეს", "აღმოაჩინე საქართველო" და სხვ. სისტემატურად შუქდება ქართული კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენელთა გამოსვლები უცხოეთში, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა რეგიონებს, რომელთაც მხოლოდ "მოამბის" 16 საათის გამოშვების ბოლო 10 წუთი აქვს დათმობილი. არადა, ყველა ქვეყანაში, სადაც საზოგადოებრივი მაუწყებლობა არსებობს, მის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციად სწორედ რეგიონების წარმოჩენა ითვლება. ადრინდელი "I არხი" ამ მხრივ უფრო აქტიურად გამოიყურებოდა – სხვადასხვა პერიოდში ეკრანზე იყო ყოველკვირეული ციკლური პროგრამები — "რეგიონი", „სოფლის ქრონიკები", "არათბილისური ამბები", "საქართველო არის ესე" და სხვ. ურიგო არ იქნებოდა ამ ტრადიციის აღდგენა, მით უმეტეს, რომ დღეს მეტი შესაძლებლობა არსებობს – რეგიონებში 30-ზე მეტი ტელესტუდია ფუნქციონირებს, ჩამოყალიბებულია „ეროვნულ მაუწყებელთა ასოციაცია", რომლის წევრებიც კოლექტიურად ამზადებენ ყოველკვირეულ საინფორმაციო-ანალიტიკურ პროგრამა "მრავალკუთხედს". რატომ არ შეიძლება ამ პროგრამას მაინც დაეთმოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ეკრანი? ეს მის აუდიტორიასაც გაზრდიდა და რეგიონული ტელემაუწყებლობის განვითარებასაც მისცემდა სტიმულს.

3. ასევე მეტ ყურადღებას საჭიროებს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა, რაც ყველაზე პრიორიტეტულად ითვლება ყველა ქვეყნის საზოგადოებრივი მაუწყებლობისათვის. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი თავისი საგან-მანათლებლო პროგრამებით უთუოდ აღემატება კომერციულ სტრუქტურებს ("ისტორია", ,,გააგრძელე საქართველოს ისტორია", "ეთნოგრაფიული ნარკვევები", "პროფესიები", "ჩვენი ფერმა", "ჩვენი სამართალი", "პროცესი", "მედინფო", "ავტოპილოტი" და სხვ.), მაგრამ მხატვრული პროდუქციით ასევე ჩამორჩება თავის წინაპარ სახელმწიფო "I არხს". საზოგადოებრივი მაუწყებლის ფორმირების პარალელურად გაუქმდა შემოქმედებითი გაერთიანება "თეატრონი" (რომელიც თავის დროზე ყოველწლიურად 10-15 სატელევიზიო სპექტაკლს დგამდა), ტელეფილმების სტუდია, ვისი ფილმებიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყო ცნობილი ("ქორწილი", "ქვევრი", "სერენადა", "რეკორდი", "კუჩხი ბედინერი", "რუსთველის ნაკვალევზე", "შორია გურჯისტანამდე" და ბევრი სხვა), ხალხური შემოქმედების მთავარი რედაქცია და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს უპირველესად ფინანსურმა სიძნელეებმა განაპირობა, მაგრამ ქვეყანაში გავრცელებულმა კოსმოპოლიტურმა ტენდენციებმა და უცხოური მასკულტურის წინაშე მოწიწებამაც შეასრულა თავისი როლი. დღეს სიტუაციას ნაწილობრივ აბალანსებს ახლადშექმნილი დოკუმენტური ფილმების სტუდია, რომელმაც ბოლო წლებში არაერთი საინტერესო ნაწარმოები შექმნა, მათგან აღსანიშნავია სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ფილმები და კინოსერიალი ,,ოკუპაცია", რომელიც დოკუმენტურად ასახავს როგორც ფაშისტური, ისე საბჭოთა ოკუპაციების ისტორიას. საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ პირდაპირ ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს "ხელი შეუწყოს ქვეყნის თვითმყოფადობას, სულიერი ფასეულობებისა და კულტურული მრავალ-ფეროვნების განვითარებას". ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების უპირველესი პირობა ეროვნული იდენტურობისა და მენტალიტეტის დაცვაა, რაც მთლიანად ეროვნულ კულტურაზეა დამყარებული. საზოგადოებრივი მაუწყებელი ამ ფუნქციას ძირითადად წარსულ წლებში შექმნილი და ფონდში დაცული ეროვნულ-კულტურული პროგრამების გამოყენების ხარჯზე ასრულებს ("მეხსიერება", "ძველი აფიშა"', "ქართული ხმები", "პირველი ტელევიზია" და სხვ.). ესეც მისასალმებელია, რადგან ბოლო წლებამდე ეს უმდიდრესი ფონდი თითქმის იგნორირებული იყო. გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ ციკლი - "ჩვენებურები" (საზღვარს იქით დარჩენილი ქართული პროვინციების მკვიდრთა და, საერთოდ, უცხოეთში ქართული დიასპორის წარმომადგენელთა ხელოვნებაზე) და "საუკუნის პორტრეტები" – დოკუმენტური ფილმების სერია გასული საუკუნის გამოჩენილ ქართველებზე ("გალაკტიონი", "ვერიკო", "ლადო გუდიაშვილი", "სანდრო ახმეტელი" და სხვ.), რომელიც დიდწილად, ისევე, როგორც "მეხსიერება", სახელმწიფო ტელევიზიის მიერ ადრე გადაღებულ და ამჟამად ფონდში დაცულ კინო და ვიდეომასალაზეა დამყარებული.

4. ეროვნული ფასეულობებისა და კულტურის პოპულარიზაცია მშობლიური ენისადმი სათანადო დამოკიდებულებასაც გულისხმობს. სამწუხაროდ, ოდესღაც ქართული ენის ნორმების დამამკვიდრებელი "I არხი" დღეს მისი დამახინჯების ერთ-ერთ უპირველეს წყაროს წარმოადგენს. ეკრანიდან არათუ გაქრა ის ყოველდღიური "ჩაჭრები", რომელიც ენის სწორ ფორმებს ასწავლიდა ტელემაყურებლებს (ამას ახლა კომერციული "ახალი არხი" აკეთებს), არამედ მასობრივად დამკვიდრდა არასწორი ფორმებიც. ტელეჟურნალისტები ისეთი ქართულით ლაპარაკობენ ეკრანზე, თითქოს საშუალო სკოლის ბოლო კლასებში საერთოდ არ უვლიათ. თავი რომ დავანებოთ მეტყველების კულტურას, ისინი ამახინჯებენ ქართული ენის სინტაქსს და ხშირად ცალკეულ სიტყვებსაც კი. ეკრანიდან მუდმივად ისმის: "მადლობა მინდა მოვუხადო", "გთხოვთ დაგვიმესიჯოთ", "სასომხეთი", "ყურებადი", "ურტყავს", "იზავს", "გადადგავს" და ა.შ. ხოლო "მოამბის" ზოგიერთი წამყვანი საერთოდ არ ცნობს ქართული ენის ნორმებს და საკუთარ ვარიანტებს ამკვიდრებს "გავითარებულის", "გაპირობებულის", "გახორციელებულის", "გამტკიცებულის" და ა.შ. წარმოთქმით.

5. რაც შეეხება "უმცირესობების ენაზე, უმცირესობების შესახებ და უმცირესობების მიერ მომზადებული პროგრამების სათანადო პროპორციით განთავსებას", რეალურად შეიძლება ვიმსჯელოთ მხო-

ლოდ ორ გადაცემაზე — მრავალენოვან "მოამბესა" და "ჩვენს ეზოზე". "მოამბე" 2009 წლის ოქტომბრის ჩათვლით გადაიცემოდა კვირაში ერთხელ 14 საათსა და 30 წუთზე — ორშაბათს აფხაზურ ენაზე, სამშაბათს — ოსურ ენაზე, ოთხშაბათს — სომხურ ენაზე, ხუთშაბათს — აზერბაიჯანულ ენაზე, პარასკევს — რუსულ ენაზე (სომხურის გარდა, რომელიც 1 საათს გრძელდებოდა, ყველა 30 წუთის მოცულობით). 2010 წლის მარტიდან "მოამბის" რუსულენოვანი გამოშვება გაუქმდა, რაც სრულიად ბუნებრივია, რადგან არსებობს არხი "პირველი ინფორმაციული კავკასიური", რომელიც ყოველდღიურად იუწყება ახალ ამბებს და სხვა გადაცემებსაც სთავაზობს რუსულენოვან აუდიტორიას. დანარჩენმა გამოშვებებმა კი დილის 6 საათსა და 30 წუთზე გადაინაცვლა და დღემდე, ორშაბათისა და კვირის გარდა, ყოველდღიურად ერთმანეთის მიყოლებით გადაიცემა 1 საათის განმავლობაში. ამავე დროს, ეს გამოშვებები ორშაბათს და შაბათს 08.00 საათზე, დანარჩენ სამუშაო დღეებში კი 08.00 და 00.00 საათზე II არხითაც გადის ეთერში. გარდა ამისა, აფხაზურ, ოსურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე ყოველდღიურად მზადდება 20-20 წუთიანი გამოშვებები, რომლებიც გადაიცემა მარნეულისა და ნინოწმინდის, აგრეთვე "თრიალეთისა" (გორი) და "ოდიშის" (ზუგდიდი) რეგიონული ტელესადგურების ეთერით. თავის მხრივ, ამ რეგიონულ ტელეკომპანიებსაც აქვთ საშუალება საკუთარი პროდუქცია შესთავაზონ საზოგადოებრივ მაუწყებელს და თვითონაც განახორციელონ მაუწყებლობა სომხური თუ აზერბაიჯანული თემებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში (აღარ გავაგრძელებთ იმაზე საუბარს, რომ საქართველოს რადიოში დასაბამიდან არსებობს ცალკე არხები სომხური და აზერბაიჯანულენოვანი მაუწყებლობისათვის).

"ჩვენი ეზო" (თავიდან მას "იტალიური ეზო" ერქვა) ძირითადად თბილისის მრავალეთნიკური მოსახლეობის ცხოვრებას ასახავს და ყოველ კვირადღეს გადის ეთერში. თუმცა ალბათ დასაფიქრებელია, რამდენად საკმარისია კვირაში ერთი ნახევარსაათიანი პროგრამა იმ ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობის დაახლოებით ერთ მესამედს ეთნიკური უმცირესობები შეადგენენ (მეორე გადაცემა "მრავალენოვანი საქართველო" გამოჩნდა და უცებ გაქრა). ამ მდგომარეობას გარკვეულად აბალანსებს ის, რომ რამდენიმ წელია ეთერში გადის დოკუმენტური ფილმების სერია ეთნიკური უმცირესობების შესახებ, რომლებიც მათ ეთნოგრაფიას, ყოფას და ტრადიციებს ასახავს. მას USAID-ი აფინანსებს და კარგი იქნება თუ ეს პროექტი მომავალშიც გაგრძელდება.

6. მეტად ღარიბულად გამოიყურება საზოგადოებრივ არხზე საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობა, თუმცა კანონის მიხედვით მას ამ სფეროში მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ მიმართულებით რაიმე გარკვეული კონცეფციაც კი არ არსებობს. თუ ადრე იგი მთლიანად კომუნისტური აღზრდის ამოცანებს ექვემდებარებოდა, დემოკრატიის გზაზე დამდგარ დამოუკიდებელ საქართველოში ასევე მყარი სახელმძღვანელო პრინციპებია მოსაძებნი. ერთხანს ინტერესს იწვევდა ახალგაზრდული შოუპროგრამა "კედელი", მაგრამ მისი მომდევნო "მოკლე ჩართვა" მალე გაქრა ეკრანიდან და გაგრძელება აღარ მოჰყოლია. თუ ეს გარკვეულწილად იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ ახალგაზრდებისთვის ყველა ტელეგადაცემა მისაწვდომია და ცალკე პროგრამები აუცილებელი არაა, ამას ვერ ვიტყვით საბავშვო მაუწყებლობაზე, რომელიც გამოკვეთილად სპეციფიკური ხასიათისაა. დიდი ხანია აღარ გამოჩენილა ეკრანზე ისეთი პოპულარული გადაცემები, როგორიც იყო თავის დროზე "პატარა ამბები დიდ თემებზე", "ბასტი-ბუბუ", "მხიარული კარუსელი", "სასიტყვეთი" თუ "ამბები ჩვენზე". ამ მხრივ კომერციული არხები "რუსთავი-2' და "იმედი" უკეთ გამოიყურებიან (თუნდაც უცხოეთიდან გადმოღებული პროექტების ხარჯზე). მსოფლიოში საბავშვო მაუწყებლობისა თუ ცალკეული პროგრამების უამრავი ფორმა არსებობს და საზოგადოებრივმა არხმა უნდა შეძლოს შესაბამისი ქართული ვერსიების ფორმირება.

საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელს სხვა ბევრი პრობლემაც აქვს გადასაწყვეტი. პირველ რიგში ესაა აუდიტორიის ნდობის მოპოვება, რაშიც მას მხოლოდ კომუნისტური წარსული როდი უშლის ხელს. საზოგადოებას ჯერ კიდევ კარგად ახსოვს მისი, როგორც "სამთავრობო" არხის საქმიანობა შევარდნაძის ხელისუფლების ბოლო ათწლედში, ის შელახული რეპუტაცია, რომელიც დღემდე განაპირობებს მისდამი უნდობლობას (სხვათა შორის, იგივე დაემართა გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკას", რომელსაც პროფესიონალთა ძლიერი გუნდი ჰყავს და ადრინდელიდან სრულიად განსხვავებულ პრინციპებს მისდევს, მაგრამ ჯერჯერობით მაინც ვერ ახერხებს სათანადო რეიტინგის მოპოვებას). არხისადმი ნდობის გაძლიერებას ასევე ნამდვილად არ უწყობდა ხელს იქ გატარებული საკმაოდ ხმაურიანი და სკანდალური რეფორმები, სადაც აშკარად გამოიკვეთა უკვე დღევანდელი ხელისუფლების ინტერესები. ეს ინტერესები დროდადრო ახლაც ნათელი ხდება საზოგადოებისთვის და განამტკიცებს მის ძველ განწყობას. სერიოზული პრობლემაა მაუწყებლობის ინტეგრაციული ფუნქციის გაძლიერება, რასაც ყველა ქვეყანაში, სადაც კი იგი არსებობს, უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი თითქოს ითვალისწინებს მრავალრიცხოვანი სოციალური თუ ეთნიკური ჯგუფების ინტერესებს, მაგრამ რამდენად ახერხებს იგი მათ გაერთიანებას? ანდა მოძებნილია თუ არა ძირითადი ღირებულებები, რის გარშემოც უნდა მოხდეს ეს გაერთიანება?

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ჯერ კიდევ ფორმირების, ძიების პროცესშია. მისი ეთერი თანდათან ივსება ახალი ტელეპროექტებით, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს საზოგადოების აზროვნებას, გემოვნებას და ა.შ. თუმცა, რამდენადაც ტელევიზია ახდენს გავლენას ხსენებულ ფაქტორებზე, იმდენად თავად ეს ფაქტორები განსაზღვრავენ მის ხასიათსა და შინაარსობრივ თავისუფლებას. ამ თავისუფლების ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ უფრო მეტად მონაწილეობს ტელეპროდუქციის შექმნაში — საზოგადოება, რომელსაც თავისი ინტერესები და მოთხოვნები გააჩნია, თუ ხელისუფლება, ვისი მიზანიც საზოგადოების მართვაა. აქ უნდა გადაწყდეს —

იქნება ის “ხელისუფლების მიერ შექმნილი” საზოგადოებრივი მაუწყებელი, თუ მაუწყებლობა საზოგადოებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Медиа. м., 2005, с. 287
2. მედიასთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტების კრებული. თბ., 2004, გვ. 112, 113
3. გამოხატვის თავისუფლების საერთაშორისო სტანდარტები. თბ., 2004, გვ. 88
4. მედიასთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 136, 138
5. გაზ. “რეზონანსი”, 2006, 02.03, გვ. 5
6. იქვე, გვ. 5
7. მედიასთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 147
8. იქვე, გვ. 117
9. იქვე, გვ. 118
10. იქვე, გვ. 121
11. Д. Уэйн. Ответственность перед обществом. ,,40 мнений о телевидении." М., 1978, с. 30
12. Медиа. м., 2005, с. 292
13. მედიასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების კრებული, გვ. 149

ელდარ იბერი

საზოგადოებრივი მაუწყებელი – მაუწყებლობა საზოგადოებისათვის

რეზიუმე

სტატიაში განხილულია ის ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა საქართველოში საზოგადოებრივი მაუწყებლობის ჩამოყალიბება, კერძოდ, ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესები და ევროსაბჭოს მოთხოვნა სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის თაობაზე. ეს გარდაქმნა შეესაბამება ევროპული ტელერადიომაუწყებლობის განვითარების თანამედროვე ტენდენციებს და განსაზღვრულია ამ სფეროში ევროსაბჭოს მიერ მიღებული ფუნდამენტური დოკუმენტებით.

აქედან გამომდინარე, სტატიაში მიმოხილულია ის ორგანიზაციული ღონისძიებანი, რომელიც თან ახლდა 2004 წლის ბოლოს ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბებას, აგრეთვე გაანალიზებულია ევროსაბჭოს დოკუმენტებში მოცემული სავალდებულო სტანდარტები, რომლებიც საფუძვლად დაედო საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობას და სამაუწყებლო პოლიტიკას. როგორც ბოლო წლების დაკვირვება გვიჩვენებს, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი ჯერ კიდევ ფორმირების პროცესშია — იგი ძირითადად აკმაყოფილებს ამ სტრუქტურისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, მაგრამ ხშირად ვერ ახერხებს მათ სათანადო დონეზე განხორციელებას და რეიტინგით აშკარად ჩამოუვარდება კომერციულ სტრუქტურებს.

სტატიაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება გარკვეულწილად ხელს შეუწყობდა არსებული ხარვეზების გამოსწორებას და დაეხმარებოდა საზოგადოებრივ მაუწყებელს თავისი ფუნქციების შესრულებაში.

Eldar Iberi

Public Broadcasting of Broadcasting for Public

Abstract

The article discusses the factors which determined the formation of public broadcasting in Georgia, in particular the democratic processes in the country and the demand of the European Council to transform state television and radio broadcasting into public broadcasting. This transformation conforms with the modern tendencies of the development of European TV broadcasting and is determined by the fundamental documents passed by the European Council in this field .

Consequently, the article reviews the organizational events which accompanied the formation of the new social structure at the end of 2004. It also analyses the mandatory standards given in the documents of European Council, which became the basis for the work and broadcasting policy of Georgian Public Broadcasting . As shown by recent observations, Georgian Public Broadcasting is still undergoing the development process-It mainly satisfies the demands for this structure but often fails to implement them with high standards and is behind the commercial structures from the point of view of ratings.

If the critical notes and recommendations expressed in the article were taken into consideration, it would facilitate the correction of existing shortcomings to a certain degree and would help The Public Broadcasting fulfill its functions.

ვასილ კაჭარავა

1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში

1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ერთმანეთს კვლავ ტრადიციული მეტოქეები — რესპუბლიკელები და დემოკრატები დაუპირისპირდნენ.

თუმცა დემოკრატიულ პარტიას უკვე ჰყავდა გამოკვეთილი ლიდერი — პრეზიდენტი ჯიმი კარტერი, მაგრამ დემოკრატთა ბანაკიდან საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთო სენატორი მასაჩუსეტსიდან ედვარდ კენედი, რომელიც კარტერს მემარცხენე პოზიციებიდან უტევდა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი ფედერალური დახმარების პროგრამების გაზრდას მოითხოვდა. მით უმეტეს, რომ 1979 წლის ნოემბრისთვის კარტერის პოპულარობა მინიმუმამდე – 29 პროცენტამდე დაეცა. თავად დემოკრატიულ პარტიაში ჩატარებული გამოკითხვით კი კენედის მომხრეთა რაოდენობის შეფარდება კარტერის მხარდამჭერებთან ორი ერთთან იყო.[1]

მაგრამ კენედის კვლავ გაურთულა მდგომარეობა 1969 წლის ჩაპაკუიდიკის ინცინდენტმა, როდესაც მისი მანქანა ხიდიდან წყალში გადავარდა და შიგნით მყოფი ქლაბატონი, მერი ჯო კაპეჩნე დაიხრჩო. კენედიმ მეორე დღემდე არ შეატყობინა პოლიციას ეს ამბავი, სანამ თავის მრჩევლებთან ერთად არ განიხილა აქედან გამომდინარე რისკები. ამ ყველაფერზე დამაჯერებელ პასუხს იგი ვერც 1980 წელს სცემდა ჟურნალისტებს.

სხვასთან ერთად, ედვარდ კენედის პრობლემა შეუქმნა ამერიკელი დიპლომატების მძევლად აყვანამაც. ნიუ-იორკ თაიმსისადმი მიცემულ ინტერვიუში კენედიმ ამერიკის ერთგული მოკავშირის, შაჰის რეჟიმს კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დანაშაულებრივი უწოდა. [2] რაც მართალი კი იყო, მაგრამ მაშინდელ ვითარებაში ირანელი ექსტრემისტების წახალისებას უფრო ჰგავდა.

დემოკრატიული პარტიისკონვენტის პირველ დღეს კენედის 40-წუთიანი ოვაცია მოუწყვეს, მაგრამ კარტერს კონვენტზე გაცილებით მეტი მომხრე ჰყავდა და სწორედ იგი წამოაყენეს პრეზიდენტობის კანდიდატად.

სამაგიეროდ რონალდ რეიგანს არავითარი პრობლემები არ ჰქონია 14 ივლისს დეტროიტში გახსნილ რესპუბლიკური პარტიის კონვენტზე. ამერიკელი მკვლევარი ჯულეს ვითქოვერი საკმაოდ მახვილგონივრულად ამ მოვლენას კონვენტს, კი არა რეიგანის მეფედ კურთხევად ნათლავდა. [3] თუმცა მანამადე რეიგანის ასაკის გამო ბევრს უნდოდა საკუთარი თავის წამოყენება პრეზიდენტობის კანდიდატათ, რეიგანი ხომ 1980 წელს 69 წლის გახდა. ამის თაობაზე იგი ნახევრად ხუმრობით იხსენებდა, რომ ჯუზეპე ვერდიმ ოპერა ,,ფალსტაფი'' ოთხმოცი წლის ასაკში დაწერა, ხოლო ანტონიო სტრადივარიუსმა საუკეთესო ვიოლინოების კეთება სამოცი წლის შემდეგ დაიწყო და 91 წლის ასაკამდე სიკვდილამდე აკეთებდა მათ.

22 აპრილისთვის რეიგანის ყველა კონკურენტი, ბუშის გარდა, ჩამოცილდა არჩევნებს. ამდენად კონვენტზე მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი საკითხი დარჩა განსახილველი. ეს იყო ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატის შერჩევა და პარტიის პოლიტიკური პლატფორმის შემუშვება.

ვიცე-პრესიდენტობის მრავალ კანდიდატს შორის სამი იყო ყველაზე რეალური: ჯორჯ ბუში, რომელიც რეიგანს იმთავითვე არ მოსწონდა. ,,მე ამ კაცს ქვეყანას ვერ ვანდობო'' ამბობდა იგი. თუმცა შემდგომში, ბუშთან რვა- წლიანი თანამშრომლობის შემდეგ, თავის ავტობიოგრაფიაში აღნიშნა, რომ პიროვნულად ყოველთვის მოსწონდა იგი, მისი შესაძლებლობები და გამოცდილება.[4]

მეორე სავარაუდო კანდიდატი იყო რეიგანის საუკეთესო მეგობარი კონგრესში სენატორი პოლ ლექსალტი ნევადიდან, მაგრამ ნევადა იმდენად უმნიშვნელო შტატი იყო, რომ ბევრ ხმას ვერ მოუტანატა. მესამე ვარიანტი იყო ყოფილი პრეზიდენტი და, სხვათა შორის, ვიცე-პრეზიდენტიც, ჯერლად ფორდი რომელიც უამრავ ხმას მოიტანდა და ბევრი ამ წყვილს ,,საოცნებო გამსვლელ ბილეთსაც'' უწოდებდა. მაგრამ მალევე გამოირკვა, რომ ფორდი არ აპირებდა პასიურ ვიცე-პრეზიდენტობას და საგარეო საქმეებში აქტიური როლის თამაში სურდა. საუბარი თავისებურ თანაპრეზიდენტობაზეც კი დაიწყეს, რასაც ვერც რეიგანი და, ალბათ, არც ამომრჩეველი მიიღებდა. ასე რომ, საბოლოოდ ბუშის კანდიდატურამ გაიმარჯვა.

რასაკვირველია, ძალზე მნიშვნელოვანი იყო პარტიების პოლიტიკური პლატფორმებიც, რომლებიც, ტრადიციულად, საკმაოდ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. 1980 წლის 15 ივლისს გამოქვეყნებულ პლატფორმაში რესპუბლიკელები კვლავ დეცენტრალიზაციის, დაბალი გადასახადების, და ფედერალური ადმინისტრაციის შემცირების მომხრენი იყვნენ. გარდა ამისა, მოითხოვდნენ უზარამაზარი ფედერალური პროგრამების შეკვეცას, ვინაიდან იქ უამრავი ზედმეტი თანხა იხარჯებოდა. მით უმეტეს, რომ, როგორც ისინი თვლიდნენ დემოკრატთა წყალობით ქვეყანა აგონიისკენ მიემართებოდა და თავისი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე მძიმე პერიოდს განიცდიდა, რაც, სხვასთან ერთად, ინფლაციის უმაღლესი დონითა და 8 მილიონი უმუშევრითაც იყო განპირობებული. რესპუბლიკელთა აზრით, დემოკრატებმა საერთაშორისო ასპარეზზეც თითქმის ყველგან დათმეს პოზიციები და მსოფლიოში კომუნიზმის აღზევებას ვერაფერი დაუპირისპირეს.[5]

დემოკრატები კი, რესპუბლიკელებისგან განსხვავებით, ჩვეულებისამებრ. უარყოფდნენ კონსტიტუციაში შესწორების მიღებას აუცილებელი დაბალანსებული ბიუჯეტის შესახებ. ისინი ამაყობდნენ, რომ ტრადიციული დემოკრატიული პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად გაზარდეს ხარჯები

სხვადასხვა ფედერალურ პროგრამაზე, მათ შორის, განათლებაზე 75 პროცენტით, საწვრთნელ პროგრამებზე უმუშევართათვის 115 პროცენტით, მედიქეირისთვის 54 პროცენტით, ქალთა, ჩვილ ბავშვთა და ბავშვთა დახმარების პროგრამისთვის 300 პროცენტით და. ა.შ.

ძალზე საინტერესო იყო არსებული მდგომარეობის დემოკრატთა შეფასებაც. ისინიც ვერ უარყოფდნენ, რომ ქვეყანაში საკმაოდ მძიმე ვითარება იყო, მაგრამ მათი აზრით, სწორედ რესპუბლიკელი ნიქსონისა და ფორდის 8- წლიანმა მმართველობამ დაასუსტა და დაანაწევრა ერი. ისინი თვლიდნენ, რომ ინფლაცია, უმუშევრობა, ნავთობზე მაღალი ფასები, მოქალაქეთა უთანასწორობა და მტრული იდეოლოგიის წარმატება საერთაშორისო არენაზე სწორედ რესპუბლიკელთა საქმიანობის შედეგი იყო. თუმცა ბოლოს ასკვნიდნენ, რომ კარტერის მმართველობის ოთხი წლის მანძილზე ერმა მაინც დიდი პროგრესი განიცადაო. [6] ალბათ, ეს პოლიტიკური დემაგოგიის და ყველაფრის სხვაზე გადაბრალების ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია.

არჩევნების პერიოდში, საკუთარი პროგრამის დასასაბუთებლად, რეიგანი ხშირად საკმაოდ უაპელაციო და სწორხაზოვან განცხადებებს აკეთებდა, ზოგჯერ კი დაუზუსტებელ ფაქტებსაც ასახელებდა, რითაც ძალზე აშინებდა მისი კამპანიის ორგანიზატორებს. მსგავსი კურიოზების თავიდან ასაცილებლად კამპანიის მენეჯერებმა მოიწვიეს რეიგანის წინა საარჩევნო კამპანიების ცნობილი კონსულტანტი სტუარტ სპენსერი, რომელმაც საკმაოდ წარმატებულად დარეგულირა ეს საკითხი და რეიგანს თავი შეაკავებინა განსაკუთრებით ოდიოზური გამოთქმებისგან. [7]

განზოგადების მიზნით რეიგანი გამუდმებითერთ რომელიმე სერიოზულ დარღვევაზე საუბრობდა, როდესაც, მაგალითად, ცალკეული პირი სახელმწიფო დახმარების პროგრამებში მომხდარი შეცდომების წყალობით ასეულ ათასობით დოლარს იღებდა. ისიც უთქვამს, რომ მუშის პროფესიული მომზადების ფედერალური ხარჯი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლების ხარჯის ტოლიაო. მართალია, ამ თავისებურ ,,საშინელებათა ისტორიებს'' მეტი დასაბუთება სჭირდებოდა, მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ რეიგანი საკმაოდ კარგად აღწევდა მიზანს.

რეიგანი ამომრჩეველს ,,პასტელურ ფერებში'' არსებული, კომპრომისობითა და გაურკვევლობით აღსავსე პოლიტიკის უფრო ,,მკვეთრი ფერებით'' შეცვლისკენ მოუწოდებდა. [8].კერძოდ კი, გადასახადების 30 პროცენტით შემცირებას აპირებდა (ე.წ. მარაგის მომხრე ეკონომიკა) და, ამავე დროს, თავდაცვზე უდიდეს ფედერალურ ხარჯებს მოითხოვდა, რაც, რასაკვირველია, ვერ უზრუნველყოფდა რესპუბლიკელთა მიერ დაანანოსებულ დაბალანსებულ ბიუჯეტს. ამას თავად რესპუბლიკელი ბუშიც კი ვუდუს ეკონომიკას უწოდებდა.

თავის მხრივ, კარტერიც ცდილობდა გამოეყენებინა რეიგანის ზოგიერთი რადიკალური გამოთქმა, ზოგჯერ კი აშკარად აგრესიული პოლიტიკის მხარდამჭერი განცხადებები და მისგან მონსტრის სახე შეექმნა, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ქვეყნისთვის მეტად სახიფათო პოლიტიკას წარმართავდა. კარტერი მას უბრალოდ უგულო, საგარეო პოლიტიკაში გამოუცდელ, სახიფათო ომის კაცად სახავდა. მაგრამ, როგორც ჩანს, მეტისმეტი მოუვიდა. 6 ოქტომბერს ჩიკაგოში გამოსვლისას მან პირდაპირ გამოაცხადა, რომ ამომრჩეველთა ნებაზეა დამოკიდებული მილიონობით ადამიანის სიცოცხლე თავად ამერიკაში და მთელ მსოფლიოშიც —,,მე თუ წავაგე ეს არჩევნები ამერიკა შეიძლება დაიყოს თეთრკანიანებად და შავკანიანებად, ებრაელებად და ქრისტიანებად, ჩრდილოეთად და სამხრეთად, აგრარულად და ურბანულად''. აქ კი რეიგანმა იმარჯვა და სათავისოდ გამოიყენა პრეზიდენტის ეს არცთუ ბრძნული სიტყვები. მან წუხილი გამოთქვა, რომ ასეთი თანამდებობის ადამიანს ასეთის თქმა შეეძლო. —,,მე პირადად არ ვთხოვ მას ბოდიშის მოხდას, მაგრამ ქვეყანას კი ვალდებულია ბოდიში მოუხადოსო,'' [9]

ყველაზე მკვეთრად და შედეგიანად კარტერისა და რეიგანის დაპირისპირება 28 ოქტომბერს გამართულ ტელედებატების დროს გამოიკვეთა. მართალია, პარტიების პოლიტიკური პლატფორმა სერიოზული დოკუმენტია, მაგრამ მის გრძელ და ვრცელ ტექსტს არცთუ ბევრი კითხულობდა, როდესაც ტელედებატებს თითქმის ყველა ამერიკელი უყურებდა და, 1960 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანწილად სწორედ მათ საფუძველზე იღებდა გადაწყვეტილებას.

1980-იანი წლებისთვის ამერიკელთა სახლების 91 პროცენტში მინიმუმ ერთი ტელევიზორი მაინც იყო და, ზოგიერთი გამოთვლით ზრდასრული ამერიკელი დღეში 7 საათს ატარებდა ეკრანთან. [10] ეს ტელედებატები კი ათწლეულის ყველაზე რეიტინგული გადაცემა აღმოჩნდა.

ამ არჩევნებში კარტერი სხვადასხვა მიზეზით თავს არიდებდა ასეთ დებატებს, მაგრამ, საბოლოოდ, რეიგანის ჯგუფი, რომელსაც უფრო მეტად სჭირდებოდა ეს დებატები კარტერის ყველა პირობას დაეთანხმა და მას უკან დასახევი გზა მოუჭრა.

დებატების დასაწყისში კარტერი უტევდა, რეიგანი კი თითქოს თავდაცვით ტაქტიკას იყენებდა, მაგრამ, გარკვეულ მომენტში, რეიგანმა ერთი ფრაზით წყალში ჩაუყარა ძალისხმევა, როდესაც კარტერის ბრალდებებზე ღიმილითა და სინანულით უპასუხა, ,,თქვენ მაინც არ იშლით თქვენსას''. მაყურებელს შთაბეჭდილება დარჩა, რომ კარტერი მართლაც არაფერი ახლის მთქმელი არ იყო და ჯიუტად იმეორებდა თავის მცდარ მოსაზრებებს და, რაც მთავარია, უაპელაციოდ იცავდა თავის მცდარ ნამოქმედარს.

დისკუსიის მნიშვნელოვანი თემა იყო ამერიკის თავდაცვისუნარიანობა და რეიგანმა ციფრებით მანიპულირაბაში ამხილა კარტერი, რომელიც რესპუბლიკელთა 8-წლიან მმართველობას ადანაშაულებდა სამხედრო ხარჯების შემცირებაში. რეიგანმა შეახსენა მსმენელს, რომ მაშინ ამერიკამ დაასრულა ომი ვიეტნამში და ამის შემდეგ, ბუნებრივია, სამხედრო ხარჯებსაც შეამცირებდა. მან ისიც გაიხსენა, რომ ამ წლებში კონგრესში უმრავლესობა დემოკრატებს ჰქონდათ, რომლებიც ბლოკავდნენ რეპუბლიკელ პრეზიდენტთა ინიციატივებს, მათ შორის ამ სფეროშიც. რაც შეეხება თავად კარტერსო, მან 38 პროცენტით

შეამცირა ჯერალდ ფორდის სამხედრო განვითარების 5-წლიანი გეგმა, შეაჩერა 60 სამხედრო ხომალდის მშენებლობა, გააუქმა ბობდამშენების ბ-1 მშენებლობის პროექტი, დააყოვნა მფრინავი რაკეტების პროექტი, შეაჩერა მინიტმენის კლასის რაკეტების წარმოების ხაზის აწყობა და აშ. [11]

განიხილებოდა აგრეთვე ირანის საკითხი და ხელშეკრულება წყალბადის იარაღის გავრცელების თაობაზე. კარტერი რეიგანს უპასუხისგებლო ,,ქორობას'' სწამებდა. მაგრამ აქ ერთი საბედისწერო და ალბათ სულელური შეცდომა დაუშავა. მან განაცხადა, რომ თავის 12 წლის ქალიშვილს ემის ჰკითხა, თუ რა იყო ქვეყნისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი და ბავშვმა უპასუხა — ,,წყალბადის იარაღის კონტროლიო''. რაც ამერიკელებს საკმაოდ არასერიოზულად მოეჩვენათ და მათში სულაც არ გამოიწვია სენტიმენტალური ემოციები, რასაც ალბათ, კარტერი ელოდა. შემდეგ ბევრს ხუმრობდნენ ამის თაობაზე — თუ რაიმე სერიოზული კითხვა გაგიჩნდებათ, ემის ჰკითხეთო. ბუნებრივია, ასეთ შანსს არც რეიგანი გაუშვებდა ხელიდან და დებატების შემდგომ დღეებში მანაც აღნიშნა, ,,კარტერმა ჩვენ გული აგვიჩუყა, მაგრამ მეც მახსოვს, როცა პატი და რონი (მისი შვილები) პატარები იყვნენ ჩვენც ხშირად ვსაუბრობდით წყალბადის ენერგეტიკაზეო". [12]

ეკონომიკურ საკითხებზე საუბრისას დებატების მედიატორმა აღნიშნა, რომ კარტერის ხელისუფლებაში მოსვლის დროს სამომხმარებლო ფასების ინდექსი 4,8 % იყო, 1980 წელს კი, უკვე 12 %. უფრო ფართო გაგებით ინფლაციამ 7-დან 9 პროცენტამდე იმატაო. თანაც ისიც შეახსენა მაყურებლებს, რომ კარტერის მიერ დაპირებული 9 მილიონი ახალი სამუშაო ადგილის ნაცვლად უმუშევრობის დონე ისევე, როგორც ინფლაციისა, ძალზე მაღალი იყო.

კარტერი შეეცადა ციფრების მანიპულირებით დაესაბუთებინა, რომ უკანასკნელ თვეებში ინფლაციამაც და უმუშევრობამაც ცოტა იკლო, მაგრამ აშკარად გაუჭირდა აუდიტორიის დარწმუნება.

სამაგიეროდ აქ რეიგანმა გაშალა ფრთები, გაუხსენა კარტერს ამერიკელთა გაკრიტიკება ინფლაციისა თუ უმუშევრობის გამო, როდესაც თავად ამერიკელებს მოუწოდებდა მეტი მომჭირნეობისა და მსხვერპლის გაღებისკენ. ,,ჩვენ ინფლაცია იმიტომ კი არ გვაქვს, რომ ხალხი ცხოვრობს მეტისმეტად კარგად, არამედ იმიტომ, რომ მთავრობა ცხოვრობს მეტისმეტად კარგადო'' — დაასკვნა მან. [13]

რეიგანმა ისიც დასძინა, რომ ასეთი ეკონომიკური პრობლემები მან ტრადიციული კონსერვატიული მეთოდებით გადაწყვიტა კალიფორნიაში, სადაც ინფლაცია მართლაც შედარებით მცირე იყო. მისი აზრით, ერთი მხრივ, საჭირო იყო სახელმწიფო ხარჯების შემცირება, მეორე მხრივ, კი გადასახადების შემცირების მეშვეობით ხალხისთვის მისი კუთვნილი ფულის დაბრუნება, რაც ეკონომიკას გამოაცოცხლებდა და სანუკვარი მიზნისკენ, დაბალანსებული ბიუჯეტისკენ, მიგვიყვანსო. იმასაც გაუსვა ხაზი, რომ უზარმაზარ ფედერალურ პროგრამებში უამრავი დარღვევა და დუბლირება იყო და ათობით მილიარდი დოლარი ამ უკონტროლო ხარჯებში უაზროდ გაქრა.

ბოლოს რეიგანმა უშუალოდ ტელემაყურებლებს მიმართა, — ,,უკეთ გრძნობთ თავს, ვიდრე ოთხი წლის წინ? უფრო ადვილია დღეს თქვენთვის მაღაზიაში წასვლა და რაიმეს ყიდვა, ვიდრე ოთხი წლის წინ იყო? დღეს უფრო მეტი თუ ნაკლები უმუშევრობაა, ვიდრე ოთხი წლის წინ? დღეს ისევე სცემენ ამერიკას პატივს მსოფლიოში, როგორც ადრე? გრძნობთ თუ არა, რომ ჩვენ უფრო დაცულები ვართ დღეს და ისევე ძლიერნი ვართ, როგორც ოთხი წლის წინ? თუ თქვენი პასუხები ამ შეკითხვებზე დადებითია მაშინ ნათელია ვის სასარგებლოდ გააკეთებთ არჩევანს. თუ თქვენ არ დაეთანხმებით ამას და არ მოგწონთ იგივეს ხილვა მომავალი ოთხი წლის მანძილზე, მაშინ მე თქვენ სხვა არჩევანს გთავაზობთ, რომელიც ასევე თქვენს ხელთ არის''.

ხოლო კარტერის საპასუხოდ, რომელიც თავის საპრეზიდენტო გამოცდილებაზე მიუთითებდა, განაცხდა — ,,მართალია პრეზიდენტობის გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ კარგა ხანი ვიყავი ყველაზე მრავალრიცხოვანი შტატის, კალიფორნიის გუბერნატორი. კალიფორნია რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ყოფილიყო, მისი ეკონომიკა მეშვიდე იქნებოდა მსოფლიოში და მეც მქონია მარტოობისა და გადაწყვეტილების მიღების მომენტებიო''. [14]

ამერიკელებს მარტივი კითხვა დაუსვეს და პასუხი აშკარად რეიგანის სასარგებლოდ გადაიხარა. ალბათ, ეს მარტივი და სრულიად ბუნებრივი კითხვა იყო მთავარი დარტყმა ამ ტელედებატებში, რომლის დროსაც რეიგანმა საბოლოოდ დაასამარა კარტერის იმედები გამარჯვებაზე.

როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი არჩევნებში საკმაოდ აქტიურად ჩაერთო რესპუბლიკელი კონგრესმენი ჯონ ბ. ანდერსენი, რომლისთვისაც რეიგანის პლატფორმა მეტისმეტად მემარჯვენე აღმოჩნდა. თავისებური მესამე პარტიის ვარიანტი გამოიკვეთა. ორივე პარტია, განსაკუთრებით კი დემოკრატიული, ღელავდა, რომ როგორც ყოველთვის, ეს მესამე პარტია რომელიმე ძირითადი პარტიის ხმების გარკვეულ რაოდენობას მიიტაცებდა.

საბოლოოდ, 4 ნოემბერის არჩევნები, რომელშიც მოსახლეობის მხოლოდ 52 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, კარტერისთვის მეტად სავალალოდ დასრულდა. რეიგანმა ხმების 51 % მიიღო, კარტერმა — მხოლოდ 41, ანდერსენმა კი 7. რეიგანმა 44 შტატში გაიმარჯვა, კარტერმა კი მხოლოდ 6-ში. ამრჩევთა კომისიის ხმებიც შესაბამისად გაიყო 489 – რეიგანს და 49 –კარტერს.

რეგიონების მიხედვით რეიგანმა კარტერს 5 პროცენტით აჯობა აღმოსავლეთის შტატებში, სამხრეთში — 8 პროცენტით, მიუხედავად იმისა, რომ კარტერი სამხრეთელი იყო, შუა დასავლეთში — 10 პროცენტით, ხოლო დასავლეთში საერთოდ 20 პროცენტით. New Your Timse-სა და CBS News –ის გამოკითხვის მიხედვით რეიგანის მომხრე ჯგუფები იყვნენ თეთრკანიანი მამაკაცები, კათოლიკეები და პროტესტანტები, დამოუკიდებლები და დემოკრატიული პარტიიდან წამოსული ადამიანები. 30 წელს გადაცილებული ამომრჩევლები, რომელთა შემოსავალი 15 ათას დოლარს აღემატებოდა და კარგი განათლება

ჰქონდათ მიღებული. უფრო დეტალურად, თეთრკანიანების მხარდაჭერა იყო 55 % 36-ის წინააღმდეგ, როცა შავკანიანებმა ძირითადად კარტერს დაუჭირეს მხარი — 82% 14-ის წინააღმდეგ. ესპანურენოვანი მოსახლეობის უმრავლესობამ ასევე კარტერს დაუჭირა მხარი — 54% 36-ის წინააღმდეგ. მამაკაცების უმრავლესობამ რეიგანს მისცა ხმა, 54 — 37-ის წინააღმდეგ. ქალების შეფარდება იყო 46-45-ის წინააღმდეგ. კათოლიკეები — 51- 41-ზე. პროტესტანტები — 56-37-ზე. ებრაელებმაც კი, რომლებიც ტრადიციულად დემოკრატიული პარტიის მხარდამჭერნი იყვნენ, რეიგანს ხმების 39 პროცენტი მისცეს, კარტერს — 45. დამოუკიდებლების შეფარდება იყო 50-34 რეიგანის სასარგებლოდ. აღსანიშნავია, რომ დემოკრატთა 26-მა პროცენტმა, ე.წ. რეიგანის დემოკრატებმა, რეიგანს მისცა ხმა. მხოლოდ 18-დან 21 წლამდე ჯგუფმა მიანიჭია უპირატესობა კარტერს და ისიც უმნიშვნელო 44% 43-ის წინააღმდეგ. 60 წელს გადაცილებულებმა რეიგანს დაუჭირეს მხარი 54%-40-ის წინააღმდეგ. რეიგანმა, ტრადიციულად, დემოკრატების მომხრე ლურჯი საყელოების მნიშვნელოვანი ნაწილიც მიიმხრო — უმნიშვნელო, მაგრამ მაინც უპირატესობით, 47% 46-ის წინააღმდეგ. პროფკავშირების წევრებმა, რომლებიც ტრადიციულად ასევე დემოკრატების მომხრეები იყვნენ, მხოლოდ უმნიშვნელო უმრავლესობით დაუჭირეს მხარი კარტერს 44% - 47-ის წინააღმდეგ.[15]

აღსანიშნავია, რომ 28 წლის შემდეგ რესპუბლიკელებმა პირველად მიაღწიეს უმრავლესობას სენატში. 53 რესპუბლიკელი 46 დემოკრატის წინააღმდეგ. თანაც, ახალი მემარჯვენეების წყალობით, სენატიდან ისეთი ცნობილი ლიბერალები მოაცილეს როგორც ჯორჯ მაგკოვერნი სამხრეთ დაკოტიდან, გეილორდ ნელსონი ვისკონსინიდან და ჯონ ქულვერი აიოვიდან.

ამ არჩევნების შედეგებზე დიდი გავლენა იქონია ე.წ. პოლიტიკური მოქმედების კომიტეტებმა (Political Action Committees PAC's), რომლებიც უხვად იზიდავდნენ და ხარჯავდნენ თანხებს მათთვის სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ ან მისი კონკურენტის წინააღმდეგ. ეს არჩევნებისთვის გამოყოფილი ფედერალური თანხების მიღმა ხდებოდა და, ამ მხრივ, რესპუბლიკელებს უდიდესი უპირატესობა აღმოაჩნდათ. 1980 წელს კორპორაციების და სხვადასხვა ბიზნესის მიერ შექმნილი რესპუბლიკელთა მომხრე 1226 ასეთი კომიტეტი, პროფკავშირთა მიერ შექმნილ 318 კომიტეტს დაუპირისპირდა. გარდა ამისა, ათიდან რვა ყველაზე დიდი დამხმარე კომიტეტი კონგრესის კანდიდატებისადმი კორპორაციების მიერ შექმნილი კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კომიტეტი იყო.[16]

ამ ჯგუფებს ხშირად ე.წ. ახალი მემარჯვენეები წარმოადგენდნენ, რომელნიც აბორტების, იარაღის კონტროლის, პოლიტიკური დათბობის, მრავალი სოციალური პროგრამის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. მათი წყალობით რეიგანმა თითქმის გააორმაგა ფედერალურ ხარჯებთან შედარებით კამპანიაში დახარჯული თანხები.

ეკონომიკურ სფეროში, არტურ ლაფერის თეორიის გარდა დიდი როლი ითამაშა კონსერვატორთა ახალმა მანიფესტმა, 1980 წელს გამოქვეყნებულმა ჯორჯ გილდერის წიგნმა *სიმდიდრე და სიღატაკე.* [17] ეს წიგნი სერიოზული შეტევა იყო კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორიაზე და მარაგის მომხრე ეკონომიკის აპოლოგიას წარმოადგენდა.

რეიგანის მიერ უმაღლესი სასამართლოს კრიტიკამ აბორტებისა და სკოლაში ლოცვის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ მისდამი ბევრი ევანგელესტი ქრისტიანის მხარდაჭერა განაპირობა. და საერთოდ, როგორც 1920-იანი წლების დასაწყისში, ამერიკაში კონსერვატიზმი კვლავ მოდაში იყო.

კარტერის ადმინისტრაციის წარუმატებლობამ უმძიმესი სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის პრობლემების გადაწყვეტის საქმეში მნიშვნელოვანწილად შეარყია ამერიკელთა რწმენა რუზველტისეული ,,ახალი კურსის'' მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ ეტატიზმის ეფექტიანობაზე და როდესაც რეიგანმა მათ საკმაოდ მყიფე, მაგრამ გარეგნულად ეფექტური, ტრადიციულ ამერიკულ ფასეულობებთან შეზავებული კონსერვატიული რევოლუციის მოდელი შესთავაზა, მათ მიიღეს ეს გამოწვევა და რეიგანის დაპირებებს მისცეს ხმა.

დიდი როლი ითამაშათავად რეიგანის ქარიზმატულობამ, რომელსაც კარტერმა ვერაფერი დაუპირისპირა. თავისი დაღი დაასვა არჩევნებს კარტერის ადმინისტრაციის უსუსურობამაც ირანში დატყვევებული ამერიკელი დიპლომატების დახსნის საქმეშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Jules Witcover, *Election of 1980*, in *History of American Elections 1789-2001,* Volume X, 1972-1984, Editor Arthur M. Schlesinger Jr., Chelsea House Publishers, Philadelphia, 2002, p. 4069.
2. Paul F. Boller, Jr., *Presidential Campaigns*, Oxford University Press, N.Y., Oxford, 1996, p. 355.
3. Jules Witcover, Op.Cit., p.4079.
4. Ronald Reagan, *American Life, The Autobiography,* Pocket Books, N.Y., London, 1992, p.216.
5. Republican Party Platforms: Republican Party Platform of 1980, http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=25844№axzz1RfqbCcBp
6. Democratic Party Platforms: Democratic Party Platform of 1980, http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=29607№axzz1RfqbCcBp
7. Jules Witcover, Op. Cit., p. 4081.

8. Presidential Elections 1789-2000, C Q Press, A Division of Congressional Quarterly Inc. Washington D.C., 2002, p.75.
9. Jules Witcover, Op. Cit., p. 4084.
10. Haynes Johnson, *Sleepwalking Through History , America in the Reagan Years,* W.W. Norton and Company, N.Y., London, 1991, p.32.
11. Presidential Debate in Cleveland, October 28, 1980 http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=29408№axzz1jcSacneu
12. Paul F. Boller, Jr., Op. Cit., p.367.
13. Presidential Debate in Cleveland, October 28, 1980 http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=29408№axzz1jcSacneu
14. http://www.presidency.ucsb.edu/ws/index.php?pid=29408№axzz1RHqlpPd0
15. Jules Witcover, Op. Cit., p. 4087.
16. Ibidem.
17. იხ. George Gilder, *Wealth and Poverty*, Basic Books, N.Y.,1980.

ვასილ კაჭარავა

1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნები ამერიკაში

რეზიუმე

სტატიაში განხილულია 1980 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ერთმანეთს ჯიმი კარტერი და რონალდ რეიგანი დაუპირისპირდნენ. არის მცდელობა გაანალიზდეს კონკურენტთა პირადი ძლიერი და სუსტი მხარეები და,რაც მთავარია, მათ შორის არსებული იდეოლოგიური განსხვავება.

Vasil Kacharava

American Presidential Election 0f 1980

Abstract

Paper describes main events of presidential competition between Jimmy Carter and Ronald Reagan. The author tries to make analisyses of strong and weak sides of competitors, and what is most important, their ideological difference.

ნათუნა კაჭარავა

ცხოვრების ჭეშმარიტი მემატიანე

ფოტოგრაფიის ისტორია, აღმოჩენების, უარყოფის და უარყოფილისკენ მიბრუნების ისტორიაა. ადამიანთა განუწყვეტელი ძიებაა ხელოვნების ამ ტექნიკური დარგის სპეციფიკისა და ესთეტიკის განსაზღვრისთვის, მისი უფრო მაღალ საფეხურზე აყვანისათვის, მისი ადგილის დამკვიდრებისათვის ხელოვნების სხვა ტრადიციულ დარგთა გვერდით.

,,ფოტოგრაფია ბრწყინვალე გამოგონებაა,-წერდა ფრანგი შუქმწერი, ფოტოგრაფიის ტიციანი ნადარი (1820-1910), - მისი თეორიის შესასწავლად საკმარისია ერთი საათი, ტექნიკის საფუძვლების ასათვისებლად — ერთი დღე, მაგრამ რისი სწავლებაც არ შეიძლება — ეს სინათლის შეგრძნებაა, მხატვრული შეფასების უნარი იმისა, თუ როგორ ეცემა შუქი გადასაღებ სახეს.“

ამავე დროს ფოტოგრაფია მედიის უმნიშვნელოვანესი ნაწილია, რომელიც ცხოვრებისეული რეალობის ყველაზე დამაჯერებელ სურათებს გვაწვდის, ,,ფოტოგრაფია — ეს მეტად პატიოსანი და უკომპრომისო გამომსახველობითი საშუალებაა, რათა ცხოვრების ზედაპირული და უმნიშვნელო მხარეები დააფიქსირო,” — აღნიშნავდა ცნობილი ამერიკელი ავანგარდისტი ფოტოფრაფი ედვარდ უესტონი.

ფოტოგრაფიის გამოგონების თარიღად 1839 წელი მიიჩნევა, როდესაც აკადემიკოსმა დომენიკ ფრანსუა არაგომ საფრანგეთის აკადემიის სხდომას გააცნო ლუი ჟაკ მანდე დაგერის და ჟოსეფ ნიეფორ ნიეპსის ერთობლივი გამოგონება ,,კამერა-ობსკურაში ვერცხლის ფირფიტაზე სინათლის სხივის მეშვეობით, მყარი გამოსახულების მიღების შესახებ.“

საქართველოში ფოტოგრაფია გამოგონებიდან ძალიან მალე, 1840-იან წლებიდან შემოვიდა. 1850 წელს კი თბილისში უკვე დაგეროტიპიის რამდენიმე ოსტატი იყო. მაშინ მოსახლეობისთვის ფოტოგრაფიის შესახებ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, ტექნოლოგიური ბაზაც არ იყო ძლიერი და თბილისში რამდენიმე დაგეროტიპი არსებობდა. პრესის საშუალებით ინფორმაცია გავრცელდა, რომ თბილისში ოსტატი ვერნერი ჩამოვიდა, რომელიც 1 წუთში ადამიანის ზუსტ პორტრეტებს ქმნიდა. თავიდან ხალხი გაოცებული იყო, მითქმა-მოთქმა გაჩაღდა, თითქოს ის მაგიის მიმდევარი ჯადოქარი იყო, თუმცა ქალაქის განვითარების აღებული კურსის და ტემპის წყალობით ეს სიახლე ადვილად დაინერგა. ისევე როგორც მთელმა მსოფლიომ, საქართველომაც სწრაფად აიტაცა “მაცდური” სიახლე. თუ ადრე, ფოტოგრაფიის გამოგონებამდე, ადამიანებს დიდძალი ფული და დრო უნდა დაეხარჯათ, მხატვრისთვის თავიანთი პორტრეტის შესაკვეთად, ახლა მხოლოდ საგანგებოდ ჩაცმა, მოწესრიგება და ფოტოატელიეში წასვლა იყო საჭირო. ჯერ კიდევ ბევრ ოჯახშია შემონახული მონაფრისფრო მოყავისფრო მუყაოს ქაღალდზე დაბეჭდილი ოჯახური ფოტოები, რომლებიც პოსტ-დაგეროტიპულ პერიოდში, 1870-იან წლებში თბილისში, ქუთაისში და ბათუმში პროფესიულ ფოტო-სახელოსნოებშია გადაღებული. აქ ფოტოგრაფიის ოსტატები მუშაობდნენ – ასე უწოდებდნენ მაშინ ფოტოგრაფებს.

საინტერესო და გასაკვირია, რომ საქართველოში ფოტოგრაფიას არ ჰყოლია მოწინააღმდეგეები, ეს სიახლე ყველამ დიდი სიხარულით და ენთუზიაზმით მიიღო, 1880-იანი წლების დასაწყისში ალექსანდრე როინაშვილის და სხვა ოსტატების სახელოსნოებთან სურათის გადაღების მსურველთა რიგი იდგა.

ალექსანდრე როინაშვილი (1846-1898) დუშეთში, ინჟამად რუსეთის იმპერიაში დაიბადა. მან ფოტოგადაღების კლასები თ. ხლამოვის სტუდიაში, ტფილისში გაიარა. ფოტოკარიერა 1865 წელს ტფილისში დაიწყო, სადაც მალევე საკუთარი სტუდია გახსნა. როინაშვილი ქართულ ეროვნულ მოძრაობასთან დაახლოვებული პირი იყო და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტურ აღრიცხვაში დიდი წვლილი შეიტანა. მისი ორგანიზებით ფოტოგრაფიის მობილური მუზეუმი შეიქმნა, რომელმაც კავკასიის და რუსეთის მრავალი ქალაქი მოიარა.

ალექსანდრე როინაშვილმა 1875 წელს თბილისში სასახლის ქუჩაზე საკუთარი ფოტოსახელოსნო გახსნა და დიდი ენთუზიაზმით შეუდგა მუშაობას. სტუდიური შეკვეთების გარდა როინაშვილი აქტიურად იღებდა ცნობილი თუ უცნობი ადამიანების პორტრეტებს, ასევე ფირზე ასახავდა ქალაქის უბრალო მოსახლეობის ყოფას განურჩევლად მათი ეროვნებისა და საქმიანობისა. მონაწილეობას ღებულობდა მთელ მსოფლიოში გამართულ გამოფენებში და არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. აბანოს სერია ფოტოგრაფმა 1880-იან წლებში გადაიღო. იგი მიზნად ისახავდა მაშინ უკვე გადაგვარების პირას მდგარი თბილისური აბანოს ტრადიციის ფირზე დაფიქსირებას და მომავალი თაობებისათვის შენახვას, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროში ფოტოგრაფიის ოსტატებს უკვე კარგად ესმოდათ, თუ რა მომავალი ელოდა ხელოვნების და მეცნიერების ამ ახალ დარგს. აბანოს სერია როინაშვილის შემოქმედებაში გამოირჩევა აქტუალურობით, იმ დროისათვის არსებული კრიტერიუმებით მხატვრული და ტექნიკური სრულყოფილებით, რადგან ძალიან რთული იყო სახელოსნოს გარეთ გადაღება, მითუმეტეს ისეთ ცუდ განათებაში, როგორიც ძველი თბილისის აბანოებში იყო. თუმცა ყველაფრის მიუხედავად, როინაშვილმა შეძლო და თავი გაართვა ყველა ამოცანას. ამ ფოტოებში იგრძნობა ძველი თბილისის ყოფითი ატმოსფერო, ბოლომდეა გადმოცემული პერსონალის პროფესიის, ამ შემთხვევაში – მექისეს ხასიათი, ფოტოსერიაში არის ის დინამიკა, რაც უნდა ახასიათებდეს რეპორტაჟს და ჟანრულ ფოტოს. როინაშვილს შექმნილი აქვს პორტრეტების სერია, რომელიც დღეს დოკუმენტალისტიკაში პირობითად ,,მრავალეროვანი საქართველოს“ სათაურით მოიხსენიება. მთლიანი სერია ათეულობით ნეგატივს მოიცავს. ქართველი ქალის პორტრეტი, სომეხი მონაზონი, ჩინელები, ოთხივე მათგანი გადაღებულია 1880-იან წლებში, ფოტოგრაფის პავილიონში, სადაც ის მუშაობ-

და 20 წლის განმავლობაში. იმის გამო, რომ მეცნიერული მასალა საკმაოდ მწირი იყო, საქართველოში მოღვაწე ფოტოგრაფებს თვითონ უხდებოდათ თავისი მხატვრული ორიენტირის გაფართოება თუ ტექნიკური ცოდნის დახვეწა. რა თქმა უნდა, გამოცდილებასთან ერთად ეს ყველაფერი მოდიოდა. ამიტომაცაა, იმდროინდელი ფოტოგრაფია ბევრი რამით რომ წააგავს მხატვრობას, ეს განსაკუთრებით პორტრეტებს ეხება.

თბილისის ყველაზე დიდი ისტორიული ფოტოარქივი დაგვიტოვა ფოტოგრაფმა, ორიენტალისტმა, ეთნოგრაფმა დიმიტრი ერმაკოვმა (1846-1916).

ერმაკოვის მამა ლუდოვიკო კამბიაჯო საქართველოში მეფისნაცვალ ვორონცოვთან ერთად ჩამოვიდა. ახალგაზრდა ერმაკოვმა განათლება სამხედრო ტოპოგრაფიულ აკადემიაში მიიღო, რომელიც საქართველოს სამხედრო გზაზე მდებარეობდა და ახალგაზრდა ერმაკოვს ხშირად უხდებობა აქ ფოტოების გადაღება.

1866 წელს ერმაკოვი საკუთარი ფოტოატელიე თბილისში "დვორცოვაიას" ქუჩაზე გახსნა, სხვადასხვა ფოტოგრაფებისგან ნეგატივები შეიძინა და საკუთარი ნეგატივების ნაერთით კოლექცია შექმნა. რამდენიმე წელში ერმაკოვი "Société française de photographie" - (SFP) წევრი გახდა, ეს ევროპაში ფოტოგრაფთა ყველაზე პრესტიჟული ასოციაცია იყო.

ერმაკოვი 50 წლის განმავლობაში დაუღალავად მუშაობდა, ფირზე ასახავდა თბილისს, მის შემოგარენს, საქართველოს სხვადასხვა რეგიონს, მის კარტოთეკაში 30000-ზე მეტი ნეგატივი ინახებოდა. დღეს ეს მასალა თავმოყრილია რამდენიმე მუზეუმში და ფონდში და დაწვრილებით არც არის შესწავლილი. ერმაკოვის დამსახურება შეუფასებელია, მას ფოტოზე აქვს აღბეჭდილი თბილისის ხედები და პეიზაჟები ყველა მხრიდან, ყველა მიმართულებით, თითქმის ყველა შენობის ექსტერიერ-ინტერიერი და არქიტექტურული დეტალები, ქალაქის ყოფითი ცხოვრების ნიუანსები და ასევე მნიშვნელოვანი მოვლენები.

ერმაკოვის შემოქმედებიდან აღსანიშნავია არქიტექტურული პეიზაჟები და თბილისის ბაზრის ფოტოები. ეს ნამუშევრები შესრულებულია სხვადასხვა დროს, 1880-იანი წლებიდან დაწყებული 1900-იანი წლების ჩათვლით. მათში ასახული თბილისის ისტორიის 40-წლიანი განვითარება, ფოტოებზე ვხედავთ, როგორ იცვლებოდა და იზრდებოდა ქალაქი, ინგრეოდა ძველი და შენდებოდა ახალი შენობები, თითქოს ფოტოგრაფის შემოქმედება სწორ ხაზად მიყვება მშობლიური ქალაქის განვითარების ხაზს.

1847 წელს გაზეთი ,,ზაკავკაზსკი ვესტნიკი" წერდა: ,,... თბილისი ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზიისკენ არის მიმართული, მეორით – ევროპისკენ." ერმაკოვთან ეს სიტყვები გამართლებულია, რადგან მის უსაზღვრო შემოქმედებით არეალში მოქცეულია თბილისის ახალი, ევროპული ნაწილიც და ძველი, აზიური ყოფაც.

1900-იან წლებში ფოტოგრაფიაში უდიდესი გარდატეხა მოხდა. 1902 წელს სერგეი მიხაილოვიჩ პროკუდინ-გორსკიმ პირველად გამოაცხადა ფერადი დიაპოზიტების შექმნის შესახებ, რომელიც სამფერი ფოტოს საშუალებით მიიღებოდა და მის მიერ გამოგონილი სენსიბილიზატორის გამო, პატენტი მიიღო. მან ნიკოლოზ II შესთავაზა მთელი იმპერიის, მისი კულტურის, ტიპაჟებისა და ყოფის ფირზე ასახვა, რაზეც საგანგებო ნებართვა მიიღო. 1909 წელს მას სპეც-ვაგონი გამოუყვეს და სახელმწიფოს ,,ღრამოტა" მისცეს. სწორედ მაშინ ეწვია ფოტოგრაფი საქართველოს.

1910 წელს ერმაკოვმა სვანეთში იმოგზაურა, საიდანაც 1500 ნეგატივი ჩამოიტანა, ხოლო 1912 წელს თბილისის კაზმულ ხელოვნებათა საზოგადოების წევრ- დამფუძნებელი გახდა.

სერგეი პროკუდრინ-გორსკი (1863-1944) ქიმიკოსი, მენდელეევის მოსწავლე, გამომგონებელი, გამომცემელი, პედაგოგი - ფოტოგრაფიის და დოკუმენტალისტიკის ისტორიაში უნიკალური მოვლენაა. იგი დაინტერესდა ჩვენი ქვეყნით და თავისი რამდენიმეწლიანი მოგზაურობის მარშრუტში საქართველოც ჩასვა, მოიარა და გადაიღო მისი ყოველი კუთხე, ისტორიული ძეგლი და უამრავი ადამიანი. ძალიან საინტერესოა გორსკისეული ტაო-კლარჯეთი, აჭარა და აფხაზეთი.

ქართულ ფოტოჟურნალისტიკაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ედუარდ კლარს. იგი ქართული ფოტოდოკუმენტალისტიკის კლასიკოსად არის მიჩნეული. კლარი ძირითადად კულტურის სფეროში მუშაობდა, უმეტესად კულტურის მუშაკებს და საზოგადო მოღვაწეებს იღებდა, იყო სახაზინო (ოპერის) თეატრის ფოტოგრაფი, გამოჩენილი მსახიობები და მომღერლები მხოლოდ მის სახელოსნოში იღებდნენ სურათებს. კლარის ფოტოები წლების განმავლობაში ჟურნალში ,,თეატრი და ცხოვრება" იბეჭდებოდა.

ამავე პერიოდში ქართულ ფოტოგრაფიას შეემატა კიდევ ერთი რეპორტიორი – ევტიხი ჟვანია, რომელიც იმ დროისათვის პერსპექტიულ და ნიჭიერ ფოტოგრაფად ითვლებოდა. თანამედროვეები მას ალექსანდრე როინაშვილის მემკვიდრედ და მისი დაწყებული საქმის გამგრძელებლად მიიჩნევდნენ. უნდა აღინიშნოს, ეს იმედი ევტიხი ჟვანიამ გაამართლა. ის მთელი 30 წლის განმავლობაში ემსახურებოდა საკუთარი ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ფირზე აღბეჭდვას, დაფიქსირებას, მომავალი თაობებისთვის გადაცემას. ევტიხი ჟვანია 1921 წელს სააგენტო ,,საქინფორმის" ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო.

1921 წლიდან საქართველო რადიკალურად იცვლება, იგი ახალი სახელმწიფოს – საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის წევრი გახდა და მასთან ერთად დაიწყო განვითარების ახალი ეტაპი, სადაც უკვე წამყვანი ადგილი იდეოლოგიას უჭირავს. ფოტოგრაფიას უკვე საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, წამოვიდა ქართველი პროფესიონალი ფოტოგრაფების ახალი თაობა. ჯერ კიდევ არ იყო ერთმანეთისგან მკვეთრად გამიჯნული ფოტოგრაფის და ფოტორეპორტიორის პროფესიები. უცხოელი ფოტოგრაფების ინტერესიც საქართველოს, როგორც კავკასიის ცენტრის მიმართ გაიზარდა. ბევრმა უცხოელმა კორესპონდენტმა კავკასიაში იმოგზაურა, აქ გადაღებული ფოტოსურათები საქართველოს ფარგლებს გასცდა, მათი უმეტესობა კი ისტორიული, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ხასიათი-

საა. 1932 წელს თბილისს პირველად ეწვია რუსი რეპორტიორი, მსოფლიო ფოტოგრაფიის კლასიკოსი ბორის იგნატოვიჩი. (1899-1979) მან საქარტველოში რამდენიმე დღე დაჰყო და ფირზე აღბეჭდა მისთვის საინტერესო მომენტები ფოტოსერიაში ,,ხალხი ქალაქში".

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში (1946-1956), ჭარბობს სოციალური თემატიკა და ფორმალობა: აღმშენებლობა, სოციალისტური ღონისძიებები, მუშათა კლასის და შრომის ამსახველი კადრები. როგორც ჩანს, აქ უკვე გაიღვიძა ცენზურამ და ფოტოჟურნალისტიკაშიც შეიქმნა მკაცრად განსაზღვრული იდეოლოგია.

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისში ქართულ ფოტოგრაფიაში უდიდესი გარდატეხა მოხდა. გამოჩნდა ახალგაზრდა, მოაზროვნე თაობა, რომლისთვისაც ფოტოგრაფია უფრო ხელოვნება იყო, ვიდრე ჟურნალისტიკა ან დოკუმენტალისტიკა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სურათი რეპორტაჟისთვის იყო გადაღებული, ავტორის პირადი არქივისთვის თუ საოჯახო ალბომისთვის, მთავარი იყო, ის ყოფილიყო მხატვრულად სწორედ აგებული, კომპოზიციურად გამართული, სახასიათო. მათ შორის ყველაზე მეტად გამორჩეულები იყვნენ: გურამ თიკანაძე, ალექსანდრ სააკოვი, სანდრო მამასახლისი, სიმონ კილაძე, გიორგი გერსამია, სერგო ედიშერაშვილი, ბადრი ვადაჭკორია, გურამ წიბახაშვილი, იური მეჩითოვი. ამ ახალგაზრდა ფოტოგრაფებმა ,,საქართველოს საინფორმაციო სააგენტოში" ფოტორეპორტიორების ძველი თაობა შეცვალეს და სხვა პროფილის ჟურნალისტებთან ერთად ,,საქინფორმი" საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი წამყვანი სააგენტოდ გახადეს.

გურამ თიკანაძე (1932-1963) ერთ-ერთი ფოტოხელოვანი იყო ვინც გადაწყვიტა – მხატვრულად აესახა სინამდვილედა პუბლიცისტურობა პოეტურ აზროვნებასთან შეეთავსებინა. მან პირველმა გამოიყენა ეგრეთ წოდებული ,,ფარული კამერა" გრძელფოკუსიანი ოპტიკა. 1962 წელს საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის ორგანიზაციის ფოტოსექციის თავჯდომარე გახდა, ხშირად მონაწილეობდა საერთაშორისო გამოფენებში.

,,პერესტროიკა" კიდევ ერთი გარდამავალი ეტაპი აღმოჩნდა ქართველ ფოტოხელოვანთა შემოქმედებაში 1985-1989 წლების ფოტოჟურნალისტიკა ზუსტად და ობიექტურად ასახავს საქართველოს ცხოვრებას. ამ პერიოდში ძირეული ცვლილებები მოხდა ასევე ფოტოჟურნალისტურ ეთიკაში, ამას გარდა, თვითონ ფორმალური ჩარჩოც გაფართოვდა და ფოტოგრაფის ხედვას და ფანტაზიას მიეცა შემოქმედებითი რესურსების ბოლომდე გამოყენების საშუალება.

ამ ხუთი წლის განმავლობაში საქართველოში გადაღებული ფოტომასალა იმდენად მრავალფეროვანია, დამთვალიერებელს გაუჭირდება კიდეც იმის გაანალიზება, რომ ეს ყველაფერი ერთ გეოგრაფიულ არეალში მოხდა დროის ასეთ მცირე მონაკვეთში.

ალექსანდრე სააკოვთან (1941-2007) და სიმონ კილაძესთან ერთად პერიოდში თბილისში გამოჩნდა ახალგაზრდა ფოტოგრაფი იური მეჩითოვი, რომელიც მალევე იქცა ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ პიროვნებად. იგი კარიერის დასაწყისშივე მუშაობდა ყველაზე ცნობილ და პრეტენზიულ ადამიანებთან, სერგო ფარაჯანოვთან, რის შემდეგაც გამოსცა წიგნი-კატალოგი ,,დიალოგის ქრონიკა" და დაგვიხატა ამ ურთულესი ადამიანის საოცრად მარტივი პორტრეტი. მეჩითოვს ასევე გადაღებული აქვს 1980-იან წლებში ვერიკო ანჯაფარიძის ფოტო, კრიტიკოსების თქმით, ეს ფოტო კლასიკური მაგალითია XX საუკუნის ქართველი არისტოკრატი ქალისა. ცოტა მოგვიანებით ფოტოხელოვანი ქმნის პუბლიცისტურ ფოტოსერიას ,,თეატრი და ცხოვრება-" ნინო რამიშვილის ორი და უცნობი ქალის ერთი პორტრეტისგან შედგენილ კოლაჟს, ერთის მხრივ, ,,სუხიშვილების" ლეგენდა და ყველაფრით უზრუნველყოფილი ქალბატონი, მეორეს მხრივ კი, ცხოვრების სიმძიმისაგან გატეხილი, მოხუცი ქალბატონი, ეს არის ორი სხვადასხვა სოციალური სტატუსის მქონე ქალბატონის პორტრეტებზე აგებული კონტრასტული ფოტოკოლაჟი.

1981 წელს მეჩითოვმა ქართულ რეალობაში შემოიტანა ტერმინი საავტორო ფოტო, მოითხოვა რა, რომ მის ნამუშევრებზე მიეწერათ მისი სახელი და გვარი. ცოტა ხანში მას სხვა რეპორტიორებმაც მიჰბაძეს და მალე თბილისის საზოგადოება ალაპარაკდა ცნობილ ფოტოჟურნალისტებზე – მეჩითოვზე, სააკოვზე, კილაძეზე, წიბახაშვილზე, ედიშერაშვილზე და ა.შ. რომლებიც მანამდე საკუთარი შემოქმედების ჩრდილში იყვნენ.

იმ პერიოდის ქართულ ჟურნალისტიკაში ძალიან ძლიერი იყო პუბლიცისტური ხაზი და მსგავსი ხასიათის და შინაარსის მასალით საზოგადოების დატვირთვა საბჭოური იდეოლოგიის ნაწილს შეადგენდა. ასე დაიწყო ,,პერესტროიკა" საქართველოში. ყურადღების ცენტრში გამოჩენილი ხელოვანები, მეცნიერები და საზოგადო მოღვაწეები იყვნენ, მაგრამ დადგა 1989 წელი და ყველაფერი შეიცვალა, შეიცვალა მიდგომა ცხოვრების მიმართ, ღიმილისთვის თითქოს არავის ეცალა, აგრესია და ტრაგიზმი ქვეყანაში წამყვანი ფაქტორები გახდა.

1989 წლის გაზაფხული საკმაოდ მძიმე იყო თბილისისათვის. 9 აპრილის ღამე რუსთაველზე სიმონ კილაძემ და იური მეჩითოვმა გადაიღეს. კილაძის და მეჩითოვის მიერ 9 აპრილს გადაღებული ფოტოები გახდა ძირითადი ამსხველი დოკუმენტი იმ ფაქტებისა, რომლებიც იმ დღეს რუსთაველზე მოხდა.

ქართულ ფოტოჟურნალისტიკაში 1989 წელმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა და ქართველ რეპორტიორებს აქამდე უცნობი სამუშაო პირობები შეუქმნა, სხვა ჭრილში დაანახა მათ საკუთარი პროფესია და მათთვის ახალი ჟანრი – მილიტარისტული ფოტოჟურნალისტიკა გააცნო.

2003-2007 წლების ფოტომასალა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიას ასახავს. საქართველოში მიმდინარე პროცესების კადრები უკვე არა მარტო ქართული ფოტოჟურნალისტიკისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ მთელ მსოფლიოში მოღვაწე ფოტოდოკუმენტალისტებისთვის. რამდენიმე ფოტოგრაფის მიერ

შექმნილმა რეპორტაჟებმა და დოკუმენტურმა სერიებმა დიდი წარმატება მოიპოვა საერთაშორისო კონკურსებზე, გამოფენებსა და ფესტივალებზე.

2003 წლის ნოემბერში უამრავი ადგილობრივი თუ უცხოელი ფოტოჟურნალისტი ადევნებდა თვალს საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რომელთა ობიექტივებმა ხელისუფლებისა და ოპოზიციის ყველა ნაბიჯი ასახა. ქართველმა ტატო კოტეტიშვილმა ზუსტად გადმოგვცა ის სიტუაცია, რაც რუსთაველის გამზირზე ხდებოდა. უცხოელმა ფოტოჟურნალისტმა ტომას დვორჟაკმა კი კიდევ ერთხელ აღბეჭდა საქართველოში მიმდინარე პროცესები. ასევე აღსანიშნავია, გოგა ჩანადირის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას დასაფლავების დღეს გადაღებული რეპორტაჟი.

ბოლოს კი 2008 წელს აგვისტოს ომი, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიქცია. შესაბამისად არ დარჩენილა ფოტოჟურნალისტი, რომელსაც შეძლებისდაგვარად ზუსტად აღებეჭდა ის ვითარება, რაც ცხინვალსა თუ გორში ხდებოდა.

ჩვენ დავრწმუნდით, რომ ფოტოგრაფიას მილიონობითადამიანში ძლიერი ემოციური გამოძახილის გამოწვევა შეუძლია, ალბათ ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლაც შეუძლია, ფოტოგრაფიის ისტორიაში ამის მაგალითებიც არსებობს. ქართული ფოტოგრაფიის ისტორია საქართველოს ისტორიაა, ადამიანთა ბედის ისტორია, ქვეყნის ჭეშმარიტი მატიანე.

ხათუნა კაჭარავა,

ცხოვრების ჭეშმარიტი მემატიანე

რეზიუმე

სტატიაში საქართველოში ფოტოგრაფიის განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპებია წარმოდგენილი. განხილულია თუ როგორ ჩამოყალიბდა საქართველოში ფოტოგრაფია ხელოვნების ერთერთ დარგად და ჟურნალისტიკის უძლიერეს მიმდინარეობად.

მოკლედ არის მოთხრობილი იმ ადამიანთა და მათი შემოქმედების შესახებ ვინც ქართული ფოტოგრაფიის ისტორია შექმნეს, ფოტოგრაფიის პირველ ოსტატებზე და მათ სახელოსნოებზე, საქართველოში ამ დარგის ფუძემდებლებზე.

მეოცე საუკუნის დასასრულს და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ქართველი ფოტოხელოვანები ახალი გამოწვევების წინაშე აღმოჩნდნენ, მათ რეპორტიორის პროფესია ახალ ჭრილში დაინახეს, აქტუალური მილიტარისტული ფოტოგრაფია გახდა.

ფოტოგრაფიას ადამიანებზე ძლიერი ემოციური ზემოქმედების მოხდენა, ცხოვრების სასიკეთოდ შეცვლა შეუძლია, ფოტოგრაფიის ისტორიაში ამის მაგალითები არსებობს. ქართული ფოტოგრაფიის ისტორია საქართველოს ისტორიაა, ადამიანთა ბედის ისტორია, ქვეყნის ჭეშმარიტი მატიანე.

Khatuna Kacharava

Veritable Chronicle of Life

Abstract

The important stages of the development of photography are presented in the article. The article discusses how photography was formed as one of the fields of art and the strongest trend of journalism in Georgia. It also gives brief information about those people who created the history of photography and retells about their creative work, the first masters of photography and their studios, its founders in Georgia.

At the end of XX century and the beginning of XXI century Georgian photographers faced new challenges. They viewed a reporter's profession in a new aspect. It was militaristic photography that became topical.

Photography can have great emotional influence on people; it can change their life for better what can be proved by a lot of examples taken from the history of photography. The history of Georgian photography is the history of Georgia, the history of people's destiny, veritable chronicle of the country.

მაყვალა (გაია) კოღუაშვილი

ჯეიმზ ჯოისი - პირველსახე „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტისათვის“

ჯეიმზ ჯოისს, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული მოდერნისტული ლიტერატურის მეტრად და „ცნობიერების ნაკადისეული“ ლიტერატურის ფუძემდებლად, 2012 წლის 2 თებერვალს დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა, რაც დიდი აქტივობით აღინიშნა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში და მათ შორის საქართველოშიც. უდაოა, ქართულ ჯოისოლოგიაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ ბ-ნ ნიკო ყიასაშვილის უდიდეს წვლილს ჯოისის თარგმანებისა და საკვლევი შრომების თვალსაზრისით და სხვა ქართველ ჯოისოლოგთა დამსახურებას ამ სფეროში.

სავსებით მართებულად თვლიან, რომ XX საუკუნის თითქმის ყველა მნიშვნელოვანმა მწერალმა განიცადა ერთგვარი „ჯოისიზირება“. ჯეიმზ ჯოისი იქცა იმ ავტორად, რომლის შემოქმედებაშიც განსაკუთრებული სისავსით განხორციელდა მოდერნისტული ესთეტიკისა და მხატვრული ძიების ამოსავალი პრინციპები. 1914 წელს ამერიკის ავანგარდისტული ჟურნალი „ეგოისტი“ იწყებს მწერლის რომანის „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში“ - ის ბეჭდვას, რომელიც ორი წლის შემდეგ - 1916 წელს წიგნად გამოიცა ნიუ-იორკში. . საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ,,პორტრეტს" წინ უსწრებდა ავტობიოგრაფიული რომანი „სტივენ გმირი“, რომელიც პირველად მხოლოდ მწერლის სიკვდილის შემდეგ, 1944 წელს გამოიცა. აღსანიშნავია, რომ „პორტრეტთან“ შედარებით რომანი გაცილებით დიდი მოცულობისაა და მასში უფრო დეტალურადაა ნაჩვენები სტივენის, როგორც ხელოვანის, ჩამოყალიბების პროცესი, მაგრამ მხატვრული ოსტატობის თვალსაზრისით „სტივენ გმირი“ „პორტრეტს“ ბევრად ჩამოუვარდება და ეს უკანასკნელი მის უფრო დახვეწილ და სრულყოფილ ვარიანტად შეიძლება მივიჩნიოთ.

მკვლევართა შორის ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ სტივენი თავად ჯოისის „ალტერ ეგო“-ა და ჩვენც არ უარვყოფთ იმ ფაქტს, რომ მოცემული მხატვრული სახის შექმნისას ავტორმა უხვად გამოიყენა საკუთარი ბიოგრაფიული მონაცემები და ცხოვრებისეული გამოცდილება. და რომ სტივენის ესთეტიკური თეორიები ხშირად აბსოლუტურად თანხვდება თავად ჯოისის მხატვრულ კონცეფციას. სტივენი, ისევე როგორც თავად ჯოისი, გახლავთ პირმშოO საუკუნის მიჯნის ირლანდიური სინამდვილისა. სწორედ მოცემული ხანის ირლანდიის სპეციფიკურ თუ პოლიტიკურ გარემოში ხდება მისი, როგორც ხელოვანისა და პიროვნების, ჩამოყალიბება და იგი გვევლინება ამ პერიოდის ირლანდიელი ახალგაზრდა თაობის ტიპიურ წამომადგენლად, რომელიც მტკივნეული შემოქმედებითი ძიების, ყოყმანის, შეცდომების, მსხვერპლის გზით აღწევს შემოქმედებით სიმწიფეს. ჯოისის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და მისი შემოქმედების ზოგად პრინციპთა ანალიზის მეშვეობით ვცდილობთ, განვიხილოთ სტივენ დედალოსის მხატვრული სახის ავტობიოგრაფიულობის, გმირისა და ავტორის იდენტურობის საკითხი, რაც, ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ სტივენი ავტორის ფოტოგრაფიული ასლი გახლავთ. იგი უბრალოდ ერთ-ერთია ავტორის მრავალრიცხოვან ნიღაბთა შორის, რომლებიც სხვებზე გაცილებით მეტი სიზუსტით გადმოგვცემს ავტორის სუბლიმი რებულ არსს. აქვეა ნაჩვენები საუკუნის დასაწყისის დუბლინის სპეციფიკური გარემო, რომელიც სტივენ დედალოსის მსგავსი ტიპაჟის წარმომქმნელი ხდება. „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ XX საუკუნის დასაწყისის ახალგაზრდა ადამიანის თავისებური ისტორიაა, რომელშიც აისახა „საუკუნის

ტკივილი“, ამავდროულადვე, იგი არის იმ ტიპის ხელოვანის ფორმირების ისტორია, რომელიც XX საუკუნის I მეოთხედში გამოვიდა ავანსცენაზე.სამყარო სტივენის ცნობიერებისა და შემეცნების პრიზმაში გარდატყდება, სადაც არც ერთი შთაბეჭდილება არ ქრება უკვალოდ და სათანადო მომენტში კვლავ ამოტივტივებდა. გმირის მასშტაბურად ჩვენების, საკუთარი თავის უკეთ გამოხატვის მცდელობას თხრობის ნოვატორულ ელემენტებამდე მივყავართ. ძლიერდება ინტროსპექტული ტენდენცია,Gრომანში მოვლენები უკანა პლანზე კი არ იწევს, არამედ საერთოდ ქრება თხრობიდან როგორც დინამიური ფაქტორი. ინტროსპექტული ტენდენცია თავს კონფლიქტის გაღრმავებაში იჩენს, რომელიც მრავალწახნაგოვანი ხასიათისაა და არა მხოლოდ გმირისა და არასასურველი გარემოს შეჯახებას წარმოგვიდგენს, არამედ გმირის სულიერი და ხორციელი საწყისების მტკივნეულ დაპირისპირებას, იდეალისა და რეალობის შეუსაბამობას, საკუთარი „მე“-ს ძიებას. კონფლიქტის მიზეზები სოციალური მოტივებია, კავშირის გაწყვეტა რწმენასა და რელიგიასთან, თუმცა თითქმის ყველა აღზრდის რომანში კონფლიქტი პიროვნული ხასიათისაა, პრობლემა თავად გმირში მდგომარეობს. განხეთქილება ოჯახთან, ეკლესიასთან, აქტიური ნონკონფორმიზმი ჯოისთან მკვეთრად გამოხატულ ინდივიდუალურ ხასიათს იძენს. აღზრდის რომანში თხრობა განსაზღვრულ რიტმს ემორჩილება, რასაც გმირის ევოლუციის ეტაპები განსაზღვრავენ. ჯოი-

სის ,,პორტრეტიც" უპირატესად ერთი ადამიანის ბედს, მის სულიერ ინტელეტქტუალურ ისტორიას მოგვითხრობს. პიროვნების განვითარება საზოგადოების ზემოქმედების შედეგად ხდება, რომელსაც საბოლოოდ გმირი თვითდამკვიდრების მიზნით უმხედრებდა.სტივენ დედალოსის მხატვრული სახე წარმოადგენს მნიშვნელოვან გასაღებს ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკისა და მისი სამწერლო ნოვატორობის მართებული გაგებისათვის. ეს ერთადერთი მხატვრული სახეა, რომელიც ჯოისის რამდენიმე ნაწარმოებს („სტივენ - გმირი", „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში", „ულისე") ცენტრალურ ფიგურად იქცა და ამიტომაც მისი სახის ინტერპრეტაცია საკითხის ეტაპობრივ შესწავლას გულისხმობს. გმირი ჯერ კიდევ ბავშვობიდან გრძნობს გარე სამყაროს დიდაქტიკას, რომელიც სულ უფრო და უფრო იზრდება და საბოლოოდ მაკროკოსმის მიერ გმირის შინაგანი სამყაროს შთანთქმის, მისი პიროვნული ავტონომიის დათრგუნვის მცდელობის ფორმას იღებს და იწვევს ადექვატურ რეაქციას გმირისაგან. „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობაში"-ის გმირი საკუთარ დანიშნულებას ხელოვნებისადმი სამსახურში ხედავს. მისთვის ეს ერთადერთი გზაა დუბლინის კულტურული გარემოს პროვინციალიზმიდან თავის დაღწევისა და საკუთარი ავტონომიური პიროვნების რეალიზაციისათვის. მისი ესთეტიკური პროგრამა ახალგაზრდა ხელოვანის მანიფესტი გახლავთ აქ თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ავტორისეული ჩაურევლობის, ობიექტურობის პრინციპი. ჯოისი ფაქტთა კონსტანტაციას ახდენს და არსად არ გვთავაზობს საკუთარ კომენტარებს.

მოდერნიზმი ლიტერატურაში ინდივიდუალიზმის, პიროვნების სულიერი ავტონომიის ერთ-ერთ უმაღლეს გამოხატულებას წარმოადგენს და ამ მხრივ სტივენ დედალოსის ყველაზე უფრო ავტობიოგრაფიული გმირის სიტყვები: I don't fear to be alone or to be spurnid for anothe or to leave whatever I have to leave. And I am not afraid to make a mistake, even a great mistake, and perhaps a long as eternity too".. (6, 306) „მე არ მეშინია მარტოობის. არ მეშინია იმის, რომ უარყოფილი ვიქნა ვიღაც სხვის გამო. არ მეშინია მივატოვო ყველაფერი, რაც მისატოვებელია. არ მეშინია შეცდომის დაშვების, დიდი შეცდომის, მთელი ცხოვრების შეცდომის და შესაძლოა თვით სამარადისო შეცდომისაც კი" (3, 218) - შეიძლება მივიჩნიოთ იმ მარტოხელა, მეამბოხე ხელოვანის მანიფესტად, რომელიც თავის შემოქმედებაში მთელი ეპოქის გონებრივი სტერეოტიპის გადალახვას ლამობს. საუკუნის დასაწყისის ინგლისური აღზრდის რომანთა საერთო ნიშნად მათი მეტნაკლები ავტობიოგრაფიულობა გვევლინება, რაც ასევე დამახასიათებელია ჯეიმს ჯოისის რომანისათვის. გმირის ბედთან სიახლოვეში თავს იჩენს ავტორის სუბიექტურ-ინტროსპექტული ასპექტი-საკუთარი თავის შეცნობა, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების აკუმულირება მხატვრულად განყენებული ფორმით და შემდგომი ინტერპრეტაცია ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში.

„ხელოვანის პორტრეტის" გმირი სტივენი გაცილებით უფრო ავტობიოგრაფიულია, ვიდრე "ულისეს" გმირი. შინაგანი ბუნების, მსჯელობის მანერის, ცხოვრებისეული მსოფლმხედველობის მიხედვით ორივე გმირს საკმაოდ ბევრი პარალელი აქვთ თავად ჯოისთან, თუმცა, ეს არ იძლევა ტოტალური იდენტიფიკაციის საფუძველს.

ჩვენს მიერ განხორციელებული ერთი პერსონაჟის, მწერლის ყველაზე უფრო საკვანძო და ავტობიოგრაფიული გმირის განვითარებისათვის თვალის მიდევნება ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების ადრეულ ეტაპზე და ამის საფუძველაზე თავად ავტორის სამწერლო სტილის ევოლუციის და მის პიროვნებასთან დაკავშირებული ზოგი სადაო საკითხის ახსნა თვისობრივ სიახლედ გვევლინება.

ვიდრე უშუალოდ მოცემული მხატვრული სახის ანალიზზე გადავიდოდეთ, საჭიროა მიმოვიხილოთ საუკუნის დასაწყისის ირლანდიაში შექმნილი სიტუაცია ჯეიმზ ჯოისის ბიოგრაფიის საკვანძო მომენტების ფონზე, ყურადღება გავამახვილოთ მის მიმართებაზე იმდროინდელი ირლანდიის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ყოფასთან, „ირლანდიურ აღორძინებასთან", რამდენადაც იდენტური მოვლენების გაანალიზება გვიხდება სტივენ დედალოსის მხატვრულ სახესთან მიმართებაში. ვფიქრობთ ,ამ მომენტების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ჯოისის როგორც პირველსახის წარმოჩენა ჯოისის რომანისთვის.

მწერლის მშობლები მაშინდელი ირლანდიის ცხოვრების, ირლანდიური მსოფლმხედველობის ორი მხარის - პოლიტიკისა და რელიგიის განხორციელებას წარმოადგენდნენ და თითოეულმა თავისი წვლილი შეიტანა უფროსი ვაჟის ხასიათის ჩამოყალიბებაში. ჯეიმსის მამა, ჯონი, რომელშიც მკითხველი თავისუფლად ამოიცნობს საიმონ დედალოსის პროტოტიპს, ძალზე არაორდინალური პიროვნება გახლდათ. იგი განათლებული და უაღრესად მუსიკალური ადამიანი იყო. თავად ჯოისმაც სწორედ მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით შესანიშნავი ხმა და აბსოლუტური სმენა. მხიარული და უდარდელი ხსიათის ჯონმა მალე გაფლანგა მამისეული ქონება, მაგრამ მისთვის ნამდვილ ტრაგედიად იქცა არა გაკოტრება, არამედ ჩარლზ სტიუარტ პარნელის, ირლანდიელ ნაციონალისტთა თვალსაჩინო ბელადის გარდაცვალება. პარნელი 80-იან წლებში სათავეში ედგა ბრძოლას თვითმართველობისათვის და მის სახელს უკავშირებდა თავის იმედებს პროგრესულად მოაზროვნე ირლანდიელი ინტელიგენციის ძირითადი ნაწილი.

ჯოისისთვის, მისი გმირის მსგავსად, პარნელი ირლანდიის ისტორიის უდიდეს ფიგურას წარმოადგენდა. იმ ბრალდებათა შორის, რომლებიც ჯეიმზ ჯოისმა ირლანდიას წაუყენა თავისი ემიგრაციის წინ, პარნელის სიკვდილს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. თავის ამ პოზიციას მწერალი ხშირად გამოხატავს სტივენ დედალოსის პირით „ხელოვანის პორტრეტში“.

ჯეიმზ ჯოისის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში არანაკლები როლი ითამაშა, მის მიერ მიღებულმა რელიგიურმა, უფრო ზუსტად კი კათოლიკურმა აღზრდამ. კათოლიციზმის ირლანდიურ ვარიანტს, რომელიც უაღრესი დოგმატიზმით გამოირჩევა, მწერალი ბავშვობაში აზიარეს დედამ და დეიდამ. ეს უკანასკნელი, განათლებული, მაგრამ ფანატიკოსი ქალი, რომელიც ჯოისების ოჯახში აღმზრდელის როლს ასრულებდა, მწერალმა „ხელოვანის პორტრეტის“ პირველივე გვერდზე გააცნო მკითხველს. ეს ის დანტე კონვეია (იორდანი), რომელიც პირველად ახდენს პატარა სტივენის ბავშვური შინაგანი სამყაროს ხელყოფას და გარესამყაროს დიქტატის განსახიერებად გვევლინება.

კლონგოუზ ვუდ კოლეჯი, ბელვედერის კოლეჯი, საუნივერსიტეტო კოლეჯი, ერთი სიტყვით ყველა ის სასწავლო დაწესებულება სადაც მწერალმა და მისმა გმირმა მიიღეს განათლება - სულით ხორცამდე კათოლიკური გახლდათ. მამისაგან მიღებული სიცოცხლის სიყვარული შეურიგიბელ კონფლიქტშია რელიგიურ დოგმებთან. ჯოისის რწმენის შერყევას აგრეთვე ხელი შეუწყო შოს, მერედითის, ჰარდის ნაწარმოებებმაც, რომელთაც თავის მოძღვართაგან ფარულად ეცნობოდა. 1897-1898 წლებში, სწორედ ბელვედერის კოლეჯის დამთავრებისას იგი საბოლოოდ კარგავს რწმენას. თავად რწმენის შერყევის ეს პროცესი მან საოცარი სიზუსტით გადმოგვცა „ხელოვანის პორტრეტში“, სადაც სტივენ დედალოსიც ამავე გზას გაივლის, მაგრამ კათოლიციზმზე თავად ჯოისის საბოლოო უარის თქმა არ ყოფილა ისეთი დემონსტრაციული ხასიათისა, როგორც მან ეს სტივენის მაგალითზე აგვიწერა „ხელოვანის პორტრეტში“. მიუხედავად რელიგიის ასეთი უარყოფისა, სულის სიღრმეში იგი მტკივნეულად განიცდიდა რწმენის მსხვრევას, ჯოისმა ლოცვა შეწყვიტა, თუმცა მისი ცნობიერება რელიგიური დარჩა. იგივე შიეძლება ითქვას სტივენზე, რომელიც კათოლიციზმზე უარის თქმის შემდეგ ქმნის თავის ნაწარმოებებს „ვილანელი მაცდუნებელ ქალს“. თავის ნაწარმოებში ჯოისი სასტიკად დასცინის ირლანდიურ კათოლიკურ ეკლესიას, ქმნის მის მსახურთა გროტესკულ სახეებს, გვიჩვენებს იმ ყმაწვილის სულიერ და ფსიქოლოგიურ დრამას რომელმაც რელიგიური აღზრდა მიიღო. იგი ყველანაირად ცდილობდა ამ ტვირთისაგან განთავისუფლებას, მაგრამ თითქოს ქვეცნობიერად გრძნობდა თავისი საქციელის უნაყოფობას.

ჯოისის მსოფლმხედველობისა და თავად სტივენ დედალოსის მხატვრული სახის მართებული გაგებისათვის აუცილებელია გავითვალისწინოთ მწერლის დამოკიდებულება მისი სამშობლოს მიმართ. აქ, ბუნებრივია გვერდს ვერ ავუვლით ჯოისის ნებაყოფლობითი ემიგრაციის ფაქტს. მწერლისთვის საკმაოდ ხშირად წაყენებული კოსმოპოლიტიზმის ბრალდება აბსოლუტურად უსაფუძვლოდ გვეჩვენება, თუმცა, ერთი შეხედვით, მწერლის ნებაყოფლობითი ემიგრაცია და უცხო ქვეყნებში მისი ოცდაჩვიდმეტწლიანი ოდისეა იქნებ კიდეც იძლეოდეს მსგავსი ფიქრის საბაბს. კოსმოპოლიტიზმის, მსოფლიო მოქალაქეობის იდეა ხომ ყოველგვარი ეროვნული ნიშნის არქონას, უსამშობლობას, უნიადაგობას გულისხმობს დევიზით - „ჩემი სამშობლო ისაა, სადაც უკეთ ვიგრძნობ თავსო“. ჯოისი კი დალხინებული ცხოვრების საძიებლად სწორედ რომ არ წასულა უცხოეთში. იგი თვლიდა, რომ სამშობლოში არსებული სიტუაციის უკეთ შესაფასებლად, ხელოვანისთვის საჭიროა ერთხანს მოწყდეს იმ ატმოსფეროს, უცხო თვალით განსჭვრიტოს იგი რაღაც დისტანციიდან. ბუნებრივია, ეს დისტანცია მაინცდამაინც ფიზიკურ ემიგრაციას არ გულისხმობს, მაგრამ ჯოისისთვის სწორედ ეს იქცა ერთადერთ შესაძლებელ გამოსავლად.

გარემო, სადაც დაიბადა და აღიზარდა ჯოისი, მთლიანად პოლიტიზირებული გახლდათ. ის ფაქტი, რომ მაშინდელი ირლანდიის თითქმის ყველა ოჯახში პოლიტიკა უცვლელ სასაუბრო თემას წარმოადგენდა, საკმაოდ კარგადაა წარმოჩენილი ჯოისის ნაწარმოებებში. გავიხსენოთ თუნდაც საშობაო სადილის ცნობილი სცენა „ხელოვანის პორტრეტიდან“. სტივენის, ბავშვის თვალით აღქმული არაჯანსაღი პოლიტიკური ისტერია, რომელმაც საოჯახო ზეიმის მყუდროება დარღვია, იმ პერიოდის ირლანდიური ყოფისთვის ტიპიური გახლდათ. ამ სცენას თავად მწერლის ბიოგრაფიაში ქონდა ადგილი. სიტუაციას კიდევ უფრო ამწვავებდა ბრძოლა „პარნელისტებსა“ და „ანტიპარნელისტებს“ შორის, ჯეიმზი, მამამისის მსგავსად, პარნელის თაყვანისმცემელი გახლდათ. მან იგივე შეხედულებებით აღჭურვა სტივენ დედალოსი და სწორედ ამ გმირის პირით, მწარე ირონიით განაცხადა: „თავის უკანასკნელ, ამაყ მიმართვაში ირლანდიელი ხალხისადმი პარნელი ითხოვდა, არ მიეგდოთ იგი ინგლისელი მგლებისათვის ყმუილით რომ უვლიდნენ გარშემო. მისი თანამემამულეების სასახელოდ უნდა ითქვს, რომ არ გაუწბილებიათ და ინგლისელი მგლებისათვის არ მიუდგიათ: მათ იგი, თვითონ დაგლიჯეს ნაკუწ-ნაკუწ“ (2, 261), ხოლო „პორტრეტის“ სხვა ეპიზოდში იგივე გმირი, სტივენ დედალოსი უცხადებს თავის ნაციონალისტ მიგობარს: “No honourable and sincere man, said Stephen, has given up to you his life and his youth and his affections from the days of Tone to those of Parnel, but you sold him to the enemy or failed him in need or revetid him and left him for another“ (3,

396). „ტონის დროიდან მოყოლებული პარნელამდე - თქვა სტივენმა - ერთი პატიოსანი, გულწრფელი ადამიანიც არ ყოფილა ისეთი, რომელმაც თავისი სიცოცხლე, ახალგაზრდობა და სიყვარული შემოგწირათ, თქვენ კი მტრისთვის არ მიგეყიდოთ, ან გასაჭირში არ მიგეტოვებინოთ, არ გელანძღოთ და არ გეღალატოთ“ (3, 179-180). გავიხსენოთ, რომ ეს ტირადა პასუხია დეივენის მოწოდებაზე - „სცადე და ერთ-ერთი ჩვენთაგანი გახდე, შენც ხომ სულით ირლანდიელი ხარო“. თავის სიტყვებს სტივენი შემდენაირად ასრულებს: „and you invite me to be one of you. I'd see you damned first“ (6, 396)., და შენ გინდა მე ერთ-ერთი თქვენთაგანი ვიყო. ეშმაკსაც წაუღიხართ ყველანი“ (3, 180). სტივენის ეს სიტყვები ზუსტად გადმოგვცემენ ჯოისის გულისწყრომას თანამემამულეთა სიმდაბლისა და გაუტანლობის გამო. პარნელისადმი მწერლის განსაკუთრებული მოწიწების საილუსტრაციოდ მოვიყვანთ იმ ფაქტს, რომ პირველი ნაწარმოები, რომელიც ათი წლის ჯოისმა დაწერა, გახლდათ პარნელისადმი მიძღვნილი რომანტიკული აღმაფრენის მქონე ლექსი - „და შენც, ჰილი“ (Et tu, Healey. 1891). ტიმ ჰილი პარნელის თანამებრძოლი და მეგობარი გახლდათ, რომელმაც სულმდაბლურად მიჰყიდა იგი ინგლისელებს. ლექსის სათაური წარმოადგენს ალუზიას კეისრის სიტყვებისა „შენც, ბრუტუს!“ ეს თითქოს მოღალატისადმი მიმართული მწარე საყვედურია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ XIX საუკუნის ბოლო და XX საუკუნის დასაწყისი ირლანდიაში გელური აღორძინების მოძრაობის გააქტიურებით აღინიშნა. მას ინტელიგენციაც შეუერთდა. ლიტერატურაში ამ მიმართულების მიმდევრები წარსულის რომანტიზირებას, შელამაზებას ცდილობდნენ. ჯოისი მკვეთრად გაემიჯნა წარსულისადმი ამგვარ აპოლოგეტურ დამოკიდებულებას და იმ ირლანდიელ მწერლებთან დაპირისპირებული აღმოჩნდა, რომლებიც ამ მოძრაობას მიემხრნენ. ჯოისისათვის აღორძინება ჩანასახშივე ანაქრონიზმი და ყალბი მცდელობა იყო ძველი გელური კულტურის აღდგენისა, რომელიც უცხო და მიუღებელი იქნებოდა თანამედროვე ადამიანის ცნობიერებისათვის. თანამედროვე ირლანდიელი მწერლები, მისი აზრით, პატრიოტიზმით იყვნენ დაბრმავებულნი და სასაცილო მითებს განადიდებდნენ, სილამაზე მომავალში იყო საძებნი და არა წარსულში. განსხვავებული იყო ჯოისის დამოკიდებულება ჰეროიკულისადმიც. იგი ერთ-ერთ წერილში წერდა: „ხომ არ მიგაჩნია, რომ ჰეროიკული ძიება ფრიად ვულგარული რამ არის. მე მჯერა, და ყოველთვის მჯეროდა, რომ ჰეროიზმის მთელი სტრუქტურა იყო და არის სიცრუე“ (3, 13). ჯოისს სჯეროდა, რომ მწერლის მოვალეობა იყო უმალ შეურაცხყოფა მიეყენებინა ნაციონალური კუდაბზიკობისათვის, ვიდრე აჰყოლოდა მას. თავის ნაწარმოებებით სურდა შოკი მოეგვარა მკითხველისთვის და მათი მძინარე ცნობიერება გაეღვიძებინა, რადგან თვითკმაყოფილება, მისი აზრით, სიკვდილს ნიშნავდა ერისთვისაც ისევე, როგორც ეს ცალკეული ადამიანისთვის ნიშნავს.

უნდა აღინიშნოს, რომ ირლანდიასთან, ირლანდიურ პრობლემასთან საკუთარი დამოკიდებულებით სტივენ დედალოსი მართლაც რომ ავტობიოგრაფიული გმირია, რამდენადაც აქ იგი უშუალოდ ავტორის იდეებს გადმოგვცემს. ამრიგად, ირლანდიური პრობლემა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამსაზღვრელი ფაქტორია სტივენის მხატვრული სახის ჩამოყალიბების საქმეში.

სტივენის ხასიათის გახსნისთვის მნიშვნელოვან გასაღებს იძლევა მისი სახელი, რომელიც ქრისტიანული და წარმართული სახელების საინტერესო სინთეზია. (სტეფანე) უდიდესი ქრისტიანი პირველმოწამე გახლდათ, ხოლო დედალოსი კი უდიდესი წარმართი გამომგონებელი. „ამ ორი სახელის შერწყმით ჯოისს სურდა შემოქმედის ბუნებაში წმინდანის რელიგიური სიძლიერე, სისპეტაკე, მორალური სიმტკიცე და წარმართი გამომგონების დიდი გონებრივი ჰორიზონტი, დიდი ინტელექტი და გაბედულება შეერწყას ერთმანეთს. შემოქმედი არ გახლავთ უბრალო პიროვნება. იგი ტიტანური სულიერი და გონებრივი ძალების მქონეა, ამიტომაც შეუძლია და მეტიც, მოვალეცაა ამაღლდეს გარშემომყოფებზე შთაგონების გზებით და უბრალო მოკვდავთ გზა უჩვენოს ჭეშმარიტებისაკენ, თუნდაც ეს, სიცოცხლის ფასად დაუჯდეს“ (1, 98). მაგრამ ვინ არიან ეს გარშემომყოფნი და როგორია თვით ეს გარემო, რომელიც ახალგაზრდა შემოქმედს ახვევია გარს და რომლის ნაყოფსაც წარმოადგენს იგი? ამის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმდენად, რამდენადაც სტივენი ერთგვარი კრებითი, განზოგადოებული სახეა მეამბოხე ხელოვანისა, რომლის მაგალითზეც, ჯეიმზ ჯოისმა ირლანდიელი ახალგაზრდობის მთელი თაობის ტრაგედია გადმოგვცა, იმ თაობისა, რომელიც პოლიტიკური და რელიგიური ჩაგვრის უღელქვეშ მოქცეულ ქვეყანაში აღიზარდა. „ჯოისი არ იცდის, როდის წამოიზრდება სტივენი იმდენად, რომ ირლანდიისათვის ესოდენ მწველ პარნელის საკითხზე შეძლოს კამათი. პოლიტიკა თითქოს თავისით შემოიჭრება, გადაეხლართება ყოფით სცენაში“ (7, 32). მართლაც, სავსებით მშვიდობიანი საზეიმო სადილი, უეცრად მძაფრი პოლიტიკური ვნებების შეხლა - შემოხლის არენად იქცევა, სტივენი აქ მხოლოდ მსმენელიც, დამფრთხალი, შეშინებული ბავშვის სახით გვევლინება, მკითხველისათვის ნათელია, თუ „რა როლს შეასრულებს მის შემდგომ ცხოვრებასა და მისი პიროვნების ჩამოყალიბებაში ეს პირველი შეჯახება პოლიტიკასთან“ (7, 32).

მსგავსი რთული პერიპეტიებით აღვსილ დროში ხდება ჯოისის გმირის ჩამოყალიბება და განვითარება. სტივენი ბავშობიდანვე მტკივნეულად განიცდიდა გარემომცველი სამყაროს ზეწოლას, მაგრამ მას ამ ადრეულ ასაკშიც შესწევს უნარი, რომ წინ აღუდგეს აღნიშნულ ზეგავლენას.

ამ სამყაროდან მომავალი ფარული მუქარა, ადამიანის პიროვნული „მე"-ს ხელყოფის მცდელობა დახვეწილი ფსიქოლოგიური შტრიხებით აქვს გადმოცემული, როცა უფროსებისგან მაგიდის ქვეშ დამალულ ბავშვის ცნობიერებაში გარითმული სიტყვები ჟღერს:

"He hid under the table. His mother said:
- O. Stephen will apologize.
Dante said:
- O, if not, the eagles will come and pull out his eyes -
Pull out his eyes,
Apologize,
Apologize,
Pull out his eyes,
Pull out his eyes,
Apologize" (5, 224-225)

სტივენ დედალოსის, როგორც მეამბოხე ახალგაზრდა ხელოვანის მხატრული სახის ჩამოყალიბებაში განმსაზღვრელი როლი ითამაშა ორმა ფაქტორმა - საუკუნის დასაწყისის ირლანდიის სპეციფიკურმა ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ და გმირის მიერ მიღებულმა კათოლიკურმა აღზრდამ. ჯეიმზ ჯოისიც აღნიშნავდა, რომ ,,მოცემული რომანის ჩანაფიქრი წარმოშვა მისმა სურვილმა, თავი მოეყარა საკუთარი სულიერი ევოლუციის ეტაპებისათვის" (1, 104). მშობლები და სკოლა განუწყვეტლივ უნერგავენ მას იმის საჭიროებას, რომ იგი უპირველეს ყოვლისა ჯენტლმენი და ჭეშმარიტად მორწმუნე კათოლიკე უნდა იყოს, ერთგული იყოს თავისი სამშობლოსი და ხელი შიუწყოს მისი ძლიერებისა და ტრადიციების აღორძინებას. გარესამყაროს დიქტატი განსაკუთრებით იჩენს თავს სტივენისა და მის უნივერსიტეტელი ამხანაგის, ფენიათა პარტიის თაყვანისმცემელი დეივენის საუბარში. ეს უკანასკნელი განუცხადებს დედალოსს: `„A man's country comes first. Ireland first Stevie. You can be a poet or a mystic after! 6, 223) „სამშობლოს უპირველეს ყოვლისა, სტივ. ამის შემდეგ შეგიძლია იყო პოეტი თუ მისტიკოსი" (3, 180).

ხოლო პასუხად სტივენის გააფთრებული რეპლიკა ესმის: „Do you know what Ireland is? Ireland is the old saw that eats her farrow". (6, 223) „ - შენ იცი რა არის ირლანდია? ირლანდია ის ბებერი ღორია, საკუთარ გოჭებს რომ თქვლეფს". (3, 180)

დეივენის საყვედურს კი - „გულში შენც ირლანდიელი ხარ, მხოლოდ სიმაყე არ გაძლევს ამის აღიარების უფლებას", სტივენი შემდეგი ტირადით პასუხობს: „My ancestors threw off their language and took another... they allowed a handful of foreigners to subject them. Do you fancy I am to play in my own Life and person debts they made? What for?"... (6, 224) „ - ჩემი წინაპრები განუდგნენ თავის ენას და სხვა ენა მიიღეს... ერთ მუჭა გადამთიელებს დაამონებინეს თავი, და შენ ფიქრობ მე ახლა საკუთარი სიცოცხლით და საკუთარი თავით უნდა ვზღო მათი ვალები! რისთვის?" (3, 179)

სტივენ დედალოსი, ისევე როგორც თავად ჯოისი, იეზუიტურ სასწავლებელში აღიზარდა. გმირის ისტორია აქ სავსებით მიჰყვება ავტორის ავტობიოგრაფიულ მონაცემებს : ჯოისი კლონგოუზის კოლეჯში სწავლობდა, მაგრამ მალე მოუხდა მისი დატოვება. ოჯახის შევიწროვებული მდგომარეობის გამო იგი ერთი რანგით დაბალ კოლეჯში გადაიყვანეს. რომანში ეს სიტუაცია უცვლელადაა გადმოცემული. ყველა სასწავლო დაწესებულება, რომელიც ავტორმა და მისმა გმირმა განვლეს, თვით დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯის ჩათვლით, იეზუიტთა ხელთ იყო.

საკუთარი პიროვნების გადარჩენის ერთადერთ გზას სტივენი მტკივნეული სულიერი ძიებისა და ევოლუციის შედეგად აგნებს. ეს გახლავთ ხელოვნებისადმი სამსახური, ის სფერო, სადაც გმირი ბოლობდე შესძლებს თავისი თავისა და საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას. ხელოვნებისაკენ, საკუთარი დანიშნულებისაკენ მიმავალ გზაზე იგი დაუნანებლად იცილებს ყოველგვარ ბორკილებს, შემზღუდველ დაბრკოლებებს, თუნდაც მათ ისეთი ამაღლებული სახელებით ნათლავდნენ, როგორიცაა ოჯახი, სამშობლო, რწმენა.

იგი რამდენიმე სიტყვით გამოხატავს საკუთარ პროგრამას: "I will not serve that in which I no longer believe, whether it coll itself my home, my fatherland, or my church: and I will try to express myself in some mode of life or art as freely as I can and as wholly as I can, using for my defence the only arms I allow mysesf to use - silence, exile and cunning" (5, 436). „მე არ ვემსახურები იმას, რაც აღარ მწამს, რაც არ უნდა ერქვას მას - Mჩემი სახლი, სამშობლო, თუ ეკლესია. მე ვეცდები გამოვხატო ჩემი თავი ცხოვრების თუ ხელოვნების ამა თუ იმ ფორმაში ისე თავისუფლად და სრულად, როგორც შემიძლია და თავი მხოლოდ იმ იარაღით დავიცვა,

რომლის გამოყენების უფლებას ჩემს თავს მივცემ: სიჩუმით, დევნილობაში ყოფნით და ეშმაკობით“. (3, 218)

ჯეიმზ ჯოისი, მხატრულ ნაწარმოებთან ავტორისეული მიმართების მისეული კონცეფციის თანახმად, საკუთარ თავს არ აძლევს იმის უფლებას, რომ მკვეთრად კრიტიკული პოზიციიდან მიუდგეს სტივენ დედალოსის მხატვრულ სახეს. შესაძლოა, ავტორისეული დამოკიდებულების საფუძველთა ძიება გმირის სახელიდან დავიწყოთ. ეს სახელი ასოციაციას იწვეს მითიურ ხელოვანთან-დედალოსთან, მაგრამ „სიმბოლურ პლანში სტივენი არა მარტო დედალოსია, არამედ მისი ვაჟი-იკაროსიც, რომელიც გაბედულად აფრინდა ცვილის ფრთებით მზესთან. სწორედ ეს მითოლოგიური ფონი ხდება ირონიის მასაზრდოებელი წყარო, დედალოსი ხომ არა მარტო ნაყოფიერი ხელოვანი, არამედ იმ ცნობილი ჩახლართული ლაბირინთის შემქნელიც, რომელიც მეფე მინოსთვის ააგო. იკაროსი კი, მართალია მზემდე აფრინდა, მაგრამ მან მაინც ვერ შეძლო აღებული სიმაღლის შენარჩუნება, ამიტომ მისი შეუჩერებელი სწრაფვა ზემოთ უკვე საკუთარ თავში შეიცავს მომავალი დაცემის ნიშნებს“ (1, 96).

ჯეიმზ ჯოისის ირონიის მრავალპლანიანობა თავს არა მარტო სტივენისადმი მის დამოკიდებულებაში იჩენს, არამედ თავად გმირის შეხედულებაში საკუთარი თავის შესახებ. ამას მოწმობს მისი დღიურიდან ამოღებული ნაწყვეტები, რომლებიც რომანის დამაგვირგვინებელ ნაწილს წარმოადგენენ. ისინი არა მხოლოდ სტრუქტურულად აწონასწორებენ რომანის უაღრესად სუბიექტურ საწყისს, არამედ ახალი რაკურსიც შემოაქთ გმირისა და მისი გარემომცველი გარემოს ასახვაში. ნაწილობრივ იმეორებენ რა უკვე მომხდარ მოვლენებს, ისინი მათ სტივენის თვალით გვიჩვენებენ, რა, არა მარტო ახალ ნიუანსებს სძენს ამ ფაქტთა გაშუქებას, არამედ მნიშვნელოვნად გვეხმარება გმირის ხასიათის გაგებაში, რომელიც თანაბრადაა მიმართული თანაგრძნობისა და დაცინვისაკენ, პათეტიკისა და თვითირონიისაკენ.

სტივენი „ხელოვანის პორტრეტიდან“ მართლაც შეიძლება ჩაითვალოს საუკუნის დასაწყისის „აღზრდის რომანთა“ გმირებიდან ყველაზე უფრო რომანტიკულად (და სწორედ ამ რომანტიკულ პათოსს მიიჩნევდა ნაწარმოების ნაკლად მოგვიანებით ჯოისი), მაინც, რომანში გადმოცემული კონფლიქტის დაყვანა მხოლოდ ობივატელისა და ხელოვანი, გარემოსა და პიროვნების დონეზე არ იქნებოდა მართებული. აქ კონფლიქტს უფრო მრავალპლანიანი სახე აქვს - იგი ერთდროულად შინაგანიცაა და გარეგანიც, სოციალურიც და ფსიქოლოგიურიც.

ნაწარმოების პირველ თავში სტივენი გამარჯვებას მოიპოვებს ცხოვრებაზე, როცა წინ აღუდგება უსამართლო სასჯელს. უკვე შემდეგ თავში წვრილადაა აღწერილი გმირის დაუკმაყოფილებლობა ბანალური ყოფის ჩარჩოებით. ეს დაუკმაყოფილებლობა მოგვიანებით გმირის პირველ შეცოდებაში გადაიზრდება. სულიერი ზრდის შემდეგი ეტაპი რელიგიისადმი სტივენის დამოკიდებულების განსაზღვრის მცდელობაში გამოიხატება, ეჭვებით შეპყრობილი სტივენი თანდათან კარგავს რწმენას. იგი საკუთარ თავთან უთანხმოების, განხეთქილების მტკივნეულ ფაზაში შედის, რაც მხოლოდ მაშინ სრულდება, როცა იგი თავის მოწოდებას - ხელოვნებისადმი სამსახურს გაიაზრებს და თავს შემოქმედად აღიქვამს. მაგრამ ეს სტივენის ისტორიის დასასრული როდია. ეს ფაქტიურად მისი გავნითარების შემდგომი ეტაპის დასაწყისია. თვითონ ჯოისის აღნიშნავდა, რომ ამ რომანით მას სურდა ეჩვენებინა ხელოვანის სახე ზოგადად, თანაც გავნითარების გარკვეულ ეტაპზე - ახალგაზრდობისას. ცნობილია რომ, როცა მასთან ვინმე ამ რომანს შემოკლებით „ხელოვანის პორტრეტად“ მოიხსენიებდა, ჯოისი ყოველთვის დაამატებდა ხოლმე „ახალგაზრდობისას“. იგი „პორტრეტს“ თავის ახალგაზრდობის წიგნად თვლიდა, მოწიფულობის წიგნად კი „ულისე“ მიაჩნდა. ფაქტობრივად, „პორტრეტი“ Eღია ფინალის მქონე წიგნია და ჯეიმზ ჯოისის ნოვატორობაც ამაში მდგომარეობს. გმირის და მოვლენათა ხასიათის გახსნა, ფარული არსის წვდომა, რომელიც ემყარება ეპიფანიასა და შინაგანი მონოლოგის გამოყენებას, საუკეთესო რეალიზაციას პოულობს „ხელოვანის პორტრეტში“. აქ თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი ავტორისეული ჩაურევლობის, ობიექტურობის პრინციპი. ჯოისი ფაქტთა კონსტანტაციას ახდენს და არსად არ გვთავაზობს საკუთარ კომენტარებს.

სტივენი ასოცირდება მრავალ მნიშვნელოვან მითოლოგიურ, ბიბლიურ თუ ისტორიულ ფიგურასთან - დაწყებული ყოვლისშემძლე ღმერთიდან ჩარლზ პარნელით დამთავრებული. სწორედ ამის საფუძველზე სანაპიროს სცენაში სტივენის გამოჩენისას შეგვიძლია ასეთი კომენტარი გავაკეთოთ: „There comes almost Everybody“. სტივენის მხატვრული სახის განალიზებისათვის მეტად საგულისხმოდ მიგვაჩნია ნაწარმოების ერთ-ერთი უკანასკნელი ფრაზა, რომელიც ახმოვანებს სტივენის სამოქმედო გეგმას ან, სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, მის ცხოვრებისეულ კრედოს, პროგრამას, რომელსაც მრავალპლანიანი სიმბოლური ქვეტექსტი გააჩნია: "Welcome, O life! I go to encounter for the millionth time the reality of experience and to forge in the smithy of my soul the uncreatidd conscience of my race".. (6, 441)

აღზრდის რომანის ავტობიოგრაფიულობა სრულიადაც არ ნიშნავს ფოტოგრაფიულ სიზუსტეს. გმირის ბედთან სიახლოვეში თავს იჩენს ავტორის სუბიექტურ-ინტროსპექტული ასპექტი, საკუთარი თა-

ვის შეცნობა, საკუთარი ცხოვრებისეული გამოცდილების აკუმულირება მხატვრულად განყენებული ფორმით და შემდგომი ინტერპრეტაცია ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში. გმირის ისტორია რომანში თითქმის სრულად მიჰყვება ავტორის ავტობიოგრაფიულ მონაცემებს. რომანი ერთი ადამიანის ბედს, მის სულიერ ინტელექტუალურ ისტორიას მოგვითხრობს. პიროვნების განვითარება საზოგადოების ზემოქმედების შედეგად ხდება, რომელსაც საბოლოოდ გმირი თვითდამკვიდრების მიზნით უმხედრებდა.სტივენ დედალოსის მხატვრული სახე წარმოადგენს მნიშვნელოვან გასაღებს ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკის, ესთეტიკის და მისი სამწერლო ნოვატორობის მართებული გაგებისათვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას ჯოისზე, როგორც პირველსახეზე ,,ხელოვანის პორტრეტისათვის".

გამოყენებული ლიტერატურა

1. მჭედლიშვილი ჯ. - „ჯოისის ადრინდელი შემოქმედება" / „მნათობი“ 1969 №6
2. ნ. ყიასაშვილი „სკილასა და ქარიბდას შორის“ / თბ. 1992
3. ჯოისი ჯ. - ჯოისი და მისი რომანი „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას“ / თბ. „შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი“.
4. Buckley, J., Season of Youth. Harvard UP, 1974
5. Joyce 2. J. - "A Portrait of thr Artist as a Young Man" / "Pinguin Books", L. 1996
6. Joyce J. - "Dubliners" / "A Portrait of the Artist as a Young Man" / "Progress Publishers", M. 1982
7. Гениева Е.Ю. - "Джеймс Джойс" \ предисловие к книге : Y. Yoyce "Dubliners", "A Portrait of the Artist as a Young Man", M, "Progress Punlishers", 1982
8. Влодавская И.А. - "Поетика английского романа воспитания начала 20-го века". \ Киев, 1982
9. Урнов Д.М. - "Другая книга Джеймса Джойса" \ "Иностранная литература", 1976 № 12

მაყვალა (ბაია) კოღუაშვილი

ჯეიმზ ჯოისი - პირველსახე „ახალგაზრდა ხელოვანის პორტრეტისათვის"

რეზიუმე

ჯეიმზ ჯოისს, რომელიც სამართლიანადაა მიჩნეული მოდერნისტული ლიტერატურის მეტრად და „ცნობიერების ნაკადისეული" ლიტერატურის ფუძემდებლად, 2012 წლის 2 თებერვალს დაბადებიდან 130 წელი შეუსრულდა, რაც დიდი აქტივობით აღინიშნა მსოფლიო სამეცნიერო წრეებში და მათ შორის საქართველოშიც. უდაოა, ქართულ ჯოისოლოგიაზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა ვგულისხმობთ ბB-ნ ნიკო ყიასაშვილის უდიდეს წვლილს ჯოისის თარგმანებისა და საკვლევი შრომების თვალსაზრისით მკვლევართა შორის ფართოდ არის გავრცელებული აზრი იმის თაობაზე, რომ სტივენი თავად ჯოისის „ალტერ ეგო"-ა და ჩვენც არ ვუარყოფთ იმ ფაქტს, რომ მოცემული მხატვრული სახის შექმნისას ავტორმა უხვად გამოიყენა საკუთარი ბიოგრაფიული მონაცემები და ცხოვრებისეული გამოცდილება და რომ სტივენის ესთეტიკური თეორიები ხშირად აბსოლუტურად თანხვდება თავად ჯოისის მხატვრულ კონცეფციას.

გმირის ისტორია რომანში თითქმის სრულად მიჰყვება ავტორის ავტობიოგრაფიულ მონაცემებს. რომანი ერთი ადამიანის ბედს, მის სულიერ ინტელექტუალურ ისტორიას მოგვითხრობს. პიროვნების განვითარება საზოგადოების ზემოქმედების შედეგად ხდება, რომელსაც საბოლოოდ გმირი თვითდამკვიდრების მიზნით უმხედრებდა.სტივენ დედალოსის მხატვრული სახე წარმოადგენს მნიშვნელოვან გასაღებს ჯეიმზ ჯოისის შემოქმედების ძირითადი პრობლემატიკის, ესთეტიკის და მისი სამწერლო ნოვატორობის მართებული გაგებისათვის, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს მოსაზრებას ჯოისზე, როგორც პირველსახეზე ,,ხელოვანის პორტრეტისათვის".

ნაშრომში ჯოისის ბიოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით და მისი შემოქმედების ზოგად პრინციპთა ანალიზის მეშვეობით ვცდილობთ, განვიხილოთ სტივენ დედალოსის მხატვრული სახის ავტობიოგრაფიულობის, გმირისა და ავტორის იდენტურობის საკითხი, რაც ბუნებრივია, არ ნიშნავს იმას, რომ სტივენი ავტორის ფოტოგრაფიული ასლი გახლავთ. იგი უბრალოდ ერთ-ერთია ავტორის მრავალრიცხოვან ნიღაბთა შორის, რომლებიც სხვებზე გაცილებით მეტი სიზუსტით გადმოგვცემს ავტორის სუბლიმერებულ არსს. აქვეა ნაჩვენები საუკუნის დასაწყისის დუბლინის სპეციფიკური გარემო, რომელიც სტივენ დედალოსის მსგავსი ტიპაჟის შექმნის მიზეზი ხდება.

Makvala /Baia/ Koguashvili

Stephen Dedalus-an "alter ego" of James Joyce

Abstract

James Joyce, the prominent representative of Modernism and a founder of the "stream of consciousness" literature had the 130th anniversary on February 2nd,2012.The day was celebrated all over the world, including Georgia. Talking about the study of Joyce in Georgia, we must primarily mention Prof. N. Kiasashvili, who played an immense role in the introduction of James Joyce to Georgian readers by translating his works and researching various aspects of his creativity.

The scientists cherish a wide-spread view that Stephen Dedalus an "alter ego" of Joyce himself. We cannot deny the fact that while creating the given character, Joyce broadly used facts of his autobiography and his own experience. It is also clear, that Stephen's esthetic theories often coincide with Joyce's artistic concepts.

The story of the character is very close to the writer's biography. The novel tells us about the fate of a young man, uncovers his spiritual and intellectual history.

The character is shaped under the influence of the society, which he finally opposes in search of self-realization.

Study of Stephen Dedalus, as a literary character is a major step in proper understanding of the main problematic of James Joyce's creativity, his esthetics and novelty of style.

Once again, it proves the fact that Joyce is the prototype of Stephen of the "Portrait"

Finally, we trace certain similarity between the author and the character, moreover, speak about their similar character, but deny the idea that there is a photographic identity between them.

Stephen is just one mask out of the multitude of disguises that the author uses to show his own sublimated essence. We also describe the specific environment of Dublin of the period, which gave birth to a character like Stephen Dedalus.

გურამ კუტალაძე

„საერთო მოქმედების ნიადაგი“

1901 წლის 21 მარტს გაზეთში - „ცნობის ფურცელი“- დაიბეჭდა არჩილ ჯორჯაძის, იმთავითვე ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზრის განსჯის საგნად ქცეული, პუბლიკაცია - ,,საერთო მოქმედების ნიადაგი“. წერილი, თამამად შეიძლება ითქვას, საპროგრამო განაცხადია ავტორისა, რომელიც ეროვნული იდეით შემოვიდა ჩვენს დაქსაქსულ და გათითოკაცებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მალევე მისი თვალსაჩინო მოაზრე და მოსაქმე გახდა.

ეს ხანა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურული და დასაწყისი მეოცე ასწლეულისა, ღრმა ცვლილებებით აღიბეჭდა ერის ცხოვრებაში; ჩვენში, მეტროპოლიის კვალდაკვალ, ფეხს იდგამდა საბაზრო ურთიერთობა, მიმდინარეობდა ინდუსტრიალიზაცია, მაგრამ ძველის ნანგრევებზედ ამართული ახალი ,,კლასიური სოციალური შენობა“ სულაც არ დასრულებულიყო და, შესაბამისად, არც საზოგადოებრივ ფენათა თუ კლასთა ფიზიონომია იყო გამოკვეთილი. სოციალური მოდერნიზაციის ეს პროცესი ბუნებითი განვითარების ,,ლეგალურ სარბიელს“ მოკლებული ერისათვის მეტად ტკივილიანი გამოდგა: ჯერ ერთი, ცხოვრების ყველა დონესა და სფეროში მიმდინარე დენაციონალიზაციამ, რუსიფიკაციის მიზნით, უკიდურესად გაამწვავა დილემა: ,,ან გათქვეფა სლავიანთა ზღვაში ან ეროვნული კულტურის განვითარება და დაცვა ცენტრალური მთავრობის წინააღმდეგ“ (**1,72**) და მეორეც, თვალსაჩინო შეიქმნა გადაუდებელი საჭიროება სოციალური უკუღმართობის აღმოფხვრა-მოწესრიგებისა.

XX საუკუნის დასაწყისისათვის ქართული საზოგადოების შიგნით ეკონომიკურ ნიადაგზე აღმოცენებულმა წინააღმდეგობამ იდეურ-პოლიტიკურად, მეტიც, ფსიქოლოგიურადაც, ერთმანეთს დაუპირისპირა სხვადასხვა სოციალური ჯგუფი თუ ფენა (**2,268**). ტრაგიკულ რეალობად ქცეული ეს დაპირისპირება ერს სულიერად ფიტავდა, სასიცოცხლო ენერგიას აცლიდა; ქართველობის ,,აღდგომა-გამოხსნა“ ერთიანობის იდეის, მთლიანობის თვითშემეცნების გარეშე ფუჭ მეოცნებეობად რჩებოდა. ტრივიალურ ჭეშმარიტებას ვიმეორებთ, როცა ვამბობთ, რომ ეროვნული შემეცნება არაა სოციალური ფენისა თუ ჯგუფის შემეცნება, ასეთი ჯგუფი მხოლოდ ერთი უჯრედია ეროვნული ორგანიზმისა და მისი (ერთი რომელიმე სოციალური ფენის) ცნობიერების შტრიხებს ერის კულტურა ჰკვეცავს, როგორც მისი წიაღიდან აღმოცენებულსა და მასშივე მოსაქმეს. ეროვნული ცნობიერება საზოგადო ცნობიერებაა, ხოლო საზოგადოება, ერთად მცხოვრები ადამიანები ცხოვრების მოწესრიგების საჭიროებას აცნობიერებენ კერძო, ინდივიდუალური თუ ერთობლივ-საზოგადოებრივი მიზნის დასახვა-განხორციელებისათვის (**3,13**). სხვა საკითხია, რომ ყოველი ისტორიული ეპოქა ახალახალ, ნოვატორულ, რასაკვირველია, ტრადიციის წიაღიდან აღმოცენებულ შინაარსსა და მიმართულებას სძენს ამ ცნობიერებას.

არჩილ ჯორჯაძე ის უპირველესი ,,ახალთაობელია“, რომელმაც ღრმად გაიაზრა ეროვნული ყოფიერების პრობლემატიკა და ილია ჭავჭავაძის, შეიძლება ასე ვთქვათ, როგორც მასწავლებლის, მემკვიდრეობა საფუძვლად დაუდო საკუთარ კონცეფციას. მისი განმარტებით: ,,იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელიც აღძრა ჩვენმა ცხოვრებამ, ყველაზე მეტად ღირსშესანიშნავი ეროვნული საკითხია, რადგან მისი სისწორით განმარტება და ახსნა, ამავ დროს, ახსნაა სოციალური საკითხისა, რომელმაც ასე თვალსაჩინოდ დაყო და დაანაწილა ჩვენი ინტელიგენცია ერთმანეთის მოპირდაპირე დასებად“ (**2,267**). რასაკვირველია, ერის სოციალურ ფენათა შორის მზარდი ,,ეკონომიკური განხეთქილებაა,“ მაგრამ ეროვნული უბედურება მაინც ქვეყნის პოლიტიკური ბედიღბალია – ამ თეზიდან გამომდინარე მიმართავდა არჩილ ჯორჯაძე, ერთის მხრით, ქართველ მარქსისტებს იმის თაობაზე, რომ ,,რთული და საშიში საკითხი ქართველთა ცხოვრებისა ის კი არ არის, რომ ჩვენს ეკონომიურ დამოკიდებულებაში უთანხმოებაა - ის უთანხმოება, რომელიც ყველა თანამედროვე საზოგადოებათა ცხოვრებაშიცაა (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ეს უთანხმოება ჩვენში ნაკლებ მწვავეა) - არამედ ის, რომ მთელი ჩვენი ერი და ქვეყანა განსაცდელშია, რომ ჩვენს ერს თანდათან გადაგვარება მოელის. ჯერ ერი უნდა დავიცვათ და მერე ის ვიზრუნოთ, თუ რა გზაზე დავაყენოთ იგი“; და მეორეს მხრივ, ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილსაც მოუწოდებდა გამოფხიზლებისა და რეალური, ცხოვრების პირობათა შესაბამისი მოქმედებისაკენ, ,,რომელნიც ძველთა გმირთა მოგონებით გატაცებული, ოცნებობს წარსული ცხოვრების შესახებ და თვალდახუჭულს არა ჰსურს დაინახოს რთული პირობები თანამედროვე ცხოვრებისა“ (**2,268**).

დღეს აღარავინ დავობს იმაზედ, რომ ეროვნულობა ცარიელ სიტყვებად დარჩება თუ წინსვლის მოსწრაფე, საკუთარ ეროვნულ ცხოვრებაში პროგრესისა და თავისუფლების მნერგავ-მახორციელებელი ერი სოციალ-ეკონომიკურ ფაქტორებს სათანადოდ არ მოიმარჯვებს. ნაციონალური ცხოვრების აღმავლობა მუდამ და ყოველგან ეკონომიკის წინსვლის ფაქტორად ქცეულა, ეს უკანასკნელი, თავის მხრივ,

ეროვნულ წინსვლა-გაღონიერებას დადებია ბალავრად. ამას გულისხმობდა არჩილ ჯორჯაძე, როცა წერდა, რომ ,,ეროვნულ საკითხის სისწორით განმარტება და აღხსნა ამავ დროს აღხსნაა სოციალურ საკითხისა“(**1,32**).

წერილში ,,მოკამათე დასთა საერთო ნიადაგი ევროპაში“ ჯორჯაძე აანალიზებს ევროპელი სოციალისტების (გედი, ბებელი, ვანდერლენდე, ჟორესი, ბერშტეინი, ლიბკხნეტი) დამოკიდებულებას კლასთა ურთიერთობისა და ბრძოლის საკითხისადმი და დაასკვნის, რომ ევროპის პოლიტიკური საზოგადოების პრაქტიკა ,,იწვევს იდეოლოგებსა და თეორეტიკოსებს ისტორიულად შემუშავებულს ნიადაგზედ და, ხშირად მათი იდეალის წინააღმდეგ, ამ ნიადაგის მოთხოვნილებისდაგვარად ამოქმედებს. ასეთია ცხოვრებისა და თეორიის დუალიზმი ევროპის საზოგადოებაში“(**2,291**). მარქსისტულ დოგმატიკას გამოკიდებულ ქართველ სოციალ-დემოკრატებს შეახსენებდა, რომ ევროპელ სოციალისტთა თეორიულ დებულებათაგან ბევრი ეროვნული ცხოვრების საჭიროებამ იმსხვერპლა, მაგრამ ამას ,,თეორეტიკოსთა“ მხრიდან გულისწყრომა და ,,ომი“ არ მოჰყოლია; დაწინაურებული ევროპისათვის მიუღებელი შეიქმნა კლასთა ბრძოლის მარქსისტული პრინციპი, რომლის მოშველიებით ,,პრაქტიკული ცხოვრების განმარტება....სრულიად უნაყოფოა,“ – ასეთია ჯორჯაძის დასკვნა.

ასეთ, ,,ცხოვრებისა და თეორიის დუალიზმის“ ვითარებაში, ეროვნული სუვერენიტეტის პირობებში, იხვეწებოდა და იწრთობოდა დასავლური, ლიბერალურ-დემოკრატიული მსოფლმხედველობის მამკვიდრებელი, თანამედროვე ევროპის პოლიტიკური სახის შემქმნელი ინსტიტუციები მაშინ, როცა ქართველობა, მოკლებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ სახეს, საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებაში კლასთა ბრძოლის პრინციპის უზენაესობის აღიარებით გარდაუვალი კრახისაკენ მიექანებოდა.

პოლიტიკური კულტურის უქონელ ქართულ საზოგადოებაში არჩილ ჯორჯაძე შეეცადა ეროვნული საკითხის პოლიტიკური პრინციპებით განმარტებას და ერის მოაზრე ნაწილის კონსოლიდაციას მის საფუძველზე; საკუთარი დებულებანი არჩილმა ასე ჩამოაყალიბა: ,,ა) **ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა – მრეწველობის შექმნა, გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა**“. ამ სამ კონცეპტუალურ ,კითხვას“, იქვე, ,,ორი სხვაც“ დაუმატა, რათა, როგორც თვითონ ამბობს, ,,გაეგანიერებინა” საერთო მოქმედების ნიადაგი: ,,1) **ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და 2) ჩვენივე ინტელიგენცია ენერგიულად უნდა ჩაერიოს ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში**“ (**1, 8-12**).

მივყვეთ თითოეულ ამ პუნქტს:

ა) როგორც ცნობილია, ენა ეროვნული ცნობიერების, ამ ცნობიერების პროდუქტის, ერთობ ეროვნული კულტურის ნაყოფი, სიმბოლო და მეტყველებაა, ენაში თუ ენით ვლენს ის დვრიტა ეროვნული არსობისა, რასაც გერმანელები **Volksgeist**-ს, **,,ხალხის სულს“** უწოდებენ. ენის მსგავსი დაკნინების, შეკვეცის, წახდომისა და დამდარების, როგორც ეს ,,რუსობაში“ დაემართა ქართულ ენას, მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ ,,ჩვენ ერთმანეთს გადაუდექით, თავი შევიკეტეთ ჩვენს პატარა ხუხულებში და ერთი-ერთმანეთს აღარ გაველაპარაკეთ, რასაკვირველია, ენაც დაგვიმუნჯდებოდა და დაგვიკოჭლდებოდა...მეტყველების წყარო აზრია და აზრის წყარო გონებითი ცხოვრებაა...სადღაა ქართული ენა? ქართველობა გათვითოვდა, მამული, აგრეთვე, სადღა გაიბას ქართულმა ენამ თავისი ფესვი საერთო აზრიანობისათვის“ (**4,546-547**). ამ ტრაგიკულ რეალობას, ილიას გენიოსური ხედვით აღბეჭდილს, ,,ცენტრალური მთავრობის“ ერის შეთვისება-ასიმილაციისაკენ მიმართული ღონისძიებანიც ზედ დავურთოთ და ცხადლივ წარმოგვიდგება ქართულის, ,,მაგ ერის განძის“ დევნა-შევიწროების გულსაკლავი სურათი. დამუნჯება ენისა ეროვნული ენერგიის მინავლვას, ერის კულტურის წახდომისა და გადაგვარებას მოასწაქვებს. ამიტომაც კატეგორიულად წერდა არჩილი: ,,თუ მართლა ჩვენს საზოგადოებაში სამი დასი არსებობს, აი, ის პირველი საკითხი, რომელიც უნდა აერთებდეს ამ დასებს და რომლის განმარტებაში არც დიალექტურ პროცესს აქვს ადგილი და არც ეკონომიურ მატერიალიზმს“-ო (**1,9**).

ბ) არანაკლებ პრობლემას წარმოადგენდა ქართული ვაჭრობა-მრეწველობის ე.ი. კაპიტალიზმის განვითარების ხასიათი და მიმართულება ჩვენში. ეროვნულ ეკონომიკას, ჩვენი მოღვაწის ღრმა და სამართლიანი რწმენით, ქართველი ვაჭარ-მრეწველი და მუშა, მათი ერთსულოვნება საჭიროებოდა წინაღსადგომად უცხო ელემენტისა. ,,მართალია, ამ სახით შესანიშნავად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში იმისი (ქართველი მწარმოებელი მუშის, გ.კ.) მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, ხოლო ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია, თავისი კერძო კლასიური ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და ამით დაამტკიცოს თავისის ეროვნული თვითცნობიერების სიმწიფე. ჩვენთვის ფულიანი კაცები საჭირონი არიან, რადგანაც უკაცოდ ჩვენ ვერ ვაწარმოებთ ჩვენი ქვეყნის სიმდიდრეს.....ჩვენთვის საჭირო არის ქალაქებში შეგროვილი და გამრავლებული ქართველი მუშა-ხალხი, რომელიც შეჰქმნის ნიადაგს ჩვენის ერის ეკონომიურ ევოლუციისათვის“ -ასეთია ,,ცნობი სფურცლელთა“ ლიდერის დასკვნა (**1,9**).

,,საერთო ნიადაგის“ თეორიის მოწინააღმდეგეთა უმეტესი რისხვა სწორედ ამ მეორე პუნქტს დაატყდა; ქართველი მუშის ,,თვითცნობიერების სიმწიფედ“ საბჭოთა თუ მანამდელ მარქსისტ ,,კრიტიკოსებს ეროვნული საკითხის უარყოფა და უცხო ტომის პროლეტარიატთან კავშირში საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა მიაჩნდა. ერთ-ერთი პირველი ნოე ჟორდანია გამოეხმაურა ჯორჯაძის თეორიას და აღნიშნა, რომ ,,ქართველი ბურჟუაზიის ნამდვილი ბაირახტარის“ - ჯორჯაძის ერთადერთი მიზანი ,,ისაა, რომ ხელი შეუწყოს ქართული ბურჟუაზიის შექმნას და გაძლიერებას“-ო **(4),** რაშიც სავსებით მართალი გახლდათ: ჯორჯაძე კაპიტალისა და კაპიტალიზმის გაეროვნულებას იმდენად საჭირო საქმედ რაცხდა, რომ მოგვიანებით, 1911 წელს, გამოცემულ თხზულებათა მეოთხე ტომშიც საგანგებოდ აღუნიშნავს: ,,დღესაც აღვიარებ ვაჭრობა – მრეწველობის და ბურჟუაზიის ზრდის საჭიროებას ეროვნული ცხოვრების განვითარება-დაცვისათვის. ხოლო მგონია, რომ კლასთა ბრძოლის წაფარება ეროვნული ცხოვრების ფარგლებში, გადამეტებული შიშია, ეროვნული მთლიანობა კლასთა ბრძოლის საჭიროებას არ უნდა აქარწყლებდეს, რადგან ეს ბრძოლა წარმატების ერთი ფაქტორთაგანია“ **(1,9).**

გ) მესამე პუნქტი ,,საერთო ნიადაგისა“ უდიდეს განსაცდელში ჩავარდნილ ქართულ მიწისმფლობელობასა და ქართულ მეურნეობას შეეხება. მოვუსმინოთ თვით ავტორს: ,,ჩვენი მიწისმფლობელი თავადაზნაურობის მომეტებული ნაწილი კარგავდა თავის მამულებს. ჩვენი ბანკები, მიწადმფლობელის სასარგებლოდ დაარსებულნი, იმის მტრად გადაიქცნენ, რადგან მამულების გაყიდვის პროცესი დააჩქარეს“. სამწუხაროდ, ქართულ მიწა-მეურნეობას, უფრო ხშირად, ფულიანი უცხოელები ეპატრონებოდნენ, ეს კარგადაა ნაჩვენები XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაშიც; ,,.....საკითხმა, თუ ვის დარჩება ამოდენა ქართული მამული, ღრმად უნდა დაგვაფიქროს და აგვაცილოს ის შეცდომა, რომელშიც ადვილად გავებმევით, თუ ამ მოვლენას დოქტრინის თვალით შევხედავთ, ჩვენი აზრით - წერს არჩილი - ჩვენ ყოველი ღონისძიება უნდა მოვნახოთ, რომ გასაყიდი მამულები ან ქართველმა გლეხკაცმა შეიძინოს, ან კიდევ ქართველმა ვაჭარმა, მრეწველმა და საზოგადოდ იმათ, ვისაც მეტი ღონე აქვს გარეშე პირობებთან ეკონომიკური ბრძოლისათვის“ **(1,10).**

აქ, საგანგებოდ მივუთითებთ, რომ ჩამოთვლილი სამი პუნქტი ნათლად მიგვანიშნებს არჩილ ჯორჯაძის უღრმეს იდეურ ნათესაობაზე ილია ჭავჭავაძესთან, რომელმაც ტყვედპყრობილი შრომის ,,ახსნა-სუფევა“, ეროვნულ ცხოვრებაში მისი ,,კაცთმოყვარების სახიერებით“ განმტკიცება ქვეყნის ,,აღდგომა-გამოხსნის“ უპირობო გზად დასახა. ადამის ძის მაადამიანებელი ზნეობითი და გონებითი ნება თავისუფლებისადმი, საამსოფლო ,,ნიჭთა“ თანასწორად მფენი, ნამდვილ სახეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ თავის-უფლებისა და თანასწორობაში ავლენს, თანასწორობაში, რომელიც, ისევ ილიას მოვიშველიებთ, საკუთარი ამაღლებისთვის სხვას ძირს არ დასწევს, არცა ვის დაემონვის და არცა იმონებს. ილია ჭავჭავაძე, ვითარცა მამამთავარი ქართული ლიბერალიზმისა, შრომის ,,ახსნა-სუფევას“ იმ ბალავრად რაცხს, რომელსაც ინდივიდის და ინდივიდთა კრებულის, ერის, პოლიტიკური და ეკონომიკური თავისუფლება დაეშენება. ილია რეფორმატორია ქართული კულტურისა, არსებითად გარდამქმნელი ქართველთა ცნობიერების, მისი, ამ კულტურის, ევროპეიზაციისათვის. ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძის ეს რეფორმატორობა ტრადიციული ხასიათისა გახლდათ, ეროვნული ტრადიციის (რაც იგივე ცხოვრებაა) წიაღში ჩასახული და მომწიფებული, (შესაბამისად, ტრადიციულობა - ნოვატორული). ილიამ შეძლო, კონფუცური სიბრძნის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, სიტყვებისათვის მნიშვნელობის აღდგენა-დაბრუნება, რათა ადამიანებს, მთელს ერს, მოეღვაწა თავისუფლება, ადამიანის არსობის, მისი შემოქმედების ერთადერთი მიზანი და პირობა. ჭავჭავაძემ შემოაცალა სიტყვა მამულსა და მამულიშვილობას რუსულ-ქვეშევრდომობის განცდა, გაანგრია და გააგანიერა მისი ,,ტყრუშულ ღობეშემოვლებული“ მიჯნები; ყიფიანისა და ორბელიანის თაობამ თავისებური ხატი შექმნა სამშობლოსი და მისი მსახურების ფორმულაც ჩამოაყალიბა - ,,ერთგულ ქვეშევრდომობა ხელმწიფე იმპერატორისა და კეთილმოსაქმეობა მამულისათვის“. ,,თვითრჯულმა“ ცხოვრებამ მოითხოვა და ილია ჭავჭავაძემ, თავის პიროვნებაში მატარებელმა და მასახიერებელმა ქართველობის პოლიტიკური სახის, დროებით წართმეულის, ახალი ქართული დროება შექმნა, ამ სიტყვის უმწვერვალესი მნიშვნელობით და მამულიშვილობის ფორმულაც მის შესაბამისად გარდაქმნა-ჩამოასხა - ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს.“

მეოცე საუკუნის დასაწყისიდან, ახალ ფაზაში შესულ ეროვნული მოძრაობას ილიას ,,მოწაფე“ ახალთაობა მეთავეობდა, რომელმაც ,,გადაწყვიტა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხის წმინდა პოლიტიკურ ნიადაგზე დაყენება და მის გადასაწყვეტად საკუთრივ პოლიტიკურ მეთოდებზე გადასვლა“ **(6)**. ახალთაობის გამოსვლას არც ამ შემთხვევაში ჩაუვლია ,,მშვიდად და უკონფლიქტოდ. მოწაფეებმა მასწავლებლის ტაქტიკა ,,მოძველებულად მიიჩნიეს და ამ საგანზე პატარა აზრთა შეხლა-შემოხლასაც ჰქონდა ადგილი. განმეორდა, ოღონდ გაცილებით მცირე მასშტაბით, ,,მამათა და შვილთა“ ძველი ამბავი “**(6).**

სამსონ ფირცხალავა თავის ,,მოგონებათა ფურცლებში“ წერს: ახალთაობის მეორე ჯგუფიც - ,,ცნობის ფურცლიდან“ - მომდურავი იყო: უწუნებდნენ ილიას და საზოგადოდ ძველს მოღვაწეებს უყურადღებობას სოციალური საკითხებისადმი და განსაკუთრებით ბრძოლის მეთოდების თაობაზედ საყვედურობდნენ ილია ჭავჭავაძეს; იმ ილიას, ვინც მათივე თქმით, ,,აღგვზარდა მამულიშვილებად, თავისუფლებისა და საზოგადოებრივი სიმართლის მოტრფიალედ.....გაგვაცნო ჩვენი ვინაობა და შეგვაყვარა ქართველი ხალხი“ **(7, 67-76).**

როგორც ვიცით, ნაციონალისტ ,,ახალთაობელთა“ ლიდერსა და ილიას შორისაც იყო ერთგვარი უთანხმოება. სამსონ ფირცხალავასავე გადმოცემით: ,,ილია რომ ,,მესამედასელებს“ ეკამათებოდა, ხანდახან სოციალ-ფედერალისტებსაც გადაჰკრავდა და არ. ჯორჯაძეს არ წყალობდა. უცხოეთში დავაარსეთ ქართული ჟურნალი ,,საქართველო“, რომელიც ფარულად შემოდიოდა ჩვენში. ყველაფერ ამას დიდი ხარჯი სჭირდებოდა და ილიას მივმართეთ, დაგვხმარებოდა ქველმოქმედ მდიდარ დ. სარაჯიშვილთან შემწეობის გამოსათხოვრად: ,,ილიამ უარი გვითხრა, რომ გაიგო არ. ჯორჯაძეა ჟურნალის ხელმძღვანელი“ **(7, 67-76).** მიუხედავად ილიას ასეთი განწყობისა, რომელსაც ჩვენი ღრმა რწმენით, არჩილ ჯორჯაძის სოციალისტური ფრაზეოლოგია ედო საფუძვლად, ეს უკანასკნელი ილიას ღირსეული დამფასებელი და მისი ეროვნულ-თეორიული ნააზრევის გამგრძელებლიც შეიქმნა.

დ) საქართველოს ისტორიის მანძილზე ქართველი ინტელექტუალი მამულიშვილის ღვწის ერთი უმთავრესი მიმართულება სახალხო - საგანმანათლებლო საქმიანობა იყო. ქართული მწერლობის მთელი ენერგია ხომ ქართველობის განათლება – გაგონიერების საქმეს ხმარდებოდა. ქართველი კაცის გონითი თვალთახედვის გაფართოება, მისი ე.წ. ,,მსოფლიო მოქალაქედ“ ქცევა უპირველეს პირობასა და საშუალებას წარმოადგენს ,,საღი ერის“ ზრდისა და მისი სრულფასოვანი ეროვნული შემოქმედებისა. ამიტომაც ,,კულტურტრეგერობა“ ქართველი ინტელიგენციის მამულიშვილური მოსაქმეობის ტრადიციული ფორმა გახლავთ თაობიდან თაობაში, საკუთარი ვინაობაში ჩაღრმავებისა და ეროვნული ცხოვრება-კულტურის დაცვა-განვითარებისათვის; ავისა და კარგის გამრჩევი, ცხოვრების ცოდნით აღჭურვილი ერის მოამაგე და მოჭირნახულე მამულიშვილები უთუოდ სახალხო კულტურული მოღვაწენიც იყვნენ.

როცა ვამბობთ ,,მსოფლიო მოქალაქე“, სულაც არ ვგულისხმობთ კოსმოპოლიტს, ან, თუნდაც, უნივერსალურ, თანამედროვე გლობალური მსოფლიოს ,,უეროვნებო“ მოქალაქეს. ვთვლით, რომ ,,მსოფლიო კულტურის“ ათვისება, გონითი თვალსაწიერის გაფართოება, ქმედითი გზაა საკუთარ ავ-კარგში გარკვევისა, დაწინაურებულ, პროგრესისათვის პირველ რიგებში მებრძოლ ერთა კვალად, ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების დაცვისა და განვითარებისა. ამას უნდა გულისხმობდეს არჩილ ჯორჯაძე, როცა წერს: ,,ეროვნული ფორმების საშუალებით მომზადება ქართველი ხალხის შესათვისებლად და შესაფერებლად მსოფლიო კულტურისა“.

ე) ცნობილი ფაქტია, რომ XIX –XX სს. მიჯნის ქართველობა საქალაქო თვითმართველობის წარმომადგენლობით ორგანოებში ფაქტიურად არ მონაწილეობდა, რაც, სხვა რიგის ფაქტორებთან ერთად, ,,ფულიანი კაცების“ უკმარობით, გათითოულებითა და, ამდენად, მოქალაქეობრიობის, ე.ი. სოფლისათვის ,,ზრუნვის“ მამულიშვილური განცდის უკმარობით იყო გამოწვეული. ამავდროულად, არჩილის სიტყვებით, თვითმართველობიდან ,,განდევნილი ქართველის წინააღმდეგ არჩევნების დროს სხვა ტომთა შეთანხმებული ნაციონალური ძალა მოქმედებს ხოლმე“**(1,13).** ეროვნული მოსაქმე თვითმმართველობაში მონაწილეობით პოლიტიკურ ცოდნას, სათანადო მეთოიდებსა და პრინციპებს, დააგროვებდა საჭირო პოლიტიკური გამოცდილებას, მეტად საჭიროს ეროვნული ცხოვრების ინსტიტუციონალიზებისათვის. ,,ამ მიზნის მისაღწევად, აცხადებს ავტორი, ჩვენი ეროვნული გაერთიანებაა საჭირო, სწორედ ამისათვის ჩვენა ვდებთ ეროვნულ პრინციპს საერთო მოქმედების საფუძვლად“**(1,15).**

უკვე ითქვა, რომ ჯორჯაძისათვის ეროვნული პრობლემატიკა უმალ პრაქტიკულ-პოლიტიკური ხასიათის პრობლემატიკაა, ვიდრე თეორიულ-ფილოსოფიური. მან, თანახმად ,,წინამდებარე დროისა და ადგილისა“, გასაგები ენით აუწყა ქართველ ხალხს ახალი პოლიტიკურ რეალობის შესახებ. მისთვის ინდივიდის არსებობის, მისი სიცოცხლისა და შემოქმედების პირობა თავისუფლებაა, არა ,,მეტაფიზიკურად“ ახნილი და განმარტებული, როგორც თვითონ ამბობს, არამედ როგორც ,,სრულიად ბუნებრივი მოვლენა ადამიანისათვის, განავითაროს ფიზიკური და სულიერი თვისებანი“, ხოლო ასპარეზი ამდაგვარ თავისუფლებისა ერის ცხოვრებაა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ერი არჩილ ჯორჯაძესთან თავისუფლების სუბიექტად გვევლინება, ამდენად, პოლიტიკური ბრძოლის მიზანი ერის, ეროვნული კულტურის დაცვა და განვითარებაა, ვითარც აუცილებელი პირობისა ,,ადამიანთა თავისუფლად განვითარებისათვის“ და იმდენად შესაწყნარებელის, რამდენადაც იგი ,,სავსებით ეხმაურება ამ დანიშნულებას“ **(1,6-7)**. მთელი ნააზრი არჩილ ჯორჯაძისა მთავრდება ძალზედ საგულისხმო დასკვნით: ,,ამ ჟამად ორი რამა გვაქვს საზრუნავი: **ა) შესწავლა და განმარტება იმ ცხოვრების ეკონომიკურ და სულიერ პროცესისა, რომელიც, თანამედროვე პირობების შეფარდებით, ქართული ეროვნების ხასიათში გამოისახება და ბ) ამ ეროვ-**

ნულ ფორმების საშუალებით მომზადება ქართველი ხალხის შესათვისებლად და შესაფერად მსოფლიო კულტურისა“ (1,7. ხაზგასმა ჩვენია, გ.კ.).

პირველი სამი პუნქტი ,,საერთო მოქმედების ნიადაგისა“ ის ფუძე-ბალავრია, რომელსაც ქართველი ერის ტრადიციული ყოფა ემყარება, მისი საარსებო და სააზროვნო სამყარო ან, რაც იგივეა, საზოგადოდ ,,ქართველობა“, როგორც სოციალ-ეკონომიკური და უფლებრივ-პოლიტიკური სისტემა. ნებისმიერი საზოგადოება, სადაც ერთობის, ერთ ერად ყოფნის პოლიტიკური წადილი მომწიფებულა მსგავს ნიადაგზე გაერთიანებულა. გონიერ, სიცოცხლისა და თავისუფლებისადმი ნების მექონ და მავლინებელ ქართველს, მოსწრაფეს ერად ,,აღდგომა-გამოხსნისა“, ამ ნიადაგზე უნდა მოეწყო და გაჩარხებინა საქმე, რათა აღედგინა წარსულთან გაწყვეტილი კავშირი და თავისი განვითარების ბუნებით გზაზე გასულიყო. ერის ,,ყოფიერების“ უზრუნველყოფა, მისი არსებობისათვის ბუნებითი პირობების მოპოვება ასეთ ,,საკონტრაქტო“ გარემოს გულისხმობს, რაც, თავის მსვლელობაში, პოლიტიკური პრინციპების აღიარებისაკენ, ერის პოლიტიკური თავისუფლებისაკენ ისწრაფვის. ეროვნული სუვერენიტეტის მოპოვება, ნაციონალური სახელმწიფოს დაარსება ამ და მსგავს პრინციპთა რეალიზაციის შედეგია.

რაც შეეხება ბოლო ორ პუნქტს არჩილის ფორმულასა მიგვაჩნია, რომ მათში ავტორის მწყობრი თეორიული სისტემის პრაქტიკულ-პოლიტიკური განხორციელების მექანიზმია ჩამოყალიბებული. ცხოვრებამ ახალი მოთხოვნა წაუყენა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ ინტელიგენტს, მოდერნული ,,ეკონომიური და სულიერი“ პროცესები ახლებურ მიდგომას საჭიროებდა, მათ შორის, საქალაქო თვითმმართველობაში მონაწილეობას, რათა ამ გზით სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება შეეძინა და სამომავლოდ დაეუნჯებინა.

საკუთარი კონცეფციის მარცხის თაობაზე არჩილ ჯორჯაძე მოგვიანებით წერდა: ,,საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის საერთო მოქმედება იმ შემთხვევაშია მხოლოდ შესაძლებელი, როდესაც, ერთის მხრივ,ამ ჯგუფთა ფიზიონომიაა ნათლად გამორკვეული და, მეორეს მხრივ, როდესაც პოლიტიკური სიმწიფე თითოეული ჯგუფისა იმდენად არის განვითარებული, რომ პოლიტიკურ ეროვნული ხასიათის განსაცდელის წინაშე საერთო მოქმედების პრინციპი მათთვის აუცილებელ და ბუნებრივ მოვლენად ხდება. ჩვენში კი იმ ხანაში ჯერ კიდევ არამცთუ დამთავრებული და გარკვეული სახის საზოგადოებრივი ჯგუფები არ არსებობდნენ, არამედ იმათ მხოლოდ იმ დროს დაიწყეს განცალკევებული ვინაობის და ფიზიონომიის გამორკვევა-გამოსახვა“. არათუ იმ დროს, გვიანაც, ჩვენში საბოლოო სახით ვერ გამოიკვეთა განცალკევებული ,,ფიზიონომიის“ ჯგუფები და, რაც მთავარია, სოციალური თანასწორობისა და სიმდიდრის განაწილების ქიმერულ ფრაზეოლოგიას ადევნებული ნაწილი ქართული პოლიტიკური ძალებისა, ეროვნულობის, ეროვნული სახელმწიფოს დაარსების საწინააღმდეგო კურსს დაადგა.

შეთანხმება ვერ მოხერხდა, საერთო ნიადაგის ავტორი, მისივე სიტყვებით, ,,განკერძოებული და განმარტოებული დარჩა საზოგადოებრივ ასპარეზზე“, თუმცა, ხაზგასმით აღვმიშნავთ, რომ არჩილ ჯორჯაძის წამოყენებული დებულებანი ის ,,საკონტრაქტო“ საფუძველია რაზეც დაშენებულა ერის ერთობ ცხოვრება-კულტურა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **არჩილ ჯორჯაძე, თხზულებანი, წიგნი 1, ტფ., 1911**
2. **არჩილ ჯორჯაძე, სამშობლო და მამულიშვილობა, თბ., 1990,**
3. Лебон Г., Психология народов и масс, СПБ., 1905
4. **ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, თბ., 1984**
5. **გაზეთი ,,კვალი“, 1901, #25**
6. **მ. ნანეიშვილი, ქართველი ინტელიგენცია, რას წარმოადგენს იგი დღეს, გაზ. ,,შანსი“, 1995,# 16**
7. **ს. ფირცხალავა, მოგონებათა ფურცლები, თბ., 1988**

გურამ კუტალაძე

„საერთო მოქმედების ნიადაგი“

რეზიუმე

„საერთო მოქმედების ნიადაგში“ არჩილ ჯორჯაძემ წამოაყენა კონცეპტუალური დებულებანი ქართული საზოგადოების ეროვნული იდეის გარშემო საკონსოლიდაციოდ: ,,ა) **ქართული ენის დაცვა, ბ) ქართული ვაჭრობა – მრეწველობის შექმნა, გ) ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში შერჩენა**“. დ) **ჩვენმა ინტელიგენციამ სახალხო კულტურული მოღვაწეობა უნდა იკისროს და ე) ჩვენივე ინტელიგენცია ენერგიულად უნდა ჩაერიოს ქალაქის თვითმმართველობის არჩევნებში**“ .

საგანგებოდ მივუთითებთ, რომ ჩამოთვლილი პუნქტები ნათლად მიგვანიშნებს არჩილ ჯორჯაძის უღრმეს იდეულ ნათესაობაზე ილია ჭავჭავაძესთან, რომელმაც ტყვედეპყრობილი შრომის ,,ახსნა-სუფევა“, ეროვნულ ცხოვრებაში მისი ,,კაცთმოყვარების სახიერებით“ განმტკიცება ქვეყნის ,,აღდგომა გამოხსნის“ უპირობო გზად დასახა.

სამწუხაროდ, ერის მოაზროვნე ნაწილი ვერ აღმოჩნდა საამისოდ მომწიფებული. კონცეფციის ავტორი, ეროვნული მთლიანობის შუამავლად და ხიდად მოწოდებული, მისივე სიტყვებით, პრაქტიკულად ,,განკერძოებული და განმარტოებული დარჩა საზოგადოებრივ ასპარეზზე“.

Guram Kutaladze

„Common Ground For Action“

Abstract

In publication “Common Grounds for Action” Archil Jorjadze offered the following conceptual statements on national idea of Georgian society for consultation: a) Protection of Georgian language, b)Georgian Trade – industry development, c)Retain Georgian industry in possession of Georgians, d) Our intelligentsia was to take over cultural activities, e) Our intelligentsia should take active part in self-government elections of the city.

Unfortunately, the intelligent part of the nation didn’t turn up to be mature for these activities. The author of the above-mentioned conception, prominent public figure was left alone to fight for the future of Georgian community.

ელზა ლომიძე

შემეცნება და აზროვნება კომუნიკაციაში

შესაძლო ასპექტების შემდგომი ანალიზისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ცნებას "ცოდნა", მის ფორმებსა და კავშირებს. მეცნიერებისთვის ცნობილია ცოდნის მრავალგვარი ფორმები, რომლებიც შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფს მოაქვს ინფორმაციები, ანუ ცოდნა მოვლენების, საგნებისა და თვისებების შესახებ, რომლებიც პასუხობენ კითხვაზე "რა უნდა ვიცოდეთ?", მეორე ჯგუფი ეს არის ცოდნა მოქმედების, შექმნის ხერხებზე, ის პასუხობს კითხვაზე "როგორ უნდა ვიცოდეთ?". აქ კიდევ ერთი რამ უნდა დავაზუსტოთ - რაღაცის ცოდნა ჯერ არ გვაძლევს იმის ცოდნის გარანტიას, თუ როგორ მოქმედებს ეს რაღაც. მაგალითად, ძველ ეგვიპტელებს შეეძლოთ საკმაოდ ზუსტად ეწინასწარმეტყველათ მზის დაბნელება, მაგრამ მათ ამ მოვლენის არსი არ იცოდნენ.

კომუნიკაციაში სიმბოლოს შესახებ შემდგომი მსჯელობისთვის ჩვენთვის მნიშვნელოვანია დავაფიქსიროთ, რომ ყოველ მიღებულ ცოდნაში შედის არა მხოლოდ ცხადი ელემენტები, არამედ დაფარულიც, რომლებიც ხშირად პირველი წარმოდგენისას საერთოდ არ ჩნდება. ისევე, როგორც ყოველი ხალხი თავისი კულტურისა და ცხოვრების მდინარებაში, ცნებებში, მიზნებსა და საქმეებში, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ უნიკალურიცაა და ხედავს სამყაროს თავისეულ სურათს, რომელიც მის სულში ძევს.

ცოდნისა და გაგების საკითხები ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების მომენტთან არის დაკავშირებული. ცოდნის დაგროვება და მისი გააზრება სამყაროს და მასში მოქმედების საშუალებების გაღრმავებულ გაგებას ემსახურება. "აზრის", "ავტორიტეტის", "ტრადიციის", "ჰერმენევტული წრის" გაგება-განმარტება-გარკვევა. ანტიკურ მითოლოგიაში ღმერთი ჰერმესი არა მარტო მჭევრმეტყველებას, მაგიას, ელჩებსა და ქადაგებს, არამედ ღმერთთა მაცნეებსაც მფარველობდა, რომლებსაც ადამიანებისთვის მათი გზავნილები მიჰქონდათ. ის მათ განმარტავდა, რათა გზავნილები მოკვდავთათვის მისაწვდომი, გასაგები ყოფილიყო. ჰერმესის სახელი ეწოდა მეცნიერებას - ჰერმენევტიკა, - და ის განმარტების ხელოვნებას ნიშნავს.

შემდგომში ჩვენ არ შევეხებით გაგების ფილოსოფიურ პრობლემებს, თუმც აღვნიშნავთ მის ეფექტურობას სოციალურ კომუნიკაციაში. ფსიქოლოგები არ სწყალობენ ტერმინს "გაგება" და მას "მიღებას" ამჯობინებენ.

სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია გაგების დიალოგური ხასიათი, მისი ეფექტურობის ანალიზისას შეიმჩნევა არა თანხმობა, არამედ ინტერესთა შეჯახება, რაც ანალიზის წანამძღვარს წარმოადგენს. "ჭკვიანისთვის ნართაულიც საკმარისიაო," - ამბობს ხალხური სიბრძნე. მაგრამ ნართაული იმ ადამიანისთვის არის საკმარისი, რომელიც უკვე ფლობს აზრობრივი მთლიანის ცოდნას და ამიტომაც უადვილდება მიღებული შეტყობინების კონსტრუირება.

კომუნიკაციისა და მისი სივრცის საკითხი ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების თანაფარდობის პრობლემებს აწყდება. მას არა მხოლოდ კომუნიკაციისა და სივრცის შესახებ წარმოდგენების ანალიზისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ ადამიანთა პრაქტიკის სხვა პრობლემების გადაწყვეტისთვისაც.

"უნივერსალური ცოდნა სამყაროს შესახებ, როგორც წესი, ჰიპოთეზურია, თავის ფესვებს ის არა მხოლოდ ობიექტურ სამყაროში, არამედ ადამიანთა ინდივიდუალურ პრაქტიკაშიც იღებს. ადამიანური შემეცნების ისტორიაში კი მრავალჯერ დადასტურდა ის ჭეშმარიტება, რომ მოცემული ეპოქის სამყაროს ონთოლოგიური სურათის აბსოლუტიზირება არ შეიძლება". (Мостепаненко, 1974, ст.5). რა კავშირი აქვს ცნობილი ფილოსოფოსის მ. მოსტეპანენკოს მოსაზრებებს ჩვენს თემასთან? შესაძლოა ეს კავშირი იმ სინამდვილის მრავალრიცხოვან პარადოქსულ თავისებურებებშია, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, დროისა და სივრცის თვისებაში, რომლებიც არც ერთხელ და სამუდამოდ არის მოცემული და არც უცვლელია. ჩვენ კი სივრცობრივ-დროითი მრავალფეროვნება გვაინტერესებს როგორც მსოფლიოს მოვლენათა (წარსულის, ახლანდელის და მომავალის) მრავალფეროვნება. თუ სივრცე წერტილებისგან შედგება, ხოლო დრო მომენტებისგან, მაშინ ერთიანი სივრცე - დროის "სამშენებლო მასალას" მოვლენები წარმოადგენს. ამასთან მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას წარმოადგენენ ისინი: შესაძლონი არიან თუ "ნამდვილები", "კარგები" თუ "ცუდები". ფილოსოფიისთვის მათი თვისობრივი თავისებურებები კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ სივრცისა და დროის მახასიათებლები. ნებისმიერი მოვლენა ოთხი რიცხვით განისაზღვრება: მოვლენის ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი სამი სივრცის კოორდინატით და დროის პარამეტრით. მრავალი უპიროვნო მოვლენის შიგნით არსებობს მნიშვნელოვანი პარადოქსი, რომელსაც საფუძვლად წარსულად, აწმყოდ და მომავლად დაყოფა უდევს.

ვინაიდან სამყაროს შეცნობადობის პრინციპი საკმაოდ ფართო გაგებით იხმარება, ჩვენ უფლებას მივცემთ საკუთარ თავს მთელი მატერიისთვის ერთიანი უნივერსალური სივრცობრივი ფორმის არსებობის მოხმობით პოზიციების სიმრავლე ყოველდღიური საღი აზრის პოზიციებიდან განვიხილოთ, მას კი "არ შეიძლება გააჩნდეს რაიმე განსხვავება საკუთარი თავისგან თავად არსებობის პირობების მხრივ. უფრო მეტიც, დასკვნა სამყაროში სივრცისა და დროის ფარდობათა მრავალფეროვნების შესახებ მატერიისა და ადამიანის ამოუწურავობის პრინციპიდან გამომდინარეობს, რამეთუ ნადირობის და ნებისმიერი სხვა საქმიანობის ორგანიზება ადამიანებს შორის გაღრმავებული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. "ჯერ კიდევ კაცობრიობის განთიადისას წარმოშობილი კომუნიკაცია, როგორც გააზრებული შეტყობინებების

ნიშნური ფორმით გაცვლის პროცესი, ადამიანის სოციალური ყოფიერების აუცილებელ ელემენტად იქცა“ (Шерковин, 1973, ст. 3). საზოგადოება ვითარდებოდა, დაწყებული სულ პირველი სტადიებიდან და ამ განვითარებას თან ახლდა ურთიერთობის საშუალებათა სრულყოფა. ის ძიების გზით მიემართებოდა მოლაპარაკე ტამტამიდან სულ უფრო ტევადი არხებისკენ.

დამწერლობის გაჩენამ ზეპირი სიტყვის ფიქსაციის მეშვეობით ახალ-ახალი ფაქტების დაგროვებისა და ადრინდელი ცოდნის გადაფასების საშუალება შვა.

მომავალი თაობებისთვის ერთობლივი შედეგების, როგორც მრავალი ადამიანის მიერ დროსა და სივრცეში დაფიქსირებული ენერგიის გადასაცემად. სწორედ ადამიანის ქცევის, მისი საქმიანობის ნიშნური რეგულაციის პრინციპი გახდა მისი ფილოგენეტიკური განვითარებისა და ცხოველთა სამყაროსგან შემდგომი გამოყოფის ფსიქოლოგიური საფუძველი. კომუნიკაციის მიერ თანდათან გამოიდევნებოდა ურთიერთობაში ათასწლეულობით გაბატონებული იმიტაციის საშუალება და ეს დაფიქსირებული სიტყვის, სიმბოლოს, ხატ-სახის მეშვეობით ხდებოდა. ასე გადაუშალა ნიშნურმა კომუნიკაციამ ადამიანს არა მხოლოდ ვიტალური მოთხოვნილების, ცივი ლოგიკის გადაცემის შესაძლებლობა, არამედ მის ფსიქოლოგიურ საქმიანობაში ასახული აზრების, ემოციური განცდების უმცირესი ნიუანსებიც.

დროთა განმავლობაში კოლექტიური, საზოგადოებრივი ცხოვრების ორგანიზაციის ფორმათა გართულების კვალდაკვალ ადამიანის ცნობიერებაში, ყოფიერებაში ახალმა თვისებამ – ინფორმაციაზე დამოკიდებულებამ, იმის ცოდნის მოთხოვნილებამ იწყო დომინირება, თუ როგორ ხდება სხვა ინდივიდის რეალური სამყაროს ათვისება.

ახლა უკვე დამკვიდრება იწყო პირადი გამოცდილების სინთეზმა, “მეორე ხელიდან“ მიღებულმა გამოცდილებამ, როგორც ადამიანის სოციალური თვისებების ფორმირებისა და კვლავწარმოქმნის გადამწყვეტმა პირობებმა.

ინფორმაციული პროცესები ჯერ კიდევ ანტიკური დროიდან იყო ადამიანთა ყურადღების საგანი, შეტყობინებების გადაცემის ყველაზე ეფექტური საშუალებების ძიება ელინთა სულიერი კულტურის ნაწილი იყო, რაზეც მეტყველებს ორატორული ხელოვნების წარმოშობა და განვითარება. უნდა აღინიშნოს, რომ მასობრივი კომუნიკაცია მეცნიერული გააზრების საგანი გასული, XX საუკუნის 60-იან წლებში გახდა, მაშინ დაიწყო კომუნიკაციების გაუგონარი ბუმი. მთელი საუკუნის მანძილზე მათი როლი საზოგადოებაში განუხრელად იზრდებოდა და ამ სოციალურ-კულტურული ფენომენის ახალ მხარეებს წარმოაჩენდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა როლიდან გამომდინარე, მნიშვნელოვნად იცვლებოდა საინფორმაციო ნაკადების მასშტაბები და ფორმები, სამეცნიერო ლიტერატურაში ეს ფაქტი მოიხსენიებოდა როგორც კომუნიკაციური რევოლუცია. სიმბოლოს როლის განსაკუთრებული ეფექტურობის განხილვისას ეს ვითარება სერიოზულად უნდა იქნას გათვალისწინებული კომუნიკაციის სივრცეში. ჩვენ პრეტენზიას არ ვაცხადებთ მოცემული თემის გახსნა-გაშუქებაში ფუნდამენტურ სიახლეებზე და შეძლებისდაგვარად გამოვკვეთავთ ხარისხობრივი ცვლილებების რეტროსპექტივას, რევოლუციის შინაარსსა და რაოდენობას, რომლებმაც ძნელად საცნობად შეცვალეს ის, რაც ახლა კომუნიკაციად იწოდება.

კომუნიკაციაში პირველი გარდაქმნა პერიოდული პრესის გაჩენასთან არის დაკავშირებული. მაგრამ აქ ზუსტი თარიღები გადამწყვეტი არ გამხდარა, იმ გაგებით, რომ პრესის დაბადების საუკუნედ XVII საუკუნე ითვლება, “წინარევოლუციური სიტუაცია“ კი მხოლოდ XIX საუკუნის 30-იან წლებში მომწიფდა. ჩვენი მოსაზრებები ისტორიული მონაცემებით განმტკიცებას საჭიროებს. აღნიშნული დრო პრესის მასობრივ აუდიტორიაზე ორიენტაციის დროდ იქცა. ჟურნალ-გაზეთები გასცდა მკითხველთა ვიწრო, რჩეული წრის საზღვრებს, იმ დროისთვის არნახული ტირაჟის ზრდით საზოგადოებაში რეალური ძალაუფლება მოიპოვეს და ამის წყალობით საზოგადოების მეწარმე ნაწილმა იწყო მისი, როგორც ბიზნესის განხილვა, სადაც წარმოებული საინფორმაციო საქონელი ყოველთვის პოულობდა მყიდველს.

მაგრამ გარდაქმნათა სახელდებით რევოლუციურ საწყისად, რა თქმა უნდა, XX საუკუნე უნდა ჩაითვალოს, რომელმაც ევროპულ ცივილიზაციას წიგნიერების ფართო გავრცელება და საყოველთაო არჩევნების უფლება მოუტანა. აღნიშნული მომენტების ურთიერთდაკავშირებულობის ამოსაცნობად დიდი ძალისხმევა არ არის საჭირო მომდევნო ნაბიჯი ხარისხობრივ გარდაქმნაში, ბუნებრივია, რადიო გახდა, ტექნიკური პროგრესის შედეგებს “უმავთულო ტელეგრაფის“ გამოყენებით ფუნქციიდან ნამდვილ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე გადასვლა მოჰყვა. ოპერატიული ინფორმაციის გაყიდვის კონკრეტულ აქტს, როგორი სამწუხარო გასახსენებელიც უნდა იყოს, სათავე საოკეანო ლაინერის, “ტიტანიკის“ დაღუპვის ტრაგიკულმა ფაქტმა დაუდო. 1912 წლის სამმა დღემ გადატრიალება მოახდინა რადიოს შესახებ არსებულ წარმოდგენაში. ამერიკული კომპანია “Marconi Company“-ის ინჟინერი დავით სარნოვი სამი დღის განმავლობაში იღებდა და შიფრავდა უბედურების სიგნალს კატასტროფის ადგილიდან. როგორც ისტორიკოსები აღნიშნავენ, “ტიტანიკი“ “მარკონის“ რადიოაპარატურით იყო აღჭურვილი, ამიტომაც ერთგვარი გაგებით მას განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებოდა მის ბედ-იღბალზე. ეს კომპანია სამაშველო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ უმდიდრესი ოპერატიული მასალის პირველი მფლობელი გახდა, თავის რადიოსაქონელს ის ძალზე ძვირად ასყიდიდა მასობრივ პრესას.

კომპანია “მარკონის“ ნიუ-იორკის განყოფილების შიკრიკმა, რომელმაც უმავთულო კავშირის (რადიოს) ოპერატორის პროფესია აითვისა, 1912 წლის 14 აპრილს ნიუ-იორკში პატარა რადიოსადგურში მორიგეობისას პირველმა შეძლო ტრაგიკულ ლაინერ “ტიტანიკიდან“ პატარა რადიოსიგნალის მიღება, სარნოვმა ცნობა კატასტროფის შესახებ გაზეთებს აცნობა და კატასტროფის ადგილიდან ყველაზე ახლო მდგომ გემებს განგაშის სიგნალი გადასცა, კერძოდ, მან მოახერხა კავშირი დაემყარებინა “ოლიმპიკთან“ და მიეღო ცნობა იმის შესახებ, რომ “ტიტანიკი“ ჩაიძირა, ხოლო გემი “კარპატია“ ლაინერის ავარიის

მსხვერპლთა გადარჩენას ცდილობდა. ეს სიგნალი ეთერში რომ გადასცა, სარნოვი უშუალოდ "კარპატიასთან" რადიოკავშირის დამყარებას შეეცადა.

რადიოპულტზე სამდღიანი უწყვეტი მორიგეობის უზრუნველსაყოფად აშშ-ს პრეზიდენტმა გარფილდმა ბრძანება გასცა დროებით შეეჩერებინათ ყველა რადიოსიგნალი.

საბოლოო ჯამში ამ ტრაგედიის შემდეგ ფირმა "მარკონიმ" უდიდესი პოპულარობა მოიპოვა, თითოეული მისი აქციის ფასი 55-დან 225 დოლარამდე გაიზარდა. 1919 წელს კომპანია "ამერიკენ მარკონის" ბაზაზე "ჯენერალ ელექტრიკის" ხელშეწყობით შეიქმნა კომპანია "არ-სი-ეი" ("რადიოკორპორეიშენ ოფ ამერიკა"), დავით სარნოვი მისი გენერალური დირექტორი გახდა.

"ჯე" პირველ ადგილს იკავებს საერთაშორისო კომუნიკაციებში. კომპანიამ სიტყვაში 17 ცენტად - ტრანსატლანტიკური კაბელით გადაცემულზე ერთნახევარჯერ იაფად - დაიწყო რადიოპროგრამების გადაცემა ევროპაში. რადიოს გენიალური შემქმნელების ალექსანდრ პოპოვისა და გულიემო მარკონისგან განსხვავებით (რომლებიც რადიოში მხოლოდ კავშირგაბმულობის ახალ საშუალებას ხედავდნენ), დევიდ სარნოვმა საზოგადოებას რადიოს საშინაო დასვენების ორგანიზებისთვის გამოყენება შესთავაზა. ამრიგად, ორიოდ წლის შემდეგ ინვესტირების განხორციელების შედეგად შეიქმნა რადიომაუწყებლობა, რომელიც არა მარტო შედგა როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალება, არამედ ერთგვარად შეავიწროვა კიდეც ბეჭდვითი პრესა ახლა უკვე მათთვის საერთო საინფორმაციო სივრცეში. ამ ისტორიულმა ფაქტმა, რომლის საფუძველში არაპირდაპირ "ტიტანიკის" ათასობით მგზავრის ტრაგიკული ბედი იყო, მზარდ საკომუნიკაციო რევოლუციას გარკვეული იმპულსი შესძინა.

თუ პირველი საკომუნიკაციო-ბეჭდვითი რევოლუცია ჩამოყალიბების სტადიაში მყოფი ცივილიზაციის წიაღში 300 წლის განმავლობაში მწიფდებოდა, რადიოგარღვევამ 10-ჯერ გაზარდა თავისი ტემპი, 30 წლის შემდეგ მსოფლიომ ახალი ტექნიკური რევოლუცია განიცადა.

მესამე კომუნიკაციური მოვლენა ტელევიზიის ტრიუმფალური მოვლენა გახდა, რომელიც დღეს მსოფლიო აუდიტორიის 90 პროცენტს მოიცავს. გასული ასწლეულის 50-60-იან წლებმა პრინციპულად შეცვალა საინფორმაციო სიტუაცია მსოფლიოში და სერიოზული განაცხადი გააკეთა მთელი კონტინენტების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზემოქმედების განსაკუთრებულ ფაქტორზე.

შემდგომში ტელევიზია უბრალოდ მასობრივი ინფორმაციის საშუალება კი არ ხდება, არამედ სინთეტიკური მასიური ხელოვნების ახალი სახეობა, რომელსაც შეუძლია გადამჭრელი კორექტივები შეიტანოს სახელმწიფოთა პოლიტიკურ რეფორმებში. მკვლევარი პ. უშაკოვი თავის დროზე პრეზიდენტ ჯონ კენედისა და სსრკ-ს ხელმძღვანელის ნიკიტა ხრუშჩოვის პოპულარობის მიზეზს იმაში ხედავს, რომ ორივენი შოუმენების სახით წარდგნენ, რომლებიც როგორი უცნაურიც უნდა იყოს, პირველ რიგში აუდიტორიას ართობდნენ. თითოეული მათგანი მასებში წარმატებას საკუთარი გამორჩეული ნიჭის წყალობით აღწევდა.

ტელეკომუნიკაციები ახალი, მეოთხე რევოლუციის წინ ამკვიდრებდნენ საკუთარ მიღწევებს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ამ სახეობის გადამჭრელი გამარჯვება მდგომარეობდა სათანამგზავრო და საკაბელო კომუნიკაციების განვითარებაში, კომპიუტერული ქსელების გაჩენაში, რამაც უზარმაზარი საინფორმაციო ველის, გლობალური, ტრანსკონტინენტალურ მასშტაბებამდე მიგვიყვანა. ტედ ტერნერი, მის მიერ განხორციელებული პროექტი CNN ფორმულით კაბელი+ თანამგზავრი= მსოფლიო აუდიტორია. და მსოფლიო მძაფრსიუჟეტიანი კინემატოგრაფის საპირწონედ იმავე შინაარსს ღებულობს ახლად გაჩენილ ტელეფენომენში, რეალითიშოუში. (Ушаков П. 2009.).

ყველაზე თვალსაჩინო ნაშრომები ახალი საინფორმაციო ეპოქის შესახებ გამოჩენილი კანადელი მკვლევარის, პროფესორ მარშალ მაკლუენის 60-იანი წლების წიგნები იყო, რომლის კონცეფციის საკვანძო დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ ისტორიის მამოძრავებელი ტექნოლოგიათა ცვლაა, რომელსაც თავის მხრივ კომუნიკაციათა საშუალების ცვლა იწვევს. მაკლუენს მიაჩნდა, რომ საზოგადოების ტიპი მნიშვნელოვანწილად მასში გაბატონებული კომუნიკაციების საშუალებით განისაზღვრება. კანადელმა მეცნიერმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გამოწვეული ბევრი დღევანდელი საზოგადოებრივი პრობლემა განჭვრიტა. (McLuhan M, 1967).

ლიტერატურა

1. Debre P. (2001). Cours de mediologie generale. Gallimard.
2. Giraig P. (1999). Communication. Theory as a Field, Communication Theory .
3. McLuhan M. (1967). Understanding Media. New York.
4. Луман Н. (2003). Что такое коммуникация? Москва.
5. Мостепаненко А. (1974). Пространство и время в макро- мега-микромире. Москва.
6. Почепцов Г. (2001). Коммуникативные технологии двадцатого века. Москва.
7. Робакидзе Г. (2003) Чаша Брааля. Тбилиси.
8. Ушаков В. (2009). Медиа рилейшнз. Основные аспекты взаимодействия СМИ и public relations. Москва.
9. Шерковин Ю. (1973). Психологические проблемы массовых информационных процессов. Москва.
10. . Юнг К. Человек и его символ. http://lib.mex.ru/books/20643

ელზა ლომიძე

შემეცნება და აზროვნება კომუნიკაციაში

რეზიუმე

ცოდნისა და გაგების საკითხები ადამიანის გარე სამყაროსთან ურთიერთქმედების მომენტთან არის დაკავშირებული. ცოდნის დაგროვება და მისი გააზრება სამყაროს და მასში მოქმედების საშუალებების გაღრმავებულ გაგებას ემსახურება. ისტორიის მამოძრავებელი ტექნოლოგიათა ცვლა კომუნიკაციათა საშუალების ცვლას იწვევს. საზოგადოების ტიპი მნიშვნელოვანწილად მასში გაბატონებული კომუნიკაციების საშუალებით განისაზღვრება. კომუნიკაციისა და მისი სივრცის საკითხი ფილოსოფიისა და ბუნებისმეტყველების თანაფარდობის პრობლემებს აწყდება. მას არა მხოლოდ კომუნიკაციისა და სივრცის შესახებ წარმოდგენების ანალიზისთვის აქვს დიდი მნიშვნელობა, არამედ ადამიანთა პრაქტიკის სხვა პრობლემების გადაწყვეტისთვისაც.

Elza Lomidze

Cognition and Thinking in Communication

Abstract

The issues of knowledge and understanding are connected to the moment of interaction of a man with outer space. Knowledge gathering and its comprehension serves advanced understanding of the world and the means of activity in it. The change of technologies furthering the history causes the change of means of communication. The type of society is substantially determined by communications predominant in it. The issue of communication and its space faces the problems of correlation of philosophy and natural history. It is important for the analysis of the concept about communication and space as well as for solving of other problems of the people's practice.

გიორგი მათიაშვილი

არავერბალური კომუნიკაციის სპეციფიკა

„სხეულის ენა გამოხატავს იმას, რასაც ადამიანი ამბობს სიტყვების გარეშე და იგი არასდროს ტყუის“

ჯერარდ ნირენბერგი, ჰენრი კალერო.

ურთიერთობის პროცესში ძალზე მნიშვნელოვანია არავერბალური კომუნიკაცია, რომელსაც მრავალფეროვანი ფორმები გააჩნია – სხეულის ენა(პოზები, ჟესტები,მიმიკა); ვიზუალური; აკუსტიკური(ხმის ტემბრი, ინტონაცია); ტაქტილური (შეხების შეგრძნება); ოლფაქტორული (ყნოსვითი შეგრძნება). არავერბალური არხებით ადამიანს შეუძლია მრავალხრივი და უტყუარი ინფორმაციის მიღება ან გაცემა. სპეციალისტები თვლიან, რომ არავერბალური კომუნიკაციები დამატებით შეავსებენ, ამდიდრებენ, ხოლო ზოგჯერ ჩაანაცვლებენ კიდეც ვერბალურ კომუნიკაციებს.

პროფესორ რეი ბერდვისტლის მტკიცებით, რიგითი ადამიანი, ჩვეულებრივ, დღის მანძილზე ლაპარაკობს მხოლოდ 10 –11 წუთს, ყოველი წინადადების წარმოთქმას სჭირდება არა უმეტეს 2,5 წამისა. ამ მონაცემებზე დაყრდნობით ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ადამიანის კომუნიკაციის მთელი მოცულობის 35%–ს შეადგენს სიტყვიერი (ვერბალური) ურთიერთობა, ხოლო ინფორმაციის 65% არავერბალური საშუალებებით გადაიცემა. ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევები ადასტურებენ არავერბალური კომუნიკაციების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ურთიერთობის პრიცესში. ამერიკელმა მკვლევარმა ალბერტ მერაბიანმა დაადგინა ურთიერთობის დროს ადამიანის საპასუხო რეაქციების 55 % აღიქმება ვიზუალურად; 38% აღიქმება ხმით; მხოლოდ 7% მოდის რეალურ სიტყვებზე, რომლებსაც ადამიანი წარმოთქვამს. „ადამიანები ენდობიან იმას, რასაც ხედავენ - პოზებს, ჟესტებს და მიმიკას, შემდეგ ხმის ნიუანსებს და მხოლოდ ბოლოს - სიტყვებს.“ (Бутмен Н - 85). შესაძლოა მეცნიერების დასკვნები ურთიერთობის საერთო მოცულობაში კომუნიკაციის ვერბალური და არავერბალური ფორმების პროპორციების შესახებ გადაჭარბებულიც კი იყოს, მაგრამ ტენდენცია – ურთიერთობის პროცესში არავერბალური კომუნიკაციის მნიშვნელობის გათვალისწინებისა – თვალსაჩინოდ იკვეთება.

ადამიანები არავერბალურ ენას ყოველთვის აქცევდნენ ყურადღებას და ადექვატურადაც აფასებდნენ მას. ამაზე მეტყველებს თუნდაც ენაში დამკვიდრებული ფრაზეოლოგიზმები: „სიხარულს ასხივებს“, „სიკეთით სავსე მზერა,“ შეშინებულ ან შემცბარ ადამიანზე ამბობენ – „გახევდა“, დამწუხრებულზე – „სახე გაუქვავდა“, გაბრაზებას ან შეცბუნებას გამოხატავს „სახე აელეწა“, ნერვიულობას ასახავს „ტუჩებს იკვნეტს“, „თავზე ხელი შემოიკრა“ –დანანებაზე მიუთითებს, ხოლო გლოვას გამოხატავს „ლოყებს იხოკავს“ და ა.შ.

გასულ საუკუნეებში არავერბალური ენის საფუძვლიან ცოდნაზე მეტყველებს სერვანტესის „დონ კიხოტის ერთ-ერთი ეპიზოდი: „. . . ყურადღება დაძაბე, რომ მასთან შეხვედრის არც ერთი წვრილმანი მეხსიერებიდან არ ამოგივარდეს: შეეცვლება თუ არა სახე, როცა ჩემს დავალებას გადასცემ; აღელდება ან აიმღვრევა თუ არა ჩემი სახელის გაგონებისას ; მიესვენება თუ არა ყურთბალიშს[1] იმ შემთხვევაში, თუკი, როგორც მის დიდებულებას შეჰფერის, მდიდრულად მორთულ ტახტზე მჯდომარემ მიგიღო, ხოლო თუ მდგომარე დაგხვდა, კარგად დააკვირდი და დაიხსომე, ფეხს ხომ არ მოინაცვლებს ხოლმე[2]; ორჯერ თუ სამჯერ ხომ არ გაგიმეორებს პასუხს; ანაზდეულად ხომ არ შეიცვლის სინაზით სავსე მზერას და წყრომით არ შემოგხედავს, ანდა, პირიქით, კუშტად მზირალი ასევე ანაზდად ხომ არ გახდება ალერსიანი; ხანდახან მაინც თუ ასწევს ხელს, რომ თმა შეისწოროს , თუნდაც შესასწორებელი არა ჰქონდეს რა[3]; მოკლედ, თვალყური ადევნე, შვილო ჩემო, მის თვითეულ მოქმედებას და მოძრაობას, რადგან, თუ ზუსტად მომახსენებ ყველაფერს, სულ ადვილად ამოვიცნობ მისი სულის იდუმალ ზრახვას და იმასაც, თუ რას განიცდის ჩემ მიმართ. რადგანაც უნდა იცოდე, თუ უკვე არ იცი, სანჩო, რომ შეყვარებულთა მოქმედებაცა და გარეგნული მოძრაობაც, როცა მათ სიყვარულს ეხება საქმე, ყველაზე სანდო მაცნენი არიან, უტყუარად რომ გვიმჟღავნებენ ყველაფერს, რაც მათი სულის სიღრმეში ხდება.“[მიგელ დე სერვანტეს საავედრა, 73–74.] ასე არიგებს დონ კიხოტი სანჩო პანსას, როდესაც დულსინეასთან აგზავნის.

---

[1] გრძნობების მოძალების, დიდი ემოციის გამომხატველი პოზა.

[2] ტანის სიმძიმის ერთი ფეხიდან მეორეზე გადატანა, ტერფების ხშირი მონაცვლეობა ადამიანის აღელვებას გამოხატავს

[3] ”ქალები, იმისთვის, რომ თავისი ინტერესი გამოხატონ ვინმეს მიმართ,სხვადასხვა ჟესტს იყენებენ. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია - თმაზე ხელის გადასმა, ვარცხნილობის შესწორება” როგორც ნირენბერგი და კალერო გვ.: 197.

ზემოთ მოყვანილი მაგალითები არავერბალურად გამოხატულ კონკრეტულ ინფორმაციას გვაწვდის, იმავდროულად, ეს ინფორმაცია ემოციების, გრძნობების სფეროსთანაცაა დაკავშირებული. უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სიტყვებით, უმეტესწილად, ფაქტობრივი ინფორმაცია გადმოიცემა, მაგრამ გრძნობების სრულფასოვნად გამოსახატავად მხოლოდ სიტყვები არ არის საკმარისი. ალან პიზი ადასტურებს, რომ ვერბალური საშუალებები უფრო მეტად გამოიყენება ფაქტობრივი ინფორმაციის გადასაცემად, ხოლო არავერბალურად თანამოსაუბრეთა ემოციები და გრძნობები გამოიხატება.

ასე რომ, სხეულის ენა, საერთოდ, არავერბალური კომუნიკაცია, საკმაოდ ინფორმაციულია და ვერბალურთან ერთად ბევრად უფრო ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ადამიანს, ვიდრე ცალ–ცალკე რომელიმე მათგანი, ამიტომ კომუნიკაციის დროს ორივეს გათვალისწინება საჭიროა და მნიშვნელოვანი, რადგან ორივე წყაროდან წამოსული ინფორმაცია სრულად ასახავს ადამიანის ჭეშმარიტ აზრსა და გრძნობას. ისტვუდ ატვატერი წერს, რომ არავერბალურ სიგნალებს შეუძლია დაადასტურონ, ხოლო ზოგ შემთხვევაში უარყონ ზეპირი შეტყობინება. მართლაც, არის შემთხვევები, რომ ორივე ფორმა კომუნიკაციისა ერთმანეთთან ჰარმონიაშია, მაგრამ როცა ვერბალური ინფორმაცია, სიტყვები არ შეესაბამება, მეტიც, ეწინააღმდეგება არავერბალურ ქცევას, ადამიანმა უნდა გაითვალისწინოს, რომ არავერბალური ინფორმაცია უფრო სანდოა, ვიდრე ვერბალური. გავიხსენოთ ზემოთ დამოწმებული დონ კიხოტის სიტყვები: „...მოქმედებაცა და გარეგნული მოძრაობაც... ყველაზე სანდო მაცნენი არიან, უტყუარად რომ გვიმჟღავნებენ ყველაფერს, რაც მათი (ადამიანების – გ.მ.) სულის სიღრმეში ხდება.“ არავერბალური სიგნალები ეხმარება ადამიანს თანამოსაუბრის სიტყვების სწორ ინტერპრეტაციაში. ჯონ ადაირი, რომელიც სხვადასხვა გამოკვლევის შედეგებით სარგებლობს, აღნიშნავს, რომ ცხოველთა სამყაროში, რომელიც შემოიფარგლება არავერბალური ანუ არალინგვისტური კომუნიკაციით, ინფორმაცია თითქმის ყოველთვის ერთმნიშვნელოვანია და განსხვავებული ინტერპრეტაციის შესაძლებლობას არ ქმნის. ადაირი წერს: „“კომუნიკაციას მეტყველების გამოყენების გარეშე, ბევრად უფრო ნაკლებად ახასიათებს შეცდომები.“ [Адаир Джон,23]. ანუ ბევრად უფრო სანდოა. “გამოკვლევებმა აჩვენა, რომ არავერბალური სიგნალები ხუთჯერ მეტი ინფორმაციის მატარებლები არიან, ვიდრე წარმოთქმული სიტყვები, ამიტომ, როდესაც თქვენ ხედავთ წინააღმდეგობას სიტყვებსა და ჟესტებს შორის, უფრო მეტად უნდა ენდოთ არავერბალურ შეტყობინებას” [Пиз Аллан – 24]. “როცა ვამბობთ, რომ ვგრძნობთ თანამოსაუბრის სიტყვების სიყალბეს, სიცრუეს, სინამდვილეში ვხედავთ შეუსაბამობას თანამოსაუბრის წარმოთქმულ სიტყვებსა და მის ჟესტებსა და პოზას შორის”[Пиз Аллан -13].

არავერბალური ურთიერთობა განსაკუთრებით ღირებულია იმით, რომ, ჩვეულებრივ, იგი სპონტანურია და ვლინდება გაუცნობიერებლად.ადამიანი ძალზე იშვიათად აცნობიერებს თავის მოძრაობებს, რომლებიც, რიგ შემთხვევაში, თანამოსაუბრეს სულაც არ ეუბნება იმას, რასაც წარმოთქვამს მისი ხმა.” [Пиз Аллан - 12] ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები აწონ-წონიან საკუთარ სიტყვებს, ცდილობენ გააკონტროლონ საკუთარი მიმიკა, ჟესტიკულაცია, მაინც ხშირია დაფარული გრძნობების “გაჟონვა” მიმიკაში, ჟესტებში, ინტონაციაში, ხმის შეფერილობაში. აადამიანს არ შეუძლია სხეულის ენის იმიტაცია. ქვეცნობიერი სიგნალები ავტომატურად, წარმოთქმული სიტყვებისგან დამოუკიდებლად მოქმედებენ. მაგ.: როცა ადამიანი ტყუის, ხელი პირისკენ მიაქვს, თითქოს პირზე უნდა რომ აიფაროს, რადგან ქვეცნობიერად ცდილობს, არ მისცეს თავს ცრუ სიტყვების წარმოთქმის უფლება.

შესაძლოა ადამიანი ცდილობდეს თავისი ჭეშმარიტი ზრახვების დაფარვას, მაგრამ შეუსაბამობა ყალბ, ხელოვნურ ჟესტებსა და ჭეშმარიტ მიკროსიგნალებს შორის მაინც თვალსაჩინო იქნება. თვით თავისი საქმის ოსტატ, ჩინებულ მსახიობსაც კი ყოველდღიურ, ყოფით ცხოვრებაში არ შეუძლია არავერბალური სიგნალების დამორჩილება. მსახიობი ზურაბ ყიფშიძე ერთ–ერთ ინტერვიუში ამბობს: ”აზარტული კი ვარ, მაგრამ ძალიან ცუდი მოთამაშე . . . პოკერში სულ ვაგებდი და მიკვირდა, რატომ-მეთქი. მეგობარმა მითხრა მერე, კარგი კომბინაცია რომ გიჭირავს ხოლმე ხელში, სახეზე გეტყობა ყველაფერიო, არადა, პოკერი ხომ სულ ბლეფზეა აგებული და. . . “ [ზურაბ ყიფშიძე]

ასე რომ, კომუნიკაციის არავერბალური ფორმების კარგად ცოდნა, მისი ვერბალურ ქცევასთან მიმართებით განხილვა და შეფასება, იძლევა კომუნიკაციის მაქსიმალურად ეფექტურად წარმართვის შესაძლებლობას.

სანდოობასთან ერთად არავერბალური სიგნალების კიდევ ერთი მახასიათებელი არის მისი უნივერსალურობა, კერძოდ, ეს არის არავერბალური, არალინგვისტური ენა, რომელსაც, უმეტეს შემთხვევაში, თარგმნა არ სჭირდება. „ ურთიერთობებში გამოყენებული ჟესტების უმრავლესობა, აბსოლუტურად ერთნაირია მთელ მსოფლიოში. როცა ადამიანები ბედნიერები არიან, იღიმებიან, როცა ბრაზობენ, – იღუშებიან.“[Пиз Аллан 15–16.] როგორც ემერსონი ბრძანებდა: “ადამიანის თვალები ისევე ბევრ რამეს გავაუწყებენ, როგორც მათი მეტველება, და ამ ენისთვის არ არის საჭირო ლექსიკონი, მთელი მსოფლიოს ადამიანებს ესმით იგი.“ გამოკვლევებით დადგინდა, რომ ადამიანის სახის მრავალი გამომეტყველება,

რომლებიც სხვადასხვა ემოციას გადმოსცემენ, საერთოა ყველა ადამიანისთვის, მიუხედავად განვითარების დონის, ინტელექტის, კულტურული გარემოს განსხვავების, რასისა და ა.შ. ამ შემთხვევაში ლაპარაკია თანდაყოლილ ქცევაზე, ამასთან, უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ არსებობს შეძენილი, ნასწავლი ქცევაც, რომელიც „. . . დამოკიდებულია ადამიანის სოციალურ როლზე და მის მახასიათებლებზე, ისინი (ქცევის ფორმები - გ.მ.) განსხვავდებიან ერთმანეთისგან კულტურის ტიპიდან გამომდინარე. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ სხეულის ენის უნივერსალური, საყოველთაოდ გასაგები და ტიპური გამოვლინებები, გენეტიკურიც და შეძენილიც, ბევრად უფორო მეტია, ვიდრე განსხვავებული.

კომუნიკაციის პროცესში წარმატების მიღწევის ერთ–ერთი მნიშვნელოვანი პირობაა ინფორმაციის სწრაფი გააზრება, შეფასება და ადეკვატური მოქმედება. ამ თვალსაზრისითაც არავერბალური სიგნალები საჭირო, სანდო და დროული ინფორმაციის წყაროა.

ვიდრე ადამიანებს შორის ვერბალური კონტაქტი შედგება, საუბრის დაწყებამდე ისინი ერთმანეთს ვიზუალურად აღიქვამენ და პირველ (საწყის) ინფორმაციას არავერბალური არხებით იღებენ. „სხეულის ენის ცოდნა დაგეხმარებათ შენიშნოთ ნეგატიური დამოკიდებულება მანამ, ვიდრე ეს განწყობა სიტყვიერად გამოიხატება, ასეთ შემთხვევაში თქვენ მეტი დრო გრჩებათ სხვა სტრატეგიის გამოსაყენებლად" [Пиз Аллан 121] "ჟესტების ენა ორმოცდაათი პროცენტით განაპირობებს გარშემომყოფთა შესაძლო რეაქციას და იმ ვარაუდებს, რომლებიც აქვთ ადამიანებს თქვენთან კონტაქტში შემოსვლისას. ამის შესახებ თქვენ თითქმის არასოდეს ფიქრობთ, ხოლო, როდესაც ზემოაღნიშნულ გარემოებას გაიცნობიერებთ, მოვლენებს ორმოცდაათი პროცენტით დაასწრებთ." [Бутмен Николас - 76 .]

ზემოთ ჩვენ შევეხეთ არავერბალური ურთიერთობის ეფექტის მომტან ფაქტორებს, უნივერსალურობას, „წინმსწრებ" ინფორმატიულობას, სანდოობა–უტყუარობას, მაგრამ ეს ყოველივე ეფექტის მომტანი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ გავითვალისწინებთ კონტექსტს,რომელშიც არავერბალური კომუნიკაცია მიმდინარეობს.

არსებობს ფაქტორები, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ სხეულის ენაზე და, კონტექსტიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განაპირობებენ მათ სწორ გაგებას. აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, რომ სხეულის ენის სწორი გაგება შეუძლებელია კონტექსტის გათვალისწინების გარეშე ალან პიზს მოჰყავს მაგალითები: თუ ადამიანი ზამთრის სუსხში გადაჯვარედინებული ხელებით და ფეხებით, მკერდზე მიბჯენილი ნიკაპით ავტობუსის გაჩერებაზე ზის, მისი პოზის თავდაცვით პოზად შეფასება არ იქნება სწორი, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანს, უბრალოდ, სცივა. თუ ადამიანი უნდილად, უღონოდ გართმევთ ხელს, ეს მის სუსტ ხასიათზე, ნებისყოფაზე მეტყველებს, თუმცა ასეთივე ხელის ჩამორთმევა შესაძლოა ახასიათებდეს ართრიტით დაავადებულ ადამიანს, რომელსაც ხელის ჩამორთმევა ტკივილს ჰგვრის და სრულიადაც არ ასახავს მისი ხასიათის თვისებას.

ჟესტების სრულფასოვნად გასაგებად კონტექსთან ერთად მნიშვნელოვანია მათი კომპლექსში, ერთიანობაში შეფასებაც. "როგორც ნებისმიერი სხვა ენა, სხეულის ენა შედგება სიტყვების, წინადადებების, სასვენი ნიშნებისაგან. ყოველი ჟესტი ცალკე სიტყვაა, ხოლო სიტყვას შესაძლოა მრავალი განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდეს.. . . სიტყვის ზუსტი მნიშვნელობის გაგება მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ სიტყვას წინადადებაში, სხვა სიტყვების გარემოცვაში ჩავსვამთ." [Пиз Аллан -22] ჟესტების გაგება ძალზე რთულია ხოლმე, თუკი მათ სხვადასხვა ელემენტს ცალცალკე გნვიხილავთ. მაგრამ როდესაც ისინი ურთიერთქმედებაში განიხილება, მთელ სურათს ნათელი ეფინება.."[Ниренберг Джерард, Генри Калеро - 17.]

სხეულის ენას მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება შეუძლია კომუნიკაციის დროს კეთილგანწყობის ატმოსფეროს შესაქმნელად, კერძოდ, ფსიქოლოგიური ზეგავლენის ერთ–ერთი სახეობა არის მიბაძვა, რომელსაც ნიკოლას ბუტმენი მოიხსენიებს ტერმინით სინქრონიზაცია. "მოახდინეთ თქვენი ყველა ჟესტის სინქრონიზება მეორე ადამიანთან. ეს არის ნდობის მოპოვებისა და კონტაქტის დამყარების ყველაზე სწრაფი საშუალება"[Ниренберг Джерард, Генри Калеро – 81].

ჟესტებთან ერთად ყურადღება უნდა მიექცეს ხმის მახასიათებლების კოორდინირებას (სინქრონიზაცია), რაც იძლევა შედეგიანი ურთიერთობების გაუცნობიერებლად დამყარების შესაძლებლობას. "შეარჩიეთ თქვენი თანამოსაუბრისთვის დამახასიათებელი განწყობა, ენერგეტიკა, ტემპი. ხმის ამ თავისებურებებს განაპირობებს სიჩქარე, ხმის ტემბრის სიმაღლე, ტონი, ხმამაღლობა.ძალიან მარტივია ყველაფერი - ისე არაფერს არ გამოყავს მოთმინებიდან სწრაფად მოლაპარაკე ადამიანი, როგორც ზომიერ ტემპში მოლაპარაკე ადამიანს, ისე არაფერი აღიზიანებს ხმადაბლა მოლაპარაკე ადამიანს, როგორც სატელეფონო ხაზის მეორე მხრიდან წამოსული ხმამაღალი საუბარი,ისე არაფერი აღაშფოთებს რბილი ხმის ადამიანს, როგორც მტკიცე, ხისტი, მბრძანებლური ხმა."[Ниренберг Джерард, Генри Калеро -83].

არავერბალური ენის ფლობა და სწორი გამოყენება, აგრეთვე, სხვა ადამიანის არავერბალური ქცევის კონტროლი და შეძლებისდაგვარად მართვა, კომუნიკაციის სასურველ ფარგლებში მოქცევისა და წარმართვის შესაძლებლობას იძლევა.

ექსპერტების რეკომენდაციით ურთიერთობების წარმართვისას მეორე მხარეს ისეთი პოზის მიღება უნდა ვაიძულოთ, რომ მისმა სხეულის მდგომარეობამ, პოზამ განაპირობოს მისი განწყობა, დამოკიდებულება. თუკი სხეულის ენა გამოხატავს ადამიანის შინაგან მდგომარეობას, განწყობას, შესაძლოა პირიქითაც მოხდეს – პოზის შეცვლამ შესაძლოა განაპირობოს შინაგანი განწყობის შეცვლა, მაგალითად თუ ნეგატიური განწყობის გამომხატველ ან დახურულ პოზას შევცვლით პოზიტიური შინაგანი მდგომარეობისთვის დამახასიათებელი პოზით, შესაძლოა ადამიანის განწყობაც შეიცვალოს, იგი უფრო გახსნილი, კეთილგანწყობილი იქნება. მაგალითად, ერთ–ერთი კონკრეტული პოზის შესახებ ალან პიზი წერს: „არსებობს გარკვეული კავშირი გადაჭდობილი თითების განლაგებასა და ნეგატიურობის ხარისხს შორის. უფრო რთულია იმ ადამიანის მართვა, რომელსაც გადაჭდობილი თითები ვერტიკალურ მდგომარეობაში უჭირავს.[Пиз Аллан -39]. თანხმობის მიღწევა უფრო ადვილია იმ ადამიანთან, რომელსაც გადაჭრობილი თითები ჰორიზონტალურად ან დაბლა დაშვებული აქვს.[Пиз Аллан -78]. საერთოდ, რადგან ეს ჟესტი გამოკვეთილად ნეგატიური შეფერილობისაა, ამიტომ სასურველია,ურთიერთობის დროს შეეცადოთ და პარტნიორს თითები გაათავისუფლებინოთ, ხელისგულები გააშლევინოთ. [Пиз Аллан -78].

გულხელის დაკრეფა უნივერსალური ჟესტია, რომელიც მიუთითებს თავდაცვაზე ან ნეგატიურ დამოკიდებულებაზე. როდესაც თქვენი თანამოსაუბრე გულზე ხელს დაიკრეფს(გადაიჯვარედინებს), ეს ნიშნავს, რომ თქვენ ისეთი რამ თქვით, რაც მას არ მოეწონა. გახსოვდეთ, რომ, სანამ მას ხელები გადაჯვარედინებული აქვს, ნეგატიური განწყობა უნარჩუნდება, ამიტომ ეცადეთ შეაცვლევინოთ პოზა. მაგ.: 1) მიაწოდეთ რაიმე (კალმისტარი, წიგნი, ფურცელი . . ., ამ შემთხვევაში იგი იძულებული იქნება შეიცვალოს პოზა, გაშალოს ხელისგულები და წინ გადმოიხაროს. ამგვარად თანამოსაუბრე უფრო გახსნილი და ყურადღებიანი გახდება. 2)ს თხოვეთ წინ გადმოხრა რაღაცის დასათვარიელებლად ან წასაკითხად. . . ‘’ [Пиз Аллан -117]. თუ მოლაპარაკებების დროს ერთი მხარე კოჭებთან გადააჯვარედინებს ფეხებს, ეს ადამიანი არ არის განწყობილი რაიმეს დასათმობად, მაგრამ, თუ ადამიანს როგორმე შევაცვლევინებთ პოზას, მან შესაძლოა განწყობაც შეიცვალოს[Пиз Аллан – 141].

ყოველივე ზემოთქმული თვალსაჩინოდ გამოკვეთს არავერბალური ენის სწორად აღქმის და გააზრების, ცოდნისა და გამოყენების მნიშვნელობას, რისთვისაც აუცილებელია მისი საფუძვლიანი შესწავლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მიგელ დე სერვანტეს საავედრა, „მახვილგონიერი იდალგო დონ კიხოტ ლამანჩელი“, მეორე ნაწილი, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი. გამომცემლობა პალიტრა L, თბილისი 2011 წ.
2. გაზ.: “კვირის პალიტრა”, 23 თებერვალი - 1 მარტი, 2009 წელი.
3. Адаир Джон,- Эффективная коммуникация, М. 2006 г. (перевод Ю Гольдберга).
4. Бутмен Николас,- Как заставить людей поверить вам за 90 секунд, М. 2006(перевод И. Баранова).
5. Ниренберг Джерард, Генри Калеро,- Прочти человека как открытую книгу, Минск, 2008 г (перевод А Р Баевой).
6. Пиз Аллан,- Язык телодвижений, М. 2006 г.(перевод Т Новикова).

გიორგი მათიაშვილი

არავერბალური კომუნიკაციის სპეციფიკა
რეზიუმე

ნაშრომში განხილულია არავერბალური კომუნიკაციის მრავალმხრივი მნიშვნელობა კომუნიკაციის საერთო პროცესში.დახასიათებულია ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ ურთიერთობების მაქსიმალურ ეფექტურობას. გამოკვეთილია არავერბალური ინფორმაციის უნივერსალურობა, წინმსწრები ინფორმაციულობა (ვერბალურ კონტაქტთან მიმართებაში), ობიექტურობა, უტყუარობა და სანდოობა.

Giorgi Matiashvili

Specificity of Non-verbal Communication

Abstract

The article discusses multilateral importance of non-verbal communication in the process of communication in general. He author characterizes the factors that condition the maximum efficiency of the relations. The paper stresses the uniqueness of non-verbal communication, its advanced informative value (in relation to verbal communication), its objectivity, authenticity and reliability.

თემურ ჟღენტი

განათლების ჯონ დიუისეული კონცეფცია

ჯონ დიუი XX საუკუნის პირველი ნახევრის ამერიკული ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელია. როგორც ფილოსოფოსმა, მან შექმნა ახალი ფილოსოფიური მიმდინარეობა-პრაგმატიზმი, რომელიც სწორედ მისი შრომებისა და ავტორიტეტის წყალობით ამერიკის ოფიციალური ფილოსოფია გახდა.

პრაგმატიზმის ძირითადი გნოსეოლოგიური ფორმულა ასეთია: "ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა" და არა პირიქით, როგორც ამას ადრინდელი გნოსეოლოგია ამბობდა: "სასარგებლოა ის, რაც ჭეშმარიტია". აქ აქცენტების გადატანას ჭეშმარიტებიდან სასარგებლოზე ან პირიქით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს. გნოსეოლოგია იგივე ჭეშმარიტების თეორიაა და მისთვის მთავარი სწორედ ჭეშმარიტი ცოდნის მოპოვება და დაგროვებაა, ცოდნისა, რომელიც შემდგომში შეიძლება /ან უნდა/ გახდეს სასარგებლო. როგორც ვხედავთ, პრაგმატიზმი უპირატესობას ჭეშმარიტებას კი არ ანიჭებს, არამედ სარგებლიანობას.

შემდგომში თვითონ დიუიმ თავის პრაგმატიზმს ინსტრუმენტალიზმი უწოდა, რაკიღა მიიჩნია, რომ ეს სახელწოდება უფრო ზუსტად გამოხატავდა პრაგმატიზმის არსს. სახელწოდება „ინსტრუმენტალიზმი" მან აიღო ჯეიმსისაგან, რომელსაც მიაჩნდა, რომ ცნებები და თეორიები შემეცნების ინსტრუმენტებს წარმოადგენენ.

დიდი იყო დიუის პოპულარობა ამერიკაში და არა მარტო ამერიკაში. იგი ლექციებს კითხულობდა მინესოტის, მიჩიგანის და ჩიკაგოს უნივერსიტეტებში. როგორც პროგრესივისტული განათლების პრინციპების ქომაგი, იგი საგანგებოდ იქნა მიწვეული იაპონიაში, ჩინეთში, ყოფილ საბჭოთა კავშირში, თურქეთში, მექსიკაში. თითქმის ყველგან, მთელ მსოფლიოში. მიიჩნევდნენ, რომ იგი არის განათლების რეფორმატორი და ამდენად სთხოვდნენ მას დახმარებას, როგორც მაღალკვალიფიციურ კონსულტანტს. დიუი იყო პროფესორთა ამერიკული ასოციაციის დამაარსებელი.

სასკოლო განათლების საკითხებზე დაწერილ დიუის წიგნთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარულია „სკოლა და საზოგადოება". იგი 1899 წელს დაიწერა და სწრაფად გავრცელდა მთელ მსოფლიოში. ეს წიგნი მიმართული იყო იმ დროისათვის სასკოლო განათლებაში გავრცელებული ფორმალიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ. სხვათაშორის, 1916 წელს გამოვიდა დიუის წიგნი „დემოკრატია და განათლება". ორივე ეს წიგნი გახდა იაპონიაში მისი მიწვევის ძირითადი მიზეზი. ჯონ დიუი იაპონიაში ჩავიდა 1919 წელს. მან ტოკიოს უნივერსიტეტში წაიკითხა 8 ლექცია, რომლებიც მაშინვე იქნა ჩაწერილი და გავრცელებული. იაპონელებმა მხოლოდ ამ ლექციებით მიიღეს სრული წარმოდგენა მისი მოძღვრების არსზე, რომელიც შემდეგში მდგომარეობდა:

1.განათლება ისე უნდა აიგოს, რომ მოსწავლე უნდა გამოცხადდეს სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ცენტრად. მათ /მოსწავლეებმა/ თავად უნდა განსაზღვრონ სწავლების პროცედურები და საფეხურები.

2.მასწავლებელი უნდა გადავიდეს მეორე პლანზე. მან უნდა მისცეს მოსწავლეს მხოლოდ რჩევები.

3.სწავლების პროცესი უნდა იყოს მიმართული პრობლემური ამოცანების გადაწყვეტაზე. ზეპირობა გამორიცხულია.

4.განათლება-ეს თავად ცხოვრებაა. ადამიანმა უნდა ისწავლოს მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში.

5.სწავლის პროცესში უნდა იქნას უზრუნველყოფილი თანასწორთა შორის თანამშრომლობა. შეჯიბრი მოსწავლეთა შორის დაიშვება მხოლოდ როგორც გამონაკლისი.

6.რამდენადაც ადამიანი ვითარდება სოციალურ გარემოში, იმდენად განათლება და დემოკრატია დაუცალცალკავებელია ერთიმეორისაგან.

სხვათაშორის, თავიდან იაპონელები დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ დიუის ამ დოქტრინის შესწავლას, მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ეს მოძღვრება ბევრ რამეში არ ეთანხმება განათლების იაპონურ კონცეფციას. პირველ რიგში, აღმოსავლური კულტურისათვის სრულიად მიუღებელი იყო პედაგოგის ავტორიტეტის დამცირება, ანუ ის, რომ პედაგოგი უნდა გადავიდეს უკანა პლანზე. როგორც ჩანს, დიუიმ შემდგომში თავად გადახედა ამ დებულებას და ერთგვარად შეარბილა მასწავლებლის დამოკიდებულობა მოსწავლეზე.

მეორე მხრივ, დიუიმ სასტიკად გაილაშქრა ზეპირობის წინააღმდეგ. არადა, აღმოსავლურ კულტურაში დაზეპირებას (ზეპირ დასწავლას) ყოველთვის ენიჭებოდა განსაკუთრებული როლი და მნიშვნელობა.

დიუის პოპულარობაზე კარგად მიანიშნებდა მისი შრომების გამოცემა 37 ტომად, ამ შრომებიდან პედაგოგიკისთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი „დემოკრატია და განათლება“ (1916), „განათლება და გამოცდილება“ (1938), „გამოცდილება და ბუნება“ (1925), „ადამიანის ბუნება და ქცევა“ (1922) და მრავალი სხვა.

როგორც პედაგოგიკის სპეციალისტს, დიუის, თავისი ფილოსოფია „აღზრდის ზოგად თეორიად“ მიაჩნდა (dewey J. experience and nature. Chicago-london, 1926, გვ 392), ხოლო პედაგოგიკის მიზნად იგი სოციალურად აქტიური ადამიანის აღზრდას მიიჩნევდა.

როგორც პრაგმატიზმის წარმომადგენელს, ჯონ დიუის მიაჩნდა, რომ რაიმეს შემეცნება უკვე მისი შეცვლაა და რომ შემეცნების მიზანი რაიმეს ცოდნა კი არაა, არამედ, ცოდნის საშუალებით, რაიმეზე გაბატონება. როგორც აკად. გ. თევზაძე ამბობს, დიუისათვის ბეკონის ანტიარისტოტელური პრინციპი - „ცოდნა-ძალაა“ სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენდა (გ. თევზაძე, XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია, 2002, გვ. 85). ცოდნას, დიუის მიხედვით, მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როცა იგი პრაქტიკულ საქმიანობას, ანუ აქტიურობას ემსახურება. შესაბამისად, მისი ფილოსოფიისა და პედაგოგიკის ძირითადი ცნებებია: „ზრდა“, „აქტიურობა“ და „განვითარება“. ეს ეხება ადამიანის გამოცდილების ყველა სფეროს. ცოდნაზე დაფუძნებული პრაქტიკული გამოცდილება უნდა გახდეს მთელი საზოგადოების უმაღლესი მიზანი, - ფიქრობდა დიუი.

ცხადია, სოციალურად აქტიურ პიროვნებას, პირველ რიგში, სკოლა აყალიბებს. ამიტომაც ცოდნა, რომელსაც მოსწავლე სკოლაში იღებს, მან უნდა გამოიყენოს პრაქტიკულ საქმიანობაში, მიაჩნია დიუის. საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას დიუი განიხილავს როგორც აღზრდისა და განათლების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს, როგორც გარემოსთან ადაპტირების მთავარ ინსტრუმენტს. „სკოლა უნდა იყოს საზოგადოებრივი ცენტრი, სადაც ყალიბდება საზოგადოებრივი მიმართებები, საზოგადოებრივი ინტერესები და არა გაკვეთილების დასწავლის ადგილი'',- ამბობდა ჯონ დიუი.

დიუის აზრით, კონკრეტული პრობლემები მისი გადაჭრის კონკრეტული გზების მოძიებას გულისხმობს და ამ პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტების ცვლილების აუცილებლობას აჩენს, დიუის მიაჩნდა, რომ სკოლები მოწოდებულნი არიან, იქცნენ საზოგადოების პატარა მოდელად, რომლებმაც უნდა მოამზადონ ბავშვები დემოკრატიულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

იმისთვის, რომ სკოლამ პრაქტიკული საქმიანობისათვის ვარგისი ახალგაზრდები აღზარდოს, მთელი ყურადღება უნდა გაამახვილოს თვალსაჩინოებაზე, ლაბორატორიულ და პრაქტიკულ საქმიანობაზე და ა.შ. აღზრდა დიუის ესმის როგორც ადამიანის სოციალიზაციის პროცესი, რომლის მიზანია საზოგადოების ღირსეული წევრის ფორმირება.

რაც შეეხება თვითონ ადამიანს /ანუ მოზარდს სკოლაში/, მან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს თვითაღზრდასა და თვითსრულყოფას. შეძენილი ცოდნა ამ საქმისთვის უნდა გამოიყენოს. თავისთავად ცხადია, ასეთი მართვა საკუთარი თავისა მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია, რომლის ბუნება ერთხელ და სამუდამოდ მოცემული არ არის, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, ანუ უცვლელი ბუნება საკუთარი თავის მართვის მხოლოდ ილუზიას შექმნის.ასეთი ილუზია კი თვით ოიდიპოსსაც კი შეიძლებოდა ჰქონებოდა, თუმცა ფაქტია, რომ მას საკუთარი თავის მართვა საკუთარი ქცევის დაგეგმვა და ორგანიზება არ შეეძლო. ასეთი რამ მხოლოდ თავისუფალ ადამიანს შეუძლია. შესაბამისად, დიუი ადამიანს თავიუსუფალ არსებად აცხადებს და იმის საშუალებასაც აძლევს თავის არსებობით შექმნას საკუთარი ადამიანური ბუნება.

დიუი ძალიან ბევრს წერდა განათლების პრობლემებზე. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, განათლების პრობლემებს მან რამდენიმე სპეციალური წიგნიც კი მიუძღვნა, დიუის განათლების კონცეფციის ძირითადი პოსტულატი ასეთია: განათლება უნდა ემყარებოდეს გამოცდილებას და არა ცალკეულ ფაქტორების დამახსოვრებას და რომ განათლების სოციალური ფუნქცია ყველა სხვა ფუნქციაზე უფრო მაღლა უნდა იდგეს.

დიუის იდეებიდან ყველაზე ფართოდ გავრცელდა ე.წ. პროექტის მეთოდი ეს მეთოდი პრაქტიკაში კილ პატრიკიმ დანერგა. მეთოდის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოწაფეები დასახავდნენ რაიმე პროექტს, ანუ კონკრეტულ ამოცანას, ცხადია, ისეთს, რომელიც დაკავშირებული იყო სასწავლო მასალასთან. პროექტის ერთ-ერთი ვარიანტია ცნობილი

„დალტონ-გეგმა“, რომელიც მრავალ ქვეყანაში განხორციელდა, მათ შორის, რუსეთშიც.

დიუი ბევრს წერდა განათლებისა და დემოკრატიის ურთიერთობაზე. კერძოდ, მას მიაჩნდა , რომ მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოება იძლევა იმის პირობებსა და საშუალებას, რომ ადამიანებმა მასიურად მიიღონ მონაწილეობა საერთო საქმიანობასა და ქვეყნის მართვაში. ეს კი შეუძლებელი იქნებოდა ცოდნის პრაქტიკული რეალიზაციის ჩვევების გარეშე. შესაბამისად, დიუისათვის დემოკრატია და აღზრდა სინონიმური ცნებები.

ასევე, სინონიმური ცნებებია „თავისუფლება“ და „აღზრდა“ იმდენად, რამდენადაც პიროვნული თავისუფლების გარეშე აღზრდა ვერ განხორციელდება. თავისუფლება კი, პირველ რიგში, გულისხმობს უარის თქმას ყოველგვარ ძალდატანებაზე, იძულებაზე, ადმინისტრირებაზე, რაც ასე დამახასიათებელი იყო ტრადიციული სკოლისათვის - მიაჩნია დიუის.

იმავდროულად, დიუის აზრით, თავისუფლება არ უნდა დავიყვანოთ მარტო მოქმედების თავისუფლებაზე. პირიქით, მასში უნდა ვიგულისხმოთ შინაგანი თავისუფლება, ანუ ფიქრის სურვილის და მიზნის თავისუფლება. „ის ფიზიკური შეზღუდვები, რაც დაწესებული იყო ტრადიციულ სკოლაში, მისი ტიპიური საკლასო ოთახებით, მკაცრად განლაგებული მერხებითა და ლამის სამხედრო რეჟიმით მოსწავლეთათვის, რომელთაც მოძრაობის ნებას მხოლოდ განსაზღვრულ მომენტებში რთავდნენ, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად ზღუდავდა ბავშვთა ინტელექტუალურ და მორალურ თავისუფლებას. საგიჟის ან სატუსაღოს მსგავს ატმოსფეროს სკოლაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დაესვას წერტილი „თუ გვსურს, რომ პიროვნებას ზრდისა და განვითარების შანსი მივცეთ, მას გზა უნდა გავუხსნათ ინტელექტუალური თავისუფლებისაკენ, რომლის გარეშეც ჭეშმარიტი და უწყვეტი ზრდის გარანტია არ არსებობს, (287)-ამბობდა დიუი.

აქ არ შეგვიძლია არაფერი ვთქვათ, ჩვენს სკოლებში შემოღებულ მანდატურის სამსახურზე. ეს სამსახური არ შეიძლება ცალმხრივად შეაფასო, რასაკვირველია, ბევრი კარგი რამ ახლავს ამ სამსახურს, თუნდაც ის, რომ სკოლაში აღდგა დისციპლინა, შემცირდა მოწაფეთა შორის ჩხუბები, დაპირისპირებები, თითქმის სრულად აღიკვეცა დაჭრები, მკვლელობები, საქმეების გარჩევები, ჯგუფური თავდასხმები და ა.შ. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველაფერი ეს მიღწეული იქნა არა მოწაფეთა შეგნების და ზნეობრივი პასუხისმგებლობის ამაღლებით, არამედ შიშით, ძალდატანებით, ანუ იმით, რის წინააღმდეგაც იბრძოდა ჯონ დიუი და საერთოდ პროგრესული პედაგოგიკა. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენი სკოლა წავიდა იოლი გზით-მოსწავლეთა დაშინების, ადმინისტრაციების, იძულების გზით მაშინ, როცა დიუი მოგვიწოდებდა - ყველაფერ იმ სიკეთისთვის, რაც ზემოთ იყო ჩამოთვლილი, მიგვეღწია მოწაფის შეგნებისა და თავისუფალი არჩევანის გზით.

თავისუფლება საზოგადოდაც და დიუისთვისაც თავისი თავის უფლად გახდომას ნიშნავს, მასში უნდა ვიგულისხმოთ პიროვნების მიერ საკუთარი მიზნების დასახვა და ამ მიზნების სისრუ- ლეში მოყვანის უნარი. ამგვარ თვისუფლებას, როგორც დიუი ამბობს, თან ახლავს პასუხისმგებლობის გრძნობა და იგი თვითკონტროლს, თვითსრულყოფილებისკენ სწრაფვას უტოლდება.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ტრადიციული განათლების უდიდესი ნაკლი, დიუის აზრით, ის იყო, რომ იგი ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას და თანამშრომლობას სასწავლო მიზნის ჩამოყალიბებაში (290).

ტრადიციული განათლება სერიოზულ წყალგამყოფს ავლებდა მოსწავლესა და მასწავლებელს მას შორის. მისთვის მოსწავლე-მასწავლებლის ურთიერთობაში მასწავლებელი იყო წამყვანი, ცოდნის მიმცემი, მასწავლებელი იყო „ყოვლისმცოდნე“, მოსწავლის ცნობიერება კი აღიქმებოდა როგორც tabula zara (არისტოტელე) ან როგორც white paper (ჯონ ლოკი),რომელიც უნდა შეევსო მასწავლებლებს. დავიწყებული იყო არა მარტო ის, რომ მოსწავლესაც შეიძლებოდა „რაღაც ცოდნებოდა“, არამედ ის, რომ შეიძლება ჰქონებოდა განსჯის, ანალიზის, კრიტიკული შედარებისა და ანალიზის უნარი. შესაბამისად, მოსწავლეს ეკრძალებოდა ყოველგვარი აქტიურობა გაკვეთილის მსვლელობის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მასწავლებელი სვამდა ე.წ. „ფრონტალურ კითხვებს“.

დიუის განათლების ახალ კონცეფციაში მასწავლებელი და მოსწავლე აღიქმება როგორც პარტნიორები, რომელთა შორის შეიძლება გაიმართოს დიალოგი და ჩამოყალიბდეს ურთიერთთანამშრომლობა. რაც შეეხება კრიტიკულ აზროვნებას, იგი გულისხმობს სათანადო არგუმენტების მოძიებას, პოზიციის დასაბუთებას, რაც თანაბრად ხელეწიფება მასწავლებელსაც და მოსწავლესაც.

ჩვეულებრივ ასე ხდება ხოლმე, როცა ვგმობთ ძველ ურთიერთობებს და ვაყალიბებთ ახალს, ჯოხი უმეტესად საწინააღმდეგო მიმართულებად გადაიხრება ხოლმე. ვგულისხმობთ იმას, რომ მოსწავლის აღიარება პიროვნებად, რომელსაც არა მარტო განცდები და ემოციები აქვს, არამედ აქვს აგრეთვე განსჯისა და კრიტიკული აზროვნების უნარი, არ ნიშნავს, რომ მასწავლებლის როლი სულ მთლიანად გამოირიცხოს სწავლების პროცესში. ვგულისხმობთ იმას, რომ გაკვეთილზე მასწავლებელი გულგრილი მეთვალყურე კი არ უნდა იყოს, ის კი არ უნდა დუმდეს და მხოლოდ ყურს უგდებდეს, თუ რას იტყვიან ბაშვები და როგორ გადაწყვეტენ ამა თუ იმ პრობლემას, არამედ იგი უნდა ერეოდეს ამ პროცესში (ოღონდ ძალიან კორექტულად, ძალიან ტაქტიანად). ეს თუნდაც იმიტომაა საჭირო, რომ მასწავლებლებმა, ცხადია, გაცილებით მეტი იციან მოსწავლეებზე და გაცილებით მეტი გამოცდილება აქვთ. ერთი სიტყვით, მასწავლებელი ყველა შემთხვევაში მასწავლებელია და მოსწავლესთან მისი გაიგივება სრული უაზრობა იქ-

ნებოდა (დავაკვირდეთ თვითონ სიტყვას „მასწავლებელი“-ის ხომ ის ადამიანია, ვინც ასწავლის, არც მისი სინონიმური სიტყვაა ნაკლები -„აღმრზდელი“, ანუ ის, ვისაც მოსწავლის აღზრდა ევალება).

რა თქმა უნდა, მასწავლებელს შეუძლია თავის უფლებამოსილებას გადააჭარბოს, ან სულაც ბოროტად გამოიყენოს ეს უფლებამოსილება და მოსწავლეთა საქმიანობა პიროვნულად მისთვის სასურველი მიმართულებით წარმართოს, მაგრამ ეს შეიძლება ძალზე იშვიათად მოხდეს და ამიტომ სასწავლო საქმიანობაში მასწავლებლის მონაწილეობაზე უარი არაფრით არ უნდა ვთქვათ. როგორც ამბობენ, მგლის შიშით ცხვარი არ უნდა გავწყვიტოთ.

მასწავლებელს მოსწავლეებთან მუშაობის დროს ევალება, წინასწარ განჭვრიტოს მომავალი, კერძოდ ის, თუ გაკვეთილზე მიღებული ცოდნა რაში გამოადგება მოსწავლეს, ანუ, როგორც პრაგმატიკოსები იტყოდნენ, რა სარგებლობის მოტანა შეუძლია მას როგორც თვითონ მოსწავლისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

ამ შემთხვევაში მასწავლებლის საქმიანობა ჰგავს ექიმის საქმიანობას. ექიმისა, რომელიც არა მარტო ავადმყოფობიდან განკურნავს ხოლმე ავადმყოფს, არამედ აძლევს მას დეტალურ რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა იცხოვროს და როგორ უნდა აიცილოს თავიდან მსგავსი პრობლემები მომავალში. დაუჯერებს თუ არა ავადმყოფი ექიმს, ეს მისი საქმეა. ზუსტად ასე უნდა მოიქცეს მასწავლებელი. მან არა მარტო ცოდნა უნდა მისცეს, არამედ უნდა დაუსახოს მომავლისაკენ სავალი გზები. აი, რას ამბობს ამასთან დაკავშირებით ჯონ დიუი: „რაც შეეხება პედაგოგს, ის ვალდებულია აწმყოში შესრულებული საქმე დაინახოს იმ კუთხით, თუ რა შედეგს გამოიღებს ის მომავალში. პროგრესულმა პედაგოგმა წინ-მომავლისკენ უნდა გაიხედოს“ (296).

ცხადია, მომავლისკენ ცქერა არ ნიშნავს წარსულის სრულ იგნორირებას. ასე რომ იყოს, მაშინ „გამოცდილების“ ცნება გახდებოდა სრულიად უაზრო და უშინაარსო. განა გამოცდილება წარსულს არ ეხება, რომელიც, რაც უფრო მდიდარია, მით უფრო ძლიერია ნებისმიერი ადამიანი. როგორც დიუი ამბობს: „წარსული მიღწევები ჩვენ ხელთ არსებული ერთადერთი საშუალებაა აწმყოს გასაგებად“. წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთდიალექტიკურ კავშირზე კარგად მიუთითებს ცნობილი ფილოსოფოსი ლაიბნიცი, რომლის სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისგან, არის მშობელი მომავლისა“ ეპიგრაფად უძღვის დიდი ილიას ცნობილ ლექსს „ქართვლის დედას“.

სწორედ გამოცდილების მნიშვნელობის შესახებ ამბობს დიუი, რომ განათლება უნდა დაეფუძნოს გამოცდილებას, რომელიც მუდამ რომელიმე პიროვნების ცხოვრებისეული გამოცდილებაა და არა რაიმე აბსტრაქცია. წარსულის გამოცდილება რომ გასათვალისწინებელი არ იყოს, მაშინ როგორც საზოგადოების განვითარების, ისე მეცნიერებათა განვითარების ისტორიების შესწავლა აზრს დაკარგავდა.

„გამოცდილების“ ცნება რომ ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა დიუის პედაგოგიკაში, ეს იქიდანაც კარგად ჩანს, რომ იგი სპეციალურ წიგნს წერს სათაურით: „გამოცდილება და განათლება“. გამოცდილების შესახებ ასევე ვრცლად მსჯელობს იგი ზემოთ ნახსენებ წიგნში „დემოკრატია და განათლება“ (democracy and education.) შეიძინო გამოცდილება ნიშნავს: დაამყარო კავშირი წინა და მომდევნო მოვლენებთან, ანუ იმასთან, რაც უკვე გავაკეთეთ და იმასთანაც, რაც მომავალში უნდა გავაკეთოთ.

გამოცდილებაზე დაყრდნობილი განათლება ჯონ დიუის ძალზე დიდ ძალად მიაჩნია, კერძოდ, ის დარწმუნებულია, რომ „გონივრულად გამოყენებულ განათლებას შეუძლია არსებული სოციალური მანკიერების აღმოფხვრა“ (გვ.82). გამოცდილება შეიძლება იქცეს კაცობრიობის საუკეთესო იმედების რეალიზაციის საშუალებად და იარაღად.

რაც შეეხება განათლებას, გამოცდილებასთან მისი დაწყვილების გარეშე, დიუის იგი დიდ ძალად არ მიაჩნია. დიუი, მაგალითად, ამბობს, რომ თავად განათლებას, როგორც ასეთს, თავისი მიზანი არ გააჩნია. განათლება თვითონ არის მიზანი ადამიანისათვის (მოწაფისთვის), მშობლისათვის, მასწავლებლისათვის. გამოდის, რომ განათლებას, რომელიც ადამიანთა გარკვეული კატეგორიისთვის არის მიზანი, თავად უნდა მიენიჭოს მიზანი და ამ მიზნის მიღწევაში უნდა იქნას იგი (განათლება) აქტიურად ჩართული.

განათლებისა და დემოკრატიის ურთიერთდაკავშირების გარდა, დიუი იმაზეც მიანიშნებს, რომ არ არის საკმარისი მარტო განათლება და რომ განათლება ზნეობის გარეშე შეიძლება კაცობრიობის წინსვლას არც მოემსახუროს. რამდენადაც ეს დღეს ერთ-ერთი უაღრესად აქტუალური თემაა, გვინდა რამდენიმე სიტყვით შევჩერდეთ მასზე. ტრადიციულად ეს თემა ასე იყო ჩამოყალიბებული: რა ურთიერთობაა ცოდნასა (განათლებას) და ზნეობას შორის.

იყო დრო, როცა ეგონათ, რომ, რაც უფრო მცოდნე ანუ განათლებული იქნებოდა ადამიანი, მით უფრო ზნეობრივი იქნებოდა იგი, მაგრამ დიდი ხანია, რაც პრაქტიკამ ამ დებულების მცდარობა დაადასტურა და აჩვენა, რომ განათლებულობა და ზნეობრიობა ერთ ხაზზე არ დევს. შეიძლება ვიყოთ ძალიან განათლებული, მაგრამ ძალიან უზნეო და პირიქით, შეიძლება სულაც არ ვიყოთ განათლებულები, მაგრამ

არ ვიყოთ ზნეობრივი არსებები. სხვათაშორის, ილია ჭავჭავაძის ოთარაანთ ქვრივის ცოდნა-განათლების შესახებ ჩვენ ისიც კი არ ვიცით, რაიმე განათლება ჰქონდა მას თუ არა, მაგრამ იგი უმაღლესი ზნეობის ადამიანი იყო: პატიოსანი, სამართლიანი, ობიექტური, გაჭირვებულთა ქომაგი და დამხმარე და ა.შ.

სამაგიეროდ, მისი დროის თავადები, პეტერბურგში განათლებამიღებული არჩილი და, მითუმეტეს, მისი და-კესო არ იდგნენ ოთარაანთ ქვრივსა და მის გიორგიზე მაღლა ზნეობრივად.

მაგრამ ილიას დროს ეს პრობლემა არ იყო ისე აქტუალური, როგორც დღესაა. მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებამ არნახულად გაზარდა ადამიანთა ცოდნაცა და ინფორმირებაც. ტელევიზიამ, განსაკუთრებით კი კომპიუტერულმა ტექნიკამ, ადამიანს შესაძლებლობა მისცა არაჩვეულებრივად დიდი ცოდნა დაეგროვებინა მისთვის სასურველ დარგში. მაგრამ ამან სულაც არ აამაღლა ადამიანთა ზნეობა. ამიტომაც დაცილდა დღეს ერთმანეთს „ცივილიზაციისა“ და „კულტურის“ ცნებები. ცივილიზებულობა (აქ შეგვიძლია განათლებულობაც ვიგულისხმოთ) არ ნიშნავს კულტურულობის (ანუ ზნეობრიობას).

თემურ ჟღენტი

განათლების ჯონ დიუისეული კონცეფცია

რეზიუმე

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ამერიკელი ფილოსოფოსი და პედაგოგი, პრაგმატიზმის (კერძოდ, ინსტრუმენტალიზმის) შემქმნელი ჯონ დიუი მხოლოდ ისეთ ცოდნას აღიარებდა, რომლის გამოყენებასაც ადამიანი პრაქტიკულ საქმიანობაში შეძლებდა.

ჯონ დიუის განათლების კონცეფცია მიმართული იყო ტრადიციული განათლების ფორმალიზმისა და დოგმატიზმის, ავტოკრატიული მართვის წინააღმდეგ. როგორც ახალი პედაგოგიკის წარმომადგენელი, იგი მხარს უჭერდა დემოკრატიულ მართვას, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის პარტნიორულ დამოკიდებულებას, ურთიერთდიალოგსა და ურთიერთთანამშრომლობას.

Temur Zhghenti

Educational Conception by John Dewey

Abstract

John Dewey, the famous American philosopher and pedagogue of the first half of 20th century, founder of the pragmatism (instrumentalism, in particular) recognized only the knowledge applicable in practice.

Educational conception by John Dewey was against formalism and dogmatism of traditional education, its autocratic administration. As the representative of so called new pedagogy, he supported democratic administration, collaborative relations between the teacher and the student, dialogue and cooperation.

თამარ ფანცულაია

ადამიანის სულის შემძვრელი საფიქრალი – სიკვდილის საიდუმლო

ჯორჯ ბაირონი თავის დრამატულ პოემაში "კაენი" აღწერს ძმისმკვლელობის სურათს და ასახავს, თუ რა დაჟინებით დააცქერდა კაენი მკვდარ აბელს, მის ფერმკრთალ სახეს; სცადა, ძმის ხელები აეწია, მაგრამ ისინი ტყვიასავით დაენარცხნენ ძირს, და შეშინებულმა შესძახა: "სიკვდილი ეწვია ქვეყანას!"

ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ორი ყველაზე მთავარი, საკრალური და თრთოლვის მომგვრელი მოვლენა – დაბადება და სიკვდილი. ადამიანის არსებობასთან დაკავშირებული ამ ორი იდუმალი მოვლენიდან, სიცოცხლესთან განშორება უფრო ძლიერად განიცდება თითოეული ჩვენგანის მხრიდან.

მიწიერ ქმნილებათაგან ადამიანია ერთადერთი, რომელსაც მიეცა სიცოცხლის ფენომენის შემეცნებისა და გააზრების უნარი. ცხოვრება თუ მართლა მდინარეა, რომელიც განუწყვეტლივ მიედინება, მაშინ მას ორი ბუნებრივი საზღვარი აქვს. ადამიანიც, რომელიც გარდაუვალად მიჰყვება მდინარის დინებას, რასაც სიცოცხლე ჰქვია, თავისი გამოცდილებით მხოლოდ ერთ ნაპირს იცნობს, მეორე ნაპირის შეცნობაზე კი დაფიქრება არ სურს.

ადამიანის გონებას არ ძალუძს ბოლომდე ჩასწვდეს ამ საიდუმლოს, აღიქვას და შეიმეცნოს იგი. სიკვდილის საიდუმლო იმითაც არის მიუწვდომელი, რომ ვერცერთი ადამიანი ვერ აღწერს და გაგვიზიარებს საკუთარი სიკვდილის გამოცდილებას. სიკვდილი ამ სამყაროში ჩვენი არსებობის შეუძლებლობის განხორციელებაა! ამის გამო სიკვდილის საიდუმლოება იდუმალების ბურუსითაა მოცული. სწორედ ამიტომ ხდება სიკვდილი ადამიანისათვის ყოფიერების უაღრესად ინდივიდუალური, უაღრესად პიროვნული მოვლენა. მართალია, მას /ადამიანს/ გაცნობიერებული აქვს, რომ ადრე თუ გვიან, სიკვდილთან შეხვედრა მოელის, მაგრამ ეს მდგომარეობა მისი ცხოვრების ყველაზე მძიმე და მტანჯველი განცდაა – სიკვდილი ხომ ჩვენ სიცოცხლის წარმავლობისა და ტრაგიზმის წინაშე გვაყენებს: გვსურს თუ არა, გვაიძულებს დავინახოთ, თუ რა ხანმოკლეა ეს ცხოვრება, გავაცნობიეროთ, რომ მარადისობის უკუდეგანო ოკეანეში ჩვენთვის მხოლოდ დროის პატარა და უმნიშვნელო მონაკვეთია განკუთვნილი. ყოველი ადამიანი, განურჩევლად განათლების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მიდრეკილებებისა, ხედავს, რომ ის, ვინც დღეს მდიდარი და დალხენილია – ხვალ აღარ არის ცოცხალი, ვინც დღეს ძალაუფლებითა და დიდებით ლაღობს – ხვალ საფლავშია, ვინც დღეს მლიქვნელებითაა გარშემორტყმული და ამაყია – ხვალ მატლების საზრდოდ იქცევა.

ეს მძიმე განცდა მაშინ უფრო მწვავდება. როცა არ გვსურს მისი აღიარება, მასთან შერიგება. ამიტომ ერთნი ყოველ ღონეს ხმარობენ, რაც შეიძლება შორს გადასწიონ სიკვდილის დრო, მეორენი კი, უბრალოდ ცდილობენ არ იფიქრონ მასზე. შეიძლება ითქვას, რომ არსებობს დუმილის უცნაური "შეთქმულება" თავად ადამიანის სიკვდილის ფაქტის ირგვლივ.

ბუნებრივია, რომ ადამიანს ახასიათებს სიკვდილის "დაძლევის" სურვილი. მაგრამ ყველასათვის ცხადია, რომ, რაც არ უნდა ვიღონოთ, მაინც არ ძალგვიძს უსასრულოდ გადავწიოთ ჩვენი გასვლა მიწიერი ცხოვრების დილეგიდან. ეს "კაცთა მოდგმის პირუთვნელი გამომძალველი" და "მოუსყიდველი ჯალათი", როგორც მას იოანე ოქროპირი უწოდებს, მოგვიწოდებს, მუდამ გვახსოვდეს, რომ მიწიერი ცხოვრება, რაოდენ ხანგრძლივიც

არ უნდა იყოს, მაინც წარმავალი და დროებითია. მიუხედავად ჩვენი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ის მაინც პირისპირ სასაუბროდ გვიხმობს. გვიხმობს დასაფიქრებლად,

თუ რატომაა, რომ ადამიანი "გრიგალივით ამაღლდება და მერე მტვერივით განქარდება, ცეცხლივით აელვარდება და მერე კვამლივით იფანტება, ყვავილივით მშვენდება და მერე ბალახივით ხმება".

იბადება მრავალი კითხვა: რა არის სიკვდილი? დასასრული თუ დასაწყისი? ჩიხი თუ სხვა სამყაროში გადასვლა? გაქრობა და განადგურება, თუ ახალი ქმნილების დასაბამი? პასკალის აზრით, სულის უკვდავება, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული სიკვდილთან, იმდენად გვაინტერესებს და იმგვარად შეგვძრავს, რომ ყოველგვარი მგრძნობელობის დაკარგვაა საჭირო, მისით რომ არ დაინტერესდე. გრიგოლ ნოსელი კი აღნიშნავს: "თუ კი სიბრძნის ვალია არსებობის ჭეშმარიტების წვდომა, წინასწარმეტყველებისა კი – მომავლის გაცხადება, სრული სიბრძნის ნიჭი არ ექმნება მას, ვინც მომავალსაც არ განჭვრეტს წინასწარმეტყველების ნიჭის შემწეობით".

მოუსვენარი ბერძნული გენია, რომელიც საკმაოდ სიღრმისეულად ჩასწვდა ბუნებისა და გარემომცველი სამყაროს მრავალ პრობლემასა და საიდუმლოებას, ღრმად დაფიქრდა სიკვდილის ფენომენზე და შეეცადა დაეძლია წარმართული, მითოსური წარმოდგენებისათვის დამახასიათებელი ურთიერთდაპირისპირება საქაო და საიქიო ცხოვრებას შორის და ხიდი გაედო მათ დასაკავშირებლად. ეს პლა-

ტონის დამსახურებაა, რომელმაც საკუთარი თავი თავის მასწავლებელთან, სოკრატესთან გააიგივა და მისგან დიალოგებში თავისი ფილოსოფიური ორეული – Alter ego შექმნა.

მის ცნობილ დიალოგში "ფედონი" სიკვდილი განდიდებული და დამარცხებულია. იგი სიკეთედ და ჩვენთვის ფრიად სასურველ მოვლენადაა წარმოჩენილი. სოკრატე ამბობს: "ვიდრე სხეულისაგან არ განვძარცულვართ, ვიდრე სული არ გაჰყრია ამ ბოროტებას, მთელის სისრულით ვერასოდეს მივწვდებით მას, რასაც ვესწრაფვით, ვერასოდეს მივწვდებით ჭეშმარიტებას... ჭეშმარიტს სული მაშინ სწვდება უპირატესად, როცა აზროვნებს. ხოლო სული ყველაზე უკეთ აზროვნებს მაშინ, როცა არაფერი ამღვრევს მას, არც სმენა, არც მზერა, არც ტკივილი, არც სიხარული, როცა ინძარცვის და შეძლებისამებრ, თავისუფლდება სხეულისაგან და თავის თავში ოდენ შთენილი მიიქცევა არსებულის ჭვრეტად". ე.ი. სიკვდილი სულის სხეულის მონობისაგან თავის დახსნაა. მისი მეშვეობით სულს შეუძლია კვლავ მოიპოვოს სიწმინდე, რომელიც მან სხეულში, სულის საპყრობილეში ყოფნისას დაკარგა და სპეტაკი და აუმღვრეველი მიეახლოს ჭეშმარიტებას, გვაზიაროს უმაღლეს სიბრძნესა და სიკეთეს.

რაკი სასიცოცხლო ინსტინქტების ალაგმვას, ვნებების მოკვდინებას ესოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ბუნებრივია, ხორციელი სიკვდილი სიკეთედ ჩაითვალოს. იგი საბოლოოდ გვათავისუფლებს სხეულისაგან, მისი ყველა იმ მოთხოვნისა და ვნებისაგან, რაც სულს ტყვეობაში ამყოფებს. ფილოსოფოსისათვის, მოაზროვნე ადამიანისათვის დამახასიათებელია სიკვდილზე ფიქრი და ამიტომ, სხვებთან შედარებით, სიკვდილი მათთვის ნაკლებად საშიშია. ასე თვლიდა სოკრატე და თვითონაც საწამლავის მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე, წყნარად და უშფოთველად საუბრობდა სიკვდილისა და სულის უკვდავების შესახებ. როდესაც მას საწამლავით სავსე ფიალა მიაწოდეს, აუღელვებლად ბოლომდე შესვა იგი. შემდეგ ილოცა, რათა ამქვეყნიდან გადასახლება დაუბრკოლებლად აღსრულებულიყო. მას სჯეროდა, რომ იქ იგი ბრძენ ადამიანებსა და სამართლიან მსაჯულებს შეხვდებოდა. სხვათაშორის, მიუხედავად იმისა, რომ ფილოსოფოსი ადრე თავის "აპოლოგიაში" ამბობდა, რომ სიკვდილის გზით უკეთესს ცხოვრებას დაიმკვიდრებდა, ბოლოს მაინც დაეჭვდა, ეს ნამდვილად ასე იქნებოდა თუ არა, და საპყრობილეში მისვლამდე, სადაც მას საწამლავი უნდა შეესვა, თქვა: "აი, უკვე დრო გადის: მე მას სიკვდილთან მივყავარ, თქვენ კი სიცოცხლის გზა განაგრძეთ და ღვთის გარდა არავინ უწყის, რომელი გზაა უმჯობესი".

პლატონის "ფედონში" სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთისაგან გამიჯნული არ არის. სიკვდილი სიცოცხლის განუყრელი თანამგზავრია და სიკვდილის გარეშე ამ სიცოცხლეს ვერ

შევიმეცნებთ. ეს ცხოვრება მთლიანად დაკავშირებულია იმქვეყნიურ ცხოვრებასთან, მისი ხანმოკლე დრო კი უსასრულო მარადისობასთან. პლატონი გვასწავლის, რომ, როგორც სულია უკვდავი, ასევე უკვდავია საქმე, რომელიც მას თან გაჰყვება. ფილოსოფოსი მოუწოდებს ადამიანს გამოიჩინოს გონიერება, გაუფრთხილდეს საკუთარ ღირსებას, ემზადოს სიკვდილისათვის და იმედით აღვსილმა იცხოვროს. სიკვდილს პლატონთან დამმოძღვრელი ფუნქციაა აქვს. ამაშია "ფედონის" დიდი შემეცნებით–მორალური ღირებულება.

პლატონის წყალობით სიკვდილის ფენომენის კვლევა ფილოსოფოსთათვის საინტერესო და მნიშვნელოვან სფეროდ იქცა.

არისტოტელე სიკვდილს სხეულისა და უკვდავი და ღვთაებრივი სულის განშორებად თვლის და მიიჩნევს, რომ სიკვდილი სიცოცხლეზე უმჯობესი და სასურველია. იგი წერს: "საერთოდ არ დაიბადო – ყველაზე უკეთესია; სიკვდილი კი სიცოცხლეზე მეტად სასურველია".

ციცერონი პლატონის გავლენას განიცდის და თვლის, რომ სიკვდილს შიშით არ უნდა შევხვდეთ. მას უკეთესს ცხოვრებაში შევყავართ, ვინაიდან სული უკვდავია. ადამიანი სხეულის ბორკილებითაა შეკრული და აუცილებლობის გამო ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. სული კი ზეციური სამყოფელიდანაა დაშვებული მიწაზე, რომელიც მისი ღვთაებრივი და უკვდავი ბუნებისათვის უცხოა. მაგრამ მან არ იცის, რა იქნება სიკვდილის შემდეგ და აღნიშნავს: "სიკვდილის შემდეგ მე ან უბედური არ ვიქნები, ანდა ვიქნები უაღრესად ბედნიერი".

სტოელების აზრით, ყოველ დღეს სიკვდილისაკენ მივყევართ. მაგრამ ეს ტრაგიკული აზრი მიზნად არ უნდა დავისახოთ, არ უნდა მივისწრაფვოდეთ მისკენ. ადამიანს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ თავად სიცოცხლე შეიცავს სიკვდილს. ამიტომ საბედისწერო ჟამთან მიახლოება მხოლოდ პროცესია, რომლის დროსაც სიკვდილმა თავი აუცილებლად უნდა იჩინოს.იგი ისევე აღმოცენდება სიცოცხლისაგან, როგორც კოკორიდან ყვავილი. მათ სწამდათ, რომ ადამიანის სული მსოფლიო სულის ნაწილია, და რომ იგი მატერიალურია. ამდენად, რადგან სამყაროში მოქმედებს ერთგვარი მიზანდასახულობა, სული, როგორც კოსმოსის ნაწილი, სიკვდილის შემდეგ ყოველი არსებულის ბედს იზიარებს, ანუ ისიც "საყოველთაო ცეცხლით განადგურდება". სიკვდილი, მათი აზრით, სხვა არაფერია, თუ არა "ადამიანის შემადგენელი ნაწილების სამყაროს უზარმაზარ ქვაბში დაბრუნება და გაქრობა". ინდივიდუალური ცხოვრების უკვდავებას სტოელებიდან არცერთი არ აღიარებს.

ეპიკურეს სწამდა, რომ სული სიკვდილის შემდეგ ირღვევა, რადგანაც იგი ნაწილებისაგან შედგება. სიკვდილის ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს, ამბობდა ფილოსოფოსი, ვინაიდან, როცა ის მოდის, შეგრძნებები ქრება. მაშასადამე, იმის საშიშროებაც არ არსებობს, რომ მწუხარებას ან სიმწარეს ვიგრძნობთ. ამგვარად, სიკვდილს, ბოროტებათა შორის უსაშინლესს, ჩვენთან არანაირი შეხება არა აქვს. როცა ჩვენ ვარსებობთ, იგი არ არსებობს, ხოლო როდესაც ის მოვა, ჩვენ აღარ ვიარსებებთ. როგორც ჩანს, მან თავი აარიდა ამ პრობლების განხილვას და პლატონისაგან განსხვავებით, თვლიდა, რომ სიცოცხლე და სიკვდილი არასდროს შეხვდებიან ერთმანეთს. ეს თვალსაზრისი დიდი ხნის მანძილზე მიჩნეული იყო "ფილოსოფიურ დამშვიდებად" და გარკვეულწილად ხსნიდა სიკვდილის წინაშე ადამიანის შიშს, ამშვიდებდა მას.

"საშინელმა სამყარომ " და ტექნიკურმა ეპოქამ, რომელთა დადგომაც გასული საუკუნის დასაწყისში ზოგიერთმა მოაზროვნემ იწინასწარმეტყველა, გაამძაფრა ადამიანის დამოკიდებულება სიკვდილის ფემომენისადმი. საკუთარი აღსასრულის რეალური სიახლოვის განცდამ სევდით, შიშითა და ძრწოლით მოიცვა ადამიანის შინაგანი სამყარო.

ლევ ტოლსტოის მოთხრობის "ივან ილიას ძის სიკვდილი" გმირი, ივან ილიას ძე განუკურნებელი სენითაა დაავადებული და იცის, რომ მალე უნდა მოკვდეს, მაგრამ ის ვერ იჯერებს ამ რეალობას. როდესაც მას სიკვდილმა მიაკითხა, ფიქრობდა და ხვდებოდა, რომ "კაიუსი" ხდებოდა. ეს კი ტანჯავდა მას. იცოდა, მაგრამ ვერ აცნობიერებდა, როგორ იარსებებს სამყარო მის გარეშე; ვისთვის ამოვა მზე; ვისთვის გაიშლება ყვავილი; ისე, როგორც მას, ვის ეყვარება დედა, ცოლი, შვილები... ეს შეუძლებელია! მაგრამ რეალობაა.

როგორ უნდა გათავისუფლდეს ადამიანი ამ შიშზე ფიქრისაგან? მიშელ მონტენი შემდეგ გამოსავალს გვთავაზობს: "ჩვენს დაბადებასთან ერთად დაიბადა ჩვენთვის მთელი სამყარო და, ზუსტად ასევე, ჩვენს სიკვდილთან ერთად მოკვდება. ამიტომ ჩვენთვის ტირილი იმის გამო, რომ ასი წლის შემდეგ აღარ ვიქნებით, ისეთივე სიბრიყვეა, როგორც მოთქმა–გოდება იმის გამო, რატომ ასი წლის წინ არ ვცხოვრობდითო. სიკვდილი ახალი სიცოცხლის დასაბამია."

სიკვდილის ფენომენი თავისებურად არის გააზრებული ექსისტენციალიზმში. ამ ფილოსოფიური მიმდინარეობის ყველა წარმომადგენლისათვის ფილოსოფიის მთავარ პრობლემას არსებობის პრობლემა წარმოადგენს. გამოყოფენ პრობლემათა რიგს, რომლებიც ექსისტენციასთან ანუ ჭეშმარიტ არსებობასთან არის დაკავშირებული: მარტოობა, უიმედობა, ადამიანური არსებობის კრახი, მისი არსებობა სიკვდილისათვის და სხვა. ამ მიმდინარეობისათვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის, თუ როგორ აღვიქვამ საკუთარ თავს "მე" და აქედან – სამყაროს, რომელიც ყოველთვის ჩემია და უჩემოდ უაზრობაა. არსებობა არის ყოფიერება სამყაროში, სამყარო კი არსებობის ჩარჩოებია.

ადამიანის "სტრუქტურა", როგორც "სამყაროში ყოფნა", არის შიში. შიში ჩვეულებრივი მდგომარეობაა, განსაკუთრებით შიში სიკვდილის წინაშე. ადამიანი არასოდეს განიცდის სხვის სიკვდილს. სიკვდილი, ისევე როგორც არსებობა, ყოველთვის ჩემია. ადამიანის არსებობა არის სიკვდილის წინა ყოფნა. ადამიანს შიში ეუფლება იმიტომ, რომ ის არ არის თავის "სახლში", იგი არის "სამყაროს ყოფნაში", სადაც ძრწოლას განიცდის. ჰაიდეგერი თვლის, რომ ამ შემთხვევაში, ადამიანი კი არ განიცდის შიშს, არამედ მისი არსებობა თვით არის შიში. ე.ი. ადამიანისათვის შიში გარეგანი რამ კი არ არის, არამედ შინაგანი. ანალოგიურია სიკვდილიც. იგი ყოფიერების თავისებური ფორმაა და არსებობას თავიდანვე ახასიათებს – "დაიბადა თუ არა ადამიანი, ის უკვე საკმაოდ მოზრდილია სიკვდილისათვის". ამიტომ ადამიანი ვერ გაექცევა სიკვდილს, იგი თავიდანვე გადასროლილია სიკვდილში. სიკვდილი არ ემართება ადამიანს, იგი მისი არსებითი მომენტია.

როგორ ცდილობს ადამიანი სიკვდილის შიშისაგან თავის დაღწევას? იგი გარბის "თავის თავიდან" და თავშესაფარს საზოგადოებაში ეძებს. აქ ის ხდება ისეთივე როგორც ყველა, არაფრით გამოირჩევა სხვებისაგან. როგორც ყველა სხვა, ისიც ერთობა, სტუმრობს მეგობრებს, განიცდის სიამოვნებას, კმაყოფილებას ან უკმაყოფილებას, სიხარულს ან მწუხარებას, ანუ ადამიანი ითქვიფება სხვა ადამიანებში, კარგავს ინდივიდუალობას და გადაიქცევა საშუალო, უპიროვნო ადამიანად. ასეთი არსებობა დამამშვიდებელია ადამიანისათვის, მაგრამ სიკვდილის წინაშე შიშს მაინც ვერ ძლევს და უბრალოდ თავს იქცევს, ვიდრე სიკვდილი ეწვევა. საიდულოება კარგავს მნიშვნელობას. ადამიანი უკვე აღარ გრძნობს პასუხისმგებლობას საკუთარი არსებობის წინაშე. იგი თავისუფლდება თავისი არსებობისაგან. ყველა არის "სხვები" და არავინ არის "ის თავად". ცნობისმოყვარეობა, თვალთვალი, დასმენა, ჭორაობა... სწორედ ეს არის ადამიანის ყოველდღიური არსებობა საზოგადოებაში. ეს ამშვიდებს ადამიანს. ყოველდღიური არსებობისათვის სიკვდილი მხოლოდ "შემთხვევაა". სამყაროში ყოველ წუთს, ყოველ წამს ვიღაც კვდება, უპიროვნო ადამიანი სხვის სიკვდილს არ განიცდის. ეს მას არ ეხება. მან იცის, რომ "სხვები" კვდებიან, მაგრამ "ვიღაცა, მე ჯერ არა, მე მერე, ოდესმე". ეს "მე ჯერ არა", გარკვეულწილად, არის თავის დამშვიდება სიკ-

ვდილის წინაშე. ექსისტენციალისტები თვლიან, რომ სწორედ სიკვდილის მომენტში ვლინდება ადამიანის ჭეშმარიტი "მე", სწორედ მაშინ შეიცნობს იგი სიღრმისეულად საკუთარ თავს და სამყაროს მთლიანად.

სიცოცხლე სიკვდილის გარეშე მწირია. სიკვდილის გააზრების გარეშე ჩვენი ცხოვრება ცხოველებისა და მცენარეების არსებობას დაემსგავსებოდა. სიკვდილი, ჩვენი განუყრელი თანამგზავრი, გონიერი ადამიანის სიცოცხლეს მარადიულობის მოლოდინით, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით ამდიდრებს. მარადიულობის განცდის გარეშე, სულის სიღრმეში არ დაგვებადებოდა ღვთის წინაშე ვალდებულებისა და მოყვასის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დანელია ს. ანტიკური ფილოსოფიის ნარკვევები. თბ., 1983
2. თევზაძე გ. XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია. თბ., 2002
3. მსოფლიო ფილოსოფიის ანთოლოგია. ტ. 1–2–3. მ. 1968
4. პლატონი. თხზ. ტ.1–2. მ.1969
5. ფილოსოფიური ენციკლოპედია. მ.2009

თამარ ფანცულაია

ადამიანის სულის შემძვრელი საფიქრალი – სიკვდილის საიდუმლო

რეზიუმე

ადამიანის ცხოვრებაში არსებობს ორი ყველაზე მთავარი მოვლენა – დაბადება და გარდაცვალება. ამ ორი იდუმალი მოვლენიდან, სიცოცხლესთან განშორება უფრო ძლიერად განიცდება თითოეული ჩვენგანის მხრიდან. სწორედ ამიტომ ხდება სიკვდილი ადამიანისათვის ყოფიერების უაღრესად ინდივიდუალური, უაღრესად პიროვნული მოვლენა. სიკვდილი, ჩვენი განუყრელი თანამგზავრი, გონიერი ადამიანის სიცოცხლეს მარადიულობის მოლოდინით, მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობით ამდიდრებს. მარადიულობის განცდის გარეშე, სულის სიღრმეში არ დაგვებადებოდა ღვთის წინაშე ვალდებულებისა და მოყვასის მიმართ პასუხისმგებლობის გრძნობა.

Tamar Phantsulaia

Human's Depressive Concem _ Death Mystery

Abstract

There are two most significant events in life of a human being – birth and death. From these two mysterious events, parting with life is more keenly felt by each of us. And that's the reason for death turned out to be the most individual, the most private event of human's existence. Death, our inseparable companion, enriches a life of human being with expectation of eternity, with sense of responsibility and obligations. Without sense of eternity, we'd fail to realize deep in our heart responsibility towards the Creator and neighbour.

ელისო ფანცხავა

ჯეიმზ ჯოიზის „ულისე“ — რომანის ძირითადი არქეტიპები და პერსონაჟთა სიმეტრია

ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“ მოქმედება 1904 წლის 16 ივნისს დუბლინში ვითარდება. ეს უკანასკნელი ირლანდიის, ყოველივე ირლანდიურის სპეციფიური გამოხატულებაა და ამავდროულად მსოფლიოს ნებისმიერი ქალაქის უნივერსალურ მოდელად შეიძლება აღვიქვათ. ისევე, როგორ ის ზედმიწევნით დაკონკრეტებული თარიღი, რომელსაც ნაწარმოებში ვხვდებით, ვითარდება – 1904 წლის 16 ივნისი, შეეფარდება ნებისმიერ დღეს კაცობრიობის ისტორიიდან და საკუთარ თავში მოიცავს როგორც აწმყოს, ასევე წარსულსა და მომავალს. ამის თაობაზე მართებულად აღნიშნავს კარლ იუნგი: „ეს გახლავთ ერთადერთი, გაუცნობიერებული, ნებისმიერი დღე ნებისმიერი ადამიანის ცხოვრებიდან, რომელსაც არანაირი შეხება არ ექნება 1904 წლის 16 ივნისთან დუბლინში“. ამ თარიღს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ იგი სიმბოლურად გამოხატავს დღეს, როცა ჯეიმს ჯოისმა ირლანდიის დატოვების გადაწყვე¬ტილება მიიღო, ნორა ბარნაკლთან პაემანი კი თითქოს ბედისწერასთან შეხვედრას გაუთანაბრდა. მოცემული ბიოგრაფიული მომენტისთვის გათვალის¬წინების გარეშე კონკრეტულად ამ თარიღის შერჩევა აზრს კარგავს. აქვე უნდა გამოვყოთ რომანის სტრუქტურულ-კომპოზიციური მთლიანობის კიდევ ერთი ფენა – ჰომეროსის „ოდისეას“ სამყარო, რომელიც, ს. ხორუ¬ჟის აღნიშვნის თანახმად, ისევე უკავშირდება რეალურ სამყაროს, რო¬გორც ძველ ბერძნებთან ზეციური სფერო – მიწიერს: მიწიერი მოვლენები და ცხოვრებისეული მსვლელობა შესაბამის ასახვას პოულობს ზეციურ სამყაროში, ანუ პლატონის დეფინიციის თანახმად _ „იდეათა სამყაროში“. „ოდისეაც“ სწორედ მსგავს „იდეათა სამყაროს“ წარმოადგენს „ულისე¬სათვის“. მის გმირებს, მათ მოქმედებასა და ბედისწერას იქ თავიანთი წინარე სახეები გააჩნია. ამას თან ერთვის გმირის რთული შინაგანი სამყარო, რომელიც თვითნებურად იჭრება ნაწარმოების სტრუქტურაში.

რომანის მრავალრიცხოვან, ურთიერთგადახლართულ პლასტებში გამო-იყოფა სამი ძირითადი არქეტიპი – ზემოხსენებული „ოდისეასეული“ და საერთოდ, ბერძნული მითოსური სამყაროს, ქრისტიანული მითისა და შექსპირული სამყაროს სახით. სამივე არქეტიპი რომანის ძირითადი თემა – ლაიტმოტივის, სულიერი მამის მაძიებელი შვილის ხაზის წარმოჩენას ისახავს მიზნად და რომანში არსებული უთვალავი ალუზია- რემინის-ცენციისა თუ ისტორიულ-ლიტერატურული პარალელის ქვაკუთხედად გვევლინება. ეს თავისთვად ხსნის იმ ბრალდებას იმ რომანის, ერთი შეხედვით, ქაოტური, უსიუჟეტო ხასიათის შესახებ, რომელმაც „ულისეს“ გამოცემისთანავე იჩინა თავი. თუ ნ. ყიასაშვილის სიტყვებს მოვიტანთ _ „ოდისეა“ „ულისესათვის“ იქცა იმ „ღვედად, რომელზეც დალაგდება, აიწყობა მწერლის სათქმელი და საჩვენებელი“ [1,VI].

„ულისეში“ მითი გვეხმარება როგორც ნაწარმოების სტრუქტურის მწყობრ, მოწესრიგებულ აღქმაში, ასევე პერსონაჟთა ჭეშმარიტი სახის, მათი არსის დანახვაში. პარალელურად, სწორედ იგი წარმოადგენს ჯოი-სისეული პაროდიის გასაღებს, რომელიც ორი ეპოქის (ანტიკურისა და თანამედროვეს) მსოფლმხედველობის კონტრასტს ეყრდნობა. როგორც ე. პა-უერი აღნიშნავდა წიგნში „საუბრები ჯეიმს ჯოისთან“ „Whereas Homer’s “Odyssey” describes praning horses, handsome men and fair women, gods and goddeses, Joyce’s “Ulysses” as we know is laid in tattered streets among blowsy women and in josting bars, culminating in the episode of “Nighttown” [5, 42]..

რომანის ტრაგიკულობა სწორედ ამ ორი მსოფლაღქმის – ანტიკური ჰარმონიისა და თანამედროვე სამყაროს დაფლეთილობის, გაურკვევლობის შეჯახებაში იკვეთება. „ულისეს“ „ოდისეასეულ“ არქეტიპზე საუბარს დავასრულებთ კ.ჯ. სანდულესკუს სიტყვებით:

“In contradiction to other archetypes it is largely external to the character’s minds, placed outside them, and acts as a unifying structural pattern and as a term of reference in the concrete – abstract (Real-mythic) relationship, which in this particular case operates, apart from the title, not so much at the level of epiphany, but at that of novel structure” [6,138].

რაც შეეხება რომანის რეალურ, ობიექტურ პლანს – აქ გვეძლევა ერთი დღე სარეკლამო აგენტის – ლეოპოლდ ბლუმის, დუბლინელი ებრაელის ცხოვრებიდან, რომლის მამამ, რუდოლფ ვირაგმაც უნგრეთიდან იმიგრირების შემდეგ გადაიკეთა გვარი ლექსიკურ-სემანტიკური მნიშვნე-ლობით შესაფერის გვარზე (ვირაგი – ყვავილი, ბლუმი – ყვავილობა). 1904 წლის 16 ივნისი მნიშვნელოვანი დღეა არა მარტო ჯოისის ბიოგრაფიაში (შეხვედრა ნორა ბარნაკლთან), არამედ ბლუმის ცხოვრებაშიც. ამ უკანასკნელმა იცის, რომ მეუღლე მერიონი (მოლი) ღალატს უპირებს და სწორედ ამ დღეს აქვს პაემანი ბოილანთან. ეს მოვლენა ნაწარმოების სიუჟეტურ კულმინაციას წარმოადგენს და გასაღებს გვაძლევს რომანის ინტრი-

გის, კომპოზიციის, ემოციური ატმოსფეროს აღთქმისათვის. რეა¬ლური ბლუმი, სარეკლამო სააგენტოს წვრილი მოხელე, პარალელურად, უამრავი ალუზიისა და რემინისცენციის საგანსაც წარმოადგენს – იგი, უპირველეს ყოვლისა, მახვილგონიერი ოდივსევსია, ულისე, რომელიც, ანტიკური პროტოტიპისაგან განსხვავებით, მარცხს განიცდის საკუთარი ინიციაციის წარმატებით დაგვირგვინების საქმეში; იგი ასევე „მარადიული ურიაა“, მამა-ღმერთის სიმბოლური განხორციელება, მატარებელი ზოგად ადამიანური საწყისისა, სიმბოლო დაკარგული მამისა, რომლის სახეს¬თანაც ასოცირდება სიყვარული, სითბოს, თანაგრძნობის ცნებები, რომელ¬ნიც ნიველირებულნი არიან თანამედროვე ეპოქაში.

რომანის მეორე მთავარი გმირი სტივენ დედალოსი გახლავთ – ავტობიოგრაფიული პერსონაჟი და ამავდროულად ევროპული რომანის ტრადიციული ფიგურა – მხატვრული სახე ნიჭიერი ყმაწვილკაცისა, რომელიც საკუთარი თავის მტკივნეულ ძიებაშია. რამდენადაც რომანის წამყვან სიუჟეტურ ხაზს სწორედ მამისა და ძის ურთიერთმიმართება წარმოად¬გენს, „ულისეში“ გამოკვეთილადაა ნაჩვენები საიმონ დედალოსი – სტი¬ვენის ნამდვილი, „ბიოლოგიური“ მამა და მამა-შვილს შორის არსებული გაუგებრობის უფსკრული. საიმონ დედალოსი კოლორიტული დუბლინელი ტიპაჟი გახლავთ, მთხრობელისა და მომღერლის გამორჩეული ტალანტით დაჯილდოვებული კაცი, ხოლო საქმიან ცხოვრებაში კი – მუდმივი ბანკროტი, უაღრესად უპასუხისმგებლო პიროვნება. აი, როგორ პასუხს სცემს ჯერ კიდევ „ხელოვანის პორტრეტის“ გმირი სტივენი შეკითხვაზე, თუ ვინაა მამამისი What was he? – Cranly asked after a pause.

– A medical student, an carsman, a tenor, an small investor, a drinker, a good fellow, a story-teller, somebody's secretary, something in a distillery, a taxi-gatherer, a bankrupt and at present a praiser of his own past" [3,420].

ჯერ კიდევ „ხელოვანის პორტრეტში“ ჩასახული დამოკიდებულება ღვიძლი მამის მიმართ კიდევ უფრო მწვავდება „ულისეში“, ვინაიდან აქ მამაშვილის ურთიერთობა წინა პლანზეა წამოწეული, ამ პრობლემის ბიოლოგიური, ფილოსოფიური, სულიერი თუ ინტელექტუალური ასპექტით. ეს თუნდაც იმავე დეკლან კიბერდისეულ „თაობათა დაპირისპირებუ¬ლობად“ შეიძლება იქნეს აღქმული, რაც საკითხს კონკრეტულ – ისტო¬რიულ მოტივირებასაც სძენს. მწერლის მამის, სტანისლავ ჯოისის მოგონებებს თუ გავიხსენებთ, ცხადი გახდება, რომ საიმონ დედალოსის მხატვრული სახის პროტოტიპი თავად ჯოისის მამა გახლავთ. მამასთან მიმართება – ეს გახლავთ სტივენის განუწყვეტელ ფიქრთა საგანი, რომელიც მერყეობს სიყვარულსა და კრიტიკული მიუღებლობის გრძნო¬ბათა შორის და, როგორც უკვე ავღნიშნეთ, მოცემული თემა მეტაფიზიკურ და საღვთისმეტყველო პლანშიც გადაიზრდება. სტივენს მეგობარიც ჰყავს – სტუდენტი-მედიკოსი ბაკ (მალაქაი) მალიგანი, რომელსაც რომანის დასაწყისიდანვე ვეცნობით. ისინი ინგლისელ ჰაინზთან ერთად ცხოვრობენ მატრელოს კოშკში, მაგრამ ეს ვითომდა მეგობარი სინამდვილეში შურით აღვსილი მოღალატეა, რომელიც ცდილობს, აიძულოს სტივენი, რათა დატოვოს კოშკი, თუმცა ეს იძულებაც შეფარული ხასიათისა გახლავთ და მხოლოდ რომანის ქვეტექსტურ პლანში იხსნება სიტყვალაიტმოტივ „გასაღების“ გამოყენებით.

ამგვარად, სტივენი მუდმივ დაძაბულობას გრძნობს გარშემომყოფთა წრეში. იგი გაუწონასწორებელია, მოკლებული ყოველგვარ დასაყრდენს, თავშესაფარს. ამას ქვეშეცნეულად შეიგრძნობს ლეოპოლდ ბლუმი, რომელიც დუბლინში ხეტიალის ჟამს შეეფეთება სტივენსს და მამობრივი გრძნობების მოზღვავებას იგრძნობს მიუსაფარი ყმაწვილის მიმართ. ბლუმი 38 წლისაა, სტივენი – 22-ის. ბლუმის ერთ-ერთ სულიერ ჭრი¬ლობას, მოლის Eღალატის პარალელურად, წარმოადგენს 11 წლის წინ ვაჟიშვილის, რუდის დაღუპვით გამოწვეული ტრავმა. შემთხვევითი როდია, ნაწარმოების რამდენიმე ეპიზოდში ბლუმის მიერ სტივენის გაიგივება რუდისთან. იგი თითქოს თავისი „არშემდგარი ძის“ მიმართ მამობრივი სიყვარულის რეალიზაციას ცდილობს სტივენის მეოხებით, მაგრამ იდილია არ ხორციელდება: ბლუმი _ ჯანსაღი ადამიანური საწყისები და სტივენი _ ინტელექტის სფერო არ ერწყმიან ერთმანეთს. ვერცერთი გმირი ვერ ახდენს საბოლოო ინიციაციას. ხანმოკლე სტუმრობის შემდეგ სტივენი კვლავ მიუსაფარი მიეშურება ბნელ ღამეში საკუთარი ჯვრის სატვირთველად, ხოლო ბლუმი კი შინ რჩება, უძეო, არანაკლები სულიერი ტვირთის ამარად.

მოცემული პლანის კავშირი ზემოხსენებულ არქეტიპებთან მრავალწახნაგოვანია. აქ წამყვანი როლი ენიჭება ხასიათთა სიმეტრიულ დამოკიდებულებას:

"Everything is the novel... boils down to tracing Stephan's and Bloom's parallel meandering in Dublin throughout the day starting separately, proceeding along separate routes with chance glimpses of each other, pointing at the possible relationship, and finally meeting in the last and climatic, episodes of the novel, only to part again at the end, each going in equally divergent directions" [6, 128].

პერსონაჟთა სიმეტრია განსაზღვრავს რომანის არქეტიპულ კონსტრუირებასაც: წამყვან მნიშვნელობას იძენს ულისე (ოდისევს) – ტელემაქეს ხაზი, რომელიც განსაკუთრებით რომანის პირველ და ბოლო სამ ეპიზოდში გამოიკვეთება. შექსპირულ თემასთან მიმართებით მრავალ-რიცხოვანი ვარიაციები მამისა და ძის მიმართების თაობაზე თავად სტივენის მიერაა ჩამოყალიბებული _ ჰამლეტის და მამა-ჰამ-

ლეტის აჩრდი-ლი, თავად შექსპირი და მისი მკვდარი ძე ჰამნეტი და ბოლოს, შექსპირი _ შემოქმედი, „მშობელი“ და „ჰამლეტი“ _ ძე, ნაყოფი მისი შემოქმედებისა, რაც პარალელურად ცხოვრებისა და ხელოვნების ურთიერთმიმართებას ეხმაურება. ეს შექსპირული ურთიერთმიმართება, თუმცა, ძირითადად მაინც „ბიბლიოთეკის“ ეპიზოდშია წარმოდგენილი, მაგრამ ნაწარმოების სხვა ნაწილთა ქვეტექსტშიც იგრძნობა და განსაკუთრებით ხშირად სტივენისეულ ცნობიერების ნაკადში წამოტიტივდება ხოლმე. თავიდან მას მხოლოდ სტრუქტურული ჩარჩოს როლი ეკისრება და მხოლოდ შემდგომ იქცევა ნაწარმოების ტექსტური დონის ორგანულ ნაწილად და ლაიტმოტივის როლსაც კი ასრულებს პერსონაჟთა ცნობიერებაში. კულმინაციას კი, „ბიბლიოთეკის“ ეპიზოდში გამართულ, მითოლოგიურ-პოეტური პარადოქსებით აღვსილ დიალოგში აღწევს.

მკვლევართა აღნუსხვით, „ულისეში“ შექსპირული ტექსტებიდან 200-მდე ციტირებას ვხვდებით და აქედან ნახევარზე მეტი _ 118 სტივენ დედალოსს ეკუთვნის. ეს ბუნებრივიცაა, რამდენადაც ბიბლიოთეკაში გამართული ლიტერატურული პოლემიკისა და მეტად საინტერესო შექსპიროლოგიური თეორიის ავტორიც სტივენია. საერთოდ, თუ პერსონაჟთა ალუზია-რემინისცენციებს შევაჯამებთ, დავინახავთ, რომ ლიტერატურულ-თეოლოგიური, მწიგნობრული სახის ალუზიები უპირა-ტესად, სტივენის ცნობიერების ორგანულ ნაწილს წარმოადგენენ, ხოლო ბლუმთან შემთხვევითი ან დამახინჯებული ხასიათი აქვთ და ეს ბუნებრი-ვიცაა, რამდენადაც, როგორც სავსებით სამართლიანად აღნიშნავს ნ. ყია-საშვილი _ „თუ განათლებული სტივენ დედალოსის ცნობიერების ნაკადი-სათვის ჰომეროსი, არისტოტელე თუ შექსპირი ორგანული იყო, რადგან პაროდიის ობიექტი აქ არა მარტო მწერლისათვის არის „ცნობილი“, არამედ თვით პერსონაჟისთვისაც. პოლ დე კოკის ბულვარულ რომანებზე აღზრდილი ლეოპოლდ ბლუმის ცნობიერების ნაკადში საკუთრივ ჰომეროსული მასალის კვალი ისე თვალნათლივ არ ჩანს, რადგან ოდისევსი, რომლის პაროდიულ სახესაც წარმოადგენს ბლუმი, რომანის ავტორისათვის არის ნაცნობი და გათავისებული და არა გმირისათვის. ბლუმის მეტყველება და ფიქრთა დინება სტივენისაგან სრულიად განსხვავებული, ადამიანის მიწიერი არსებობის, მისი სხეულებრივი, ბიოლოგიურ-ფიზიოლოგიური ინსტინქტების გამომხატველი მასალით არის სავსე“ [1,IV].

და საბოლოოდ, შევეხოთ მესამე, ქრისტიანულ არქეტიპს. აქ უპრიანი იქნება, გავიხსენოთ „ხელოვანის პორტრეტის“ გმირი სტივენი და კათო-ლიკური რელიგიის როლი მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში. ქრისტიანობის თემას „ულისეს“ პირველივე გვერდებზე ვხვდებით, როცა ბაკ მალიგანი პირის პარსვისას კათოლიკური მესის რიტუალის პარო-დირებას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ სტივენმა თითქოსდა საბოლოოდ შეაქცია ზურგი თავის კათოლიკურ აღზრდას, ნაწარმოებში მისი გონება სწორედ რომ რელიგიური ხასიათის ალუზია-რემინისცენციებითაა გაჟღენთილი. ეს საკითხი უაღრესად მტკივნეულია გმირისათვის არა მხოლოდ პირადულ, პიროვნულ კონტექსტში, არამედ ირლანდიის ისტორიულ ბედ-იღბალთან მიმართებაშიც. აქვე გავიხსენოთ ის აკვიატებული იდეა, რომელიც მწერალმა საკუთარი ბიოგრაფიიდან შეიტანა რომანში _ უარის თქმა მომაკვდავი დედის სარეცელთან ლოცვაზე, რამეთუ მისი მხრიდან ეს ფარისევლობის აქტი იმაზე უფრო მეტი ცოდვა იქნებოდა, ვიდრე კათოლიკური რიტუალების აშკარა დაგმობა და მათზე უარის თქმა.

ამგვარად, კათოლიკური ეკლესიის გავლენისაგან გმირის მოჩვენებითი განთავისუფლების შემდეგაც მისი ცნობიერება მაინც დართგუნულია. როგორც სტივენის მეგობარი კრენლი აცხადებს _ “His mind is supersaturated with the religion in which he says he disbelieves” [3,172].

„ულისეს“ დასაწყისში მალიგანი სტივენს „მხდალ იეზუიტს“ უწოდებს. ამის შემდგომ, საროსკიპოს სცენაში, ერთ-ერთი მეძავი გამოთქვამს ვარაუდს, რომ სტივენი გაფუჭებული ბერია, იმავე ეპიზოდის ფანტასმაგორიულ ფერხულში კი სტივენს ირლანდიის არქიეპისკოპოსის ტიტულს ანიჭებენ. რომანში აშკარაა ქრისტიანული ალუზიების სიჭარბე სტივენ დედალოსის მხატვრულ სახესთან მიმართებაში.

„ულისეში“ ქრისტიანულ არქეტიპზე საუბრისას უნდა გავითვა-ლისწინოთ კ.ჯ. სანდულესკუს მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ თუ ჰომეროსული პარალელი პერსონაჟებთან მიმართებაში გარეგან ფაქტორს წარმოადგენდა, ხოლო შექსპირული ალუზიები ნაწილობრივ გარეგანი, სტრუქტურულ მაორგანიზებელი სახისა იყო, ნაწილობრივ კი სტივენის ცნობიერების ორგანული კომპონენტი (ბლუმის შემთხვევაში მათ, მეტწილად, შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა), ქრისტიანული მითი თანაბრად ღრმაა ორივე საკვანძო პერსონაჟთან და მათი მუდმივი თანმდევია.

პერსონაჟთა ურთიერთობა ამ არქეტიპთა ურთიერთგადაჯაჭვულობის ფონზე იკვეთება. რომანის ოთხი ძირითადი პლანი (რეალური, „ოდისეა-სეული“, შექსპირული და ქრისტიანული) სტივენ-ბლუმის პერსონაჟთა სიმეტრიული ურთიერთსვლის, შეხვედრისა და არშემდგარი ინიციაციის შედეგად დაშორების სხვადასხვა ეტაპზე მეტნაკლები სისავსითაა წარმოდგენილი. მათ გარეშე შეუძლებელია ჩავწვდეთ რომანში განხორ-ციელებულ სტივენ-ბლუმის ანტინომიას _ სულიერი მამის მაძიებელი ძის თემას და ჯოისისეული გრანდიოზული პაროდიის მთელ სიღრმეს.

შემთხვევითი არაა ის ფაქტი, რომ ჯოისი ბლუმისა და სტივენის გამოთხოვებით, არშემდგარი ინიციაციის მომენტით არ ასრულებს რომანს. რომანის დამაგვირგვინებელი ეპიზოდი, „პენელოპე“ ეთმობა მოლი ბლუმს – მარადქალური საწყისის განსახიერებას, რომელიც პენელოპეს პაროდიული სახის გარდა, მარადიული დედის, გეას სიმბოლოდაც გვევლინება რომანში. იგი საკუთარ თავში მოიცავს მერმისს, დაკარგულ ბუნებრიობას და რომანის ბოლო სიტყვაც გახლავთ „დიახ“, რომელიც ამ ჯანსაღი საწყისის უზენაესობას ამკვიდრებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოისი ჯ. „ულისე“/ თბ. „საბჭოთა საქართველო“, 1983.
2. „ჯეიმზ ჯოისი – 100“ / თსუ-ს გამომცემლობა, თბ., 1984.
3. Joyce J. “A Portrait of the Artist as a Young Man”/ “Penguin Books”, L., 1996.
4. Joyce J. “Ulysses” / “Penguin Books”. L., 1992.
5. Power A. “Conversation with James Joyce” / “Faber and Faber”, L., 1964.
6. Sandulescu C.G. “The Joycean Monologue” / Colchester: A Wale Newsletter Press, 1979.

ელისო ფანცხავა

ჯეიმზ ჯოიზის „ულისე“ _ რომანის ძირითადი არქეტიპები და პერსონაჟთა სიმეტრია

რეზიუმე

სტატიაში ჩვენ ვსაუბრობთ ჯოისის „ულისეს“ სტრუქტურის ძირითად არექტიპთა და პერსონაჟთა სიმეტრიის შესახებ, რომანის მრავალრიცხოვან, ურთიერთგადახლართულ პლასტებში ჩვენ გამოვყოფთ სამ ძირითად არქეტიპს: „ოდისეას“ და საერთოდ, ბერძნული მითის, ქრისტიანული თემის და შექსპირული სამყაროს სახით. სამივე არექტიპი რომანის ძირითადი თემა-ლაიტმოტივის „სულიერი მამის მაძიებელი შვილის“ ხაზის წარმოჩენას ისახავს მიზნად და წარმოადგენს საყრდენს ნაწარმოებში არსებული უთვალავი ალუზია-რემინისცენციისა თუ ისტორიულ-ლიტერატურული პარალელისათვის. მითოსური არქეტიპი გვეხმარება ნაწარმოების სტრუქტურის მწყობრ, მოწესრიგებულ აღქმაში, ასევე პერსონაჟთა ჭეშმარიტი სახის დანახვაში და ამავდროულად, წარმოადგენს ჯოისისეული პაროდიის გასაღებს, რომლებიც ორი ეპოქის (ანტიკურისა და თანამედროვეს) მსოფლმხედველობისა და სამყაროს მათეული მოდელირების კონტრასტს ეყრდნობა.

აქვე ვსაუბრობთ საკვანძო პერსონაჟთა სიმეტრიის შესახებ, რომელიც განმსაზღვრელია რომანის არქეტიპის კონსტრუირებისათვის, აქ წამყვან მნიშვნელობას იძენს ოდისევსი – ტელემაქეს ხაზი, რომელიც განსაკუთრებით რომანის პირველ და ბოლო სამ ეპიზოდში გამოიკვეთება.

კვლევაში ყურადღებას ვუთმობთ შექსპირულ და ქრისტიანულ არქე-ტიპებსაც და აღვნიშნავთ, რომ თუ მითოსურ არქეტიპს უპირატესად სტრუქტურის მაორგანიზებელი როლი ენიჭება, შექსპირული ხაზი ნაწარმოების ტექსტური დონის ორგანულ ნაწილად იქცევა და ლაიტმოტივის როლსაც ასრულებს პერსონაჟთა ცნობიერებაში, ხოლო ქრისტიანული თემა, წარმო¬დგე-ნილი მრავალრიცხოვანი ალუზიებით, მხატვრულ სახეთა აღქმის მნიშვნელოვან გასაღებს წარმოადგენს. ძირითად არქეტიპთა შემაერთებელ რგოლად პერსონაჟთა სიმეტრია გვევლინება – სტივენი და ბლუმი განასახიერებენ ორ პოლარულ, მაგრამ ამავე დროს ურთიერთისკენ მსწრაფ საწყისს, „მამისა და ძის“ მაგისტრალურ ხაზს, ხოლო საბოლოო ინიციაციის განუხორციელებლობა თანამედროვე სამყაროს გაუცხოებით, ადამიანურ ფასეულობათა დაკარგვითა და დეჰუმანიზაციითაა გამოწვეული, თუმცაღა რომანი სრულდება არა სტივენის და ბლუმის უნაყოფო შეხვედრით, არამედ მოლი ბლუმის ფინალური მონოლოგით, რომელიც ცხოვრების დაკარგული ბუნებრივი საწყისის სიმბოლოდ აღიქმება და ნაწარმოების ბოლო სიტყვაც ამ ცხოვრებისათვის ნათქვამი „დიახ“ გახლავთ.

Eliso Pantskhava

James Joyse's „Ulysses“ – Main Archetypes of The Novel and symetry

Abstract

The structure of "Ulysses" is difficult and manifold. Various layers of the narration simultaneously co-exist in the text and often mingle with each other. The question of symmetry of characters plays a significant part in the architectonic of the novel, reinforcing its central theme – the father and son relationship. Alongside with the real plan of the narration, three main archetypes can be traced: the Homeric parallel, the Shakespearean allusions and the Christian myth. The symmetry of the character pattern is thus reinforced by the symmetry of the three archetypes, converging towards one basic idea, and also diverging – to cover practically the whole area of human knowledge, from mythology and legend to Christianity and the great samples of world literature, i.e. the whole system of myths and archetypes.

All the events of real or mythological plans of the novel, various reminiscences and allusions, parallel wanderings of Stephen Dedalus and Leopold Bloom bring the main characters closer and closer to each other, until they finally meet in the climatic episodes of the novel, only to part again at the end, "each going in equally divergent directions". The spiritual and intellectual loneliness of the heroes becomes the reason of the unfulfilled initiation. Still, the final of "Ulysses" is not the episode about the fruitless meeting of Stephen and Bloom but the episode of Molly Bloom who can be perceived as an image of natural, entire, spontaneous life, material symbol of Mother Gea. And the last word of the novel – "Yes" – sounds as an acceptance of life despite its tragism and alienation.

MARINE CHAGELISHVILI-URUMASHVILI PHD

TYPES OF ERRORS AND IMPORTANCE OF CORRECTION IN SECOND LANGUAGE ACQUISITION

Second language acquisition is the process by which people learn a second language in addition to their **native language(s).** The term "second language" is used to describe the acquisition of any language after the acquisition of their mother tongue. Through the descriptive study of learner language, some SLA researchers seek to better understand language learning without recourse to factors outside learner language. Researchers may adopt an inter language perspective, exploring learner language as a linguistic system, or they may study how learner language compares to the target language. Research is centered on the question: "What are the unique characteristics of learner language?" Much of the research has focused on the English language as the L2, because of the huge number of people around the world are learning and teaching it.

The field of error analysis in SLA was established in the 1970s by S. P. Corder and colleagues. A key finding of error analysis has been that many learner errors are produced by learners making faulty inferences about the rules of the new language. Error analysts often seek to develop a typology of errors. Error can be classified according to basic type: **omissive**, **additive, substitutive** or related to word order. They can be classified by how apparent they are: "overt" errors such as "I angry" are obvious even out of context, whereas "covert" errors are evident only in context. Errors may also be classified according to the level of language: **phonological** errors, vocabulary or lexical errors, **syntactic** errors, and so on. They may be assessed according to the degree to which they interfere with communication: "global" errors make an utterance difficult to understand, while "local" errors do not. In the above example, "I angry" would be a local error, since the meaning is apparent.

- In particular, the above typologies are problematic: from linguistic data alone ,it is often impossible to determine what kind of error the learner is making. Also ,error analysis can deal effectively with learner production (**speaking and writing)** and not with learner reception(**listening and reading**).

The source of an error could be **inter language or intra language**.(Richards 1971). If the learner of a foreign language makes some mistakes in the target language by the effect of his\her mother tongue, this is called **inter language errors**. For example , Georgian speaker learning English may say, 'მე სკოლაში ფეხით დავდივარ'- that is translated in English as 'I go in school with foot'- which is not acceptable in English.

Learners may make mistakes in the target language , since they don't know the target language very well they have difficulties in using it. For example, they may say "mans", "chil ds", "womans" as the plural form of "man", "child", "woman". In that way the learners over generalize the use of plural suffixes. This is considered as **intra language errors.**

It is worth mentioning that mostly students do not understand their errors. as very often errors are corrected by the teacher .from our experience we can say that it is more efficient for learners to correct themselves than be corrected by the teacher. But the question is : "how can students guess their mistakes". During the learning process the teacher should systematically explain errors and involve them in activities which are focused on error corrections. Particularly with beginning or young learners it will be difficult to answer "Why is it wrong?" as they have not got enough knowledge to give detailed grammatical description. The situation is quite different with advanced adult learners .Here the students can give answers appropriate to high level of their abilities. Porter notes that students should know how to identify errors in order to avoid them in future.

While writing an essay she suggests a four - step approach for self-correction. This approach consists of questions that the teacher provides to students. After writing an essay, students should read it four times, each time they try to answer the questions included in each of the four steps. In each re-reading task they concentrate on a different aspect of their essay. The first task ask them to highlight the verbs and check the tenses; in the second task students concentrate on prepositions; the third task requires them to concentrate on nouns(spelling, subject and verb agreement); finally in the fourth task students should try to correct potential personal mistakes.

AS far as speaking concerns, one of the main dilemmas for teachers giving conversation groups is error correction. They should be very careful to go about it. The danger of overcorrection is that students will lose motivation. The other extreme is to let the conversation flow and not to correct any mistakes. There are times when this is appropriate. So the question is: "when and how should we correct our students?"

Every teacher has his\her own ways of correcting their students and it is a case of finding out what both a teacher and students feel comfortable with. I would like to offer some ideas of how to go about it:

- talk to your students about error correction.; explain how important it is to find out their own mistakes.
- explain that grammar rules are given not only for studying them by heart but cognitively in order to guess their mistakes.
- involve them in practical activities as often as possible.
- before you begin an activity be sure whether you are concentrated on accuracy or fluency. For a class discussion for example fluency would be appropriate. The important thing is that students are expressing themselves

and are thinking of their own. If students have time to perform a role –play you may encourage accuracy. Remember that aim should be clear and your students should be aware of what you expect from them.

- students can often correct themselves when they realize they have made a mistake. Sometimes they make a mistake mechanically. Give students a chance and time to correct themselves. Sometimes by gestures or by different signs you can indicate the type of error. You also can raise your tone and repeat the question or mistake made by students and they will know what you mean and correct their mistakes. **Self-correction** will do them good.
- Students can also correct one another. **Peer correction** often helps to create a positive class atmosphere.
- **Teacher correction-** a teacher can repeat for example: ST.-I went in Scotland

T.-oh really. you went to Scotland, did you?

Sometimes in communication class a teacher makes notes and after finishing speaking she explains students' mistakes.

recording technique is also very effective for communication class.Students sit in a circle with a tape recorder in the center. At the end of the lesson they listen to their speech and the class takes part in a discussion. Students analyze their performance with a teacher. The focus is on improving the quality of what they say and expanding their inter-language.

In conclusion I can say that mistakes are unavoidable in SLA and whichever way you go about correcting your students, try to be positive for the learner and be systematic in error correction as it is a good motivation for students to guess the mistakes, improve their language. And achieve success in language learning.

Bibliography

1. Corder S P 1967 "the significance of learns' error-International review of Applied linguistics 5. 161
2. Porter G.K. mistake, Errors and Blank checks. Forum vol. 31 32 p.42
3. Richards, J A non constructive approach to error-analysis. English Language teaching 25. 204-219; 1971
4. Taylor G," Errors and explanations". Applied linguistics 7. 144-166;1986

Marine Chagelishvili-Urumashvili

Types of errors and importance of correction in second language acquisition

Abstract

The topic discussed in the article is problematic nowadays in SLA. Author gives analyzes of types of errors ,shows how important it is for learners to be aware of their own mistakes and offers some techniques for error correction.

მარინე ჩაგელიშვილი-ურუმაშვილი

მეორე ენის შეცნობა

რეზიუმე

"მეორე ენის შეცნობა" საკმაოდ პრობლემატური თემაა დღესდღეისობით. სტატიაში ავტორი განიხილავს შეცდომის სახეებს მეორე ენის სწავლებისას და მის თავისებურებებს. იგი აღნიშნავს,თუ რამდენად მნიშვნელივანია, რომ სწავლების პროცესში შემსწავლელმა აღიქვას საკუთარი შეცდომები და გვთავაზობს შეცდომების შესწორების ზოგიერთ გზებსა და ტექნიკას.

დალი ჩიკვილაძე

ნიკო ნიკოლაძის სტატია „მამაშვილური რჩევა“ თანამედროვეობის კონტექსტში

„მამაშვილური რჩევა“ 1913 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „კლდეში“ „როგორც ძვირფასი ისტორიული მასალა“. 1905 წლის 7 თებერვალს ნ. ნიკოლაძემ ეს წერილი გაუგზავნა „ცნობის ფურცელის“ რედაქციას, რომელმაც მაშინ იგი არ დაბეჭდა. თითქმის ათი წლის შემდეგ, „ჩვენს ერს რომ სულ სხვა საქმე, საჭიროება და მოქმედება ედო წინ“, ჟურნალმა „კლდემ“ (1913 წ. №37-38) შეუცვლელად გამოაქვეყნა მასალა „იმ ხანის დედნიდან“. წერილი პასუხია სამსონ ფირცხალავას (ფსევდონიმია „სიტყვა“) მიერ ძველი თაობის მიმართ გამოთქმულ უსამართლო და დაუსაბუთებელ ბრალდებებზე. მიზანი რედაქციისა არის შემდეგი — „იგი აჩვენებს მომავალ გამომძეველს (მკვლევარს — დ.ჩ.) ჩვენის წარსულისას, თუ გადამწყვეტ მომენტში პოლიტიკური ცხოვრების ბრუნვისა, რომელი მოაზრე რას ფიქრობდა და ქადაგებდა ჩვენში, რა გზას უჩვენებდა ჩვენს ერს და მწერლობას“. (ნ. ნიკოლაძის „მამაშვილური რჩევა“ პირველად გამოქვეყნდა დ. ჩიკვილაძის წიგნში — „დროსგასწრებული მამულიშვილი“, 2003 წ., გვ. 138-146. ქვემოთ დამოწმებული ყველა ამონარიდი ამ წიგნიდან იქნება მოხმობილი).

სამსონ ფირცხალავა (სიტყვა) „ცნობის ფურცლის“ გვერდებიდან გაჰკივის, „მამებო მოკვდითო“, აღნიშნავს ნ. ნიკოლაძე. თან ძველ თაობას აბრალებს, რომ ისინი მსგავსად მკვდრებისა, არამც თუ გაჩუმებულან და უტყვად არიან, არამედ მალავენ და მარხავენ იმას, რაც უთქვამთ და გაუკეთებიათო, რაზეც ნ. ნიკოლაძე გაკვირვებული პასუხობს, — მარტო ასაკი ხომ არ განასხვავებს ძველ და ახალ მოღვაწეს? „იმდენი წელი გასძლოს თქვენმა გაზეთმა, რამდენი ახალგაზრდა ძველ აზრებს, ემსახურებოდეს, ან რამდენი მოხუცი თავს სდებდეს ახალი წესებისთვის! არ მესმის, კიდევ ვის შეუძლია თავისი ნაღვაწის დამალვა? თუ მართლა ვმარხავთ სახეირო რასმე, თქვენ ვინღა გიშლით მის ამოთხრას და გავრცელებას? (დასახელებული წიგნი, გვ. 138-139).

გასაკვირია ბატონი სიტყვას საყვედური, — ბრძანებს ნ. ნიკოლაძე, — მას ამ ბედნიერ ასაკში ზეცის ბოძად, დედამიწის ღერძად მარტო ის მიაჩნია, რასაც თვითონ ემსახურება, სხვა რასაც უნდა აკეთებდეს, თავდაუზოგავად შრომობდეს, „ქვეყნის სასარგებლოდ გინდ უღალავ ძალას და უთვალავ ხერხს იჩენდეს ამ საერთო სამსახურში, ნუ გგონია ამ ყმაწვილებმა „მოღვაწედ“ ჩაგთვალონ. მოღვაწე, მათი აზრით, მარტო ისაა, ვინც „სტატიებს“ სწერს სხვის დედანზე, ან ძველ ლექსს გრეხს ახალ კილოზე. სხვა ყველა მკვდარიცაა და გადამდგარიც. ღმერთს მადლობა შესწირე, თუ მოღალატეც არ დაგარქვეს, ან სხვა რამე უარესი, რაც ატაცებულ ყმაწვილს ენაზე მოადგება, ბედნიერ ასაკს ასე სჩვევია. ნეტავი მას! **მაგრამ ვაი იმ ერს, ვის მწერლობაშიც ამ განვითარების პირები — კანონსა სდებენ“** (გვ. 139).

ნ. ნიკოლაძის აზრით, საზოგადო საქმეში ძველ მოღვაწეებზე მეტი, დიახაც, ახლებმა უნდა შეძლონ „ეს ბუნების კანონია, ახლებს საკუთარი ღონის გარდა, ის ძალებიც ეხმარება, რაც ძველებმა დაამარაგეს“. თანაც, ის ურჩევნია მამულსა, შვილი რომ სჯობდეს მამასაო, — მოაგონებს ახალგაზრდობას „ულმობელი საქმის კაცი“, რომელიც ირწმუნება, რომ ძველ მოღვაწეებს ეს საშური საქმე გულწრფელად სურთ.

ახალი თაობა საყვედურის ნაცვლად მადლიერი უნდა იყოს ძველების, რადგან ისინი ხომ ხელს არ უშლიდნენ და წინ არ ეღობებოდნენ ახალ თაობას. ეს ესთაფეტა როდი ჩაიბარა ძველმა თაობამ თავისი წინაპარი „მამებიდან“, რომლებიც „მტრულად და გამცემლურად“ მოექცნენ მათ, როდესაც ისინი, ახალგაზრდები, შემოდიოდნენ და ადგილს იკავებდნენ ახალ სააზროვნო სივრცეში. ამასთან, ნიკო ნიკოლაძემ ყველას გასაგონად განაცხადა: — **„ნამდვილი მოღვაწე როდი კვდება ხოლმე. ბევრ „ცოცხალ“ ვაჟბატონებზე უძლიერესად მოქმედობენ დღესაც ქვეყანაში ისეთი მოაზრენი, ვისიც ძვლები კაი ხანია მტვრად ქცეულა სამარეხში!“** (გვ. 140).

ნ. ნიკოლაძე ამხელს ბ-ნ „სიტყვას“ იმ არასწორი კომენტარის გამო, მკითხველი შეცდომაში რომ შეჰყავს: „როგორ შეიძლება, რომ ქართველებმა ახლა ხმა ამოვიღოთ, ეს მთლად დაღუპავს ქართულ საქმეს“... (გვ. 140) ნ. ნიკოლაძე სვავს კითხვას — რამდენად საკადრისია ჟურნალისტიკაში სხვისი აზრის ამგვარი დამახინჯება? „დაე, თქვენი ჭირი წაიღონ ძველმა მოღვაწეებმა და მათზე სინდისიერად მსჯელობამ. ქვეყანა მათი შეურაცხყოფით როდი დაიქცევა. საწყენი აქ უფრო ის არის, ვაი, თუ ამ წყეულ ძველ მოღვაწეებს სადმე მიყრუებულ ადგილებში, დამჯერი ვინმე შერჩენოდეთ!“ (გვ. 140).

პუბლიცისტი სამართლიანად შენიშნავს, რომ ამგვარი შეფასების უფლება არც ძველ და არც ახალ მოღვაწეს არ ეკადრება, თუნდაც ხუმრობით იყოს მოაზრებული. დღეს განსაკუთრებული დროა, რომელიც საუკუნეში მარტო ერთხელ დგება, — მიწა იძრა, ძველი გზა და ძველი შენობა დაინგრა, ახალი ჯერ არავისთვისაა ნათელი. ხალხს კი შველის და წარმატების უტყუარი გზის ჩვენება სჭირდება, რაც ძველმა თუ ახალმა საზოგადო მოღვაწეებმა უნდა მოახერხონ. მათ „დროშა უნდა აღმართონ დაფანტული ხალხის შესაკრებად, ხიფათის ასაცილებლად და უმჯობესი მომავლისაკენ წასამართავად“ (გვ. 140-141).

ნ. ნიკოლაძემ კარგად იცის, რომ მიწის შერყევა არავის შეუძლია, არც ჩვენისთანა ძველს და არც თქვენისთანა ახალ ვაჟბატონებს. და თუ ღმერთი იმოდენა ღონესა და ნიჭს მოგვცემს, რომ „გამოკვლევა შევძლოთ, თუ რა მსოფლიო ძალებს უმოქმედნიათ ამ შემთხვევაში და რითი ავიცილოთ თავიდამ მათი მავნე გავლენა... მეტსაც მოგახსენებთ, თუ არ გამირისხდებით: არც საჭიროა ჩვენის მხრით მიწას ვებღა-

უჭოთ მის შესაძრავად „უამისოდაც, უმსხვერპლოდაც, შეგვიძლია, თუ არ დავიბენით, ვნებას ავცდეთ და უმჯობესი მომავალი დავიმკვიდროთ“ (გვ. 141).

როგორც ცხოვრების ორომტრიალს შეჭიდებულ მამულიშვილს სწამს, რომ გამოცდილება დიდი ძალა და იარაღია მომავლისათვის ბრძოლაში. ამიტომ ახალმა თაობამ დაუღალავად და უმიზეზოდ არ უნდა სდევნოს უკვე ასპარეზზე მყოფი მოაზროვნენი. პირიქით, უნდა შეიმეცნოს და საზოგადოებას განუმარტოს, რას ურჩევდნენ წინათ და რას ურჩევენ ახლა: „ყოველ ახალ თაობას შეუცვლელად შემოაქვს შიგ, რაც რუსეთში ან ევროპაში მის დროს უფრო მოწონებულ მიმართულებად ითვლება“ (გვ. 141).

ამასთან, ნ. ნიკოლაძე იგონებს, რომ ყველა მოღვაწეს, ძველსა თუ ახალს, ყველა წოდებას, ყველა ეროვნებას, — დღეს ის დროშა იზიდავს, რომლის აფრიალებაც 1870 წელს პირველად მას ხვდა წილად გაზეთ „დროებაში“ (1866-1885 წ.წ.). ამ დროშას მარტო ორი სიტყვა ეწერა — „ერთობა, თვითმმართველობა“. ეს დროშა იმით იყო ძლიერი, რომ რომელიმე ქვეყნის მიბაძვით კი არ აფრიალებულა, არამედ ჩვენი ქვეყნის მომავლის საჭიროებამ და შინაურ საქმეთა მოწესრიგებამ უკარნახა და შთააგონა ავტორი. ჩვენი ქვეყნის საჭიროებაზე იყო გამოჭრილი, — ირწმუნებოდა ნ. ნიკოლაძე. თანაც „ის პოლიტიკა, რომლის ემბლემას ეს დროშა შეადგენდა, ჰქადაგებდა და ჰქადაგებს, რომ ჩვენში ყველა — წოდების, სარწმუნოების, ქონების, ეროვნების განურჩევლად, შეერთებული შრომით და ღონით უნდა ვიბრძოდეთ... იმ წესების შემოსაღებათ, იმ სიმართლების შესაძენათ, ურომლოთაც ადამიანის ცხოვრება ადამიანური როდია“ (გვ. 142).

XIX საუკუნის 70-იან წლებში კავკასიის მთელმა ინტელიგენციამ ეს გეგმა თეორიულად ერთდროულად მიიღო, „მაშინ ყველა მეთანხმებოდა, რომ მარტო ამ გეგმის განხორციელება შესაძლებელია ჩვენს ოცდათექვსმეტ ეროვან კავკასიაში“ (გვ. 142). მარტო ქართველებმა კი არა სომხებმა, თათრებმა და ლეკებმაც შეფიცეს ამ საერთო დროშას და ისინი დიდ ხანს გავლენიან რაზმს და ძალას წარმოადგენდნენ. ნ. ნიკოლაძე სინანულით იგონებს, რომ ამ დროშას ყველაზე ადრე 1877 წელს ქართველები გაექცნენ, მალე მათ სომხობაც გაჰყვა. ათიოდე წლის მანძილზე ეს ორი განსგამდგარი ამხანაგი ერთმანეთში მაინც არ დაობდა. 1890 წლიდან მათ შორისაც ატყდა მწვავე ბრძოლა. 3 თუ 4 წლის შემდგომ თვით ქართველობაში გაჩაღდა შინაური ომი ე.წ. „მესამე დასის“ თაოსნობით. „მუშა წინ აღუდგა პატრონს, გლეხი — აზნაურს, მრევლი — მღვდელს და სხვ, თუ ამ რიგად აირია მონასტერი კავკასიის მოწინავე ერებში, — ქართველობაში და სომხობაში, — რაღა საკითხია, თათრები და ლეკები რა გზას დაადგებოდნენ“ (გვ. 142).

ნ. ნიკოლაძის სიტყვით, ვიდრე „ერთობის და თვითმმართველობის“ დროშა მეფობდა ჩვენი ქვეყნის მართვასა და საზოგადო ცხოვრების გაძღოლაში, კავკასიურ მწერლობას და ინტელიგენციას დიდი გავლენა ჰქონდა, ხოლო ამ დროშის ძირს დამხობამ და განკერძოებულის აღმართვამ, რა შედეგი მოიტანა, არც ესაა ვინმესთვის დაფარული: „ცალ-ცალკე ვერც ერთმა ჩვენგანმა ქვეყანა ვერ ააშენა (ჩვენი ძალა კი ურთიერთშუა ბრძოლაში დაიღუპა. ვის სასარგებლოდ?“). ნ. ნიკოლაძის დასკვნა შემდეგია: “**ცალ-ცალკე ვერა გავარიგეთ რა, ვერც ჩვენ, ვერც სომხებმა. ვერც ვერავინ ვერასოდეს ვერაფერს გაარიგებს ჩვენს ქვეყანაში ცალ-ცალკე. მაგრამ დღეს... ყოველ შორს გამჭვრეტ ადამიანისთვის ცხადი შეიქმნა, რომ განკერძოვება, ერთმანეთთან ბრძოლა, ცალკე გზით შველის ძებნა ჩვენში სიკეთეს არავის დაა-აყრის**“ (გვ. 143).

თითქმის წინასწარმეტყველურია მეოცე საუკუნის დასაწყისში ნ. ნიკოლაძის დინჯი და არსებითი არჩევანი ქვეყნის პოლიტიკის გამარჯვებისა: „კავკასიაში არავითარ სხვა დროშას და პოლიტიკას ადგილი არა აქვს და არც ექნება, გარდა იმ დროშისა, რომელმაც ყველა წოდება, რწმენა და ერობა უნდა შეაერთოს ერთ და იმავე თვითმმართველობაში“ (გვ. 143). ეს დასკვნა ჩემი მოღვაწეობის ანალიზის ნაყოფი როდიაო, ბრძანებს ნ. ნიკოლაძე, ეს, რასაკვირველია, ბუნების კანონია, რაც „საუკუნოებმა, ისტორიულმა გარემოებამ მოიტანა, ამიტომაც უფრო ძლიერად, უფრო ბეჯითად, უფრო საშვილი-შვილოთ ჩაიბეჭდება ხალხის გონებაში ის ჭეშმარიტება, რომ საერთო გასაჭირს, საერთო მტერს მარტო ერთობა სძლევს და განხეთქილება კი აძლიერებს“ (ანუ, ღუპავს — დ.ჩ.) (გვ. 143). ამიტომ საერთო გასაჭირის მკურნალი მხოლოდ გვერდიგვერდ დგომაა, განხეთქილება — დანაწევრება — მტერია, ხალხი განურჩევლად ეროვნებისა, აღმსარებლობისა, წოდებრივი მდგომარეობისა შეერთებულად უნდა მონაწილეობდეს „სრული თვითმმართველობის“ დამყარებაში — ეს ევროპიდან ახლად დაბრუნებული ნ. ნიკოლაძის მოძღვრება გახლდათ. ვინ იცის, რამდენი ენერგია შეალია მან ერობის — თვითმმართველობის გარკვეული ფორმის — შემოღების საქმეს. (დაწვრილებით იხ. დ. ჩიკვილაძე, დაუვიწყარი პერსონალიები, 2009, გვ.93-100), ამიტომაც ამ დროშის, (იდეის — დ. ჩ.) შემომტანს და არჩევნების პოლიტიკის მქადაგებელ ნ. ნიკოლაძეს უკვირს, ნუთუ, ის ვისმე უბიძგებდა უსაქმობისა და უმოქმედობისაკენ, ქვეყნის მართვის პოლიტიკაში თვითმმართველობის წინააღმდეგ გამოსვლისაკენ და ხალხს უქადაგებდა, — გაჩუმდით, სხვის იმედად იყავით, ეგებ, ბიუროკრატიამ გააკეთოს ჩვენი საქმე, ბიუროკრატიის იქით შველა როდი გვაქვსო?! **„არა, ბატონო! საფლავშიც რომ ვიდო, ჩემი ღვაწლი და ნაწერი იქიდანაც ამოსძახებდა ყველას, ვისაც კი სმენა არ დახშვია: შეერთდით: რუსი, თათარი, ფრანგი, სომეხი, ქართველი, ურია, ლეკი, გლეხი, თავადი, აზნაური, ერი და მღვდელი, მდიდარი და ღარიბი, ნასწავლი და უმეცარი თვითმმართველობის დროშის ქვეშ! მარტო ამ დროშას შეუძლია იმ წესის დამყარება, რომელიც მოსპობს ყველაფერს, რაც ურიგო, უსამართლო ან სავნოა ჩვენს ცხოვრებაში და ურთიერთობაში“** (გვ. 144).

„სრული თვითმმართველობის“ პირობებში შეიძლება შრომა და ბრძოლა კერძო სიკეთისათვისაც, როდესაც ფაბრიკანტი თავის კეთილდღეობას ააწყობს, მუშა მოესწრება თავისი ღირსების დაცვას, ერი — თავისი ენის შენარჩუნებას და განვითარებას, რითაც საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაც შესაძლებელი იქნება. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის 20-30 წლიან ნაღვაწს ხშირად შთანთქავს უმიზნო ომი.

ომი, რომელსაც სრული თვითმმართველობა თავიდან აცილებას შეძლებს, რადგანაც იგი არავითარ კანონს არ მიიღებს ხალხის წარმომადგენლების თანხმობის გარეშე. ამგვარად, „ერთობით უნდა წარვემართოთ „თვითმმართველობისკენ“: სხვა ყოველი დროშა დროებით მიტოვებული უნდა გვქონდეს. ვინც ... სხვა რამე დროშას მისდევს, ან აფრიალებს, სხვა ღმერთს ემსახურება, სხვა კითხვას სძრავს და სხვა შფოთს სთესს, ის ქვეყნის მოღალატე და წარმატების მტერია... დღეს ყველა მოვალეა დროებით მიწაში ჩამარხოს ყოველგვარი ნაციონალური, სოციალური, რწმუნებრივი (აღმსარებლობითი — დ. ჩ.) დროშა და მარტო ერთს საერთო თვითმმართველობის დროშას გულწრფელად და დაუზოგველად ემსახუროს. მარტო ეს დროშა დაუმკვიდრებს ჩვენს ქვეყანას და ყველა მის ერებს თავისუფლებას, თანასწორობას და ძმობას“ (გვ. 145-146).

ამრიგად, მეოცე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ქართულ სინამდვილეს ნ. ნიკოლაძე „ჭიანჭველეთს“ უწოდებდა, ხოლო იმდროინდელ საზოგადოებას — „ბავშვივით მიმნდობ საზოგადოებას“, რომელსაც ხშირად პურის ნაცვლად პრესა ქვას აწვდიდა (ნ. ნიკოლაძე, თხზ., ტ. 7, გვ. 378, გვ. 423), ნ. ნიკოლაძე სრულიად განსხვავებულ სახელმწიფო მართვის სტრატეგიასა და პოლიტიკის სტილისტიკას სთავაზობდა მაშინდელ „გარინდებულ საზოგადოებას“, რაც დღევანდელობას არა თუ ეხმიანება, თითქოს მისი სახელმწიფოებრივი კონცეფციის წინაპარია. არჩევნების გზით „სრული თვითმმართველობის“ მიღწევა, რომელშიც ერთი დროშის ქვეშ დარაზმული ერი და ბერი, ქართველი და არაქართველი, ქრისტიანი და არაქრისტიანი გაერთიანდებოდა, რაც დღევანდელობის კონსტიტუციური მოთხოვნაც გახლავთ. „შევერთდეთ და გავიმარჯვებთ“, „ყველა — არჩევნებზე!“ „დემოკრატიული გზით ჩატარებული არჩევნები“ — ეს მოწოდებები დღეს ყველა პარტიის ლოზუნგია, „სრული თვითმმართველობა“, ერთი დროშის ქვეშ დარაზმულობა, არჩევნებში უცილობელი მონაწილეობა, — ესმოთხოვნები ნ. ნიკოლაძის წერილის პათოსია, რაც იმ დროის ქართულ სააზროვნო სივრცეში დემოკრატიზმის დამკვიდრების დასტურია, ამასთან სახელმწიფოებრიობის გამოვლენის ამ „კუდშეკვეცილ“ (ნ. ნიკოლაძის ტერმინია — დ. ჩ.) ფორმაში ფართო მასების ჩართვა, — დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების წინასწარ ჭვრეტად გვესახება, ასე რომ, ნ. ნიკოლაძის პოლემიკური წერილი „მამაშვილური რჩევა“ ამ ბრძენი მოაზროვნის უზომო დემოკრატიულობისა და პროგრესულობის მორიგ დასტურად მიგვაჩნია, მისი შეგონება — ნუ ლანძღავთ წინა თაობას, ისწავლეთ ის სიკეთე, რაც ამ თაობამ შემოიტანა და გზად და ხიდად გასდო, აქტიურად მიუმატეთ ახალგაზრდებმა საკუთარი ნაღვაწი და ლანძღვის გარეშე გააგრძელეთ თანაცხოვრება, — ეს რჩევა ყოველი დემოკრატიული საზოგადოების მორალური ცხოვრების საფუძველი უნდა იყოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნიკო ნიკოლაძე, „მამაშვილური რჩევა“, ჟურ. „კლდე“, 1913 წ., №37-38.
2. დალი ჩიკვილაძე, დროსგასწრებული მამულიშვილი, 2003 წ., გვ. 138-146.
3. ნიკო ნიკოლაძე, „პრესის მოლჩალინები“, თხზ. ტ. 7, 1985 წ., გვ. 423.
4. ნიკო ნიკოლაძე, „კლუბურ ზნე-ჩვეულებათა გამო“, თხზ. ტ. 7, 1985 წ., გვ. 378.
5. გელა საითიძე, ჟურნალი „კლდე“, 2001 წ.
6. დალი ჩიკვილაძე, დაუვიწყარი პერსონალიები, 2009 წ., გვ. 93-100.
7. ალექსანდრე ბედიანიშვილი, ალ. დაუშვილი, მიხ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ოთ. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიანიზმი საქართველოში, 2008 წ., გვ. 3-13.

დალი ჩიკვილაძე

ნიკო ნიკოლაძის სტატია „მამაშვილური რჩევა“ თანამედროვეობის კონტექსტში

რეზიუმე

ნ. ნიკოლაძის პოლემიკური სტატია „მამაშვილური რჩევა“ მეოცე საუკუნის დასაწყისში (1905 წ.) სამსონ ფირცხალავას საპასუხოდ დაიწერა. ავტორი განმარტავს, რომ ძველი თაობის წარმომადგენელთა ნაღვაწს ახალი თაობა ლანძღვა-გინებით არ უნდა ეკიდებოდეს. ყოველ თაობას თავისი სამოქმედო არეალი აქვს. მან ის წარმატება უნდა მოუტანოს სამშობლოს, რისი უნარიც გააჩნია, თანაც ძველების ნაღვაწის კვალდაკვალ ახალმა ცოდნამ, ძარღვმა და ენერგიამ სამშობლო ახალი გზით, ახალი გარდაქმნებით უნდა დააწინაუროს და დემოკრატიზმის დამკვიდრებით გააძლიეროს.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში ნიკო ნიკოლაძემ წარმოადგინა არჩევნების გზით „სრული თვითმმართველობის“ შემოღების იდეა, რაც უნდა დაფუძნებოდა კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხის ერთი დროშის ქვეშ დარაზმულობას, მიზანი — ქართველი თუ არაქართველი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, მდიდარი თუ ღარიბი, ერისა და ბერის გვერდიგვერდ დგომით თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული ქვეყნის აშენება იყო., რაც დღევანდელობის ვექტორულ სივრცეში ქართული სახელმწიფოებრიობის წინასწარ ხედვად შეიძლება ჩაითვალოს, ხოლო ნ. ნიკოლაძე დიდ რეფორმატორად, დემოკრატად და XXI საუკუნის ბინადრად.

Dali Chikviladze

Article of Niko Nikoladze “Father’s Advice” in contemporary context

Abstract

The polemic article of Niko Nikoladze “Father’s Advice” was written in the beginning of the twentieth century (1905) in answer to Samson Pitrskhalava. The author explains that the new generation should not abuse and criticize the services and merits of representatives of the old generation. Every generation has its own area of activity. It should lend to his homeland the success according to his abilities, besides, in the footsteps of the services of the old generation, the new knowledge, talent and energy should promote the homeland in new way, new rearrangement and strengthen it with inculcation of democracy.

As far back as 70s of the nineteenth century Niko Nikoladze presented an idea of adoption of “total self-government” through elections, which should have laid the groundwork for unity of different people living in the Caucasus under one flag, the goal was formation and development of free, independent, democratic country by standing abreast of Georgian or not Georgia, Christian or not Christian, rich or poor, the clergy or the laity, which, in vectorial space of the present can be considered to be the foresight of Georgian statehood, and N. Nikoladze – the great reformer, democrat and resident of the XXI century.

იური ბიბილეიშვილი

გონისა და გულის საზრდო

(რეცენზია პროფ. რევაზ ბალანჩივაძის წიგნზე „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“)

დავასრულე პროფ. რევაზ ბალანჩივაძის „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილების“ კითხვა და ძლიერი შთაბეჭდილებებით დავხურე წიგნი. თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ უამრავი ახალი ცოდნით სავსე წიგნი შემოვიდა ჩემში. და ბედნიერად უნდა გრძნობდეს თავს მისი ავტორიც, რომ ასე ძალდაუტანებლად იპყრობს მკითხველის გონსა და გულს.

რა არის ის, რაც განსაზღვრავს წიგნის ხალას ღირსებებს? ეს არის ავტორის მრავალმხრივი განათლება–განსწავლულობა, თხრობა და მსჯელობა ინტელექტუალურ დონეზე და წერის მაღალი კულტურა–მხატვრული გემოვნების დონეზე.

პროფ. რევაზ ბალანჩივაძეს არ შეუძლია მშრალი, ოფიციალური სტილით წერა, არ შეუძლია ფაქტები მხოლოდ ფაქტებად მოგვაწოდოს. პირიქით, ყოველ წერილში, ყოველ ფრაზაში უშურველად დებს თავის გულს, განცდებს, ემოციებს. წიგნი გთავაზობთ მოგზაურობას საინტერესო ადამიანების, ფაქტებისა და მოვლენების სამყაროში, საიდანაც არ გინდა გამოსვლა. ყველა ნაწარმოები დაწერილია საგნის ღრმა ცოდნით. ფსიქოლოგიურ პრობლემებზე მსჯელობაში კვალიფიციური ფსიქოლოგი, მხატვრულ ნაწარმოებზე კვალიფიციური კრიტიკოსი, ხელოვნებათმცოდნე, ჟურნალისტიკისმცოდნეობის უახლესი მიღწევების კურსში მყოფი სპეციალისტი და ამავე დროს ყველაფერში იკითხება მაღალი დონის პროფესიონალი ფილოსოფოსის ნააზრევი. მაგალითად, ვასილ კიკნაძის წიგნში „გამოთხოვება მოგონებებთან“ მოთხრობილი ეპიზოდის „მოშეს ფაიტონის“ შეფასების დროს პროფ. რევაზ ბალანჩივაძე სწორედ ფილოსოფიური პოზიციიდან წერს: „სხვათაშორის, ფაეტონში მომხდარი სიტუაციის მსგავს სიტუაციას ფილოსოფოსები „ზღვრულ კრიტიკულ სიტუაციას“ უწოდებენ და მიაჩნიათ, რომ სწორედ ამგვარ სიტუაციაში ვლინდება ადამიანის ნამდვილი სახე და ჭეშმარიტი ბუნება და არა უპრობლემო სიტუაციაში, რომელშიც მეტ–ნაკლებად ყველანი კარგები ვართ“.

რევაზ ბალაჩივაძის „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“ (რედაქტორი პროფ. გიორგი მათიაშვილი) წინასიტყვაობისა და ექვსი განყოფილებისაგან შედგება. წინასიტყვაობას ავტოპორტრეტის ფუნქცია აკისრია. ამ პორტრეტში ჩვენს ყურადღებას იქცევს ავტორის დამოკიდებულება ადამიანებისადმი და იგი ასე არის გამჟღავნებული ავტოპორტრეტში: „წიგნში არ არის არცერთი კრიტიკული წერილი. თუკი ოდესმე ვინმეზე რამე დამიწერია, მხოლოდ დიდი სითბოთი და სიყვარულით. ადამიანის გინება, როგორც ამბობენ, „ჩემი პროფესია“ არ არის. მე მიყვარს ყველა ის ადამიანი, რომელზეც ვწერ. ამიტომაც ვწერ მათზე გულითადად, ალალად, იმის სურვილით, რომ მეგობარს, ან უბრალოდ ნაღდ ქართველს მივუღოცო კარგი წიგნი, კარგი ფილმი, კარგი სპექტაკლი, კარგი სტატია, საიუბილეო თარიღი, ან უბრალოდ დაბადების დღე...

ყოველთვის მიხაროდა სხვისი წარმატება... მინდა ყველა ქართველს უყვარდეს ერთმანეთი, უპირველესად კი მაინც ჩემი ქვეყნის გამთლიანება და გაბრწყინება მინდა“.

წიგნის პირველი ნაწილი–ღვთივკურთხეული ადამიანი –სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია მეორის ასაყდრების 25–ე წლისთავს ეძღვნება. მოკლედ და კონდესირებულად არის დახასიათებული ამ სტატიაში ის კრიტიკული სიტუაცია, რაც საქართველოში არსებობდა ილია II ასაყდრების წინ. ეს იყო ღრმა სულიერი კრიზისის, ურწმუნობის, დანგრეული ტაძრების საქართველო. „ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში მოვიდა ქართული ეკლესიის მესაჭედ ილია მეორე, ეს საოცრად ღვთისნიერი ადამიანი, უაღრესად განათლებული და დახვეწილი გემოვნების ინტელიგენტი,... მოვიდა, რათა აღედგინა ადამიანში ადამიანური, მოეხდინა მისი ზნეობრივი კათარზისი, ჩაენერგა ყოველ ქართველში ქრისტიანული რწმენა, დაებრუნებინა მრევლი ეკლესიისათვის, რადგან კარგად იცოდა, რომ საუკუნეების განმავლობაში ქრისტიანობამ იხსნა ქართველობა“.

თანამედროვე თვალსაზრისით პრინციპული საკითხებია განხილული ნაშრომში „მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის ურთიერთმიმართების პრობლემა სრულიად საქართველოს კათალიკოს–პატრიარქის ილია მეორის ეპისტოლეებისა და ქადაგებების მიხედვით“. ავტორი იწყებს იმით, რომ რელიგიურ რწმენასა და მეცნიერულ ცოდნას ურთიერთსაპირისპირო ცნებებად მოიაზრებს მეცნიერთა ერთი ნაწილი და სვამს კითხვას: მართლა უპირისპირდებიან ისინი ერთიმეორეს თუ, პირიქით, გულისხმობენ და ავსებენ ერთმანეთს? ნაშრომში სწორად არის განსაზღვრული განსხვავება მეცნიერებასა და რელიგიას შორის: „ის, რაც შედის რწმენაში, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელია და გაუგებარი“. მაგალითად, ადამიანური გონებისათვის მიუწვდომელია სამყაროს უსასრულობა, დაუსაბამობა დროსა და სივრცეში, უსასრულობის შესახებ კი შეუძლებელია გაგვაჩნდეს დასრულებული, ჭეშმარიტი ცოდნა. სამყაროს უსასრულობა და დაუსაბამობა დროსა და სივრცეში სასწაულია, რომელსაც მეცნიერება ვერ შეისწავლის. სასწაულები (ღვთის არსებობა, სულის უკვდავება, მაცხოვრის დაბადება, მაცხოვრის აღდგომა და ამაღლება) რელიგიური რწმენის სფეროა;

ილია მეორის ქადაგებებში, განსაკუთრებით 1995 წლის სააღდგომო ეპისტოლეში, საფუძვლიანად არის დახასიათებული მეცნიერული ცოდნისა და რელიგიური რწმენის აუცილებელი ურთიერთკავშირი. მაგალითად, დამაჯერებლად არის დამტკიცებული, რომ მორწმუნე, მაგრამ გაუნათლებელი ადამიანი,

ადვილად შეიძლება აღმოჩნდეს რელიგიური ფანატიზმის ტყვეობაში. პროფ. რევაზ ბალანჩივაძე მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ილია მეორის მიერ შემოტანილ განმარტებებს მეცნიერული და რელიგიურ ჭეშმარიტებათა შესახებ. ილია მეორის შეხედულებით, ნამდვილ, მეცნიერულ ცოდნასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა მიგნებულია ჭეშმარიტი საქმის ვითარება, ანუ მიგნებულია საძიებელი ჭეშმარიტება. ასეთი (მეცნიერული) ჭეშმარიტების აღსანიშნავად ილია მეორე ხმარობს ტერმინს **„ფაქტის ჭეშმარიტება“,** ხოლო მეცნიერული ჭეშმარიტებისაგან განსხვავებით რელიგიურ ჭეშმარიტებას **უმაღლეს ჭეშმარიტებას** უწოდებს. მაშასადამე მეცნიერულ ცოდნასა და რელიგიურ რწმენას შორის საერთოა ის, რომ ორივეს საბოლოო მიზანი ჭეშმარიტებამდე მისვლაა.

წერილების პირველ („მადლი თქვენს გამჩენს“) და მეორე („მოგონებები გარდასულ დღეთა“) განყოფილებებში ლაპარაკია „სანთელივით სუფთა“ მოღვაწეების ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. ავტორი მათ შესახებ წერილებს ანბანის მიხედვით ალაგებს, სულ 48 ღირსეული ქართველის პორტრეტი შემოგვცქერის წიგნის ფურცლებიდან. თითოეული მისალმება თუ მოგონება დაწერილია ისე, ისეა წარმოჩენილი ცნობილი პიროვნებები, „თქვენ რომ არ იცნობდით ამ კუთხით“. ამიტომ სამართლიანი ვიქნებით, თუ დავესესხებით ავტორს და თინათინ ელბაქიძის წიგნზე „ჩემი კუნძული“ გამოთქმულ შეფასებას მივუბრუნებთ მასვე და ვიტყვით, რევაზ ბალანჩივაძე ფილოსოფიური თვალსაზრისით, არსში წვდომის ხელოვნებით წერს გამოჩენილ ადამიანებზე. წიგნის ამ წერილებს კარგად ესადაგება ამერიკელი პოეტის უოლტ უიტმენის ეს სიტყვები: „მეგობარო, ეს არ არის წიგნი. ხელი ახლე და კაცს შეეხები“. თავის დროზე მოღვაწეების შესახებ ასეთი წერის ტრადიციას საქართველოში ამკვიდრებდა ცნობილი იოანა მეუნარგია. მისი ორტომეული „ქართველი მწერლები“ დღემდე ობოლ მარგალიტად რჩებოდა. პროფ. რევაზ ბალანჩივაძე ახალი ფორმით და ახალ სიმაღლეზე აღადგენს ამ კარგ ტრადიციას. მაგალითად, წიგნის პირველ და მეორე განყოფილებებში მოსალოდნელი იყო ინფორმაციის (მოგონებების) სიჭარბე. ავტორმა წარმატებით დასძლია ჟანრისათვის დამახასიათებელი შეზღუდულობანი და მისალმებებიცა და მოგონებებიც დაწერილია ანატილიკური აზროვნებით, წიგნი სავსეა ცოდნით. ჭეშმარიტად უკვდავია საქართველო, რომელიც ერთდროულად (ერთ საუკუნეში) ამდენი საისტორიე კაცის აღმზრდელი და დამფასებელია. ეს შთაბეჭდილება კიდევ უფრო ძლიერდება მესამე (განხილვა–პრეზენტაციები) და მეხუთე (რეცენზიები) განყოფილებებში.

განსაკუთრებული ძალით არის დაწერილი მეოთხე განყოფილებაში წარმოდგენილი წერილები „ადამიანის პრობლემა ანტუან დე სენტ ეგზიუპერის შემოქმედებაში“, „საშუალო ადამიანის „აღზევება“, „ქართული ეროვნული ცნობიერების კრიზისი“ და სხვ. ვინ არის „საშუალო ადამიანი“? – სვამს კითხვას პროფ. რევაზ ბალანჩივაძე და აზუსტებს: საშუალო ადამიანი არამც და არამც საშუალო სქესს არ ნიშნავს. ეს არის ადამიანის გარკვეული ტიპი და არა საზოგადოების ის ფენა, რომელიც მდიდარსა და ღარიბს შორის თავსდება და საშუალო ფენად იწოდება. ლაპარაკია ადამიანის ისეთ ტიპზე, რომელიც ისტორიულად ყოველთვის არსებობდა, მაგრამ ინტელიგენციისაგან განსხვავებით, არსებობდა შეუმჩნევლად, სხვათათვის ნაკლებად შემაწუხებლად და რომელმაც დღეს საზოგადოებრივ ძალთა განლაგებაში წამყვანი, გაბატონებული ადგილი დაიჭირა. დღეს ადამიანის ამ ტიპმა,–შენიშნავს პროფ. რევაზ ბალანჩივაძე,– მოიცვა ყველა და ყველაფერი და, პირველ რიგში, დაუპირისპირდა ჭეშმარიტ ინტელიგენციას, რომელიც საზოგადოებრივი განვითარების ყოველ ეტაპზე „ერის სულიერ წინამძღოლობას კისრულობდა“, საზოგადოების ჭკუის დამრიგებლად და სწორი გზის მაჩვენებლად მიიჩნეოდა. „საშუალო ადამიანმა“ კი დღეს ეს ინტელიგენცია იმდენად შეავიწროვა, იმდენად მიიმწყვდია კუთხეში, რომ ლამის უფუნქციოდ დატოვა, ხოლო მისი ადგილი თავად დაიჭირა.

„საშუალო ადამიანის“ არსში ღრმად ჩაწვდომის მიზნით ავტორი მრავალ საყურადღებო ანალოგიას მიმართავს. „საშუალო ადამიანებისაგან“, ანუ უპიროვნო, უსახო არსებებისაგან შედგენილი მასა რომ არაფერს წყვეტს ისტორიაში, მას რომ არ გააჩნია საზოგადოებრივი წინსვლის სწორი ხედვა და მყარი ორიენტირები, პროფ. რევაზ ბალანჩივაძის შეხედულებით, ძალიან კარგად არის ნაჩვენები „ახალ აღთქმაში“. მათეს სახარებაში (2.1.9–10) აღწერილია მაცხოვრის დიდი შესვლა იერუსალიმში. ხალხი ზარ–ზეიმითა და სიხარულით ხვდება მას. ხოლო სულ რამდენიმე დღეში იგივე ხალხი მთელი ხმით გაჰყვიროდა „ჯუარს ეცუნ“. „ახალი აღთქმის“ ამ ეპიზოდიდან, დაასკვნის ავტორი,–კარგად ჩანს, თუ რამდენად არამყარია, უპრინციპო და უორიენტაციოაა საშუალო ადამიანებისაგან შედგენილი ხალხთა მასები, როცა მას ჭეშმარიტი ინტელიგენცია არ მართავს.

სამწუხაროდ, შენიშნავს პუბლიცისტი რევაზ ბალანჩივაძე, დღევანდელ საქართველოში სწორედ ამგვარი „ადამიანი–მასის“ მოჭარბებაა საგრძნობი და იქვე დასძენს: ასეთი რამ, როგორც ჩანს, თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე, ტოტალიტარული რეჟიმისა და ავტორიტარული მმართველობიდან დემოკრატიულზე გადასვლის თანმხლები პროცესია. ყველაფერი ის, რაც ადრე ინტელექტუალური არისტოკრატიის საკუთრება იყო, დღეს „საშუალო–ადამიანის“ ანუ „ადამიანის–მასის“ საკუთრებად იქცა, რაც გახდა მისი გააქტიურების უპირველესი და უმთავრესი მიზეზი... ადრე, იმისათვის, რომ საზოგადოებრივი აღიარება მიგეღო, დიდი შრომა, განსაკუთრებული ნიჭი და ტალანტი იყო საჭირო, ახლა სულაც არაა აუცილებელი ოფლის ღვრა და ღამეების ტეხვა. ახლა მთავარია ინტელიგენცია ლანძღო, ხალხში შიში და უნდობლობა დათესო, უკადრებელი იკადრო და უვარგისი ცაში აიყვანო,... ამ მსჯელობას, პუბლიცისტი ამთავრებს უაღრესად მეტყველი შედარებით: „განა ნაცრის მქექავი ყვარყვარე თუთაბერი ასე არ გახდა „დიდი რევოლუციონერი“ და „უძლეველი ჯარის სარდალი?“ მერედა, დღევანდელი „საშუალო–ადამიანი“ რითია ყვარყვარეზე ნაკლები ან უფრო სწორად კი–მეტი“?!ან: ჩვენს თანამედროვე საზოგადოებაში ცოტაა ყვარყვარე თუთაბერები?

წერილი „ქართული ინტელიგენცია და „ადამიანი–მასა“–გაგრძელებაა წერილისა „საშუალო ადამიანის“ აღზევება“. ავტორი ახალი დეტალებით ამდიდრებს წარმოდგენას „საშუალო ადამიანზე“ და წერს: „საშუალო ადამიანს“ წმინდა უტალიტარულ–პრაგმატული დამოკიდებულება აქვს სინამდვილესთან... მისთვის ჭეშმარიტი მხოლოდ ისაა, რაც სასარგებლოა.

გულის გამალებული ფეთქვა იგრძნობა წერილის–„ქართული ეროვნული ცნობიერების კრიზისი“–ყოველ ფრაზაში. ავტორი მსჯელობს გლობალიზაციის მთავარი შტრიხების მიხედვით და დაასკვნის: თუ დემოკრატიაა, მაშინ ამის თქმა უნდა შეიძლებოდეს. თუ დემოკრატიაა, მაშინ ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რომ არასოდეს მისი მდგომარეობა ისე საშიში, ისე საგანგაშო, ისე საბედისწერო არ ყოფილა, როგორც დღეს არის. ეს სიტყვები რომ მხოლოდ სიტყვებად არ დარჩეს, პროფ. რევაზ ბალანჩივაძე გვთავაზობს სამოქმედო პროგრამას (გვ. 316), რომელიც გულდასმით უნდა გაიაზროს მკითხველმა. პუბლიცისტი მოითხოვს, რომ გლობალიზაციის პროცესს ეროვნული იდეოლოგია უნდა შევაგებოთ, ხალხი არ უნდა გაითქვიფოს მსოფლიო მასაში. გლობალიზაცია მსოფლიო პროცესია, მას ვერავინ შეაჩერებს, მაგრამ გლობალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეეხოს კულტურას იმდენად, რამდენადაც ყოველი კულტურა უნიკალურია და ერის ზნე-ჩვეულებების, ტრადიციების, ადათ-წესების გამომხატველი.

კიდევ ბევრი საჭირბოროტო საკითხია აღძრული პროფ. რევაზ ბალანჩივაძის წიგნში „ფილოსოფიური და პუბლიცისტური წერილები“, რომელიც საქმიანმა მკითხველმა, და არა უბრალოდ გადამკითხველმა, ბოლომდე უნდა წაიკითხოს.

ჩვენი ავტორები:

გელა ალადაშვილი - გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის /გთსუ-ს/ სრული პროფესორი
ნონა ახალაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნოდარ ბაგრატიონი - გთსუ-ს სრული პროფესორი
იური ბიბილეიშვილი -ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ნანა გოგიჩაშვილი – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
რომან გოგოლაური - ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი
მედეა გოცირიძე - გთსუ-ს სრული პროფესორი
ინგა დიაკონიძე - გთსუ-ს სრული პროფესორი
დავით ვეკუა - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნინო ვაშაყმაძე - ქუთაისის სახ. უნივერსიტეტის პროფესორი
ამირან თავართქილაძე - გთსუ-ს სრული პროფესორი
ნუგზარ თევდორაძე - გთსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
სოფიკო თევდორაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ლია თოთლაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
მამუკა თორია -გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ელდარ იბერი - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ვასილ კაციაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ვასილ კაჭარავა - თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ხათუნა კაჭარავა - გრიგოლ რობაქიძის სახ. უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
ნიკო კვარაცხელია - გთსუ-ს სრული პროფესორი
ბაია /მაყვალა/ კოღუაშვილი - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
გურამ კუტალაძე - გთსუ-ს სრული პროფესორი
ზურაბ ლაოშვილი - გთსუ-ს მოწვეული ასისტენტ- პროფესორი
გივი ლობჟანიძე – გთსუ-ს სრული პროფესორი
ელზა ლომიძე – თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
გიორგი მათიაშვილი - გთსუ-ს სრული პროფესორი
ცირა პატარაია - ილიას უნივერსიტეტის დოქტორანტი
თალიკო ჟვანია – გთსუ-ს სრული პროფესორი
თემურ ჟღენტი - გთსუ-ს სრული პროფესორი
ლიკა საჯაია - გთსუ-ს უფროსი მასწავლებელი
ვალიდა სესაძე - გთსუ-ს მასწავლებელი
ალექსანდრე სიჭინავა - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
ჩარლზ მორგან სტრომე – აშშ-ის ქ. ორეგონის უნივერსიტეტის პროფესორი
ლაშა ტაბატაძე - გთსუ-ს ასისტენტ-პროფესორი
ლევან ტატიშვილი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი
უკლება მაია - გთსუ-ს სრული პროფესორი
თამარ ფანცულაია – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ელისო ფანცხავა - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის პროფესორი
შალვა ქურდაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ეკატერინე შენგელია – თსუ-ს ასოცირებული პროფესორი
რომან შენგელია – გთსუ-ს მოწვეული სრული პროფესორი
ლალი ჩაგელიშვილი – გთსუ-ს სრული პროფესორი
მარინე ჩაგელიშვილი – გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
დალი ჩიკვილაძე – გთსუ-ს სრული პროფესორი
გელა ჭიკაძე - გთსუ-ს ასოცირებული პროფესორი
ნინო ხუნაშვილი - გთსუ-ს უფროსი მასწავლებელი

OUR AUTHORS

Gela Aladashvili –Full Professor of Guram Tavartkiladze Teaching University /GTTU/
Nona Akhalashvili – Associate Professor of GTTU
Nodar Bagrationi – Full Professor of GTTU
Iuri Bibileishvili –Full Professor of Batumi State University
Lali Chagelishvili – Full Professor of GTTU
Marine Chagelishvili – Professor of GTTU
Dali Chikviladze – Full Professor of GTTU
Gela Chikadze – – Associate Professor of GTTU
Inga Diakonidze – Full Professor of GTTU
Nana Gogichashvili – Associate Professor of GTTU
Roman Gogolauri – Professor of Akhaltsikhe Teaching University
Medea Gotsiridze - Full Professor of GTTU
Eldar Iberi – Associate Professor of TSU
Vasil Kacharava — Associate Professor of TSU
Khatuna Kacharava – – Associate Professor of Grigol Robakidze University
Vasil Katsiashvili- Associate Professor of GTTU
Niko Kvaratskhelia – Full Professor of GTTU
Baia /Makvala/ Koghuashvili – Associate Professor of GTTU
Guram Kutaladze – Full Professor of GTTU
Zurab Laoshvili – Assistant-Professor of GTTU
Givi Lobzhanidze – Full Professor of GTTU
Elza Lomidze – Assistant Professor of TSU
Giorgi Matiashvili – Full Professor of GTTU
Tamar Pantsulaia – Associate Professor of GTTU
Eliso Pantskhava – Professor of Theatre and Sinema State University
Tsira Pataraia -Doc tor of Ilia State University
Shalva Kurdadze- – Associate Professor of GTTU
Lika Sajaia –Teacher of GTTU
Valida Sesadze – Teacher of GTTU
Ekaterine Shengelia – Associate Professor of TSU
Roman Shengelia – Full Professor of GTTU
Aleksandre Sichinava –Full professor of GTU
Charlz M. Stromme – Professor of USA
Lasha Tabatadze - Assistent Professor of GTTU
Amiran Tavartkiladze – Full Professor of GTTU
Levan Tatishvili - – Associate Professor of GTU
Nugzar Tevdoradze – Assistent Professor of GTTU
Sopiko Tevdotadze - Associate Professor of GTTU
Mamuka Toria – Associate Professor of GTTU
Lia Totladze - Associate Professor of GTTU
Maia Ukleba -– Full Professor of GTTU
Nino Vashakmadze – Professor of Kutaisi State University
David Vekua - Associate Professor of GTTU
Nino Xunashvili – Teacher of GTTU
TemurZhghenti – Full professor of GTTU
Taliko Zhvania – Full Professor of GTTU

მოთხოვნები

მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება კრებულში გამოსაქვეყნებელ ნაშრომებს
კრებულში გამოსაქვეყნებელი ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:
- სამეცნიერო სტატია შეიძლება დაწერილი იყოს ქართულ ან ინგლისურ ენაზე
- ნაშრომს უნდა ახლდეს რეზიუმე /7-8 სტრიქონი/ორ ენაზე /ქართული, ინგლისური/ ორივე ენაზე უნდა ითარგმნოს ნაშრომის სათაური, ავტორის სრული სახელი და გვარი

ნაშრომი უნდა იყოს აწყობილი MicrosoftWord-ში.

ქართული ნაშრომი ეწყობა Sylfaen შრიფტით.

ინგლისური ნაშრომი იწყობა Times New Roman შრიფტით.

შრიფტის ზომა 11, ინტერვალი ერთი.

ნაშრომის მოცულობა /რეზიუმის ჩათვლით/ შეიძლება იყოს 5-დან 10 გვერდამდე, ნაბეჭდი A4 ზომის გვერდი.

ნაშრომში უნდა მიეთითოს მხოლოდ გამოყენებული ლიტერატურის ნომერი და გვერდი, ხოლო ნაშრომის ბოლოს უნდა დასახელდეს გამოყენებული ლიტერატურის ავტორი, წიგნის სახელწოდება და გამოცემის წელი.

ნაშრომს ცალკე ფურცელზე უნდა დაერთოს ავტორის საკონტაქტო რეკვიზიტები: მისამართი /სახლის, სამსახურის/, სამეცნიერო ხარისხი და წოდება, თანამდებობა, ტელეფონის ნომერი, ფაქსი, ელ-ფოსტა.

ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა მოგვაწოდოთ როგორც დისკეტით, ისე ამონაბეჭდი სახით ერთ ეგზემპლარად A4 ზომის ქაღალდზე.

ნაშრომის რეცენზირება მოხდება ანონიმური წესით.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვირეკეთ ტელეფონებზე 23 20 20, ან 599 90 40 04
ტელ. /99552/2246591; 266 15 12
ელ-ფოსტა: GTTU Scientific Works
ვებ გვერდი: www.gttu.edu.ge

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტი
რედაქციის მისამართია: 0101 თბილისი, სამღერეთის ქ.5

REQUIREMENTS

For Publication Format in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University

For publication in Scientific Proceedings of Guram Tavartkiladze Teaching University, the scientific work, article should satisfy the following requirements:

- Scientific article can be submitted either in Georgian or English.
- The work should be followed by the abstract (7-8 lines) into two languages (Georgian and English). The title of the article and author's full name must be into two languages (Georgian and English).
- The work should be presented in Microsoft Word format;
- Georgian work should be presented in Acadnusx, 12 pt. font;
- English work should be presented in Times New Roman 12 pt. font;
- Line spacing 1.0;
- The work, including the abstract should be 5-10 printed page, paper size A4.
- In the body of the text, in-text citation should be done in brackets, in the following order: reference and page number of the used source in the bibliography attached to the work. At the end of the work, the list of the used literature (bibliography) should be arranged in the following order: Author, title of the source and the year of publication.
- Contact info and requisites of the author should be submitted on the separate paper. This info should include: the address, (home, work), academic degree, title, position, tel, fax number and e-mail address.
- The work should be handed in electronic version on CD disc, as well as 2 hard copies on A4 size paper;
- The author is responsible for the authenticity of the material provided by him/her for publication.
- The work will be reviewed anonymously.

For additional info, please contact us: tel: 2 23 20 20; 599 90 40 04.

Address: Guram Tavartkiladze Teaching University 5, Samghereti str. Tbilisi, Georgia.

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge